

ბიორბი ბობოლაშვილი

სიბრძნე იაკობისა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

2014

იაკობ გოგებაშვილი და მისი „დედაენა“ დიდი ხანია ფიქრის საგნად გვექცა. არაერთი სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომი მივუძღვენით მათ; პოლემიკაც გვქონდა იაკობისა და მისი „დედაენის“ თაობაზე...

გადავწყვიტეთ ათეული წლების ნაფიქრ-ნაშრომი შეგვეკრიბა და ერთ წიგნად გვექცია...

თუ ეს წიგნი იაკობისა და მისი „დედაენის“ საკადრისი ვერ არის, შეგვინდოს იაკობის ნათელმა სულმა.

რედაქტორი — დეკანოზი **კონსტანტინე გიორგაძე** — იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თავმჯდომარე

რეცენზენტები — პროფესორი **ვიანორ ახალაია**
პროფესორი **თამარ ლომთაძე**
პროფესორი **როინ ჭიკაძე**

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN 978-9941-13-381-7

წიგნი გამოსცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 14
1 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0128
Tel 995 (32) 225 14 32, 995 (32) 225 27 36
www.press.tsu.edu.ge

დიდებული სამეული და ოთხი ბურჯი მროვნებისა (წინასიტყვის მარჯიერ)

1897 წელს აკაკი წერეთელმა კახეთში იმოგზაურა. თელავში ის სიტყვა თქვა, დღემდე რომ რჩება ქართული მკვერმეტყველების სწორუბოვარ ნიმუშად. ერთი ფრაგმენტი: „პატარა ცისარტყელა ვერც ათბობს, ვერც ანათებს, მხოლოდ თვალს იტაცებს და სჭრის. მაგრამ მაინც გამოდარების ნიშნად არის მიჩნეული. გვალვის დროს ერთი პატარა ღრუბლის ნაგლეჯიც, სადმე ცის კიდეში გამოჩენილი, ქვეყანას ახარებს. შერეიდებიან მუშები და ამბობენ: ღმერთო, შენს მადლს! კარგი ნიშანია: ამ პატარა ნაგლეჯს სხვებიც შეუერთდებიან, ცას დაფარავენ და მოგვევლინება წვიმა, ქვეყნის გამწვანებელიო. ...ის პატარა ცისარტყელა კახეთში გამოჩნდა და ის ღრუბლის ნაგლეჯებიც აქეთ დავინახეთ. რასაკვირველია, მიხვდებით, რომ აქ იგულისხმება თქვენივე შვილი ბ-ნი ილია ჭავჭავაძე“.

ღიახ, ის პატარა ცისარტყელა — გამოდარების ნიშანი და ის პატარა ღრუბლის ნაგლეჯი — ქვეყნის განედლების საწინდარი კახეთში 1837 წლის 27 ოქტომბერს (8 ნოემბერს) გამოჩნდა... — და ეს იყო ილია ჭავჭავაძე...

ის პატარა ცისარტყელა და ის პატარა ღრუბლის ნაგლეჯი 1840 წლის 9 (21) ივნისს იმერეთშიც გამოჩნდა — სხვიტორში, როსტომ წერეთლის ოჯახში ვაჟი დაიბადა და 1840 წელი საქართველოს ისტორიაში ამითაც შევიდა — აკაკი წერეთელი დაიბადა!

იმავე წელს ის პატარა ცისარტყელა და ის პატარა ღრუბლის ნაგლეჯი ქართლშიაც გამოჩნდა — 15 (27) ოქტომბერს ვარიანში სიმონ გოგებაშვილის ოჯახში ვაჟი დაიბადა — იაკობი!..

„ქართლ-კახეთი-იმერეთი“...

იაკობი-ილია-აკაკი...

ეს სამეული — ილია, აკაკი, იაკობი — ნებისმიერი კულტურული ერის ისტორიას დაამშვენებდა... ის კი არადა, ქვეყნისთვის ერთ ეპოქას ერთ-ერთი მათგანიც ეყოფოდა!... ღმერთმა უზარმაზარი წყალობა გაიღო ქართველებისთვის!..

* * *

გამოვიდა თუ არა სამოღვაწეო ასპარეზზე, ილია ჭავჭავაძემ პირველმა მოუწოდა ქართველობას: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“

ეს იყო პოზიცია ილიასი. ამგვარი განცხადებით გამოვიდა იგი სამოღვაწეო ასპარეზზე და ამ შეგნებით იბრძოდა თავისი სიცოცხლის მანძილზე. ერთარსება საქართველო ილიასთვის ეს სამება იყო: მამული, ენა, სარწმუნოება. ის, რაც ბრძანა ილიამ, ძირითადი პრინციპი იყო მთელი თაობისათვის, განსაკუთრებით აკაკისა და იაკობისათვის...

* * *

ცოტა მოგვიანებით ილიას პოეტურ სახელს — „ღვთაებრივ საუნჯეს“ — უფრო „პროზაულ“ სახელს შეურჩევს იაკობი — „ბურჯი ეროვნებისა“ და დააზუსტებს: ჩვენი ეროვნება — ჩვენი ქართველობა — **ოთხ ბურჯს** ემყარება: **მამულს, ენას, ეროვნულ სკოლასა და სარწმუნოებას**. საკითხის ასე დასმა არის პასუხი ამგვარი ლოგიკური მსჯელობისა და დასმული კითხვებისა: „არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ქართველი ერი სწორედ ამისთანა გაჭირვებულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რათა ამ გაჭირვებამ არ იმატოს, არამედ შემცირდეს თანდათან და ბოლოს გაუჭირებელ არსებობად გარდაიქცეს, საჭიროა გადაჭრილი გზა, მიმართულება, პროგრამა. აქვს ჩვენს ერს ეს პროგრამა თუ არა? არსებობს ქართული გეგმა მოქმედებისა, თუ ჩვენის ცხოვრების გზა ბინდ-ბუნდით არის მოცული? დიად, ქართველობას აქვს განსაზღვრული მიმართულება...“ ეს არის ქართული მიმართულება (ასეც ჰქვია წერილს — „ქართული მიმართულება“).

* * *

ვთქვით: ეს იყო აკაკის პოზიციაც, თუმცა მოგვიანებით ისიც დააზუსტებს; კითხვებს სვამს, რა ქმნის ჩვენს ეროვნებას, რა „ჰქმნის ერს“. ზოგადად ასე მსჯელობს: „სამშობლო მიწა-წყალი, ენა, ისტორია და ერთნაირი თავგადასავალი ჰქმნის ერს“. და მერე: „ეს დღეს საანბანო ჭეშმარიტებაა და ვისაც ეს არ სწამს, ან გაუგებრობით მოსდის, ან

კრიმანჭული განზრახვით და ორივე შემთხვევაში აღარ ღირს მასთან საუბარი“... დიდად საინტერესო მსჯელობას ასე შეაჯამებს: „ჩვენ ჩვენი წინაპრების ანდერძის გამტეხნი არა ვართ... გვრწამს მათი ანდერძი და დღესაც მოველით იმას, რასაც ისინი თხოულობდნენ: ენას, რჯულს და ეროვნულ საქმის მოწყობას“... ენა და რჯული გასაგებია; რას ნიშნავს ეროვნული საქმის მოწყობა? ამ მსჯელობაში აკაკი „ბრძენ ვორონცოვის“ აზრს მოიშველიებს: ქართველი უნდა „პოლიტიკურად რუსი იყოს, მაგრამ გარეგნობით კი ესე იგი, ენით, რჯულით, ეროვნულ ელფერით და სხვა უნდა დარჩეს ისევ ქართველად“... ეროვნული საქმის მოწყობა ეროვნული ელფერის შენარჩუნებას გულისხმობსო: ენა, რჯული და ყოველივე ქართულიო; თუ ზემოთქმულსაც გავითვალისწინებთ, ესაა „სამშობლო მიწა-წყალი, ისტორია, ერთნაირი თავგადასავალი“... საბოლოოდ აკაკის სამება ასეთ სახეს იღებს: ენა, რჯული და ეროვნული საქმე... და ეს იგივეა, რაც ილიამ ბრძანა... და ეს იგივეა, რაც იაკობმა ბრძანა... ისე, იაკობმა ეროვნული სკოლა რომ დაუმატა, აკაკის აზრიც გაიხსენოთ: „ჩვენი ბედისწერა სწავლა-განათლებაზედ არის დამოკიდებული“ და **ქართული მიმართულება ილიას, იაკობისა და აკაკის მიერ ასე განისაზღვრება:**

მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოება!

იმ წერილს, რომელშიც აკაკი ამ საკითხებზე მსჯელობს, ასე ამთავრებს: ეს „დღეს აღარავის ახსოვს... მოვა დრო, რომ ეს მოსაზრება გამართლდება, მაგრამ გვიან იქნება“... დიახ, საუკუნის წინათ ითქვა ეს...

* * *

წინამდებარე წიგნი იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება. თუმცა იაკობზე საუბარი ილიასა და აკაკის მოღვაწეობის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია... ამიტომაც, ამ წიგნში დიდებული სამეულის როლი და მნიშვნელობა ქვეყნისათვის, ერისათვის, ვფიქრობთ, კიდევ უფრო წარმოჩნდება...

ნაწილი I.

ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გობე-
ბაშვილისა

* * *

*იაკობ გოგებაშვილი ჩვენი სინამდვილისათვის გაცილებით
დიდი ადამიანი იყო, ვიდრე ეს წარმოდგენილი გვაქვს...
ვასილ ბარნოვი*

100 წლის წინათ, 1912 წლის 2 ივნისს, „სახალხო გაზეთი“ სა-
მგლოვიარო განცხადებას აქვეყნებს:

**იაკობ გოგებაშვილის
გარდაცვალება.**

*გუშინ, 1 თიბათვეს, საღამოს 6 საათზე მძიმე ავადმყოფობის
შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი სასიქადულო პედაგოგი
იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი.*

გადაიღო ღონისძიებები („განათლების საზოგადოებამ 2 თიბათვეს
დანიშნული სეირნობა იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო სხვა
დროისათვის გადადო“ — „სახალხო გაზეთი“...). გლოვობს სრულიად
საქართველო. გაზეთები აივსო სამგლოვიარო დეპეშებით. უსამძიმრებენ
საქართველოს, ქართველობას, ერთმანეთს... თითქოს საყოველთაო აზრი
გამოხატა ანასტასია ერისთავმა-ხოშტარიამ გორიდან გამოგზავნილ დე-
პეშაში: „ქართული ენა დაობლდა. დაუნდობელმა სიკვდილმა ქართველ
ბავშვებს მოსტაცა ყვარაჩენი და ერს — წინამძღოლი“... „ვიგლოვოთ,
იაკობზე უკეთესი არავინ მოგვიკვდება!“ — გოდებდა ქუთაისიდან ილია
ბახტაძე...

საოცარ გულში ჩამწვდომ ფაქტს იგონებს ალ. მიქაბერიძე: რო-
დესაც იაკობი ბინიდან ქაშვეთის ეკლესიაში გადაჰყავდათ, „ვეძინის ყო-
ფილ ქუჩაზე უამრავი ხალხი მოსდევდა; შემოხვდა თეთრ ქუდსა და
თეთრ ხალათში გამოწყობილი მეფურნე, რომელმაც თვალი მოჰკრა

თუ არა თავლია კუბოში ჩასვენებულ იაკობის ცხედარს, ერთი საზარლად შეჰყვირა: „**ვაი ჩვენ უბედურებს, ჩვენი „დედაენის“ დამწერი მომკვდარაო!** მეფურნემ თავისი ფურნე პატარა მსახური ბიჭების ამარა დასტოვა და მწუხარე სახის გამომეტყველებით კუბოს უკან თავს ხელი მაგრად ჩასკიდა სახელურში და სხვებთან ერთად შეუცვლელად მიაცილა მიცვალებული ქაშვეთის ეკლესიაში“...

აკაკი ასე დაემშვიდობა ღვაწლმოსილ მეგობარს: „**აქ ილაღადებენ შენი ნაშრომნი და დარჩება სამარადისოდ შენგან გატყეპნილი გზა და ვინც ამ გზას არ გაივლის, ის არც ქართველად იხსენიება!**“ ეს მარადიული თანამედროვის მარადიული შეგონებაა...

და იქცა მარადისობის ბინადრად დიდი იაკობი.

მოგვიანებით იოსებ იმედაშვილმა ორი ბუმბერაზი მოღვაწე — ილია ქავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი — შეადარა ერთმანეთს: „და დღეს, როცა მთლიან საქართველოს გულისცემას ვისმენ, მარად და ყველგან იაკობის გულისცემას ვგრძნობ!... როგორც მოქათქათე მზის სხივები, მისი სახე ისე მესახება და ილია თუ ღრმა აზრის მკედელი იყო, — ძილში ჩაფლული ერის გამოღვიძებისაკენ მომწოდებელი; აკაკი — ერის გულში რწმენის ჩამთესი, უკეთესი მერმისის ნაპერწკალთა მკვესავი, მამულიშვილურ გრძობათა კოცონის აღმგზნები; იაკობი ორივე ამასთან ერთად — ბნელში სინათლის შუქი — სიბნელის მფანტველი, ერის საკუთარ შეგნების ფეხზე დადგომისათვის ყავარჯინის მიმწოდებელი!“

თავად იაკობი ილიასა და აკაკისთან თავის შედარებას უხერხულად მიიჩნევდა და თავმდაბლად უკან იხევდა. გაზეთ „ივერიაში“ (1900 წ. №83) გამოქვეყნდა ცნობა: „როგორც შევიტყუეთ, ბ-ნ იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილის პატივისმცემელთ მისდა პატივსაცემად, მისი სალიტერატურო და საპედაგოგიო ასპარეზზედ მოღვაწეობის 35 წლის შესრულებისა გამო, განუზრახავთ სადილი გამართონ“. იმავე გაზეთის შემდეგ ნომერში იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის განცხადება: „როგორც თქვენი ახალი ამბებიდან სჩანს, ზოგიერთ ქართველს მოუწყაღინებია გამართონ საიუბილეო სადილი. დიდ მადლობას მოვახსენებ, და ვთხოვ დიდი თხოვნით, ხელი აიღონ ამ თავისს წადილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადილი უჩემოდ ჩაივლის. **ჩერ ქართველმა საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც მას აწევს კისერზე შესახებ ჩვენის მთავარ-მოღვაწეებისა, რომელთაც ჩემზე უფ-**

რო დიდბანს უმოქმედნიათ და ჩემზედ უზომოდ მეტი გაუკეთებიათ. ჯერ იალბუზსა და მყინვარს ღირსეული იუბილეები გაუშართონ, და მერე გაუწიონ თავაზიანობა სერებსაც, თუ არ დაუშლიათ“ (გაზეთი „ივერია“, 1900 წ., №85). მყინვარი და იალბუზი „მთავარმოღვაწენი“ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი არიან...

სხვაგვარად ფიქრობს აკაკი წერეთელი: „*მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოთენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენაზე“ არ აეხილოს თავლები. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე... იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას“*. იცოდნენ ფასი ერთმანეთისა...

და მართლაც, ქართველი ერისათვის უდიდესი ბედნიერება იყო ის, რომ XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი მოგვივლინა ღმერთმა; დიან, ნებისმიერი ერის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ისტორიას დაამშვენებდნენ ისინი; მით უმეტეს, ისეთი მცირერიცხოვანი და მძიმე ისტორიის ერისათვის არის ჭეშმარიტი ღვთის წყალობა მათი არსებობა, როგორც ჩვენა ვართ... XIX საუკუნე გამორჩეული იქნებოდა ჩვენს ისტორიაში, ერთ-ერთი მათგანიც რომ მოევლინა ღმერთს... ჩვენ კი დიდი სამეული „მეობხად ჩუენდა ქრისტემან მოგუანიჭა“... ჭეშმარიტად განუსაზღვრელია მათი როლი ჩვენი სინამდვილისათვის.

ხოლო რაც შეეხება იაკობ გოგებაშვილს, ვფიქრობთ, დღესაც არ დაუკარგავს აზრი ვასილ ბარნოვის ნათქვამს: „*იაკობ გოგებაშვილი ჩვენი სინამდვილისათვის გაცილებით დიდი ადამიანი იყო, ვიდრე ეს წარმოდგენილი გვაქვს...*“ ამიტომაც შევეცდებით, შეძლებისდაგვარად, თვალი გავადევნოთ იაკობის ღვაწლსა და ცხოვრების გზას.

ღვაწლი იაკობ გოგებაშვილისა¹

იაკობ გოგებაშვილს სწამდა: „საზოგადო ასპარეზზე მომქმედო ადამიანი მხოლოდ მაშინ ეწევა გულის წადილს და იმარჯვებს, როდესაც მას გამორკვეული აქვს გზა ცხოვრებისა და შემუშავებული აქვს გეგმა და პროგრამა მოქმედებისა, ერთი სიტყვით აღჭურვილი არის ნათელი, განსაზღვრულის მიმართულებით და ამასთან მხნედ ახორციელებს ამ თავისს მიმართულებას, პროგრამასა“ („ქართული მიმართულება“) და მთელი შეგნებული ცხოვრება ქმნიდა, ამუშავებდა და ახორციელებდა ამგვარ პროგრამას არა მარტო პიროვნულად თავისთვის, არამედ მთელი ერისთვის, რადგან მიაჩნდა, რომ „*მით უფრო საჭიროა ამისთანა განსაზღვრული, ნათელი მიმართულება მთელის ერისათვის, მეტადრე იმისთანა ერისათვის, რომელსაც ბრძოლა არსებობისათვის მეტად გასძნელებია საზოგადოდ უკუღმართთა გარემოებათა წყალობით*“ (იქვე). იაკობი მამულიშვილებს შეავაზნებს, რომ **ქვეყნის გადარჩენისათვის აუცილებელია, „გაფურჩქნეთ, გააძლიერეთ და ააყვავეთ ყველა თქვენი ეროვნულნი, ანუ ნაციონალური ძალები“**. და აქ იწყებს ჩამოთვლას და დახასიათებას ეროვნული (ნაციონალური) ძალებისა, რომელთაც **ეროვნების ბურჯს** დაარქმევს; ეროვნების ბურჯი იგივეა, რასაც ილია „**ღვთაებრივ საუნჯეს**“ უწოდებს; გვანხსოვს, რა თქმა უნდა: „*სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩია ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება.. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?*“ ერთიცაა: ილიისეულ სამებას იაკობი მეოთხე ფენომენს დაუმატებს — ეროვნულ სკოლას; ამგვარად, იაკობის აზრით, ჩვენს ეროვნულობას **ოთხი ბურჯი** აქვს, ოთხი „**ეროვნული (ნაციონალური) ძალა**“ ამოძრავებს: **მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოება**.

იაკობ გოგებაშვილის უდიდესი დამსახურება ისაა, რომ **მან ქართველობას გაუცნობიერა არსი და მნიშვნელობა ამ ოთხი ეროვნული ბურჯისა და პირადი მაგალითი უჩვენა მათი უანგარო, თავდადებულნი მსახურებისა**.

უფრო კონკრეტულად:

1. მამული

რა არის სამშობლო, მამული და როგორ უნდა ვემსახუროთ მას? ეს უმთავრესი კითხვა იყო, რომელიც დასვა იაკობმა; დასვა და უპასუხა კიდევ თეორიულადაც და პრაქტიკულადაც.

იაკობის აზრით, უმთავრესი „ბურჯი ჩვენი ეროვნებისა“ არის მამული, სამშობლო: „საძირკველს ნაციონალურის ძალისას შეადგენს ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო“. ხოლო თუ რა არის სამშობლო, იაკობი ასე განმარტავს:

„ბატონებო! მშობლიური მიწა-წყალი, მამული მარტო ნივთიერი ფაქტორი არ ვახლავთ. იგი ამასთან სულიერია, ცოცხალი არსებაა, თუ ერთ მხრივ იგი იპყრობს მამა-პაპათა გვამთა, მერე მხრივ, მასში ტრიალებს წინაპართა დიდებული სული და ეს სული აცოცხლებს, ასულდგმულებს, აცხოველებს თანამედროვე თაობათა. წაართვით ერს მისი მიწა-წყალი, მისი ტერიტორია, და იგი დაჰკარგავს არა მარტო ნიადაგს არსებობისას, არამედ მოსწყდება იმ დიდებულს ისტორიულს სულსაც, რომელიც სამშობლოში ტრიალებს, და დაემსგავსება მუხის მოჭრილ რტოსა, რომელსაც გახმობა ვერ ასცდება. ამისთვის მამულის დაკარგვა საშინელს უბედურებას შეადგენს.

სამშობლოს დამკარგავი ერი ვერ დაიცავს თავისს არსებობას, ვერ გააგრძელებს სიცოცხლესა, და თუნდაც გააგრძელოს, თუნდაც მოიპოვოს სიმდიდრე ვაჭრობით და მრეწველობით, მაინც და მაინც ყოვლად უბედური იქნება, იგი დაემსგავსება ბოგანო ადამიანსა, რომელსაც საკუთარი მიწა და კერა არ გააჩნია... აი რისთვის საჭიროა, უკიდურესად საჭირო, რომ ქართველობამ სავსებით შეინარჩუნოს თავისი მიწა-წყალი, მამული და სხვა ხალხის ხელში არ ჩაავდოს“.

და იაკობ გოგებაშვილმა, ერთი მხრივ, თავისი სახელმძღვანელოებით, ხოლო მეორე მხრივ, თავისი მხატვრული შემოქმედებით, პუბლიცისტიკითა თუ პირადი ცხოვრების მაგალითით უდიდესი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ქართველობას „შენარჩუნებინა თავისი მიწა-წყალი, მამული და სხვა ხალხის ხელში არ ჩაევდო იგი“... მოგესხენებათ, იმდროინდელ ორკლასიან სამრევლო სკოლებში „დედაენა“ ისწავლებოდა, ოთხკლასიანი სასწავლებლის მესამე-მეოთხე კლასებში — „ბუნების კარი“. იაკობის გენიალური ნიჭის წყალობით, „დედაენა“ და „ბუნების

კარი“ ისე იყო შედგენილი, იმდროინდელმა ოთხკლასდამთავრებულმა ყმაწვილმა უკეთ იცოდა საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, ფოლკლორი და ეთნოგრაფია, ქართული ენა და ლიტერატურა, ვიდრე დღევანდელმა საშუალო განათლების მქონემ... „დედაენის“ პირველი ნაწილიდან მეორე ნაწილზე, „დედაენიდან“ „ბუნების კარზე“ გადასვლის გასაადვილებლად შედგენილი დამხმარე სახელმძღვანელოები („კოკორი“, „ჟუნწულა“, „ხომლი“, „აკილო“, „კონა“), საგანგებოდ შეთხზული ისტორიული თუ სხვა მოთხრობები, ძირითად სახელმძღვანელოებთან ერთად, ქართველში ქართულ სულს აღვიძებდა, აწრობდა; ქართველს ქართველად ზრდიდა. „დედაენის“ მიზანდასახულებაზე როცა საუბრობდა, წერდა ერთგან: **„დედაენა“ ყველა მოწაფეში ავითარებს და ზრდის ქართველს ადამიანს, საზოგადოდ“** და იქვე: სახელმძღვანელოების შექმნის დროს **„ერთად მოქმედებდნენ ჩემი ქართული გონება და ჩემი ქართული გული“**...

სიმტკიცე ქართველობის უპირველესი ბურჯისა — მამულისა — დიდად განსაზღვრა იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობამ.

2. ენა

იაკობის აზრით, **ერთ-ერთი მთავარი ბურჯი ერის აღორძინებისათვის განლაგთ სამშობლო ენა**. „ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე. თუ ენა ერთ წერტილზეა შეჩერებული, ერის წინ მსვლელობაც მოსპობილია. თუ ენა უკან-უკან მიდის და ლატაკდება, აზროვნებაც ერისა ქვეითდება, უძლურდება, ღარიბდება. სამაგიეროდ, თუ ენა წინ მიდის, დღითი-დღე იფურჩქნება, ვითარდება, მდიდრდება ფორმებითა, ერის აზროვნებაც წელში იმართება, ძაღლონეს იძენს, აპყვავების ხანა უდგება. არა უცხო ენას არ შეუძლიან გაუწიოს ერს სამშობლო ენის სამსახური, როგორც დედინაცვალს არ შეუძლიან დასდოს ბავშვს ღვიძლი დედის ამაგი, საშინელს მდგომარეობაში ვარდება ერი, როდესაც მის ენას პატივი და უფლება აქვს აყრილი და იგი მას რიგიანად ველარ სწავლობს სკოლებში. ამ შემთხვევაში სკოლა ცუდად მოქმედებს თვით სახლობაზედ, აქაც სუსტდება ღვიძლი ენა. ამის გამო სრული მეტყველება ერში იკარგება, და იგი წარმოადგენს ნახევრად დამუნჯებულ ბრბოსა. სუსტი ენა ჰბადავს სუსტს

გრძნობას, სუსტს აზრსა, სუსტს ხასიათსა და ერის ცხოვრებაში დგება ის საუბედურო ხანა, რომელსაც ერთმა რუსმა სწავლულმა და პროფესორმა — პოტებნიამ დაარქვა: „*период мерзости запустения*“. ამ უბედურს ხანას, ამ *мерзости запустения*-სა თავის სასარგებლოდ იყენებენ მოცილე ერნი და ნაბეგრად დამუნჯებულს, დაქვეითებულს ხალხს ხელიდგან აკლიან მიწა-წყალს, დოვლათს და ყველა ეროვნულს საუნჯეს“.

ვიცით, შშობლიური ენის თემა იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაში უმთავრესი თემაა. იაკობი იყო უპირველესი ქომაგი და დამცველი დედაენისა. იგონებენ, აქვსენტი ცაგარელი იტყოდანო, „*ქართველებს და ქართულ ენას ისეთი ასარბასარა დარაჯი ჰყავს, რომ მას ვერაფერს ვერაფერს დააკლებსო, არავის გააბარებს, თუ ჯიბრზე მიდგა საქმო*“.

დედაენისადმი დამოკიდებულებაში, დედაენის როლის გარკვევაში ქართველთათვის XIX საუკუნეში იაკობ გოგებაშვილს უდიდესი როლი ენიჭება. ამის დასტურად მისი ნაშრომის „ბურჯი ეროვნებისა“ განხილვაც იკმარებდა. საერთოდ კი დედაენისადმი იაკობის დამოკიდებულების თემა არაერთი მკვლევრის ნაშრომის თემა ყოფილა და იქნება...

XIX საუკუნე ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში საბედისწერო საუკუნე იყო. ასეთი მძიმე განსაცდელი ქართულ ენას მანამდე არ ჰქონია (მარტო იანოვსკის — კავკასიის ოლქის მზრუნველი განათლების საკითხებში — საქმიანობის განხილვაც იკმარებდა; ივანე ჯავახიშვილის თქმით, „იანოვსკიზე დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენას“) ... ამიტომ დააყენა ილია ჭავჭავაძემ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროგრამაში პირველ ადგილზე ქართული ენის გადარჩენის საკითხი. დასვა ეს საკითხი (გავიხსენოთ: „*თუ ამითაც არ ვუპატრონებთ, რაღა კაცები ვიქნებით*“) და საბრძოლო დროშა იაკობ გოგებაშვილს გადაულოცა.

ნებისმიერი ერი ინატრებდა ეროვნული ენის ისეთ ქომაგსა და მზრუნველს, როგორც იყო იაკობ გოგებაშვილი. მოვიშველიოთ აკაკი წერეთლისეული შეფასება: „*ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე... იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის*

სიტყბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განს ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძველი დაუდგას“. იაკობ გოგებაშვილმა თავისი სახელმძღვანელოების წყალობით პრაქტიკულად შეძლო სრულიად საქართველოს მასშტაბით ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრება. იაკობ გოგებაშვილის „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ ენა არის ფაქტობრივ ნორმა იმდროინდელი ქართული სალიტერატურო ენისა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სასწავლებელთა დიდი ნაწილი ორკლასიანი იყო და მხოლოდ „დედაენა“ ისწავლებოდა, ქართული სალიტერატურო ენის გავრცელებისა და დამკვიდრების სიმძიმე მთლიანად „დედაენას“ დააწეა.

იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ“ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და დამკვიდრებაში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც წმინდა სახარებამ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. და ეს არის იაკობ გოგებაშვილის უდიდესი დამსახურება ქართველი ერის წინაშე. სწორედ ამას გალისხმობდა ზაქარია ჭიჭინაძე, როცა წერდა: „გოგებაშვილმა თავის „დედა-ენაში“ აღადგინა დაცემული ენა ქართველთა... და ამ წიგნის მეოხებით მთელი ქართველობა, ყველა თემისა და ხეობის მონათესავენი ერთის ქართულის ენით იწყებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაპარაკს, ყველგან ამ წიგნის მეოხებით ქართული ენა ეფინება...“

ენობრივი მთლიანობა რომ ეროვნული მთლიანობის საფუძველია, ამას ჯერ კიდევ X საუკუნის მოღვაწე გიორგი მერჩულე ქადაგებდა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. იაკობ გოგებაშვილი რომ გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, „ეს ის დრო იყო, როდესაც მშობლიური ენა დევნილი ენა იყო სკოლებში, პატივყარილი — ოჯახებში“ (თ. სახოკია); ე. ი. ეროვნული მთლიანობა დარღვეულია. XIX საუკუნეში ამ მთლიანობის აღდგენის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა იაკობმა თავისი „დედაენით“. შ. დადიანი წერდა: „დედაენა“ ამაფეთქებელი ნაღმოსანით მისრიალებდა ჩვენს მიუვალს მთა-კლდეებში — თუშეთსა და სვანეთში, — მიდიოდა ბარად, შეუყვებოდა აჭარასა და მესხეთს და ყველგან სძრავდა ენას საქართველოდ,

ყველგან აფეთქებდა გრძნობას ეროვნულსა. ამ კაცს სხვაც რომ არა გაეკეთებინა რა, მართო ამ დღაწლისათვის იქნებოდა საპატიო და თაყვანსაცემი...“ და ერთი ამონარიდიც: „დედაენამ“ მკაცრად შეუტია უწიგნურობას, კუთხურობასა და ტომთა შორის კარჩაკეტილობას, განავრცო სიტყვა ქართული და ამერ-იმერი ერთიანი სახალხო ენით ამეტყველა, დააკავშირა; მწიგნობრობის გავრცელებასა და ქართველი ხალხის კონსოლიდაციაში „დედაენის“ როლი ფასდაუდებელია“ (ვალერიან რამიშვილი).

XIX საუკუნეში არსებულმა უმძიმესმა რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ ერთიან ქართულ სალიტერატურო ენას დიდი საფრთხე შეუქმნა. რუსულმა იმპერიამ დაიწყო ინსპირირება მეგრულ და სვანურ ენებზე სკოლების გამართვის აუცილებლობისა; შესაბამისად — მეგრელებისა და სვანების არაქართველებად გამოცხადებისა. აქ იაკობ გოგებაშვილი, როგორც ყოველთვის, თავის სიმადლეზე აღმოჩნდა.

იაკობ გოგებაშვილს კარგად აქვს გაცნობიერებული იმ დროისათვის არსებული ენობრივი რეალობა — მეგრული და სვანური მეტყველება განსხვავებულია ქართულისაგან; ზოგ შემთხვევაში სკოლებში ქართულის გასაგებად (განსამარტავად) მასწავლებლები ადგილობრივ მეტყველებას მიმართავენო: „ყველა სკოლებში სწავლება მოწყობილია დედა-ენაზედ და ადგილობრივს კილოკავენს ხმარობენ ასახსნელად და განსამარტავად იმ საერთო სიტყვებისა. რომელნიც ადგილობრივ ბავშვებს კარგად არ ესმით“.

იაკობ გოგებაშვილი სწორად აფასებს ვითარებას. ეროვნული პოზიციებიდან უცდომლად გაიაზრებს საქართველოს ენობრივ სიტუაციას და დააჩერებს მტერსაც და მოყვარესაც, რომ „მეგრული და სვანური შტოებია ქართულისა“; იაკობი ქართველურ ენობრივ სივრცეში სამი დონის ენობრივ ერთეულებს გამოყოფს:

1. ქართული სალიტერატურო ენა (ანუ მთავარი ენა, საღმრთო ენა, დედაენა);
2. სვანური და მეგრული მეტყველება („ადგილობრივი კილოები“, „პროვინციული კილოები“, „შინაურობაში სახმარი კილოები“);
3. ქართული დიალექტები.

შექმნილ რთულ ენობრივ და ეროვნულ ვითარებაში იაკობ გოგებაშვილი ქმნის ტერმინს „დედა-ენა“ სიტყვების — დედა-აზრი, დედა-ბოძი, დედა-ქალაქი და სხვათა — ანალოგიით (იაკობამდე ეს სიტყვა არ არსებობს, მით უმეტეს ტერმინად!). დედაენა იაკობისთვის არის ქართული სალიტერატურო ენა, „მთავარი ენა“, „სადმართო ენა“, „საერო ენა“, „ძირითადი ქართული ენა“ (ყველა ეს ტერმინი გვხვდება მის ნაწერებში). ეს ტერმინი (დედაენა) იმდენად მარჯვედ იყო შექმნილი, რომ იგი იქცა ძირითად ტერმინად, ქართული სალიტერატურო ენის სინონიმად; დასტური იმისა, რომ „დედაენა“ იაკობის შექმნილი ტერმინია: 1876 წლამდე, „დედაენის“ გამოცემამდე, ილიასა და აკაკის ნაწერებში ტერმინი დედაენა არ გვხვდება; იაკობის „დედაენის“ გამოსვლის შემდეგ ჩვეულებრივ ეს ტერმინი გამოიყენება (უფრო დაწვრილებით: გ. გოგოლაშვილი, „დედაენა“ — ძველი სამარადისო, 2011). ამ ტერმინის შემოღება და დამკვიდრება (ერთი მხრივ, სახელმძღვანელოს სახელად და, მეორე მხრივ, მშობლიური ენის სინონიმად) იაკობ გოგებაშვილის გენიალობის კიდევ ერთი დასტურია. სწორედ ამას ამბობს ცნობილი გერმანელი ქართველოლოგი, ევროპული ენებისა და კულტურის გამოჩენილი მკვლევარი ვინფრიდ ბოედერი: **„იაკობ გოგებაშვილი გენიოსი იყო იმ გაგებით, რომ ზუსტ დროს სწორი სიტყვა იპოვა (გულისხმობს დედაენას — გ.გ.). ქართული ენის დაცვამ იმ დროს მოითხოვა ასეთი ემოციური ცნება“** (უტრნალი „ჩვენი მწერლობა“, № 16, 2010)).

3. ეროვნული სკოლა

იაკობ გოგებაშვილის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ ქართული ეროვნული სკოლა ქართველობის, ქართული ეროვნულობის უმთავრეს ბურჯად გამოცხადდა. როგორც აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძის ცნობილ ტრიადას — მამული, ენა და სარწმუნოება — იაკობმა მეოთხე ფენომენი დაამატა და გამოაცხადა, რომ ჩვენს ეროვნულობას **ოთხი ბურჯი აქვს — მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოება**. მისი აზრით, ერთ-ერთი მთავარი „ბურჯი ერის წარმატებისა გახლავთ სკოლა. რომელ ქვეყანაშიაც კი უმრავლესობათ სკოლები, ყველგან მათ მოუხდენიათ საოცარი ძირითადი ცვლილება: ერი გამდიდრებულა ცოდნით, ამადღებულა ზნეობით, ავისილა დოვლათით“. მთელი შეგნე-

ბული ცხოვრება იაკობ გოგებაშვილისა იყო მცდელობა იმისა, ერი გაემდიდრებინა ცოდნით, აემალლებინა ზნეობით და აევსო სწავლის დოვლათით.

იმისათვის, რომ შექმნილ გარემოებებს იაკობი არ აეძულებინა სხვა სამსახური ეძებნა, სხვაგან ემსახურა, გარდა სკოლისა (ე. ი. არ მომცდარიყო, მისი აზრით, უმთავრესს), იგონებენ, მან თავისი საგანმანათლებლო დოკუმენტები „ცეცხლს მისცა!“ ამით შემთხვევითობაც კი გამოირიცხა, თუნდაც დროებით მოშორებოდა სკოლას.

თუ ქართველ ერში XIX საუკუნეში სწავლა-განათლება ხელმისაწვდომი ვახდა თითქმის ყველასთვის (განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა), ამაში დამსახურება მიუძღვის იაკობ გოგებაშვილს. მისი ზოგადი პოზიცია ასეთია: „სწავლა, ცოდნა, მეცნიერება ღონეა იმისთნა, რომელსაც დღეს წინ ველარაფერი ვერ დაუდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჭართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიებისათვის. თუ მაგაში ფეხი გავიდვით, თუ მაგაში წინ წავდებით, ჩვენი ეხლა დაუძღურებული ღონე ამოხეთქს მაგარ ფესვებს“.

როცა ეროვნული სკოლის წარმატებაზე ვსაუბრობთ, როცა პედაგოგიკაში იაკობ გოგებაშვილის ღვაწლზე ვსაუბრობთ, **უპირველესად მისი „დედაენა“ უნდა ვახსენოთ.** გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სინამდვილეში **„დედაენის“ მსგავსი სახელმძღვანელო არ შექმნილა.** 1876 წლიდან მოყოლებული „დედაენამ“ გაუძლო ყველანაირ კონკურენციას; დრომ მას დიდება ვერ წაართვა, პირიქით, მისი ფასი დროთა განმავლობაში იზრდება!..

„დედაენა“ საგანმანათლებლო ასპარეზზე რომ გამოჩნდა, მას ათიოდე საანბანე სახელმძღვანელო დახვდა; აი, ისინიც:

თეოფანე პროკოპოვიჩი — **„პირველი სასწავლო ყრმათა“** (რუსულიდან თარგმნა გაბრიელ ჩხეიძემ; ჩაასწორა არქიმანდრიტმა გერმანემ. 1739 წ.);

გაიოზ რექტორი — **„ქართული ანბანი“** (1797 წ.);

ტარასი მღვდელ-მონაზონი — **„ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა ხუცურისა და მხედრულისა“** (1825 წ.);

მ. მაქსიმოვიჩი — „ყრმათა მეგობარი“ (რუსულიდან თარგმნა ი. კერესელიძემ. 1852 წ.);

სერგეი მდივანოვი — „ანბანი ქართული შედგენილი და ახლადგამოცემული სერგეი მდივანოვისაგან“ (1863 წ.);

დ. ფურცელაძე — „ქართული ანბანი და წიგნი საკითხავად მდაბიო ხალხთათვის“ (1863 წ.);

პეტრე უმიკაშვილი — „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“ (1865 წ.);

რაფაელ ისარლიშვილი — „პირველი წიგნი წერა-კითხვის სასწავლებლად“ (1875 წ.);

ლუკა ჩომახიძე — „ქართული ანბანი“ (1875 წ.);

ანთიმოზ ჯუღელი — „ყმაწვილის სარკე, ანუ წერა-კითხვის სასწავლო წიგნი“ (1975 წ.).

ხოლო მოგვიანებით გამოჩნდა:

ალ. ნათაძე — „ბავშვების მოკეთე, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სკოლებში სახმარებლად (1897 წ.);

იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ“ იოლად შეძლო ასპარეზიდან კონკურენტი სახელმძღვანელოების განდევნა. **1876 წლიდან „დედაენა“ იქცა ერთადერთ და შეუცვლელ საანბანე სახელმძღვანელოდ ეროვნულ სკოლაში.**

„დედაენის“ როლისა და მნიშვნელობის გასააზრებლად ისიც შეიძლება გავიხსენოთ, რომ იგი იბეჭდებოდა ყოველ წელს, ზოგჯერ წელიწადში — ორჯერ და წლიურად 30 000 ცალიც კი გავრცელებულა. ეს გასაოცარი რიცხვია დღევანდელი თვალსაზრისითაც კი.

რა სძენდა ძალას „დედაენას“? უპირველესად ეს იყო პირველი გაკვეთილი — **ია, აი ია.** დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ეს არის ქართულ სინამდვილეში ყველა დროისათვის **ყველაზე დიდი მიგნება, ეპოქალური აღმოჩენა;** ღვთისგან ბოძებული აზრი ავტორისა. **ია** არის ყველაზე მარჯვე გასაღები, იოლი გზა იმ ურთულეს სამყაროში შესასვლელად, რომელსაც წიგნიერების სამყარო ჰქვია (და ამას არა მხოლოდ ჩვენ ვაღიარებთ)... ეს ერთი მხარეა „დედაენის“ სიკეთისა.

„დედაენა“ არის ქართული სახელმძღვანელო: იგი ქართულ ეროვნულ შეგნებას აღვიძებს და ამკვიდრებს მოზარდში; „დედაენა“ არის

ზნეობრივი სახელმძღვანელო — მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი ზნეობრივი პიროვნების აღზრდაა.

თავისი პრინციპებით, თავისი არსით „დედაენა“ ქართული ენის მარადიული სახელმძღვანელოა, რა თქმა უნდა, როგორც თავად იაკობი იტყობდა, თუ მას დროდადრო გაუკეთესება არ მოაკლდება: პრინციპებია მთავარი და არსი.

სწორედ ამის გამო იყო, რომ 1960 წელს ვენესუელაში, ქალაქ კარაკასში, გამართულ საანბანე სახელმძღვანელოთა გამოფენაზე იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ პრინციპებით შედგენილმა სახელმძღვანელომ გაიმარჯვა.

ქართული პედაგოგიკის ისტორიაში **ფასდაუდებელია „ბუნების კარის“ როლი**. ამ უნიკალური ენციკლოპედიური წიგნის ტოლფასი სახელმძღვანელო არა თუ იმჟამად, დღესაც არა გვაქვს (ესეც ვთქვათ: „ბუნების კარს“ 28 წლის ყმაწვილი ქმნის!)... გავიხსენოთ: იაკობ გოგებაშვილი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე „დედაენითა“ და „ბუნების კარით“ მოზარდ თაობას იმდენ ცოდნას აძლევდა საქართველოს შესახებ (ენისა, ლიტერატურისა, ფოლკლორისა, ისტორიისა, ეთნოგრაფიისა, გეოგრაფიისა), რასაც, სამწუხაროდ, დღევანდელი საშუალო სკოლაც ვერ აძლევს მოსწავლეს. ოთხკლასიან სასწავლებლებში I-II კლასებში „დედაენა“ ისწავლებოდა, III-IV კლასებში — „ბუნების კარი“.

გავითვალისწინოთ ისიც, რომ იაკობმა „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ გვერდით შექმნა „Русское право“ — რუსული ენის სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის. ეს არ იყო რუსეთში შექმნილი საანბანე სახელმძღვანელოს გადმოღება ქართული სკოლებისათვის; თემატურად, პრინციპებით ეს სახელმძღვანელო ქართული ენის სახელმძღვანელოების საფუძველზე შეიქმნა, საგანგებოდ ქართველი ბავშვისათვის და ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ყოველთვის... იაკობის მთავარი დევიზი იყო: „**საჭიროა საქართველოს ეროვნულ ეტლში შევებათ ძირში ქართული ენა და კევრად მივუბათ რუსული ენა და სხვა ენები**“. და იაკობი მთელი თავისი შესაძლებლობით იბრძოდა ამ აზრის ხორცშესხმისათვის.

დიადი მიზნის მისაღწევად მხოლოდ სახელმძღვანელოების შექმნა არ იყო საკმარისი.

იაკობ გოგებაშვილი არის ავტორი იდეისა — დაარსებულიყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება; იგი არის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ამ იდეისა. საზოგადოება დაარსდა 1879 წელს (თავმჯდომარე დიმიტრი ყიფიანი, მოადგილე — ილია ჭავჭავაძე, იაკობი გამგეობის წევრი იყო სიცოცხლის ბოლომდე). საზოგადოების მიზანი იაკობს ასე ესახებოდა: „ამისთანა მაღალმნიშვნელობიანი საზოგადოება ჩვენში ჯერედ არ დაბადებულა. მას დანიშნულებად აქვს არა რაიმე დაბალი საგანი, არამედ იმისთანა უძვირფასესი საუნჯე ადამიანისათვის, როგორც არის **ერის განათლება**. იგი ემსახურება არა ერთს რომელსამე წოდებას ქვეყნისასა, არამედ ვალად იღებს **ზრუნვას მთელს ერზედ**.. იგი ემსახურება საერთოდ მთელს ქართველობასა. მისი მოქმედება არ განისაზღვრება ჩვენი ქვეყნის ერთი რომელიმე კუნჭულით, — **მის ასპარეზს, სარბიელს შეადგენს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საქართველო — კახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა, სამეგრელო, გურია, სამურზაყანო, ოსმალეთის საქართველო, ერთი სიტყვით, თითქმის მთელი სამეფო თამარისა**“. ფაქტობრივ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაქსაქსული სასკოლო ქსელი ერთიან საგანმანათლებლო სისტემად აქცია — ერთიანი ეროვნული სასკოლო პროგრამითა და სახელმძღვანელოებით. და ეს არის იაკობ გოგებაშვილის იდეის გამარჯვება, მისი ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება.

4. სარწმუნოება

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაპყროთ იაკობის შეხედულებას ქართული ეკლესიის თაობაზე. თავის ნაშრომში „ქართული მიმართულება“ იაკობი ვრცლად მსჯელობს ქართული ეკლესიის დანიშნულებაზე, მის როლზე და იმ პრობლემებზე, რომელიც დგას ქართული ეკლესიის წინაშე. იმ დროისათვის ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს:

„ერთ-ერთი მთავარი ბურჯი ერის წარმატებისა არის ეკლესია. წინად ჩვენი ეკლესია სასიკადალოდ აღასრულებდა თავის მაღალს დანიშნულებასა. მან ჩვენს ერში დანერგა ძლიერი სარწმუნოებრივი გრძნობა, მოჰვინა ველნი და მთანი მდიდარი ტაძრებით და მონასტრებითა, შეჰქმნა სასულიერო ლიტერატურა, შეაერთა ქართველებში ერთად მაცხოვრის და მამულის მხურვალე სიყვარული და თვით კავკასი-

ონის მთებიც-კი გახდა ასპარეზად სახარების ძლევა-მოსილი ქადაგებისა. თუ საქართველომ მთელის თხუთმეტის საუკუნის განმავლობაში გაუძლო აუარებელს და მძლავრს მტრებს და კავკასიაში დიდი ადგილი დააქერინა მართლ-მადიდებელს ქრისტიანობას, ამისათვის უაღრესად უნდა ვმადლობდეთ ქართულს ეკლესიასა. ახლა რაღასა ვხედავთ? მონასტრები და ეკლესიები დაცალიერდნენ და დღითი-დღე უფრო ცალიერდებიან, სახარების ქადაგება იშვიათად ისმის და ისიც ისეთის ენით, ისე უგულოდ, რომ ხალხზე არავითარი გავლენა არა აქვს, სარწმუნოებრივი გრძნობა ჩამქრალია, ზნეობა დაეცა, წარმართულნი, პირუტყული მიდრეკილებანი უფრო და უფრო იღვიძებენ და ძლიერდებიან.“

იაკობი შეგავიხსენებ: „კარგად მოგვხსენებათ, რომ ეკლესია და სკოლა არის სათავე ხალხის ზნეობისა, ეთიკისა, ხოლო თვითონ ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა. ზნედაცემული ხალხი მაშინაც-კი წააგებს ბრძოლას არსებისათვის, როდესაც იგი ცოდნას არ არის მოკლებული. იმპერატორების დროის რომი ბევრით სჯობდა ცოდნით ძველს რომსა; მაგრამ პირველი მუდამ იმარჯვებდა უძლიერესს მტრებზე იმის გამო, რომ სპეტაკი ზნით ბრწყინავდა; მეორე-კი უვიცმა, ველურმა ხალხებმა ფეხქვეშ ჩაიგდეს, გათელეს და შემუსრეს, იმიტომ რომ ზნეობრივი გახრწნილობით იყო შეპყრობილი. ჩვენს ერსაც ამისთანავე ბოლო მოეღოს, თუ სკოლა და ეკლესია არ ჩავარდნენ თავისს კალაპოტში, არ გახდნენ სავსებით ღირსნი თავისი მალაღის დანიშნულებისა.“

იაკობის აზრით: „ეკლესიის სულსა და გულს შეადგენს, როგორც მოგვხსენებათ, სამღვდელეობა. ჩვენში იგი უკიდურესად დაქვეითებულია და ბევრად დაბლა სდგას თვით რუსეთის სამღვდელეობაზედაც. როგორ და რა გზით უნდა ამალოდეს იგი? ამისათვის უპირველესად ყოვლისა საჭიროა, რომ მან სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში მიიღოს უფრო შესაბამი მომზადება და იმდენადვე შეითვისოს ქართული ენა, ქართული ლიტერატურა, სასულიერო თუ საერო, ქართული ისტორია, რამდენადაც რუსეთის სასულიერო ახალგაზრდობა ითვისებს რუსულს ენას, ლიტერატურას და ისტორიას. ამის გარდა, მიუცილებლად საჭიროა, რომ საღვთის-მეტყველო საგნები მაინც ისწავლებოდეს როგორც დაბალს, ისე მაღალს კლასებში ქართულს ენაზე,

რათა მომავალმა მწყემსებმა ღრმად შეითვისონ როგორც შინაარსი, ისე ენა ღვთის-მეტყველებისა, ის ენა, რომელზედაც ივინი მოვალენი არიან სამწყსოს უქადაგონ მალალი სწავლა სახარებისა.“

ასევე უმნიშვნელოვანესია ღვთაების როლი რელიგიის სფეროში: „ჩვენში, ქართველებში, სარწმუნოებას მეტად ასუსტებს ის გარემოება, რომ საღმრთო სჯული ყველა სასწავლებელში ისწავლება არა ღვთა-ენაზე, არამედ რუსულზედა. უმაგალითოა ასეთი დაბრკელება ქართველობისა; რუსეთის იმპერიაში ასობით სცხოვრობენ სხვა-და-სხვა ერები, სხვა-და-სხვა სარწმუნოების მლიარებელნი; და რომელს ენაზე სწავლობენ ესენი საღმრთო სჯულსა? მხოლოდ ღვთა-ენაზე, ყველანი ღვთა-ენაზე; რუსული ენა ამათ შორის არავითარ მონაწილეობას არ იღებს საღმრთო სჯულის გაკვეთილებში. მხოლოდ ქართველობა შეადგენს სავალალო გამოკლებასა. ამ დაბრკელებას სამგვარი ვნება მოაქვს: სარწმუნოებრივი გრძნობა ქართველს მოსწავლეს არამც თუ არ უვითარდება, არამედ უსუსტდება და უკნება. ეს იმიტომ, რომ **სარწმუნოება გულის სფერაა, ხოლო გულზე მოქმედებს მარტო ღვთა-ენა, ყოველი უცხო ენა აქ, როგორც ენა მენხიერებისა, უძლურია. როგორც პოეტობა არ შეიძლება უცხო ენაზე, ისე სარწმუნოებრივი გრძნობა.** მეორედ, როცა სხვა ერების შვილები თავისს ღვთა-ენას სწავლობენ საღმრთო სჯულის გაკვეთილებზედაც, ქართველი ბავშვები სრულიად მოკლებულნი არიან ამ სიკეთესა. მესამედ, სხვა ერების შვილებს მოძღვრებად ჰყავთ ღვიძლი შვილები თავისი ერისა, ნამდვილნი მამანი, ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა-კი უცხო მამინაცვლების ხელშია და მოკლებულია მშობლიურს გავლენასა. მიუტილებლად საქირია, რომ ქართველობამ ეს დაბრკელება და უკიდურესი უსამართლობა თავიდან აიცილოს და მთავრობასთან დაჟინებულად იშუამდგომლოს, რომ საღმრთო სჯულის სწავლება როგორც დაბალს სასწავლებლებში, ისე საშუალოში ქართველის ყმაწვილებისათვის აწარმოვონ მათს ღვთა-ენაზე.“

და უღრესად რევოლუციური განცხადება: „მაგრამ ყველა ეს ცვლილება და სხვებიც მხოლოდ მაშინ მოიტანს სანატრელს ნაყოფსა, როდესაც საქმე სათავეშივე გასწორდება და ქართველი ეკლესიის მეთაურად გახდება ღვიძლი შვილი თავისი სამწყსოსი, რომელიც მოუღებს

ბოლოს გადაგვარების პოლიტიკას და ჩვენს ეკლესიას ჩააყენებს სახარების კალაპოტში“.

ეს არის ფაქტობრივ ტრაქტატი, სამოქმედო პროგრამა მართლმადიდებელი საქართველოსათვის. იმეამად გმირობის ტოლფასი იყო ამის თქმა: „ყველა ეს ცვლილება და სხვებიც მხოლოდ მაშინ მოიტანს სანატრელს ნაყოფსა, როდესაც საქმე სათავეშივე გასწორდება და ქართველი ეკლესიის მეთაურად გახდება ღვიძლი შვილი თავისი სამწესოსი, რომელიც მოუღებს ბოლოს გადაგვარების პოლიტიკას და ჩვენს ეკლესიას ჩააყენებს სახარების კალაპოტში“.

გმირობის ტოლფასი იყო იაკობის მიერ იმ საკითხის დაყენებაც (და არა მარტო დაყენება, დაქინებული მოთხოვნა!), რომ საქართველოს ყველა სასწავლებელში საღმრთო სჯული დედაენაზე უნდა ისწავლებოდესო.

საინტერესო გახსენება: 1886 წელს დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში გადასახლეს. მიზეზი — მან მოსთხოვა ეგზარქოს პავლეს საქართველოს დატოვება (რადგან პავლემ დაწყველა ქართველი ერი)... და იაკობი ითხოვს, საქართველოს ეკლესიას ნაცვლად რუსი ეგზარქოსისა ქართველი მეთაურობდეს!.. ეგ საკითხია. დასმული სწორედ იმავე 1888 წელს დაწერილ სტატიამაც „თბილისის სასულიერო სემინარიის მდგომარეობის საკითხისათვის“; ამ თემას იაკობი პირველად 1971 წელს შეეხო („სასულიერო სასწავლებელთა გარდაქმნის პროექტი“); აქედან მოყოლებული ამ პრობლემას იაკობი არაერთგზის დაბრუნებია იმჟამინდელ რუსულ (!) თუ ქართულ პრესაში და საკმაოდ მკაცრადაც (მაგ.: „ეროვნული შავი ჭირი იმიერ და ამიერ საქართველოში“; „უცნაური შენიშვნა“; „კრიზისი საქართველოს საეკლესიო-სამრევლო სკოლებში“ და სხვა). ეს იყო ხანგრძლივი და თავდადებული ბრძოლა ქართული ეკლესიისა და სასულიერო სასწავლებელთა გაქართულებისათვის. და ეს მიგვაჩნია გმირობად და დიდ დამსახურებად იაკობისა...

განსაკუთრებულია იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი **სამრევლო სკოლებში ქრისტიანული სწავლების დამკვიდრებაში**: მან „დედაენას“ დაურთო „სასულიერო განყოფილება“. ეს იმდენადაც არის მნიშვნელოვანი, რომ „დედაენა“ სრულიად საქართველოს ყველა კუთხის ქართველთათვის იყო ხელმისაწვდომი.

იაკობ გოგებაშვილი სინანულით წერდა: „**ღვთის მეტყველება დოგმატური თუ ზნეობრივი ხომ სანატრელადაც ძნელი გახდა ჩვენს ენაზედა.** სასულიერო ყმაწვილობა, სემინარიებში მოქცეული, იძულებულია ყველა საგანი ისწავლოს უცხო ენაზედ და მოკლებულია შეძლებას თავისუფალს დროს მაინც იკითხოს ქართულს ენაზედ იგივე საგნები“.

იაკობმა შეადგინა „საღმრთო ისტორია“. სამწუხაროდ, ეს წიგნი იაკობის სიცოცხლეში არ გამოცემულა; თუმცა არგამოცემის მიზეზიც ნიშანდობლივია იაკობის პიროვნების დასახასიათებლად; იაკობი წერს: „ერთ დროს ჩვენ ხელი მივყავით საღმრთო ისტორიის შედგენას, რადგანაც კარგად შემუშავებული საღმრთო მოთხრობებს აღმზრდელი გავკლენა აქვს ყმაწვილებზე. ძველი აღთქმა უკვე გათავებული გვქონდა და გამომცემელთანაც პირობა შეკრული, როცა ბ-ნი იოსელიანისგან შევიტყვე, რომ მას უკვე მზად აქვს დასაბეჭდად საღმრთო ისტორია. ამის შემდეგ ჩვენი შრომის გათავებაზედ არამც თუ ხელი ავიღეთ, არამედ ბ-ნი იოსელიანი მივიყვანეთ გამომცემელთან და ამ უკანასკნელს ვურჩიეთ, დაებეჭდა მისი წიგნი და იმედი აღარა ჰქონოდა ჩვენგან ისტორიის გათავებისა“.

ი. გოგებაშვილის „საღმრთო ისტორია“ XX საუკუნის ბოლოს გამოიცა და დღესაც ასრულებს იმ საპატიო მისიას, რაც იაკობმა დაუსახა მას.

აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ **იაკობ გოგებაშვილი არის ავტორი „სასულიერო სწავლანისა“** (სწავლება წმინდა სამებაზე, ანგელოზებზე და უფლის 10 მცნებაზე).

დიდად მნიშვნელოვანია **ი. გოგებაშვილის ნაშრომები „ქართველთა მოქცევა ქრისტიანობაზე“ და „წმინდა ნინო — ჩვენი განმანათლებელი“.**

იაკობ გოგებაშვილი არა მხოლოდ სახელმძღვანელოებით, ნაშრომებით ემსახურებოდა ქართული ეკლესიის აღდგენა-განმტკიცებას, არამედ იგი იყო პრაქტიკოსი მასწავლებელი სასულიერო სასწავლებლისა (ერთ პერიოდში ზედამხედველის მოვალეობის შემსრულებელიც); მაგრამ, სამწუხაროდ, აიძულეს, თავი დაენებებინა პედაგოგიური საქმიანობისათვის (1873 წ.)...

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება უდიდესი პიროვნების — ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძისადმი. იაკობი იყო სულიერი შვილი გაბრიელ ეპისკოპოსისა. მათი ურთიერთობა სემინარიიდან დაიწყო (გაბრიელი მასწავლებელი იყო იაკობისა) და გაგრძელდა ბოლომდე. როდესაც იაკობის კიევიში სასწავლებლად წასვლის საკითხი განიხილებოდა, იაკობი საგანგებოდ ეწვია უკვე ქუთაისში მოღვაწე ეპისკოპოს გაბრიელს და მისგან აიღო კურთხევა; იაკობი მუდმივად იღებდა მისგან რჩევებს. ცნობილი ფაქტია, როცა იაკობს ღვენიდა ეგზარქოსი ევსევი, ეპისკოპოსი გაბრიელი მკაცრად დაუპირისპირდა ეგზარქოსს (უფრო ვრცლად ამ თემაზე იხილეთ აქვე — მომდევნო ნაწილში). ამ ფაქტიდანაც და თანამედროვეთა მოგონებებიდანაც ჩანს, რომ ეპისკოპოსი გაბრიელი დიდად აფასებდა იაკობსა და მის საქმიანობას. მოვიყვანთ ფრაგმენტს ილია ბახტაძის მოგონებიდან; საიდანაც ჩანს, რომ იმერეთის ეპისკოპოსი იაკობს „დიდ პედაგოგად“ მოიხსენიებს და მაღალ შეფასებას აძლევს მის სახელმძღვანელოებს. 1893 წელს მღვდელმთავარი თურმე ხონის სასწავლებელს ეწვია. დაინტერესდა, რას სწავლობდნენ და რომელი სახელმძღვანელოთი. უთქვამს: „როგორც ქართული, ისე რუსული ენის შესასწავლად ჩვენ, ქართველებს, გვაქვს დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური თვალსაზრისით ყოველმხრივ გამართლებული სახელმძღვანელოები: „დედაენა“, „ბუნების კარი“ და „რუსკოე სლოვო“ და ეს სახელმძღვანელოები ყველა ჩვენს სკოლებში ისე უნდა გამოვიყენოთ, როგორც საჭიროა“. და ეს შეფასება შეიძლება ზოგად შეფასებადაც მივიღოთ იაკობის ღვაწლისა...

5. და სხვა...

* * *

იაკობ გოგებაშვილი უბირველესი თანამებრძოლია ილია ჭავჭავაძისა; მისი იდეების გამტარებელი და ხორცშემსხმელი. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ: 1861 წელს ილია ჭავჭავაძე აქვეყნებს წერილს, რომელშიც არის ცნობილი შეგონება, შემდგომში ეროვნული მოძრაობის ღვეზად რომ იქცა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამაპაპათაგან — მამული, ენა და სარწმუნოება; თუ ამათაც არ უპატრონეთ,

რალა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას“. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ამ დღევიზით მოქმედებდა ილია ჭავჭავაძე. და ეს იყო იაკობის სამოქმედო პროგრამაც. უფრო მეტიც, იაკობ გოგებაშვილის ნაშრომი „ქართული მიმართულება“ ფაქტობრივ არის თეორიული დასაბუთება ილიას ცნობილი შეგონებისა. ოღონდ ერთია, როგორც ითქვა, ილიასეულ სამებას იაკობი მეოთხეს დაუმატებს — ეროვნულ სკოლას და ქართველობის საფუძვლად ოთხ მთავარ ბურჯს გამოაცხადებს — **მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოება**. ხაზგასმით უნდა ითქვას, იაკობის ნაშრომი „ქართული მიმართულება“ არის ფაქტობრივ ეროვნული სამოქმედო პროგრამა. ვფიქრობთ, ეს მარადიული შეგონებაა ყველა დროისა და ყოველგვარი საქმიანობის ქართველთათვის. იაკობისეული შეგონებანი **მარადიული სამოქმედო გეგმა უნდა იყოს ქართველთა**.

გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იაკობი იყო ილია ჭავჭავაძის რანგის მოღვაწე იმ სფეროში, რაც იაკობის ძირითადი სამოქმედო სფეროა. და ამ ორი უდიდესი ქართველის საერთო ძალისხმევას არაერთი სასიკეთო შედეგი მოჰყოლია. ცნობილი ფაქტია, ერთობლივი ძალით როგორ დაახვეწინეს უკან კავკასიის ოლქის მზრუნველს კირილე იანოვსკის. გავიხსენოთ, ეს ის იანოვსკია, რომლის შესახებაც ივანე ჯავახიშვილი წერდა: „იანოვსკიზე დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენასა და ქართველობას“. ასეთი ფაქტი: გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა იანოვსკის ბოროტი განზრახვით სავსე წერილი საქართველოში სახალხო სკოლების მოწყობის თაობაზე. იაკობი წერს: „პასუხის დაწერა რედაქციამ მე დამავალა, მაგრამ მე მივუგე: საჭიროა უფრო გამოიჩინომა და გავლენიანმა ქართველმა გასცეს პასუხი, მაგალითად ილია ჭავჭავაძემ. ყველა საჭირო მასალას ილიას მე თვითონ მივუტან; სამაგიეროდ, როცა ამ დღეებში იანოვსკის პლანი გამოვა, მის გარჩევას მე ვკისრულობ-მეთქი. და ასეც მოხდა. ასეთი განაწილება შრომისა ილიასა და ჩემს შორის პირველი არ იყო. როცა გორის საოსტატო სემინარიიდან დასაბეჭდად მოუვიდა 1876 წელში მზრუნველსა ქართულ-რუსული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, რუსული ასოებით დაწერილი, ნაცვლად ქართულისა, ილიამ და მე გადავწყვიტეთ მასხრად აგვეგდო — იმას „ივერიაში“ და მე „დროებაში“, და კიდევაც

შევასრულეთ ორივემ და მახინჯი ჩანასახი დედის მუცელში გაწყალდა“: მსგავსი ფაქტები სხვაც იყო...

და იმარჯვებდა ქართული საქმე სწორედ იმის წყალობით, რომ ორი ასეთი ქართველი ჰყავდა მეურვედ და მათ შორის „შრომის განაწილება“ ასე ხდებოდა...

* * *

იაკობის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი მთავარი თემა არის დედაენისა და უცხო ენის სწავლების ურთიერთმიმართების საკითხი. ძირითადი თეზისი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: „ბავშვმა მას უკან უნდა იწყოს უცხო ენის შესწავლა, როცა უკვე კარგად აქვს შეთვისებული თავისი დედა-ენა“. იაკობი მოგვიწოდებს: „საჭიროა საქართველოს ეროვნულ ეტლში შევაბათ ძირში ქართული ენა და კვერად მივუბათ რუსული ენა და სხვა ენები“. და ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ „მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა. ყველა უცხო ენანი კი არინ ენანი მებსიერებისა“; იაკობი განმარტავს: „დედა-ენის გაცვლა უცხო ენაზედ ადაბლებს კაცის გონებასა და უსუსტებს ზნეობრივ ძალასა... ამ შემთხვევაში იბადება წინააღმდეგობა კაცის ეროვნული აგებულებისა და მის მეტყველების შუა და ამ წინააღმდეგობის წყალობით ეს პირი რამდენიმე ხარისხით ძირს ჩამოდის სულიერად. თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი; თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისაგან დაყოლილი ჰქონდა უბადლო ნიჭი, მტკნარ სიტუტუცეზე ჩამოხტება“... როგორც ვთქვით, ეს ერთ-ერთი ძირითადი თემაა იაკობისათვის; ეს არ არის „XIX საუკუნის აზროვნება“, ეს სადღეისო პრობლემაც არის...

როგორ უყურებენ ამ საკითხს დღეს? რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან გამოჩენილი ფსიქოლოგის, აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის წერილიდან: „პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშობლიური ენის სიღრმისეულ შესწავლას. უცხო ენის სწავლების დაწყება კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვმა კარგად იცის წერა-კითხვა, თვლა-ანგარიში და აზროვნება მშობლიურ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, უცხო ენის შესწავლა მავნე შემოქმედებას მოახდენს მოზარდის ფსიქიკაზე და

შეაფერხებს მის გონებრივ განვითარებას“. დღეს, როცა დადგა საკითხი ქართულ სკოლაში უცხო ენის პირველი კლასიდანვე სწავლებისა (დღეაენის პარალელურად!), ფსიქოლოგი გვაფრთხილებს: „**თუ ინგლისური ენა მშობლიური ენის კონკურენტად აქციეს, ეს ძალიან ცუდად იმოქმედებს ბავშვების ფსიქიკაზე და მათი აზროვნების მთლიანობაზე**“... ასე რომ, ის, რასაც იაკობი ქადაგებდა XIX საუკუნეში, უტყუარი ქვეშაობიტებაა დღესაც, მეტიც — სასიცოცხლო აუცილებლობა ერისათვის...

* * *

იაკობ გოგებაშვილი იყო ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი ქართული ხალხური სიმღერების შეკრებისა და ნოტებზე გადაღებისა. მისი მთავარი მიზანი იყო, „დღეაენაში“ მოექცია ხალხური სიმღერები ნოტებზედ გადაღებული. საფუძველი ამისა გახლდათ ის, რომ იაკობი თვლიდა: „**სიმღერა სამართლიანად ითვლება ჩვენს დროში სკოლის სულად და გულად. იგი უვითარებს ბავშვს სმენას და აჩვევს ჰარმონიას, უსუსტებს და უსპობს ზეპრობასა და ზრდის მის გულში სინაზესა და სიფაქიზესა. ერთი სიტყვით, აკეთილშობილებს მის ბუნებასა... ბავშვის გონება, დაღალული ვარჯიშობისაგან, ერთიორად უფრო ჩქარა მოდის ღონეზედ სიმღერის ყაპსა**“;

(საინტერესო ფაქტი: ტვინის ფუნქციების შესწავლის შედეგად თანამედროვე მეცნიერება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მუსიკის გაკვეთილები, როგორც ბავშვებში, ისე მოზრდილებში ტვინის უკეთ ფუნქციონირებას უწყობს ხელს. იაკობის ზემოწარმოდგენილი აზრი XIX საუკუნეში გამოითქვა...)

და იაკობი მიხეილ მაჭავარიანსა და ელენე ყიფიანს დაიხმარს, რომელთაც მუსიკალური განათლებაც ჰქონდათ; შედეგად „დღეაენას“ გაუჩნდა მუსიკალური განყოფილება... საერთოდ, საგანგებო შესწავლის თემა იაკობის შეხედულებები **მუსიკაზე** (რა მნიშვნელობა აქვს მუსიკას სასწავლო პროცესში და ზოგადად ბავშვის განვითარებისათვის)...

* * *

ასე ითქმება ალბათ, თუ ვინმე შეისწავლის იაკობის შეხედულებებს **მხატვრობაზე** (რა მნიშვნელობა აქვს ნახატს საანბანო წიგნში და საერთოდ სასწავლო პროცესში); საამისო მასალა მრავლადაა იაკობის

შემოქმედებაში. სურათს, ნახატს იაკობი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, მით უმეტეს, საანბანე სახელმძღვანელოში. იაკობმა იცოდა, რომ სახელმძღვანელოს სასწავლო-მეთოდურ თუ შინაარსობრივ მხარესთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვიზუალურ ეფექტსაც; რომ „სურათი თვალსაჩინოდ ჰხდის შინაარსს, წიგნს აძლევს სიცოცხლესა და ხალისს“; — ეს ზოგადად. კერძოდ კი — „სურათის შემწეობით ბავშვი ნახევარს ცოდნას სრულს ცოდნად გადააქცევს, გაურკვეველს წარმოდგენას — გარკვეულად. არა-სრულს სახეს საგნისას — სრულს სახედ...“ ბავშვს სახელმძღვანელოში „მართალი სურათი“ უნდა დაუხატო... ზომა სურათისა ისეთი უნდა იყოს, ბავშვისათვის საკითხავი მანძილიდან სწორი აღქმა მოხდეს და სხვა... და სხვა...

* * *

2008 წელს გაიმართა იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების სამეცნიერო კონფერენცია — „იაკობის „დედაენა“ და თანამედროვე ქართული სკოლა“. გვანტერესებდა ოფთალმოლოგის თვალით დანახული „დედაენა“. გაოცებული დარჩა ცნობილი ოფთალმოლოგი, პროფესორი ლიუზა ცომაია, როცა იაკობ გოგებაშვილის შეხედულებებს გაეცნო. თუნდაც ასეთს: „რამდენადაც წვრილი შრიფტია მკვებელი თვალისათვის, იმდენად მაზარალბელია ნორმას გადასული დიდი შრიფტი, რადგან თვალს აკლდება ვარჯიშობა მომცრო სავნების გარჩევაში, ეს ვარჯიშობა კი ფრიად საჭიროა“... და იაკობი მსჯელობს ამ თვალსაზრისით შრიფტების მონაცვლეობის აუცილებლობაზე; ინტერვალებზე ასოებს შორის, სიტყვებს შორის, სტრიქონებს შორის; სათაურსა და ქვესათაურს შორის, სათაურსა და ტექსტს შორის... ტექსტისა და ფონის კონტრასტულობაზე; ქაღალდის ხარისხის მნიშვნელობაზე და სხვა... თუმცა იაკობი არა მხოლოდ მსჯელობს, არამედ თავის სახელმძღვანელოებში შეძლებისდაგვარად აგვარებს კიდევ ამ საკითხს...

ოფთალმოლოგის დასკვნა ასეთი იყო: „ჩერ კიდევ მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართული პედაგოგიკის მამამთავარი, იაკობ გოგებაშვილი, საკუთარი დაკვირვებით მივიდა იმ დასკვნამდე, რაც სადღეისო მიღწევად ითვლება ოფთალმოლოგიაში“...

და ეს ითქვა იაკობის „ოფთალმოლოგიურ შეხედულებებზე“...

* * *

ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი, გერმანული ეკონომიკური სკოლის აღზრდილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი იგონებს: „მაშინ მე გერმანიიდან ახლად დაბრუნებული გახლდით, გერმანულად განსწავლილი, ბიუნერის მოწაფე და შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ „სახტად დავრჩი“, როდესაც იაკობის ერთ-ერთ სტატიამში ასეთი სტრიქონები წავიკითხე: *„შენიშნულია ხალხისაგან, რომ სამი მომკელი, აყოლით და ჰოოპუნით მომუშავე, იმდენს გააკეთებს, რის გაკეთებაც ზუთს ცალცალკე მუშას გაუძნელდება, რად? იმიტომ, რომ აყოლის დროს ადამიანის მოძრაობა მეორდება თითქმის თავისთავად, მხედველობას ეშველება სმენა და ორივე გრძნობანი შეერთებული ძალით ამოქმედებენ ადამიანის ასოებსა; — საერთო მუშაობა, ერთს ყაიდაზე მომართული, აქეზებს, ამხნევეს მომუშავეთა, ართობს მათ და დალლილობას გვიან ჰგვირის, ასე სასიკეთოდ მოქმედებს ტაქტი დიდებზედაც და პატარებზედაც“... და ამას მოსდევს შთამბეჭდავი კომენტარი ფ. გოგიჩაიშვილისა:*

„უნდა გამოვტყდე, მაშინ კი ვთქვი: რა ღრმა შინაარსი ყოფილა ქართულ ანდაზაში, რომელიც ამბობს „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო!“ ის აზრი, რაზედაც ჩემმა ბიუნერმა მთელი წიგნი ააგო, იაკობს აგერ აქვს სხარტად გამოთქმული-მეთქი“... და ეს ითქვა იაკობის ერთ „ეკონომიკურ შეხედულებაზე“...

* * *

როცა იაკობის ღვაწლზე ვსაუბრობთ, უნდა შევიჩერდეთ მის პიროვნულ ღირსებებზეც — როგორც მაგალითზე თავისი თანამედროვეებისა თუ შთამომავლებისათვის... **დიდაკაცობის, ღირსეულაკაცობის გაკვეთილებიც ღვაწლია იაკობისა, ღვაწლი სამარადისო...**

იაკობ გოგებაშვილი გამორჩეული იყო, როგორც პიროვნება. რამდენიმე ფრაგმენტი ცნობილი გერმანელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის არტურ ლაისტის მოგონებიდან: *„იაკობ გოგებაშვილს მტკიცე და შეურყვნელი ხასიათი ჰქონდა. ამასთან ძლიერ გულკეთილიც იყო; რაც შეეძლო, ყველას ეხმარებოდა. მისი პატიოსნება ყველამ იცოდა. ილია ხშირად აქებდა გოგებაშვილის ნიჭსა და მოღვაწეობას... გოგებაშვილი ფაქიზი და ნათელი პიროვნება იყო, ნამდვილი პედაგოგი —*

მწერალი. იგი თავის სიცოცხლეში მუდამ სწავლობდა და სხვასაც ასწავლიდა. არ მახსოვს, რომ კითხვაში ან წერაში არ ყოფილიყო გართულები... საზოგადოდ, გოგებაშვილს მშვიდი და წყნარი ცხოვრება უყვარდა. მისი ტრფიალი მხოლოდ სამშობლო და პედაგოგიკა იყო.“

* * *

იაკობი ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობდა. ფილოპე გოგიჩაიშვილი იგონებს: „*იაკობი განდევნილად ცხოვრობდა, განმარტობულად, უოჯახოდ, უცოლშვილოდ. ამის მთავარი მიზეზი იყო, რამდენადაც ვიცი, მისი ავადმყოფობა; იგი ახალგაზრდობიდანვე ქლექით იყო დაავადებული (გასათვალისწინებელია ისიც, იაკობის დედა და დები ქლექით გარდაიცვალენ — გ.გ.) და ამიტომ მან ნება არ მისცა თავის თავს ცოლშვილისათვის მოეკიდნა ხელი, დასძლია სიყვარული, რომელიც, როგორც ვამიგია, ერთ დროს უღვივოდა ერთი ჩინებული ახალგაზრდა ქართველი ქალის მიმართ“ (ფ. გოგიჩაიშვილი, 1990, გვ. 450). ოჯახის შექმნის საკითხი მისი პიროვნული ბუნების უალრესად საინტერესო სახის მაჩვენებელია. ამიტომაც ამახვილებენ ამ ფაქტზე განსაკუთრებულ ყურადღებას მისი თანამედროვენი. ალექსანდრე მიქაბერიძე წერს: „*იაკობი დიდი საფრთხილით, დიდი სერიოზულობით უდგებოდა თავის დაცოლშვილების საკითხს. ესეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა იაკობს ეძნელებოდა; იაკობი ჰფიქრობდა, რომ იგი ავადმყოფი ადამიანია, რომ მას განსაკუთრებული სენი შთამომავლობით აქვს ნაანდერძევი და ამიტომ ზნეობრივი უფლება არა აქვს ცოლ-შვილს მოეკიდოს და ამგვარად მსხვერპლად შეიწიროს საყვარელი ადამიანი და მასთან ერთად მომავალი შთამომავლობაც“*. ამასვე წერს შიო მღვიმელიც.*

* * *

იგონებენ, რომ იაკობი საოცრად მოწესრიგებული პიროვნება იყო. „*თავის დღეში იგი მკვირვოდენ უწესრიგობასაც კი არ შეიტანდა არც სმა-ჭამაში, არც გართობაში, არც სეირნობაში, არც მოსვენებაში...“* (ფ. გოგიჩაიშვილი).

* * *

საარაკო იყო მისი გულწრფელობა და ჭეშმარიტების სიყვარული. წერენ: „*ყველამ იცოდა, რომ ი. გოგებაშვილი ყოველთვის გულწრფელი*

იყო შეცდომაშიც და ქვეშარიტებაშიც და ყველა პატივსცემდა ამ გულწრფელობისა და პირდაპირობისათვის“ (ფ. გოგიჩაიშვილი).

ქვეშარიტებისათვის ბრძოლაში იგი უკომპრომისო იყო და ბოლომდე იბრძოდა. იოსებ იმედაშვილი იგონებს: „*იაკობი ისეთი იყო, მოკამათეს, როგორც იტყვიან, რკულამდე ჩაჰყვებოდა, თუ მისი აზრი საექვოდ მოეჩვენებოდა*“. იაკობის პიროვნული დახასიათებისათვის ესეც გავიხსენოთ: იგივე ი. იმედაშვილი წერს: „*როგორი იყო როგორც მებრძოლი, სამშობლო ქვეყნის უფლებათა, პედაგოგიურ შეხედულებათა და საკუთარი რწმენის დაცვის საქმეში?*

დაუნდობელი, პირდაპირი, შეუღრეკელი, ურყევი!

სამშობლოს სადარაჯოზე ისე იდგა ბასრი კალმით, როგორც ერეკლე მეფე მტრის წინააღმდეგ ხმალამოლებული“.

* * *

იაკობისთვის უცხო იყო პიროვნული ამბიციია, თავისი საქმიანობით თავმოწონება. თავმდაბლობა მისი უმთავრესი პიროვნული თვისება იყო. როგორ თქვა უარი სხვათა მიერ განზრახულ საკუთარ საიუბილეო საღამოზე, ზემოთ ვთქვით...

მსგავსი შემთხვევები სხვაც იყო...

* * *

ცალკე თემაა იაკობ გოგებაშვილი როგორც ქველმოქმედი. იგონებენ: „*იაკობ გოგებაშვილი დიდი გაქანების ქველმოქმედი ადამიანი იყო და ესეთი ქველმოქმედებისათვის ნივთიერი შეძლებაც სათანადოდ ხელს უწყობდა, მაგრამ იაკობი ამ ქველმოქმედებას ისე ფრთხილად, ისე მორიდებულად, ისე გაუხმაურებლად ეწეოდა, რომ ახლობელმა მეგობრებმაც კი არ იცოდნენ, იაკობი ვის და როგორის სახით აწვდიდა ამა თუ იმ ნივთიერ დახმარებას“ (ალ. მიქაბერიძე).*

ელენე გოგიჩაიშვილის (ნიკო ცხვედაძის ასულის) ცნობით „*იაკობის ბინაზე ხშირად იკრიბებოდნენ თბილისის სასულიერო სემინარიის უფროსი კლასის მოწაფეები, თბილისის ქართული გიმნაზიის მოსწავლეები, რომელთაც იაკობი ფულით, წიგნებით, ტანსაცმლის ყიდვით დიდ დახმარებას უწევდა...*

თუ კი იაკობი შენიშნავდა, რომ ყმაწვილი ნიჭიერია და ერთგვარ იმედებს იძლევა მომავლისათვის, დახმარებას არ აკლებდა ესეთ ყმაწვილს და ყოველთვის ხელს უშართავდა“ (ზ. ბოცვაძე).

იმასაც იგონებენ, როცა იაკობის ფინანსური შესაძლებლობები არ იყო საკმარისი დახმარებისათვის (მაგალითად, საზღვარგარეთ სწავლის დასაფინანსებლად), „მოსვენებას არ აძლევდა ნიკო ცხვედაძეს, დავით სარაჯიშვილს სასტიკენდიო თანხიდან დამატებითი სტიპენდია დაენიშნათ საზღვარგარეთ მყოფი სტუდენტისათვის“ (ე. გოგიჩაიშვილი).

თავადაც ამ პრინციპით მოქმედებდა და სხვასაც ამ მოსაზრებით „აიძულებდა“ საქველმოქმედო თანხები გაეღოთ, რადგან სჯეროდა, ნიჭიერ კაცზე „გაწეული ხარჯები ქართველ ხალხს გაორკეცებით დაუბრუნდება“. ამბობენ, ხშირად იტყოდნო: „ნეტარ არიან მოწყალენი“.

* * *

იაკობ გოგებაშვილისათვის უცხო იყო ანგარება, პირადი განდიდება-გამდიდრებაზე ფიქრი, „სახსრის ტრფიალი“ და „კუჭის პრინციპი“ (იაკობის სიტყვებია).

მას შეეძლო „მდიდარი ქართველი ყოფილიყო“, როგორც მისი თანამედროვენი წერდნენ (გავიხსენოთ: იყო ღრო, როცა 30 000 ცალი მარტო „დედაენა“ იყიდებოდა წელიწადში). მისი პრინციპი იყო: წიგნმა იმდენი შემოსავალი უნდა მოიტანოს, ხარჯები აანაზღაუროს და სარსებო საშუალება მისცეს ავტორს. ცხადია, საქველმოქმედო ფონდსაც ითვისებდა. დასტური ამ აზრისა თუნდაც ის არის, რომ „ქართული წერის დედანი“, რომელიც ცალკე წიგნად იბეჭდებოდა, „დედაენის“ საანბანე ნაწილში შეიტანა და „დედაენის“ ფასი არ გაზარდა: ღარიბ ქართველობას უჭირს წიგნის შეძენა...

იაკობს მიაჩნდა, რომ „დამღუპველია განათლებაში ნივთიერ სახსრის ძიება“.

* * *

ჩვენ ზოგადად გადავავლეთ თვალი იაკობის ღვაწლს. მეტი შეიძლება თქმულიყო... ბევრი თქმულა და ითქმება კიდევაც. თუმცა მაინც ვფიქრობთ, რომ ქეშმარიტებაა ვასილ ბარნოვის აზრი: **იაკობ გოგებაშვილი ჩვენი სინამდვილისათვის გაცილებით დიდი ადამიანი იყო, ვიდრე ეს წარმოდგენილი გვაქვს...**

წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა²

იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების გზა — ეს იყო თავდადებული შრომისა და შეუპოვარი ბრძოლის გზა, ეს იყო ერისა და ქვეყნისათვის თავშეწირული მოღვაწის გზა, **ნამდვილი მოწამის გზა.**

დაიბადა 1840 წლის 15 (27) ოქტომბერს.

შუაგულ ქართლში, მშობლიურ ვარიანში გატარებულ ლამაზ და უზრუნველ ბავშვობას, ყრმობის შინაარსიან და საინტერესო დღეებს შეგნებული ცხოვრების რთული და ძნელი წლები მოჰყვა...

იაკობ გოგებაშვილის შეგნებული ცხოვრება შეიძლება ორ ეტაპად წარმოვიდგინოთ: „დედაენის“ შექმნამდე და „დედაენის“ შექმნის შემდეგ. და მთელი ეს გზა, ერთი მხრივ, წინააღმდეგობათა, დაპირისპირებათა, იმედგაცრუებათა და, მეორე მხრივ, გამარჯვებათა, წარმატებათა გრძელი გზაა. იმდენად დიდი იყო წინააღმდეგობანი, დაპირისპირებანი, იმედგაცრუებანი, რომ იაკობის ადგილზე სხვას შეიძლება ან დასახული მიზნისათვის ელაღატა, ანდა პოზიცია შეეცვალა; მაგრამ იმდენად შთამბეჭდავი იყო გამარჯვებები, წარმატებები, იმდენად დიადი — მიზანი, იაკობი ვერ გატეხა წინააღმდეგობებმა და სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა დასახული მიზნისა და არჩეული გზისა...

* * *

იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფები მინიშნებენ მისი ცხოვრების ერთ მძიმე ეპიზოდზე — ასე ვთქვათ, თვითმკვლელობის მცდელობაზე.

ვლადიმერ გაგუა წერს: „*უსამართლოდ დასჯილმა პედაგოგმა თვითმკვლელობა გადაწყვიტა და მტკვარში გადავარდა. შვეროვილი ხალხიდან ერთი ახალგაზრდა თავგამოდებით შეება მტკვრის ტალღებს და დახრჩობას გადაარჩინა*“ (ვ. გაგუა 1991, 7). სხვაგან ვკითხულობთ: „*სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა იაკობმა თავის მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ ბედნიერმა შემთხვევამ იგი სიკვდილს გადაარჩინა*“ (ვ. გაგუა, დ. გურგენიძე, გ. სიხარულიძე 1989, 11).

იაკობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ბევრი დაწერილა, მაგრამ მკვლევრები გვერდს უვლიან ამ ეპიზოდს. ამ ფაქტზე არ საუბრობს ვრცელი ბიოგრაფიული ნარკვევის ავტორი დ. ლორთქიფანიძე (დ. ლორთქიფანიძე 1945; დ. ლორთქიფანიძე 1955). ეს ფაქტი არ არის აღნიშნული არც ენციკლოპედიურ ცნობარებში (ქსე III; ენც. ქართული ენა 2008)... სხვა შემთხვევაში თუ არის ყურადღება გამახვილებული „თვითმკვლევლობის მცდელობაზე“, წყაროდ ნიკო ლომოურის მოგონებაა გამოყენებული (იხილეთ: ზ. ბოცვაძე 1991; რ. ჩხეიძე 2007; მატიაწე 2003; გ. თავიშვილი 1990).

რას წერს ნიკო ლომოური? არსებობს ორი ვარიანტი მისი მოგონებისა: პირველი ვარიანტი გამოქვეყნდა კრებულში „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“ სათაურით „იაკობ გოგებაშვილი. პირველი ნახევარი მისი ცხოვრება-მოღვაწეობისა“ (ხელმოწერა — არბოელი). ეს კრებული მთლიანად შევიდა 1990 წელს ჯ. თითმერიასა და ზ. ჩილაჩავას მიერ გამოცემულ წიგნში „იაკობის სამრეკლო“. ვიმოწმებთ ამ გამოცემიდან (არბოელი, 1990). მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს ამ „მთავარი წყაროდან“: *„ერთ დღეს გაისმა — იაკობ გოგებაშვილი სადღაც დაკარგულაო. შიშის ზარით მოედო ეს ხმა სემინარიელების სულსა და გულსა. წაშს მთელი უზარ-მაზარი შენობა სემინარიისა დაკარგილდა. გუნდ-გუნდად მოედგნენ მოსწავლენი თბილისის გარეშემო მდებარე მთასა და ბარსა. ანტონ ფურცელაძე, ნიკო ცხვედაძე და გიორგი იოსელიანი ეტლებით დარბოდნენ აქეთ-იქით. მტკვარში რამდენიმე მეთევზე ნავებით დაცურავდნენ და ეძებდნენ დაკარგულის გვაშსა. ასე გაგრძელდა საღამომდე.*

მზის ჩასვლისას საიდგანლაც გაისმა სანუგეშო ხმა — იაკობი ცოცხალია. საღამოს რვა საათი იქნებოდა, როდესაც სემინარიაში მოვიდა სანდრო ცხვედაძე, უმცროსი ძმა ნიკოსი, სახალხო სკოლის მასწავლებელი, მხნე და ერთგული მეგობარი გლეხკაცისა, ყოვლად პატიოსანი ადამიანი და გვიამბო შემდეგი: *„შუა დღე იქნებოდა მოტანებულნი, როცა მე რაღაც საქმისათვის ვერის სასაფლაოს გადასწვრივ დაღმართზე ჩავდიოდი ძირსაო. მარცხენა ნაპირიდან ვიღაც მოადგა მტკვარსა და ისე, გაუხდელი, შევიდა წყალშიო. შუა ადგილს წყალმა წააქცია და რამდენსამე წაშს სრულიად დამალა, მერე კვალად გამოჩნდა, იწყო*

ბრძოლა ტალღებთან და ნაპირს დაუახლოვდაო. მაშინათვე მივეშველე მეც და, როდესაც სახეზე შევხედე, მეტის მწუხარებითა და გაოცებისაგან კინალამ გული შემიწუხდაო. სანდრო ცხვედაძეს მაშინათვე წამოიყვანა, სასაფლაოს ქუჩაზე ეტლში ჩავსვა და სასტუმროში წაიყვანა“ (არბოელი 1990, 480).

გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში, ნიკო ლომოურის ფონდში, დაცულია ნ. ლომოურის ნარკვევი „იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი“ (№ 19671-ბ), რომელიც 1991 წელს გამოაქვეყნა ზ. ბოცვაძემ (ზ. ბოცვაძე 1991). ეს ნარკვევი ნ. ლომოურისა არის განსხვავებული რედაქცია იაკობის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში გამოქვეყნებული ნარკვევისა. მოვიყვანთ ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდის შესახებ ამონარიდს ამ ვარიანტიდან: „ერთ დღით გაისმა იაკობი სადღაც დაკარგულაო!.. ამ ხმამ ელდასავით დაურბინა მთელი სემინარიის მოსწავლეთა სულსა და გულსა. იმავე წამს თითქმის სრულიად დაცარიელდა უზარმაზარი შენობა სემინარიისა... გუნდ-გუნდათ მოედგნენ თბილისის გარშემო მდებარე მთა და ბარსა. ნიკო ცხვედაძეს და გიორგი იოსელიანს მეთევზეები დაექირავებინათ, ნაგებში ჩავსხათ და ბადეებით აძებნიებდნენ დაკარგულის გვამსა. ასე გაგრძელდა მთელი დღე. საღამოზე საიდანღაც გავრცელდა სანუგეშო ხმა... ბინდისას სემინარიაში მოვიდა ნიკოს უნცროსი ძმა სახალხო სკოლის მასწავლებელი, ყოვლად პატიოსანი ადამიანი, ალექსანდრე ცხვედაძე და გვიანბო: დილის ცხრა საათი იქნებოდა, ვერაზე, სასაფლაოს გადასწვრივ დაღმართზე ვიყავ წამოწოლილი და მტკვარს გადავცქეროდიო. მტკვრის მარცხენა ნაპირიდან მოადგა ვილაც კაცი, ისე გაუხდელი შემოვიდა წყალში და ღრმა ადგილას ჩავარდაო. რამდენსამე ხანს აღარ სჩანდა, მერე უცებ გამოჩნდა, იწყო წყალთან ბრძოლაო... მე მაშინათვე ჩავირბინე ფერდობი და როდესაც ნაპირთან ჩავედი, ის კაციც იქვე გამოვიდაო. შევხედე და თავზარი დამეცა: ეს იყო იაკობ გოგებაშვილიო. აქ ტანისამოსი გაუწურე, ჩემი მშრალი პალტო ჩავაცვი და წამოვიყვანე, მერე მე და ნიკომ მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეთ და იქ დავაწვინეთო“ (ნ. ლომოური 1991, 331)...

საკმაოდ განსხვავებული ვარიანტებია:

„შუა დღე იქნებოდა მოტანებული“ და „იქნებოდა დილის ცხრა საათი“;

„ვერის სასაფლაოს გადასწვრივ დაღმართზე ჩავდიოდი“ და „დაღმართზე ვიყავ წამოწოლილი“ და სხვა... მაგრამ მთავარი ფაქტი მაინც ერთნაირად არის მოთხრობილი: „ვიღაც კაცი“ შედის მტკვარში, შუა ადგილას (ღრმა ადგილას) წყალმა დაფარა, მერე იწყო ბრძოლა ტალღებთან და გამოცურა ნაპირზე. აქ მიეშველა სანდრო ცხვედაძე...

ეს ამბავი 1873 წლის შემოდგომაზე მომხდარა.

ნიკო ლომოური პირველ ვარიანტს 1913 წელს გამოაქვეყნებს; როდის შეიქმნა მეორე ვარიანტი, არ ვიცი. ნ. ლომოურის მოთხრობილი „მტკვრის ეპიზოდი“ გახდა საფუძველი ბიოგრაფებისათვის „თვითმკვლელობის ვერსიაზე“ საუბრისა...

არ ჩანს შემთხვევითი ის ფაქტი, ჩვენ მიერ ზემოდასახელებული რამდენიმე ავტორი ამ ფაქტზე ყურადღებას რომ არ ამახვილებს: როგორც ჩანს, ბიოგრაფებისათვის ეს ზეპირი ვერსია არ არის საარწმუნო... თანაც საუბარია იაკობ გოგებაშვილზე! ბიოგრაფები ვერ დაიჯერებენ იმას, რომ იაკობმა, ჭეშმარიტ ქრისტიანულ ოჯახში გაზრდილმა კაცმა, ჭეშმარიტმა მართლმადიდებელმა ასეთი არაქრისტიანული ნაბიჯი გადადგა... თუმცა, მოდით, ფაქტებზე ვისაუბროთ.

ნ. ლომოურის ნაამბობზე დაყრდნობით შექმნეს, **გამოიგონეს ტრაგიკული სურათი:**

მტკვარში გადავარდნა,
შეგროვილი ხალხი,
თავგამოდებული ახალგაზრდა,
მტკვრის ტალღებთან შებმა,
განწირულის გადარჩენა...

არადა, პირველწყაროში გარკვევით იკითხება: „ვიღაც კაცი“ შევიდა მტკვარში და თავად გამოვიდა ნაპირზე... რატომ ამძაფრებს ბიოგრაფი (ვ. გაგუა) ვითარებას ასე? როგორც ჩანს, უნდა დაგვარწმუნოს, რა საშინელი რეჟიმი იყო იმეამად, როგორ იდევნებოდა იაკობ გოგებაშვილი... და ამ მიზანს ეწირება ჭეშმარიტება: **იაკობი აღმოჩნდა ცილისწამების ობიექტი!..**

ნიკო ლომოურის მონათხრობს, როგორც ჩანს, აქვს საფუძველი. იაკობ გოგებაშვილმა, ჩანს, მართლა გადადგა რაღაც საბედისწერო ნა-

ბიჯი... მაგრამ ჯობს დავაზუსტოთ: **გადადგა** თუ **გადაადგმევინეს**; ანუ, **ეს იყო ნება იაკობისა**, თუ **აიძულეს**, **ეს ნაბიჯი გადაედგა**. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ეს იყო მცდელობა მკვლელობისა** თუ **თვითმკვლელობისა?**

მოდით გავიზაროთ, რა მოხდა 1873 წლის შემოდგომაზე.

ვუშვებთ იმ ფაქტს, რომ იაკობი შევიდა მტკვარში... ერთადერთი მოწმე, თვითმხილველი — სანდრო ცხვედაძე — დარწმუნებით აღნიშნავს, რომ იგი თავად გამობრუნდა უკან და გამოვიდა ნაპირზე... როსტომ ჩხეიძე ბიოგრაფიულ რომანში საგანგებოდ მიანიშნებს იმაზე, რომ ს. ცხვედაძე დაჟინებით უარყოფდა, მე არ გადამიჩინია, თავად გამოვიდა ნაპირზეო; იონა მეუნარგია ცდილობდა დაეზუსტებინა და ჰკითხავდა — „თუ კაცი ხარ, მითხარი, როგორ იყო, იაკობი დახრჩობას რომ გადაარჩინეო, — იონა მეუნარგია შემთხვევას როგორ გაუშვებდა ხელიდან, რომ ყველა გარემოება არ დაეზუსტებინა, რაც ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს ეჩებოდათ და, მათ შორის იაკობსაც, ვისი ცხოვრების ქრონიკის შედგენაც განეზრახა და ყოველგვარ ცნობას — მსხვილმანსა თუ წვრილმანს — ისე ჩასათერებოდა, როგორც მონადირე მსხვერპლს. მით უფრო ასეთი ეპიზოდი იპყრობდა მის ყურადღებას და იმედოვნებდა, რომ მკითხველს ერთადერთი თვითმხილველის ნაამბობზე დაყრდნობით გააცნობდა... მაგრამ კვლავ უარზე დადგებოდა სანდრო; რა დახრჩობა და რის გადაარჩენა, მტკვარში მოტოპავდა, სიჩქარეში ხიდი შორს მოსჩვენებია და ტალღებშიც ამიტომ შევარდნილა გულდაგულ, და უნებურად რომც არ შევსწრებოდი, თვითონვე უვნებელი გამოაღწევდაო. — არ მოეშვებოდა იონა მეუნარგია. — არაფრისდიდებით არ გატყდებოდა სანდრო ცხვედაძეო“ (რ. ჩხეიძე 2007, 123). არადა, რატომ უნდა დაემალა, თუკი მან გადაარჩინა? ს. ცხვედაძე სიმართლეს ამბობს, როგორც ჩანს; ამასვე წერს ნ. ლომოურიც... იაკობის მდგომარეობის შესათვასებლად აქვს მნიშვნელობა იმასაც, თავად გამოვიდა ნაპირზე თუ გამოიყვანეს...

რა უსწრებდა ყოველივე ამას და რა მდგომარეობაში იყო იმაჟამად იაკობ გოგებაშვილი? — ვიფიქროთ ამაზეც:

1873 წლის მოვლენამდე, „მტკვრის ეპიზოდამდე“, 10-15 წლის განმავლობაში იაკობის ცხოვრება ძალზე მძიმედ, წინააღმდეგობრივად წარიმართა.

1861 წლის ივლისში იაკობმა წარმატებით (პირველი თანრიგით) დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიის სრული კურსი. „ივლისის 8 — თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი ვიქტორი წერილობით მოახსენებს საქართველოს ეგზარქოსს იაკობ გოგებაშვილის კიევის სასულიერო აკადემიაში გაგზავნის გამო“ (მატიანე, 10).

აქ იჩინა თავი პირველმა წინააღმდეგობამ და იმედგაცრუებამ:

„ოცი წლის ვიქნებოდი, როდესაც სემინარია დავამთავრე; — იგონებს იაკობი, — პირველი მოწაფე ვიყავი წინა კლასებშიც და უკანასკნელი კლასიც პირველ მოწაფედ დავამთავრე. აკადემიაში გასაგზავნად დამნიშნეს. მხოლოდ მომთხოვე მთავრობამ — ექიმს ეჩვენე და ცნობა მომიტანე ჯანმრთელობისაო. ვეჩვენე. ექიმმა სუბოლჩიკოვმა კარგად გამსინჯა... მოწმობაში ჩასწერა: გოგებაშვილი ამყამად საღია, მაგრამ სუსტი აგებულების პატრონია და შეიძლება რუსეთის ჰავა ვერ აიტანოს“ (დ. კასრაძე 1940, 29).

იაკობს წინადადება მისცეს, დარჩენილიყო თბილისში. აკადემიაში მეორე მოწაფის წასვლა გადაწყდა... იაკობს უთქვამს დ. კასრაძისათვის: „მე ძლიან მწყუროდა მაღალი განათლება და წასვლის სურვილი განუაცხადე“ (იქვე).

ბირველი წინააღმდეგობა დაძლეული იქნა... იაკობი აღარ წვრილმანდება, რის ფასად და როგორ...

1861 წლის შემოდგომაზე იაკობი კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტია. იგი ჩვეული სიბეჯითით შეუდგა სწავლას. მაგრამ **ისევ იჩინა თავი ბედის უკუღმართობამ:** „წლის ბოლოს ტვინის ანთებით გახდა ავად და ამ დროს იყო თურმე ყამი, როდესაც ბეწვზე ეკიდა მისი სიცოცხლე. რამდენსაშე კვირის შემდეგ ამ ავადმყოფობას იაკობმა მშვიდობით დააღწია თავი, მაგრამ მისგან დაძაბუნებულ აგებულებას ახლა სხვა დაუძინებელი მტერი აღმოუჩნდა: დააწყებინა ხველება, რომელიც თითქოს შეეუჩნდა ზაფხულის განმავლობაში, მაგრამ, დადგა თუ არა რუსეთული ზამთარი თავისი მკაცრი ყინვებით, ხველამ უმატა,

ზედ დაერთო გამუდმებული სიცხე, რის გამოც ხშირად მოსდიოდა საა-
ვადყოფნოში წოლა. მესამე წლის შემდეგ სისხლის ლეზინება და სხვა
ნიშნები ქლექისა ცხადად აღმოაჩნდა“ (არხოელი 1990, 468).

**„ექიმების გადაწყვეტილება ურყევია — დაუყოვნებლივ და-
ბრუნდეს სამშობლოში. აკადემიის ხელმძღვანელობაც ასევე ურჩევს.
იაკობი იძულებულია დაემორჩილოს თავის მწარე ხვედრს, ტოვებს
აკადემიას და გულნატკენი ბრუნდება საქართველოში“** (მატიანე,
14). იაკობი მაშინ II კურსზე იყო...

**სწავლას მოწყურებული ყმაწვილისათვის ეს იყო უმძიმესი
ტრავმა...**

1863 წელს იაკობი კვლავ საქართველოშია.

კიევის სასულიერო აკადემიის რექტორი ზრუნავს ნიჭიერი სტუ-
დენტის ბედზე და იაკობს შუამდგომლობს საქართველოს ეგზარქოსთან
მისი კავკავის სასულიერო სასწავლებელში ინსპექტორად დანიშვნის
შესახებ. იაკობი თანახმაა ამ შეთავაზებაზე — მას გადაწყვეტილი აქვს
პედაგოგიური საქმიანობა. მაგრამ ისევ წინააღმდეგობა და ბედის უკუ-
ღმართობა: სანამ იაკობი მუშაობას შეუდგებოდა, კავკავის სასულიერო
სასწავლებელი დაიხურა... იაკობი უმუშევარი დარჩა...

კიდევ ერთი იმედგაცრუება ახალგაზრდა კაცისა...

უსახსროდ დარჩენილი იაკობი კავკასიაში ქრისტიანობის აღმად-
გენელ საზოგადოების კომიტეტს ორჯერ მიმართავს თხოვნით, ერთი
წლის განმავლობაში აძლიონ ხელფასი, როგორც უსამსახუროდ დარჩე-
ნილს... კომიტეტი ორივეჯერ უარს ეუბნება...

ისევ იმედგაცრუება და უმძიმესი ყოფა...

საქართველოს ეგზარქოსი ავალებს თბილისის სასულიერო სემი-
ნარიის მმართველობას, შეატყობინოს კიევის აკადემიის რექტორს, რომ
კავკავის სასწავლებლის დახურვის გამო მისი თხოვნა გოგებაშვილის
თაობაზე ვერ შესრულდა. კიევის სასულიერო აკადემიის რექტორი ამ-
ჯერად თბილისის სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელობას სთხოვს,
უშუამდგომლონ იაკობ გოგებაშვილს კავკავის სამაზრო-სამრევლო სა-
სწავლებლის ინსპექტორად დანიშვნის თაობაზე... **არც ეს მოხერხდა**
(მიზეზი უცნობია)...

იაკობის ცხოვრება გაუსაძლისი ხდება. 1864 წლის იანვარში იგი თხოვნით მიმართავს თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას, დანიშნონ ამავე სემინარიაში **რაიმე თანამდებობაზე**... „იანვრის 15 — საქართველოს ეგზარქოსისა და თვით იაკობის თხოვნით მას ნიშნავენ თბილისის სასულიერო სემინარიის მეორე კლასის მეორე მასწავლებლად“ (მატიანე, 16).

ასე იწყება იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური კარიერა თბილისის სასულიერო სემინარიაში: მეორე კლასის მეორე მასწავლებელი...

მერე: მეოთხე კლასის მეორე მასწავლებელი...

მერე: შეთავსებით „სახელმწიფო ხარჯზე მყოფი უსულგულო მოსწავლეების სამეთვალყურეო ოთახის ზედამხედველი“...

აი, ამ ვითარებაში და ამ მდგომარეობაში იაკობ გოგებაშვილი ადგენს და სემინარიის დანმარებით გამოსცემს თავის პირველ სახელმძღვანელოს — „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ (1865წ.).

მერე: ისევ ავადმყოფობა; ამის გამო იაკობი ითხოვს სემინარიის ხელმძღვანელობისაგან, შეუცვალონ მეცადინეობის გრაფიკი...

1866 წლის ივლისში გორის სასულიერო სასწავლებელში განთავსდებოდა ზედამხედველის თანამდებობა. ვარიანცი ახლოს იყო და... იაკობი სთხოვს სემინარიის ხელმძღვანელობას, უშუამდგომლონ ზემდგომ ორგანოებში, ამ თანამდებობაზე მისი დანიშვნის თაობაზე... თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული; ცნობილი არ არის, რატომ (მატიანე, 19).

ისევ იმედგაცრუება...

თბილისის სემინარიის სიტყვიერების კათედრაზე განთავსდებოდა მასწავლებლის თანამდებობა; ახლა უკვე კიევის სასულიერო აკადემია არ აძლევს რეკომენდაციას იაკობს, რადგან არა აქვს დამთავრებული სრული კურსიო... იაკობი მაინც აღწევს იმას, რომ დანიშნონ მასწავლებლის მოვალეობის შემსრულებლად... ეს არის სხვა მხრივაც წარმატებული პერიოდი იაკობის ცხოვრებაში: იაკობი ადგენს უნიკალურ სახელმძღვანელოს — „ბუნების კარს“; გამოდის მესამე, გადამუშავებული, გამოცემა „ანბანისა“. 1868 წელია.

მივაქციოთ ყურადღება: **ამდენი იმედგაცრუება, ამდენი წინააღმდეგობა და ასეთი ნაყოფიერი შემოქმედებითი თუ პედაგოგიური საქმიანობა. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მისი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის ხარჯზე ხდება...**

ისევ კიდელი იმედგაცრუებისა და გამარჯვებების:

1868 წლის დეკემბერში იაკობს ირჩევენ თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. მოვუსმინოთ იაკობს: „*ზედამხედველის თანამდებობაზე ჩემი საქმიანობა დაიწყო 1868 წლის ბოლოს და გაგრძელდა 1873 წლის შემოდგომამდე. სასწავლებელი მე ჩავიბარე ყოველმხრივ აწეწილ მდგომარეობაში... მე ახლოს ვიცნობდი ამ სასწავლებლის მდგომარეობას, წინასწარ ვგრძნობდი, თუ რა სიძნელეს წარმოადგენდა მისი კეთილმოწყობა, ვგრძნობდი პასუხისმგებლობის სიმძიმეს, რომელთანაც დაკავშირებული იყო მოშლილი სასწავლებლის მმართველობა და ხელმძღვანელობა და ამიტომ თავს ვარიდებდი ზედამხედველის თანამდებობას. მაგრამ სასულიერო წოდების საოლქო ყრილობამ, რომელსაც სურდა ბოლო მოედო სასწავლებლის სავალალო მდგომარეობისათვის, სადაც მისი საკუთარი შვილები სწავლობდნენ, შემომთავაზა სასწავლებლის უფროსობა და ამირჩია მის ზედამხედველად“.*

ისევ უცნაურად განვითარებული მოვლენები:

იაკობს სთხოვენ, იყაროს კენჭი ზედამხედველის თანამდებობაზე; იაკობი წინააღმდეგია, მაგრამ დაითანხმეს; კი დაყაბულდა იაკობი, მაგრამ... როგორც ჩანს, ეგზარქოსი და უმაღლესი სასულიერო ხელისუფლება უკმაყოფილოა იაკობის საქმიანობით — მისი ეროვნული პოზიციით და... იაკობის კონკურენტია ვინმე პავლოვი... კვლავ იაკობს მოვუსმინოთ: „*მე უარი ვთქვი და სრულიად გულწრფელადაც, შემდეგი მოსაზრებით: კიევის სასულიერო აკადემიაში ყოფნის შემდეგ მე დამჩემდა სისხლეებიანება, რაც შეიძლება გაძლიერებულიყო ზედამხედველის რთულ მოვალეობათა შესრულების გამო... მაგრამ ჩემი კატეგორიული უარის მიუხედავად სამღვდელოების ყრილობამ ჩემი კანდიდატურა წამოაყენა და გაიყვანა“.*

მაგრამ აქ ისევ **თავი იჩინა იაკობის ტრადიციულმა იმედგაცრუებამ...** თვით იაკობს მოვუსმინოთ: „*კენჭისყრისას პავლოვმა მიიღო ერთი თეთრი კენჭი და ოცდაცხრამეტი შავი, მე კი ოცდაცხრამეტი*

თეთრი და ერთი შავი... მაგრამ ეგ ზარქოსმა არ დაამტკიცა ყრილობის დადგენილება და რამოდენიმე თვის შემდეგ ახალი არჩევნები დანიშნა“. მიზეზად ის დასახელა ეგ ზარქოსმა, რომ იაკობს ღვთისმეტყველების ხარისხი არა აქვს... არადა წინა ზედამხედველი ტანიკოვი უბრალო სემინარიელი იყო, იაკობს კი დამთავრებული ჰქონდა „კიევის სასულიერო აკადემიის ზოგადი განათლების კურსი პირველ სტუდენტად“... თუმცა იაკობი ამგვარ დარტყმებს შეჩვეულია...

განმეორებით არჩევნებზე იაკობი ერთხმად აირჩიეს ზედამხედველად. სამღვდლოების ყრილობამ საგანგებოდ მიმართა ეგ ზარქოსს, დაუსაბუთეს თავიანთი გადაწყვეტილების სისწორე და ეგ ზარქოსიც იძულებული შეიქნა, დათანხმებულიყო იაკობის არჩევას, ოღონდ არა ზედამხედველად, არამედ „ზედამხედველის თანამდებობის აღმასრულებლად“...

და იაკობი შეება უმძიმეს ტვირთს...

სასულიერო სემინარიაში იაკობის ზედამხედველად მუშაობის პერიოდი ცალკე მსჯელობის თემაა. ფაქტია, ავადმყოფი კაცისთვის ეს იყო უდიდესი ფიზიკური და სულიერი დატვირთვა.

ერთი მხრივ, ზედამხედველის მძიმე შრომა;

მეორე მხრივ, პედაგოგის პასუხისმგებლობა;

მესამე მხრივ, „ანბანისა“ და „ბუნების კარის“ ავტორის საზრუნავი და,

მეოთხე მხრივ, დიდად შერყეული ჯანმრთელობა...

იაკობი წერს: „ამ ხანობაში მე მძიმე ავადმყოფი შევიქენი, ფილტვებიდან სისხლის დენა მქონდა. და უკიდურესი დაქანცულობის გამო, ამას საშინელი უძილობაც დაერთო. მას დაემატა ჩემი სამსახურიდან დათხოვნა მესამე მუხლის ძალით (ე.ი. პოლიტიკურად არასაიმედოდ ცნეს — გ.გ.) თანხმად ანდაზისა: მიეცეს და მიემატოსო“... ამას იაკობი მოგვიანებით, 1911 წელს, მოიგონებს...

ავადმყოფ იაკობ გოგებაშვილს ებრძვიან გააფთვებით. 1873 წლის შემოდგომაზე „თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის — ვალენტინის — მიერ შეკრებილი ცნობებითა და წარდგინებით იაკობ გოგებაშვილი გიორგი იოსელიანთან, თომა ტურაშვილთან, ნიკო და

კონსტანტინე ცხვედაძეებთან ერთად **შეჰყავთ საზოგადოებრივი სამსახურისათვის არასაიმედოთა სიაში**“ (მატიანე, 32).

ეს 1873 წელია, „მტკვრის ეპიზოდის“ წელი...

არადა, წინა 1872 წელს, **იაკობის საქმიანობა დადებითად შეფასდა**. ისევ იაკობს მოვუსმინოთ: „1872 წლის დასაწყისში პეტერბურგიდან გამოგზავნილ იქნა უწმინდეს სინოდთან არსებული სასწავლო კომიტეტის წევრი ბ-ნი ზინზენკო ადგილობრივი სასულიერო სასწავლებლების გამოსარკვევად. მან ყოველმხრივ გამოარკვია სასწავლებელი და სცნო იგი მშვენიერ მდგომარეობაში. განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა ის სასწავლო საქმის დაყენებით“...

უწმინდესი სინოდის ობერპროკურორი და სახალხო განათლების მინისტრი გრაფი ტოლსტოი მართლმადიდებელი სარწმუნოების უწყების შესახებ წარდგენილ ანგარიშში (1872 წ.) თბილისისა და ქუთაისის სასწავლებლების მდგომარეობას ასე აღწერს: „ზედამხედველთა სასარგებლო საქმიანობას უნდა მიეწეროს თბილისისა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლებში სასწავლო საქმის მეტად დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, მიუხედავად მრავალი ისეთი არახელსაყრელი გარეშე პირობებისა (აქ მინისტრი ჩამოთვლის იმ პირობებს — გ.გ.)... მაგრამ თბილისისა და ქუთაისის სასწავლებელთა ზედამხედველების საქმისათვის სავსებით თავდადებად გადალაბა აღნიშნული სიძნელები და მიადგინა იმას, რომ მათდამი რწმუნებულ სასწავლებლებში დამყარდა სწორი სასწავლო წესები და საგნების რაციონალური სწავლება, რამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო“.

და ეს იყო იშვიათი შემთხვევა: ხელისუფლება იძულებულია, დადებითად შეაფასოს იაკობის მოღვაწეობა... მაგრამ... ეს 1872 წელს მოხდა. ამის შემდგომ იყო ის, ზემოთ რომ აღვნიშნეთ: იაკობი, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, „სემინარიის რექტორის — ვალენტინის — მიერ შეკრებილი ცნობებითა და წარდგინებით“ საზოგადოებრივი სამსახურისთვის **არასაიმედოდ ცხადდება**... იაკობის **არასაიმედობა — ქართული საქმის ერთგულება იყო... საჭიროდ მიიჩნევენ მის თავიდან მოშორებას**...

პარადოქსული ვითარება გრძელდება:

1873 წლის იანვარი. სინოდის ობერპროკურორი, სახალხო განათლების მინისტრი დიმიტრი ტოლსტოი მიმართავს საქართველოს

ეგზარქოსს, თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგთა კრებამ განიხილოს, თუ რა ჯილდოზე შეიძლება იქნეს წარდგენილი სასწავლებლის ზედამხედველი იაკობ გოგებაშვილი (მატიანე, 28).

იმავე წყაროდან: „გოგებაშვილისათვის, მისი ავადმყოფობის გათვალისწინებით, საუკეთესო ჯილდო იქნება ერთდროული ფულადი დახმარება“... ამას ეგზარქოსი ამბობს და გოგებაშვილს მიეცა ფულადი დახმარება მისი ერთი წლის ჯამაგირის — 900 მანეთის — ოდენობით (მატიანე, 29).

აქებენ იაკობს, აჯილდოებენ... ასეთი იყო 1873 წლის ზამთარი და გაზაფხული...

იაკობი ამ დროს სერიოზული ავადმყოფია. ნიკო ლომოური წერს: „შინაურმა მტერმაც მრისხანებით წამოჰყო თავი: სიცხემა და ხველამ უმატა. ხშირად სისხლიც ამოჰქონდა ნახველში... ნერვები საშინლად აეშალა. იაკობის ოთახიდან ხშირად ისმოდა გაქირვებული ძახილი, მუქარა, წყევლა-კრულვა. მძლავრი გონება აფორიაქებულმა ნერვებმა დაიმორჩილეს“ (არბოელი 1990, 479).

დაუნდობელი შემოტევა ავადმყოფობისა და... ისარგებლეს ამით: „რაკი ცოცხალ საქმეს ერთგული თვალყურის ქერა მოაკლდა, მრუდე ხელმა იწყო ფარულად მოქმედება. კანკელარია სრულიად აურ-დაურისებს. შემოსავალ-გასავლის წიგნები მოჰპარეს, სხვა და სხვა საბუთის ჯალალდები მისჩქმალეს. ავადმყოფი ხედავდა ყოველივე ამას, მაგრამ რას იზამდა?“ (არბოელი 1990, 479).

1873 წლის ოქტომბერია — „მტკვრის ეპიზოდის“ წინა დღეები. „იაკობის დაუსწრებლად (იგი ამ დროს ავად არის) სასულიერო სასწავლებელს იკვლევს პეტერბურგიდან ჩამოსული რევიზორი კერსკი და ხასწავლებლის მთელ საქმიანობას უარყოფითად აფასებს, წალო იაკობს სწამებს ათეისტობას, სეპარატიზმსა და რუსოფობიას“ (მატიანე, 29).

გავიხსენოთ: ზუსტად ერთი წლის წინ შეამოწმა სასწავლებელი ზინჩენკომ... მინისტრმა დ. ტოლსტოიმ ჯილდო მოითხოვა იაკობისათვის... კერსკის რევიზია კი თითქოს სხვა სასწავლებელს და სხვა პირს ეხებოდა... ამ რევიზიის შედეგებს მოგვიანებით (1878 წელს) ასე გაიხსენებს იაკობი: „ერთი წლის შემდეგ სემინარიაში არსებული უწყესრიგობის გამოსაკვლევად თბილისში ჩამოსულმა მეორე რევიზორმა, ბ-მა

კერსკიმ გამოარკვია სასწავლებელი და სცნო იგი მოშლილად, ხოლო ჩემი საქმიანობის შესახებ სულ სხვა აზრი გამოთქვა. ვინ იყო მართალი, ბ. ზინჩენკო თუ ბ. კერსკი? თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პირველმა მნახა სამსახურის დროს, დაესწრო ჩემს გაკვეთილებს, ხშირად საუბრობდა ჩემთან და საერთოდ შესაძლებლობა ჰქონდა გამცნობოდა და გამოერკვია ყველაფერი სასწავლებელში, ხოლო უკანასკნელმა კი მოახდინა რევიზია ჩემი ავადმყოფობის დროს, რომ მას ჩემთვის არ მოუპართავს არც ზეპირი და არც წერილობითი განმარტებისათვის“... ეს იაკობმა გაიხსენა მოგვიანებით; ახლა კი სხვა თვალთ დანახული იგივე ფაქტები: „1873 წელი. ოქტომბრის ბოლო — ნოემბრის დასაწყისი. რევიზორ კერსკის უსამართლო განჩინება-დასკვნითა და შინაურთა გაიდევრობით ავადმყოფი იაკობის ჩანმრთელობა კიდევ უფრო უარესდება. ნერვებაშლილი და დაღლილ-დაქანცული იაკობი თვით-მკვლელობის განზრახვამდე მიდის. მანამდე კი წერილებს უგზავნის რევიზორ კერსკის, სინოდს, ეპისკოპოს გაბრიელს, რომლებშიც ამხელს ეგზარქოს ევსევის, სემინარიის რექტორ ვალენტინის და მათი დამქაშების ბოროტმოქმედებას“ (მატიანე, 30).

შეტევა სხვა მხრიდანაც: „ნოემბრის 30. გაზეთი „დროება“ (№400) ბეჭდავს ნიკო ნიკოლაძის მეორე რეცენზიას (ნ. სკანდელის ხელმოწერით) იაკობის „ბუნების კარის“ შესახებ, რომელშიც ზედმეტად მკაცრად და დაუშინებლად არის გაკრიტიკებული იაკობის წიგნი“ (მატიანე, 31).

ნიკო ლომოური კვლავ ეცდება ახსნას ვითარება: „ექსარხოსის მტრობა, რექტორის კლიაუზიკობა, გარშემო მყოფთა ხულმდაბლობა, საზარელი სენის გაძლიერება, ერთგული მეგობრების განშორება, — აი ის ბოროტებით სავსე გარემოებანი, რომელთა შეერთებული ძალა კარს მოადგა იმ შამად იაკობს“ (ნ. ლომოური 1991, 89).

ღიახ, ერთდროულად ხდება ყოველივე ეს:

იაკობი მძიმედაა ავად, სამსახური ხშირად უცდება...

კერსკის რევიზია და უარყოფითი დასკვნა...

საზოგადოებრივი სამსახურისთვის არასაიმედოთა სიაში შეყვანა...

სემინარიის შინაურ მტერთა შემოტევა...

დაუშინებელი კრიტიკა „ბუნების კარისა“...

დაბოლოს: სამსახურიდან დათხოვნა!..

ლოგიკური შედეგი: „ერთ დილით ხმა გავრცელდა — იაკობ გოგებაშვილი უგზო-უკვლოდ დაკარგულაო“... „მტკვრის ეპიზოდს“ ზემოთ გავეცანით...

გავიხსენოთ სანდრო ცხვედაძის ნაამბობი: „მე მაშინათვე ჩავირბინე ფერდობი და, როდესაც ნაპირთან ჩავედი, ის კაციც იქვე გამოვიდაო. შევხედე და თავზარი დამეცა: ეს იყო იაკობ გოგებაშვილიო. აქ ტანისამოსი გაუწურე, ჩემი მშრალი პალტო ჩავაცვი და წამოვიყვანე, მერე მე და ნიკომ მიხეილის საავადმყოფოში წავიყვანეთ და იქ დავაწვინეთ“ (ნ. ლომოური 1991, 39).

იაკობი მიხეილის საავადმყოფოში **სულით ავადმყოფთა განყოფილებაში დააწინეს**. კვლავ იაკობის უპირველესი ბიოგრაფი ნ. ლომოური: „ორიოდ კვირის შემდგომ იაკობი ვინახულე სულით ავადმყოფთა განყოფილებაში. დილის ათი საათი იქნებოდა. მე შემიყვანეს გრძელ დერეფანში, რომელსაც მარჯვნივ ბაღში გამავალი ფანჯრები ჰქონდა ჩამწკრივებული, მარცხნივ კი მრავალი კარებები ოთახებისა. გაიღო ეს კარებები და აქედან საშინელი უღაგ-უღავით, ხტუნაობით გამოცვივდნენ სამოცამდე სულით ავადმყოფნი. ზოგი მღეროდა, ზოგი ლექურს უვლიდა, ზოგიც ყირამლა გადადიოდა. მართალია, საშიში ამბით არავინ ერია, მაგრამ მათი პირუტყვეული ხმაურობა, არეული თვალები, შეშლილი სახე ძალაუნებურად ურუანტელს მოგგვრიდათ ძარღვებში. მთელი დერეფანი აივსო ამ უბედურების არეგ-დარეული ღრინაგულითა. თვალზე ცრემლები მომადგა, როდესაც ამავე დერეფნის ბოლოში მიჩვენეს იაკობის ოთახის კარები. ვნახე ძვირფასი მასწავლებელი. გამზდარ-გაყვიოთლებულ სახეზე სევდიანათ გამოიყურებოდნენ მისი დაღონებული თვალები“ (ნ. ლომოური 1991, 334-335).

ღიან, მტკვარსგადარჩენილი იაკობი **უახლოეს მეგობრებს** — ნიკო ცხვედაძეს, გიორგი იოსელიანს, ანტონ ფურცელაძეს — აქ, მიხეილის საავადმყოფოს სულით ავადმყოფთა განყოფილებაში, დაუბინავებიათ...

რა იყო „მტკვრის ეპიზოდი“ — მკვლევლობის მცდელობა თუ თვითმკვლელობისა? იაკობი მიყვანეს ამ მდგომარეობამდე, იგი აიძულეს, ეს ნაბიჯი გადაედგა: ათი წლის განმავლობაში (1863 წელს თბილისში დაბრუნდა, 1873 წელს სამსახურიდან დაითხოვეს) იაკობი

სისტემატურად უსამართლოდ იჩაგრებოდა... ახალგაზრდობიდანვე შერყეული მისი ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდებოდა... დღითი დღე ძლიერდებოდა მასზე სულიერი ზეწოლა... ყოველივე **ამან შეურყია ფსიქიკა იაკობს.** „**მტკვრის ეპიზოდი**“ სულიერად დაავადებული ადამიანის მიერ გადადგმული ნაბიჯი იყო... დიახ, იაკობი აიძულეს, **ეს ნაბიჯი გადაედგა...**

არის ერთი დიდად საგულისხმო არგუმენტიც: შემოგვენახა იმერეთის ეპისკოპოსის — გაბრიელის — წერილი...

იაკობ გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში რომ სწავლობდა (1855 — 1861 წ.წ.), გაბრიელ ქიქოძე იყო ინსპექტორი და პედაგოგი სემინარიისა. იაკობი იყო უშუალოდ გაბრიელის მოწაფე. „**ბუნებით ნიჭიერმა, ბეჯითმა და სიცოცხლით აღსავსე იაკობმა თავიდანვე მიიპყრო მასწავლებლის ყურადღება. აქ გაინასკვა უღრმესი სიყვარული აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე უბერებელი გრძნობით ალაგზნებდა ორივეს გულს**“ (ს. სხირტლაძე 1965, 170). როდესაც იაკობი გადაწყვეტს კიევში წასვლას სასწავლებლად, რჩევა-დარიგებისათვის ქუთაისში ეწვევა თავის მასწავლებელს, იმყამად უკვე იმერეთის ეპისკოპოსს და მისგან მიიღებს კურთხევას... თავისი მოძღვრისგან იაკობი რჩევა-დარიგებას იღებს მისთვის უძიმეს პერიოდშიც, 1873 წელს...

როგორც ჩანს, **ეგზარქოსის მიერ იაკობის ღვენა გაბრიელ ეპისკოპოსს სერიოზულად აფიქრებდა და ამის გამო უპირისპირდებოდა კიდევ ეგზარქოს ვესევის;** ადანაშაულებდა მას იაკობ გოგებაშვილის ღვენაში. ეგზარქოსი ითხოვს წერილობით ახსნა-განმარტებას ეპისკოპოსს გაბრიელისაგან. ჩვენთვის უცნობია ეგზარქოსის წერილი (ისიც არ ვიცით, შემოგვენახა თუ არა იგი) ეპისკოპოსს გაბრიელისადმი. საპასუხო წერილის ფრაგმენტები გამოაქვეყნა ს. სხირტლაძემ 1965 წელს. ს. სხირტლაძე წერს: „**სწორედ ერთი ასეთი ახსნა-განმარტება მოუთხოვნია ეგზარქოსს ვესევის გაბრიელისაგან 1874 წელს. აი, ეს საინტერესო, არაოფიციალური დოკუმენტი, რომლის ხელნაწერის ასლიც ჩვენთან ინახება**“ (ს. სხირტლაძე 1965, 185). სამწუხაროდ, დოკუმენტის ღვენაზე მითითება არ არის...

გაბრიელის წერილი 1874 წლის 16 სექტემბრით თარიღდება. რამდენიმე ფრაგმენტი ამ წერილიდან: „**თქვენ განსაკუთრებით გაინტე-**

რესებთ ჩემგან, — მიმართავს ეპისკოპოსი ეგზარქოსს, — რა მტკიცე-ბულუბა მაქვს მე იმის თაობაზე, რომ თქვენ თითქოსდა დევნილით გოგებაშვილსა და, ამავე დროს, თავის მართლების მიზნით თან ურთავთ მართლაცდა შემზარავ აღწერას მისი ავადმყოფობისა, მისივე ხელით შედგენილს“... გაბრიელ ეპისკოპოსი დიდად საეკლესიო აზრს გადმოსცემს წერილის შემდეგ მონაკვეთში: „რაც შეეხება კერძოდ თქვენს დამოკიდებულებას გოგებაშვილის მიმართ, ამ თემაზე მსჯელობისას მე ვემყარებოდი, პირველ ყოვლისა, ჩვენთან გავრცელებულ საყოველთაო ხმებს, რომ გოგებაშვილმა, სასწაულებლიდან წასვლის წინ, ანუ როგორც აქ ამბობენ, თვითმკვლელობის მცდელობამდე, თავის ბინაში დატოვა ბარათი, დაახლოებით ასეთი შინაარსის: „ახარეთ ეგზარქოსს, მე საბოლოოდ ვიღუპები“ და სხვა. მეორეც, მე ხელში ჩამივარდა უშუალოდ მის მიერ დაწერილი ბარათი, არ მახსოვს, როდის და ვისთან მიწერილი, რომელშიც ის იხსენიებდა, რომ თქვენ გადაწყვეტით, რადაც უნდა დაგჭოდოდათ, დაგედუპათ იგი“ (ს. სხირტლაძე 1965, 187).

ყურადღებას მივაქცევთ რამდენიმე ფაქტს:

„მტკვრის ეპიზოდი“ მოხდა 1873 წლის დეკემბერში. ეს წერილი იწერება 1874 წლის სექტემბერში. ჩანს, ამ ბარათს წინ უსწრებდა სხვა წერილი, რომელშიც გაბრიელი ესარჩლებოდა იაკობს და ბრალს სდებდა ეგზარქოსს გოგებაშვილის მტრობაში, მის დევნაში; როგორც ჩანს, გოგებაშვილი ამგვარ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდა, ამაში ეგზარქოსს ადანაშაულებდა ეპისკოპოსი გაბრიელი.

ეგზარქოსი თავს იმართლებს და ეპისკოპოსისაგან ითხოვს დამატებით არგუმენტებს ამ ბრალდებისა... ეპისკოპოსი გაბრიელი გოგებაშვილის მიერ „თვითმკვლელობის მცდელობას“ არ მიიჩნევს ფაქტად და მას უწოდებს „ჩვენთან გავრცელებულ საყოველთაო ხმებს“...

ეპისკოპოსი ასევე გავრცელებულ ხმად მიიჩნევს და არა ფაქტად, თითქოსდა იაკობს შინ დაეტოვებინოს ბარათი: „როგორც აქ ამბობენ“...

გაბრიელი ფაქტად მიიჩნევს იმას, რომ არსებობდა იაკობის ხელით დაწერილი წერილი, რომელშიც იგი ამტკიცებდა, რომ ეგზარქოსს ჰქონდა გადაწყვეტილი იაკობის დაღუპვა...

ეპისკოპოს გაბრიელის ამ ბარათს ეგზარქოსისადმი აქვს არსებითი მნიშვნელობა იმის გასარკვევად, „მტკვრის ეპიზოდი“ მკვლე-

ლობის მცდელობა იყო თუ თვითმკვლელობისა. ისარგებლეს იაკობის უმძიმესი ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობით და აიძულეს ეს ნაბიჯი გადაედგა...

და კიდევ ერთი კითხვა: **შეიძლებადა თუ არა, იაკობ გოგებაშვილს, როგორც ჭეშმარიტ მართლმადიდებელს, გადაედგა ნაბიჯი, რომელიც „თვითმკვლელობის მცდელობად“ აღიქმებოდა? — რა თქმა უნდა, არა:**

იაკობის დამოკიდებულებაზე ქართული ეკლესიისადმი, სარწმუნოებისადმი ზემოთაც ვთქვით. გავიმეორებთ: იაკობი ქრისტიანულ ოჯახში გაიზარდა; მამა — სიმონი — სოფლის მღვდელი იყო. იაკობმა წარმატებით დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი და შემდეგ — თბილისის სასულიერო სემინარია. საუკეთესო სტუდენტი იყო კიევის სასულიერო აკადემიაში, თუმცა ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო დამთავრება. ისიც საინტერესოა, აკადემიის რექტორი გამორჩეულ სტუდენტის ბედზე ამის შემდეგაც ზრუნავდა...

იაკობი იყო გაბრიელ ქიქოძის მოწაფე და სულიერი შვილი; ეპისკოპოს გაბრიელის ყურადღება და მზრუნველობა მას არასდროს მოჰკლებია; იაკობი ჩვეულებივ მისგან იღებდა რჩევებს...

იაკობს ღრმად სწამდა და ქადაგებდა ეკლესიის დიდ მნიშვნელობას. ეკლესიის, როგორც ჩვენი ეროვნულობის ერთ-ერთი უმთავრესი ბურჯის, შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ. აქ მხოლოდ გავიხსენებთ, რომ იაკობს ეკლესია სამშობლოს, დედაენისა და ეროვნული სკოლის ტოლფასად მიაჩნია...

საერთოდ თემა იაკობ გოგებაშვილი და სარწმუნოება ვრცელი თემაა... ფაქტია, **იაკობი იყო ჭეშმარიტი მართლმადიდებელი და მისგან ისეთი ნაბიჯის გადადგმა, რომელიც „თვითმკვლელობის მცდელობად“ შეიძლება აღიქმულიყო, ყოვლად დაუჯერებელია...**

ბოლოს ის უნდა ვთქვათ, რომ „მტკვრის ეპიზოდის“ შეფასებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო — ჩრდილი არ მიადგეს დიდი ქართველი მოღვაწის წმინდა სახელს.

* * *

იაკობმა 1876 წელს გამოსცა „დედაენა“.

წერს ერთგან: „რაც მე დრო და შრომა მოვანდომე ჩემის სახელმძღვანელოების შედგენას და ხან-გამოშვებით გაუჭეთესობას, ათი იმდენა დრო და შრომა მომინდა მათი დაცვისათვის სხვა და სხვა ცილისწამებისაგან“. სხვაგან: „მათი (ჩემი წიგნებისაო — გ.გ.) დაცვა ბევრს დროსა და შრომას ითხოვს, რაც ჩემს წიგნების შედგენაზედ ჯაფა მამსვლია, ორი იმოდენა შრომა მონდომია სხვადასხვა გასამართლებელს მოხსენებებსა, რომლითაც სავსეა ჩემი სტოლის უჯრა“... ერთგან თავის მართლებისას იმის განმარტებაც დასჭირდა, ცილისწამება რა არის — „ცილისწამება ჰქვიან იმისთანა სიცრუეს, რომელშიაც შედის ბოროტი განზრახვაო“ და სწორედ ამ ბოროტ განზრახვას ებრძვის; ებრძვის და უმკლავდება, მაგრამ საშური დრო იკარგება...

ვის ებრძვის? იოსებ იმედაშვილის თქმით, **„ბრძოლა უხდებოდა გარეშე თუ შინაურ მოწინააღმდეგეებთან“**.

ივანე გომელაური იგონებს: „იაკობი თავგამოდებით, ბასრი კალმითა და მჭრელი ენით იცავდა თავის სახელმძღვანელოებს ყოველმხრივ მოსეული მტრებისაგან. **მტრები კი ბევრი ჰყავდა — შინაური და გარეული**. შინაურები იყვნენ წვრილფეხა და განდიდება-გამდიდრების სურვილით შეპყრობილი მასწავლებლები, რომლებიც ცდილობდნენ „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ დამცირებას, რათა მათ მაგიერ სკოლებისათვის მიეჩვენებინათ თავიანთი შეთითხნილი სახელმძღვანელოები და ამით გემრიელი ლუკმა აეღოთ ხელში. განსაკუთრებით „დედაენას“ ეცილებოდნენ, რადგან ის უფრო შემოსავლიანი იყო. გარეშე მტრები კი იყვნენ მთავრობის მოხელეები, მოყოლებული სასწავლო ოლქის მზრუნველიდან, ყველა მისი ყურმოჭრილი ჩინოვნიკით, რომელთაც არაფრად ეპიტნავებოდათ არც ზვიადი და განათლებული ჩვენი პედაგოგი და არც მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები“... ერთგან თავადაც იტყვის იაკობი: „ჩემს წიგნებს ბევრი მტერი ჰყავდა, შინაური და გარეული, აშკარა და ილუმბალი, მკიცხავი და მამეზღარი“...

„აშკარა გარეულ“ მტერთან ბრძოლის ერთი მაგალითი: იანოვსკიმ თვალი დაადგა „დედაენას“. იაკობისთვის უთქვამს:

— „ჩვენის სკოლების მთავარი მიზანი რუსულის ენის გავრცელებაა აქაურ მცხოვრებთა შორის; ამ მიზანს, სხვათა შორის, აბრკოლებს სიფართოვე თქვენის „დედა-ენისა“, რომელიც დიდს დროს ითხოვს თა-

ვისი გათავებისთვის. ქართული წერა-კითხვის შესწავლა ძალიან ადვილია და სრულიად საჭირო არ არის დიდი სახელმძღვანელო. საბჭოში გვქონდა ამის შესახებ მსჯელობა და შემდეგ დასკვნამდინ მივედით: მოგკეთ წინადადება, ერთი ორად შეამოკლოთ „დედა-ენა“ და გვერდში პარალელურად, ამოუყენოთ რუსული თარგმანი. ამ გზით ქართული ენაც საკმარისად შეინსწავლება და რუსული ენაც წინ წავა“.

მძიმე წინადადებაა. ფაქტობრივ, მტერს „დედაენის“ გაძევება სურს ქართული სკოლიდან. ამ დაპირისპირების თაობაზე ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ (გვ.).

ფაქტი საშიში და საბედისწეროა — **იაკობის დამარცხება ქართული სკოლის დამარცხება იქნებოდა...** და გაიმარჯვა იაკობმა!.. გაიმარჯვა ქართულმა სკოლამ!.. სხვაც იყო გარეშე მტერთან ბრძოლის ფაქტები და არაერთი — ეგზარხოსთან თუ სემინარიის დირექტორთან, სამთავრობო კომისიასთან თუ ინსპექტორებთან... და თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე ეს ფრონტი აქტიური იყო...

უფრო აბეზარი, უფრო ხანგრძლივი, დამქანცავი, მომაბეზრებელი და შეურაცხყოფელი შინაურ მტერთან ბრძოლა იყო...

ვთქვით, იაკობის „დედაენა“ რომ გამოვიდა, რამდენიმე საანბანე წიგნი იყო სასწავლო პროცესში. იოლად, უპრობლემოდ ჩაენაცვლა „დედაენა“ მათ და გამოდევნა სკოლიდან, მაგრამ პროცესი აღმოჩნდა რთული, ძნელად შესაგუებელი სხვათათვის და...

„ბრძოლა უხდებოდა ვარეშე თუ შინაურ მოწინააღმდეგეებთანო“... „შინაურმა მტერმაც მრისხანებით წამოჰყო თავიო,“ — დაინანებს არბოელიც და ეს გრძელდებოდა თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე.

1907 წელს წერდა იაკობი: „ოც და ათის წლის წინად თითქმის დამსახურებული მოზრდილი პენსია შავრაზმელებმა ხელიდან გამომტაცეს, პენსიის ნაცვლად ხელში მომაჩეჩეს, ისიც ავადმყოფობის დროს, მგლის ბილეთი ესრედ წოდებულის მესამე მუხლის ძალით და გამრიყეს სავსებით იმ იმედით, ეგება სული მთლად ამომხდესო. ახლა სხვა ფერის ვაჟბატონები იმავე გარიყვას მემუქრებიან, რაშიაც იგივე შავრაზმელები მხურვალე დახმარებას გაუწყვენ დიდი სიამოვნებით. ჩინე-

ბული კავშირია, საუცხოო ერთობაა, მაგრამ როგორც მაშინ სრულიად გაცრუვდა იმედი ვარიყვისა, ისე ახლაც გაცრუვდება, იმედია“.

როგორც ვთქვით, როცა „დედაენა“ გამოდის, რამდენიმე საანბანე წიგნია ქართული. ორი ასპექტია: ერთი: კონკურენტი სახელმძღვანელოს ავტორს არ უნდა ირწმუნოს, რომ „დედაენა“ მის ნაცოდვილარს სჯობია; მეორე და, ალბათ არსებითი, არ ეთმობა ის შემოსავალი, რომელსაც საანბანე წიგნი აძლევს მის ავტორს. ამ „პრინციპს“ იაკობი „სახსრის ტრფიალსა და კუჭის პრინციპს“ უწოდებს. ცილისწამებათა სერია, არაობიექტური შეფასება სწორედ ამ პრინციპს ემყარება უმთავრესად... და კიდევ მესამე: იაკობი დაუნდობელი პოლემისტი: ქართველ კაცს არ უყვარს დამარცხება, აღიარება დამარცხებისა — არ შესწევს ყველას ამის ძალა (იაკობი აქაც მაგალითი იყო...) და იწყებოდა ახალ-ახალი შემოტევანი.

ერთი წერილი აქვს იაკობს ძალზე საინტერესო სათაურით „უმეტრების ამაყობა“ და ასევე საინტერესო დასაწყისით: „დედა ენას ისევ ესროლეს კენჭები“ (1881). დიახ, ეს კენჭებია, ნაკლებად საშიში და ნაკლები ზიანის მომტანი!... **„დედაენას“ ვერაფერი დააკლესო, მაგრამ „ბუნების კარი“ ორჯერ ააკრძალვინეს სემინარიის ზელმძღვანელობას... რატომ ებრძვიან? „მარტო უმეტრობა არ არის აქ დამნაშავეო; ზოგიერთ მკილავს „დედა-ენამ“ ცუდი საქმე უყოო, რამდენიმე მათგანვე შედგენილი ანბანი დაალოპო სტამბაში და იმიტომ გამოილაშქრეს ისე ბრიყვულად „დედა-ენაზედაო“.** — ეს წერილი იაკობისა „გადადმიელის“ საპასუხოდ დაიწერა; ეს „გადადმიელი“ (ანთიმოზ ჭულელი) ერთ-ერთი ავტორია საანბანე წიგნისა. რას წერს, იცით, ანთიმოზი? — „**ღმერთმა შენს მტერს ნუ მოაკლოს იმისთანა არეულ-დარეული და აფუშულ-დაფუშული სიმდიდრე, როგორიც არის „დედაენის“ პირველი საკითხავი წიგნიო**“... და იაკობი იწყებს დეტალურ ანალიზს შენიშვნებისას, გაბათილებას „არგუმენტებისას“, მტკიცებას ელემენტარული ჭეშმარიტებისას... დასკვნა ზოგადი და მარტივია: „**ამგვარს გაუგებრობაზედ ბერძნები ამბობენ, რომ მისი განკურნა ღმერთსაც არ შეუძლიაო**“... მაშინ რა სჯის პასუხისათვის იაკობს? ყურადღება მივაქციოთ ამ წერილის მიძღვნას: „**ვუძღვნი სახალხო მასწავლებლებს**“. გადადმიელის წერილი ჟურნალ „იმედის“ ორ ნომერში იბეჭდებოდა; იაკობს გადადმიელი კი არ ადარდებს, შიშობს, მასწავლებლები არ შეიყვანოს

შეცდომაში... ამიტომაცაა, გადაღმიელისა და მისთანათა მიზანი „დედაენისა და ბუნების კარის დანაცრება“. ამხელს იაკობი: „*არა ერთი ენერგიული და ნიჭიერი პირი აღიჭურვა ამ კეთილშობილის წადილითა (პიროვანი გაბოროტების გამო)*“... თავიანთი უსუსური წიგნების „გასავრცელებლად მათ მიმართეს ისეთ საშუალებას, რასაც ი. გოგებაშვილი თავის დღეში არ იკადრებდა: ეს იყო მთავრობის ჩინოვნიკების მომხრობა, მათი გულისმოგება“ (ი. გომელაური). ამ ფაქტს უფრო დაწვრილებით იგონებს იგივე ივანე გომელაური: „*დედაენის*“ *სამავიჯრო სახელმძღვანელო შეადგინეს ზ. გულისაშვილმა, ივ. როსტომაშვილმა, ალ. ნათაძემ და სხვ. „ბუნების კარის“ მავიჯრობას აპირებდა მიხ. ნასიძის მიერ შედგენილი „ქართული ქრესტომათია“; რომელიც 1885 წელს დაიბეჭდა პირველად და უკანასკნელად; შემდეგ არ. ქუთათელაძის „წყარო“ (ორი წიგნი). მაგრამ ამ მოქიშპეთა შორის საშიშ მტრებად გადაიქცენ ალ. ნათაძე, თავისი „ბავშვების მოკეთით“ და არ. ქუთათელაძე, თავისი „წყაროებით“; არა იმიტომ, რომ ისინი უფრო ნიჭიერი და მცოდნე იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი ორივენი იყვნენ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებლები, იმ გიმნაზიისა, რომლის მასწავლებლებიც მტრულად იყვნენ განწყობილი იაკობთან... სწორედ მათ მიიძხრეს მთავრობის ჩინოვნიკები“...*

თავისთავად, პირად ინტერესებზე ფიქრი არაა სათაკილო, თუ ეს ინტერესი საზოგადოს არ უპირისპირდება... თუ საზოგადო ინტერესს უპირისპირდება, დამლუპველია... **შეგვაგონებს იაკობი: „ისე დამლუპველი და დამამხობელი არხად არის, როგორც ზაღზის განათლებაში, ძებნა პირადი ინტერესებისა, ნივთიერის სახსრის გაძლიერებისა, ფულის მოპოვებისა, — მეტადრე იქ, სადაც დედაენას ზოგიერთნი ეპყრობიან ისე, როგორც ავი დედინაცვალი ეპყრობა თავის მოძულე-ბულს გერსა“.**

არადა, მრავლად იყვნენ ისეთები, ვისთვისაც საზოგადო ინტერესი არად ფასობს, პირადია მთავარი...

ამიტომაც დაიჩივლებს იაკობი: „*დიად, ჩვენში საქმის გაკეთება ბევრად ძნელია, ვიდრე სხვაგან, უფრო კიდევ ძნელია დაცვა გაკეთებულის საქმისა გაფუჭებისაგან, რადგან გამფუჭებელნი ჩვენში წინ გელობებიან ყოველს ნაბიჯზედა. და როდესაც ამ გამფუჭებლების უკულმართობას და უმეცრობას გამოააშკარავებ, წმინდა მოვალეობის აღსასრუ-*

ლებლად საზოგადოების წინაშე, ცბიერნი და ვერაგნი მორთავენ ხოლმე ყვირილსა: დახე! დახე! ახალგაზრდა ტალანტებს გზას უკრავსო. და ამის შემდეგ რად გიკვირსთ, როდესაც ცხადად ვხედავთ ჩვენს საზოგადოებაში გახრწნილების ნიშნებსა!“

ერთგან ამასაც იტყვის იაკობი: **„ამდენს წყრომას, სწორედ მოგახსენოთ, კაი გაძლება უნდა; მაგრამ იქნება როგორმე ცოცხალი გადავრჩეთ, თუ უფალმა სრულიად ხელი არ აიღო ჩვენზედ“.**

და, რა თქმა უნდა, უფალი იაკობთანაა და იგერიებს იაკობი მოჭარბულ მტერს... საქმე სამედიცინო სასამართლომდეც მისულა...

და იაკობი იბრძვის მაშინ, როცა ამას **„მოითხოვდა თვით ინტერესი ქართული ენისა“**, რადგან სწამდა, რომ ამ შინაური ბრძოლის შედეგი იქნება **„დაუბრკოლებელი გაძლიერება იმ უკულმართობისა, რომელიც ლამობს ხალხის განათლება გადააქციოს ხალხის დაბნელებად“.**

ასეთი თქმაც არსებობს — თუ გინდა კაცი წონასწორობიდან გამოიყვანო, დააბრალო ის, რის წინააღმდეგაც მთელი ცხოვრება იბრძვისო... და ამგვარ ხერხსაც მიმართავენ იაკობის წინააღმდეგ. **„ერთხელ უკრნალ „ნიშადურში“ ვითომდა „კორექტურულ შეცდომებში“ იაკობს კლანჭი გაჭკრეს „მოგებაშვილი“-ო (გოგებაშვილის მაგიერ)“** (ი. იმედაშვილი). კი, იცის მოკეთემ, რომ **„იაკობი ნივთიერი ანგარებისაგან“ შორს იდგა“** (ი. იმედაშვილი), მაგრამ... გულისტყენა ერთია, ამა-საც გაძლება უნდა. **„ის გარემოებაც არის მხედველობაში მისაღები, რომ იგი მეტისმეტად მგრძნობიარე ნერვული სისტემის პატრონი იყო და ყოველ უსიამოვნებასა და წყენას ძალიან მწვავედ განიცდიდა“**... ეს მაშინ, როცა **„მისი პატიოსნება ყველამ იცოდა“** (არტურ ლაისტი).

ცნობილი ფაქტია, როცა იაკობმა გადაწყვიტა პედაგოგიური საქმიანობისათვის მიეძღვნა ცხოვრება და მხოლოდ ყმაწვილის აღზრდაზე ეფიქრა და ეზრუნა, თავისი საბუთები დაწვა, სამოხელეო ასპარეზს რომ აღარ დაბრუნებოდა. ნიკო ლომოური წერს:

„იაკობს მართლაც შეეძლო მდიდარი კაცი ყოფილიყო, მიზნად ეს რომ დაესაზა“.

და როცა „მოგებაშვილობას“ უკიყინებდნენ, იაკობი იძულებულია უსიამოვნო ანგარიში წარუდგინოს მკითხველს: **„გოგებაშვილს „დედაენიდან“ წლითი-წლობით შემოდის(?) 250 თუმნამდეო“** — ბრძანებს

ჩვენი სიმართლის მოყვარე ბატონი. ეს რომ ნახევრობით მაინც მართალი იყოს, მე ახლა მდიდარი ქართველი ვიქნებოდი.; ავიღოთ, მაგალითად, უკანასკნელი გამოცემა „ღედა-ენისა“, რომელიც 18 000 დაიბეჭდა. „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ამ გამოცემიდან ჩემი ჰონორარიტურთ უნდა დაეხარჯა, პირობისამებრ, 3 600 მანეთი. აქედან წიგნის გამოცემას მოუხდა 2 200 მანეთი და ჩემ წილად დარჩა 1 400 მანეთი, რომელიც მე უნდა მეძლიოს თვიურად, ვიდრე წიგნი გაიყიდებოდეს. რადგან „ღედა-ენა“ ამჟამად იყიდება 10 000-მდე წელიწადში, ამიტომ უკანასკნელის გამოცემის გასაღებას მოუხდება თითქმის ორი წელიწადი. მაშასადამე, წელიწადში „ღედა-ენა“ მაძლევს 700-800 მანეთს და არა 2 500 მანეთსა. საზოგადოდ ქართული ენის აკრძალვამ მეგრულს სახალხო სკოლებში, შევიწროებამ სხვა სკოლებში და ფაქტიურმა გაუქმებამ ზოგს სასწავლებლებში ისე შეამცირა ჩემი წლიური შემოსავალი, რომ იგი ძლივსღა მყოფნის, თუმცა წინანდელზე უფრო ხელმოშვირნედ ვცხოვრობ, და მოკლებული ვარ შეძლებას, ჩემდა სამწუხაროდ, ხელი გაუმართო ზოგიერთთა გაჭირვებულს მოსწავლესა“... და ეს ცნობილი ამბავი იყო: „იგი მინიმალურ ფასს ადებდა თავის სახელმძღვანელოებს, რის გამო შემოსავალსაც ვაცილებით იმათზე ნაკლებს იღებდა, რისი მიღებაც შეეძლო ნამდვილად“ (ფ. გოგიჩაიშვილი). ესეც ცნობილი ფაქტია: იაკობი არ იღებდა „სალიტერატურო ჰონორარს არც ქართულ სტატიებში და არც რუსულში“. ამას ასე ხსნიდა: „ქართულში არ ვიღებდი ჯილდოს იმ განზრახვით, რომ ლუკმა პურში არ შევცილებოდი იმ ქართველს მწერლებს, რომელთაც სალიტერატურო შრომის გარეშე არავითარი სახსარი არ აბადიათ. რაც შეეხება რუსულს სტატიებს, ყველა მათგანი გამოსარჩლება იყო ჩვენი ჩაგრული ერისა და ამისთანა სტატიებს კი რუსული გაზეთების რედაქციები მხოლოდ მაშინ ბეჭდავენ, როცა ჯილდოს არა სთხოვთ“...

ცხადია, „მოგებაშვილები“ ასე არ იქცევებიან... არც ეს იყო სიტყვისათვის ნათქვამი, ჩემდა სამწუხაროდ, ხელს ვერ ვუმართავ გაჭირვებულსო. ქველმოქმედება მისი ცხოვრების წესი იყო:

„თავისი შემოსავლის, სულ ცოტა, ნახევარს, ი. გოგებაშვილი საქველმოქმედო საქმეებზე ხარჯავდა. უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობას აძლევდა შემწეობად. იშვიათად გამოზრდილა იმ დროში სა-

შუალო და უმბლეს სასწავლებელში ისეთი ხელმოკლე ახალგაზრდა ქართველი, რომელსაც თავის მიმართ, ამათუიმ გზით, ყურადღება დაემსახურებინოს და ი. გოგებაშვილს, აშკარად ან ფარულად, ერთდროულად ან სისტემატურად, დახმარება არ მიეცეს. იგი ყოველთვის ჰკრეფდა ცნობებს ასეთი ახალგაზრდების შესახებ და გარდა იმისა, რომ თვითონ უგზავნიდა შემწეობას, თავის ნაცნობ-მეგობრებს ცეცხლს უნთებდა მათთვის სტიპენდიის გასაჩენად ან სისტემატური დახმარების დასანიშნავად“ (ფ. გოგიჩაიშვილი)... წერს ერთგან იაკობი: „მართალია, მე იმდენს ვიღებ, რომ თვითონაც კარგად ვცხოვრობ, უნაკლებულოდ, დამოუკიდებლად, და ჩემის ოთხის ძმის ჯვრივ-ობლებს ყოველ წელს ვეწვევი ორმოციოდე თუმნითა, მაგრამ განა ეს მე მესაყვედურება? სასაყვედურო მაშინ იქნებოდა. ძვირად რომ ვყიდდე წიგნებსა“...

და ასეთ კაცს ეძახდნენ „მოგებაშვილს“... ნათელია — ამ გზით უფრო იოლად შეიძლება კაცი გამოიყვანო მდგომარეობიდან და ხელი ააღებინო დიდ საქმეზე... მაგრამ, ცდებოდნენ... არ იყო გოგებაშვილი ის კაცი, რომელიც ასე იოლად აიღებდა ხელს საქვეყნო საქმეზე, მაგრამ ენერგია და ძალა სწორედ იმ საქმეს აკლდებოდა...

და როცა დაწერდნენ ან გააგონებდნენ, გოგებაშვილი თავის სახელმძღვანელოებს კი არა, „თავის შემოსავალს იცავსო, რამდენჯერ უთქვამს მას ამის პასუხად: „პირუტყვს სხვაც პირუტყვი ჰგონიაო“ (ფ. გოგიჩაიშვილი)...

* * *

პოლემიკა თან სდევს იაკობის მოღვაწეობას: ალბათ, არავის ქართველ მოღვაწეთაგან იმდენი ძალა და ენერგია, დრო არ დაუხარჯავს წერილობით დავა-კამათში, რამდენიც იაკობს. არასოდეს თავად არ იყო ინიციატორი პოლემიკისა; მოვუსმინოთ: „უმრავლეს შემთხვევაში ჩემს წინააღმდეგ პოლემიკას სხვები წამოიწყებდნენ ხოლმე, მე კი მხოლოდ თავს ვიცავდი და ამ თავდაცვისას შეტევაზე გადავდიოდი. გარდა ამისა, თუმცა უკანასკნელი სიტყვა მე მეკუთვნოდა, როგორც თავდამცველ მხარეს, ერთობ ხშირად მას მოწინააღმდეგეს ვუთმობდი ხოლმე; სიმატლეს მისდევ და ძალმოსილი, უძლეველი იქნები შეთქი — ვეტყობდი თავს ასეთ შემთხვევაში, და მართლაც, ისეთი მოკავშირის წყალობით, როგორიცაა სიმატლე, ერთხელაც არ დავმარცხებულეარ“...

„ტრაბახი მეკუთვნისო“; — ამბობს ერთგან იაკობი, მაგრამ ეს არ არის სატრაბახო თავმოწონება... ცნობილი ფაქტია: აკაკიმ პოლემიკა შეწყვიტა იაკობთან — არ მინდა იაკობს ვაწყენიო, ის ჩვენი სინამდვილისთვის მეტად გამორჩეული პიროვნებააო...

სიმართლე იყო ჩემი მოკავშირეო, წერდა იაკობი და ეს სიმართლე აძლევდა ძალას... და კიდევ, მოკამათებს მოუწოდებს სალიტერატურო ეთიკის დაცვისაკენ... სალიტერატურო ეთიკა „ჭგომბდა და გმობს, როდესაც პირადი ბოროტება ამოქმედებს რომელიმე მწერლის კალამსა“. უსიამოვნო პირადმა დამოკიდებულებამ შეიძლება ჭეშმარიტებისათვის ალაღატებინოს კალმოსანსო... არადა, ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ხშირია ამგვარი შემთხვევებიო, — ჩიოდა იაკობი, — ეს კი არის „წყარო ყოველის უკადრისობისა და უსამართლობისაო“...

მხოლოდ საკუთარი სახელმძღვანელოები არ არის იაკობისთვის საგანი პოლემიკისა. კავკავის ქართული სკოლის მნიშვნელობა იაკობს სხვაზე უკეთ ესმოდა. ამიტომაც აღშფოთება ვერ დამალა, როცა „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგებამ წერილობითი საჩივარი მიიღო კავკავიდან „შესახებ კავკავის სკოლის დაქვეითებისა აღზრდის მხრივ“... კავკავის სკოლასა და იქაურ პედაგოგებს დამცველებიც აღმოუჩინდნენ: გ. ლასხიშვილი, გ. იოსელიანი, პ. გოთუა, გ. ნათაძე და სხვები. „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“ წერილს წერილზე ბეჭდავენ იაკობის წინააღმდეგ. ათიოდე წერილი გამოქვეყნდა იაკობისა ამ თემაზე. ერთ-ერთი ბოლო „იკლიკანტური“ წერილის პასუხში იაკობი თითქოს აჯამებს და განმარტავს ამ პოლემიკის აზრსა და მიზანს; ესეც ძალზე საინტერესოა იაკობის პოლემიკური პრინციპების გასააზრებლად: „მე არავისი დასჯა არ მწადდა და არც არავისი დაჯილდოება. მე მოწოდებული ვიყავი ხელი მომემართნა ნორმალურის წესწყობილების დამყარებისათვის სკოლაში. მე ამითი ავასრულებდი მხოლოდ ჩემს მოვალეობას და ჩემი სინიღისის ბრძანებას ვემორჩილებოდი. თუ მე ეს იაფად არ დამიჯდა და, სხვათა შორის, შემძღვნა ახალი მტრები, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა იმათის ცხოვრებაში, რომელთაც დღეიზად აქვთ წალმარათი აზრების გახორციელება და არა ამება სხვა-და-სხვა პირებისა“...

საინტერესოა აზრია: პოლემიკა მტერს შეგძენს მაშინ, როცა მოპაექრისათვის მთავარი არაა ჭეშმარიტება; საპირადლო ან რაიმე კერძო

ინტერესი როცა წარმართავს მის ქმედებას, თორემ როცა საზოგადო ინტერესი არის პოლემიკის საგანი და მიზანი, შედეგი სხვაგვარია: „აკაკი წერეთელსა და ჩემს შორის დაწყებული ხანგრძლივი პოლემიკა ქართული ენის გრამატიკული ფორმების თაობაზე იმით დასრულდა, რომ ჩვენი მანამდე უბრალო ნაცნობობა თითქმის მეგობრობად იქცაო“... იაკობი, როგორც პოლემიკის დიდოსტატი — ეს ვრცელი თემაა... იაკობის პოლემიკური კულტურა — მაგალითად უნდა იქცეს თაობებისათვის. და საერთოდ: იაკობის ცხოვრების გზა უნდა უნდა იქცეს მაგალითად ჰუმანიტარული ქართველისათვის...

ასე იღვაწა და იცხოვრა იაკობმა შვიდი ათეული წელი. სიცოცხლის 72-ე წელი საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. 1912 წლის გაზაფხულზე იაკობს გული ცუდს უგრძნობს — გრძნობს აღსასრულის მოახლოებას. სიცოცხლეს თუ ნატრობდა, ისევ „დედაენისათვის“, ეროვნული სკოლისათვის, საქართველოს სიკეთისათვის.

იაკობის ძმისშვილი შალვა გოგებაშვილი იგონებს იაკობის სიცოცხლის ბოლო წუთებს. მითხრავს, „მხოლოდ ის მათეიქრებს, რომ წერა-კითხვის საზოგადოებამ კარგად მოუაროს ჩემს „დედა-ენას“ და გონივრულად მოიხმაროს მისი შემოსავალი. თუ ახლა გადაურჩი სიკვდილს, შეიძლება ცოტა შესწორება შევიტანო ამ მხრივ და შენ, როგორც ახალგაზრდა ეკონომისტი, დახმარება უნდა გამიწიო ამ საქმეში. „დედა-ენა“ დიდი რამეა ჩვენი ერისთვის. მეფე ერეკლეც რომ გვყოლოდა, ეს სახელმძღვანელო ისეთივე იქნებოდა, როგორც დავტოვე ამ ბოლო დროს“, — ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვებიო.

1912 წლის 1 (14) ივნისი იყო...

ძირითადი ლიტერატურა

არბოელი (ნ. ლომოური). იაკობ გოგებაშვილი: იაკობის სამრეკლო, თბ., 1990

ზ. ბოცვაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991

გ. გაგუა, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991

გ. გაგუა, დ. გურგენიძე გ. ხიზარულიძე, იაკობ გოგებაშვილი: რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1989

გ. გოგოლაშვილი, ერთი ეპიზოდი იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან: „ჩვენი მწერლობა“, № 14, 2009

გ. გოგოლაშვილი, ღედაენა“ — ძეგლი სამარადისო, თბ. 2011
ენციკლოპედია ქართული ენა, თბ., 2008

გ. თავაშვილი, იაკობ გოგებაშვილი: იაკობის სამრეკლო, თბ., 1990

იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. I, თბ., 1954

იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. II, თბ., 1954

იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. III, თბ., 1954

იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. IV, თბ., 1955

ი. იმედაშვილი, სინათლის შუქი — სიბნელის მფანტველი: იაკობის სა-
მრეკლო, თბ., 1990

დ. კასრაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1940

არტურ ლაისტი, იაკობ გოგებაშვილი: იაკობის სამრეკლო, თბ., 1990

ნ. ლომოური, იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი: ზ. ბოცვაძე, იაკობ გო-
გებაშვილი, თბ., 1991

დ. ლორთქიფანიძე, დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი,
თბ., 1948

დ. ლორთქიფანიძე, იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი, თხზულებანი ათ
ტომად, ტ. I, თბ., 1954

მატიანე — ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე, მ. საჭაია, იაკობ გოგებაშვილი
— ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, ბიბლიოგრაფიული ქრონიკა 1840-
1912, თბ., 2003

ს. სხირტლაძე, გადანახული საგანძურიდან, თბ., 1965

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

ალ. მიქაბერიძე, ნარკვევი ი. გოგებაშვილზე მოგონებების სახით: ზ.
ბოცვაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991.

შოა მღვიმელი, იაკობ გოგებაშვილი (მოგონება): ზ. ბოცვაძე, იაკობ
გოგებაშვილი, თბ., 1991

რ. ჩხეიძე, ბურჯი ეროვნებისა, თბ., 2007

ნაწილი II. ქართული და ქართველური ენობრივი სივრცე

იაკობ გობეგაშვილი და ქართული სალიტერატურო ენა³ (გოკლე შიმოხილვა)

* * *

რუსთაველის შემდგომ ეპოქაში საქართველოს პოლიტიკურ ერთიანობის რღვევამ, ეროვნული და სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის დასუსტებამ რეალური საფრთხე შეუქმნა ქართულ სალიტერატურო ენას... დიდი იყო უცხო ენათა გავლენა... მაღალი პოეტური ენა რუსთაველისა გადაგვარების საფრთხის წინაშე დადგა...

ვითარება განსაკუთრებით გართულდა XVII-XVIII საუკუნეებში... და ასპარეზზე გამოჩნდა ანტონ ბაგრატიონი — ანტონ I კათალიკოსი. ამ უდავოდ ბუმბერაზმა პიროვნებამ, თვალსაჩინო მოღვაწემ ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა შემოგვთავაზა: ანტონმა „სამი სტილის თეორიის“ დაკანონება სცადა. მიზანი ანტონ ბაგრატიონისა იყო მამულიშვილური, კეთილშობილური: სურდა გაესწორებინა ქართული სალიტერატურო ენის გამრუდებული მაგისტრალური ხაზი; გადაერჩინა ღედაენა... ამ რეფორმის მიზანი კარგად ჩანს ანტონის შეგონებაში: რომ „არა-რა მოყუარება სიბრძნისა იქმნების თვნიერ მართლუბნობისა და წესიერ წერისა“...

მაგრამ შედეგი ანტონისეული რეფორმისა აღმოჩნდა სავალალო: ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის ნაცვლად მივიღეთ სამგვარი ტიპის სამწერლობო ენა — მაღალი სტილის, საშუალო სტილის და დაბალი სტილის (ამის თაობაზე ბევრი თქმულა...)... არ მოხდა ქართული სალიტერატურო ენის გამრუდებული მაგისტრალური ხაზის გასწორება...

ანტონის თეორიამ მისი ავტორის დიდი ავტორიტეტის წყალობით თითქმის ერთი საუკუნე იბატონა... აქ მარტო ანტონის ავტორი-

ტეტის წყალობა არ უნდა ყოფილიყო: განათლებულ ქართველობაში შინაგანი მოთხოვნა იყო „მართლებნობისა და წესიერ წერისა“... სწორედ ანტონი იყო ორიენტირი წიგნიერი ქართულისა...

დადგა XIX საუკუნე... ბუნებრივ ენობრივ კრიზისს რუსული ენობრივი პოლიტიკის სიმწვავეც დაერთო და ქართული ენა უმძიმეს დღეში აღმოჩნდა...

ქართული სალიტერატურო ენის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარებას ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა სჭირდებოდა!..

XIX საუკუნის 60-იან წლებში ასპარეზზე გამოჩნდა ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა

და შედგა რეფორმა...

ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა, რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო, თავისი ხასიათით ისეთივე იყო, როგორიც XII საუკუნეში რუსთველის მიერ ჩატარებული ენობრივი რეფორმა... ძირითადი პრინციპი რეფორმისა ასეთი იყო: სალიტერატურო ენა უნდა იყოს ერთი და იგი უნდა ეფუძნებოდეს საერთო-სახალხო ენას...

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე ილია ჭავჭავაძემ წინა პლანზე დააყენა ქართული ენის უფლებების აღდგენა, ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება და დედაენის სიწმინდისათვის ბრძოლა.

ძირითადი ეტაპი ქართული სალიტერატურო ენის რეფორმისა, რომელიც დაიწყო XIX საუკუნის 60-იან წლებში, დასრულდა 70-იან წლებში იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ გამოსვლით (1876 წ.) და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებით (1879 წ.)...

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის დაწყებული დიდი ეროვნული საქმის გვირგვინი იყო იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობა.

შევეცდებით უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ თემაზე — იაკობ გოგებაშვილი და ქართული სალიტერატურო ენა.

* * *

დედაენას მთავარ ეროვნულ ძალად მიიჩნევს იაკობ გოგებაშვილი და სწორედ ამ ძალას მომართავს იგი ერის სასიკეთოდ. დედაენაზე სწავლის აუცილებლობაც სწორედ ამისთვისაა საჭირო. ამიტომ

იტყვის იგი გულდაწყვეტილი: „ჩვენ გვერდით მცხოვრებმა სომხის ერმა, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, მოიპოვა სრული უფლება — ასწავლოს თავისი ღვიძლი ენა ყოველ დღეს და ყველა საგნები ამ ენაზე არამცთუ ერთკლასიან სკოლებში, არამედ ორს კლასშიაც მთელს რვა წლის განმავლობაში და ჩვენ კი ხელს ვუწყობთ თითქმის მოსპობას ქართულის ენისა და წიგნისას ერთკლასიანს სკოლაშიაც“ (გოგებაშვილი, IV. 345).

ეს არის კომენტარი „სახალხო გაზეთში“ (1910. № 78) დაბეჭდილ ვინმე ქილაძის წერილზე; უფრო სწორად, იმ აზრის შესახებ, რომ ქართული ენა გამოუსადეგარი ენააო: „მშობლები ხშირად ამბობენ სკოლისადმი საყვედურსა, რომ იქ რუსულის ენის სწავლებას ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე ქართულის ენისა, რომელიც გამოუსადეგარი არისო“. იაკობის აღშფოთებას განსაკუთრებით იწვევს ის, რომ „უჩინო ავტორი“ (ი. გოგებაშვილის სიტყვებია) გურიის სახელით საუბრობს: „საქართველოს იმ კუთხეშიაც კი, რომელიც კულტურულათ, დაწინაურებულათ ითვლება, სხვა მხარეებთან შედარებით, გურიაში ხშირათ შეხედებით ამის მაგალითსა: ქართული ენა და „დედაენის“ კითხვა მე კაი ხანია კარგათ ვიცი, მაგრამ ეს ჩემთვის გამოუსადეგარია, ბავშვებს სკოლაში იმიტომ ვაბარებ, რომ ორიოდ რუსული სიტყვა ისწავლოსო“.

ეს რომ „სიცრუეა და ცილისწამება“, ამის საინტერესო მაგალითები მოპყავს ი. გოგებაშვილს, მაგრამ არსებითი ისაა, რომ ამ სიცრუესა და ცილისწამებას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ქვეყნისათვის, ხალხისათვის: „ყველა ხალხს მშობლიური ენა მიაჩნიათ განათლებისა და განვითარების დედა-ბოძათ და მის ფართო დაყენებაზე სკოლებში დაუცხრომლათ ზრუნავს“ (გოგებაშვილი, IV. 343);

„სიკვდილის გზას ადგია ყოველი ენა, რომელიც გამეფებული არ არის ოჯახსა და სკოლაში... იზრდება, ძალით და ღონით იცნება ყოველი ენა, რომელიც მეფობს ოჯახსა და სკოლაში“ (გოგებაშვილი, IV. 89). ოჯახის დამსახურება — ეს ერთი მხარეა ენის სიცოცხლისა, სიძლიერისა... ი. გოგებაშვილი ეროვნული სკოლის თავგაცია და ამიტომაც განსაკუთრებულ ყურადღებას ქართული სალიტერატურო ენის

განვითარებაში სწორედ ეროვნული სკოლის დამსახურებაზე ამახვილებს... თუმცა მარტივად და უბრალოდაა ნათქვამი „ამახვილებს“; ყველაფერს გვერდზე გადადებს და სიცოცხლეს მიუძღვნის ეროვნულ სკოლას.

რა არის ეროვნული სკოლა ი. გოგებაშვილისათვის? გვანსოვს, რა თქმა უნდა, ი. ჭავჭავაძის შეგონება: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან: **მამული, ენა და სარწმუნოება**. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“ (ჭავჭავაძე, III. 27). ეს 1860 წელს ითქვა.

ი. ჭავჭავაძე რომ ი. გოგებაშვილისათვის უდიდესი ავტორიტეტია, ფაქტია. გავიხსენოთ: ი. გოგებაშვილს 1900 წელს იუბილეს გადახდა შესთავაზეს. გაზეთ „ივერიის“ (1900. № 43) „ახალ ამბებში“ ცნობა იყო მოთავსებული: „როგორც შევიტყუეთ, ბ-ნ იაკობ სიმონის-ძის გოგებაშვილის პატივისმცემელთ, მისდა პატივისაცემლად, მისის სალიტერატურო და საპედაგოგიო ასპარეზზედ მოღვაწეობის 35 წლის შესრულებისა გამო, განუზრახავთ სადილი გამართონ. სადილის გამართვის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული“. იაკობი შეწუხებული ჩანს ამ „ახალი ამბის“ გაგებით; წერილს მისწერს რედაქციას: „როგორც თქვენი ახალი ამბებიდან სჩანს, ზოგიერთ ქართველს მოუწადინია გამართონ საიუბილეო სადილი. დიდ მადლობას მოვახსენებ და ვთხოვ დიდი თხოვნით, ხელი აიღონ ამ თავის წადილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადილი უჩემოდ ჩაივლის. ჯერ ქართველმა საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც მას აწევს კისერზე შესახებ ჩვენის მთავარ-მოღვაწეებისა, რომელთაც ჩემზე უფრო დიდხანს უმოქმედნიათ და ჩემზედ უზომოდ მეტი გაუკეთებიათ. ჯერ იალბუხსა და მუინვარს ღირსეული იუბილეები გაუმართონ, და მერე გაუწიონ თავაზიანობა სერებსაც, თუ არ დაუშლიათ“ (გოგებაშვილი, III. 197).

მყინვარი მთავარმოღვაწე ილია ჭავჭავაძეა, **იალბუხი** — მთავარ-მოღვაწე აკაკი წერეთელი; **სერი** — თავად ი. გოგებაშვილი... ეს ბარათი „ივერიამ“ დაბეჭდა (1900. № 45).

ილიასადმი იაკობის განსაკუთრებული დამოკიდებულება ამ ქვეშარიტებაშიც ჩანს: „იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონ-

დეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“ (გოგებაშვილი, IV. 215).

ღიას, ილია იაკობისათვის უდიდესი ავტორიტეტია და, რა თქმა უნდა, იგი იზიარებს აზრს სამი **ღვთაებრივი საუნჯის** შესახებ; ოლონდ ესაა, იაკობი მას **ეროვნების ბურჯს** უწოდებს და, რაც ღიდად მნიშვნელოვანია, მეოთხე ბურჯს დაუმატებს — **ეროვნულ სკოლას**. იტყვის, ჩვენი ეროვნულობა ოთხ ბურჯზე დგასო:

პირველი ბურჯი: „საძირკველს ნაციონალურის ძალისას შეადგენს **ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო...** წაართვით ერს მისი მიწა-წყალი, მისი ტერიტორია, და იგი დაჰკარგავს არა მარტო ნიადაგს არსებობისას, არამედ მოსწყდება იმ დიდებულს სულსაც, რომელიც სამშობლოში ტრიალებს“.

„მეორე ბურჯი ერის აღორძინებისათვის გახლავთ **სამშობლო ენა**. ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე“...

„მესამე ბურჯი ერის წარმატებისა გახლავთ **სკოლა**. რომელ ქვეყანაშიაც კი უმრავლესობათ სკოლები, ყველგან მათ მოუხდენიათ საოცარი ძირითადი ცვლილება: ერი გამდიდრებულია ცოდნით, ამალღებულია ზნეობით, ავსილა დოვლათით“...

„მეოთხე ბურჯი ერის წარმატებისა არის **ეკლესია**... თუ საქართველომ მთელის თხუთმეტის საუკუნის განმავლობაში გაუძლო აუარებელს და მძლავრს მტრებს და კავკასიაში დიდი ადგილი დააქერინა მართლ-მადიდებელს ქრისტიანობას, ამისათვის უაღრესად უნდა ვუმადლოდეთ ქართულს ეკლესიასა“ (იაკობი, III. 245-249).

* * *

ეროვნული სკოლა ი. გოგებაშვილისთვის ეროვნულობის უმთავრესი ბურჯია. ეროვნული სკოლა დედაენას უნდა ემყარებოდესო... ეს ერთ-ერთი მთავარი თემაა იაკობის მოღვაწეობისა.

რით აძლევს ძალას დედაენას ეროვნული სკოლა? — **სწორი გეზი სწავლებისა, სწორად შედგენილი სახელმძღვანელოები** — ესააო არსებითი!

ი. გოგებაშვილი ასეთ მოგონებას გვთავაზობს: „ამ ოცდაათი წლის წინათ ჩვენს სასწავლებლებში გრამატიკა იოსელიანისა ქართუ-

ლი ენის სახელმძღვანელოდ იყო მიღებული. ვერ წარმოიდგენს მკითხველი, რა ჭირივით მეჯავრებოდა ქართული ენის გაკვეთილები და რა სიძულვილი ჩამისახა გულში დედა-ენისა ამ გრამატიკამ იმ დრომდინ, ვიდრე იგი არ შემაყვარეს ჩვენმა მაღალნიჭიერმა პოეტებმა და ლიტერატორებმა“ (გოგებაშვილი, II, 90). ამიტომაც ანიჭებს უდიდეს მნიშვნელობას იაკობი კარგად შედგენილ სახელმძღვანელოს; ამიტომაც ზრუნავს ასე თავდადებით სახელმძღვანელოთა შედგენაზე: **სახელმძღვანელომ უნდა შეაყვაროს მოზარდს დედაენა.**

ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოების ენას იწუნებენ; ედავებიან, შენი სახელმძღვანელოების ენა არააო გასაგები ყოველი კუთხის ქართველთათვისო. იაკობი იძულებულია, განმარტოს, ამ თვალსაზრისით როგორ მუშაობს სახელმძღვანელოს ენაზე. მისთვის, როგორც აღმოსავლელი კაცისთვის, დასავლური ქართულის „მთავარი ექსპერტი“ აკაკი წერეთელია. წერს: „რამდენიმე წლის წინად „დედა-ენის“ ანბანში, აკაკის დახმარებით, გამოვტოვეთ ყველა ის სიტყვები, რომელნიც დასავლეთ საქართველოში არ იხმარებიან, აგრეთვე გამოვტოვეთ სურათები, რომელთაც იქ სხვა სახელი ჰქვიათ, მაგალითად ლოქო, რომელსაც იქაურად ღლაფი ეწოდება“ (გოგებაშვილი, IV, 317). ეს თემა იაკობისთვის ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. საგანგებოდ მსჯელობს, „დედა-ენის“ საანბანე ნაწილში რატომ შეიტანა **თითა**, რომელიც დასავლელი ბავშვისთვის უცხოა, მაგრამ საანბანე ტექსტის აუცილებლობა ითხოვდა: „ვერ გამოვტოვე იმის გამო, რომ აქ ყოველი შემდეგი სიტყვა, გასაადვილებლად კითხვის პროცესისა, უნდა იწყებოდეს იმ მარცვლით, რომლითაც მთავრდება წინა სიტყვა. აი ეს გაკვეთილი: **ა-თი, თი-თა, თა-თი, თითი**. შეიძლება დასავლეთ საქართველოში ყველგან არ იცოდნენ, რომ **თითა** გრძელ მარცვლოვანს ყურძენსა ჰქვიათ, მაგრამ ამით არა წახდება-რა“ (გოგებაშვილი, IV, 317).

ამ მაგალითს იაკობი გამოყოფს იმ შემთხვევებისაგან, როცა ერთსა და იმავე საგანს აღმოსავლეთსა და დასავლეთში სხვადასხვა სახელი ჰქვია; ასეთი სინონიმების ცოდნა ქართული ენის ნებისმიერი წარმომადგენლისათვის აუცილებელია, ოღონდ ეს მოგვიანებით უნდა შეისწავლოს მოსწავლემო: „რაც შეეხება „დედა-ენის“ მეორე ნაწილსა, აქ ჩვენ თვით ტექსტში, აკაკისავე დახმარებით, ამერს ტერმინებს

გვერდში ამოვუყენოთ იმერი სინონიმები... ამ ხერხის წყალობით იმერი ბავშვები სრული შეგნებით ითვისებენ ამიერ სინონიმებსა და ამიერი მოსწავლენიც უნებლიედ სწავლობენ კითხვის დროს იმიერ სინონიმებსა, და ამ სახით ლექსიკონი სიტყვისა ორივე მხარეს უმდიდრდება“ (იაკობი, IV. 317). კიდევ ერთი ციტატა დასტურად იმისა, რაც ვთქვით: ერთმა იმერმა „ჩვენის თხოვნით გულდასმით გადაიკითხა „დედა-ენა“, დაგვისახელა იმერელთათვის გაუგებარი სიტყვები და ჩვენ ისინი, საცა კი შეიძლებოდა, შევცვალეთ იმისთანა სიტყვებზედ, რომელნიც იხმარებიან იქით და აქეთ საქართველოში. რასაკვირველია, „დედა-ენაში“ კიდევ მოიძებნება რაოდენიმე სიტყვა, იშვიათად სახმარი იმერეთში, მაგრამ მათ ბავშვი გაიგებს ან აზრის მიმდინარეობით, ან მასწავლებლის შემწეობით... ბლოს ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში იხმარებიან იმისთანა გამოთქმანი, რომელნიც ზედგამოჭრილნი არიან საგანზედ, აზრზედ და რომელნიც იშვიათად იხმარებიან დანარჩენს კუთხეში“ (გოგებაშვილი, I. 299-300).

მსჯელობა მკაფიო და ნათელია: სალიტერატურო ენის ღრმად შესწავლისათვის, დაუფლებისათვის აუცილებელია სწორედ ლექსიკური მარაგის გამდიდრება; სრულიად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ სიტყვათა გაცნობა... პედაგოგთათვის და სახელმძღვანელოთა ავტორთათვის საგულისხმოა კიდევ ერთი მსჯელობა: „მართალია, ეს გლენობა (იგულისხმება დასავლეთის გლენობა — გ.გ.) აქა-იქ შეხვდება წიგნის ტექსტში აღმოსავლეთის სინონიმებს, რომელთა ნაცვლად დასავლეთის საქართველოში სხვა სინონიმები იხმარება; მაგრამ უცნობს სინონიმებს კითხულობს იგი არა ცალკე და განმარტობულად, არამედ ფრაზებში, რომლის ყოველი სიტყვა, ერთის გარდა, კარგად ესმის, და ამ სიტყვების შემწეობით ტყობილობს მნიშვნელობას უცნობის ტერმინისასა“ (გოგებაშვილი, IV. 318)...

საინტერესო მსჯელობა პასუხია გაზეთ „დროებაში“ მასწავლებელ მიხ. კვაჭაძის კრიტიკულ წერილზე („ორიოდე სიტყვა სახელმძღვანელოზე“, 1909, № 239). დასკვნა იაკობის წერილისა ძალიან საინტერესოა: „ამგვარს გაზვიადებას (იგულისხმება კრიტიკის ტონი — გ.გ.) ჩვენ უნდა ვერიდოთ, რადგანაც მას შეუძლია ხელი შეუწყოს პროვინციალურს სეპარატიზმს, რომელიც უფრო მეტად იქნება მავნებე-

ლი, ვიდრე იყო ჩვენი ისტორიული პოლიტიკური სეპარატიზმი, რომელმაც დააქუცმაცა ჩვენი ქვეყანა, დააუძლურა და მტრების ლუჯ-მად აქცია“ (გოგებაშვილი, IV, 319).

ეს კიდევ ერთხელ მინიშნებაა სალიტერატურო ენის, შესაბამისად ამ ენაზე შექმნილი სახელმძღვანელოების მნიშვნელობაზე ეროვნული მთლიანობის აღსადგენად, შესანარჩუნებლად. ესაა სწორედ ის აზრი, რომელსაც ილია დაბეჯითებით ამტკიცებდა: „დიდმა და პატარამ შეიტყოს და გაიგოს, რა ღონეა დედა-ენა სკოლისათვის და საეროსათვის საკუთრივ“ (ჭავჭავაძე, IV, 1987, 195).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში იყო უაღრესად აქტიური ბრძოლა ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრებისათვის. არ არის შემთხვევითი ის ფაქტი, რომ მთავარ „დარტყმას“ იაკობ გოგებაშვილი იღებს. აკაკი წერეთელი წერს: „ბატონმა დოდაშვილმა, გიორგი წერეთელმა და მე დავსკვნით პირობა, რომ „კვალისათვის“ კიდევ ერთი განყოფილება მიგვემატებია — „სასწორმეტყველო“ და ჩვენს მწერლობაში როცა შევნიშნავდით ურიგო ქართულს, გვემხილებია ხოლმე. პირველი სანიმუშო ისარი მე გავტყორცნე და იმ ისარმაც ყურთან გაუზუზუნა ბატონ იაკობ სიმონიძეს. ბატონი იაკობი მისთანა კაცია, რომ ბუხსაც არავის ააფრენინებს, თვარა ყურთან ისრის გაზუზუნებას როგორ აიცილენდა? ეს ჩვენ წინდაწინვე ვიცოდით, მაგრამ პირველად სიმონიძეს იმიტომ გამოვეთამაშეთ, რომ ის სხვებზე უფრო შესამჩნევია: ისა ზრდის და ისა წვრთნის ქართველ ახალგაზრდობას, ენასაც ყველა მისგან სწავლობს და, მაშასადამე, იმის მცირე შეცდომასაც უფრო მეტი ვნების მოტანა შეუძლია, ვიდრე სხვისას“ (წერეთელი, XIII, 14).

ცხადია, ეს იაკობმაც იცის — მის მცირე შეცდომასაც დიდი ზიანის მოტანა რომ შეუძლია ქართული ენისათვის და, შესაბამისად, ქართველი ხალხისათვის. ცოტა რომ გადავუხვიოთ, კორექტურის მიმართაც იმიტომ აქვს მას გამძაფრებული ყურადღება. შალვა გოგებაშვილის მოგონებიდან: „კორექტურას იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა; ამ საქმეში ყველას იშველიებდა; ასოთამწყობებს, გამოცდილ კორექტორებს, ამხანაგებს, ნაცნობებს და უცნობებსაც კი, რომელთაც თითოეული შეცდომის აღმოჩენაზე შაურს აძლევდა ჰონორარად“ (სა-

მრეკლო, 364). გავითვალისწინოთ: საანბანე წიგნი ორი შაური ღირდა!.. იგონებენ, თურმე ქალაქის თავს, ვასილ ჩერქეზიშვილს, სთხოვდა კორექტურის წაკითხვას — კარგი თვალი აქვსო...

ადვილი წარმოსადგენია, კორექტურულ შეცდომას რომ ასეთ მნიშვნელობას ანიჭებდა, ენობრივი შეცდომა რა ფასისა იქნებოდა მისთვის!

იაკობის სახელმძღვანელოები — „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ — იყო სრულიად საქართველოში ქართული ენის სახელმძღვანელოები. იაკობის ენობრივი ნორმა საყოველთაო ნორმად იქცეოდა. თავად იაკობი მიანიშნებს ამის თაობაზე ერთ-ერთი კრიტიკოსის საპასუხო წერილში: „ეს პატარა, იაფი წიგნაკი (იგულისხმება „დედა ენის“ პირველი ნაწილი — გ. გ.), შემკული მრავალი სურათით და დედნით, პატარა მინონოსკასავით, ნაღმოსანივით მისცურავს სოფლებში, შეისრიალებს ხეობებში, ადის მთაში, უწევს ოსეთსა და ქისტეთსა და ჰბადავს მოთხოვნილებას და სიყვარულს ქართულის მწიგნობრობისას“ (იაკობი, IV. 499).

ამას გულისხმობდა შალვა დადიანი: „დედა ენა“ ამაფეთქებელი ნაღმოსანით მისრიალდა ჩვენს მიუვალ მთა-კლდეებში — თუშეთსა და სვანეთში, მიდიოდა ბარად. შეუყვებოდა აჭარასა და მესხეთს და ყველგან სძრავდა ენას საქართველოდ, ყველგან აფეთქებდა გრძნობას ეროვნულსა“.

კიდევ ერთი დასტური ამ თვალსაზრისით „დედა ენის“ მნიშვნელობისა: ზ. ჭიჭინაძის აზრით — „გოგებაშვილმა თავის „დედა ენაში“ აღადგინა დაცემული ენა ქართველთა... და ამ წიგნის მეოხებით მთელი ქართველობა, ყველა თემისა და ხეობის მონათესავენი ერთის ქართული ენით იწყებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაპარაკს, ყველგან ამ წიგნის მეოხებით ქართული ენა ეფინება“.

აკაკის შეფასება: „იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართულის ენის სიტკბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა“... (შ. დადიანის, ზ. ჭიჭინაძისა და აკაკის შეფასებებს ვიმოწმებთ წიგნიდან: გ. გოგოლაშვილი. ი. ავალიანი, „დედაენა“ — წიგნთა წიგნი, 2001).

იაკობ გოგებაშვილს თავისი მართლწერა აქვს შემუშავებული და ამ წესებს ამკვიდრებს თავის სახელმძღვანელოებში. იგი არავის აძლევს უფლებას (იგულისხმება რედაქციები), შეცვალონ მისი მართლწერა. „ჩეჩილის“ რედაქციიდან მიუწერიათ იაკობისთვის: „თქვენ არავის აძლევთ ნებას ენას შეეხონ, ჩვენ კი უცვლელად არავის ვებუდავთ ამ ბოლო ხანებში“ (გოგებაშვილი, III. 75).

ეს ის პერიოდია, როცა არ არსებობს ერთიანი ქართული სალიტერატურო ენა, ერთიანი ნორმები. ყოველ რედაქციას თავისი პრინციპები აქვს. ამის თაობაზე თავის დროზე ვაჟაც ჩიოდა და მოითხოვდა, ენობრივი შესწორებანი არ შეეტანათ მის ნაწერებში. იაკობს, როგორც ჩანს, ძნელად უბედავენ შესწორებას, მაგრამ მაინც სჭირდება განმარტება: „**ჩემი მართლწერა (...)** მიმაჩნია ქართულ ლიტერატურულ მართლწერად, რომელსაც მისდევდნენ ბოლოს დრომდე საზოგადოდ ქართველი მწერლები იმერნი და ამერნი, ყველა ჩვენებური პერიოდული გამოცემანი აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველოსა“ (გოგებაშვილი, IV. 456) .

იაკობმა იცის, რომ დედაენის მდგომარეობა სავალალოა. უკომპრომისო, პრინციპული პოზიციის დაჭერაა საჭირო, რომ ეშველოს ქართულ ენას. ამიტომ მისი თავგამოდება არ უნდა გაუკვირდეთ: „ქართული ენის ბედი რომ ნორმალურს მდგომარეობაში იყოს, ჩვენ ყურსაც არ გავიბერტყავდით, კრინტსაც არ დაეძრავდით, რადგანაც მაშინ წიგნს თავის-თავად ეწეოდა ის ბედი, რისაც ღირსია იგი“ (გოგებაშვილი, III. 95).

მართლწერისათვის იაკობი საინტერესო ტერმინებს გვთავაზობს: **მთავარი მართლწერა, საზოგადო მართლწერა, ინდივიდუალური მართლწერა, პროვინციალური მართლწერა.**

ინდივიდუალური მართლწერა მთავარი მართლწერის (საზოგადო მართლწერის) სახესხვაობაა, მცირეოდენი განსხვავებით; როგორც ჩანს, აქ უფრო სტილურ თავისებურებებს გულისხმობს ავტორისას: „ბოლოს ხანამდის ქართულ ლიტერატურაში მიღებული იყო ერთი მთავარი მართლწერა, მცირეოდენი ინდივიდუალური განსხვავებით, რომელსაც მე მივდევი“ (გოგებაშვილი, IV. 456).

იაკობის სახელმძღვანელოებში შესული ნაწარმოებები სწორედ ამ მართლწერის (იაკობის მართლწერის) წესებს ექვემდებარება. საგანგებოდ მიანიშნებს იმის თაობაზე, რომ აკაკის ნაწარმოებებსაც კი ამ წესს ვუქვემდებარებო: აკაკის „ხელთაწერი ჩვენ ხელუხლებლივ ვერ დავბეჭდეთ. მასში ჩვენ, თანახმად პედაგოგიურის მოთხოვნისა და ბავშვის ფსიქიკისა, ჩვენ მოვანდინეთ შიგა და შიგ ზოგიერთი ცვლილება“ (გოგებაშვილი, IV. 244) და ეამაყება ის, რომ აკაკიმ თავის წიგნში სწორედ იმ სახით შეიტანა იაკობის მიერ გასწორებული ნაწარმოებები, როგორც „დედა ენაში“ დაიბეჭდა. რა სახის იყო ეს ცვლილება, აქ არ ჩანს, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ იაკობი ენობრივად ბევრ საკითხში არ ეთანხმება აკაკის (ცნობილი ხანგრძლივი პოლემიკა ამის დასტური). ასე რომ, სახელმძღვანელო ერთ ნორმებზე უნდა იყოს აგებული. სხვადასხვა ავტორის (ილიასა და აკაკისაც კი...) თუ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები იაკობის ქურაში გაივლის.

ვთქვით, იაკობი დაუნდობელია სალიტერატურო ენის ნორმათა დამრღვევის მიმართ, თუმცა ისიც ვთქვათ: ძირითადად ენობრივ შეცდომათა ორ ჯგუფს გამოყოფს: ა) **წვრილმანი და უნებლიე** და ბ) **„ბლომი მნიშვნელობის“** მქონე:

„ეს ლეფექტები წვრილმანია და უნებლიეთნი, რომელნიც არავითარს ზიანს ჩვენს ენას არ აყენებენ“ (იაკობი, IV. 464).

„მართლწერას ენაში მხოლოდ მაშინ აქვს ბლომი მნიშვნელობა, როცა მისი დარღვევა არღვევს აზროვნებას, ხელს უშლის მას“ (გოგებაშვილი, IV. 464).

აი, ამ უკანასკნელი ტიპის შეცდომები „რეგრესულია და ენის გადატაკებას უწყობს ხელს“ (იქვე). სალიტერატურო ენის რაობაზე, მართებულ და არამართებულ ფორმებზე ხშირია საუბარი იაკობთან. მან ამ თემაზე რამდენიმე პოლემიკაც გადაიტანა.

გამოსვლისთანავე დაუწყეს ბრძოლა „დედა ენას“. წერს ერთგან იაკობი: „რაც მე დრო და შრომა მოვანდომე ჩემის სახელმძღვანელოების შედგენას და ხან-გამოშვებით გაუკეთესებას, ათი იმდენა დრო და შრომა მომიხდა მათი დაცვისათვის სხვა და სხვა ცილისწამებისაგან“ (გოგებაშვილი II. 179). ერთ-ერთი ცილისწამება სწორედ ენობრივი გაუმართაობაა „დედა ენისა“. გავიხსენოთ: „ცილისწამება ჰქვიან იმისთა-

ნა სიცრუეს, რომელშიც შედის ბოროტი განზრახვაო“ (გოგებაშვილი, IV. 407), — ბრძანებს იაკობი ერთგან და ამით მიანიშნებს იმაზე, რომ „დედა ენის“ წინააღმდეგ გალაშქრება ბოროტებაა...

იაკობისთვის ყველაზე დიდი ბრალდება (ცილისწამება) ენის უცოდინარობის დაბრალებაა. აკაკის წერილის გამო თქვა: „მივაქციოთ ჩვენი ყურადღება მხოლოდ ენის უცოდინარობის დაბრალებას“ (გოგებაშვილი, II. 341) და ამ „დაბრალების“ გამო გაიმართა XIX საუკუნის პრესაში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და საინტერესო პოლემიკა.

როგორც ვთქვით, თავისი მართლწერა იაკობს მიაჩნია წმინდა, ლიტერატურულ მართლწერად (კარგ ქართულს ასე ახასიათებს: „წმინდა ქართული ენა და შესაბამისი კილო“ — რაფიელ ერისთავზე იტყვის — გოგებაშვილი, I. 272). არალიტერატურულ, არაწმინდა ქართულს — პროვინციალურს უწოდებს.

სილოვან ხუნდაძე გაეპაექრა იაკობს — ქართული დაუწუნა. იაკობი თვლის, რომ გაზეთ „კოლხიდაში“ სილოვანს „ჩუთურად შეაქვს თავისი პროვინციალური მართლწერა ჩემს სტატიებში, ნაცვლად ჩემის ქართულ-ლიტერატურულის მართლწერისა, რომელსაც მისდევენ ყველა ქართველნი მწერალნი იმერნი და ამერნი და ყველა პერიოდული გამოცემანი აქეთა და იქითა საქართველოსი“ (გოგებაშვილი, IV. 429).

იაკობი ამ კამათში კიდევ ერთხელ განხზავს იმას, რომ ერთიანი სალიტერატურო ენა ამთლიანებს ერს; ენობრივი მთლიანობის დაკარგვა ეროვნულ მთლიანობას დაშლისო: „მთავარ საგნად მან (სილოვანმა — გ.გ.) გაიხადა რაღაც პროვინციალური მართლწერის შემოღება და გავრცელება და ისეთი ჭირვეულობით მიჰყავს ეს უმნიშვნელო საკითხი, რომ ჰბადებს განხეთქილებას იმერთა და ამერთა შორის... ეს ხომ ნამდვილი პროვოკაციაა, რომელიც ხელს უწყობს ძმათა შორის განხეთქილებასა, პროვინციალურს სეპარატიზმსა, და ყოველს მტერს ჩვენის ქვეყნისას სიტყობებით ავსებს“ (გოგებაშვილი, IV. 454).

ერთ რომელმე კუთხეში გავრცელებული თუ რომელიმე პირის მიერ ნახმარი ფორმა არ შეიძლება ჩაითვალოს ლიტერატურულ ფორმად (გოგებაშვილი, II. 381); ის პირი თუნდაც აკაკი იყოს (ამას კ. ლოდაშვილთან კამათში ამბობს). ისეთი ავტორიტეტული პირი, როგორც

აკაკია, განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოს, რომ მისი ავტორიტეტის წყალობით არ დამკვიდრდეს ენაში უსწორო ფორმა: „მაშასადამე **ჭკვიერი** არის უხეირო, ნაძალადევი ჩიქორთული და მის ხმარებას აკაკი უნდა ერიდოს, რადგანაც თავისი ავტორიტეტის გამო ეს მდარე, შეუსაბამო ფორმა შეიძლება დაამკვიდროს ლიტერატურაში, ქართულის ენის საზიანოდ“ (გოგებაშვილი, II. 385).

თავად ის პოლემიკა აკაკისთან (და „კვალის“ ავტორებთან) ბევრი რამით არის საინტერესო. უპირველესად იმით, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული მოკამათე წმინდა, სალიტერატურო ქართულს; მეორე — რამდენად უკომპრომისონი და თავდადებულნი არიან ენობრივ საკითხებზე მსჯელობისას; მესამე — თითოეულის პოზიცია შემაგრებულია თეორიულად და პრაქტიკულად; და მთავარი, უფრო სწორად, უმთავრესი ავტორიტეტი არის **ქართული ენა** და მის წინაშე ყველანი ვალდებულნი ვართ, გონივრულად მოვიქცეთ.

ორიოდე მაგალითი იაკობის მსჯელობიდან; აკაკის საპოლემიკო წერილი გვახსოვს: იაკობს დაუწუნა ფორმა **გალიარებ**; სწორია **აღგია-რებო**, — წერდა აკაკი. იაკობი: „**აღგიარებ** ძველი ფორმაა, **გალიარებ** ახალი, ორივე კანონიერია“ (გოგებაშვილი, II. 341); ე.ი. ენის ისტორიის თვალსაზრისით ერთი ცვლის მეორეს: „საღმრთო წერილში ასეა ნახმარიო... მაგრამ საღმრთო წერილის ენაზედ მეთავე საუკუნიდან აღარა სდგას საქართველო და ახლა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს როგორ დაეუბრუნდეთ... განა ეს ათი საუკუნით უკან გადახტომა არ იქნება?“ (გოგებაშვილი, II. 345). შემდეგ თეორიული მსჯელობა: „საკამათო ზმნად გამოიარა სამი ფაზისი, სამი გვარი ცვლილება: **აღ-ვი-არო**, **ვ-აღ-ვი-არო**, **ვ-აღ-ი-არო**... პირველი ფორმა არის **ძველი კლასიკური**, მეორე შუალა, მესამე ახალი. შუალა ფორმა ძლიერ გავრცელებულია ხალხში და იხმარება იმისთანა ქართულის ენის მცოდნეთაგან, როგორც არიან თ. ი. ჭავჭავაძე და თ. ს. გუგუნივა, მაგრამ იგი უნდა ჩაითვალოს მძიმე ფორმად... უკანასკნელი ფორმა გავრცელებულია შუაგულს საქართველოში და იხმარება მწერლობაში ქართველ ლიტერატორთაგან. იგი უნდა მივიჩნიოთ დაწინაურებულ, პროგრესულ ფორ-

მად, რომელიც შემდგომში მიუცილებლად გააუქმებს ორსავე დანარჩენ ფორმას“ (გოგებაშვილი, II. 414-415).

ამ მსჯელობაში ერთი რამ არის ძალზე საგულისხმო: იაკობი ფორმაცვალების ისტორიას ითვალისწინებს და კი არ აცხადებს რომელიმე ფორმას უკანონოდ, უპირატესობას აძლევს ერთ-ერთ მათგანს, **დაწინაურებულ, პროგრესულ** ფორმად მიიჩნევს; აკაკი ფაქტობრივ კრძალავს **ვადიარებ** ფორმას; იაკობი ითხოვს, აკრძალვა მოეხსნას, არ აიკრძალოს... იგი არც **ადვიარებ** ფორმის აკრძალვას ითხოვს; ფორმათა გავრცელების ტენდენციის გათვალისწინება მას აიძულებს, რომ **ვადიარებ** „შემდგომში მიუცილებლად გააუქმებს ორსავე დანარჩენ ფორმას“. ამის იმედს ის აძლევს, რომ „ეს უკანასკნელი ფორმა გავრცელებულია მთელს აღმოსავლეთს საქართველოში, ზემო იმერეთში, რაჭაში და იქნება სხვა იმიერს კუთხეებშიაც. წიგნის მკაზმავმა ვასილ ყიფიანმა, ქვემო იმერეთის მცხოვრებმა, მითხრა: **ადვიარებ** მხოლოდ ეკლესიაში გვესმისო, ეკლესიის გარედ კი გლეხები ყოველთვის ვამბობთ: **ვადიარებ ან ვადვიარებ**“ (გოგებაშვილი, IV. 461)...

ასე აქვს გამოკვლეული ეს ფორმა იაკობს: წარმოგვიდგენს მის ისტორიას, ჩაატარებს მორფოლოგიურ ანალიზს, გამოიკვლევს მისი გავრცელების სიხშირეს და მერე აკეთებს დასკვნას.

საინტერესოა ერთი ფაქტიც: კი სჯერა, რომ სიმართლე მის მხარესაა, მაგრამ მაინც მეტი ობიექტურობისა და სამართლიანობისათვის — მიაჩნია, რომ ნორმის საკითხი ინდივიდუალურად არ უნდა წყდებოდეს; ენობრივ საკითხს, უფრო სწორად, ნორმის საკითხს, საგანგებო კომისია უნდა წყვეტდეს. წერს:

„მსგავსს საკითხებს რუსეთში სწყვეტს მეცნიერებათა აკადემია, ჩვენი სამეცნიერო აკადემია არის „წერა-კითხვის საზოგადოება“. აი ამ საზოგადოების გამგეობამ უნდა აირჩიოს ექვსიოდე ქართველი ინტელიგენტი, საფუძვლიანი განათლებით აღჭურვილი, ევროპიულის ენების და ჩვენი ქართული ენის კარგი მცოდნე, შეადგინოს კომიტეტი, რომელმაც უნდა დაავალოს — განიხილოს მართლწერა ბ-ნი სილოვან ხუნდაძისა და მისი ავკარგის შესახებ ვრცელი მოხსენება წარუდგინოს გამგეობას. კომიტეტის წევრებად უნდა იყვნენ არჩეულნი ნახევრად იმერნი და ნახევრად ამერნი. ჩემის მხრივ დავასახელებ სამს იმერს ინ-

ტელიგენტს კომიტეტის წევრებად; ესენი არიან: ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე, რომელიც მთელს ზამთარს თბილისში რჩება, ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილი და ივანე გედევანის ძე გომართელი. პირადად მე დავემორჩილები ყოველს გადაწყვეტილებას არჩეულის კომიტეტისას იმ შემთხვევაშიც, თუნდაც არ ვეთანხმებოდე ზოგიერთ რამეში, და შესაბამ ცვლილებას შევიტან ჩემის წიგნების და ნაწერების მართლწერაში“ (გოგებაშვილი, IV. 465-466).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იაკობის მიერ ქართული ენობრივი სივრცის სწორმა გააზრებამ და სალიტერატურო ენის როლის მართებულმა შეფასებამ, ხელი შეუწყო ქართველთა ენობრივი და ეროვნული მთლიანობის შენარჩუნებას; უდიდესია იაკობის როლი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში; ამ მხრივ XIX საუკუნის მოღვაწეთა შორის იაკობ გოგებაშვილი ერთ-ერთი უპირველესია.

ლიტერატურა

გოგებაშვილი — იაკობ გოგებაშვილი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად: ტ. I, 1955; ტ. II, 1954; ტ. III, 1954; ტ. IV, 1955; ტ. VI, 1958.

ქავჭავაძე — ილია ქავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად: ტ. III, 1956.

წერეთელი — აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIII, 1961.

იაკობის სამრეკლო, (წერილებისა და მოგონებათა კრებული), 1990.

ქართველური ენობრივი სივრცე იაკობ ბოგებაშვილის თვალთახედვით⁴

XIX საუკუნეში არსებულმა მძიმე ენობრივმა თუ ეროვნულმა პოლიტიკამ ერთიან სალიტერატურო ენას საფრთხე შეუქმნა. დაიწყო ინსპირირება მეგრულ და სვანურ ენებზე სკოლების გამართვის აუცილებლობისა. აქ იაკობ ბოგებაშვილი, როგორც ყოველთვის, თავის სიმალლეზე აღმოჩნდა.

საჭირო გახდა გარკვევა-დასაბუთება იმისა, რა არის სალიტერატურო ენა და რა — არასალიტერატურო. ეს საკითხი ქართველოლოგიაში არასწორი ინტერპრეტაციის საგანიც გახდა; დღეს ასეთი აზრის დამკვიდრებას ცდილობენ: იაკობისთვის მეგრული და სვანური ისეთივე ენობრივი რეალობაა, როგორიც იმერული, კახური თუ ხევსურული, ანუ: იაკობის აზრით, მეგრული და სვანური ქართული ენის ისეთივე დიალექტებია, როგორიც იმერული, კახური და ა.შ. (გვანცელაძე 2006, ფუტკარაძე 2006). იაკობის ნააზრევს ასეთი გააზრება, მარტივად რომ ვთქვათ, სერიოზული შეცდომაა: იაკობი იმ დროისათვის ღრმად განსწავლული ლინგვისტია; იგი თავის ნაწერებში არაერთგზის მსჯელობს იმის თაობაზე, რა არის სალიტერატურო ენა, რა არის დიალექტი, რას წარმოადგენს ენობრივი ერთეულები მეგრული და სვანური... ასევე, საინტერესოა, ამ საკითხებთან დაკავშირებით რა ტერმინებს გამოიყენებს იაკობი და როგორია ამ ტერმინებით აღნიშნულ ცნებათა იაკობისეული გაგება.

იაკობს კარგად აქვს გაცნობიერებული საქართველოში არსებული ენობრივი რეალობა — მეგრული და სვანური მეტყველება განსხვავებულია ქართულისაგან; ზოგ შემთხვევაში სკოლებში ქართულის გასაგებად (განსამარტავად) მასწავლებლები ადგილობრივ მეტყველებას მიმართავენ: „ყველა სკოლებში სწავლება მოწყობილია დედა-ენაზედ და ადგილობრივს კილო-კავებს ხმარობენ ასახსნელად და განსამარტავად

იმ საერთო სიტყვებისა, რომელნიც ადგილობრივ ბავშვებს კარგად არ ესმით“ (იაკობი, III. 321).

ერთ-ერთ წერილს იაკობი ასე იწყებს: „ცნობილია, რომ ყოველს ერს აქვს მთავარი ენა, რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს ამ ერის ყველა ნაწილისათვის და იწოდება მისს დედა-ენად, და თემიური კი-ლო-კავეები (наречия), რომელნიც იხმარებიან ადგილობრივ“ (იაკობი, III. 320).

ქართველურ ენობრივ სივრცეში იაკობი სამი დონის ენობრივ ერთეულებს გამოყოფს:

**ქართული სალიტერატურო ენა,
სვანური და მეგრული,
ქართული დიალექტები.**

ამ პრობლემამ იაკობის მოღვაწეობაში მაშინ იჩინა თავი, როცა დაისვა საკითხი სამეგრელოს სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლებისა; მეგრელები და სვანები სხვა ხალხია, ქართველები — სხვაო. იაკობის წერილებში არის მტკიცება ამგვარი მსჯელობის უაზრობისა; იგი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ქართული არის სალიტერატურო ენა ყველა ტომის ქართველთათვის, მთავარი დედაენა, ძირითადი დედაენა.

ქართული სალიტერატურო ენის სინონიმად იაკობი რამდენიმე ტერმინს გამოიყენებს (ვუთითებთ მხოლოდ ხმარების თითო შემთხვევას):

ქართული სალიტერატურო ენა (იაკობი, III. 438),
ლიტერატურული დედა-ენა (იაკობი, III. 437)
ძირითადი ქართული ენა (იაკობი, III. 320),
ძირითადი შშობლიური ენა (დედა-ენა) (იაკობი, III. 439)
მთავარი ენა (იაკობი, III. 320),
მთავარი დედა-ენა (იაკობი, III. 477),
საერთო ენა (იაკობი, IV. 320),
ზოგადი დედა-ენა (იაკობი, IV.109),
ზოგად-ქართული კულტურული ენა (იაკობი, IV. 109),
საღმრთო ენა (იაკობი, VI. 625)

(ტერმინს — სახელმწიფო ენა — იაკობი გამოიყენებს რუსული ენისათვის: „იგი ვერც სახელმწიფო ენის ცოდნას გაავრცელებს და დედა-ენაზედ წიგნის ცოდნასაც ააცდენს ბავშვებსა“ (იაკობი, III. 54).

მეგრულ-ჭანურისა და სვანურის აღსანიშნავად გამოიყენებს ტერმინებს:

- ადგილობრივი კილო (იაკობი, III. 477),
- ადგილობრივი დიალექტი (იაკობი, III. 439),
- ადგილობრივი კილო-კავი (იაკობი, III. 321),
- მშობლიური კილო (იაკობი, III. 439),
- თემიური კილო-კავი (იაკობი, III. 320).
- პროვინციული კილო (იაკობი, III. 439),
- პროვინციალური კილო-კავი (იაკობი, III. 320).

კილო, კილო-კავი და **დიალექტი** ამ შემთხვევისათვის სინონიმები. ქართველური ენობრივი სივრცის დასახასიათებლად ამ ტერმინების სინონიმად **ენის** გამოყენებას პუბლიცისტურ წერილებში ერიდება (ამის თაობაზე ქვემოთაც ვისაუბრებთ). ქართველური ენობრივი სიტუაციის უფრო ნათლად წარმოჩენისათვის მაგალითად მოიყვანს რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენობრივ სიტუაციას. ქართულისათვის ამ ტერმინების (კერძოდ **თემიური კილო-კავის**) განსამარტავად **наречие**-ს მოიშველიებს. იმავე რუსულ ტერმინს აზერბაიჯანულის შემთხვევაში თარგმნის როგორც **ენა**: **адербайджанское наречие** — ადერბეიჯანური ენა (იაკობი, III. 320). ადგილობრივი დიალექტი ენად იწოდება ამ შემთხვევაში: „კავკასიის თათრებს აქვთ მაგალითად რამდენიმე **პროვინციალური ენა, ადგილობრივი კილო**, რომელიც დიდად განირჩევა მათის დედაენისაგან, რომელსაცა ჰქვია ადერბეიჯანური ენა“ (იაკობი, III. 477).

იაკობი ადგილობრივ კილო-კავს ენად მოიხსენიებს სომხურისა და რუსულის შემთხვევაშიც: „ასეთი წესია სომეხთა შორისაც. ამ ხალხსაც მთავარის სომხურის გარდა, აქვთ პროვინციალური ენებიც, მაგალითად, ზოკური, რომელნიც ისე განირჩევიან მათი დედაენისაგან, რომ ბევრგან ბავშვებს ძლიერ უჭირთ ამ უკანასკნელის გაგება“ (იაკობი, III. 321). „ასეთივე წესი არსებობს რუსეთის ხალხთა შორის“ (იაკობი, III. 477).

ფაქტია, კილო // კილო-კავი // დიალექტი „პროვინციალური ენაა“, „ადგილობრივი ენაა“. ეს, ცხადია, ამ ლოგიკიდანაც გამომდინა-

რებს: თუ არსებობს ძირითადი ენა, არსებობს არაძირითადი ენაც; თუ არსებობს მთავარი ენა, არსებობს არამთავარი ენაც...

ასე რომ, ერთ ენობრივ სივრცეში ენა შეიძლება იყოს:

მთავარი და არამთავარი,

ძირითადი და არაძირითადი,

ლიტერატურული და არალიტერატურული,

საყოველთაო და ადგილობრივი.

როგორც ვთქვით, ქართველური ენობრივი სინამდვილისათვის ენას უწოდებს მხოლოდ: **ლიტერატურულს, მთავარს, ძირითადს, საყოველთაოს, საერთოს, ზოგად-ქართულს...**

რაც შეეხება ტერიტორიულ დიალექტებს (იმერული, გურული, კახური, ქართლური...), მათ იაკობი ამგვარი ტერმინებით არ განმარტავს, არ მოიხსენიებს ამგვარად; ჩვეულებრივ მიანიშნებს: ასე იტყვიან იმერეთში, ქართლში, კახეთში... თუ ფაქტი ან მოვლენა საერთოდასავლურია ან საერთოაღმოსავლური, წერს: „ბავშვები სრული შეგნებით ითვისებენ **ამიერ** სინონიმებს და **ამიერი** მოსწავლენიც უნებლიედ სწავლობენ კითხვის დროს **იმიერ** სინონიმებსა“ (იაკობი, IV. 317); „... **აქეთა და იქითა საქართველოსი**“ (იაკობი, IV. 429).

როგორც ვთქვით, ეს მსჯელობანი გვხვდება, ეს ტერმინები გამოიყენება იმ წერილებში, რომლებიც იწერება გართულებული ეროვნული ვითარების გამო; წინააღმდეგ იმ მცდელობისა, რომელიც ქართულ ეროვნულ სკოლაში შეინიშნებოდა; კერძოდ, იყო მოთხოვნა სამეგრელოში სასწავლებელთა მეგრულ ენაზე გამართვისა, საღვთისმეტყველო ლიტერატურის მეგრულად და სვანურად თარგმნისა. მოკლედ რომ ვთქვათ, წმინდა პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა თავშეკავებას, რომ მეგრულისა და სვანურისათვის ეწოდებინა ენა. ეს პრობლემა (პოლიტიკური) არ ედგა იაკობს „ბუნების კარში“, ამიტომ მისი მსჯელობა მეგრულისა და სვანურის შესახებ შესაბამისი ტერმინებით მიმდინარეობს:

იაკობის მტკიცებით, მეგრული და სვანური შტოებია ქართულისა (იაკობი, III. 447). „რაც მეგრელთა შტოს შესახებ ითქვა, სავსებით შეეხება ქართველი ხალხის მეორე შტოსაც — სვანებს, რომელთა არაქართველებად გადაქცევის ლამობენ იგივე გულმოდგინე, მაგრამ ხეპრე პო-

ლიტიკანები, წინააღმდეგ ამ სიმპატიური მთიელი ქართველების სურვილისა, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნიდან დღემდე მხოლოდ ქართულ ენას და ქართულ ალფაბეტს ხმარობენ ეკლესიაშიც, სკოლაშიც და თავისი ცხოვრების ყველა სხვა სფეროშიც“ (იაკობი, III. 448).

ქართველური ტომების, ქართველური ენების ურთიერთდამოკიდებულებაზე უფრო ვრცლად და გახსნილად (პოლიტიკისაგან თავდაღწეულად) მსჯელობს იაკობი „ბუნების კარში“:

„მეგრელები შეადგენენ ქართველთა შტოსა, სხვა ქართველებისაგან ბევრით არაფრით განსხვავდებიან“ (იაკობი, VI. 625); „ჭანები ძმები არიან მეგრელებისა, ძველის-ძველად ჭანები და მეგრელები შეადგენდნენ ერთს ერსა და გაბმით ეჭირათ მთელი აღმოსავლეთი ნაპირი შავის ზღვისა და სამხრეთი ნაპირი ნახევრობით, შემდეგში გურულები აღმოსავლეთით მიაწვნენ შავი ზღვის პირას, შუა გააპეს მეგრელ-ჭანების ტომი, დასახლდნენ ეხლანდელს საცხოვრებელს ადგილებზედ და გააძალკევეს დიდის ხნის ერთად მცხოვრები ძმები“ (იაკობი, VI. 647). „ქართველების ტომის უფრო შორეულს შტოს სვანები შეადგენენ“ (იაკობი, VI. 632). ეს რაც შეეხება ქართველ ტომთა ეთნიკურ ერთობას (წარმომავლობას).

ქართულ ენობრივ სივრცეს იაკობი „ბუნების კარში“ ასე წარმოგიდგენს: მეგრელები „მარტო ენით არიან ცოტათი განცალკევებულნი, მაგრამ ეს ენაც ღვიძლი ძმაა ქართულის ენისა, გარდა ამისა, თითქმის ყველა მეგრელებმა კარგად იციან ქართული ლაპარაკი და ქართული ენა ძლიერ უყვართ. იმათ ეს საღმრთო ენად მიაჩნიათ, რადგან წირვალოცვა მთელს სამეგრელოში იმთავიდაგანვე ქართულს ენაზედ სრულდებოდა და ახლაც სრულდება“ (იაკობი, VI. 625).

თუმცა მთლად ვერ თავისუფლდება პოლიტიკისგან და მოსწავლეებსაც მიანიშნებს მოსალოდნელ საფრთხეს „მეგრულ-ქართული განხეთქილების“ მოსურნეთაგან: „ოცის წლის წინად სასულიერო მთავრობამ მოინდომა მეგრულს ენაზედ წირვა-ლოცვის შემოღება და კიდევ გადაათარგმნინა ოქროპირის წირვა ამ ენაზედ, მაგრამ ყველა წოდებამ სამეგრელოში ერთ-ხმად უარ-ჰყვეს ცვლილება და არ დასთანხმდა ეკლესიაში მეგრულის კილოს ხმარებას ქართულის ენის მაგივრად“ (ია-

კობი, VI. 626). საინტერესო ფაქტია: როცა საუბრობს მეგრულზე, ენად მოიხსენიებს; როცა ქართული ენის გვერდით სჭირდება მეგრულის დასახელება, ზოგჯერ კილოს უწოდებს (ამით ქართულს მეგრულზე მალა აყენებს...); მაგრამ არასოდეს კილოს (დილაექტს) არ უწოდებს კახურს, იმერულს: რომ არ მოხდეს სვანურის (მეგრულის, ჭანურის) და იმერულის (კახურის, თუშურის...) ერთი დონის ენობრივ ერთეულებად გააზრება... ასე რომ, **მეგრული ენა** (ჩვეულებრივ ხმარებული ტერმინი) და **მეგრული კილო** (იშვიათად ხმარებული ტერმინი) „ბუნების კარში“ **ხინონიშები**ა.

ჭანური და მეგრული იაკობისთვის ერთი ენაა „ცოტაოდენის განსხვავებით“: „**ჭანური ენა** იგივე **მეგრული ენა**ა ცოტაოდენის განსხვავებით. **ქართული ენაც** ბევრმა ჭანმა ისევე კარგად იცის, როგორც მეგრულებმა“ (იაკობი, VI. 647). „სვანური ენაც **ქართული ენიდგან** არის წარმომდგარი“ (იაკობი, VI. 632).

იმავე „ბუნების კარში“ საქართველოს ცალკეულ კუთხეებზე საუბრისას, განსხვავებით სამეგრელოს, სვანეთისა და ჭანეთისა, უმეტესად არას ამბობს მათს ენაზე; იგულისხმება, რომ ქართულია მათი ენა; მხოლოდ ორიოდ შემთხვევაში მიაჩნია: „ზემო თუშები **ქართულად** ლაპარაკობენ. ქვემო თუშები კი — თუშურად (იგულისხმება წოვა-თუშური — გ.გ.), მაგრამ ქართული ყველამ იცის“ (იაკობი, VI. 595); აქარლები „შინ ოჯახობაში **ქართულად** ლაპარაკობენ, თათრული ენა მხოლოდ ხანშიშესულმა კაცებმა იციან“ (იაკობი, VI. 643. იაკობს მოჰყავს გ. ყაზბეგის ციტატა: „შავშელები ლაპარაკობენ წმინდა **ქართულ ენაზედ** და გამოთქმით ძლიერ ემსგავსებიან ხევსურებს“ (იაკობი, VI. 643).

როგორც ვხედავთ, იაკობ გოგებაშვილის თვალსაზრისი ქართველურ ენათა რაობისა და ურთიერთმიმართების თაობაზე ასეთ სახეს იღებს: მეგრულ-ჭანური ერთი ენაა („ცოტაოდენი განსხვავებით“). ქართული ეროვნული ენის ტოტემია (შტოებია) მეგრულ-ჭანური და სვანური („ბუნების კარის“ პირველ გამოცემაში ტოტებს ეძახის, ბოლო გამოცემაში — შტოებს). სვანურის შტო უფრო ადრე გამოეყო ეროვნულ ხეს, ვიდრე მეგრულ-ჭანურისა. მეგრულ-ჭანური და სვანური ენების მოწყვეტა ეროვნული ხისაგან (რისი მცდელობაც იყო ამ ენებზე

ანბანის შექმნა) დალუპავს ამ ენებს: „დაჰკნობა და გახმობა აუცილებელი შედეგია მათის მოწყვეტისა საერთო ნიადაგიდან... დიად, განცალკევება ჰლუპავს ეროვნულ ხესაც და მისგან მოშორებულს ტოტებსაც“ (იაკობი, III. 479).

შედარება ტოტებთან (შტოებთან) ხაზგასმია იმისა, რომ ეს ენები საერთო წარმომავლობისანი არიან, მონათესავენი არიან: „შტომ შეიძლება იხაროს მხოლოდ ახლოს ნათესავს ხეზე, მაგრამ თუ იგი ამყენს სრულიდ სხვა გვარის ხეზე, ვერც გაიხარებს და ვერც იხარებს“ (იაკობი, III. 479).

ლინგვისტური თვალსაზრისით იაკობის აზრი სრულიად თანამედროვე და მისაღებია დღეს. თავად ტერმინები — მეგრული შტო ქართული ენისა, სვანური შტო ქართული ენისა — საგულისხმოა დღევანდელი სოციოლინგვისტური თვალსაზრისითაც.

წარმოდგენილ მსჯელობაში სრულიად გარკვეულია ქართული სალიტერატურო ენის როლი და მნიშვნელობა ქართველთა ეროვნულ ერთიანობაში.

ლიტერატურა

იაკობ გოგებაშვილი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად: ტ. III, 1954; ტ. IV, 1955; ტ. VI, 1958.

თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, 2006.

ტ. ფუტყარაძე, სათავე და პერსპექტივა ქართული სამწიგნობრო ენისა, 2006.

საგი დიდი წიგნი – ქართული სალიტერატურო ენის
სიმტკიცის საფუძველი⁵
(წინასიტყვის გაზიარება)

ქართულ სალიტერატურო ენას თექვსმეტი საუკუნის ისტორია აქვს. ეს ისტორია სამ ძირითად პერიოდად (ა. შანიძე) მოიაზრება: ძველი ქართული (V-X სს), საშუალო ქართული (XI-XVIII სს) და ახალი ქართული (XIX ს-დან).

ქართული სალიტერატურო ენა ყველაზე მტკიცედ ნორმირებული არის სწორედ განვითარების პირველ ეტაპზე. არ ჩანს ეს შემთხვევითი: ამ პერიოდისათვის ნორმა სალიტერატურო ქართულისა იყო ბიბლიის (კერძოდ ოთხთავის) ქართული თარგმანის ენა. გავიხსენოთ გიორგი მთაწმინდელის ანდერძი: „ესე საცნაურ ყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდად ოთხთავი არა თუ ახლად გვთარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთამთა ბერძნულთა სახარებათა შეგვწყამებია ფრიადითა გამოწულილვითა. და ვინცა-ვინ სწერეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ. თუ ამისგან ჭერ-გიჩნდეს დაწერად, ღმრთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ“... მათ მიიჩნიათ, რომ კარგი ქართული, წმინდა სალიტერატურო ენით მოღვაწეობა ქართველთა ენისა და ქვეყნის ამაღლებათა... მან (გ. მთაწმინდელმა) „განანათლა ქართველთა ენად და ქუეყანად“ (ექვთიმე მთაწმინდელი)... ასე იყო V საუკუნიდან მოყოლებული...

ასე რომ, **პირველი დიდი წიგნი**, რომელმაც განსაზღვრა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სწორი გზი, იყო **ოთხთავი**.

ენის განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარე, სალიტერატურო ენა მეტ-ნაკლებად დაშორდა ცოცხალ სასაუბრო ენას. „მსოფლიომ სიტყვად“ XI-XII საუკუნეებისათვის უკვე აშკარად სხვაობს სამწერლობო ენისაგან. საჭირო გახდა ენობრივი რეფორმის გატარება.

პირველი პრინციპული ხასიათის **რეფორმა** ქართულ-სალიტერატურო ენისა **მოახდინა შოთა რუსთაველმა**. მან სამწერლობო ენას — „ვეფხისტყაოსნის“ ენას — საფუძვლად საერთო-სახალხო ენა დაუდო. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პრინციპი ასეთია: სალიტერატურო ენა უნდა ეფუძნებოდეს საერთო-სახალხო ენას და მასში უნდა აისახებოდეს ცოცხალ ენაში მიმდინარე ცვლილებები. რეფორმა წარმატებული აღმოჩნდა. ამის დასტურია „ვეფხისტყაოსანი“.

ასე რომ, **მეორე დიდი წიგნი**, რომელმაც განსაზღვრა სალიტერატურო ქართული ენის სწორი განვითარება, იყო „ვეფხისტყაოსანი“.

ყველაზე დიდი და ფართომასშტაბიანი რეფორმა ქართული სალიტერატურო ენისა XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა დებულება — „ხალხია ენის კანონის დამდებო“ და, აქედან გამომდინარე, დამკვიდრდა პრინციპიც — სალიტერატურო ენა უნდა იყოს ერთი და იგი უნდა დაეფუძნოს საერთო-სახალხო ენას.

ილია, აკაკი და იაკობი იყო ის სამეული, რომელმაც იტვირთა ამ რეფორმის მთელი სიმძიმე. ილიასა და აკაკის როლზე ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება-დამკვიდრებაში ბევრი ითქვა და დაიწერა. იაკობ გოგებაშვილის მნიშვნელობა ამ დიდ ეროვნულ საქმეში, ჩვენი ღრმა რწმენით, სრულყოფილად არ არის შეფასებული. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება-დამკვიდრებაში ი. გოგებაშვილის „დედაენამ“ ისეთივე როლი ითამაშა, როგორც წინა ეტაპებზე „ოთხთავმა“ და „ვეფხისტყაოსანმა“. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული „დედაენის“ ენა იყო ნორმა სალიტერატურო ქართული ენისა. სწორედ ამან ათქმევინა აკაკის — „ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია, იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილის მიუძღვის ქართველი ერის წინაშე“...

ასე რომ, **მესამე დიდი წიგნი**, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება-დამკვიდრებაში, იყო „დედაენა“.

წინათქმა⁶

„დედაენა“ გუშინ, დღეს, ხვალ — ასე შეიძლება რქმეოდა ამ ნაწილს წიგნისა. ჩვენი მიზანი ეს არის: გავიხსენოთ, როგორ შემოვიდა იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ საგანმანათლებლო ასპარეზზე, როგორ დაიშვილდა ადგილი ეროვნულ სკოლაში; საუკუნეზე მეტია, როგორ ასრულებს უძძიმეს საპატიო მისიას — თაობათა განათლება რომ ჰქვია; როგორია „დედაენის“ მდგომარეობა დღეს და რა სახელი პერსპექტივა აქვს მას ქართულ სკოლაში. დიახ, ამის ჩვენება გვსურს ამ წიგნში.

2001 წელს გამოვეცით წიგნაკი „დედაენა“ — წიგნთა წიგნი“. ამ ათიოდე წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა. ბევრიც ახალი გავიგე... ამიტომ ეს წიგნაკი შევისო, განივრცო და მიიღო ასეთი სახე...

იაკობის „დედაენაზე“ ბევრი ითქვა დღემდე, ბევრიც ითქმება. იგი მართლაც ძეგლია სამარადისო არა მხოლოდ მისი ავტორისა, არამედ ქართული ენისა!... დიახ, „დედაენა“ სადიდებელია ქართული ენისა!...

და თუ ეს ჩვენი წიგნი ცოტათი მაინც შეეწევა იმ საქმეს, რასაც „დედაენის“ შეფასება-დაფასება ჰქვია, „დედაენის“ მოვლა-პატრონობა ჰქვია, ბედნიერი ვიქნებით!...

„ამბლი ავიბი ხელთუქმნელი“...

1872 წელს იასნაია პოლიანას სკოლის პედაგოგი ლევ ტოლსტოი წერს პირველდაწყებით სახელმძღვანელოს — „ანბანი“ (მეორე გამოცემა — „ახალი ანბანი“ — 1874-1875 წ.) და სიამაყით ამბობს: „დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი „ანბანით“ სამარადისო ძეგლი დავიდგო“... — ამას ამბობს კაცი, რომელიც უკვე ავტორი იყო რომან-ეპოპეისა „ომი და მშვიდობა“ და იმჟამად წერდა უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებს. — „ანა კარენინას“. დიან, „ომი და მშვიდობისა“ და „ანა კარენინას“ ავტორი თავის სამარადისო ძეგლად „ანბანს“ მიიჩნევს. არაა ეს შემთხვევითი: დიდმა შემოქმედმა იცოდა, რა იყო ფასი საანბანე წიგნისა ერისათვის, ქვეყნისათვის!.. ამიტომ არის ამაყი „ანბანის“ ავტორი!.. ლევ ტოლსტოი მაშინ 44 წლისა იყო...

24 წლის იაკობ გოგებაშვილი წერს და 25 წლისა გამოსცემს წიგნს „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“. ეს ჯერ კიდევ არ არის „დედაენა“ — ძეგლი სამარადისო; ეს მხოლოდ კვარცხლბეკია სამარადისო ძეგლისათვის... როგორც ამბობენ, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, როცა ასე ახალგაზრდა კაცი წერს სახელმძღვანელოს, თანაც ანბანის სახელმძღვანელოს! მაგრამ ასეთი გამონაკლისები იცის კაცობრიობის ისტორიამ — საქმე გენიოსს ეხება!

24 წლის პედაგოგის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო, როგორც მიუთითებენ პედაგოგიკის სპეციალისტები, რევოლუცია იყო ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში; „წერა-კითხვისა და, საერთოდ, ქართული ენის სწავლება ამ წიგნის მიხედვით დაეფუძნა შეგნებულობის, მისაწვდომობის, თვალსაჩინოების, აქტივობისა და სისტემატურობის დიდაქტიკურ პრინციპებს; ნაცნობიდან უცნობზე, ადვილიდან ძნელზე, მარტივიდან რთულზე თანდათანობით გადასვლის წესებს. ამგვარი სწავლების სისტემის შემოღება იმ დროისათვის დიდი ნოვატორობა იყო და ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში რევოლუციას უდრიდა“, წერდა ვ. რამიშვილი XX საუკუნის შუა ხა-

ნებში. ეს კი გაცილებით ადრე ითქვა: 1912 წელს წერს არბოელი (ნიკო ლომოურის ფსევდონიმი) — „იაკობის წიგნაკი როგორც მეთოდით, ისე მასალით დაშორებითა სჯობდა სხვა ანბანებს, რომლებიც კი იხმარებოდნენ მაშინდელ ქართველ საზოგადოებაში“.

იაკობს ბედი ჰქონდა ასეთი: მისი წიგნები ბრძოლით მკვიდრდებოდა ასპარეზზე. ბრძოლა უშეღავათო იყო. არ უჭირდათ იაკობსა და მის პირველ წიგნს შემოტყვევების მოგერიება; არ უჭირდათ, რადგან მთავარი ძალა — სიმართლე — მათ მხარეს იყო. კონკურენტ სახელმძღვანელოებთან „ქართული ანბანის“ სრულ უპირატესობაზე წერდა „ივერია“ 1867 წელს: „მეთოდი, მიღებული ი. გოგებაშვილისაგან თავის ანბანში, არის საუკეთესო მეთოდი, რომელიც გავრცელებულია მთელს განათლებულს ევროპაში, ეს ანბანი და საკითხავი წიგნი დაწერილია ძალიან გასაგები ენით, როგორც ყმაწვილი ლაპარაკობს“...

და ეს იყო აღიარება ახალგაზრდა ავტორის სახელმძღვანელოსი... წარმატება, მაგრამ არა მოულოდნელი — კანონზომიერი.

„რევოლუციას უდრიდაო“...

პირველი წიგნი — პირველი რევოლუცია... უფრო დიდი რევოლუცია მოსახდენია — „დედა-ენა“ შესაქმნელია...

თუმცა ასე ნუ ვიტყვით: ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში მეორე რევოლუცია (დიდი რევოლუცია!) „ბუნების კარი“ იყო. 1868 წელს 28 წლის იაკობ გოგებაშვილი გამოსცემს ენციკლოპედიური ხასიათის სახელმძღვანელოს — „ბუნების კარს“...

„ბუნების კარი“ ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში, ქართული ეროვნული სკოლის ისტორიაში ცალკე თემაა. აქ მხოლოდ იმას გავიხსენებ, გალაკტიონმა რომ თქვა: „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ სახელმძღვანელოები კი არა, უდიდესი პოემებია. მე თანახმა ვიქნები, გამოვიდეს ეხლა ეს წიგნები, არა როგორც სახელმძღვანელო, არამედ საკითხავ წიგნად“...

დაუცხრომელი ფიქრი, ძიება, შრომა და 1876 წელს გამოდის კიდევ „დედა ენა“ — მწვერვალის ქართული პედაგოგიკური აზროვნებისა. შეეძლო იაკობს ეთქვა: „ძეგლი ავიგებ ხელთუქმნელი, სამარადისო“...

იაკობი მაშინ ოცდათხუთმეტი წლისა იყო!...

დედაენა — იაკობის სიტყვათუთუმთუთუმების
ნაყოფი

იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ გამოსვლამდე და შემდეგაც რამდენიმე ქართული საანბანე წიგნი იყო საკმაოდ უბრალო და, ზოგიც, გრძელი სათაური:

სულხან-საბა ორბელიანი — „**ანბანი პირველად სასწავლო ყრმათათვის**“ (ხელნაწერი);

თეოფანე პროკოპოვიჩი — „**პირველი სასწავლო ყრმათა**“ (რუსულიდან თარგმნა გაბრიელ ჩხეიძემ; ჩაასწორა არქიმანდრიტმა გერმანემ. 1739 წ.)

გაიოზ რექტორი — „**ქართული ანბანი**“ (1797 წ.)

ტარასი მღვდელ-მონაზონი — „**ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა ხუცურისა და მხედრულისა**“ (1825 წ.)

პლატონ იოსელიანი — „**ანბანი ქართული სასარგებლოდ ქართულთა ახალ მოქსწავლეთა ყრმათა**“ (1838 წ.)

მ. მაქსიმოვიჩი — „**ყრმათა მეგობარი**“ (რუსულიდან თარგმნა ი. კერესელიძემ. 1852 წ.)

ივანე კერესელიძე — „**ანბანი ახალ მოქსწავლეთა ყრმათათვის**“ (1862 წ.);

სერგეი მდივანოვი — „**ანბანი ქართული შედგენილი და ახლად-გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან**“ (1863 წ.)

დ. ფურცელაძე — „**ქართული ანბანი და წიგნი საკითხავად მდაბიო ხალხთათვის**“ (1863 წ.)

პეტრე უმიკაშვილი — „**ქართული ანბანი**“ (1864)

იაკობ გოგებაშვილი — „**ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი**“ (1865 წ.)...

რაფიელ ისარლიშვილი — „**პირველი წიგნი წერა-კითხვის სასწავლებლად**“ (1875 წ.);

ლუკა ჩომახიძე — „**ქართული ანბანი**“ (1875 წ.)

ანთიმოზ ჭულელი — „**ყმაწვილის სარკე, ანუ წერა-კითხვის სა-
სწავლო წიგნი**“ (1875 წ.)

ალ. ნათაძე — „**ბავშვების მოკეთე, ანუ ანბანი და პირველი სა-
კითხავი წიგნი სკოლებში სასმარებლად**“ (1897 წელი);

და **1876 წელს** გამოდის საანბანე წიგნი სხარტი და ორიგინალური სახელწოდებით: „**დედა ენა**“. თუმცა პირველი გამოცემის სათაურს ახლავს განმარტება — „**ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი**“; უცხო სათაურს ახსნა დასჭირდა. მერე, როცა ბუნებრივ სახელად იქცა მკითხველისათვის „დედა ენა“, განმარტება მოეხსნა:

1912 წლის (იაკობის სიცოცხლეში ბოლო) გამოცემა, მოგეხსენებათ, ორ წიგნად გამოვიდა:

დედა ენა
პირველი ნაწილი
ქართული ანბანი

დედა ენა
მეორე ნაწილი
საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ

„ქართული ანბანი“ და „საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ“ არის არა განმარტება „**დედა ენისა**“, არმედ სათაურებია ცალკეული ნაწილებისა.

ის ფაქტი, რომ პირველ გამოცემას განმარტება დასჭირდა, იმით უნდა აიხსნას, რომ სახელი **დედა ენა** მშობლიური ენის მნიშვნელობით **იაკობ გოგებაშვილის შექმნილია**. „დედა ენა“ მიზნობრივად შეიქმნა საანბანე წიგნისთვის ისეთი ქართული სიტყვების ანალოგიით, როგორიცაა **დედა-მიწა, დედა-ბოძი, დედა-ბურჯი, დედა-ქალაქი, დედა-აზრი**. იმდენად მარჯვედ იყო შექმნილი ეს სახელი, რომ იგი სწრაფად გავრცელდა და დამკვიდრდა ქართულში **მშობლიური ენის** სინონიმად.

არის კი ასე? ვფიქრობთ, კი:

1976 წლამდე თავად იაკობ გოგებაშვილიც **დედაენის** მნიშვნელობით სხვა გამოთქმებს გამოიყენებს: **ქართული ენა, სამშობლო ენა**. „ბუნების კარის“ პირველ გამოცემას (1868 წ.) გარეკანზე აწერია:

„**ვინც რომ სამშობლო ენას
იგიწყებს და არ ეძებს,**

ძრიელ კარგიც რომ იყოს,
ნაყოფს ვერ გამოიღებს.“

სამწუხაროდ, 1876 წლამდე იაკობს კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები ცოტა აქვს, მით უმეტეს, ისეთ თემაზე, ამ გამოთქმის (დედა-ენა) გამოყენების საჭიროება რომ ჰქონოდა. 1876 წლის შემდეგ კი **მშობლიური ენის** მნიშვნელობით ჩვეულებრივ **დედა-ენას** გამოიყენებს. ერთი ამონარიდი:

„ღმერთი არის მეუფე გულის, და მხოლოდ გულისა. ის მხურვალე გრძნობა, რომლითაც ადამიანი მიმართავს უფალსა, გამოიხატება მხოლოდ **დედა-ენით**, იმიტომ, რომ მხოლოდ **დედა-ენა** არის ენა გულისა, გრძნობისა. სხვა ენა აქ ყოვლად უძლურია. მხოლოდ **დედა-ენა-ზედ** შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ... დიად, მხოლოდ **დედა-ენა** არის ენა სულისა და გულისა, ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მესხიერებისა“ (1888 წ.) .

საგულისხმო ფაქტი: „დედა ენის“ ყველა გამოცემას (1912 წლის ჩათვლით) **დედა ენა** ორ სიტყვად აწერია. კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში იაკობი, ჩვეულებრივ, დეფისით წერს — **დედა-ენა**. ასევე წერს სიტყვებს **დედა-მიწა**, **დედა-ქალაქი**, **დედა-აზრი**... ეს თავისთავად საინტერესო საკითხი ახსნას საჭიროებს. ერთ სიტყვად მოიაზრებენ (დეფისით წერენ) **დედა-ენას** ილიაც და აკაკიც. დღევანდელი ნორმის მიხედვით, ეს სახელი ერთად იწერება — **დედაენა**.

დასტურად იმისა, რომ **დედაენა** იაკობის შექმნილი სიტყვაა და აქედან გავრცელდა სხვაგან, ილიას და აკაკის მაგალითებს მოვიყვანთ.

ჩვენ შეძლებისდაგვარად გადავიკითხეთ 1876 წლამდე დაწერილი ილიას კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები. სიტყვა **დედაენა** არ შეგვხვდრია; ამ მნიშვნელობით სხვა გამოთქმები გამოიყენება:

რამდენიმე ამონარიდი წერილიდან „ორიოდე სიტყვა...“ (1861 წ.):

„ეგრეთ უენო ენად ვნახეთ **ჩვენი საყვარელი ენა**“;

„კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავისი **დედა-მამის ენა** ისე...“

„არა მარტო ვსწავლობთ იმათს მშვენიერს ლექსებში **მშვენიერს ენას**...“

„ჩვენ ყველანი **ქართული ენის** ხმარებაში ცოდვილნი ვართ...“

„ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით **ჩვენ მშობლიურ**

ენის მიწასთან გასწორებას...“

„იქნება ამ სტატიაში ბევრი შეესჯოდეთ ჩვენს საყვარელს ენას...“

„ჩვენი ქართული ენა ისე გვიყვარს...“

„ჩვენ ჩვენი ენის დამცირებამ დაგვაწერიწა...“ და მისთანანი.

1877 წელს დაწერილი ოთხგვერდიანი წერილიდან „ვიცინოთ თუ ვიტყვით“:

„აქ ქართულ ენას პირველი ადგილი ეჭირება სხვათა შორის“...

„ქართულის ცოდნა გულს აუსუყებს...“

„და მინც კიდევ ქართულს არ ასწავლიან...“

„ამის გამო მინც ქართულს ენას სემინარიაში სავალი ექნებაო...“

„ჩეროვანი გზა მიეცემოდა ქართულ ენას...“

„ქართულის ენისათვის დრო არა ჰქონდეს...“ ყველა შემთხვევაში კონტექსტის მიხედვით მშობლიური ენა იგულისხმება, ანუ დედაენა-იაკობის „დედა ენა“ ამ დროს ახალი გამოსულია...

ცოტა მოგვიანებით გამოქვეყნებულ წერილში (1881 წ.) „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“ ილია მშობლიური ენის მნიშვნელობით მხოლოდ დედაენას გამოიყენებს. ერთი ამონარიდი:

„ყველამ, დიდმა და პატარამ, შეიტყოს და გაიგოს, რა ღონეა დედა-ენა სკოლისათვის საერთოდ და საეროსათვის საკუთრივ. ჩვენ რომ ვგრე დაჟინებით და უკანდაუნეველად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, — ეგ მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოველად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვისა, გონების დაბნევისა, დათრგუნვისა, გათახსირებისაა, — და განა ეს სასურველია ვისთვისმე? ზემომოყვანილიდამ ცხადია, რომ დედა-ენა ცნობილია არამც-თუ უკეთეს და აუცილებელ სახსრად, რომ სკოლამ თავისი დანიშნულება აასრულოს, არამედ უპირველეს საგნადაც, რომელიც ბავშმა უნდა შეისწავლოს და იცოდეს“. ამავე წერილში ილია უშინსკის, კომენსკისა და სხვათა ამონარიდების თარგმნისას მხოლოდ დედაენას გამოიყენებს...

კიდევ ერთი ცნობილი აზრი ილიასი: „ქართველისათვის „დედა“ მართო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს — „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას — „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს — „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს — „დედა-აზრს“. გუთნის გამგებელ მამაკაცსა-ც კი „გუთნის-დედას“... და, როგორც ვხედავთ, **დედაენა** მსგავსი სტრუქტურის სხვა სიტყვათა გვერდით დააყენა ჩვეულებრივ... ეს 1898 წელს დაიწერა...

ბოეზიაში ილია ხუთჯერ გამოიყენებს სიტყვას **დედაენა** ლექსში „ორხმიანი საახალწლო ოპერეტი“. იაკობ გოგებაშვილს ათქმევინებს:

„**დედა-ენა** მიჩს სახელად...“ „**დედა-ენითა** წვრთნა ყრმისა...“ „**დედა-ენა** პირველადე...“ „**დედა-ენა** მით არს კარგი...“ „**დედა-ენა** სთხრიდეს...“ ლექსი 1894 წელსაა დაწერილი.

იგივე ვითარება არის აკაკი წერეთელთანაც: იაკობის „**დედა ენის**“ გამოსვლამდე ამ სახელს აკაკისთან ვერ ვხვდებით;

„**ქართულზედ** რომ ხელს იღებენ“...

„**ქართულ ენას** არად ხდიან...“ (1861 წ.)

„მათმა ჭკვიანურმა აზრებმა და მათთანაც **ქართული ენის** ზედ-მიწევნით ცოდნამ გამაკვირვა...“ (1867 წ.)

„არ ეთაკილებოდეს **ქართული ენა**..“

„ჯერ **ქართულიც** არ იცი...“ (1868 წ.)

1876 წლიდან კი, „დედა ენის“ გამოსვლის შემდეგ, აკაკისათვის **დედაენა** ჩვეულებრივი სიტყვაა. აკაკი ჩვეულებრივ **დედა-ენას** გამოიყენებს:

„მაგრამ მე კი ვერ გავიგე, თუ რა ენა უნდა ყოფილიყო მათი **დედა-ენა**“... (1876წ.)

შ ე ვ ნ ი შ ნ ა ვ თ: იაკობი წერს ერთგან: „1875 წელს მე უკვე დამზადებული მქონდა „დედა-ენა“ დასაბეჭდალ“.

ჩანს, აკაკი ხელნაწერში იცნობდა...

„იმათაც კი შერჩენიათ **დედა-ენა** ტკბილად სასაუბროდ“... (1877 წ.)

„ძველად ჩვენში სამღვდლოებამ იცოდა საფუძვლიანად **დედა-**

ენა...“ (1887 წ.). მსგავსი მაგალითები მრავლადაა...

- აკაკის პოეზიაში 10-ჯერ არის ნახმარი სიტყვა **დედაენა**:
 „კრულია მისი ხსენება, ვინც დაგმობს **დედა-ენასა**“... (1880 წ.)
 „რომ **დედა-ენაც** არ იცის“... (1889 წ.)
 „**დედა-ენა** და ერობა ქრისტეს რჯულს უკავშიროა“... (1892 წ.)
 „სამშობლო მხრისა და **დედა-ენის**“... (1901 წ.)
 „არც მის სიწმინდეს, მის **დედა-ენას**“... (1909 — 1910 წ.)
 „რომ შეგვრჩენოდა ჩვენ **დედა-ენა**“... (1909 — 1910 წ.)
 „ნუ გადასცვლით უცხოზე ქართულ **დედა-ენასა**“ (1911 წ.)
 „და გვირგვინი კი სწავლისა უფროსად **დედა-ენისა**“... (1912 წ.)
 „აღადგინა გორგასალმა **დედა-ენა** დაკარგული“... (1912 წ.)
 „შკოლები მოსწავლეებსა უსპობენ **დედა-ენასა**“... (1912 წ.)

ვფიქრობთ, წარმოდგენილი მსჯელობა ადასტურებს იმას, რომ დედაენა იაკობ გოგებაშვილის სიტყვათშემოქმედების ნაყოფია; და შედეგად მივიღეთ იმდენად ბუნებრივი სიტყვა, რომ შექმნისთანავე გვერდით დაუდგა მსგავსი სტრუქტურის სხვა ქართულ სიტყვებს: დედამიწა, დედაბოძი, დედაზარი, დედაბურჯი, დედაქალაქი, დედაენა...

მოდით, ისიც ვთქვათ, როგორაა **დედაენა** წარმოდგენილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში:

ქეგლ-ის რვატომეულში (ტ. III, 1954) **დედაენა** ცალკე სალექსიკონო ერთეული არ არის. **დედა ენა**, ორ სიტყვად დაწერილი, იდიომატურ გამოთქმადაა მიჩნეული და სიტყვა **დედა-სთან** არის შეტანილი (შეგნიშნავთ: ორთოგრაფიულ ლექსიკონში ერთ სიტყვადაა დაწერილი — **დედაენა**): **დედა ენა** 1. ენა, რომელსაც ბავშვობიდანვე ითვისებს ადამიანი მშობელთაგან და მახლობელთაგან და ყველაზე უფრო ბუნებრივია მისთვის ლაპარაკსა და აზროვნებაში; ენა, რომელზეც პირველად ამეტყველდება ბავშვი და რომელიც ურთიერთობის საშუალებაა იმ საზოგადოებისა, რომლის წევრიც თვითონ არის, — მშობლიური ენა, ღვიძლი ენა. 2. სახელწოდება მშობლიური ენის პირველდაწყებითი სასწავლო წიგნისა, რომლითაც ბავშვები წერა-კითხვას სწავლობენ.“

პირველი მნიშვნელობის საილუსტრაციოდ ორი მაგალითია მო-

ყვანილი: „ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა ენას“ ეძახის“ (ილია); „კრულია მისი ხსენება, ვინც დაგმობს დედა ენასა“ (აკაკი). მეორე მნიშვნელობის საილუსტრაციოდ იაკობის ციტატაა მოყვანილი: „ამის შემდეგ მოსწავლეები გადავლენ „დედა ენის“ მეორე ნაწილზე“.

საგულისხმო შენიშვნა: როგორც ილია, ისე აკაკი დედა-ენას დეფისით წერენ; ლექსიკონში დამოწმებულ წინადადებებში ცალცალკეა დაწერილი.

1986 წელს გამოცემულ განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულში დედაენა სალექსიკონო ერთეულადაა შეტანილი. განმარტება რვატომეულიდანაა ზუსტად გადმოტანილი (პირველ მნიშვნელობას აკლია ფრაზა ღვიძლი ენა); ილუსტრაციები არაა მოხმობილი. II მნიშვნელობის ბოლოს მიწერილია ი. გოგებაშვილის „დედაენა“, არა როგორც ილუსტრაცია, არამედ როგორც განმარტება.

სასურველია, განმარტებითი ლექსიკონის მრავალტომეულის ახალ გამოცემაში დედაენა ასევე იქნეს სალექსიკონო ერთეულად შეტანილი; აუცილებელია, საილუსტრაციოდ, როგორც იაკობის შექმნილ სიტყვას, უპირველესად იაკობის მაგალითი დავუროთ, ცხადია, ილიასა და აკაკის მაგალითების გვერდით...

* * *

იაკობ გოგებაშვილი გენიოსი იყო — ეს ვინფრიდ ბოდერიმა თქვა, როცა იაკობის „დედაენის“ თაობაზე საუბრობდა. თუმცა ღირს ამის შესახებ უფრო დაწვრილებითი მსჯელობა...

გერმანელი ენათმეცნიერი ვინფრიდ ბოდერი ქართული ენისა და კულტურის ცნობილი მკვლევარია. მისი მეცნიერული ინტერესებიდან გამომდინარე არ არის შემთხვევითი ბატონი ვინფრიდის დაინტერესება იაკობ გოგებაშვილითა და იაკობის „დედაენით“; როდესაც ბატონი ვინფრიდ ბოდერი გაეცნო ჩვენს სტატიას „დედაენა“ — იაკობ გოგებაშვილის სიტყვაშემოქმედების ნაყოფი, მან საინტერესო წერილი მომწერა. იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის მისეული შეფასებაა ჩვენთვის ძვირფასი; ვფიქრობთ, არც მკითხველთათვის უნდა იყოს უინტერესო ამ მიმოწერის გაცნობა:

„ძვირფასო ბატონო გიორგი,

ავთანდილ არაბულის წყალობით მივიღე იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების კონფერენციის მასალები და უდიდესი ინტერესით წავიკითხე თქვენი მოხსენება „დედაენაზე“. უნდა გითხრათ, რომ ძალიან მომეწონა და, ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია იმ მიმართულე-ბით, რომელსაც ძალიან საჭიროდ ვთვლი: **ქართული ენის მოლაპარაკეთა თვითშეგნების არაიდეოლოგიური და ისტორიული გაგება**. ეს, ჩემი აზრით, იმიტომ საჭიროა, ვინაიდან აქამდე **ჭარბობს ასეთი ცნებების არაისტორიული შეხედულება, თითქოს დედაენის ცნება ქართველების მარადიული ხასიათის შემკვიდრება იყოს**. ი. გოგებაშვილი გენიოსი იყო იმ გაგებით, რომ **ზუსტ დროს სწორი სიტყვა იშოვა**. **ქართული ენის დაცვამ იმ დროს მოითხოვა ასეთი ემოციური ცნება**.

ახლა მაინტერესებს, საიდან ჰქონდა ეს სიტყვა: 1994 წელს ერთ სტატიაში აღვნიშნე, რომ **რუსული კალკი არ არის, არამედ რომანული და გერმანიკული ენების სიტყვის შესატყვისია** (წარმოშობით რომანულ სფეროში განვითარდა როგორც განათლებული ლათინურის საწინააღმდეგო ცნება: **ენა რომელიც დედისგან მივიღეთ როგორც დედის რძე** — ამიტომ იმდენად ემოციური ცნება ევროპაშიც იყო. რომანულიდან გერმანულში გადავიდა კალკად — მაგრამ ეს საკითხი დიდი კამათის საგანი იყო ვაისგერბერის და შპიცერის შორის). ვიცი, რომ ქართულის დედაენაში დედა „მთავარს“ ნიშნავს, მაგრამ **ჯერ ერთი: მე-19 საუკუნეში პროდუქტიული მნიშვნელობა იყო „დედა“ ამ გაგებით? ხომ არ შეიძლება, რომ ი. გოგებაშვილს ორივე მნიშვნელობა უნდოდა: დედა „ევროპული“ და ქართული გაგებით?**

ჩემი კონკრეტული კითხვაა: გოგებაშვილმა რამდენად იცოდა ევროპული ენები და ლიტერატურა?

გილოცავთ შობასა და ახალ წელს!

კეთილი სურვილებით
ვინფრიდ ბოედერი
20. XIII. 2009“

„ბატონო ვინფრიდ,

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს. დიდი მადლობა ჩემს მოხსენება-

ზე გამომხატურებისათვის.

თქვენი შეკითხვის პასუხად მოგახსენებთ შემდეგს:

ფეიქრობთ, იაკობთან „დედაენა“ „ქართული გაგებით“ იხმარება. ამის თაობაზე მიანიშნებდა ილია ჭავჭავაძეც: „ქართველისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს — „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას — „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს — „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს — „დედა-აზრს“...

ამასვე უნდა მიანიშნებდეს ისიც, რომ იაკობი „დედაენის“ სინონიმად **მთავარ ენასაც ხმარობს**. ამის თაობაზე ვწერდი ერთ სტატიაში. ფეიქრობ, დაგაინტერესებთ ეს წერილი სხვა თვალსაზრისითაც, ამიტომ გოგზავნით წერილს „იაკობი და ქართველური ენობრივი სივრცე“ (გამოქვეყნდა ერთ-ერთი კონფერენციის მასალებში; შევიდა ჩემს წიგნშიც „ქართული სალიტერატურო ენა — ისტორია და თანამედროვეობა“, 2009 წ.).

რაც შეეხება უცხო ენათა ცოდნას: იაკობმა დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. როგორც ირკვევა, იმჟამად სემინარიაში ევროპული ენები არ ისწავლებოდა. სემინარიის შემდეგ ერთი წელი კიევში სწავლობდა (ავადმყოფობის გამო შეწყვიტა სწავლა). არანაირი ცნობა არ არსებობს ევროპული ენების ცოდნისა. იაკობი ერთგან წერს: თბილისის სემინარიაში ძველი ენები არ ისწავლებოდა, ამიტომ კიევში ამ ენების ცოდნა არ მოუთხოვიათო.

იაკობის ბიოგრაფები წერენ: „როდესაც იგი კიევის უნივერსიტეტის მოწინავე პროფესორთა ლექციებაც ისმენდა, გულდასმით სწავლობდა დარვინის, ჰუმბოლდტის, ფოხტის, კონტის, სპენსერის, კანტის, ჰეგელის და სხვათა ნაწერებს და გამოჩენილ პედაგოგთა — კომენსკის, პესტალოცის, დისტერვეგის, განსაკუთრებით — კ. უშინსკის, პიროგოვის და სხვათა მოძღვრებას“. სხვა ამ თემაზე ვერაფერს გეტყვით. ჰუმბოლდტისა და სხვათა ნაშრომებს რომ იცნობდა, ესეც კარგად ჩანს მისი შრომებიდან...

თუმცა ესეც საინტერესოა: იაკობი თავის ოპონენტებს როცა ეკამათება, წერს, ჩემი წიგნი „დედაენა“ თავისი ღირებულებით არ ჩამოუვარდება ევროპულ სახელმძღვანელოებსო. ევროპულ სახელმძღვანელო-

თა მაგალითს იგი არაერთგზის მიმართავს; თუნდაც ასეთ შემთხვევაში: „აი ია“-ს პრინციპი ანბანის შესასწავლად მოხერხებულია ქართული ენისათვის; არაა მოხერხებული ევროპული ენებისათვის, რადგან ქართულში ერთ ბგერას ერთი ასო შეესაბამებაო...

ბედნიერი ვიქნები, თუ კვლავ შევძლებ თქვენს შეკითხვებზე პასუხის გაცემას...

პატივისცემით
გიორგი გოგოლაშვილი
28. XII. 2009“

„ბატონო გიორგი,

ულრმესი მადლობა თქვენი ვრცელი პასუხის, ინფორმაციისა და მოხსენების ტექსტისათვის. თქვენი წიგნის ეს ნაწილი, რა თქმა უნდა, ვნახე, მაგრამ მოხსენების „რეზიუმე“ უფრო ვრცელი იყო და, რაც მთავარია, ის ფაქტი, რომ **ეს ტერმინი იაკობ გოგებაშვილის ნაპოვარია, უფრო აშკარაა ამ ვარიანტში.**

ამასობაში ბატონი ზურაბ კიკნაძის ძველი წერილი (16. X. 05) ვიპოვე. მან იცოდა, რომ **დედა ენა** ტერმინის ისტორია მაინტერესებს, და მომწერა: „ამას წინათ წავაწყდი ამონაწერს 1857 წლის ჟურნალ „ცისკრიდან“, რომელიც ჩემი სტატიისთვის („ილიას მამული“) მჭირდებოდა. ვინმე ირაკლი ლორთქიფანიძე, „იმერი თავადი“, როგორც ის თავის თავს უწოდებს, წერს: „მივსცეთ მათ კანონნი ჩვენისა დედა-ენისა თვისებისანი...“ ისე რომ, ცოტა სხვანაირი სიტუაცია გვაქვს. მაგრამ პრობლემა მაინც მხოლოდ გადაგდებულია, ვინაიდან არ ვიცით, იმ იმერელს საიდან ჰქონდა ეს ტერმინი და მისთვის რას ნიშნავდა და თუ ერთსა და იმავეს ნიშნავდა, როგორც გოგებაშვილისთვის. ყოველ შემთხვევაში თქვენი გზა უნდა გავაგრძელოთ!

მაპატიეთ, რომ უფრო ადრე არ მითქვამს, მაგრამ ბოლო წლებში სხვანაირი ინტერესები მქონდა და უბრალოდ დამავიწყდა ეს წყარო...

ახლა იმის მიხედვით, რაც მომწერეთ, უნდა გამოვირკვიო, თუ როგორ ინმარებოდა „დედა ენა“ მაგალითად გერმანულ პედაგოგიკურ სახელმძღვანელოებში. საინტერესო იქნებოდა, რა აზრები იყო გავრცელებული „დედა ენის“ შესახებ მაშინდელ რუსულ პედაგოგიკაში, რო-

მელიც კიევში ან თბილისში წაიკითხა. „დედა ენა“ ტერმინისთვის, რა თქმა უნდა, გერმანულის ან ფრანგულის ძალიან მცირე ცოდნაც საკმარისი იყო.

მოგწერთ, როდესაც ახალი შედეგები მექნება! კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ძვირფასი ინფორმაციისათვის.

პატივისცემით
თქვენი ვინფრიდ ბოედერი
29 დეკემბერი, 2009“

გერმანელი ენათმეცნიერის კვლევის შედეგი „დედაენასთან“ დაკავშირებით უეჭველად საინტერესო იქნება... ჩვენთვის ამჟამად არსებითი ისაა, რომ ევროპელი მეცნიერი ადასტურებს, რომ **დედაენა** იაკობის შექმნილი ტერმინია და აღიარებს იაკობის გენიოსობას!...

სათაურები. ვინა „დედაენა“

ვთქვით, **დედაენა** იაკობის შექმნილი სიტყვაა და საგანგებოდ შერჩეული საანბანე წიგნისათვის. უკეთესი სახელი ამ მიზნისათვის ალბათ წარმოუდგენელია. იაკობი სათაურების დიდოსტატია. თვალი მივაღვენოთ:

**„დედა-ენა“,
„ბუნების კარი“...**

ნიკო ლომოურმა — მაღლიერმა მოწაფემ — საავადმყოფოში ინახულა იაკობი. იგონებს: „წიგნს ვადგენო, წარმოსთქვა დაბალის ხმით იაკობმა, „დედა-ენიდამ“ „ბუნების კარზე“ გადასვლა ძნელია მოსწავლეთათვის. მინდა წარვადგინო ისეთი წიგნი, რომელიც შეაერთებს მოხსენებულ ორ სახელმძღვანელოს“... ფაქტობრივ, იაკობი ქმნის დამხმარე სახელმძღვანელოებს. თავის პირველ სახელმძღვანელოს ვერ შეელია, გადაამუშავა და ასე დაარქვა:

„კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახლობაში სახმარებელი“, შემოკლებით „კოკორს“ ეძახდნენ...

„დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ გვერდით „კოკორის“ არსებობა გამართლებული იყო, მაგრამ — არასაკმარისი და იქმნება დამხმარე სახელმძღვანელოთა რიგი:

„კუნწულა“ — ევროპელი და რუსი მწერლების რჩეული მოთხრობების კრებული უფროსი ასაკის ბავშვებისათვის;

„ხომლი“ — ქართული ლექსების კრებული უფროსი ასაკის ბავშვებისათვის;

„აკიდო“ - ქართული მოთხრობების კრებული და

„კონა“ - საბუნებისმეტყველო მოთხრობების კრებული.

მაშ ასე: **„დედა-ენა“**, **„ბუნების კარი“**, **„კოკორი“**, **„კუნწულა“**, **„ხომლი“** **„აკიდო“**, **„კონა“**... მეთაური ამ ლაშქრისა „დედა-ენაა“; სიტყვა — იაკობის ფანტაზიის ნაყოფი; წიგნი — გენიალური შემოქმედის ქმნილება... და ამ სიტყვის გამოყენება წიგნის სათაურად იაკობის და-

უსახელებლად არის კი დასაშვები, მიზანშეწონილი? ზომ არ არის ეს მითვისება სხვისი საკუთრებისა?

აი, რატომ ვსვამთ საკითხს ასე:

ახლახან (2009 წ.) განათლების სამინისტროში კონკურსი გაიმართა ქართული სკოლის პირველკლასელთა სახელმძღვანელოებზე. საკონკურსოდ წარდგენილი იყო ქართული ენის ათი სახელმძღვანელო (ათი „დედაენა“!). განათლების სამინისტრომ გრიფი მიანიჭა ათივეს. ფაქტობრივად მოხდა საკონკურსოდ წარდგენილი წიგნების რეგისტრაცია! პირველი კლასის სახელმძღვანელოთა ავტორები (ასე მოიხსენიებიან სახელმძღვანელოთა შემდგენლები სამინისტროს მიერ 2009 წელს გაცემულ დოკუმენტებში) არიან:

1. ვ. რამიშვილი;
2. ნ. გორდელაძე, ნ. ჩხენკელი;
3. ბ. სულაკაური, მ. ბედომილი;
4. **იაკობ გოგებაშვილი** (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.)
5. ნ. კუპრავა, დ. ნაზირიშვილი;
6. ნ. მალაქელიძე, ც. ყურაშვილი;
7. ვ. როდონაია, ლ. ვაშაკიძე;
8. ე. სვანიძე, ლ. ბაკურაძე;
9. ზ. ვახანია;
10. ბ. სარია, ლ. ჩიტაიშვილი

სია დალაგებულია ანბანთრიგზე გამომცემლობათა მიხედვით; ი. გოგებაშვილს ის უპირატესობა მიენიჭა, რომ ავტორის სახელი გაშლილად დაწერეს... ჩამონათვალში მე-3, მე-7, მე-8 და მე-10 არ არის აგებული „აი ია“-ს პრინციპზე; დანარჩენები ი. გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით არის შედგენილი, თუმცა ყოველთვის არ მიეთითება (ამ წიგნებზე უფრო დაწვრილებით ქვევით ვისაუბრებთ)...

მაშ, ასე: **ათი ალტერნატიული სახელმძღვანელო არის პირველ კლასში ქართული ენისა, ათი „დედაენა“!** ეს (ალტერნატიული სახელმძღვანელოები) დღევანდელი მთხოვნაა; ამის განსჯაში ჩვენ არ შევალთ. ისე, იაკობს თავისი აზრი ჰქონდა ამ საკითხზე: „ჩვენი ქვეყანა უზარმაზარი რუსეთი არ არის. აქ ორი-სამი სახელმძღვანელო

ვერ იხეირებს... ამასთან ერთად ჩვენს პატარა ქვეყანაში მრავალი სხვადასხვა კილოზე მოლაპარაკე ხალხი ბინადრობს, ამიტომ **ჩვენში ერთი პირველდაწყებითი სახელმძღვანელოა საჭირო, რათა საქართველოს ყოველი კუთხის ბავშვმა ერთი და იგივე ლიტერატურული კილო შეითვისოს**“ (ი. გომელაურის მოგონებიდან). ამბობენ, ეს აზრი დღეს აღარააო აქტუალური, მაგრამ რაღაც ჭეშმარიტება რომ არის ამაში, ესეც ფაქტია; ამის შესახებ სხვა დროს... მოლით, თვალი გადავვლოთ დღეს მოქმედ „დედაენებს“ და მერე გავაკეთოთ დასკვნა.

ისიც ვთქვათ: წინა წლებში კიდევ ორი წიგნი იყო რეკომენდებული სახელმძღვანელოდ და თანასახელმძღვანელოდ:

1. **დედაენა.** ავტორები შ. ამონაშვილი და ე. ამონაშვილი. წიგნი **აი ია-**ს პრინციპზეა აგებული და იაკობ გოგებაშვილის სახელი გვხვდება მხოლოდ სარჩევში რამდენიმე ტექსტის ავტორად.
2. **დედაენა.** „დამხმარე სახელმძღვანელო პირველკლასელთათვის. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით შეადგინა ლელა შალიკიან-ხოტივარმა“. წიგნი დამტკიცებულია განათლების სამინისტროს მიერ და რეკომენდებული იყო დამხმარე სახელმძღვანელოდ... ესაა საკითხავი წიგნი, რომელშიც იაკობის „დედა ენის“ საანბანე სიტყვებზე დაწერილი ლექსები და მოთხრობებია შეტანილი (ავტორი თავად ლ. შალიკიანია!...) (ხელთა მაქვს 1999 წლის გამოცემა).

ამ ორ წიგნს იმიტომ ვასახელებთ, რომ უგრიფობა დღევანდელ ვითარებაში ხელს არ უშლის წიგნს, გამოიყენონ სკოლაში სახელმძღვანელოდ. მაგალითად, ზ. ვახანიას სახელმძღვანელოს 2006 წელს არ მისცა რეკომენდაცია სამინისტრომ, მაგრამ არსებული წესის მიხედვით, საავტორო სკოლებში არარეკომენდებული წიგნით სწავლების უფლება აქვს ავტორსო. ასეთი საავტორო სკოლა რამდენიმე ყოფილა...

რეკომენდაცია არც ამონაშვილების „დედაენას“ ჰქონდა, მაგრამ ხელთა მაქვს 2005 წლის გამოცემა ამ წიგნისა; როგორც გაირკვა, ამ წიგნითაც ასწავლიდნენ სკოლაში...

მაშ ასე, დღეს რეალურად სკოლაში თორმეტი „დედაენა“.

საკმაოდ რთული სურათია. როგორც ხედავთ, ზემო ჩამონათვალში რიგით მეოთხედ თავად იაკობის „დედა ენა“. ამ გამოცემას საინტერესო ისტორია აქვს: 2006 წელს მღვდელ კონსტანტინე გიორგაძის ინიციატივითა და რედაქტორობით გამოიცა იაკობის „დედა ენა“ სამი კლასისათვის; გამოცემა განმეორდა 2007 წელს; ამ წიგნს განათლების სამინისტროს ნებართვა (რეკომენდაცია, ანუ გრიფი), დაშვებული ყოფილიყო სკოლაში სახელმძღვანელოდ, არ ჰქონია. 2009 წლის კონკურსისათვის ეს წიგნი „დაიშალა“ და მომზადდა მხოლოდ პირველი კლასის სახელმძღვანელო; საანბანე და საკითხავი ნაწილი დარჩა იაკობ გოგებაშვილისა (მცირედენი, „იაკობისათვის მისაღები“, ცვლილებებით); წიგნს დაემატა სავარჯიშოები (შეადგინა პედაგოგმა მ. გოგავამ); მომზადდა მასწავლებლის წიგნი და მოწაფის რვეული.

გრიფირებულ სახელმძღვანელოთა ავ-კარგი ცალკე მსჯელობის თემაა; ამაზე სხვა დროს... დღეს ერთი საკითხი გვაფიქრებს:

იაკობი თავის თავს არ უწოდებს ავტორს „დედაენისას“; ასეც ეწერა წიგნზე: „შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ“. დღეს სამინისტრო ყველას ავტორებად მოიხსენიებს... უმეტესობა თავიანთ თავს ავტორად ასახელებს...

პრობლემაც ეს არის:

ქართული ენის სახელმძღვანელოს „დედაენა“ იაკობ გოგებაშვილმა დაარქვა. როგორც ვთქვით, 1876 წლამდეც და მას შემდეგაც არაერთი საანბანე წიგნი არსებობდა. მათ, რა თქმა უნდა, სხვა სახელი ერქვა. „დედაენა“ ავტორისაა, იაკობისაა! ამ სახელის („დედა ენის“) გამოყენება სხვა ავტორთა მიერ, მითვისებაა სხვისი საკუთრებისა, საავტორო უფლებების უხეშო დარღვევა! ეს რომ იყოს საგნის სახელთან გაიგივებული „ნეიტრალური“ სახელწოდება — „ქართული ენა“, „შშობლიური ენა“ — სხვა საქმე იქნებოდა. ცხადია, ყველას აქვს ამგვარი სახელის დარქმევის უფლება. „დედაენის“ გამოყენება სხვა ავტორის მიერ იგივეა, მხატვრულ ნაწარმოებს ვინმემ „ვეფხისტყაოსანი“ ან „ოთარაანთ ქვრივი“ რომ დაარქვას...

ამ თემაზე სამოკალაქო სამართლის მცოდნე მალაქვალიფიციური იურისტებთანაც გვქონდა საუბარი... თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვას უცნაური პასუხი გასცა განათლების სამინისტროს

ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, ვისაც სახელმძღვანელოების საქმე ეხებოდა (ს. ჭანაშიამ): „საავტორო უფლებებს კი განსაზღვრული ვადა აქვს, რომელიც ყველა საერთაშორისო ნორმითაც კი გასულია“. ფაქტობრივად, ამგვარი პასუხი აღიარებაა იმისა, რომ ხდება მითვისება სხვისი (ამ შემთხვევაში იაკობ გოგებაშვილისა!) საკუთრებისა... არადა, „დედაენის“ შესახებ არის საუბარი!.. იურიდიულის გარდა მორალური და ზნეობრივი ნორმებიც რომ არსებობს, ეს არ გაუგიათ ასეთ ჩინოვნიკებს? ცხადია, ი. გოგებაშვილი ვერ უჩივლებს ამ „ავტორებს“; მაგრამ განათლების სისტემის მესვეურებმა მხარი არ უნდა დაუჭირონ იაკობის საკუთრების მითვისებას და „იურიდიულადაც არ უნდა გაამაგრონ“ ეს ტაციობა! ზნეობა, მორალი ვახსენე ზევით; ზნეობრივ საზოგადოებაში ასე არ ხდება...

დიან, პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში არა მხოლოდ „ავტორს“ (სხვისი საკუთრების მიმთვისებელს), არამედ იმასაც უნდა დაეკისროს, ვინც ამგვარ წიგნებს სახელმძღვანელოს გრიფი მიანიჭა, ვინც უფლებას აძლევს ამ წიგნების სასწავლო პროცესში შეტანას. ეს უხერხულობა რომ მოიხსნას, ამისთვის მოვუწოდებთ განათლების სამინისტროს შესაბამის სამსახურებს ობიექტურობისაკენ, სამართლიანობისაკენ. ამის თაობაზე არაერთგზის გვითქვამს, დაგვიწერია...

რას ვითხოვთ? — მოგახსენებთ: თუ საანბანე სახელმძღვანელო „აი ია“-ს პრინციპზეა შედგენილი, მას შეიძლება ეწოდოს „დედაენა“ და მის ავტორად უნდა იწოდებოდეს იაკობ გოგებაშვილი; ვინც ი. გოგებაშვილის პრინციპზე დაყრდნობით შეადგინა ახალი სახელმძღვანელო, მის მიმართ უნდა ითქვას: „ი. გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით შეადგინა“... ანდა „ი. გოგებაშვილის „დედაენა“ გადაამუშავა“...

ხოლო ქართული ენის პირველი კლასის სახელმძღვანელოს, საანბანე წიგნს, რომელიც არ არის შედგენილი „აი ია“-ს პრინციპზე, არ შეიძლება ეწოდოს „დედაენა“! უნდა დაერქვას სხვა სახელი და, შესაბამისად, მის ავტორად შეიძლება დაეწეროს ის, ვინც ეს სახელმძღვანელო შეადგინა.

სამართლიანობა ამას მოითხოვს.

განათლების სამინისტრო ვალდებულია, დაიცვას იაკობ გოგებაშვილის საკუთრება ხელყოფისაგან, მითვისებისაგან, გაუფრთხილდეს მას და უკვდავოს დიდი ერისკაცის სახელი.

ცის ბახსნა

ჩემი ღრმა რწმენით, ქართული კულტურის ისტორიაში ძნელია დაასახელოს კაცმა უფრო დიდი აღმოჩენა, ვიდრე საანბანე წიგნის პირველი გაკვეთილი — ია. აი ია არის. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ეპოქალური მიგნება, ეს არის წიგნიერების ცხრაკლიტულისათვის ყველაზე მარჯვედ მორგებული გასაღები; თითქოსდა უბრალო და იმდენად მარტივი, მოზარდის გონებისათვის იოლად მისაწვდომი, ყველასთვის ნაცნობი და ბუნებრივი, რომ, როცა ეს გასაღები ხელთ გვიჭირავს, ვერცა ვგრძნობთ მის სიღიადეს... ცხადია, იმ ასაკში არც შეიძლება ვგრძნობდეთ ამას. დემნა შენგელაია: „ია“ „აი ია“ ხმოვან ასოთა, — ანის და ინის, — ასე წაღმა-უკულმა დალაგება-გადალაგებით პირველი სიტყვის და მასთან ერთად პირველი ფრაზის ასე შეკვრა ახლა, რაღა თქმა უნდა, ადვილია. მაგრამ მისი პირველად უღერალობის და უდიდესი შესაძლებლობის აღმოჩენა თავდაპირველად განა ასე ადვილი იყო?“

ძნელია თქმა იმისა, როდის დაიწყო იაკობმა ფიქრი საანბანე წიგნზე.

23 წლისა საქართველოში დაბრუნდა (ჯანმრთელობის გაუარესების გამო სწავლა შეწყვიტა კიევის სასულიერო აკადემიაში და სამშობლოს მოაშურა); 25 წლისამ უკვე გამოსცა „ქართული ანბანი“. 1865 წელია. საოცრად ნაყოფიერი წლებია: 1868 წელს გამოდის „ბუნების კარი“, 1869 წელს — „ანბანის“ IV გამოცემა...

1872-73 წლებში II გამოცემა „ბუნების კარისა“ და V-VI გამოცემები „ანბანისა“ და ცოტა ხნის დუმილი... როგორც ჩანს იბადება „დედაენა“. 1874 წელს იაკობი სოხუმშია, შემდეგ წელს ვარიანში გადასახლდა. მერე მოიგონებს: „როცა „დედა ენას“ ვადგენდით, ჩვენ გადავსახლდით სოფლად, ვაგროვებდით ქალებისა და კაცებისაგან ლექსებს, ზღაპრებს, თქმულებებს, ანდაზებს, გამოცანებს და ვიმყოფებოდით მთლად და სავსებით სახალხო პოეზიის ჰიპნოტიურის გავლენის ქვეშე“...

აი, ამ „კიბნოტიური გავლენით“ ხდება, როგორც ჩანს, შთაგონება „აი ია“-სი...

აქ მოხდა, როგორც ჩანს, ცის გახსნა... ცის გახსნა რა არის? — „ნატვრის ხეზე“ მუშაობისას კინორეჟისორ თენგიზ აბულაძეს დღიურში ჩაუწერია (თავის მოწაფეებს სწერს): „ჩემო ნანა, ნელიკო, გია, ასხაბ, რამაზ! გთხოვთ ყურადღებით მომისმინოთ.

გუშინ ღამით, დაახლოებით ორ საათზე, ცა გამეხსნა... ზუსტად ისევე, როგორც, ალბათ, გაეხსნებოდა ნეტარ ელიოზს, კენწეროზე მიყუჩებული რომ ეძებდა ჯადოსნური ხის ხილვას.

და აი, რამდენიმე წამით გამეხსნა ცა და მე დავინახე ღმერთკაცი ვაჟა თავისი უსაყვარლესი და უკვდავი გმირების — მინდიას, ალუდას, ჯოჯოლას, ალაზას, ლელას, ლუხუმის და სხვათა გარემოცვაში. ღამე იყო უკუნი და ამიტომაც მათი შუქი ძალზე მკვეთრად, თვალისმომჭრელად ასხივებდა.

მათ შთამაგონეს ის, რაც მინდა თქვენ გაგიზიაროთ“...

და მჯერა, ცა გაეხსნა იაკობს და ღვთისგან ჩაეგონა **ეა** პირველ საანბანე სიტყვად!...

იაკობი ძალიან უბრალოდ და მარტივად განმარტავს: „ყოველი ქართული ხმა გამოიხატება ცალკე ნიშნით, ასოთი, რომელიც ისევე იწერება, როგორც გამოითქმის, ამის გამო ქართული მართლწერა არავისთვის არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს, მაშინ როდესაც რუსულს მართლწერაში სამეცნიერო აკადემიისაც-კი მტკიცე გზა ვერ გაუკვლევია. აიღე თუნდაც პირველი გაკვეთილი ქართული წერა-კითხვისა; **ეა, აე, აი** **ეა**. ორივე სიტყვა შედგება ორი ხმოვანი ასოსაგან და წასაკითხად უადვილესია.

ამავე დროს **ეა** უსაყვარლესი საგანია, მეტად ბავშვებისათვის.

იაზე არა ერთი ბავშვისთვის მიმზიდველი ლექსი გამოუთქვამს ხალხს, — აი თუნდ ეს ლექსი, რომელიც შეიცავს ბავშვის შექებას:

„იამა გშობა შობითა,
ვარდმა გაგზარდა ქებითა,
ნარგიზმა ძუძუ გაწოვა,
მას გეცხარ სურნელებითა“.

შეგნებული მასწავლებელი იას აუწერს ბავშვებს თვალსაჩინოდ სურათის დახმარებით, მერე უძღვრებს და ამღერებს მოყვანილს ლექსსა და ბოლოს სიტყვებს ია, აი წააკითხებს ჯერ დიდი საკლასო ასოების დახმარებით და მერე წიგნში. — ამ სახით, პირველი წერა-კითხვის გაკვეთილი ქართულს ენაზე სწორედ წარმტაცია ბავშვისათვის თავისი სიადვილითა და სიამოვნებით. და ასეთ დასაწყისს უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმატებისთვის“.

ია-ს უპირატესობა სხვა სიტყვებთან:

უმარტივესი შედგენილობა;
უადვილესი წასაკითხი;
უსაყვარლესი საგანი;
მიმზიდველი ლექსებია მასზე;
იოლია თვალსაჩინობისთვის;
წარმტაცი გაკვეთილის თემა;
ადვილად სამღერი ლექსებია მასზე.

იმასაც მივაქციოთ ყურადღება: „ბავშვი ხამია“, სანამ ჩვევაში გადაუვა მას კითხვის მიმართულება (მარცხნიდან მარჯვნივ), შეცდომის შემთხვევაშიც კი (ე.ი. თუ მარჯვნიდან წაიკითხავს) ტექსტი იგივეა: **ია ია პალინდრომია!**...

ღიახ, „ასეთ დასაწყისს უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმატებისთვის.“

იაკობი ამის თაობაზე ამბობს: „რამდენადაც ჩვენ ვიცით, არც ერთ ენაზე არ იწყება ასე სამაგალითოდ წერა-კითხვის სახელმძღვანელო. და არ იწყება სწორედ იმის გამო, რომ არც ერთი სხვა ენა არ აძლევს ამის ნებას იქაურს პედაგოგებსა“ (IV. 154)

მივაქციოთ ყურადღება: ამგვარი დასაწყისი ჩემი დამსახურება კი არ არის, ქართული ენის მადლიაო! დედაენა გვაქვს ასეთი დიდებული და ამის გამო მოგვეცა შესაძლებლობა ამგვარი დასაწყისისათ: „პირველი გაკვეთილი „დედაენის“ ანბანისა აკმაყოფილებს ყოველს პედაგოგიურს მოთხოვნილებასა სავსებით და უნდა ჩაითვალოს იდეალურ გაკვეთილად, და ეს უნდა მიეწეროს ქართულის ენის ღირსებასა და არა ჩვენს ოსტატობასა“.

იაკობი ამაზე მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს არა თავმოწონებისათვის, სიამაყისათვის, არამედ იმის სამტკიცებლად, რომ „დედა ენა“ აუცილებელი სახელმძღვანელო ყოფილიყო სკოლაში... ამოქმედდა შურის, მტრობის მანქანა, კერძო ინტერესები დაუპირისპირდა საზოგადო საქმეს. ისევ იაკობი : „დედა ენას ისევ ესროლეს კენჭები (...). მართალია, ბოროტი ენები გვიპასუხებენ: მართო უმეცრება არ არის აქ დამნაშავეო; ზოგიერთ მკილავს „დედა ენამ“ ცული საქმე უყო, რამდენიმე მათგანვე შედგენილი ანბანი დააღპო სტამბაში და იმიტომ გამოილაშქრეს ისე ბრიყვულად „დედა-ენაზედაო“, მაგრამ ჩვენ ამ საბუთს არ შევიწყნარებთ. რა საჭიროა ზნეობით სისაძაგლის ძებნა, როდესაც გონების ცალიერობა და ფუქსავატობა სრულიად საკმარისად ხსნის მოვლენებს?“

ვინმე „გადაღმიელმა“ (ანთიმოზ ჯულელმა) პირველი გაკვეთილი დაუწუნა „დედა ენას“: „იას ბავშვები თვითონ ვერ იცნობენ, თუ მასწავლებელი არ დაეხმარაო“. იაკობი იძულებულია ისევ პირველი გაკვეთილის ავ-კარგზე ისაუბროს: „ეს მართალია: ბავშვები მხოლოდ გამოიცნობენ, რომ ყვავილია დახატული, მაგრამ რა ყვავილია სახელდობრ, — ეს მასწავლებელმა უნდა უთხრას. ჩვენ ეს კარგად ვიცოდით, როდესაც ანბანს ვადგენდით; მაგრამ დიდის სიხარულით მივეციტ პირველი ადგილი სიტყვას „ია“ თავის სურათით. რადა? იმიტომ რომ ანბანის სწავლის დაწყებისათვის მეტად მოხერხებული სიტყვაა და ბევრი ღირსება აქვს. პირველი ღირსება ის გახლავთ, რომ ეს სიტყვა შედგება ორი ხმოვანი ასოსაგან, რომელნიც გამოსათქმელად ადვილნი არიან, დასაწერად არა ძნელნი და შემდეგის გაკვეთილებისათვის ფრიალ საჭირონი, რადგან ამ ასოების შემწეობით ადვილად სდგება სიტყვები და ფრაზები და უამათოთ კი მათი შედგენა შეუძლებელი იქნებოდა. მეორე ღირსება ის არის, რომ მართო ამ ორი ასოსაგან სდგება ორი სიტყვა და მათგან ფრაზა. ამის გამო ბავშვი პირველსავე გაკვეთილიდგან სწავლობს არა მართო ორ ხმასა და ასოსა, არამედ მაშინვე ჰკითხულობს სიტყვებს და ფრაზებს, ამ ასოებითგან შემდგარო. მის გამო ჩვენს ენაში ეს სიტყვა უძვირფასესი რამ არის ანბანის დაწყებისათვის“.

მივაქციოთ ყურადღება: პირველივე გაკვეთილზე ფრაზებს სწავ-

ლობს ბავშვი. „ყოველი ფრაზა აადვილებს და აჩქარებს კითხვის პროცესის სწავლასა და ამასთან ხშირად აძლევს მასალას არა მარტო ლოგიკურ გარჩევისას, არამედ ხშირად ნივთიერისასაც“ და რომ ეს ყოველივე ხერხდება პირველ გაკვეთილზე, ეს ჩვენი ენის ღირსებააო, — გვარწმუნებს იაკობი...

„ბევრი ენა მოკლებულია ამგვარ მოხერხებულს სიტყვას, პედაგოგების სამწუხაროდ. რუსულ ენაში, მაგალითად, არ მოიძებნა ამისთანა სიტყვა და ამის გამო უმინსკი იძულებული შეიქმნა თავისი ანბანი და ეწყო არა სიტყვებით, რასაც მისი მეთოდი მოითხოვდა, არამედ ხმოვანის ასოებით და მათგან შეედგინა საწერად და საკითხავად უაზრო და უმნიშვნელო მარცვლები, რომელსაც ისიც საზოგადოდ მავნებლად სთვლიდა“.

ისევ დასაბუთება იმისა, თუ რა სიმდიდრის შემცველია ჩვენი ენა. სომხების მაგალითსაც მოიშველიებს ამის დასტურად: „ჩვენ ვიცით, რომ განათლებულმა სომხებმა ამ ნაირი სიტყვა ეძებეს ძველსა და ახალს ენაში, მაგრამ ვერ იპოვეს, თავის და სანანურად“.

ამოუწურავია ღირსება ია-სი: „ამით არ თავდება ჩვენი პირველი ნორმალური სიტყვის ღირსებანი. ის ნიშნავს ბავშვისათვის სასიამოვნო, სასიყვარულო საგანს — ყვავილსა და ამით პირველი ფეხისშედგმისთანავე სწავლაში შეაქვს ცოცხალი ინტერესი“.

ზემოთაც ვთქვი, არაერთი ხალხური ლექსია ია-ზე შექმნილი და „მშვენიერის საბავშვო მოტივის ჰანგით“ იმღერებო. „მაშასადამე პირველივე გაკვეთილი, პირველივე ნორმალური სიტყვა მასწავლებელს აძლევს ღონისძიებას წერა-კითხვასთან შეახორცოს სიმღერა, რაიცა შეადგენს სკოლის სულსა და რომელიც სწავლების მიუცილებელს ელემენტად ითვლება ახალს პედაგოგიაში.“

სიმღერა რა შუაშიაო, არ უნდა იკითხოს იაკობის მკითხველმა: „ხალხური სიმღერა უფრო ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენს იმის შემქმნელს ხალხზე, ვიდრე უცხოზე. იგი უძლიერებს სიხარულს, უნელებს სიმწუხარეს, უქარავებს დარდებს, ავსებს მხნეობით, ფრთებს ასხამს ყოველს კარგს მასწავლებელს, აძლიერებს ენობრივ გრძნობას, აერთიანებს ყველა წოდებას, ყველა კლასს, ჰქმნის ერთეულს ერსა“...

არნ. ჩიქობავამ თქვა, ეროვნული სული ყველაზე მეტად ენასა და

სიმღერაში ვლინდებაო: „ენის შემდეგ სიმღერა მეტად ემსახურება ეროვნულ საქმეს, ერის კულტურის მაჩვენებელია“ (ანა კალანდაძის ჩანაწერებიდან). ამიტომაც მიაპყრობს იაკობი ყურადღებას ენის სწავლებისა და სიმღერის ერთობას. „აივნანამ რა ჰქნა?“ — ესეც ხომ გვახსოვთ? პირველ საანბანე სიტყვასთან ამ თემის წამოწვევა უმნიშვნელოვანესი ფაქტია... პირველი საანბანე სიტყვა ამ თემისათვის კარგ მასალას იძლევა... ამითაცაა ია-ს მიგნება ფასეული.

ეს თემა — სიმღერის აუცილებლობა წერა-კითხვასთან ერთად და, შესაბამისად, საანბანე წიგნის თემებთან სიმღერის თემების კავშირი — ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იაკობისათვის. „დედა ენის“ გამოსვლისთანავე იგი იწყებს ქართული ხალხური სიმღერის ნოტებზე გადაღების ორგანიზებას. წერდა: „კაი ხანია ამ სტრიქონის დამწერი მოწადინებული იყო ვისთვისმე გადაეღებინა ნოტებზე ხალხური სიმღერები ჩვენი სკოლებისათვის. ეს წადილი ჩემში გაძლიერდა მეტად მასუკან, რაც ორიოდე წლის წინად გამოვეცი „დედა ენა“. მასში მოვაქციე ბევრი ხალხური ნაწარმოები, რის შეთვისებაც შეეძლოთ ბავშვებს სრული შეგნებითა და ხალისითა. აკლდა მხოლოდ სახალხო სიმღერები, ნოტებზე გადაღებული... ახლანდელი დროის სკოლა განათლებულს ქვეყანაში ყოვლად შეუძლებელია სიმღერის გარეშე“...

გავიხსენოთ, პირველი გაკვეთილის თემის მნიშვნელობაზე რას ამბობს იაკობი და თვალი მივადევნოთ (უფრო სწორად, შევადაროთ), რას ამბობს სიმღერის მნიშვნელობაზე: „სიმღერა სამართლიანად ითვლება ჩვენს დროში სკოლის სულად და გულად. იგი უვითარებს ბავშვს სმენას, აჩვევს ჰარმონიას, უსუსტებს და უსპობს ხეპრობასა და ზრდის მის გულში სინანულსა და სიფაქიზეს. ერთი სიტყვით, აკეთილშობილებს მის ბუნებას(...), მეტად უმსუბუქებს ბავშვებს იმ ტვირთს, რომელსაც მათთვის შეადგენს სისტემატური გონებითი მუშაობა“.

იძულებითი გადახვევა: ეს შეგონება იაკობისა მივივიწყეთ. დღევანდელ სკოლაში, რამდენადაც თვალი მიმიწვდება. სიმღერა ფორმალური საგანია, საათების გაზრდის მიზნით უმატებენ პედაგოგებს სიმღერის გაკვეთილებს და სიმღერის საათები ხმარდება სხვა საქმეს...

და როცა ნოტებზე გადატანილი ქართული სიმღერის კრებული გამოიცა, იაკობი შენიშნავდა: „ლექსები სიმღერებისთვის იმ გვარნი

ამოვარჩიე, რომელნიც ან პოეტურის მხრით არიან ჩინებულნი, ან კეთილ-აზროვანნი. და პედაგოგიური შინაარსი აქვთ“.

ასე ირჩეოდა საანბანე სიტყვა, ასე ირჩეოდა საკითხავი ტექსტი, ასე ირჩეოდა სასიმღერო ლექსი... ამის თაობაზე კიდევ მოგვიწევს საუბარი.

სხვათა შორის, თ. წიგწივაძე ერთგან წერდა: „ღვთაებრივი „დედაენისადმი“ ჩემი უდიდესი მოკრძალების მიუხედავად გავბედავ და ვიტყვი: ყოველი სახელმძღვანელო, რა ოსტატობითაც უნდა იყოს შედგენილი, დროთა განმავლობაში სხივს კარგავს — მიჰირს თქმა! — ძველება და აუცილებლად შესაცვლელი ხდება!“

აკაკი წერეთლის „განთიადი“ კი ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტივით მარადიულია!

ერთი სიტყვით, პირველკლასელთათვის სახელმძღვანელოს შედგენა, მეტნაკლებად, სხვებსაც ხელეწიფებოდათ, ხოლო „დაისის“ შესავლის დაწერა — ფალიაშვილის გარდა არავის“...

ვეთანხმებით ამ აზრის ავტორს იმაში, რომ, რაც არის პოეზიაში „განთიადი“, ისაა მუსიკაში „დაისის“ შესავალი, მაგრამ... ამათი ტოლფასია პედაგოგიაში „დედაენა“. ამ წიგნის შედგენას ისეთივე გენიოსი სჭირდება, როგორებიც იყვნენ აკაკი და ზ. ფალიაშვილი თავიანთ სფეროებში... ვიმეორებთ, საანბანე პირველ სიტყვად ია-ს მიგნება უტოლდება სხვა სინამდვილეში ყველა დროის ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენას.

ვთქვით, ეს ის აგურია, რომელზეც მერე იოლად შეიძლება დააშენო საანბანე წიგნი. დააშენეს კიდევ მავანმა და მავანმა...

თავად იაკობი წერდა „დედა ენის“ წინასიტყვაში: „თუმცა ამ წიგნის შედგენაზე ერთგულად და კაიხანი ვიშრომეთ, მაგრამ ყოველგვარი სისრულით მაინც ვერ შევაძვეთ და ზოგიერთა ნაკლოვანებანი მაინც ვერ ავიცილეთ(...). ვინც ამ წიგნის ნაკლოვანებას ჩვენთვის სასაყვედურო საგნად ჩასთვლის, იმას ჩვენ მოვავაგონებთ, რომ გამოჩენილი პედაგოგები ერთხმად სთვლიან პირველი საბავშვო წიგნის შედგენას უძნელეს საქმეთ მთელ პედაგოგიაში, მაშინაც კი, როდესაც ხალხური ლიტერატურა შეიცავს მზამზარეულ მასალას ამ წიგნისათვის. რამდენად მომეტებული უნდა იყოს ეს სიძნელე იქ, სადაც მასალის დამზადე-

ბით თავი არავის შეუწუხებია და სადაც კაცმა თითქმის არაფრიდგან უნდა დაბადოს წიგნი“.

გამოსვლისთანავე „დედა ენას“ ჰყავდა შემფასებელიც და დამფასებელიც.

1876 წლის მაის-ივლისში იაკობი „დედა ენას“ „განიხილავდა და სკოლებში სახმარებლად“ უდგენს ლიტერატორთა და პედაგოგთა კომისიას. კომისია იწონებს „დედა ენას“ სახელმძღვანელოდ და აჯილდოებს წიგნს ზარაფიშვილის პრემიით; „დედა ენის“ წინასიტყვაში მიუთითებს იაკობი: „ეს წიგნი დაჯილდოებულ იქნა სტეფანე ზარაფოვის პრემიით, თანახმად გადაწყვეტილებისა იმ კომისიის წევრებისა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ შესდგა ქართული სახელმძღვანელოს გასასინჯველად“.

გაზეთი „დროება“ (4 ივნისი, 1876) წერდა: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ „ქართული წიგნების გამომცემელი“ ამ მოკლე ხანში უფ. იაკობ გოგებაშვილის ახალი სახელმძღვანელო წიგნის გამოცემას აპირებს, სახელად „დედა ენა“. ამ წიგნის გამოსაცემი ფული 6000 მან. გამომცემელთ უფ. სტ. ი. ზარაფოვმა შესწირა და ამას გარდა თვითონ წიგნის შემდგენელს პრემიად მისცა 200 მან“.

22 ოქტომბერს იაკობი თხოვნით მიმართავს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს, რომ „დედა ენა“ მიიღონ სახელმძღვანელოდ დაწყებით სკოლებში. თითქმის ორი თვის შემდეგ, 30 დეკემბერს, კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭომ დააკმაყოფილა იაკობ გოგებაშვილის თხოვნა გიორგი იოსელიანის ვრცელი რეცენზიის საფუძველზე და მიიღეს სახელმძღვანელოდ „დედა ენა“. ეს გამარჯვება იყო...

აი ია — ქართულ სკოლაში მეგზურად დაუდგა ქართველ ბავშვს და საუკუნეზე მეტია ერთგულად უკვალავს გზას წიგნიერების ჭადოსნურ სამყაროში.

იაკობი ღროს უსწრებდა

როცა საუბრობენ „დედაენის“ ღირსებებზე და მისი ავტორის მაღალნიჭიერებაზე, ხშირად აღარებენ ხოლმე კომენსკის, უშინსკის, პესტალოცს. იაკობის გარდაცვალების გამო თიანეთიდან დეპეშა მოსულა: „...აღარა გვეყავს ჩვენი პესტალოცი, გონივრული ცხოვრების გზის მაჩვენებელი“... უშინსკისთან შედარებით კი ცდილობდნენ „ზე აეწიათ იაკობის დამსახურება“. ნიკო ნიკოლაძეც ფიქრობდა: „დედა-ენა“ შექმნილია უშინსკის „Родное слово“-ს გავლენით“. წერენ ასევე: „ის სავესებით იზიარებდა ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, პისარევის, უშინსკის, ილია ჭავჭავაძის და სხვა რევოლუციონერებისა და პედაგოგების აზრს რეალური განათლების, ისტორიული აუცილებლობისა და აშკარა პროგრესიულობის შესახებ“ (გ. თავზიშვილი)... მეტიც, მის ნაწერებში ეძებენ „მარქსისტულ პრინციპებს“: „იცნობდა თუ არა გოგებაშვილი პოლიტექნიკური განათლების მარქსისტულ პრინციპს, იცნობდა თუ არა იგი მარქს-ენგელსის ნაწერებს ზოგადი და სპეციალური განათლების შესახებ?“... ვერ პოულობენ კვალს მარქსისა და ენგელსის შრომების ცოდნისას, მაგრამ ფიქრობენ, რომ „იაკობს არ შეიძლებოდა უყურადღებოდ დაეტოვებინა მათი პედაგოგიური შეხედულებანი და არ გაეზიარებინა ისინი“... აბა, უამისოდ ქართველი გოგებაშვილი როგორ შეძლებდაო მაღალი იდეების ქადაგებას!...

მაგრამ, როგორც ჩანს, არაა ასე, მათდა სამწუხაროდ, ვინც იაკობის ნააზრევში მარქსიზმის მარცვლებს ეძებს...

საინტერესოა ზაქარია კიკნაძის დაკვირვება: „ჩვენ გავეცანით 60-70-80 წ.წ. გამოსულ ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემულ ანბანის სახელმძღვანელოებს, რომლებიც კი მოიპოვებოდა მოსკოვისა, ლენინგრადისა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკებში, მაგრამ არცერთი მათგანი არ ემსგავსება „დედა-ენას“... თავად მიმართავს ერთგან იაკობი თავის ოპონენტებს, შეადარეთ „დედაენა“ ევროპულ სახელმძღვანელოებს და დარწმუნდებით მის ორიგინალობაშიო...“

როგორც იაკობის წერილებიდან ირკვევა, „დედაენის“ გამოცემიდან ხუთი წლის შემდეგ იაკობი გაცნობია გერმანულ სახელმძღვანელოებს: „როდესაც ხუთის წლის წინად ჩვენ ვადგენდით „დედა-ენას“, არც ერთი ნემეცური სახელმძღვანელო თვალითაც არ გვენახა, ჩვენ მისდევდით საკუთარს მოსაზრებას, საკუთარს გზასა. როდესაც ამ ერთის წლის წინათ ერთმა ჩვენმა ახალგაზრდამ გერმანიიდან მოიტანა ნემეცურს ენაზედ რამდენიმე საუკეთესო სახელმძღვანელო წიგნი და ჩვენ ისინი გადავსინჯეთ, განცვიფრებულნი დავრჩით: ჩვენს წიგნსა და ამ სახელმძღვანელოებს შორის ეპოვეთ სრული მზგავსება“... ამის შემდეგ იაკობი მსგავსებაზე საუბრობს და თავმდაბლადაც მოიბოდიშებს: „დარწმუნებულნი ვართ, რომ ნათქვამს ზოგნი კვებნად ჩამოგვართმევენ. ისიც კარგად ვიცით, რომ თავის ქება კიტრადა ღირსო, მაგრამ რას იზამ? როდესაც შენს ნამოქმედარზე ჰყვირიან შავიანო, მაშ რით უნდა გაამტყუნო, თუ არა დამტკიცებითა, რომ იგი თეთრია!“...

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: ერთ-ერთ პოლემიკურ წერილში იაკობი იძულებულია გაიმეოროს არტურ ლაისტის აზრი — „დედაენა“ და „ბუნების კარი“ ღირსებით არ დაუვარდებიან საუკეთესო ევროპიულს სახელმძღვანელოებს“ (1901 წელი). ოპონენტი, ვინმე დ. საგირეთელი, ლამისაა, მასხრად იგდებს არტურ ლაისტს. იაკობი აქაც იძულებულია, შეახსენოს ოპონენტსა და საზოგადოებას, ვინაა არტურ ლაისტი: „ბ-ნი ლეისტი სწორედ პედაგოგიც არის და მეცნიერიც. მან ზედ-მიწევნით იცის ყველა მთავარი ენები ევროპისა; უკანასკნელს წლებამდინ მის ერთად ერთს ხელობას დიდის ხნის განმავლობაში შეადგენდა მასწავლებლობა, რომლითაც სცხოვრობდა ჯერ ევროპაში, მერმე რუსეთში და ბოლოს ხანს საქართველოში. თუმცა ამ ყამად მას ცხოვრების მთავარ სახსრად სხვა სამსახური აქვს, მაგრამ მასწავლებლობას ახლაც თავს არ ანებებს. ყველა ევროპიული სახელმძღვანელოები მას ზედ-მიწევნით აქვს შესწავლილი. კარგად იცნობს ქართულს სახელმძღვანელოებსა და ლიტერატურას, რადგანაც თავისუფლად კითხულობს, სწერს და ლაპარაკობს ქართულად. მთელს ევროპაში ამ ყამად ეს ერთად-ერთი კაცია, რომელსაც ცოდნა ნებას აძლევს კომპეტენტური შედარება მოახდინოს სახელმძღვანელოებისა“ (ხაზი ჩვენია — გ. გ.).

ცხადია, ასეთი კაცის აზრს იაკობისათვის და, მით უმეტეს, ჩვენ-

თვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამ თემაზე საუბრისას ზ. კიკნაძე ასეთ კატეგორიულ მსჯელობასაც გვთავაზობს: „რომელი ავტორების შეხედულებანი და პრინციპები გამოიყენება ი. გოგებაშვილმა „დედა-ენის“ შედგენის დროს? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ „დედა-ენა“ უმთავრესად მისი ავტორის მრავალი დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგია... ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“ როგორც მეთოდის, ისე მასალის მხრივ ორიგინალური წიგნია, ამიტომ მართებულია ავტორი, როდესაც წერს: „დედაენის“ შედგენაში ჩვენ მივსდევდით საკუთარ მოსაზრებას, საკუთარ გზას“.

ნუ გაგვიკვირდება — იაკობ გოგებაშვილი გენიოსი იყო (და, ვთქვით კიდევაც, ამას უცხოელებიც აღიარებენ!). და არა მხოლოდ „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ გამო უნდა ვიფიქროთ ასე...

თუ იაკობის მემკვიდრეობას ყოველმხრივ შევისწავლით, ეს აზრი („იაკობი გენიოსი იყო“) კიდევ უფრო განგვიმტკიცდება.

* * *

იაკობის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი მთავარი თემა არის დედაენისა და უცხო ენის სწავლების ურთიერთმიმართების საკითხი. ძირითადი თეზისი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: „ბავშვმა მას უკან უნდა იწყოს უცხო ენის შესწავლა, როცა უკვე კარგად აქვს შეთვისებული თავისი დედა-ენა“. იაკობი მოგვიწოდებს: „საჭიროა საქართველოს ეროვნულ ეტლში შევაბათ ძირში ქართული ენა და კევრად მივუბათ რუსული ენა და სხვა ენები“. და ეს არა იმიტომ, რომ „მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა. ყველა უცხო ენანი კი არინ ენანი მესხიერებისა“; არა, მხოლოდ ამიტომ არა. იაკობი განმარტავს: „დედა-ენის გაცვლა უცხო ენაზედ ადაბლებს კაცის გონებასა და უსუსტებს ზნეობრივ ძალასა... ამ შემთხვევაში იბადება წინააღმდეგობა კაცის ეროვნული აგებულებისა და მის მეტყველების შუა და ამ წინააღმდეგობის წყალობით ეს პირი რამდენიმე ხარისხით ძირს ჩამოდის სულიერად. თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი; თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისაგან დაყოლილი ჰქონდა უბაღლო ნიჭი, მტკნარ სიტუტუტეზე ჩამობტება“... როგორც ვთქვით, ეს ერთ-ერთი ძირითადი თემაა იაკობისათვის; ეს არ არის „XIX საუკუნის აზროვნება“...

როგორ უყურებენ ამ საკითხს დღეს? ზემოთაც მოვიყვანეთ აკადემიკოს შოთა ნაღირაშვილის აზრი; გავიმეორებთ: „პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშობლიური ენის სიღრმისეულ შესწავლას. უცხო ენის სწავლების დაწყება კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვმა კარგად იცის წერა-კითხვა, თვლა-ანგარიში და აზროვნება მშობლიურ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, უცხო ენის შესწავლა მავნე ზემოქმედებას მოახდენს მოზარდის ფსიქიკაზე და შეაფერხებს მის გონებრივ განვითარებას“. დღეს, როცა დადგა საკითხი ქართულ სკოლაში უცხო ენის პირველი კლასიდანვე სწავლებისა (დედაენის პარალელურად!), ფსიქოლოგი გვაფრთხილებს: „თუ ინგლისური ენა მშობლიური ენის კონკურენტად აქციეს, ეს ძალიან ცუდად იმოქმედებს ბავშვების ფსიქიკაზე და მათი აზროვნების მთლიანობაზე“... ასე რომ, ის, რასაც იაკობი ქადაგებდა XIX საუკუნეში, უტყუარი ჰემარიტებაა დღესაც, მეტიც — სასიცოცხლო აუცილებლობა ერისათვის...

* * *

ზემოთ (გვ. 28-29) ვისაუბრეთ იაკობ გოგებაშვილის „ეკონომიკურ და ოფთალმოლოგიურ შეხედულებებზე“...

ასევე ითქმება ალბად, თუ ვინმე ღრმად შეისწავლის იაკობის შეხედულებებს **მხატვრობაზე** (რა მნიშვნელობა აქვს ნახატს საანბანო წიგნში და საერთოდ სასწავლო პროცესში); **მუსიკაზე** (რა მნიშვნელობა აქვს მუსიკას სასწავლო პროცესში და ზოგადად ბავშვის განვითარებისათვის) და სხვა...

და ასევე ითქმება... რაც ითქვა იაკობის „პედაგოგიკურ შეხედულებებზე“; იაკობის „ეკონომიკურ შეხედულებებზე“, იაკობის „ოფთალმოლოგიურ შეხედულებებზე“ და იცით რატომ?

იაკობ გოგებაშვილი გენიოსი იყო!... იაკობი ღროს უსწრებდა...

ენობრივი სახელმძღვანელო

იაკობ გოგებაშვილისათვის ახალგაზრდა პლატონ წულუკიძეს შეუბედავს და „Русское слово“ შინაარსობრივად დაუწუნებია, ბევრი ხელოვნური და არამხატვრული ლექსი და მოთხრობაა წიგნში შეტანილიო. ამ შენიშვნაზე იაკობს ჩაუცინია და უთქვამს: „თქვენ ახალგაზრდა მასწავლებელი ხართ და როგორც გატყობთ, ვერ ამჩნევთ შემდეგ გარემოებას: სახელმძღვანელო არის ორგვარი: ენობრივი და ქრესტომატია. ქრესტომატია ადვილი შესადგენია. საკმარისია აიღო სხვა და სხვა კლასიკოსი მწერლის ნაწარმოები, ამოიღო იქიდან ბავშვების მისაწვდომი ლექსები ან მოთხრობები და ქრესტომატიაც მზად არი. სულ სხვა არის ენობრივი წიგნის შედგენა. ე. ი. ენის შესასწავლი წიგნი. აქ ყოველი ახალი სიტყვა, რომელსაც ვაწოდებთ ახალი ენიდან, აუცილებლად უნდა იყოს გამეორებული შემდეგ მოთხრობებში რამოდენიმეჯერ, რათა ღრმად ჩაებეჭდოს ბავშვს მეხსიერებაში ახალი სიტყვა... მე სწორედ ამგვარ წიგნს ვაძღვე“... სხვაგან უთქვამს, სახელმძღვანელომ უნდა შეასწავლოს და შეაყვაროს ბავშვს ენაო...

შ ე ა ს წ ა ვ ლ ო ს დ ა შ ე ა ყ ვ ა რ ო ს ო ...

ორივე ეს მისია აუცილებელია სახელმძღვანელოსათვისო. აქ კიდევ გვინდა გავიხსენოთ იაკობის მოგონება: „ამ ოცდაათი წლის წინათ ჩვენს სასწავლებლებში გრამატიკა იოსელიანისა ქართული ენის სახელმძღვანელოდ იყო მიღებული. ვერ წარმოიდგენს მკითხველი, რა ჭირივით მეჯავრებოდა ქართული ენის გაკვეთილები და რა სიძულვილი ჩამისახა გულში დედა-ენისა ამ გრამატიკამ იმ ღროიდან, ვიდრე იგი არ შემაყვარეს ჩვენმა მაღალნიჭიერმა პოეტებმა და ლიტერატორებმა“.

ენობრივ სახელმძღვანელოზე როცა საუბრობს იაკობი, უმთავრესად მაინც პირველდაწყებითი სახელმძღვანელოები აქვს მხედველობაში.

აი, რატომ ანიჭებს პირველდაწყებით სახელმძღვანელოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას: წიგნი ემსახურება მხოლოდ „ერთს მიზანს — ენის შესწავლას ბავშვისაგან, რომელიც უფრო მდიდარია ცოდნით

და აზრით, ვიდრე მეტყველებით. თანახმად ამ მოთხოვნილებისა, „დედა-ენა“ იპყრობს მდიდარს მასალას ენის შესწავლისათვის“...

მაგრამ რასაც ვსწავლობთ, სწორად უნდა ვისწავლოთ, რადგან ერთხელ შეცდომით ნასწავლი ძნელად გასწორდება... ამიტომაც სახელმძღვანელოში შეცდომა არ შეიძლება გაიპაროს, კორექტურული შეცდომაც კი — იგი დიდი ზიანის მომტანიაო, ასე ფიქრობდა იაკობი. ამიტომაც იყო, რომ „დედაენასა“ თუ „ბუნების კარს“ რამდენიმე პირს აკითხებდა. შიო მღვიმელი იგონებს: „მე და ილიკო აგლამე ვასწორებდით გოგებაშვილის „დედა-ენასა“ და „ბუნების კარის“ კორექტურას. იაკობი კორექტურის შესახებ მეტის მეტი ფრთხილი და მკაცრი იყო. ერთი კორექტურული შეცდომა არ უნდა ყოფილიყო მის სახელმძღვანელოებში დაშვებული. ვისაც არ უნდა გაესწორებინა მისი სახელმძღვანელოების კორექტურა, ვიდრე დაიბეჭდებოდა, უსათუოდ მესამე პირისთვის უნდა მიენდო მისი ხელახლად ბეჯითი გადათვალიერება. თითო კორექტურული შეცდომის პოვნაში მესამე პირს აძლევდა გაზეთს (გასამრჩელოდ — გ. გ.). და სულ ბოლოს, უკანასკნელ კორექტურას მიანდობდა ხოლმე ვასილ ჩერქეზიშვილს, ქალაქის თავს, მას ამეებისათვის თუმცა არ ეცალა და არც ფულის ინტერესი ჰქონდა, მაგრამ ხათრს ვერ უტეხავდა ხოლმე“. იაკობი იტყვოდა: „კორექტურული შეცდომა შავ ლაქასავით მოჩანს თეთრ ქალაღზეო“ (ი. სრესელი).

როცა ამგვარ შეცდომებზე მიუთითეს იაკობს წერილობით, მიიღო შენიშვნა და თქვა: „ერთი კორექტორის მაგიერ ორი კორექტორი აუზრჩიეთ მეთორმეტე გამოცემასო“. იმასაც იგონებენ, დაბეჭდილ წიგნში ერთი კორექტურული ანდა ენობრივი შეცდომის აღმოჩენისათვის ჩილდოდ შაურს (5 კაპიკს) აძლევდაო. გავითვალისწინოთ: საანბანე წიგნი (I ნაწილი) „დედაენისა“ ორი შაური ღირდა... ერთი შეცდომის შემჩნევისათვის წიგნის ფასის ნახევარს იხდიდა!

ისევ შიო მღვიმელი: „მარტო სხვა კორექტორებს არ ენდობოდა, მიუხედავად მართლაც კარგი ხნიანობისა, უეჭველად თავადაც კითხულობდა თავისი სახელმძღვანელოების კორექტურას“.

ნინო ნაკაშიძისადმი მიწერილ იაკობის ერთ პირად წერილსაც გადავავლოთ თვალი: „პატივცემულო ბატონო ნინო! თქვენც კარგად

მოგეხსენებათ, რომ სწორე კარეკტურას იმისთანა პირველდაწყებითს სახელმძღვანელოსათვის, როგორც გახლავთ ჩემი „Русское слово“, დიდი მნიშვნელობა აქვს. საკმარისია რამდენიმე შეცდომა გაიპაროს, რომ თორმეტი ათასობით მომინდეს ფორმების ხელახლად გადაბეჭდა. რათა ეს არ მოხდეს, საჭიროა: სამჭერ გადაკითხული, გასწორებული და შედარებული იქნას ყოველი ფორმა. როცა პირველი გასწორებული კარეკტურა მიუვა კარეკტორს სტამბიდან, იგი ჭერ შეამოწმებს, ყოველი მის მიერ აღნიშნული შეცდომა გაუსწორებია ასოთ ამკრეფსა, თუ არა. მერმე ხელმეორედ გულდადებით გადიკითხავს იმავე ფორმასა, რადგანაც პირველად გადაკითხვის დროს თვით მას ბევრი შეცდომა გაეპარებოდა. ასევე უნდა მოიქცეს მეორე და მესამე კარეკტურის შესახებაცა. ასე, რომ სამჭერ შედარება, სამჭერ გადაკითხვა და სამჭერვე გასწორება აუცილებლად საჭირო გახლავთ კარგი კარეკტურისათვის“... გულდაწყვეტილი საუბრობს ერთ-ერთ კორექტორზე: „მესამე კარეკტურაში მხოლოდ იმისათვის მიექცია ყურადღება, გაესწორებინა ასოთ ამწყობს მეორე კარეკტურაში აღნიშნული შეცდომები, თუ არა. გადაკითხვა კი საჭიროდ არ ჩაუთვლია, რის გამოც შეუმჩნეველად დარჩენია ის ახალი შეცდომები, რომელიც ასოთ ამწყობს მოუხდენია გასწორების დროსა. საკმარისს ყურადღებას არ აქცევს აგრეთვე დასასვენებელი ნიშნების კანონიერად ხმარებასა. ვშიშობ, რომ არც ასამალღებელს ნიშნებს აქცევს ჭეროვანს ყურადღებასა, რაც ძლიერ საჭიროა“...

აქ და სხვათა მონათხრობში მთავარია, ყმაწვილმა მიიღოს უშეცდომო სახელმძღვანელო — „ენობრივი სახელმძღვანელოს“ მნიშვნელობა ესაა!

ვინც მხარში ამოუდგებოდა იაკობს უშეცდომო სახელმძღვანელოების გამოცემაში, დაფასებაც იცოდა შრომისა; შიო მღვიმელი იგონებს: „იმ წელიწადს, როდესაც მე და ილიკო აგლაძე ვასწორებდით ზემოხსენებულ სახელმძღვანელოების კორექტურას, რადგან ჩერქეზიშვილს დრო არა ჰქონდა, უკანასკნელი კორექტურის გადათვალეიერება მიანდო შაქრო ბილანიშვილს და რადგან ერთი თუ ორი უბრალო კორექტურული შეცდომის მეტი ვერა ნახა რა, გახარებულმა იაკობმა ორივე კორექტორი ბორჯომში დაგვპატიჟა, სადაც ის იმ წელს იყო სააგარაკოდ წასული. დაგვიტოვა ხვედრი ხელფასის გარდა გზის ფულიც“.

უმეცდომო ენობრივი სახელმძღვანელო უღირდა ამაღ იაკობს!...

ეს კორექტურა... სტილი? იგონებენ: „სტილის მხრივ თავისთავს რომ ვერ ენდობოდა, აკაკის იშველიებდა (რასაკვირველია, სასყიდ-ლით)“ (შ. მღვიმელი).

წიგნის ენობრივ მხარეზე ფიქრი ამით არ მთავრდებოდა: იგონებენ, რომ მას საქართველოს სახალხო სკოლების ყველა ცნობილ მასწავლებელთან ჰქონდა მიმოწერა, სთხოვდა, შემატყობინეთ თქვენი აზრი, რა ნაკლი აქვს ჩემს სახელმძღვანელოსო.

იაკობის პრინციპულობასა და სიჩიუტეზე ბევრს წერდნენ.

„იაკობი სულმუღამ თავის ნათქვამი კაცი იყო, მით უმეტეს, როდესაც სრული სიმართლე იმისკენ იყო“ (შ. მღვიმელი). „თავისნათქვამი კაცი იყო“ (ი. მჭედლიშვილი). ანდა: „იაკობი კი ისეთი იყო, მოკამათეს, როგორც იტყვიან, რჯულამდე ჩაპყვებოდა, თუ მისი აზრი საექვოდ მოეჩვენებოდა“... „დაუნდობელი, პირდაპირი, შეუდრეკელი, ურყევი!“ (ი. იმედაშვილი). მაგრამ იაკობი კამათობს მაშინ, როცა სჯერა, რომ მართალია. მთავარია, სახელმძღვანელოში უმეცდომა არ გაიპაროს. მაგრამ იაკობის გადარწმუნება არაა იოლი — არგუმენტებია საჭირო, უტყუარი არგუმენტები.

ერთი საინტერესო ფაქტი: „დედაენაში“ ეწერა თურმე, ოფოფი „კუკუ“-ს იძახისო. არ არისო სწორიო, გააკრიტიკეს იაკობი — ოფოფი „ოფოფ“-ს იძახისო. ნოტებზეც კი დაუხატეს. იხმო იაკობმა ახალგაზრდა მწერალი იოსებ მჭედლიშვილი: „ყმაწვილო, გესმის ეს ხალხი რას მიმტკიცებს! ოფოფი „კუკუ“-ს კი არა, „ოფოფ“-ს იძახისო. შენ, როგორც სოფლის შვილმა მწერალმა, ხმა უნდა ამოიღოო“. „სოფლის შვილობა“ იაკობისათვის ხალხური მეტყველების, ხალხური ენის ცოდნას ნიშნავდა და როცა „სოფლის შვილმა მწერალმა“ უთხრა, „ოფოფი „კუკუ“-ს კი არა, „ოფოფ“-ს იძახისო“... აღარ შეჰკამათებია იაკობი, არ გამოუღვია თავი თავისი პოზიციის დასაცავად (როგორც ჩანს, არ ჰქონდა დამატებითი საბუთი) და „დაამუნჯა“ ოფოფი თავის სახელმძღვანელოში — აღარც „კუკუ“ ათქმევინა და აღარც „ოფოფ“...

ამიტომ, როცა გ. წერეთელთან და კ. დოდაშვილთან ენობრივ საკითხებზე პოლემიკის დროს „ივერიაში“ უსაყვედურეს იაკობს — „ნმა ვერ ამოგვიღია გოგებაშვილის მიერ შედგენილი წიგნების შესახებ. მა-

შინვე იაკობი ქვა-გუნდასა და ცეცხლს დაგვაყრისო“, არ იყო მართალი — იაკობი უსამართლო კრიტიკას ექცეოდა ასე, თორემ ახალციხელ პედაგოგს — გრიგოლ ბურჭულაძეს — მაღლობას ეუბნება: „გულდასმით წავიკითხე თქვენი შენიშვნები „ივერიაში“. პასუხს მიიღებთ. განაგრძეთ მაგგვარი შენიშვნებიო“.

საინტერესოა „დედაენის“ პირველ გამოცემაზე დიმიტრი ყიფიანის კრიტიკა. ჭერ ის ვთქვათ, რომ დ. ყიფიანი „დედაენას“ ზოგადად მაღალ შეფასებას აძლევს: „დედაენა“ ი. გოგებაშვილისა ძალიან გამოსადეგი, ძალიან სასარგებლო წიგნი არის და საუცხოოდ შედგენილიო“ და ამას მოსდევს წყება ენობრივი შენიშვნებისა: „ქურდზე ქული იწვისო. ეს რომ წმინდა რუსულია — „на воре шапка горит“. ქართველი იტყვის ქურდს ქული ეწვისო“...

ანდა: „ყველას ეშინოდათ“ — „ყველა მხოლოდითად იხმარება და ზმნა მრავლობითად ვერ დაჰყვება“.

ანდა: „ჰყავდა და არა ჰყვანდა“...

ანდა: „იყოს და არა იყვეს. იყვეს სხვა ზმნა: იყვეს, იყვეს და ვერ გაიყვეს“ და სხვა...

ყველა ეს შეცდომა შემდეგ გამოცემებში გასწორდა...

მ ც ი რ ე გ ა დ ა ხ ვ ე ვ ა :

სხვათა შორის, 1876 წელს „დედაენის“ გამოცემას დ. ყიფიანი რომ გამოეხმაურა და შენიშვნებიც მისცა ავტორს, მოგვიანებით (1894 წ.) იაკობის საწინააღმდეგოდ გამოიყენეს. — შენს სახელმძღვანელოებს დ. ყიფიანიც იწუნებდაო. იაკობი იძულებულია თქვას: „ბ-ნი გიორგი წერეთელი იხსენიებს დაუფიწყარის დიმიტრი ყიფიანის სახელსა იმ აზრით, ვითომც იგი ყოფილიყოს წინააღმდეგი ჩემის სახელმძღვანელოებისა. დიდს მაღლობას ვუძღვნი ბატონს გიორგის ამ ინსინუაციისათვის. მე იგი მაძლევს ამით მშვენიერს შემთხვევას, დავამტკიცო უტყუარის ფაქტებით, რომ ეს უსახელოვანესი ქართველი, მიუხედავად იმიისა, რომ მე არ ვეთანხმებოდი მას ზოგიერთ საგრამატიკო მოსაზრებაში, დიდად აფასებდა ჩემს სახელმძღვანელოებსა და ერთს მათგანზედ დასტოვა შემდეგი წერილობითი მსჯელობაც კი, თავისი ხელით დაწერილი: „ეს წიგნი ძალიან გამოსადეგია, ძალიან სასარგებლო და საუცხოოდ არის შედგენილი“... გვახსოვს ალბათ. ეს დ. ყიფიანმა „დედაე-

ნაზე“ თქვა... არ უყვარს თავის ქება იაკობს, მაგრამ აიძულეს გაეხსენებინა...

დიახ, დ. ყიფიანის თითქმის ყველა შენიშვნა (გარდა რამდენიმესი) გაიზიარა და გაასწორა იაკობმა.

აქ დ. ყიფიანის დამსახურებაზე არაა საქმე — ირწმუნა შენიშვნა იაკობმა, თორემ ახალგაზრდა ი. მჭედლიშვილის მაგალითი ზემოთაც მოვიყვანე. ი. მჭედლიშვილი სხვა ფაქტსაც ჰყვება საინტერესოს: იაკობისათვის შეუბედავს — თქვენს წიგნებში „ზოგან არ არის ხალხურად დაწერილი წერილები“ — „ხალხურად დაწერილი“ ხალხის ენას გულისხმობს; იაკობისათვის — სალიტერატურო ენას. და როცა იაკობს „ბუნების კარი“ მიუწოდებია, მაჩვენე რა არ მოგწონსო; მალე უპოვია ასეთი მაგალითი: „ყველამ იცის, რომ გველი შხამიანი ცხოველია“. და განუმარტავს იოსებს: „ხალხი ასე არ იტყვის; ხალხი იტყვის: „ყველამ იცის, გველი შხამიანი ცხოველია“. რა საჭიროა „რომ“... მერე ჩემი მაგალითები მოვიყვანე, თუ როგორ ლაპარაკობს ხალხი, — განაგრძობს ი. მჭედლიშვილი, — აი, მაგალითად, ვუთხარი: გლეხი სოსანა ეძახის სოსიკოს: „სოსიკო, მიხას უთხარ, ნაჯახი წამოიღოს“; ან კიდევ, გლეხი იტყვის, სად გაგონილა, თხამ მგელი შეჭამოს“, თქვენ კი აქ „რომ“-ს ჩასწერდით... იაკობი დაფიქრდა, დაფიქრდა და გაკვირვებით მითხრა: — იცი, ყმაწვილო, შენ მართალი ხარ, ზოგიერთ ალაგას არ უნდა „რომ“...

ვერ ვიტყვით, რომ ენობრივ საკითხებზე გამართულ პოლემიკაში იაკობი ყველა შემთხვევაში მართალი იყო ოპონენტებთან, მაგრამ ეს დღევანდელი გადასახედიდან. იმდროინდელი ვითარებისათვის, ვფიქრობთ, იაკობი უმეტესად სწორ პოზიციაზე იდგა და, ფაქტობრივ, ნორმას აწესებდა. „ენობრივ სახელმძღვანელოში“ ილიას და აკაკის ნაწერებიც კი არ შეჰქონდა შესწორების გარეშე, თუკი ამას მიიჩნევდა საჭიროდ. აღნიშნავს კიდევ ერთგან: ცვლილებები აკაკის ლექსშიც შევიტანეო. „ძალიან ვეცადენით, რომ ყოველი ჩვენ მიერ მოხდენილი ცვლილება ყოფილიყო აკაკისებური, რომ ჩვენს წადილს სავსებით მივალწიეთ, პედაგოგიური მოთხოვნილება დაეკმაყოფილეთ და აკაკის ლექსის ღირსებაც დავიცავით, აშკარად სჩანს იქიდან, რომ ეს ლექსები შეტანილია აკაკის თხზულებათა ცალკე გამოცემაში არა ისე, როგორც

მისი ხელნაწერებია, არამედ, რა სახითაც „დედა-ენაშია“ დაბეჭდილი“.

ვთქვით, „ფ ა ქ ტ ო ბ რ ი ვ, ნ ო რ მ ა ს ა წ ე ს ე ბ დ ა ო“ — და ეს იყო იაკობის უდიდესი დამსახურება, ეპოქალური მნიშვნელობის დვაწლი. მოდით, გავიხსენოთ: XIX საუკუნის მეორე ნახევარია. 60-იანი წლებიდან მოყოლებული ილიას თაობამ ფართომასშტაბიანი ბრძოლა წამოიწყო სალიტერატურო ქართული ენის გამრუდებული ხაზის გასწორებისათვის; სალიტერატურო ქართულის სწორ კალაპოტში მოქცევისათვის. მაშინ იყო, ილიამ რომ შემოეღებინა ქართველობას: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არა ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოსო“...

და დაიწყო მუხლჩაუხრელი ბრძოლა (დიან, ბრძოლა!) ქართული სალიტერატურო ენის განმტკიცებისათვის, ერთიანობისათვის. უდიდესია დვაწლი აკაკი წერეთლისაც ამ საქმეში, მაგრამ ერთიცაა — არ ხერხდება ერთიანი ნორმების შემუშავება: ილიას „თავისი ნორმები“ აქვს, აკაკის — „თავისი ნორმები“. არის სიტყვა-ფორმები, რომელთაც ილია თავისებურად ხმარობს, აკაკი — თავისებურად. ზოგჯერ მსჯელობენ კიდევაც, თუ რატომ ანიჭებენ უპირატესობას ამა თუ იმ ფორმას...

და ამ დროს ასპარეზზე იაკობი შემოდის თავისი სახელმძღვანელოებით. სრულიად საქართველო მოიცვა მისმა „დედაენამ“ და „ბუნების კარმა“; ქართველი ბავშვი ამ წიგნებს შეჰყავს წიგნიერების სამყაროში; იაკობის ქართული არის მისთვის წიგნის ქართული; იაკობის ქართულით მიდის პატარა ქართველამდე ილიაც და აკაკიც (ვთქვით, მათ ნაწერებსაც თავის ენობრივ ქურაში ატარებდა იაკობი, თავისი ქართულით ასწორებდა, როცა სახელმძღვანელოში შეჰქონდა!...)...

არადა, ამჟამაა აუცილებლობა ერთიანი სახელმძღვანელოსი, ერთიანი ნორმებისა.

იაკობის ერთ-ერთი ოპონენტი, ვინმე „გადაღმიელი“, იმასაც კი ამბობს, „საქართველოს ყოველ კუთხისთვის ცალკე საკუთარი წიგნი უნდა შესდგესო“, იგულისხმება პირველდაწყებითი სახელმძღვანელო.

იაკობის კომენტარი: „წარმოიდგინეთ ახლა წინააღმდეგი სურათი: გურული ბავშვი ერთ წიგანში სწავლობს, მეგრელი მეორეში, იმერელი მესამეში, რაჭველი მეოთხეში, ქართლელი მეხუთეში, კახელი მეექვსეში და სხვანი. ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ეს მოვლენა არ გადაეღობება ერთობის განმტკიცებას, კავშირის გაძლიერებას, სიახლოვის დამყარებას?“

იაკობის მართლწერას მკვეთრად დაუპირისპირდა სილოვან ხუნდაძე. წერს ერთგან იაკობი: „ამ წერილის დაბეჭდვა გაზეთს „კოლხეთში“ შეუძლებელი გახადა ბ-ნმა სილოვანმა იმითი, რომ ჭიუტურად შეაქვს თავისი პროვინციალური მართლწერა ჩემს სტატიებში, ნაცვლად ჩემის ქართულ-ლიტერატურული მართლწერილისა, რომელსაც მისდევენ ყველა ქართველნი მწერალნი იმერნი და ამერნი და ყველა პერიოდული გამოცემანი აქეთა და იქითა საქართველოსი“. იაკობს სწამს, რომ ამგვარი მცდელობა სახიფათოა: ერთიანი ენა ეროვნული ერთობის საფუძველია: „მთავარ საგნად მან (სილოვანმა — გ. გ.) გაიხადა რაღაც პროვინციალურის მართლწერის შემოღება და გავრცელება, და ისეთი ჭირვეულობით მოჰყავს ეს უმნიშვნელო საკითხი, რომ ჰბადებს განხეთქილებას იმერთა და ამერთა შორის“. ერთგან იაკობი უფრო მკაცრია: სილოვანს „რაღაც პროვინციალური წერა გაუხდია კერპად, რომელსაც თვითონაც გატაცებით ემსახურება და თავის გაზეთსაც ამსახურებს. განა ეს კი, ჭიუტური ჩხირკედლაობა, ნამდვილი შავი ჭირი არ არის?! ყოველივე ეს განსაკუთრებით საშიშია მაშინ, როცა „ჩვენი ეროვნული ზომალდი“ „შფოთიანმა ისტორიულმა ზღვამ და წყლის ქვეშ მყოფმა კლდეებმა მეტად დააზიანეს და საშიშარს. მდგომარეობაში ჩააგდეს“.

ამიტომაც არის აუცილებელი ერთი სახელმძღვანელო ერთიანი ნორმებითა: „ჩვენი ქვეყანა უზარმაზარი რუსეთი არ არის. აქ ორი-სამი სახელმძღვანელო ვერ იხეირებს... ამასთან ერთად ჩვენს პატარა ქვეყანაში მრავალი სხვადასხვა კილოზე მოლაპარაკე ხალხი ბინადრობს. ამიტომ ჩვენში ერთი პირველდაწყებითი სახელმძღვანელოა საჭირო, რათა საქართველოს ყოველი კუთხის ბავშვმა ერთი და იგივე ლიტერატურული კილო შეითვისოს“...

და როცა იძულებული გახადეს იაკობი (1912 წელია!), „დედაენის“ მნიშვნელობა ასე შეაფასა: „ეს პატარა, იაფი წიგნაკი, შემკული

მრავალი სურათით და ღედნით, პატარა მინონოსკასავით, ნაღმოსანივით მისცურავს სოფლებში, შეისრილებს ხეობებში, ადის მთაში, უწევს ოსეთსა და ქისტეთსა და ჰბადავს მოთხვნელებას და სიყვარულს ქართულის მწიგნობრობისას“... და ის, რაც იაკობმა „წერა-კითხვის საზოგადოების“ შესახებ თქვა, სავსებით შეიძლება გავიგეოროთ „დედაენის“ შესახებ: „იგი ემსახურება საერთოდ მთელს ქართველობასა. მისი მოქმედება არ განისაზღვრება ჩვენი ქვეყნის ერთი რომელიმე კუნძულით, — მის ასპარეზს, სარბიელს შეადგენს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საქართველო: კახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა, სამეგრელო, გურია, სამურზაყანო, ოსმალეთის საქართველო, ერთი სიტყვით თითქმის მთელი სამეფო თამარისა“.

აკაკის შეფასებაც მოვისმინოთ: „მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი ქართველი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედაენაზე“ არ აეზილოს თვალები. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე; ქართველი მწერლების ნაწერებს დღეს დღეობით თუ გასავალი აქვს, იაკობ გოგებაშვილს უნდა ვუმაღლოდეთ. იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა!“ და გაიხსენოთ ისევე: „დედაენის“ ასპარეზს, სარბიელს შეადგენს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საქართველო: კახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა, სამეგრელო, გურია, სამურზაყანო, ოსმალეთის საქართველო, ერთი სიტყვით, თითქმის მთელი სამეფო თამარისა“.

ღიახ, ნამდვილად არ არის პატარა საქმე, დიდი საქმეა! აჭარასა თუ გურიაში, სამეგრელოსა თუ სვანეთში, იმერეთსა თუ რაჭაში, ქართლსა თუ კახეთში, ფშავსა თუ ხევსურეთში, ხევსა თუ თუშეთში, მესხეთსა თუ ჭავჭავთში, საინგილოსა თუ ტაო-კლარჯეთში, — „მთელ სამეფოში თამარისა“ — იაკობის ქართული იყო ნორმა, სწორი ქართული, წიგნის ქართული! ამიტომაც ანიჭებს იაკობი უდიდეს მნიშვნელო-

ბას უშეცდომო წიგნებს — ენობრივ სახელმძღვანელოებს...

ვრცელი პოლემიკა გაიმართა იაკობსა და აკაკის შორის, როცა აკაკიმ ქართული დაუწუნა იაკობს. თუმცა, ეს პოლემიკა ღირს უფრო დაწვრილებით გასახსნებელად. აქ იაკობის პოზიციაც ჩანს და პრინციპებიც...

მანამდე კი, მოდით, ისა ვთქვათ, რატომ ვამახვილებთ დღეს ასეთ ყურადღებას ამ პრობლემაზე — ენობრივ სახელმძღვანელოზე.

* * *

ვთქვით ზევით: დღევანდელ ქართულ სკოლაში ათიოდე „დედაენა“ განათლების სამინისტროს მიერ ნებადართული. ამ „დედაენებს“ თავიანთი ავ-კარგი ყველას აქვს. კარგი ალბათ არის ის, რაც მათმა „ავტორებმა“(!) იაკობისაგან აიღეს, ავი — თავიანთი შენაძენია. „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება“ ერთხელ შეეცადა, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე ეჩვენებინა, როგორი სახელმძღვანელოებით ვასწავლით (და უმეტეს შემთხვევაში ვამაზინჯებთ) ყმაწვილებს ქართულ სკოლაში წერა-კითხვას (იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების I სამეცნიერო კონფერენცია, 2008 წლის 27 ოქტომბერი. თემა: „იაკობის „დედაენა“ და თანამედროვე ქართული სკოლა“). რამდენიმე „დედაენა“ ამის შემდეგაც გამოვიდა. ერთ-ერთ მათგანს გარეკანზეც კი დააწერეს „იაკობ გოგებაშვილის მიხედვით“ (ბ. სულაკაურის გამომცემლობა — ატორებად ნ. გორდელაძე და გ. ჩხენკელია მითითებული). გარეკანზე იაკობ გოგებაშვილის სახელის გამოტანა გამომცემლებს იმისათვის დასჭირდათ, რომ ამ წიგნმა კონკურენცია გაუწიოს **იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“**, რომელსაც სამინისტრომ (მოწყალეობა გაიღო და...) სხვათა შორის გრიფი მიანიჭა! და უწევს კონკურენციას, რა თქმა უნდა, სხვა ფაქტორთა გათვალისწინებითაც... არსებითი კი ის არის, რომ იაკობის „დედაენა“ ენობრივი სახელმძღვანელოა, კონკურენტი „დედაენა“?

რამდენიმე მაგალითს მოვიყვან სანიმუშოდ; „იას ყვავილი ასხია“ (გვ. 17). ვიცით, ასხია ბევრზე ითქმის, აბია — ერთზე. აქ ნახატზე იას ერთი ყვავილი **აბია**... ტექსტი იაკობის „დედაენიდან“ არის აღებული, მაგრამ იქ ნახატზე იას სამი ყვავილი ასხია!... და ვასწავლით შეცდომით...

ანდა: მამას კატო ვევედრება, „მამი, მეც მიყიდე **სათვალეებო**“ (გვ. 80) არადა, **ორთოგრაფიული** ლექსკონი გვასწავლის, სწორია **სათვალე** და არა **სათვალეებო**; ეს უკანასკნელი რუსულის კალკიაო...

სიმინდის ტარო რომ არის დახატული და **სიმინდის მარცვალი** აწერია, ანდა ყურძნის მტევანი რომ არის დახატული და **ყურძნის მარცვალი** აწერია, ანდა მძივი რომ ხატია და **მძივის მარცვალი** აწერია, ეს თითქოს არაფერი...

გრამატიკული შეცდომები და არასწორად დასმული სასვენი ნიშნები წიგნში იოლად საპოვნელია... და ეს ყოველივე ხდება ენობრივ სახელმძღვანელოში!... წიგნს კი აწერია „იაკობ გოგებაშვილის მიხედვით“...

ფილიბე გოგიჩაიშვილი იგონებს: სიკვდილის წინ ასეთი შეკითხვა დასვაო — „ნეტა რას იქტ ჩემს შემდეგ, ჩაჰკლავთ თუ აცოცხლებთ ჩემს სახელმძღვანელოებსო“... ჩაკვლაში იაკობი სწორედ ამგვარ დამოკიდებულებას გულისხმობდა — ამდენი კი არა, ერთი-ორი შეცდომაც არ უნდა გაპარულიყო...

შეიძლება მკითხონ, სხვა სახელმძღვანელოებში რა ხდებაო... იქაც ასეთივე ვითარებაა, ზოგჯერ უარესი (მაგალითად ზ. ვახანიას „დედაენაში“!), მაგრამ აღარ ღირს ამჯერად ამათზე ყურადღების გამახვილება. არაერთი წერილი გამოქვეყნდა ქართულ პრესაში ამის თაობაზე; სათაურებს გავახსენებ მკითხველს: „საშვილიშვილო ნერგს ფესვებს არ სჭირან!“, „ასეთი რამ, ვახანიავ, არ გვინახავს რა ხანია!“, „დედაენა“! „დედაენა“!, „ექსპერიმენტი გრძელდება, შედეგები რთულდება“, „აი ია. აი უთავებოლობა!“, „დედაენა“ გუშინ, დღეს, ხვალ...“, „განათლების სამინისტრომ „დედაენას“ ცხრა ლახვარი ჩასცა“, „Sic: ათი „დედაენის“ არნახული კონკურენცია“ და სხვა. სამწუხაროდ, წერილი წერილად რჩება, კრიტიკა — კრიტიკად, ხოლო სურვილი უკეთესი „დედაენის“ ქართულ სკოლაში გაბატონებისა — სურვილად! დღეს იაკობ გოგებაშ-

...ისაგან განსხვავებით „ავტორები“ ახერხებენ თავიანთი ნაცოდვილა-

...გან სკოლაში. ერთ-ერთი ყველაზე

იუმორის თემაა, გასართობად რომ გვეკონდეს საქმე...

წინამდებარე წიგნში ჩვენი მიზანი არ არის იაკობის „დედაენის“ „კონკურენტი“ წიგნების ანალიზი (ასეთი რამ გაკეთდა, მაგრამ რა შედეგი მოჰყვა!?). ჩვენი მიზანია სხვაა — დავაფიქროთ მკითხველი ქართული სკოლის ბედზე... ჩვენ აქ ნიმუშად ერთ წიგნში შემჩნეული რამდენიმე შეცდომა მოვიყვანეთ; სხვა ტიპის შეცდომებსა თუ ნაკლზე სხვაგან ვიტყვით, ზოგადად, თორემ კონკრეტული ანალიზი თანამედროვე „დედაენებისა“ ერთი კაცის ძალას აღემატება!... თუ ასეთი დამოკიდებულება გაგრძელდა სახელმძღვანელოთა მიმართ, როგორც დღესაა, არც ღირს... რა დამოკიდებულება? — 2009 წელს განათლების სამინისტროში 10 „დედაენა“ იქნა წარდგენილი საკონკურსოდ, გრიფის მისაღებად, ერთმა მათგანმა უმაღლესი (98 ქულა) შეფასება მიიღო (ი. გოგებაშვილის „დედაენამ“), ერთ-ერთმა — მხოლოდ 17 ქულა (ზ. ვახანიას „დედაენამ“); სკოლაში შესვლის უფლება ათივე „დედაენას“ მიეცა — პედაგოგმა გააკეთოსო არჩევანი. პედაგოგთა არჩევანი, ცხადია, ყოველთვის არ არის ობიექტური... და იწირება მოზარდი!...

ენობრივი სახელმძღვანელოს იდეა იაკობის იდეად რჩება...

მოდით, ისევ იაკობის პოზიციასა და პრინციპებს დავუბრუნდეთ — პოლემიკას ენობრივ საკითხებზე.

* * *

ყველა ფორმა, ფრაზა, წინადადება იაკობის სახელმძღვანელოებში გაზარებულია — იცის რას ამბობს და რატომ. და როცა არ ეთანხმებიან, დავობს, პაექრობს, ამტკიცებს თავისი პოზიციის სისწორეს...

ერთ-ერთი ვრცელი და ძალზე საინტერესო პოლემიკა ენობრივ საკითხებზე იაკობს აკაკისთან ჰქონდა...

აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის ურთიერთდამოკიდებულება ვრცელი თემაა. იაკობი 1874 წელს კირილე ლორთქიფანიძეს აბასთუმნიდან უგზავნის წერილს. მცირე ფრაგმენტი: „ამ ცოტა ხანში უნდა გაუგზავნო ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელსა გადაწერილი საყმაწვილო რუსული ლექსები ქართულ ენაზედ გადასათარგმნელათა. ლექსებს ბლომათ ვაწერინებ და კაი ხანს წაართმევს ამ ჩვენ პოეტებს მათი თარგმნა. ამიტომ ცოტა არ არის, ვეჭვნეულობ, ვაი თუ უარი მი-

თხრან, ან არა და იქნება ხელზედ ტყუილ უბრალოთ დამიხვიონ: აღ-
 თქმა მამცენ და აღარ ამისრულონ. ეს უკანასკნელი, რასაკვირველია,
 ცივ უარზედ გაშორებით უარესი იქნება, რადგან ღონისძიება არ მე-
 ქნება. სხვა პირებს ვისმე დროზედ მივმართო ამ საქმისათვის. არ შეიძ-
 ლება, რომ თქვენ, პეტრემ და კიდეც სხვებმა ვინმემ გავლენა თქვენი
 მხრით იქონიოთ ამ ჩვენ პოეტებზედ და გადათარგმნა მონადღომებინოთ
 და დააჩქარებინოთ? — არც ჰავკავადის და არც წერეთლის ადრესი არ
 ვიცი. ამიტომ გთხოვ წერილით შემატყობინოთ პირველივე ფოჩტით“.
 ეს ის პერიოდია, როცა იაკობი „ქართული ანბანისა“ და „ბუნების კა-
 რის“ ახალ გამოცემებს ამზადებს და „დედაენაზე“ ფიქრობს...

1879 წელი. ისევ კ. ლორთქიფანიძისადმი აბასთუმნიდან მიწერი-
 ლი პირადი წერილიდან: „მე შევიტყვე, რომ ა. წერეთელი საზღვარ გა-
 რეთ არისო. ვის მივმართო ლექსების გადასათარგმნათ მის მაგიერათ,
 არ ვიცი“.

პირადი წერილები შემოგვრჩა უნიკალური, სადაც ამ ორი დიდი
 მოღვაწის — აკაკისა და იაკობის — ურთიერთობებია საოცრად დიდ-
 ბუნოვნად წარმოჩენილი; პირად მოგონებებში ლეგენდებს ჰყვებიან მათ
 ურთიერთდამოკიდებულებაზე. ხაზგასმით წერენ: „პატივისცემით ი. გო-
 გებაშვილი, იქნებ, ილიას სცემდა მეტ პატივს, ვიდრე აკაკის, მაგრამ
 აკაკი რომ მეტად უყვარდა, ეს ეჭვს გარეშეა“ (ა. ლაისტი). იაკობის
 ერთი საგაზეთო წერილის სათაურიც გავიხსენოთ — „იალბუზი ქარ-
 თული პოეზიისა“... აკაკის საიუბილეო წერილები?... ანდერძი იაკობი-
 სა? (და, დისშვილები, ძმისშვილი და აკაკი შეიყვანა ანდერძში!). რომე-
 ლი ერთი ვთქვათ... ეს ცალკე თემაა, მაგრამ საზოგადო ინტერესებს
 როცა ეხებოდა საქმე, კერძოდ დედაენის პრობლემებს, აქ არც იაკობი
 იხვედა უკან ცხარე კამათისაგან და არც აკაკი. იაკობი ამ მხრივ გამო-
 რჩეულად პრინციპული იყო.

ერთ ფაქტსაც მივაქციოთ ყურადღება, სანამ აკაკისთან პოლემი-
 კას შევეხებით. რაც უნდა დიდი დამსახურება ჰქონოდა კაცს, თუკი ია-
 კობი მის მოქმედებაში ქართულის საწინააღმდეგო, ქართული ინტერე-
 სებისათვის მიუღებელ ქმედებას დაინახავდა, დაუნდობელი იყო. ფრაგ-
 მენტი ფ. გოგიაშვილის მოგონებებიდან:

„განსაკუთრებით უღმობელი იყო ი. გოგებაშვილი იმ მოხელეე-

ბის მიმართ, რომელნიც „ქართულის გაქრობას“ გზას უკაფავდნენ სკოლებში და უპირატესად, როდესაც ასეთ მოხელეებში ქართველები გამოერეოდნენ. ამ შემთხვევაში ი. გოგებაშვილის რისხვას საზღვარი არ ჰქონდა და ვერავითარ საშეღავათო გარემოებაზე მითითებას მას ვერ გააგონებდით. ასეთი ქართველი, თუგინდ სხვაფრივ დამსახურებულიც ყოფილიყო, მტერი იყო ხალხისაც და მისიც. ასეთი ბრალი დაედო ერთ ღროს ისტორიკოს თ. ჟორდანიას. სამრევლო სკოლების მეთვალყურედ იყო დანიშნული და, ადგილის დაკარგვის შიშით, ვოსტორგოვს დაემორჩილა და მისი პოლიტიკის გატარება იწყო სამეგრელოს სკოლებში. იმ ხანებში მეც მომიხდა ამის გამო უსიამოვნო წერილების წერა თ. ჟორდანიას შესახებ, რომელიც ჩემი ყოფილი მასწავლებელი იყო. რომ შევხვდით ერთმანეთს, პირველად ეს მომახალა იაკობმა:

— მადლობა ღმერთს, რომ მიხვდი და დაინახე იმ არამზადის მოლაღატობა!

— ჰო, მაგრამ, — ვუბნები, — რაღაც უბედურებაა იმ კაცის თავზე, თორემ ისე აბა როგორ უნდა დავიჯეროთ, გულით იგი ღალატობდეს ქართულ ენასა და კულტურას, როდესაც მას ამდენი უმუშავნია ამ კულტურისათვის!

— რას ამბობ, რას! განა ეს რამეს ამტკიცებს? რამდენი ექიმი, რომ თავის ლაბორატორიაში სულ მუდამ ხელს ურევს განავალში, მერე, რა, უყვარს მას ეს განავალი? ეეჰ, თქვა რუქამ არაკი! — და ხელი ჩაიქნია და გამშორდა“.

დამსახურებისათვის მადლობა... ენისა და კულტურის ღალატისათვის — შეჩვენება!...

ასე რომ, ათწლეულობით გამოცდილი და განმტკიცებული ურთიერთობა შეიძლება სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, თუკი მას დედაენის ინტერესი მოითხოვს.

ერთიც ვთქვათ: ყველაზე დიდი ცოდვა, იაკობისა თუ აკაკის აზრით, ქართულის უცოდინარობაა. ბრალდება — ქართული არ იციო — ყველაზე დიდი ბრალდებაა.

ჩვენ იაკობისა და აკაკის ურთიერთდამოკიდებულებას 1870-იანი წლებიდან გამოვადევნეთ თვალი.

1894 წელი, აკაკი გაზეთ „კვალში“ წერილს აქვეყნებს — „ჭრე-

ლი ფიქრები“. ჩვეულებრივი აკაკისებური მახვილგონივრული ორგვერდიანი წერილია ადამიანის უსამართლობასა და გაუტანლობაზე; იაკობის სიტყვით რომ ვთქვათ, „სადაც ამოიკითხავთ ფილოსოფიას ვირისა და ძაღლის შესახებ“; ჰყვება და არჩევს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ იგავს „ბულბული და გუგული“. იგავის ავტორი იაკობი ყოფილა. აკაკის წერილი ასე მთავრდება: „ერთი წუნი იმ ვირისა ის არის, რომ ქართული არ ჰკოდნია; მის ნაცვლად, რომ გუგულს უთხრას, პირველ მგალობლად „აღვიარებო“, ის ჩიქორთულად ეუბნება „გალიარებო“.

ესაა და ეს... თუმცა ეს არ არის, თურმე, უბრალო რამ იაკობისთვის — „ქართული არა ჰკოდნია“... რა შეეშალაო, „იმ ვირს“? ამბობს „აღვიარებო“, უნდა ეთქვა „აღვიარებო“. იაკობი ფიქრობს, მთელი ეს წერილი „შეთხზულია მხოლოდ წერილის კულისათვის, რომელიც სწორედ მორიელის კუდს მოგაგონებთ“!... არც აკაკი უარყოფს, რომ წერილი სწორედ „ამ კულისათვის არის შეთხზული“:

„ბატონმა დოდაშვილმა, გიორგი წერეთელმა და მე დავასკვნით პირობა, რომ „კვალისათვის“ კიდევ ერთი განყოფილება მიგვემატებია: „სასწორმეტყველო“ და ჩვენს მწერლობაში როცა შევნიშნავდით ურიგო ქართულს, გვემხილებინა ხოლმე. პირველი სანიმუშო ისარი მე გავტყორცნე და იმ ისარმაც ყურთან გაუზუზუნა ბ-ნ იაკ. სიმონიძეს“...

და აქ მთავარი და არსებითი ის არის, თუ პირველ სამიზნედ რატომ აირჩიეს იაკობი: „პირველად სიმონიძეს იმიტომ გამოვეთამაშეთ, რომ ის სხვებზე უფრო შესამჩნევია: ისა ზრდის და ისა წვრთნის ქართველ ახალგაზრდობას! ენასაც ყველა მისგან სწავლობს და, მაშასადამე, იმის მცირე შეცდომასაც უფრო მეტი ვნების მოტანა შეუძლია, ვიდრე სხვისას“. ეს ჩვენი უმანკო აზრი და კეთილი განზრახვა იყო, — ამტკიცებს აკაკი...

და იწყება ხანგრძლივი და უკომპრომისო პაექრობა. აქეთ იაკობია, იქით — აკაკი და შემდგომ გიორგი წერეთელი, კოტე მაყაშვილი, მოსე ჭანაშვილი, პეტრე ჭარაია, დუტუ მეგრელი, სილოვან ხუნდაძე და სხვები. ათამდე საპასუხო წერილი გამოაქვეყნა იაკობმა. აკაკი მალე გამოეთიშა პაექრობას: „უნდა აღვიარო, რომ ჩვენ დიდი პატივისმცემელი ვართ ბ-ნ იაკობ სიმონისძის და მისი დამდაბლება, დაჩაგვრა, მორიელსავეთ კბენა და დაბრიყვება ჩვენთვის სასიამოვნო არ არისო“. ამ-

ბობენ, თქვაო, „მე ი. გოგებაშვილს პატივს ვცემ და არ მინდა, ცხარე კამათით ჩრდილი მივაყენო ჩვენს დამოკიდებულებასო“ (ფ. გოგიჩაიშვილი). იაკობს არ სჯერა აკაკის განზე გადაგომისა: „ჩვენი პოეტი აკაკი, ბრძოლის ატეხვის შემდეგ, იქით მიდგა და საომრად სხვები ჩამოგზავნა. მხოლოდ სეირს კი არ უტკეპრის, წინამძღოლობს, სარისტას აძლევს, ბრძოლას მართავს, მახვილოვანს მასალას აწოდებს. დიალ, დიდი პოლიტიკია, ნამდვილი მაკიაველია“... სილოვანი „აკაკის ადვოკატი“... იაკობს აკაკი უფრო ედარდება: სადავო ფორმებზე საუბრობს და განაგრძობს — „არის უხეირო, ნაძალადევი ჩიქორთული და მის ხმარებას აკაკი უნდა ერიდოს, რადგანაც თავისი ავტორიტეტის გამო ეს მდარე, შეუსაბამო ფორმა შეიძლება დაამკვიდროს ლიტერატურაში, ქართულის ენის საზიანებლად“...

მოპაექრენი საკმაოდ მწარე-მწარე ფრაზებით ამკობენ ერთმანეთს, მაგრამ არ ივიწყებენ ერთმანეთის ავტორიტეტსაც, სახელს, დამსახურებას... და არ თმობენ თავიანთ პოზიციებს... ვინაა მართალი? — ეს სხვა საქმეა ამჯერად, ამის გარჩევა სხვა დროისათვის გადავდოთ. ახლა მთავარი ისაა, რომ ენობრივ საკითხებზე დავისას უკომპრომისონი არიან...

აკაკის არ უნდა, იაკობმა შეცდომა დაუშვას, რადგან „ის სხვებზე უფრო შესამჩნევია: ისა ზრდის და ისა წვრთნის ქართველ ახალგაზრდობას! ენასაც ყველა მისგან სწავლობს და, მაშასადამე, იმის მცირე შეცდომასაც უფრო მეტი ვნების მოტანა შეუძლია, ვიდრე სხვისას!“

იაკობი შიშობს, აკაკიმ შეცდომა არ დაუშვას, „რადგანაც თავისი ავტორიტეტის გამო ეს მდარე, შეუსაბამო ფორმა შეიძლება დაამკვიდროს ლიტერატურაში, ქართული ენის საზიანებლად“...

იაკობი კამათობდა მხოლოდ მაშინ, როცა სჯეროდა, რომ ის იყო მართალი. მისი მსჯელობაც ყოველთვის არგუმენტირებული იყო; საწინააღმდეგო აზრის დასარღვევად ყოველთვის ცდილობდა დამაჯერებელი კონტრარგუმენტის მოყვანას. იოსებ იმედაშვილი იგონებს: იაკობი თავის სახელმძღვანელოში შეტანილ ყოველ სიტყვას, განსაკუთრებით ამა თუ იმ თავისებურ გამოთქმას, ამვლელსა და ჩამვლელს, დიდსა და პატარას, სწავლულსა და უსწავლელს ჰკითხავდა, პრესაში არკვევდაო... ხანგრძლივი პაექრობა დასრულდა. გამოდის, რომ იაკობი ამ პაექრო-

ბით ნაწყენი არ რჩება... ალბათ იმიტომ, რომ რაღაც გაირკვა, რაღაცას ნათელი მოეფინა; ჭეშმარიტებისაკენ სავალი გზები დაილანდა... ამისთვის იღავეს, იკამათეს, გაცხარდნენ კიდევ... მთავარი მაინც შედეგი იყო: ძალიან ბევრი ენობრივი საკითხი განიხილეს, ავისა და კარგის გარჩევა სცადეს... პიროვნული ურთიერთობები? ისევ იაკობს მოვუსმინოთ: „აკაკი წერეთელსა და ჩემ შორის დაწყებული ხანგრძლივი პოლემიკა ქართული ენის გრამატიკული ფორმების თაობაზე იმით დასრულდა, რომ ჩვენი მანამდე უბრალო ნაცნობობა თითქმის მეგობრობად იქცა“... მერე თქვა იაკობმა, „აკაკი პატარა საქართველოა“... (საინტერესო ფაქტი: ხუთი პირადი წერილია იაკობისა აკაკისადმი შემორჩენილი, წერილები — აკაკისადმი უდიდესი პატივისცემის გამომხატველი; ხუთივე პოლემიკის შემდეგდროინდელი).

ყოველივე ამის გახსენება იმისათვის დაგვჭირდა, დაგვენახა, „ენობრივი სახელმძღვანელოს“ ავტორისათვის რას ნიშნავს სახელმძღვანელოს ენობრივი მხარე... როგორ უნდა არკვევდეს, ეძებდეს სწორ ფორმებს და, შესაბამისად, როგორ უნდა ცდილობდეს მის დამკვიდრებას... როგორი უნდა იყო ავტორის პასუხისმგებლობა სახელმძღვანელოს შედგენისას... დიან, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება მას... და კიდევ: თუ რას ითხოვენ სახელმძღვანელოს ავტორისაგან ენის გულშემატკივრები...

ბრძოლა „დედაენის“ ბაღარჩენისათვის

1977 წელს თბილისის უნივერსიტეტში იოსებ ყიფშიძის საიუბილეო თარიღი აღვნიშნეთ. მომხსენებლები იყვნენ აკაკი შანიძე და არნოლდ ჩიქობავა. იოსებ ყიფშიძე — ერთ-ერთი დამაარსებელი ქართული უნივერსიტეტისა, ქართული ენის კათედრის პირველი გამგე, ივანე ჭავჭავაძის მარჯვენა ხელი — 1919 წელს გარდაიცვალა 34 წლისა. არნოლდ ჩიქობავამ ამ სხდომაზე თქვა: იოსებ ყიფშიძეს რომ ეცოცხლა, ის ენერგია, რაც გართულებულმა ურთიერთობებმა შეიწირა, საქმეს მოხმარდებოდა. საენათმეცნიერო წრეებმა იციან, რა „გართულებულ ურთიერთობებზეცაა“ საუბარი...

არადა, ჩვენს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში რამდენ ასეთ „გართულებულ ურთიერთობას“ შეუწირავს ძვირფასი დრო და ენერგია!... სწორედ რომ შეიძლებოდა, ის ენერგია საქმეს მოხმარებოდა, ქართულ საქმეს და ერთი-ორი ნაბიჯით წინ იქნებოდა ჩვენი საზოგადოება.

ვინც იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებას იცნობს, დამეთანხმება: ჩვენს სინამდვილეში ძნელად მოიპოვება ქართული საქმისათვის ასეთი მუხლჩაუხრელი მუშაკი, ქართულ საქმეზე გადაგებული, ქართული საქმისთვის თავდადებული მამულიშვილი. ერთი ვრცელი ბიოგრაფიული რომანი დაიწერა ამ უპირველეს ქართველზე (რ. ჩხეიძე, „ბურჯი ეროვნებისა“) და რამდენი რამ დარჩა უთქმელი... და ასეთი კაცი უამრავ დროს ხარჯავს „გართულებული ურთიერთობისა“ გამო; უმეტესად, არანაირი აუცილებლობით არ იყო გამოწვეული ეს პოლემიკები...

იაკობის ეს აზრი ზემოთაც მოვიყვანეთ: „რაც მე დრო და შრომა მოვანდომე ჩემის სახელმძღვანელოების შედგენას და ხან-გამოშვებით გაუკეთესობას, ათი იმდენა დრო და შრომა მომინდა მათი დაცვისათვის სხვა და სხვა ცილისწამებისაგან“.

ვის უპირისპირდება, ებრძვის? დიახ, როგორც ამბობენ, „ბრძოლა უხდებოდა გარეშე თუ შინაურ მოწინააღმდეგეებთან“.

* * *

ერთი მაგალითი გარეშესთან ბრძოლისა. იყო ვინმე იანოვსკი — კავკასიის ოლქის მზრუნველი. ივანე ჯავახიშვილის თქმით, „იანოვსკიზე დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენას“. იანოვსკისთან ბრძოლა ვრცელი თემაა. ერთი შემთხვევა გავიხსენოთ. იანოვსკიმ თვალი დააღდა „დედაენას“. იაკობისთვის უთქვამს:

— „ჩვენის სკოლების მთავარი მიზანი რუსულის ენის გავრცელებაა აქაურ მცხოვრებთა შორის; ამ მიზანს, სხვათა შორის, აბრკოლებს სიფართოვე თქვენის „დედა-ენისა“, რომელიც დიდს დროს ითხოვს თავისი გათავებისთვის. ქართული წერა-კითხვის შესწავლა ძალიან ადვილია და სრულიად საჭირო არ არის დიდი სახელმძღვანელო. საბჭოში გვქონდა ამის შესახებ მსჯელობა და შემდეგ დასკვნამდინ მივედით: მოგკეთ წინადადება, ერთი ორად შეამოკლოთ „დედა-ენა“ და გვერდში პარალელურად, ამოუყენოთ რუსული თარგმანი. ამ გზით ქართული ენაც საკმარისად შეისწავლება და რუსული ენაც წინ წავა“.

მძიმე წინადადებაა. ფაქტობრივ, „დედაენის“ გაძევება სურთ ქართული სკოლიდან. ერთი კვირა მისცა იანოვსკიმ იაკობს მოსაფიქრებლად.

— „თუ არ დაგვეთანხმებით, საბჭო თითონ გამოსცემს სახელმძღვანელოს და, ნურას უკაცრავად, თუ თქვენი „დედა-ენა“ გაირიყებაო“.

იაკობმა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ მოახსენა ეს ამბავი. იცნობენ იანოვსკის, მის ინტერესებს და „პრინციპებს“ და ამიტომაც ზოგი ურჩევს, დაყაბულდეს:

— „დედა-ენის“ ნახევარს მაინც გადავარჩინოთ, თორემაო, იგინი გამოსცემენ მახინჯს რასმე, ისიც რუსული ალფავიტითო და საქმე სრულიად წახდებოა“.

იაკობი კატეგორიული წინააღმდეგია იანოვსკის წინადადებისა, ურჩევნია აიკრძალოს „დედა-ენა“, რადგან

— „ახლანდელი სახით დამარხული „დედა-ენა“ მკვდრეთით შეიძლება მალე აღდგეს; მაგრამ დამახინჯებული კი საუკუნოდ მკვდარი დარჩებოა“...

ბრძოლა გრძელდება... იანოვსკი არაა ის მოხელე, იოლად დაიხი-

ოს უკან... იაკობი არგუმენტაციაზე ფიქრობს... ერთი კვირის შემდეგ იაკობმა მოახსენა იანოვსკის:

— „თქვენი წინადადება კარგად ავწონ-დავწონე და იმ აზრზე დავდექი, რომ მისი განხორციელება მავნებელი იქნება რუსულისათვისაც და ქართულისათვისაც. ეს ორი ენა სხვა-და-სხვა ნათესაობას ეკუთვნის და ერთის პედაგოგიური თანდათანობა მეორისას ბევრად ეწინააღმდეგება. პედაგოგია მოითხოვს არა პარალელურს მეთოდს, არამედ შედარებითს“...

იანოვსკი გულდასმით უსმენს...

— „ამ მეთოდის მიხედვით, ქართველმა ბავშვებმა ჯერ ქართული წიგნი უნდა ისწავლონ და მერე რუსულზე გადავიდნენ და ყველა ნაბიჯზე ადარონ ერთმანეთს ეს ენები“...

იაკობი არგუმენტად თვით იანოვსკის სამოსწავლო გეგმას მოიყვანს, რომ იგი „სავალდებულოდ ჰხდის მთელის პირველის წლის განმავლობაში მხოლოდ ქართული წიგნი ისწავლოს და რუსული წერა-კითხვა კი მეორე წლიდან დააწყებინონ“...

იანოვსკი არ იცვლის აზრს:

— „თქვენი ნებაა. მაგრამ იცოდეთ, რომ სანაცვლოდ თქვენის „დედა-ენისა“ ჩვენ თვითონ გამოვსცემთ ქართულ-რუსულ სახელმძღვანელოს“... გასაგებია: იანოვსკის მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ქართული სკოლიდან „დედაენის“ განდევნა...

იაკობის მეცნიერულმა არგუმენტაციამ არ გაჭრა. აკი შიშობდნენ კიდეც „წერა-კითხვის საზოგადოების“ წევრები...

მაგრამ იაკობი არ აპირებს უკან დახევას... ახლა სხვა გზით ცდილობს, თავისი გაიტანოს და ემუქრება კიდეც იანოვსკის:

— „მაგ შემთხვევაში მე უსათუოდ ვიჩივლებ საქართველოს მეფესთან“... იაკობი განაგრძობს: „იანოვსკიმ საეჭვო თვალთ შემომხედა, გაიცინა და მიპასუხა:

— სად არის საქართველოს მეფე? ერთს საუკუნეზე მეტია, რაც იგი აღარ არსებობს“.

— „არა, იგი არამც თუ არსებობს, მთელს რუსეთზე მბრძანებლობს. რუსეთის იმპერატორი მეფეა საქართველოსიც და მას მივმართავ საჩივრითა და მოვახსენებ, რომ მისი ერთგული ქართველი ერი

განიცდის იმისთანა შევიწროებას, რომელსაც მოშორებულია ყოველი კულტურული ერი, რუსეთის საზღვრებში მოქცეული“.

იანოვსკი დაინტერესდა, როგორ, რა გზით მიაღწევდა საჩივარი იმპერატორამდე. იაკობს, როგორც ჩანს, ეს გზაც საფუძვლიანად ჰქონდა გათვლილი. იცოდა ისიც, რომ იანოვსკი „დიდ მთავარს ისე აჩვენებდა თავსა, თითქოს მისი მადლიერები ყოფილიყვნენ ქართველებიც, სომხებიც და სხვებიც. და ამ გზით უნდოდა განსაკუთრებული ყურადღება დაემსახურებინა და სახელმწიფო საბჭოს წევრი გამხდარიყო“... როგორც ჩანს, იაკობის დაჟინებამ შეაშფოთა რუსი მოხელე. იხტიბარს მაინც არ იტყვის:

— „მე მაინც იმედს არ ვკარგავ, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენს წინადადებაზე დაგვეთანხმებით“, — გამომშვიდობებისას უთხრა იაკობს.

იაკობი პირიქით, გულმოცემულია; დაინახა, რომ ეს გზა ამართლებდა და იანოვსკის ეტყვის:

— „ვწუხვარ, რომ თქვენის სურვილის სისრულეში მოყვანა არ შემძლიან; წინააღმდეგ ამისა, მე სრული იმედი მაქვს, რომ სამოსწავლო საბჭოს ხელს ააღებინებთ ამ მეტად საწყენ და მავნე აზრის განხორციელებაზე და იძულებული არ გამხდით სატახტო პრესაშიაც გადავიტანო ეს საკითხი“...

იაკობმა გაიმარჯვა, საბჭომ ხელი აიღო თავის განზრახვაზე... იაკობი იუმორით ამთავრებს თხრობას: „და მეც ჩემი მხრივ ასეთი ხათრი გავუწიე მას: „დედა-ენა“ ერთი-ორად გავადიდე...“

ეს იყო ერთი შემთხვევა გარეშე მტერთან ბრძოლისა. იაკობის დამარცხება ქართული სკოლის დამარცხება იქნებოდა... როგორც აღვნიშნეთ, სხვაც იყო გარეშე მტერთან ბრძოლის ფაქტები და არაერთი — ეგზარხოსთან თუ სემინარიის დირექტორთან, სამთავრობო კომისიასთან თუ ინსპექტორებთან... და თითქმის მთელი მისი ცხოვრების მანძილზე ეს ბრძოლა არ განელებულა...

უფრო ხანგრძლივი და არასასიამოვნო, საშიშიც შინაურ მტერთან ბრძოლა იყო...

ვიცით, იაკობის „დედაენა“ რომ გამოვიდა, რამდენიმე საანბანე წიგნი იყო სასწავლო პროცესში. იოლად, უპრობლემოდ ჩაენაცვლა „დედაენა“ მათ და გამოდევნა სკოლიდან, მაგრამ პროცესი აღმოჩნდა

რთული, ძნელად შესაგუებელი სხვათათვის და...

* * *

ცნობილი ფაქტია, როცა იაკობმა გადაწყვიტა პედაგოგიური საქმიანობისათვის მიეძღვნა ცხოვრება და მხოლოდ ყმაწვილის აღზრდაზე ეფიქრა და ეზრუნა, თავისი საბუთები დაწვა, სამოხელეო ასპარეზს რომ აღარ დაბრუნებოდა. ნიკო ლომოური იგონებს:

1874 წელია. საავადმყოფოდან გამოსული იაკობი დაბინავდა „თავის ერთგულ მეგობართან ნიკო ცხვედაძესთან მთაწმინდაზე. იაკობის სანახავათ მოვედი ამ ბინაზე. გაჩაღებულ ბუხრის წინ იჭდა და რაღაც ქალაღებსა შინჩავდა. ფერი მოსვლოდა, სახე დამშვიდებოდა. მხიარულად მომეგება. რამდენიმე წამის შემდეგ სახლში მოვიდა ნიკოც (ცხვედაძე — გ. გ.) და თან შემოიტანა თავისი ჩვეულებრივი მხიარულება და აღფრთოვანება.

— როგორა ხარ, იაკობ? — კარებითგანვე შემოსძახა მეგობარმა.

— აი, ეს წყეულები მაწუხებენ, — უპასუხა მან, — მინდა მოვიშორო თავიდან. სთქვა თუ არა ეს, სტოლიდან აკრიბა მთელი ბლუჭა რუსულად დაწერილი ქალაღები და გაჯავრებით შეჰყარა გაძლიერებულ ბუხარში.

— რა იყო, იაკობ? — რა ქალაღები უთავაზე ამ ჩვენს მხიარულ ბუხარსა? — ჰკითხა ღიმილით ნიკომ.

— დავწვი ჩემი გემები, რომ უკან დაბრუნება აღარ შეძლოს, — წარმოსთქვა იაკობმა... — ატესტატი სემინარიისა, მოწმობა აკადემიისა, სამსახურის სია და სხვა საბუთის ქალაღები — ყველანი ცეცხლს მივართვი. ვაი თუ მაგათი წყალობით კიდევ გამღვიძებოდა სურვილი სამსახურში შესვლისა... ამიერიდან მთელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემს ქვეყანას უნდა მოვახმარო“

ეს ის დროა, როცა „დედაენა“ გონებაში უკვე მომწიფებულია... და მართლაც, იაკობი სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულა... „გოგებაშვილი საქართველოში პირველთაგანი იყო, რომელიც თავისი წიგნების შემოსავლით ცხოვრობდა. ეს წიგნები იყო მისი შვილებიც. დღე-ღამე მათ გაუმჯობესებაზე ფიქრობდა“ (არტურ ლაისტი).

იაკობს მართლაც შეეძლო მდიდარი კაცი ყოფილიყო, მიზნად ეს რომ დაესახა.

საინტერესო მოგონებას გვთავაზობს ფილიპე გოგიჩაიშვილი: „ი. გოგებაშვილი მთელს საქართველოში ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც ახალგაზრდობის შემდეგ სამსახურში არ შესულა და მხოლოდ თავისი ნაწერების ჰონორარით ცხოვრობდა. მისი ცხოვრების წყარო იყო ის შემოსავალი, რომელსაც მას აძლევდა უმთავრესად მისი სამი სახელმძღვანელო: „დედა-ენა“, „ბუნების კარი“ და „Русское слово“ და ეს წყარო გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა, ი. გოგებაშვილი რომ დათანხმებულიყო ამ სახელმძღვანელოების ცოტაოდნავ გაძვირებაზე, ფასის გადიდებაზე. მაგრამ იგი ამას ყოველი საშუალებით ერიდებოდა“.

საანბანე წიგნი ფუფუნების საგანი არ არის, იგი საჭირო და აუცილებელია ყველასათვის და ამიტომაც ყველა ოჯახს უნდა ჰქონდეს მისი შექენის შესაძლებლობაო. ეგ კი არადა, წერის დედანიც კი საანბანე წიგნში შეიტანა და ფასი არ გაზარდაო: „ერთ დროს მან, „დედაენის“ პარალელურად, ქართული წერის „დედანი“ გამოსცა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი მალე გასაღდა, მან მისი გამოცემა აღარ განაახლა. ის „დედანი“ შემოკლებული სახით „დედა-ენაში“ შეიტანა და იმავე დროს „დედა-ენის“ ფასი არ გაუდიდება. ცალკე „დედნის“ გამოცემაზე ხელის აღებას ი. გოგებაშვილი ასე ხსნიდა: „დედანი“ ღირდა ექვს შაურად, ყდით ჯდებოდა ორ აბაზად. „დედა-ენაშიც“ ამდენივე უნდა მიეცათ მოსწავლეებს. ოთხი აბაზის გაღება კი ჩვენი ღარიბი ხალხისათვის სამძიმო იყოო“ (ფ. გოგიჩაიშვილი).

სადღეისო გადახვევა: დღეს კი ავტორ-გამომცემლები ერთმანეთს ეჯიბრებიან სასწავლო წიგნის ფასის გაზრდაში... „სახსრის ტრფიალი და კუჭის პრინციპი“ აღწევებულია...

* * *

ოპონენტები უკიჟინებდნენ: „ჩმა ვერ ამოგვიღია გოგებაშვილის მიერ შედგენილი წიგნების შესახებ, მაშინვე იაკობი ქვა-გუნდასა და ცეცხლს დაგვაყრისო“. სხვას არ გაახარებს, სხვა სახელმძღვანელოს არ გააჰაჰანებსო... არადა არ იყო ასე. იაკობი ამბობდაო: „შეადგინონ ჩემ სახელმძღვანელოზე უკეთესი შინაარსიანი სახელმძღვანელოები და მაშინ სიამოვნებით გზას დავულოცავ. მაგრამ ვიდრე მე ცოცხალი ვარ, ნებას არ მიცემ, რომ უნიჭოდ შედგენილი და უხეირო სახელმძღვანე-

ლოებით დაამახინჯონ ქართველი ბავშვი“ (ი. გომელაური). თავად იაკობი წერს: „დედა-ენა“ დაუთმობს თავის ადგილს არა რომელსამე ლატაკს წიგნაკს, არამედ იმისთანას, რომელიც უფრო მდიდარი იქნება მასზედ, იქნება უფრო სრული სახელმძღვანელო კითხვისა და წერისა ერთად. უფრო უკეთესად დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას იქითა და აქეთა საქართველოსას, საერო და სამრევლო სკოლებისას ერთად, და უფრო მეტად დაეხმარება გაერთიანებას ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებისას. და აი, ამისთანა სახელმძღვანელოს შემდგენელს სრულს ნებას ვაძლევთ ისარგებლოს „დედა-ენის“ მასალითა, რამდენიც ნებაგდეს“...

ვაიმორებთ: არ არის ეს ახირება იაკობისა; აქ არ ლამაზიტიყვაობს გოგებაშვილი. არაერთი მაგალითი ვიცით, როცა მას გზა დაუთმია სხვისთვის (გვინდოდა გვეთქვა, უკეთესისათვის-თქო, მაგრამ ძნელი სათქმელია, იყო კი უკეთესი ის, რასაც გზა ეთმობოდა...). ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო მ ა გ ა ლ ი თ ი: იაკობი წერს — „ამ ათის წლის წინად ჩვენ ვსწერდით ქართულს გრამატიკას და ნახევარი შრომა უკვე გაკეთებული გვქონდა, როცა შევიტყვეთ, რომ ბ-ნმა ჟორდანიამ და ბ-მა ქუთათელაძემ ქართული გრამატიკები შეადგინესო. ჩვენ მაშინვე შევაჩერეთ გრამატიკის გათავება, რომ ამ პირებისათვის კონკურენცია არ გაგვეწია და ვურჩიეთ გრიქუროვს და ხიდიკელს, დაებეჭდათ ეს გრამატიკები, თუმცა არა ერთი პირი გვავალებდა და ეხლაც გვავალებს გრამატიკის გამოცემას“...

ახლა სხვა მაგალითი მოვიხმოთ: იაკობი წერს — „ერთ დროს ჩვენ ხელი მივყავით საღმრთო ისტორიის შედგენას, რადგანაც კარგად შემუშავებულ საღმრთო მოთხრობებს აღმზრდელი გავლენა აქვთ ყმაწვილებზე. ძველი აღთქმა უკვე გათავებული გვქონდა და გამოცემელთანაც პირობა შეკრული, როცა ბ-ნი იოსელიანისგან შევიტყვე, რომ მას უკვე მზად აქვს დასაბეჭდად საღმრთო ისტორია. ამის შემდეგ ჩვენის შრომის გათავებაზედ არამც თუ ხელი ავიღეთ, არამედ ბ-ნი იოსელიანი მივიყვანეთ გამოცემელთან და ამ უკანასკნელს ვურჩიეთ, დაებეჭდა მისი წიგნი და იმედი აღარა ჰქონოდა ჩვენგან ისტორიის გათავებისა...“

ვერ გეტყვით, როგორი იყო იოსელიანის „საღმრთო ისტორია“,

არ მინახავს, მაგრამ როგორია იაკობის შედგენილი „ბიბლიური ისტორია“, ამის თქმა შეიძლება — მეოცე საუკუნის ბოლოს (1989 წ.) გამოიცა: იაკობის საკადრისი წიგნია. და იაკობმა ამ წიგნზე თქვა უარი... ესეც მეორე მაგალითი...

მესამე მაგალითი: ისევ იაკობს მოვუსმინოთ — „როცა არითმეტიკა ბ-ნი ჯაჯანაშვილისა და ბ-ნი ნატროშვილისა შესდგა, ჩვენ დაწყებული გვქონდა ელემენტარული არითმეტიკა სახალხო სკოლები-სათვის; მაგრამ მისი დამთავრება აღარ მოვინდომეთ, რათა ამ პირები-სათვის ხელი არ შეგვეშალა“... — ესეც მესამე მაგალითი...

მეოთხე მაგალითი: კვლავ იაკობს მოვუსმინოთ — „ქართული დედანი ჩვენ დამზადებული გვქონდა 1882 წელიწადსა და პირობაც შეკრული გამომცემელთან და ლიტოგრაფ დემეტროვთან, როდესაც ბ-ნმა გაბიჩვაძემ თბილისში ჩამოიტანა თავისი ქართული დედანი. ჩვენც არამც თუ უკან დავიხიეთ, არამედ ხელის მოწერაც გავმართეთ ბ-ნი გაბიჩვაძის სასარგებოდ „დროების“ რედაქციაში და პირადად გადავეცით ბ-ნს გაბიჩვაძეს ჩვენი საკუთარი 12 მანეთი, რათა მიგვეცა ღონისძიება დედნის გამოცემისა“... არ დაუწყია იაკობს მტკიცება, ჩემი სჯობსო... არადა, როგორც ჩანს, აშკარად სჯობდა იაკობის შედგენილი დედანი გაბიჩვაძისას და... თუმცა ისევ იაკობს მოვუსმინოთ: „როცა ბ-ნი გაბიჩვაძის დედანმა არავინ არ დააკმაყოფილა და თვითონ შემდგენელიც დარწმუნდა მისს გამოუსადეგრობაში, ჩვენ დავბეჭდეთ ქართული დედანი“...

ასე რომ, როცა იაკობი წერს — „დედაენა“ დაუთმობს თავისს ადგილს არა რომელიმე ლატაკს წიგნაკსა, არამედ იმისთანას, რომელიც უფრო მდიდარი იქნება“ — უნდა ვირწმუნოთ.

იაკობმა ისიც იცის, რომ უნაკლო წიგნი არ არსებობს, მაგრამ კრიტიკა უნდა იყოს გულწრფელი და საქმის ინტერესებით ნაკარანხევი: „მართალია, ჩვენ მტკიცედ ვიცავდით ჩვენს სახელმძღვანელოებს ქართულის ენისას მტრული მოქმედებისაგან; მაგრამ „კვალის“ რედაქცია ვერ დავვისახელებს ვერც ერთ შემთხვევასა, როდესაც კი ამ დაცვას არ მოითხოვდა თვით ინტერესი ქართული ენისა“...

ღიახ, კარგად იცის იაკობმა, რომ უნაკლო სახელმძღვანელო არ არსებობს: „დედაენის“ და „ბუნების კარის“ ნამდვილი ნაკლულევან-

ბის დასახელება, რასაკვირველია, შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ განვითარებული, გამოცდილი და პატიოსანი პირისათვის. მათი დანაცრების წადილს განიზრახავს მხოლოდ უსუსური, რომელსაც არ ესმის არც თავისი სისუსტე, არც მოწინააღმდეგის ძალაო“, — იძულებული იყო, ესეც ეთქვა იაკობს...

ქართული ენის ინტერესი ათქმევიანებს იაკობს: „ჩვენ სრულს ნებას, სრულს უფლებას ვაძლევთ „დედა-ენიდან“ ისარგებლოს იმ პედაგოგმა, რომელიც შეადგენს უფრო უკეთესს სახელმძღვანელოს“... არადა, უკეთესი სახელმძღვანელო არა ჩანდა (და არც ახლა ჩანს!)...

ამიტომაც იყო იაკობი „დაუნდობელი, პირდაპირი, შეუდრეკელი, ურყევი!

სამშობლოს სადარაჯოზე ისე იდგა ბასრი კალმით, როგორც ერეკლე მეფე მტრის წინააღმდეგ ხმალამოლებული“ (ი. იმედაშვილი).

„ასიკო ცაგარელი ჯერ ბოდიშს მოიხდიდა და მერე იტყოდა: ქართველებს და ქართულ ენას ისეთი ასარბასარა დარაჯი ჰყავს, რომ მას ვერავინ ვერაფერს დააკლებს, არავის გაახარებს, თუ ჯიბრზე მიდგა საქმეო“ (შიო მღვიმელი)...

* * *

ერთიც ვთქვათ: იაკობ გოგებაშვილი სწორუპოვარი პოლემისტი იყო. ოდესმე ალბათ შეიქმნება ქართული პოლემიკური კულტურის ისტორია და იაკობის პოლემიკურ ხელოვნებაზე ითქმება სათქმელი...

იგონებენ, „იაკობი ისეთი იყო, მოკამათეს, როგორც იტყვიან, რჯულამდე ჩაჰყვებოდა, თუ მისი აზრი საეჭვოდ მოეჩვენებოდა“ (ი. იმედაშვილი); ანდა: „კაცო, ამბობენ, რასაც იტყვის, გველის ხვრელში გაძვრება და ასრულებს კიო“ (ვ. ბარნოვი). „თავისი სიტყვის ბატონიც იყო და პატრონიც“ (ი. სრესელი). არ იცვლის აზრს, პოზიციას, თუკი სწამს, რომ მართალია; აკაკი სწერდა გიორგი წერეთელს: „ძმაო გიორგი! გოგებაშვილის პასუხით დავრწმუნდი, რომ მას ვეღარას გადათქმევენებ და მეც აღარ ამოვიღებ ხმას, რაც უნდა სწეროს! ამასთანავე გთხოვთ, თუ რამე გამოგზავნონ იმის შესახებ, არ დაბეჭდოთ! ხომ იცი, რაც უნდა იყოს, იაკობისთანა კაცები ძვირფასები არიან ჩვენთვის და საფრთხილოდ მოსაპყრობი...“ ეს ამონარიდი აკაკის პიროვნებასაც ნათლად წარმოგვიდგენს, მის პოლემიკურ კულტურასაც...

გიორგი წერეთელს უკვირს გოგებაშვილის თავგამოდება საკუთარი სახელმძღვანელობის დასაცავად: „ბევრმა ქართველმა პედაგოგმა განიზრახა მისი („დედაენის“) კრიტიკული დაფასება, მაგრამ ასეთმა განხილვამ ყოველთვის გამოიწვია გოგებაშვილის მხრივ საპოლემიკო ქარცეცხლი“-ო. იაკობი კი სხვას ამტკიცებს: „საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ოთხს კრიტიკაში მხოლოდ ერთს ვაძლევდით პასუხს“... ყველა კრიტიკულ წერილს არც თვლიდა პასუხის ღირსად; ალბათ, ერთი კაცის ძალას აღემატებოდა კიდევ ყველა მათგანზე პასუხის გაცემა, არც დროის ხარჯვა ღირდა: „ბატონმა ივანე მესხიმ დაბეჭდა კრიტიკული განხილვა „დედაენისა“ და მე კრინტიც არ დამიძრავს წინააღმდეგ, თუმცა ზოგიერთა ნაკლულოვანება, ჩემის აზრით, შეცდომით იყო ნაჩვენები. ბ-მა მიხეილ ნასიძემ გაჰკილა „დედაენა“ და მე უპასუხოდ დავტოვე; ბ-ნმა დოდაშვილმა „ეკალში“ ლალად გაინავარდა ჩემს წიგნზედ და მე ყურიც არ გავიბერტყე; ამავე გაზეთის კლიენტმა უმანკო სახალხო ლექსს, „მოდო ვნახო ვენახი“, დარვინის თეორიის ქადაგება დასწამა და ჩვენ არც მაშინ გავწყვიტეთ დუმილიო“, — განმარტავს იაკობი...

ვინ არის ღირსი პასუხისა, ანდა როგორი კრიტიკა იმსახურებს იაკობის ყურადღებას? წერს ერთგან იაკობი: „წარსული წლის მანისში ერთმა ახალციხელმა მასწავლებელმა დაბეჭდა „ივერიაში“ ვრცელი შენიშვნები „დედაენის“ შესახებ. შენიშვნები იყო დაწერილი გულწრფელად, საგნის სიყვარულით, მიუდგომელად და მიუფერებლად. ჩვენც ასეთივე ხასიათის შენიშვნები დაუწერეთ „მოამბეში“ და სრული თავაზიანობით მოვეპყარიო“... მთავარი მოთხოვნა იაკობისა: საპოლემიკო წერილი უნდა იყო დაწერილი **გულწრფელად, საგნის სიყვარულით, მიუდგომელად და მიუფერებლად**... პასუხის ღირსია ისეთი წერილები, რომელთა ბაასის **ტონი** არის **რიგიანი, იკვლევს საპოლემიკო საგანს და ერიდება პირად კიცხვა-კილვას**: „როცა „ეკალმა“ ჩვენს წინააღმდეგ ასტეხა პოლემიკა, ბ-ნნი: აკაკი წერეთელი, სილოვან ხუნდაძე, დუტუ მეგრელი სრული რიგიანობით გვებაასებოდნენ, საგანს იკვლევდნენ, პირად კიცხვა-კილვას ერიდებოდნენ და ჩვენც სწორედ ამისთანავე ხასიათი მივეციოთ ჩვენს პასუხებსაო“, — იხსენებს იაკობი...

იაკობისათვის მიუღებელია, შეუწყნარებელია პირადი დამცირება-

შეურაცხყოფა, თუმცა ასეთი რაიმეს უპასუხოდ დატოვებაც არ იქნებოდა: „ბ-ნმა გიორგი წერეთელმა და დოდაშვილმა ჩვენი პირადი დამცირება მოინდომეს მკითხველის თვალში და ჩვენ მიერ თვითონ იქმნენ დამცირებულნი სრული სამართლიანობით“, — წერს ერთგან. საერთოდ კი იაკობს მიაჩნია, „რომელი საწყაულით მიგიწყავენ ხოლმე, იმავე საწყაულით მიიღებენ ხოლმე ვალსა“...

იაკობ ნიკოლაძესაც ჰქონდა პოლემიკა იაკობთან. ამ ფაქტს ასე იხსენებს იაკობი: „მე ერთობ მკვახე სიტყვებით მოვიხსენიე ერთი მოწინავე გაზეთ „ობზორისა“, რომლის გამომცემელიც ნიკოლაძე იყო მაშინ; მაგრამ შემდეგში, როცა პოლემიკის ცეცხლი განელდა, მან ისარგებლა ჩემი რუსული სახელმძღვანელოს გამოსვლით და დაწერა სტატია, რომელშიც ასე დაახასიათა პოლემიკის შედეგები: „მე ისეთ დარტყმებს ვთავაზობდი მას, რომ კამეჩსაც წააქცევდა, მაგრამ იგი არამც თუ არა წაქცეულა, დიდ სიმაღლეზე აღიმართაო“... ესაა სწორედ „ღირსეული მტრის“ ლეგენდის რეალური გამოვლინება...

ღიან, იაკობი, როგორც პოლემიკის დიდოსტატი — ეს ვრცელი თემაა... იაკობის პოლემიკური კულტურა მაგალითად უნდა იქცეს თაობებისთვის... და არა მარტო ეს: დაობენ და პეჭრობენ ილია და აკაკი, აკაკი და ვაჟა, იაკობი და აკაკი... ალბათ ოდესმე შეიქმნება ქართული პოლემიკური კულტურის ისტორია; ეს პეჭრობანი ღირს იმად, რომ იქცეს სახელმძღვანელოდ თაობათათვის.

„თურაშაშლის პატრონი“...

ზემოთ ვთქვით, კიდევ გვინდა გავიხსენოთ აკაკი წერეთლისა და ზაქარია ფალიაშვილისადმი უსაზღვრო სიყვარულმა ერთ ცნობილ მოღვაწეს რომ ასეთი რამ ათქმევინა: „ღვთაებრივი „დედანისადმი“ ჩემი უდიდესი მოკრძალების მიუხედავად გავბედავ და ვიტყვი: ყოველი სახელმძღვანელო, რა ოსტატობითაც უნდა იყოს შედგენილი, დროთა განმავლობაში სხივს კარგავს — მიჭირს თქმა! — ძველდება და აუცილებლად შესაცვლელი ხდება! აკაკი წერეთლის „განთიადი“ კი ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტით მარადიულია! ერთი სიტყვით, პირველკლასელთათვის სახელმძღვანელოს შედგენა, მეტნაკლებად, სხვებსაც ხელეწიფებათ, ხოლო „დაისის“ შესავლის დაწერა — ფალიაშვილის გარდა არავის“...

ისიც ვთქვით, ჩვენი ღრმა რწმენით, რაც არის პოეზიაში „განთიადი“, ისაა მუსიკაში „დაისის“ შესავალი, მაგრამ... ისაა პედაგოგიკაში „დედაენა“ — ამის შედგენასაც ისეთივე გენიოსი სჭირდებოდა, როგორებიც იყვნენ აკაკი და ზ. ფალიაშვილი თავიანთ სფეროში...

მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ფიქრობს მხოლოდ ის მოღვაწე და არც ფიქრობდნენ იმთავითვე — სახელმძღვანელოს შედგენა „მეტნაკლებად სხვებსაც ხელეწიფებოდათ“ და ქმნიდნენ და ქმნიან საანბანე წიგნებს...

ორიოდე მაგალითი იმისა, თუ რა სახელმძღვანელოებს უწევდა კონკურენციას „დედაენა“ იმჟამად. ზაქარია კიკნაძის შეფასებას მივუგდოთ ყური: „ხალხის სალაპარაკო ენა და ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს ენა ერთი მეორისაგან არ სხვაობდა, არამედ ერთნაირი იყო, მაშინ როდესაც სხვების ანბანებში ეს განსხვავება მეტად დიდი იყო. მაგალითად, პლ. იოსელიანის „ანბანი ქართული“ პირველად იწყება ხუცური ანბანით, შემდეგ კი მიდის მხედრულით. მარცვლების ჩამოთვლის დროს ჯერ ჩამოთვლილია ხუცურად და შემდეგ — მხედრულად. წიგნის 24-ე გვერდამდე ყოველი სიტყვა დაწერილია ჯერ ხუცური ასო-

ებით და ამის შემდეგ მხედრულით. ხოლო თვით ანბანის შემდეგ საკითხავი მასალა ბავშვებისათვის წარმოადგენს მეტად რთულს და მიუწვდომელს. მოვიტანთ ერთერთი ტექსტიდან ამის ნიმუშს: „პლატონ ფილოსოფოსსა მოწაფეს სოკრატისასა ჰკითხეს, ოდეს სრულ-ჰყოფ სწავლასა შენსა? მან უპასუხა: მაშინ, ოდესაც აღივსება წადილი გულისა ჩუენისა, რათა არღა გვინდოდეს არცა უმეტესი კეთილ არცა უმეტესი ბედნიერება; ფილოსოფოსთა ჯერ არს, რათა მარადის აქუნდეს მეცადინეობა წარმატებისათვის“ (ციტატა მოყვანილია პლ. იოსელიანის „ქართული ანბანი“ 1883 წლის გამოცემიდან — გ. გ.) და სხვა... თითქმის ასეთივე ხასიათისაა ივ. კერესელიძის „ანბანი ახალ მოქსწავლეთა ყრმათათვის“.

იაკობის „დედაენამდე“ ერთი წლით ადრე, 1875 წელს, რაფიელ ისარლიშვილმა გამოსცა საანბანე წიგნი — „პირველი წიგნი წერა-კითხვის სასწავლებლად შედგენილი სურათებით ამერიკულ მეთოდზე სასოფლო სკოლებისათვის“. კვლავ ზაქარია კიკნაძეს მოვუსმინოთ: რ. ისარლიშვილის წიგნში „ანბანის შესასწავლად პირველ გაკვეთილში ოთხი ასოა მოცემული, მაგ., „ბატი“. ეს უკანასკნელი სურათზე მოწერილია და შემდეგ ორჯერაა განმეორებული მარცვლებად და ბგერებად. ამას მოსდევს იმავე წესით „ბუდე“, „ვაშლი“, „ქათამი“ და ა. შ. ამ წესით წარმოებს ბავშვის მიერ ყველა სახის ასოს შესწავლა... პირველ გაკვეთილში ბავშვმა ერთბაშად უნდა დასძლიოს და შეისწავლოს ოთხი უცნობი ასო, განსაკუთრებით ძნელად შესასწავლი ორი ასო **ბ** და **ტ**. მეორე გაკვეთილში — სამი სრულიად უცნობი ასო (ბუდე) — უ, დ, ე... მესამე გაკვეთილში — კიდევ სამი სრულიად უცნობი ასო (ვაშლი) — ვ, შ, ლ... ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ანბანის შესწავლისას არცერთ გაკვეთილში არ არის მოცემული სავარჯიშო მასალები“... თავად რ. ისარლიშვილი ასეთ განმარტებას აძლევს პედაგოგებს: „სკოლაში სავარჯიშოდ პირველმა მოწაფემ უნდა წაიკითხოს **ბატი**, მეორემ გაჰყოს მარცვლებად **ბატი**. მესამემ გაჰყოს ასოებათ პირველი მარცვალი **ბა**, მეოთხემ მეორე მარცვალი **ტი**. ეს ვარჯიშობა იმდენად უნდა განმეორდეს, ვიდრე ყმაწვილს კარგად შეეძლოს ამ პირველი სიტყვის წაკითხვა, გარჩევა მისი მარცვლებისა და ასოებისა. ამ გვარათვე უნდა ასწავლო შემდეგი სიტყვები **ბუდე**, **ვაშლი** და სხვა...“ ესეც კიდევ ერთი კონკურენტი „დედაენისა“...

ალარას ვამბობ ვინმე ნათიევის, გორის პროსემინარიის მასწავლებლის, „სახელმძღვანელოზე“. ამის თაობაზე ერთგან იაკობი შენიშნავს: „როცა გორის საოსტატო სემინარიიდან დასაბეჭდად მოუვიდა 1876 წელში მზრუნველსა ქართულ-რუსული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, რუსული ასოებით დაწერილი, ნაცვლად ქართულისა, ილიამ და მე გადავწყვიტეთ მასხრად აგველო — იმას „ივერიაში“ და მე „დროებაში“, და კიდევ შევასრულეთ ორივემ. და მახინჯი ჩანასახი დედის მუცელში გაწყალდა“. სხვაგან ამის თაობაზე წერს იაკობი: „ამისთანა სწავლას სწავლა კი არა ჰქვიან, მასხარაობას უწოდებენ“... ესეც ერთი კონკურენტი...

ერთი წერილი აქვს იაკობს ასეთი სათაურით: „ერთი მუჟა წიგნი, ათი მუჟა სულელობა ანუ უ. მდივანოვის ანბანი“. სათაურიდანვე ჩანს ავ-კარგი ამ სახელმძღვანელოსი, თუმცა ორიოდ ციტატა მაინც მინდა მოვიყვანო იაკობისა: „კაი ხანია მე ისე გულით არ მიცინია, როგორც ვიცინე ამ წიგნის კითხვის დროსა. მკითხველს მე ხარხარით გულს ვაჯერებინებდი, უზენაესს რომ არისტოფანის ნიჭის ნატენი ჩემთვის ეწილადებინაო“... და კიდევ ერთი — „თუ ქართული ენის ცოდნაში, ადამიანურ ჰაზროვნებაში, გრამატიკაში და ლოგიკაში მტკნარად უკაცრავად გახლავთ უ. მდივანოვი, სამაგიეროდ იგი როგორც კეთილი სომეხი, ანბანშიაც კი ახერხებს სომხური პატრიოტობის გამოჩენას: იგი ქართველ ბავშვებს ჩასჩიჩინებს, რომ სამოთხე სწორედ შიგ შუა სომხეთში იყოფო, ნოეც სომხეთში დასახლდა წარღვნის შემდეგ და სწორედ ნოემ ააშენა ჩვენი ქალაქი ნახიჩევანო, რომელიც აქამომდე არსებობს, ასეო რომაო უძველესი ქალაქი სომხებს გვეკუთვნისო... არა, მდივანოვს რომ ეს არ ჩაედინა, განა უმისოდ არ ვიცოდით, რომ სულელი კაცი პატრიოტობაშიც სულელია!“ — ესეც კიდევ ერთი კონკურენტი იაკობის „დედაენისა“...

თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი სახელმძღვანელოები წლების განმავლობაში ამახინჯებდნენ ქართველ ბავშვებს... „დედაენის“ გამოჩენის შემდეგაც კი ცდილობდნენ მეტოქეობის გაწევას. უკვირს იაკობს: „როგორ მოხდა ის სამწუხარო მოვლენა, რომ ამ მტკნარმა უტვინობამ და სულელობის ნაყოფმა გზა გაიკვლია ჩვენ მდაბიო ხალხში, თორმეტი წელიწადია ვრცელდება, უმახინჯებს ენასა ქართველ ახალ მოზარდობა-

სა და ურყენის გონებასა შვილთა და მამათა“... ეს ის თორმეტი წელი-წადია, იაკობის პირველი ანბანი რომ გამოიცა... და „დედაენაც“ რომ წამოეწია...

ამაზე იტყოდა ქართველი კაცი, თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო... და ეს ძიება პანტისა გაგრძელდა...

„შეადგინონ უკეთესი სახელმძღვანელოები და სიამოვნებით დავუთმობ გზასო... მიკერძოებაში რომ არ ჩამეთვალოს, სხვამ განსაჯოსო. ალ. ნათაძის „ბავშვების მოკეთე“ გახსოვთ? „დედაენის“ გამოსვლიდან 20-ოდე წლის მერე ითხოვს იაკობი, კომისია შეიქმნეს „განვითარებულის და მიუღღომელის პედაგოგებისა და ლიტერატორებისაგან“ და „თუ ეს გადაწყვეტილობა იტყვის, რომ „ბავშვების მოკეთე“ ცოტათი მაინც სჯობიან შინაარსის სიმდიდრით და ღირსებით ახლანდელს ქართულს სახელმძღვანელოს (იგულისხმება „დედაენა“ — გ. გ.), რომლის სანაცვლოდ არის იგი დანიშნული, მაშინ ბ-ნი ნათაძე გამართლდება საზოგადოების წინაშე, ჩვენ აღარა გვეთქმის რა და მისს წიგნს ფართო გზა გაეხსნება. თუ წინააღმდეგ ამისა, დაწესებულება აღიარებს, რომ „ბავშვების მოკეთე“ შედარებით ბევრით დაბლა სდგას როგორც კითხვის, ისე წერის მასალის სიმდიდრით, ღირსებით, ელემენტარულის იდეალების რაოდენობით, — მექანიკურად არის შედგენილი და მისი მიღება სკოლებში ბევრად შეავიწროვებს ქართულს ენასაც, ბავშვების განვითარებასაც და ხალხის განათლებას უკან დასწევს, მაშინ მან დროებით შეაჩეროს გამოცმა“...

იაკობი ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტას ითხოვს საკითხისას. კონკურენციის ბედი ასე უნდა გადაწყდეს... და იაკობიც იმ სახელმძღვანელოს დაუთმობს გზას, რომელიც „დედაენაზე“ უკეთესი იქნება —

წერის მასალის სიმდიდრით,

ღირსებით,

ელემენტარული იდეალების რაოდენობით,

არ იქნება მექანიკურად შედგენილი,

არ შეავიწროვებს ქართულ ენას,

ხელს შეუწყობს ბავშვის განვითარებას,

წინ წასწევს ხალხის განათლებას!..

ასეთი იყო „დედაენა“, სხვა ასეთი წიგნი არ ჩანდა და ამიტომაც იცავს იაკობი „დედაენას“ ხმალამოღებული...

როცა მდივანოვის წიგნს აკრიტიკებდა, გახაზავდა: „წიგნში არ მოიძებნება არც ანდაზა, არც გამოცანა, რაც უნდა უსათუოდ იყოს ამგვარ წიგნშიო“...

ვთქვით, იბრძოდა იაკობი და ახერხებდა კიდევ გამარჯვებას... სამწუხაროდ, საჭირო იყო მტკიცება იმისა, რომ თურაშაული სჯობდა ველურ პანტას!..

ამ ბრძოლების გადამტანს, შიში ჰქონდა, შეძლებდნენ კი მის შემდეგ „დედაენის“ დაცვას, იცოცხლებდა კი „დედაენა“ იაკობის შემდეგ. გ. წერეთელთან პაექრობისას თქვა იაკობმა: „ასე რომ, თქვენი სიკვდილის შემდეგაც, როცა „დედაენა“ მოაკლდება გაუკეთესებასა, მას შეუძლია იცოცხლოს რამდენიმე ათი წელიწადი? — გულგახეთქილი იკითხავს ჩვენი გიორგი ბრძენი. — დიახ, ბატონო, თვით იმ შემთხვევაშიც, თუნდა თქვენმა დუეტმა იმ ქართან იმატოს და გაორკეცდეს, ეს მოხდება იმის გამო, რომ ცნობილი უკუღმართობა იმარჯვებს მხოლოდ გახრწნილს და მომაკვდავს საზოგადოებაში; და ამისთანა სენით, იმედია, შეპყრობილი არ არის ჩვენი საზოგადოება“...

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ იაკობის მთავარი პრინციპი: „დედაენა“ დაუთმოვს თავისს ადგილს არა რომელსამე ლატაკს წიგნაკს, არამედ იმისთანას, რომელიც უფრო მდიდარი იქნება მასზედ, იქნება უფრო სრული სახელმძღვანელო კითხვისა და წერისა ერთად, უფრო უკეთესად დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას იქითა და აქეთა საქართველოსას, საერო და სამრევლო სკოლებისას ერთად, და უფრო მეტად დაეხმარება გაერთიანებას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებისას. და აი, ამისთანა სახელმძღვანელოს შემდგენელს სრულს ნებას ვაძლევთ, ისარგებლოს „დედაენის“ მასალითა, რამდენიც ნებავდეს“.

და იზრდება სია იმ პირობებისა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სახელმძღვანელო:

არ უნდა იყოს ლატაკი,

უნდა იყოს „დედაენაზე“ უფრო სრული,

უნდა იყოს სახელმძღვანელო კითხვისა და წერისა ერთად,
უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს „იქითა და აქეთა საქართვე-
ლოისას“,

უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს საერო და სამრევლო სკოლე-
ბისას ერთად,

უნდა დაეხმაროს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების გაერთიანე-
ბას.

თუ ამ პირობებს დააკმაყოფილებს, იაკობი არა მხოლოდ დაუთ-
მობს, არამედ ნებას მისცემს „ისარგებლოს „დედა-ენის“ მასალითა,
რამდენიც ნებადეს“...

ვერაფერს ვიტყვი, დიდებული პირობებია!...

ივანე გომელაური იგონებს: „მტრებს იაკობი გამოჰყავდათ ახალ-
გაზრდა პედაგოგების მტრად. ეს იცოდა იაკობმა, მაგრამ ძალიან არ
წუხდა, ამბობდაო: „...ვიდრე მე ცოცხალი ვარ, ნებას არავის მივცემ,
რომ უნიჭოდ შედგენილი და უხეირო შინაარსიანი სახელმძღვანელოე-
ბით დაამახინჯონ ქართველი ბავშვები“.

„დედაენას“ არ უნდა მიაკლდეს გაუკეთესებაო; წინააღმდეგ შე-
მთხვევაში იგი ველარ შეასრულებს პირველი საანბანე წიგნის ფუნქცი-
ებსო. გაუკეთესება როგორ ესმოდა იაკობს?

ოპონენტები იმასაც უკიჟინებდნენ, „დედაენის“ წინა გამოცემები
ვერ გამოგვიყენებიაო, აი, იაკობი გამუდმებით ცვლის „დედაენას“...

შეენიშნავთ, ამ მხრივ განსაკუთრებით „დედაენის“ საანბანე ნაწი-
ლი იქცევს ყურადღებას: 1906 წელს 21-ე გამოცემისა ცალ-ცალკე
გამოვიდა საანბანე ნაწილი და საკითხავი ნაწილი. საკითხავი ნაწილი
(II) გამოდიოდა ყოველ წელს; 1912 წელს შესრულდა 27-ე გამოცემა.
საანბანე ნაწილი 1906-1909 წლებში წელიწადში ორ-ორჯერ გამოიცა,
1910 წელს — 3-ჯერ! სულ იაკობის სიცოცხლეში გამოიცა 33-ჯერ! ია-
კობის შემდეგ 1925 წლამდე გამოდიოდა ამ სახით (საანბანე ნაწილის
45-ე, ზოლო მეორე ნაწილის 30-ე გამოცემა). მერე? — მერე იყო ინი-
ციატივები... ამაზე უფრო დაწვრილებით ქვევით ვისაუბრებთ. გამუდმე-
ბით ცვლა იაკობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპის — გაუკეთესების —
აუცილებელი პირობაა. ვისაც თვალი მიუღწევნებია 1876 წლიდან 1912
წლამდე — პირველი გამოცემიდან იაკობის სიცოცხლეში გამოსული

ბოლო (33-ე) გამოცემისათვის, შეამჩნევდა, რომ არცერთი მომდევნო გამოცემა უცვლელად (ზუსტად) არ იმეორებს წინას: იაკობი გამუდმებით ცვლის, ეძიებს, ხვეწს სახელმძღვანელოს. ვილაციისათვის შეიძლება ზოგი ცვლილება უმნიშვნელო იყოს, მაგრამ იაკობისთვის არაა ასე. ვთქვით: არანაირი შეცდომა არ ეპატიება სახელმძღვანელოს ავტორს — ის თაობათა წინაშე პასუხისმგებელი.

ყოფილიყო სხვისი სახელმძღვანელოც, შეიძლება თქვას ვინმემ, მით უმეტეს, ალტერნატიული სახელმძღვანელოები დღეს „მოდაშია“... სხვა რომ არა იყოს, 2010 წელს განათლების სამინისტრომ საკონკურსო წარდგენილ ათივე „დედაენას“ მისცა უფლება სკოლაში შესვლისა... იაკობს ამ კითხვაზეც ჰქონდა პასუხი: „ჩვენი ქვეყანა უზარმაზარი რუსეთი არ არის, აქ ორი-სამი სახელმძღვანელო ვერ იხეირებს... ამასთან ერთად ჩვენს პატარა ქვეყანაში მრავალი სხვადასხვა კილოზე მოლაპარაკე ხალხი ბინადრობს. ამიტომ ჩვენში ერთი პირველდაწყებითი სახელმძღვანელოა საჭირო, რათა საქართველოს ყოველი კუთხის ბავშვმა ერთიდაიგივე ლიტერატურული კილო შეითვისოს“...

* * *

ვთქვით, ყოველ ახალ გამოცემაში რაღაც ცვლილება აუცილებლად შეაქვს — აუკეთესებს. ცვლილება სხვადასხვა სახისა იყო, ზოგი პრინციპული, ზოგიც — ნაკლებპრინციპული, მაგრამ მაინც — მნიშვნელოვანი იაკობისთვის.

მიუთითებენ, რომ ზოგ გამოცემაში (მაგ. 1878, 1881, 1884 წლების) იცვლება მხოლოდ საკითხავი მასალა; მე-5 გამოცემაში (1886 წ.) შეიცვალა ასო-ბგერათა რიგი — ასოთა გრაფიკული მსგავსება და მონახულობა დაედო საფუძვლად რიგს; და, რა თქმა უნდა, ხმარების სიხშირე. ამავე გამოცემიდან „დედაენაში“ შეიტანა ქართული წერის დედანი (რომელიც პირველად 1884 წელს გამოიცა ცალკე წიგნად). იცვლება საიანბანე სიტყვები, გრაფიკული და სახატავი სავარჯიშოები, მდიდრდება საკითხავი მასალა — უფრო მეტად ხალხური შემოქმედების ნიმუშებით... მეოთხემეტე გამოცემა (1896 წ.) შევსებული იქნა სურათებით; ამ გამოცემაზე თქვა იაკობმა, „დედაენამ“ უკვე დასრულებული სახე მიიღო, თუმცა ეს „დასრულებული სახის“ სახელმძღვანელო კვლავ იცვლება... პრინციპული ხასიათის იყო „დედაენის“ 21-ე

გამოცემა — ორ ნაწილად გაიყო: საანბანე და საკითხავ ნაწილებად... ენობრივი დაზუსტებები, სიტყვათა შენაცვლებები, უნებლიე შეცდომათა თუ უზუსტობათა გასწორებანი, უკეთესი ვარიანტებით შენაცვლება — ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო...

იაკობს ხშირად უკიყინებდნენ — შენი წიგნები მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველებისთვის არის, სხვა სარწმუნოების ქართველთა ინტერესს არ ითვალისწინებო. ამიტომაც იყო, რომ გ ასოზე სიტყვა **ანგელოზი ნამგლით** შეცვალა.

საერთოდ რელიგიური თემა — ეს დიდად საფრთხილო საქმე იყო. განსაკუთრებით „ოსმალოს საქართველოს“ შემოერთების შემდეგ. ამ კუთხითაც მოუწია იაკობს გადასინჯვა მასალისა და, ალბათ, იძულებითი ცვლილებების შეტანაც; 21-ე გამოცემის გამო შენიშნავდა: „წინა ანბანში ერია ელემენტი მართლმადიდებელის ეკლესიისა, რომელიც ძლიერ უშლიდა გამაჰმადიანებულს ქართველებსა, ქართველს ურიებს და თვით ქართველ კათოლიკეთაც, ეხმარათ ეს ანბანი. უკანასკნელ გამოცემაში ეს ელემენტი გამოვრიცხეთ და ამით შესაძლებლად გაეზადეთ ანბანის ხმარება ყველა სარწმუნოების ქართველთათვის“...

ეს ეხება არა მხოლოდ საანბანე ნაწილს. მეორე ნაწილი თემატური განყოფილებებისაგან შედგება: „მოთხრობანი და ლექსები წმინდა ზნეობაზე; შინაური ცხოველები და ფრინველები; გარეული ფრინველები და ცხოველები; მცენარეულობა (ბოსტანი, ვენახი, ჭირნახული და ტყე); საქართველოს მოკლე აღწერა პატარა ქარტით და ქართველის ყმაწვილის სურთებით“... და როცა ამ თემაზე საუბრობს იაკობი, განმარტავს: „ყველა ეს განყოფილება, ანბანივით, სრულიად მოკლებულია საეკლესიო და სარწმუნოებრივს ელემენტსა, და ამიტომ 218 გვერდამდინ ყველა სარწმუნოების ქართველს ერთნაირად შეუძლიან ამ წიგნის ხმარება. ამ სახით ორას თვრამეტ გვერდამდინ „დედა-ენა“ ყველა მოწაფეში ავითარებს და ზრდის ქართველს ადამიანს, საზოგადოდ“. ამას მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება: **„ყველა მოწაფეში ავითარებს და ზრდის ქართველს ადამიანს საზოგადოდ“**. და როცა „დედა-ენის“ გადაკეთება-გადამუშავებაზე საუბარი, ეს მთავარი მიზანი არ უნდა დაეკარგოს მას! არადა, არც უამისობაა... რა ხდება „დედაენის“ 21-ე გამოცემის 218-ე გვერდის შემდეგ? — „დედა-ენის“ 218 გვერდი-

დან. — წერს იაკობი, — იწყება სასულიერო ზნეობრივი განყოფილება, რომელიც დანიშნულია სამრევლო და სასულიერო სკოლებისათვის. მაგრამ თუ სამინისტრო სკოლებშიაც ქრისტიანი ბავშვები გულს-მოდგინებით გადიკთხავენ ამ განყოფილებას, ნამდვილს სიკეთეს შესძენენ თავიანთს თავსა, რადგანაც მთელი ეს განყოფილება დაღადისია ძლიერი და გულწრფელი კაცთმოყვარეობისა სარწმუნოების ნიადაგზე“.

და აქ იაკობი კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს შენიშვნას აკეთებს (უფრო სწორად, კომენტარს): „ამ განყოფილების ბოლოს მოვაქციეთ მთავარი ლოცვა: „მამაო ჩვენო“, რომელიც სამაგალითო ლოცვად ითვლება. ამ ლოცვაში ღმერთი დასახულია ზეციურ მამად, ადამიანი მის შვილად, და ეს უკანასკნელი შემოთხოვს თავის ზეციერს მამასა, მისცეს მას ღვთიური ლუკმა და მიანიჭოს შეძლება ღირსეულის მოქმედებისა და ცხოვრებისა. მეტს არაფერს შეიცავს ეს ლოცვა. იგი სრულიად მოკლებულია კრელიკარულს ხასიათსა და ამიტომ უნდა აუცილებლად ისწავლებოდეს ყველა ქრისტიანისაგან, ისწავლებოდეს სრული შეგნებით და ხშირად იხმარებოდეს“...

ამ თემას იმიტომაც მივაქციეთ ასეთი ყურადღება, რომ დღეს, როცა „იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით“ დგება სახელმძღვანელოები, ეს პრინციპი — სასულიერო-ზნეობრივი განყოფილების არსებობა — თითქმის უგულებელყოფილია... არადა, „იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით“ — გარეკანზეც კი მიაწერეს...

იაკობისთვის რელიგიური თემა რომ უმნიშვნელოვანესია, ერთ-ერთ თავის წერილში საგანგებოდ მსჯელობს ამის თაობაზე. დუტუ მეგრელი ედავება იაკობს, რად შეამოკლე ჩემი ლექსიო („პატარა ქართველის“ ორი სტროფი შეიტანა იაკობმა „დედაენაში“, ორი — არა). აქაც მოვიყვანთ ცოტა ვრცელ ამონაწერს, რადგან ვთვლით, რომ საანბანე წიგნის ავტორ-შემდგენლები ასე უნდა განსჯიდნენ ყოველ ნაწარმოებს, ყოველ ფარაზს, ყოველ სიტყვას:

„რაც შეეხება ორი სტრიქონის გამოტოვებას (იგულისხმება ორი სტროფი — გ. გ.) ბ-ნი დუტუს ლექსიდგან, ეს იძულებული ვიყავ მომეხდინა შემდეგი მოსაზრებით. საღი მამულიშვილობა ძვირფასი საუნჯეა; მაგრამ გადაჭარბება ასუსტებს და ამდარებს. ჩვენი კალმოსანი გამოტოვებულ სტრიქონში საქართველოს ქვეყნის თვალად თვის და

ეს კი გადაჭარბებული ქებაა. იმავე სტრიქონში საქართველოს იხსენებს, როგორც ღვთის-მშობლის წილ-ხლომილს ქვეყანასა, ჩვენ კი „დედა-ენაში“ უკანასკნელს სასულიერო განყოფილებამდინ ქრისტიანული ელემენტი გამოტოვებული გვაქვს, რათა ქართველს სპარსელებს კერძოთ, ქართველს მაჰმადიანებს საზოგადოდ და ქართველს ურიებს მისცეთ შეძლება, დაუბრკოლებრივ იხმარონ საერთო სახელმძღვანელო ქართულის ენისა. როგორც მკითხველს მოეხსენება, ამ კატეგორიის ქართველთათვის „დედა-ენა“ გამოცემულია „წერა-კითხვის საზ.“ მიერ სასულ. განყ. გამოკლებით. მართალია, საიქიო, ღმერთი, სული, უკვდავება, სამოთხე და ჯოჯონეთი იშვიათად არ იხმარება „დედა-ენაში“, მეტადრე სახალხო ლექსებში და მოთხრობებში, სასულიერო განყოფილებამდინაც, მაგრამ ეს ხომ ის დღეშია, რომელზედაც ყველა სარწმუნოება არის აგებული“.

ცოტა გაგვიკრძელდა — რა ხასიათის ცვლილებები შეჰქონდა იაკობს და რა არგუმენტაციით?“ კი თქვა, „დედა-ენამ“ დასრულებული სახე მიიღო“, მაგრამ იქვე დაინანებს: „ჩვენ ამ გამოცემაში (საუბარია 21-ე გამოცემაზე — გ. გ.) ყველა განზრახული ცვლილება ვერ მოვახდინეთ. გარეგნობამ ხელი შეგვიშალა. მაგრამ რაც ეხლა აკლია, შემდეგ გამოცემაში შევავსებთ. მაგალითად, ვაგროვებთ ისტორიულ ამბებს შესახებ მშრომელი ქართველების თავდადებულობისა ქვეყნისათვის, რაც შემდეგში შეადგენს ახალს განყოფილებას „დედა-ენისასა“, ვაგროვებთ აგრეთვე სურათებს მშრომელი ქართველების შვილებისა, რომელთაც ჩაურთავთ ამ წიგნის გეოგრაფიულს ნაწილში“...

და ეს ყველაფერი თანდათან კეთდებოდა. ამ გამოცემის შემდეგ (1906 წელია) პირველი ნაწილი 12-ჯერ გამოიცა, მეორე წიგნი — 6-ჯერ...

ცხადია, იაკობმა იცის, რომ მისი სიკვდილის შემდეგ „დედაენა“ თუ „მოაკლდა გაუკეთესებას“, მოკვდება ისიც... იგი ვერავის ანდობს „დედაენას“ პიროვნულად. „წერა-კითხვის საზოგადოება“ ეიმედება მხოლოდ. ამიტომაცა მის ოფიციალურ ანდერძში ამ საზოგადოებას უანდერძა სახელმძღვანელოები:

„მე, ქვემოთე ხელისმომწერი, იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი, სა-

ლი გონებით და მტკიცე მესხიერებით, ჩემი გარდაცვალების შემთხვევისათვის ვაცხადებ ჩემს შემდეგ ნება-სურვილს:

ქართულ და რუსულ ენებზე დაწერილ გამოუქლებლივ ყველა ჩემს სახელმძღვანელოსა და წიგნსა, აგრეთვე მრავალრიცხოვან ნახატ და საწერი დედნების კლიშეებსა, ლითოგრაფიულ ქვასა, რომელზედაც მოგრავირებულია საქართველოს რუკა და წარმოდგენს „ბუნების კარის“ დანართს და ინახება მესხიევის ლითოგრაფიაში, ასევე ყველა ჩემს სტატიასა, დაბეჭდილს ქართულსა და რუსულ პერიოდულ გამოცემებში, დაუმთავრებელი წიგნების, ჯერ დაუბეჭდავი სტატიების ხელნაწირებს, ჩემს ბიბლიოთეკას ვუანდერძებ კავკასიის სამეფისნაცვლის ქართულ მოსახლეობას შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელ თბილისის საზოგადოებას“.

ანდერძის მეშვიდე პუნქტში საგანგებოდ არის მინიშნება იმის თაობაზე, სახელმძღვანელოში რა სახის ცვლილება შეიძლება იქნეს შეტანილი და როგორ: „ყოველგვარი ცვლილება ჩემს სახელმძღვანელოებში და წიგნებში შეიძლება იქნას შეტანილი ამ ცვლილებათა მხოლოდ ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ საზოგადოების გამგეობის ყველა წევრის მიერ, და მიღებული იქნება დადგენილება გამგეობის ყველა წევრის სამი მეოთხედის მიერ. ჩემი ამათუიმ სახელმძღვანელოს გამოცემის შეწყვეტისათვის კი საჭიროა გამგეობისა და საზოგადო კრების აგრეთვე სამი მეოთხედის უმრავლესობა“...

მეტყვიან, სადღაა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რაღა საჭიროა ვინმესთან შეთანხმებაო... ამასაც ითვალისწინებდა იაკობი და ანდერძში საგანგებო, მეათე, პუნქტად შეიტანა: „თუ „წერა-კითხვის საზოგადოება“ რაიმე განსაკუთრებულ გარემოებათა გამო იძულებული შეიქმნება შესწყვიტოს თავისი არსებობა, საქმეების ლიკვიდაციის დროს საზოგადო კრებამ საკუთრების უფლება ჩემს სახელმძღვანელოებზე და წიგნებზე, აგრეთვე სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალზე უნდა გადასცეს რომელიმე მნიშვნელოვან ქართულ დაწესებულებას იმ აუცილებელი პირობით, რომ წიგნების წმინდა მოგება და სახალხო საგანმანათლებლო კაპიტალის სარგებელი გამოყენებულ იქნეს სწორედ იმ დანიშნულებისათვის, რომელიც გამოხატულია ამ ჩემს ანდერძში“...

სწორედ ასეთი „განსაკუთრებულ გარემოებათა გამო“ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1927 წლის 24 აპრილს არსებობა შეწყვიტა. რა იყო „განსაკუთრებული გარემოება?“ — „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921) ხელისუფლება ჩაუდგა სათავეში როგორც სასკოლო, ისე კულტ.-საგანმან. დაწესებულებებს. სახ. სკოლა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგნად გადაიქცა. ამიტომაც საზ-ბის მისია ძირითადად ამოიწურა. 1922 წ.-იდან მას „წიგნის გამომცემელი და გამავრცელებელი საზოგადოება უწოდეს, ხოლო 1926-დან „მწიგნობარი“ (წიგნების გამომცემელი კოოპ ამხანაგობა). 1927 წ. 24 აპრ. საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა“ („ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“)... და ამ დროს ი. გოგებაშვილის ანდერძი, რა თქმა უნდა, არ გახსენებიან...

არადა, „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ პატიოსნად იტვირთა „დედაენის“ გამოცემებისადმი მზრუნველობა. შეიქმნა კომისია, რომელსაც იაკობის ერთგული და ქართული საქმისათვის თავდადებული ლუარსაბ ბოცვაძე ხელმძღვანელობდა. ეს კომისია არსებობდა 1925 წლამდე, 45-ე გამოცემამდე. თავად ლ. ბოცვაძე 1919 წელს გარდაიცვალა. ამბობენ, რომ სახელმძღვანელოში შესატან ყველა ცვლილებას სპეციალური კომისია განიხილავდაო. ძნელი სათქმელია, რა ცვლილებები შეიტანა ლ. ბოცვაძემ (არ მიგვიწვდება ხელი ამ გამოცემებზე), მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ლ. ბოცვაძე არ უღალატებდა იაკობ გოგებაშვილს.

არათმბატური ვადაბგვეა: შალვა გოგებაშვილი (იაკობის ძმიშვილი) იგონებს — „როდესაც იაკობი დაასაფლავეს და მისი ქონების განაწილებაზე მიდგა საქმე მის ნათესავთა და მეგობართა შორის, კუთხეში მდუმარედ იდგა ცრემლმორეული ლუარსაბ ბოცვაძე. როდესაც ჰკითხეს, შენ რაღას წაიღებო, ის შეირხა, თვალი მიაშტერა კუთხეში მიგდებულ ჭოხს, რომელზეც არავინ არა სდავობდა და წყნარად სთქვა: „მე კიდევ აგერ ეს ჭოხი მომეცით სახსოვრადო...“

როგორც ვთქვით, 1927 წელს „წერა-კითხვის საზოგადოება“ გაუქმდა. 1925 წლის შემდეგ შეფერხდა „დედაენის“ გამოცემა. კვლავ გამოვიდა 1935 წელს; განახლდა „დედაენა“. წერენ: „ძირითადად ი.

გოგებაშვილის ბგერიითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდია მომარჯვებულნი ვ. ძიძიგურისა და ა. გვახარიას „დედაენის“ 1935-1943 წლების გამოცემებში“ („ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“). ვერც ეს გამოცემები მოვიძიეთ; თუმცა არცა აქვს ახლა ამას ჩვენთვის მნიშვნელობა. ერთი კია: მეთოდია მხოლოდ ი. გოგებაშვილისო, ხოლო ავტორებად ვ. ძიძიგური და ა. გვახარია მოიხსენიებიან...

და 1944 წელს გამოდის ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის მიერ იაკობის „დედაენის“ საფუძველზე შედგენილი „დედაენა“. ამ „დედაენას“ **საბჭოთა** „დედაენას“ უწოდებდნენ. ასეც წერდნენ: „...1943 წელს, როცა მრისხანე ომი მძვინვარებდა, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა გამოიტანეს დადგენილება — დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები აგებულყო იაკობ გოგებაშვილის პროგრესულ მემკვიდრეობაზე, კერძოდ, მისი „დედაენის“ პრინციპზე. ამ საქმეს კვალიფიციური კომისია ჩაუდგა სათავეში და 1944 წელს უკვე გამოიცა ი. გოგებაშვილის „დედაენის“ პრინციპების მიხედვით შედგენილი საბჭოთა „დედაენა“ (ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძისა)“.

კარგია, რომ „ხელმძღვანელი ორგანოები“ დაინტერესდა იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობით, ისიც კარგია, რომ ამ მემკვიდრეობას პროგრესული უწოდეს; კარგია, რომ ამ საქმეს კომისია ჩაუდგა სათავეში და ა. შ. მაგრამ რას ნიშნავს „საბჭოთა დედაენა“?

ეს გულისხმობს სახელმძღვანელოში ჭარბად შეტანილ საბჭოთა თემატიკას: ლენინი, სტალინი, ბერია, საბჭოთა არმია, კრემლი და ა. შ.

მერე რაო, შეიძლება მითხრას ვინმემ, ეს იყო იმდროინდელი რეალობაო; მაგრამ ეს უკვე დარღვევაა იაკობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპისა: პირველდაწყებითი (და არა მხოლოდ ის) სახელმძღვანელო თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკისაგან, პოლიტიკური იდეოლოგიისაგან.

ყური მიუვადოთ იაკობს. შალვა გოგებაშვილი იგონებს იაკობის სიცოცხლის ბოლო წუთებს. მითხრაო, „მხოლოდ ის მაფიქრებს, რომ წერა-კითხვის საზოგადოებამ კარგად მოუაროს ჩემს „დედაენას“ და

გონივრულად მოიხმაროს მისი შემოსავალი. თუ ახლა გადაურჩი სიკვდილს, შეიძლება ცოტა შესწორება შეეიტანო ამ მხრივ და შენ, როგორც ახალგაზრდა ეკონომისტი, დახმარება უნდა გამიწიო ამ საქმეში. „დედა-ენა“ დიდი რამეა ჩვენი ერისთვის. მეფე ერეკლეც რომ გვეყოლოდა, ეს სახელმძღვანელო ისეთივე იქნებოდა, როგორც დავტოვე ამ ბოლო დროს“. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვებიო“. ამ მოგონებაში ბევრი რამ არის საგულისხმო, მაგრამ ამჯერად ყურადღება მივაქციოთ ერთ დეტალს: „მეფე ერეკლეც რომ გვეყოლოდა, ეს სახელმძღვანელო ისეთივე იქნებოდა, როგორც დავტოვე ამ ბოლო დროს“. ეს ითქვა 1912 წლის 1 ივნისს...

ერეკლეს დროს — დამოუკიდებელი საქართველოა;

1912 წლის 1 ივნისი — საქართველო კოლონია რუსეთის იმპერიის... ანუ: პირველდაწყებითი სახელმძღვანელოსათვის ამას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს — მან ყმაწვილი წიგნიერების სამყაროში უნდა შეიყვანოს, ეროვნული ცნობიერება უნდა ჩამოუყალიბოს; ხოლო პოლიტიკურ იდეოლოგიაში მერე თავად უნდა გაერკვეს!... — ესაა იაკობის აზრი.

„დედაენა“ არ უნდა იყოს პოლიტიკურად იდეოლოგიზებული. არადა „საბჭოთა დედაენა“ სწორედ ასეთი იყო! ეს უკვე ლალატი იყო იაკობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპისა!... სხვათა შორის, ამ სენისაგან არც თანამედროვე „დედაენები“ მთლად თავისუფალი. ერთ ამონარიდს მოვიყვან ი. გოგებაშვილის საზოგადოების I სამეცნიერო კონფერენციის მასალებიდან (2008 წ.):

საუბარია ბ. სულაკაურისა და ჯგუფის „დედაენაზე“ — „შეიძლება ასეც ითქვას: ვითარება ტრაგიკომიკურია... მაგალითად, ასეთი:

დედა და შვილი სკვერში შედიან. ბავშვი წამოიძახებს: „**რა დიდი შადრევანია!**“ სხვა შემთხვევაში ბავშვების აღტაცებას ვარდების ხილვა იწვევს, კიდევ სხვა შემთხვევაში — თვითმფრინავის დანახვა.

ცხადია, ამ შემთხვევაში ავტორებზე ვერ ვიტყვით, რომ მათი მიზანია, მხატვრული ტექსტი „ბავშვების ბუნების მოთხოვნილებას“ ეთანხმებოდეს და „შესაბამისი ტანისამოსიც ეცვას“. მათ სულ სხვა მისწრაფება აქვთ: მთავარი **შადრევანი, ვარდი და თვითმფრინავია**. თანაც ამათი ხსენება იმდენად ეჩქარებათ, რომ ანბანის შესწავლას ვერ დაე-

ლოდებიან. „დედაენის“ ოცდამეორე გვერდზე უკვე შადრევანი და მისით აღტაცება უნდა დახვდეთ. ეს ხომ ის „დედაენაა“, პირველკლასელებს თვითონ პრეზიდენტმა რომ უნდა ჩამოუთრიგოს. ხომ შეიძლება, პრეზიდენტმა მეტი დრო ვერ გამოიხატოს და წიგნი მხოლოდ ოცდამეორე გვერდამდე გადაათვალიეროს. ხომ დაიღუპებიან, ამოდენა შრომა წყალში ჩაეყრებათ.

ამიტომ ეჩქარებათ. მერე რა, რომ ბავშვი ამ ტექსტს თვითონ ვერ წაიკითხავს, რადგან ჯერ ორი ასო-ბგერაც არ უსწავლია. დაე, მშობელებმა წაუკითხონ და აღტაცებაც ერთად გამოხატონ.

მლიქვნელობა და ფარისევლობა უფრო შორს ვერ წავა. არადა, სახელმძღვანელოს „დედაენა“ ჰქვია — იაკობის მიერ შერქმეული სახელი!

ღვთაებრივი წიგნი უფრო მეტად როგორ უნდა შებღალაო?!“ (იოსებ ჭუმბურიძე).

ღვთაებრივი წიგნი ამ „დედაენაში“ სხვა მხრივაც იბღალება, თუნდაც იმით, „დედაენა“ რომ დაერქვა...

ასეთი, ანდა დაახლოებით ასეთი, მაგალითები სხვაც შეიძლება, სხვა „დედაენიდან“... დაინტერესებულ მკითხველს ი. გოგებაშვილის საზოგადოების კოფერენციის მასალებზე მიუვთითებთ...

* * *

გახსოვთ, ზემოთ იაკობის ამონარიდი მოვიყვანეთ პ. იოსელიანის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით: ქართული ენა „შემაყვარეს ჩვენმა მაღალნიჭიერმა პოეტებმა და ლიტერატორებმა“. ამიტომაც სანთლით ეძებს მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს; ასწორებს, ცვლის და ამუშავებს მათ პედაგოგიური და მხატვრული თვალსაზრისით. ცნობილი ფაქტებია, როგორ შეიცვალა ხალხური „ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი“, „კურდღელი ჩამოცანცალდა“, „ყაყაჩოსა სიწითლითა“, „რწყილი და ჭიანჭველა“, „მოდო, ვნახოთ ვენახი“ და სხვა... ვთქვით ზემოთ, აკაკის ლექსებშიც კი შეჰქონდა შესწორებანი, თუ ამას პედაგოგიური საჭიროება მოითხოვდა... ასევე რ. ერისთავის, დ. მეგრელისა და სხვა ნაწარმოებები იცვლებოდა სხვადასხვა თვალსაზრისით და ბავშვი იღებდა ისეთ სახელმძღვანელოს, იაკობს რომ მიაჩნდა ღირსეულად...

„იავნანამ რა ჰქნა“ და მრავალი დიდებული საბავშვო მოთხრობი-

სა თუ ლექსის ავტორი შეკვეთებს ილიასა და აკაკის აძლევს. „ლექსებს ბლომად ვაწერინებ და კაი ხანს წაართმევს ამ ჩვენ პოეტებს მათი თარგმნა. ამიტომ ცოტა არ არის ვექვენულობ, ვაი თუ უარი მი-თხრან“... — საუბარია ილიასა და აკაკიზე. ანდა: „მე შევიტყვე, რომ ა. წერეთელი სამზღვარ გარეთ არისო. ვის მივმართო ლექსების გადასა-თარგმნელად მის მაგიერათ, არ ვიცი“, — სწერდა კირილე ლორთქი-ფანიძეს. ამიტომაც იყო, „ჩვენი მთავარი მგოსანი აკაკი“ ანდერძშიც კი შეიყვანა: წერა-კითხვის საზოგადოება „ყოველწლიურად აძლევს აკაკი როსტომის ძე წერეთელს ას მანეთს, როგორც ჰონორარს იმ საბავშვო ლექსებისათვის, რომლებიც იბეჭდება „დედა-ენაში“ და რომლებიც ჩე-მის თხოვნით სპეციალურად დაწერილია ამ ჩემი გამოცემისათვის“. მხოლოდ ორიოდ ლექსი შეიტანა საკუთარი „დედა-ენაში“ — თუნდაც „პატარა მდინარე“:

„ველზე ჩამორბის წკანწკარით,
პატარა წყალი ანკარა.
ქვებზე გადადულს ჩანჩქარით,
ქვიშას მიტბორავს წყნარ-წყნარა...“

და იძულებულია განმარტოს, რატომ შეიტანა საკუთარი ლექსი: „ეს ჩემი ნაბიჯი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ზოგიერთ საჭირო თე-მებზე სრულად ვერ ვპოვეთ ლექსები ვერც სახალხო პოეზიაში და ვერც ჩვენის პოეტების ნაწარმოებებში“.

აქ ერთი ადგილიც ჩავიკითხოთ სერგეი მესხისადმი მიწერილი ბა-რათიდან: „გეთაყვა, სერგეი, გადაავლე თვალი „დროების“ ნომრებს ძველიდგან დაწყობილი აქამომდე, ამოირჩიე ის ნომრები, რომლებშიაც ნახო საყმაწვილო ლექსები და გამომიგზავნე. მე ამოვწერავ, რაც საჭი-როა, და ისევ უკან დაგიბრუნებ. დაკარგვისა ნუ გეშინიან. მაგალითად: მე მანსოვს შშენიერი ლექსი მგონია ვახ. ორბელიანისა, სათაურით „იმედი“, რომლების ზოგიერთა ადგილი ბავშვებისთვისაც გასაგებია. ფაზელის და ჰალადიდელის ლექსებშიაც ურევინ საყმაწვილო ხასია-თისანი“. ასე ექებდა...

იაკობისთვის მთავარი იყო სახელმძღვანელოში შეტანილი ნაწარ-მოების როგორც მხატვრული, ისე შინაარსობრივი მხარე, ცხადია, ენო-ბრივ მხარესთან ერთად. იაკობი ძალიან განიცდის შინაარსობრივ სი-

ლატაკეს ჩვენი ლიტერატურისა (ნუ დაგვავიწყდება, ეს XIX საუკუნეში ხდება). მოვეუსმინოთ: „ენაში ხომ ვკოჭლობთ და ვკოჭლობთ ყველანი, მაგრამ ეს არ შეადგენს ჩვენს მთავარ ნაკლს. მომაკვდინებელი ჩვენი სენი უფრო სხვაა. ჩვენ ძლიერ ლატაკნი ვართ ნათელის აზრითა, მიმართულებითა, გარკვეულის მიზნით. ჩვენი ენა კიდევ ჭარტალობს, ხოლო თავი კი ცარიელობს. ამის გამო ჩვენი ლიტერატურა წყალწყალა შეჭამანდს მოგაგონებთ, რომელშიც ლობიოს მარცვალი თითო საათობით უნდა ეძებოთ. კალმის ასს ნაწარმოებში 99 უთავბოლო ყბედობაა და სხვა არაფერი. ამის გარდა საჭიროა ენის გარდა შინაარსიც გავხადოთ საგნად ერთმანეთის ნაწერის კრიტიკისა, თუ აკაკიც ინებებს“; ამას იაკობი წერს იმის საპასუხოდ, როცა აკაკიმ ხელი აიღო მისი სახელმძღვანელოების გარჩევისაგან: „ჩვენ მეტსაც ვაპირებდით, — წერს აკაკი, — „ბუნების კარისა“ და „დედა-ენის“ გარჩევასო“ და გულდაწყვეტილია იაკობი: „თუ მართლა ამ განზრახვაზედ ხელი აიღო აკაკიმ, დიდად გვაწყენინებს. ჩვენი გულითადი ნატვრა იყო და არის, მოვესწროთ როდისმე ჩვენის წიგნების გარჩევას შეგნებულისა და განვითარებულის პირის მიერ“... საუბარია სახელმძღვანელოთა შინაარსობრივ კრიტიკაზე; რადგანაც სახელმძღვანელოს **შინაარსობრივი სიდატაკე მომაკვდინებელი სენიაო**, — ამბობს იაკობი. სახელმძღვანელოში შეტანილი ნაწარმოები შინაარსით მდიდარი უნდა იყოს (მაღალმხატვრობაზე აღარას ვამბობთ). ერთ-ერთი სახელმძღვანელოს კრიტიკული გარჩევისას წერს იაკობი: „თუმცა შინაარსით ცოტა არ არის, ღარიბია და მაგდენს ვერაფერს ეტყვის ვერც გონებასა და ვერც სულსა ბავშვისასა“...

იაკობის აზრი მოვისმინოთ ერთ-ერთ ლექსზეც: „მას (ე. ი. სახელმძღვანელოს ავტორს) ამოურჩევია ყოვლად უნიჭო, სრულიად უხეირო ლექსი, ნაცვლად რომელისამე კლასიკური ლექსისა, რომლითაც ჩვენი ლიტერატურა მდიდარია“...

სახელმძღვანელოში შეტანილი ლექსი მასწავლებელმა უნდა განუმარტოს ბავშვს; (ასახელებს ლექსს) „თვით დიდი პედაგოგის პესტალოცისათვისაც რომ შეგეკვეთანათ ამ ლექსის განმარტება, ისიც კი ვერას გააწყობდა. განმარტება შეიძლება მისი, რაშიაც გონიერი აზრია გამოთქმული, ნამდვილის სურათია დახატული“ და მისთანანი...

შინაარსობრივ მხარეზე ყურადღებას რომ ამახვილებს, არსებითი ისაა, რომ ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებანი „ჰყრიან საძირკველს მიდრეკილებისას, მიმართულებისას. ამ ადრიან ჩაბეჭდილებებზე ბევრით არიან დამოკიდებულნი კაცის მისწარმებანი, ხასიათი, თვისებანი“... იაკობი გენიოსურ დარიგებას აძლევს მშობლებს: „თუ თქვენს შვილს პატარაობისასვე მარჯვედ დაწერილნი საბავშვო ნაწარმოებები მიიზიდავენ თავისკენ, აგრძნობინებენ სიამოვნებას, გულს საამურად უღელავენ, გონებას უვარჯიშებენ და კითხვის მოთხოვნილებას უღვიძებენ და უმტკიცებენ, იცოდეთ, რომ თქვენ გეზრდებათ ყრმა, რომელიც დიდობაში გამოიჩინს დაულალავს გონებითს მოქმედებას, რომლისთვისაც ჭკუის მოძრაობა, ვარჯიშობა, წიგნების კითხვა, აზროვნება, მსჯელობა იქნება ისეთივე მოუცილებელი ყოველ დღიური საქიროება, როგორც არის წყალი თევზისათვის, ჰაერი ფილტვებისათვის. მაგრამ თუ თქვენი შვილი მოკლებულია ხეირიანს საკითხავს ნაწარმოებსა, თუ თქვენს სამშობლო ლიტერატურაში საყმაწვილო განყოფილება ცარიელია, ან სავსეა უნიჭო და უბრალო ნაწარმოებითა, მაშინ თქვენ უნდა მოელოდეთ, რომ თქვენს ყრმას გონების მადა არ გაეხსნება, აზროვნება. მსჯელობა და საუკეთესო ნაწარმოების კითხვა და შეგნება მისთვის საჭიროებად არ შეიქნება, და იგი გამოვა იმისთანა გულგრილი არსება, რომელიც ბევრით არაფრით განსხვავდება პირუტყვისაგან“.

როცა იაკობი ამ თემაზე საუბრობს, გოეთესაც დაიმოწმებს: „არავის არ შეუძლიან განთავისუფლდეს პატარაობის დროის ჩაბეჭდილებათაგან“.

ეს ვრცელი მსჯელობანი იმისათვის მოვიყვანეთ, გავიხსენოთ, თუ როგორ არჩევს იაკობი საკითხავ მასალას; რა არის აზრი და მიზანი ამისა.

დღეს? რა ხდება დღევანდელს „დღეაენებში?“

ხელთა მაქვს ერთ-ერთი „დღეაენა“, 1995 წელს გამოცემული. „დამხმარე სახელმძღვანელო პირველკლასელთათვის. იაკობ გოგებაშვილის „დღეა ენის“ მიხედვით შეადგინა ლელა შალიკიანი-ხოტივარმა. დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ“. ეს სატიტულო გვერდზე აწერია. მომდევნო გვერდზე ვკითხულობთ: მხატვრული გაფორმება, ლექსები და პროზაული ტექსტები

ლელა შალიკიანი-ხოტივარისა“. და კიდევ ერთი ამონარიდი „მოკრძალებული“ წინასიტყვიდან: „ამ წიგნსაც დედაენა ვუწოდებ ისე, როგორც დედა არქმევს ხოლმე თავის პირმშოს სახელს ვისიმე სიყვარულითა და პატივისცემით. ვფიქრობთ, ეს წიგნი მოკრძალებით დადგება იაკობ გოგებაშვილის დედაენის გვერდით“... და ამ „მოკრძალებულ“ წიგნში შეტანილი ნაწარმოებების ნიმუშების მოყვანასა და ანალიზს არა აქვს აზრი...

მეტყვიან, ეს წიგნი აღარ გამოიყენებო... მაგრამ ხომ დართეს ნება ერთ დროს და თაობამ თუ თაობებმა ხომ ისწავლეს ამ წიგნით.. რა დააშავა იმ თაობამ (თუ თაობებმა)? ასე მიზანმიმართულად ერთი ბავშვიც რომ ავაცდინოთ სწორ გზას, დანაშაულია ერის წინაშე... ჩვენ ასე ვიცით, იაკობიც ასე გვასწავლის!

ესაა ის, რასაც იაკობი „დედაენის“ სიკვდილს ეძახდა...

მართო ამ სახელმძღვანელოს მიმართ რომ გვქონდეს პრეტენზია, არას ვიტყოდით.

კიდევ ერთი „დედაენა“: ავტორები — ბაკურ სულაკაური, მარინე ბედოშვილი, თინათინ კუხიანიძე. „რეკომენდებულია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ. წარმატებით პილოტირებულია საქართველოს სკოლებში განათლების რეფორმის პროექტ „ილია ჭავჭავაძის“ ფარგლებში 2005-06 სასწავლო წელს. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2006 წ.“ ყოველივე ეს ტიტულზე აწერია. ეს ის წიგნია, „შადრევნებზე, ვარდებსა და თვითმფრინავებზე რომ არის საუბარი. მაგრამ ეს ერთი მხარეა ამ წიგნისა.

წიგნში 20 ლექსია შეტანილი; აქედან 16 — ვინმე ც. ხოცუაშვილისა (ისიც ვთქვათ, დანარჩენი 4 ლექსი ვისია — გ. ჭიჭინაძის, მ. წიკლაურის, თ. ნადირაძისა და ნ. გაბრიჩიძის). ენის გასატეხებიც ც. ხოცუაშვილისაა. და ეს ხდება საანბანე წიგნში; იმ წიგნში, სამინისტროს სტატისტიკით იმ წლებში (2006-2008) ყველაზე მეტად რომ გავრცელდა საქართველოში... და ეს ხდება XXI საუკუნის საქართველოში... ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის... შიო მღვიმელის, მაყვალა მრეველიშვილის, ნოდარ დუმბაძისა... და ა. შ. ქვეყანაში...

და როცა არაერთგზის ხსენებულ სამეცნიერო კონფერენციაზე გააკრიტიკეს ეს გამომცემა, ავტორ-გამომცემელმა გამოსავალი მონახა:

2009 წლის გამოცემაში ც. ხოცუაშვილის ხსენება აღარაა, თუმცა ლექსები დატოვეს, ანუ: ლექსს ავტორი აღარ მიაწერეს და პრობლემა ამით „მოხსნეს“...

მოდით, აქაც გავიხსენოთ იაკობი; ერთ-ერთ იმდროინდელ გამოცემაზე საუბრობს: „მკითხველი გამოცემაში ვერ შეხვდება იმისთანა მწერლებს, როგორც არიან ნ. ლომოური, შ. არაგვისპირელი, ალ. ხახანაშვილი, დუტუ მეგრელი, სილოვან ხუნდაძე, ეკატერინე გაბაშვილი და სხვანი, და ამავე დროს ჭგუფში იხილავს სურათს მაგალითად დავითაშვილისას“... თანამედროვე „დედაენების“ შემყურეს დავითაშვილი შეიძლება სანატრელი გაგვიხდეს. არა გჭერათ? აბა, მოვისმინოთ:

არის კიდევ ერთი თანამედროვე „დედაენა“: „საცდელი სახელმძღვანელო პირველკლასელთა გაღრმავებული სწავლებისათვის ვრცელი საგნობრივი საძიებლებითა და ბოლოსიტყვაობით. მესამე გამოცემა, 1999“. — ეს ტიტულზე; მეორე გვერდზე ვკითხულობთ: „სახელმძღვანელო შედგენილია იაკობ გოგებაშვილის „დედაენაზე“ და პედაგოგიკურ, ფსიქოლოგიის მიღწევებზე დამყარებით. შემდგენელი, **ტიქისტებისა და ხალხური მასალის დამმუშავებელი ზურაბ ვახანია**“. წიგნის ბოლოს კიდევ ერთხელ შეგვახსენებენ: „სახელმძღვანელოს ავტორი **ზურაბ ვახანია** — მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტ. სწავლების ფსიქოლოგიის ლაბორატორიის გამგე, სამი საავტორო სკოლის სამეცნიერო ხელმძღვანელი, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი“. ასე ვრცლად ინფორმაცია იმიტომაც მოვიტანე, რომ ეს არის დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე კურიოზული სახელმძღვანელო, რომელიც „შედგენილია იაკობ გოგებაშვილის „დედაენაზე“ დამყარებითო!“ ამ წიგნს 2006 წელს სამინისტრომ გრიფი არ მიანიჭა. არადა, წესი ყოფილა ასეთი: საავტორო სკოლაში უგრიფო წიგნითაც შეიძლება თურმე სწავლება და სამ სკოლაში (!) გაწირეს ბავშვები ამ წიგნით სწავლებისათვის. ამ წიგნმა 2009 წლის სახელმძღვანელოების კონკურსზე 17 ქულა აიღო (100-დან!)... მერე რა, უფლება მასაც მიეცა გამოიყენონ, ვისაც სურს... ესეც წესი ყოფილა... ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ოტია იოსელიანმა თქვა, „დედაენაში“ ამოვიკითხე, „ვირთხის ხახა შავიო“; რა უბედურებაა, ვინ ჩახედა ვირთხას ხახაში ანდა რატომო“... — საუბარი იყო სწორედ ზ. ვახანიას წიგნზე. ცხა-

დია, ამ წიგნზე საუბარს დიდი დრო სჭირდება. მე ორიოდ ამონარიდს მოვიყვან ი. გოგებაშვილის საზოგადოების I კონფერენციის მასალებიდან (ავტორი: ფსიქოლოგი, პროფესორი რუსუდან მირცხულავა): „განსაკუთრებულ განხილავს იმსახურებს ზ. ვახანიას საანბანე სახელმძღვანელოები, რომელთა შინაარსობრივი მხარე (ერთგვარი — უტრირებით) ასახავს თანამედროვე პედაგოგიური ნოვაციების ნეგატიურ ასპექტებს... საინტერესოა, რა პრინციპებს ემყარება აღნიშნული სახელმძღვანელოების ტექსტუალური მხარე. ასე მაგალითად, პირველი პატარა ტექსტი ეძღვნება ვირთხას („ვირთხა ავია, ვირთხის ხახა შავია“). საერთოდაც ვირთხა სახელმძღვანელოს „მთავარი გმირია“. ის აქ ყველაზე ხშირად ფიგურირებს... ფრიად საგულისხმოა მოთხრობა „ირმის რქა“, სადაც გზაზე დაგდებულ ირმის რქას ჯერ კალია კიკნის, შემდეგ თაგვი და ვირთხა ხრავენ, შემდეგ ძერა ძიხენის და ბოლოს გლენს მი აქვს სახლში და კედელზე კიდებს. ჩვენი შეხედულებით, სახელმძღვანელოს აღნიშნული პასუხი ერთობ სახიფათო ფსიქოლოგიურ ფენომენს — ნეკროფილიას (სიკვდილის სიყვარულს) ასახავს, რომლის აგიტაციატორაჟირებაც განსაკუთრებით საშიშია სწორედ დაწყებითი სკოლის მოწაფეთათვის. ნეკროფილურად ჟღერს „თხა და ვენახის“ (რომლის შინაარსი შეცვლილია ზ. ვახანიას მიერ) ბოლოს მიწერილი დავალება — მოსწავლემ მოიფიქროს ასეთივე ამბავი, სადაც „სხვა რამეებმა ჭამონ ერთმანეთი“ (სტილი დაცულია)... ტექსტები, რა თქმა უნდა, თავად ზ. ვახანიას შედგენილია... გარკვეულ თემებთან დაკავშირებულ ტექსტებს მხატვრული ღირებულება არ გააჩნია. უფრო მეტიც, მათში ამბავი, როგორც ასეთი, არ ხდება, არ ვითარდება“... — ასე პროფესიონალი ფსიქოლოგი აფასებს. ეს წიგნი უამრავ კითხვას აჩენს. ავტორს „თავისი გრამატიკა“ აქვს, „თავისი სტილისტიკა“; ფაქტობრივ, მთლიანად უარყოფილია კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობა; ხალხური კლასიკური ნაწარმოებები „საკუთარი ინტერპრეტაციითაა წარდგენილი“ და ასე შემდეგ... რ. მირცხულავა სხვა სახელმძღვანელოს (ე. სვანიძე...) შესახებ წერს: „სახელმძღვანელოს ავტორები საკმაოდ სოლიდურ მიზნებს ისახავენ, როგორცაა ეკონომიერების ჩამოყალიბება და ბავშვის თვითაქტუალიზების წახალისება. ამ მართლაცა მაღალი მიზნების მისაღწევად, „კომიქსის ესთეტიკაზე“ დამყარებული ილუ-

სტრაციების გარდა, გამოიყენება შინაარსობრივად გაუმართავი და „სა-
ეჭვო წარმომავლობის“ ტექსტები... საინტერესოა, რატომ მიმართავენ
აღნიშნული სახელმძღვანელოს ავტორები ასეთ წარუმატებელ ექსპერი-
მენტებს მაშინ, როდესაც ქართველი ბავშვის ფსიქიკაში ეკოცნობიერე-
ბის ჩამოსაყალიბებლად მხოლოდ ვაჟა-ფშაველას გენიალური შემოქმე-
დებაც იკმარებდა“.

არადა, როგორც ვთქვით, ნიჭიერი მწერალი იაკობ გოგებაშვილი
იგონებს: „ჩვენი პოეტების კარებებს ასე ვარაკუნებდი, ისე ვემუდარე-
ბოდი და ვაწუხებდი — გადაეთარგმნათ, გადმოეღოთ საბავშვო ლექსე-
ბი, რომლითაც ჩვენ მაშინ ისე ღარიბნი ვიყავით“... დავძლიეთ ეს სი-
ღარიბე, მაგრამ... ვინ იწუხებს თავს...

და, როგორც იაკობი იტყოდა, „რა დააშავა ქართულმა ენამ?“ რა
დააშავა ქართულმა სკოლამ? და, რაც მთავარია, რა დააშავა ქართველ-
მა ბავშვმა, რატომ ეწირება მანიაკალური აზროვნების მქონე ავტორთა
ახირებას?... და სადაა აქ საზოგადოებრივი აზრი? სადაა აქ სახელმწი-
ფოებრივი ნება?... საკონკურსო წიგნს, რომელიც ქულათა 20%-საც
ვერ აიღებს, რატომ ეძლევა უფლება სკოლებში გამოყენებისა (თუნდაც
საავტორო სკოლებში)?... კითხვა ბევრია, პასუხი?...

* * *

იაკობი როცა სახელმძღვანელოს ავ-კარგზე საუბრობს, ხშირად
ახსენებს ზნეობასა და ეთიკას. გვასწავლის: „კარგად მოგეხსენებათ,
რომ ეკლესია და სკოლა არის სათავე ხალხის ზნეობისა, ეთიკისა, ხო-
ლო თვითონ ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა,
სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა. ზნედაცემული ხალხი მა-
შინაც-კი წააგებს ბრძოლას არსებობისათვის, როდესაც იგი ცოდნას არ
არის მოკლებული“.

ამიტომაცაა, იაკობი თავისი სახელმძღვანელოებით ზნეობრივი პი-
როვნების აღზრდას ისახავს მიზნად; და როცა იგი „დედაენის“ გაუკე-
თესებასა თუ სიცოცხლეზე საუბრობდა, ზნეობრივ-ეთიკური პრინციპე-
ბის დაცვასაც გულისხმობდა უთუოდ...

ამ მხრივ რა ხდება ჩვენს „დედაენებში“? — მეტ-ნაკლებად გან-
სხვავებული ვითარებაა. მე კვლავ ი. გოგებაშვილის საზოგადოების კონ-
ფერენციის მასალებს მოვიშველიებ. საუბარია ბ. სულაკაურის ჭგუფის

მიერ შედგენილ „დედაენაზე“: „წიგნში არ არის არცერთი ზნეობრივი დარიგება. უფრო მეტიც — ის თვისებები, რომლებიც შესაძლოა ამ სახელმძღვანელოთი ჩამოუყალიბდეს მოსწავლეს, ძნელად გამოსასწორებელი იქნება მომდევნო წლებში.

მოვიტანოთ ამონარიდები:

„გივი დილაობით დარბის და საუზმეზე სულ იგვიანებს“;

„დიმიტრიმ ვერ მოითმინა და ცხელი ღვეზელი შესანსლა“;

„დიმა და მაია სახელოსნოში შევიდნენ და რეზოს ხილი შესანსლეს“;

„ბავშვებმა ბროწეულის წვენი დალიეს. მერე წვენში წყალი ჩაასხეს და წიწაკის ფხვნილი ჩაყარეს. წიწაკიანი წყალი მამამ დალია“;

„მათე სათამაშოს მტერია, ამ ტრაქტორს სულ მალე დაამტკრევს“.

რჩება შთაბეჭდილება, რომ ამგვარი ქცევები მისაღებია, რადგან არსად არ არის მინიშნებული მათი მავნებლობა“ (დარეჯან ხაჩიძე). როცა ამ თემაზე საუბრობს ავტორი, ზ. ვახანიას ვერ აუვლის გვერდს: „ამ წიგნში ჩვენი ყურადღება მიიპყრო შეკითხვამ: „როგორ ჩნდება ქვეყნად... კაცი?“ გვიჩინა ვკითხოთ ბატონ ზურაბს: როგორ მსჭვლოდენ ამ საკითხზე პირველკლასელები მის საავტორო სკოლებში? იმედს გამოვთქვამთ, პასუხის საძიებლად მასწავლებელი არ მიუთითებს 5-მ წლის ბავშვებისათვის ფრანგულიდან თარგმნილ წიგნზე „სიყვარულის ანაბანა“ (დ. ხაჩიძე)...

სასწავლო პროცესში შეტანილი ასეთი წიგნები იმაზე მეტად მძიმეა, ვიდრე თურაშაულის პატრონი რომ პანტას ეძებს...

ჩვენ არსად გვიხსენებია ერთი „დედაენა“, რომელიც საკმაოდ კარგახანს იყო სკოლაში — ჯერ ნულ კლასში, მერე — პირველში. მხედველობაში მაქვს შ. და ე. ამონაშვილების „დედაენა“. ხელთა მაქვს 2005 წლის გამოცემა. 2006 წელს ამ წიგნს სამინისტროს გრიფი არ მინიჭებია... მაგრამ მერე რა! იგი მაინც გამოიყენებოდა რამდენიმე სკოლაში და ათეულობით ყმაწვილი „ნათლდებოდა“ ამ წიგნით... ამ წიგნის შესახებ წერდა ი. ჭუმბურიძე: „არაფრისმთქმელი და პედაგოგიურადაც გაუმართლებელი ტექსტის არაერთი ნიმუში გვხვდება „დედაენაში“, რომლის ავტორებიც (!) შალვა და ნათელა ამონაშვილები არიან.

- აი, მაგალითი:
- „ორმოში ჩავარდნილის ამბავი
 - ორმო ვერ შენიშნე?
 - ვერ შევნიშნე!
 - ორმოში ჩავარდი?
 - ჩავვარდი!
 - ორმოში ზიხარ?
 - ვზივარ!
 - შევლას ელოდები?
 - ველოდები!
 - ორმო სველია?
 - სველია!
 - თავი მთელი გაქვს?
 - მთელი მაქვს.
 - მაშ ცოცხალი ხარ?
 - ცოცხალი ვარ!
 - აბა, მშვიდობით!“
- სულ ეს არის!

კაცი ვერ გაიგებს, რატომ და რისთვის შეიტანეს ეს ტექსტი „დედენაში“. რას აძლევს ან რას ეუბნება იგი მოზარდს. არავითარი მორალი, ზნეობრივი შეგონება, მისაბაძი მაგალითი. აზრიც ვერ გამოგიტანია“ (ი. ჭუმბურიძე). ერთ-ერთ ნაწარმოებზე ამბობდა იაკობი: „შინაარსით ცოტა არ არის, ღარიბია და მაგდენს ვერაფერს ეტყვის ვერც გონებასა და ვერც გულს ბავშვისასა“. მსგავს ტექსტებზე ამგვარ შეფასებასაც არ გაიმეტებდა ალბათ... მერე რა, აქვს გასაავალი პანტას თურაშაულის ქვეყანაში...

ლიმილიანი გადახვევა: ერთხელ მეგობარმა წიგნი მაჩვენა — „ასი შედევი!“ ლექსების წიგნი იყო. გვარს რომ დავხედე, მეგობარს ვუთხარი, ამას ასამდე თვლა არ ეცოდინება-მეთქი. ისე აგიხდეს ყოველი ნატვრა: გადავთვალე და ასორი ლექსი იყო შეტანილი (მეგობარმა იხუმრა, ორს ალბათ არ თვლის შედევიადო)...

ჰოდა, ეს ამბავი გამახსენდა, როცა ვნახე, რომ ამონაშვილები ბავშვს თავიანთ „დედაეწი“ **32 ახოს ასწავლიან!** დიახ: ასო-ბგერა ტ

გამოტოვებულია, მასზე საანბანე სიტყვა არაა შეტანილი! მეტყვიან, ეს კურიოზიაო... მაგრამ ასეთი კურიოზი წიგნში, რომელსაც „დედაენა“ ჰქვია, დანაშაულია!...

კურიოზზე გამახსენდა. ბ. სულააკაურის გამომცემლობის კიდევ ერთ „დედაენაში“ (ავტორები ნ. გორდელაძე, გ. ჩხენკელი) რუბრიკაში „ბუნების შვილები“ იაკობ გოგებაშვილის ტექსტია გადმოტანილი „კაკანა ქათამი“ — რედაქტირებული და „შევისებული“. ვკითხულობთ: „ქათამმა კაკანი იცის“ და მერე დამატებულია: „იკაკანებს, იკაკანებს და კვერცხებს დადებს“... ბავშვი, რომელიც ბუნებას იცნობს, იცინებს ამაზე; იტყვის — ჯერ კვერცხს დებს ქათამი და მერე კაკანებსო... მერე რა მოხდაო, ნუ იტყვიან გამომცემლები: ასეთი კურიოზული შეცდომა საანბანე წიგნში არ შეიძლება, მით უმეტეს, როცა წიგნს გარეკანზე აწერია „იაკობ გოგებაშვილის მიხედვით“.

იაკობის აზრით, ბუნების ცოდნა ყმაწვილისათვის აუცილებელია. იგი თავად სოფელში გაზრდილი კაცი იყო. მაგრამ „როცა „დედაენას“ ვადგენდით, ჩვენ გადავსახლდით სოფლად“, — წერს ერთგან. სხვაგან: „სოხუმიდან გაზაფხულზე გავემგზავრე ჩემს სოფელს ვარიანში, სადაც დავეყავ შემოდგომამდინო“... — ეს საქმეს სჭირდებოდა, წიგნს სჭირდებოდა, თორემ იმდენად კი იცნობდა სოფელს, თბილისში შეეღვინა წიგნი... წიგნმა სიმართლე უნდა ასწავლოს ბავშვს!...

სიტყვამ მოიტანა და ერთ-ერთ „დედაენაში“ (ვ. როდონაია და ჯგუფი; 1997 წლის გამოცემა) გოგონაა დახატული. მის წინ „დიდი ლურჯი ბურთია. ტექსტი ასეთია:

„— აი მთვარე. მზე ჩავიდა და მთვარე ამოვიდა.

— რა თეთრია!

— დედა, მოდი! აი თეთრი მთვარე“ (ამ წიგნში დახატული მთვარე რატომღაც სხვაგანაც ლურჯია).

ამ ავტორთა „დედაენის“ სხვა გამოცემაში (2006 წ.) ასეთი ნახატია: გოგონა და ბიჭი მინდორში, მოლზე დაგდებულ თევზს უყურებენ. „— აი, რა დიდი თევზია! — აჩვენა დაჩიმ იას დიდი თევზი“. ტექსტს სათაურად „თევზაობა“ ჰქვია... მე არ ვიცი, როგორ ხსნიან ავტორები ნახატისა და რეალობის ამგვარ შესაბამისობას, მაგრამ გოეთესაც უთქვამს, „არავის არ შეუძლიან განთავისუფლდეს პატარაობის დროის ჩა-

ბექდილებისაგანო“... ჩვენ კი ამგვარი სახელმძღვანელოებით როგორ შთაბეჭდილებებს ვუქმნით თაობებს?!

* * *

ვთქვით, ათზე მეტი „დედაენაა“ თანამედროვე ქართულ სკოლაში. ეს „დედაენები“ ორად შეიძლება დაჯგუფდეს: პირველი — რომლებიც „აი ია“-ს პრინციპზეა აგებული და, მეორე, რომლებშიც ეს პრინციპი უარყოფილია (ავტორები: 1. ვ. როდონია და ჯგუფი, 2. ბ. სულაკაური და ჯგუფი, 3. ე. სვანიძე და ჯგუფი, 4. ბ. სარია და ჯგუფი; მსჯელობისას აქ მითითებული ნომრების მიხედვით დავიმოწმებთ — სიმოკლისათვის).

„აი ია“-ს პრინციპზე აგებულ სახელმძღვანელოებს ყველას აქვს თავისი ავ-კარგი; ზოგზე ვისაუბრეთ, ზოგსაც ქვევით ვიტყვით... მაგრამ მათ აქვთ ერთი, ჩვენი აზრით, საერთო სიკეთე — ამ წიგნებს მოზარდი „აი ია“-თი შეჰყავთ წიგნიერების სამყაროში. „აი ია“-ს სიკეთეზე კი ბევრი ვთქვით... რა ხდება მეორე ჯგუფის სახელმძღვანელოებში? პროფესიონალი წერს: „საკამათოა აღნიშნულ სახელმძღვანელოებში წერაკითხვის სწავლების ის მეთოდოლოგია, რომელიც, შეიძლება ითქვას, თანამედროვე ქართულ საანბანე სწავლებაში „მოდური“ ხდება და რომელიც დასავლური მეთოდოლოგიის კალკია. ვგულისხმობ ე. წ. „გეშტალტურ, ანუ მთლიანობით სწავლებას“; ანუ სწავლებას არა ასობებზე, არამედ ერთიან სიტყვებსა და ფრაზებზე დაყრდნობით“ (რ. მირცხულავა). მაგალითებსაც გადავხედოთ:

პირველ სახელმძღვანელოში ა ისწავლებოდა სიტყვებით არწივი, ატამი, აფრა, აკვარიუმი; **ბ** — იაღონი, ირემი, იხვი; **გ** — მზე, მთვარე, მამალი, მარაო, მსხალი და ა. შ. (2007 წ. გამოცემა); სხვა გამოცემაში **ა** — აქლემი, ატამი, ასანთი; **ბ** — ია, ირემი, ინდაური; **გ** — მამალი, მარაო, მაიმუნი და ა. შ. (2006 წ.).

მეორე სახელმძღვანელოში, **ა** — ატამი, ბაყაყი, ბალი; **ბ** — ია, ქვაბი, ფოთოლი; **გ** — მზე, გემი, სიმინდი (2006 წ. გამოცემა); სხვა გამოცემაში: **ბ** — ატამი, ბაყაყი, ფოთოლი; **ა** — ქვაბი, ბალი... | გამოცემაში შესასწავლი ასო წითლადაა წარმოდგენილი...

მესამე სახელმძღვანელოში სულ სხვა ვითარებაა: პირველი „ტექსტები“ — „ეს მე ვარ“, „მე“. და შემდეგ იწყება „უგზო-უკვლო სწავლება“ ასოებისა...

მეთხე სახელმძღვანელო ა — აფრა, ავაზა; .დ — დათვი, დელფინი; მ — მასწავლებელი, მერხი; ხ — საათი, სახაზავი და ა. შ.

კვლავ სპეციალისტს მოვუსმინოთ: „აღნიშნული მეთოდი (ჯერ „მთელი“ და შემდეგ მისი „ნაწილი“) მისაღებია და გამართლებულიც იმ შემთხვევაში, როდესაც სიტყვის ვიზუალურ-წერიითი მხარე (ან სიტყვის ასოთა რიგი) და მისი აკუსტიკურ-კითხვითი (სიტყვის ბგერითი მხარე) ერთმანეთს არ ემთხვევა (ასეა, მაგალითად, ინგლისურ ენაში). ასეთ შემთხვევაში, მთლიანი სიტყვის (და არა ასოების სწავლება) წერა-კითხვის პროცესს აადვილებს“ (რ. მირცხულავა).

ამ შემთხვევაში დაწერილი სიტყვა ბავშვმა უნდა დაიმანსოვროს როგორც „ნახატი“... მერე უნდა მოხდეს გამონაწევრება ასოებისა და დაჯგუფება; მაგალითად, გერმანულში **ხ** ორი ასოთი გადმოიცემა (ch), **შ** — სამი ასოთი (sch), **ჩ** — ოთხი ასოთი (tsch)... ერთი და იგივე ასო სხვადასხვა პოზიციაში სხვადასხვა ბგერას გამოხატავს; მაგალითად, რუსული **о** და მისთანები. ეს ევროპულ ენათა სირთულეა...

„მაგრამ ქართულ ენაში სიტყვის წერიტ-ვიზუალური და კითხვით-აკუსტიკური მხარეები ერთმანეთს სრულად ემთხვევა — სიტყვები ისევე იწერება, როგორც იკითხება. ამიტომაც ქართული წერა-კითხვის სწავლებისას უკვე ტრადიციული მეთოდი (ასო-სიტყვა-ფრაზა) არა თუ გამართლებულია, არამედ ერთადერთად მისაღებიც!“ (რ. მირცხულავა).

და ეს სიკეთე ქართული ენისა იცოდა იაკობმაც. „ყოველი ქართული ხმა გამოიხატება ცალკე ნიშნით, ასოთი, რომელიც ისევე იწერება, როგორც გამოითქმის; ამის გამო ქართული მართლწერა არავისთვის არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს, მაშინ როდესაც რუსულს მართლწერაში სამეცნიერო აკადემიასაც-კი მტკიცე გზა ვერ გაუკვლევია“. იაკობი იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ევროპულ ენებში ნაბეჭდი და ხელნაწერი ასოები სხვაობს: „ეს გარემოება დიდად აბრკოლებს პირველ-დაწყებითს სწავლას, რადგანაც ბავშვმა ერთი ხმის წასაკითხავად და გამოსახატავად ორი ნიშანი, ორი ასო უნდა დაისწავლოს: ერთი ბეჭდური და ერთი საწერი“. წერასა და წარმოთქმას შორის რომ განსხვავებაა, „რუსის და ევროპის პედაგოგები სწუხან ამ გარემოებაზედ, მაგრამ რას იზამენ“...

ასე რომ, ბუნება ქართული ენისა, მიმართება წერისა და კითხვისა ქართველ ბავშვს გაცილებით უიოლებს წერა-კითხვის შესწავლას, ვიდრე უცხოელსა. ამიტომაც დღეს უცხოურის წამხედურობით ამგვარი სახელმძღვანელოების შექმნა უკან გადადგმული ნაბიჯებია (და არა ნაბიჯი!)... ჩვენი აზრით, ვერანაირი გამართლება ვერ მიეცემა ამგვარ მცდელობას. არადა, „ყოველივე უცხოურისადმი სწრაფვამ“ საანბანე წიგნებშიც შემოყონა და წაახდინა საქმე. ვიცით შემთხვევები, როცა პედაგოგს შესთავაზეს ერთ-ერთი ასეთი სახელმძღვანელო და შუა სემესტრში ჩაანაცვლა „აი ია“-ს პრინციპზე აგებული სახელმძღვანელოთი.

„აი ია“-ს სიკეთეზე ბევრი ითქვა, აქ ერთ ფაქტს მოვიყვან: „ჩვენ ვიცით, — წერს იაკობი, — რომ განათლებულმა სომხებმა ამ ნაირი სიტყვა ეძებეს ძველს და ახალს ენაში, მაგრამ ვერ იპოვნეს; თავისდა სანაწურად. ერთი სიტყვით, რომელს ენაშიაც კი მოიძებნება იასთანა მარჯვე სიტყვა, ყველგან ორი ხელით მოეჭიდებიან მას და ანბანის დასაბამად გახდიან“. ამას იაკობი „გადაღმიელის“ პასუხად წერს. მერე მსაჯულად მკითხველს მოიხმობს: „ეხლა თვითონ მკითხველმა განსაჯოს: რა ხარისხის უმეცრება გამოიჩინა გადაღმიელმა, როცა პირველი სიტყვა და პირველი სურათი ისე მამაცურად დაიწუნა“.

ახლაც განსაჯოს მკითხველმა (და არა მხოლოდ მკითხველმა — იმნაც, ვისაც ჩვენი განათლების ბედზე ზრუნვა ევალება) და შეაფასოს „აი ია“-ს პრინციპის „მამაცურად“ დაწუნება. ამას თურაშაულის სანაცვლოდ პანტის ძიებაც კი აღარა ჰქვია...

* * *

რა ხდება „აი ია“-ს პრინციპზე აგებულ „დედაენებში“?

ცვლილებები შეაქვთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ითვალისწინებენ ხშირად იაკობის პრინციპებს და „გაუკეთესება“ კი არა, „გალატაკება“ ხდება „დედაენისა“. ენობრივი, აზრობრივ-ლოგიკური თუ შინაარსობრივი შეცდომები რომ არის, ეს ერთი მხარეა უბედურებისა. სხვა რიგის ცვლილებებიც ხდება.

მაგალითი: მეორე გაკვეთილად „დედაენის“ პირველ გამოცემაში იაკობს ხე ჰქონდა შეტანილი. ერთდროულად ასწავლიდა ხ და ე ასო-

ებს. მაგრამ მისი ერთ-ერთი მთავარი პრინციპი არის „ერთ გაკვეთილზე ერთი სიძნელე“ და მეორე გაკვეთილად **თითო** გადმოიტანა. ვფიქრობთ, ესეც დიდი მიგნება იყო: **თ** მოხაზულობით (ზომით) **ა** და **ი** ასოებთან ახლოსაა. საგანი ძალიან ნაცნობია. **თ-ს** მიმატებით ნაცნობ ასოებთან **ოთხი** ახალი სიტყვა იქმნება: **ა-თი, თი-თა, თა-თი, თი-თი**. ასეცაა დალაგებული ეს სიტყვები იაკობთან. ვ. რამიშვილისა და მალაქელიძეების „დედაენებში“ ეს ოთხი სიტყვა ასეა გადალაგებული: **თი-თი, თა-თი, თი-თა, ა-თი**. თითქოსდა არაფერი, მაგრამ მოდით იაკობს მოვუსმინოთ; „დედაენის ავტორს მოედავენ, **თითა** არ არის ნაცნობი იმერთათვისო. იაკობი განმარტავს: „რამდენიმე წლის წინად „დედაენის“ ანბანში, აკაკის დახმარებით, გამოვტოვეთ ყველა ის სიტყვები, რომელნიც დასავლეთ საქართველოში არ იხმარებიან... ვერ გამოვტოვეთ მხოლოდ სიტყვა „თითა“, რომელიც ნახმარია პირველივე გვერდზე, მეორე გაკვეთილში. ვერ გამოვტოვე იმის გამო, რომ აქ ყოველი შემდეგი სიტყვა, გასაადვილებლად კითხვის პროცესისა, უნდა იწყებოდეს იმ მარცვლით, რომლითაც თავდება წინა სიტყვა. აი ეს გაკვეთილი: **ა-თი, თი-თა, თა-თი, თი-თი**“.

ახალ „დედაენებში“ სიტყვათა რიგის შეცვლა, როგორც ჩანს, ავტორობის გასამართლებლად ხდება... არადა, სწავლის პროცესი რთულდება, უარესდება...

იაკობი ერთგან წერს: „პედაგოგიაში არსებობს ერთი კანონი, რომელიც ამ გვარით გამოიხატება: **ერთბაშად ბავშვს მიეცეს მარტო ერთი სიძნელე**. ამ კანონს მეტად ღრმა საფუძველი აქვს: როდესაც თქვენ ბავშვს კისერზედ ახვევთ, მაგალითად ორ საქმეს ერთბაშად, მაშინ თითოეული მათგანი ბავშვს ერთი-ორად უძნელდება და მთელი ჯაფა ერთი-ოთხად მატულობს“... ზ. ვახანიამ დააწყვეილა ასოები და ერთად ისწავლება **თ** და **ხ** (თხა), **ს** და **ო** (ასო), **კ** და **უ** (კუ), **ე** და **ზ** (ეზო) და ა. შ...

ცნობილი ფაქტია: შესასწავლი ბგერის გამონაწევრება უჭირს ბავშვს თავკიდურა თანხმოდვანკომპლექსიდან. ამიტომაც იაკობი „დედაენის“ პირველ გამოცემაში წარმოდგენილ ამგვარ სიძნელეს ამარტივებს შემდეგ გამოცემებში: **ძროხას** ცვლის **ძუა** (ძ), **გველს** ცვლის **ნამგალო**

(გ), მტევანს — ტოროლა (ტ), მწევარს — წიწილა (წ) თანამედროვე „დედაენებში“ ეს პრინციპიც დარღვეულია; საანბანე სიტყვებდა გვხვდება შთა (ამონაშვილებთან), ცხვარი (მალააკელიძეებთან), რკო, მზე, ფხა, ქვა, ყბა, ტყე და სხვა (ვახანიასთან)... საერთოდ ამ უკანასკნელთან ყველა თვალსაზრისით პრობლემებია...

როგორც ვთქვით, საანბანე სიტყვის შერჩევა იაკობისათვის უმნიშვნელოვანესია; პირველ გამოცემასა (1876 წ.) და იაკობის სიცოცხლეში ბოლოს (1912 წ.) შორის საერთოა მხოლოდ 17 საანბანე სიტყვა. შიგადაშიგ ორმაგი ცვლილებებიც გვაქვს (გველი — ანგელოზი — ნამგალი). ცვლილებების მოტივაცია გაუკეთესებაა სხვადასხვა თვალსაზრისით: სიტყვის სტრუქტურა — მარცვალთა რაოდენობა, შესასწავლი ასოს პოზიცია; სიტყვის ესთეტიკური მხარე (გველი — ანგელოზი, ვირი — ურემი...), რამდენად ნაცნობია და საყვარელი ბავშვისათვის; არის თუ არა ხალხური ლექსები და სიმღერები მასზე და ა. შ. ცხადია, თითოეული სიტყვა ყველა ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს და ამიტომაც ეძიებს გამუდმებით.

იცვლება შესასწავლ ასოთა თანამიმდევრობაც; აქ არსებითია შესასწავლი ასოს გამოყენების სიხშირე, მისი გრაფიკული მოხაზულობა. მაგალითად. თითი (თ) მეხუთე გაკვეთილიდან მეორეზე გადმოიტანა: თ გრაფიკულად უფრო ახლოსაა ა და ი ასოებთან (შუა ორ ხაზში იწერება). მესამე გაკვეთილად ი იქნებოდა სასურველი, მაგრამ არ მიეცა ამის შესაძლებლობა და ა. შ.

მოვისმინოთ ერთი მსჯელობა იაკობისა ამის დასტურად: „ავილოთ მაგალითად ასო ყ; წერის სიადვილეს თუ მივაქციეთ მთელი ჩვენი ყურადღება, ეს ასო სულ თავში უნდა მოვაქციოთ, მაგრამ ამას ვერას გზით ვერ მოახერხებთ, ჭერ იმიტომ, რომ მისი გამოთქმა ხამს ბავშვებს ძლიერ უძნელდებათ, უძნელდებათ აგრეთვე მისი შეერთება სხვა ასოებთან, მერმე იმიტომ, რომ ამ ასოს შემწეობით და იმ ასოების ხმარებით, რომელნიც საწერად ადვილნი არიან, თქვენ ვერ შეადგენთ რომელიმე ცნობილი საგნის სახელსა და ვერ მისცემთ მოხერხებულს სურათსა საგნის შესასწავლად, — ბოლოს იმიტომ, რომ, თქვენ ვერ შეადგენთ ამ ასოს შემწეობით საკმარისს სიტყვებსა და ფრაზებსა სავარჯიშოდ. ამიტომ იძულებული ხართ ასო ყ ან შუაში მოაქციოთ და ან სულ ბოლოში გადაიტანოთ“.

და კიდევ ერთი: ელავებოდნენ ასოების **კ**-სა და **გ**-ს თანმიმდევრობაზე „დედაენაში“. იაკობთან ჯერ **სოკოა** და მერე **იხვი** (თანმიმდევრობულად) ყველა გამოცემაში. არ შეიძლება მათი აღვილები ცვლა — „ჯერ იმიტომ, მასვე გაეზუტება გენეტიური მეთოდი, რადგანაც რთული ასო წინ მოექცევა უფრო მარტივსა, რომელიც პირველის ელემენტს შეადგენს (გრაფიკულად — გ. გ.), მერმე იმიტომ, რომ **კ** კაფიოდ გამოთქმისათვის ბევრად ადვილია **გ**-ზე და ადვილადვე უერთდება, უკავშირდება ყოველს გვარს ასოსა, კითხვის პროცესს აადვილებს“ და ა. შ. მსგავსი განმარტებები მრავლადაა იაკობთან.

ე. ი. ასოთა სწავლების თანმიმდევრობის განსაზღვრისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ:

ბგერათა გამოთქმის სიადვილე,

მკაფიობა,

გენეტიური თვისებები,

სინტაგმატური თვისებები,

სიხშირე გამოყენებისა,

რამდენად ცნობილი საგნის დასახელებაში შედის,

რამდენად მოხერხებულია სურათის დასახატად,

გრაფიკული სახე...

ეს იმისათვის გავიხსენეთ, ერთ-ერთ „დედაენაში“ (ვ. როდონაია...), ერთ გამოცემაში ასეთი თანმიმდევრობაა ასოთა სწავლებისა: **ა, ი, მ, ე, დ, ჩ, ს, ზ...** ამ ავტორთა „დედაენის“ სხვა გამოცემაში — **ა, ი, დ, ე, მ, ს, რ, ჩ** და ა. შ. ცვლიან სხვებიც, თუმცა ცვლილების მოტივაცია საეჭვოა...

სხვაც შეიძლებოდა გვეთქვა. მაგალითად, როგორ ყურადღებას აქცევს იაკობი საანბანე ტექსტში შესწავლილ ასოთა გამეორებას. რამდენჯერ მეორდება იმ გაკვეთილზე შესასწავლი ასო, წინა გაკვეთილზე, იმის წინაზე და ა. შ... მაგალითად, ალ. ნათაძის „ბავშვების მოკეთის“ ერთ-ერთი გაკვეთილის ანალიზისას აღნიშნავს: „**უ** არ არის გამეორებული, **შ** — არ არის, **ზ** — არ არის, **ნ** — ერთხელ, **დ** — ერთხელ“... გვასწავლის: ანბანი მით უფრო ჩქარა მოეწევა, რამდენადაც უფრო ხშირად იმეორება სიტყვებში და ფრაზებში ის ასო, რომელიც ბავშვმა უნდა შეისწავლოს“. ახლა კი: ამონაშვილებთან ერთ ტექსტში 5-ჯერ

მეორდება ასო (ტ), რომელიც არ უსწავლიათ! ამ ტექსტით კი ჩ-ს ასწავლიან, რომელიც ასევე ნ-ჯერ არის გამეორებული!... ამ თვალსაზრისით ზ. ვახანიასა და სხვათა წიგნების ანალიზს არა აქვს აზრი...

ერთ-ერთ „დედაენაში“ (ვ. როდონაია...) დ და ე ასოების შესწავლას ასეთი სავარჯიშო მოსდევს:

და დი დე ად იდ ედ;

შ და ხ ასოების შესწავლას ასეთი:

ამ ას იმ ის ეს ემ ხა მი სი სე მა

დამ დახ მიმ სის დეს სემ მად სამ სედ

მეორე „დედაენაში“ (ბ. სარია...) შ და ხ ასოების შესწავლას ასეთი სავარჯიშო მოსდევს:

ხა ახ ახა ხა

მა ამ ამა მსა

და ად ადა მდა...

ეს „ვარჯიშობანი“ ზოგჯერ „სახასიათო“ სახეს იღებს: წე, წა, ოწი... ცხე ცხა ცხუ ცხო... სქა ჩქე ჩქი ჩქო ჩქუ (ბ. სარია...); ჩირ მერ ჩარ დარ სერ დაჩ რემ საჩ (ვ. როდონაია...) და მისთანანი.

იაკობს ერთ-ერთი ოპონენტი რუსული და უცხოური სახელმძღვანელოების მაგალითების მოყვანით ამგვარი სავარჯიშოების უქონლობას „დედაენაში“ ნაკლად უთვლის. იაკობმა იცის, რომ „ახლაც რუსი პედაგოგები, ანბანის თავში არ ერიდებიან, კითხვის შესამსუბუქებლად, უაზრო მარცვლებსა“, მაგრამ განმარტავს: „უაზრო მარცვალთა შემოტანა რუსულს საანბანე წიგნში იძულებითი იყო“; თვით უშინსკიც, რომელიც თეორიულად ეწინააღმდეგება ამგვარს გზას, მაგრამ პრაქტიკულად ვერ აუარა გვერდი და სწორედ უაზრო მარცვლებით იწყებს ანბანსო... ენამ არ მისცა შესაძლებლობა აზრიანი სიტყვებით დაეწყო ანბანის სწავლებას: „უშინსკი იძულებული შეიქმნა, თავისი ანბანი დაეწყო არა სიტყვებით, რასაც მისი მეთოდი მოითხოვდა, არამედ ხმოვანის ასოებით და მათგან შეედგინა საწერად და საკითხავად უაზრო და უმნიშვნელო მარცვლები, რომელსაც ისიც საზოგადოდ მავნებლად სთვლიდა“. იაკობის აზრით, ამგვარი სავარჯიშოები „საზოგადოდ მავნებელია“... უაზრო მარცვალთა ზეპირობა „აქვეითებს ბავშვის გონებასო“...

კი, იაკობი ასე ფიქრობს, მაგრამ ვინ უსმენს...

* * *

როცა იაკობის „დედაენაზე“ საუბრობენ, საგანგებოდ გახაზავენ: „სახელმძღვანელოს საერთო ტექნიკური მხარე — შრიფტი, დასურათება და სხვა განსაკუთრებით მაღალ დონეზე დგას. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ თვით ინტერვალიც კი ასოებსა და ასოებს შორის, სიტყვებსა და სიტყვებს შორის, სათაურებსა, ქვესათაურებსა და ტექსტს შორის და ა. შ. არაჩვეულებრივი სიზუსტითა და პროპორციულობის დაცვით არის წარმოდგენილი“ (დ. ლორთქიფანიძე). ჩვენ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რა შესაძლებლობები ჰქონდა იაკობს შრიფტების შერჩევისა თუ მხატვრობის ჩეროვნად შესრულებისა და, საერთოდ, წიგნის პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე გამოცემისათვის.

იგონებენ: „იაკობი მარტო შინაარსიანი წიგნით, მისი გავრცელებით არ იყო დაინტერესებული, არამედ იმითაც, რომ წიგნი, რაც შეიძლება ლამაზად, ფაქიზად, უშეცდომოდ დაბეჭდილიყო... წიგნის ბეჭდვის დროს არც ერთ ნაკლოვან ფურცელს არ გაუშვებდა, ყოველი ფურცელი ფურცელს, ყოველი გვერდის ნაბეჭდი მეორე გვერდის ნაბეჭდს უნდა დაჰფენოდა, აწკარბი აწკარბს გასწოლოდა, გარეკანი და ყდა წიგნს ფაქიზი, მოხდენილი ჰქონოდა“ (ი. იმედაშვილი). ი. იმედაშვილი იმასაც შენიშნავს, რომ „ასეთი ფაქიზი გემოვნება გამოცემისა მხოლოდ ი. გრიშაშვილს დასჩემდა გამოცემის საქმეში“.

თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა იაკობი სწავლების პროცესისათვის შრიფტების სწორად შერჩევასა და მონაცვლეობას, ერთხელ უკვე ვისაუბრეთ, ოფთალმოლოგის აზრიც დავიმოწმეთ. ახლა იმას გვინდა მივაპყროთ ყურადღება, თუ რამდენად პროფესიონალური იყო იაკობის დამოკიდებულება ამ საქმისადმი. მას უსაყვედურეს, წიგნი პატარა შრიფტით არის დაბეჭდილი. იაკობი განმარტავს: „ანბანი, მართალია, უფრო მომსზო ასოებით უნდა იყოს დაბეჭდილი, მაგრამ გადაღმიელმა არ იცის, რომ ეს ნაკლულევანება ჩვენი ბრალი არ არის, შრიფტების სიღარიბეზეა დამოკიდებული? განა მას გაგებული არა აქვს, რომ ხეირიანი მსხვილი შრიფტი სრულიად არ მოიპოვება ჩვენებურს სტამბებში? მელიქიშვილის შრიფტს აქვს მსხვილი ასო-მთავრული, მაგრამ ისეა ქართული შრიფტის თვისებას მოკლებული და ისე ძლიერ განირჩევა ჩვეულებრივის შრიფტისაგან, რომ მათი დაბეჭდვა მთელის ანბანისა

ყოვლად შეუძლებელია. აკადემიის ასოებში იპოება მომსხო მეთექვსმეტე ნომრის შრიფტი, მაგრამ ესეც მეტად უშნო და ტლანქია, და გარდა ამისა, არ უდგება სრულიად მელიქიშვილის ჩვეულებრივს შრიფტსა, რომლითაც იბეჭდებიან თავდაპირველიდგანვე ჩვენი სახელმძღვანელონი და რომელიც უფრო კარგს, მრგვალ და გარკვეულ შრიფტად მიგვაჩნია. ეს შრიფტი რომ ერთი ორად გადიდდეს, სწორედ ასლი იქნებოდა ანბანისათვის. ამაზედ მე მექნება საუბარი მელიქიშვილთან და ხელაძესთან...“ და სხვანი... საჭირო შრიფტს შეაკვეთინებს უცხოეთის სტამბებში, თავადაც უკვეთავს და ჩამოაქვს ვენიდან და ა. შ.

ამ თვალსაზრისით თანამედროვე „დედაენების“ ავტორებს განუსაზღვრელი შესაძლებლობანი აქვთ... აქვთ, მაგრამ ხშირად არ იყენებენ. არა გვაქვს შრიფტების მონაცვლეობა (სვანიძისა, რამიშვილისა, როდონიასი, სულაკაურისა, ამონაშვილისა, ვახანიასი და ა. შ.). ერთფეროვნება ერთია, ზომა — მეორე. უზომოდ დიდი შრიფტითაა დაბეჭდილი ზოგი მათგანი... აქ ჩვენ ოფთალმოლოგის რეკომენდაციას კიდევ ერთხელ გვინდა მივაპყროთ ყურადღება: „სასურველია „დედაენის“ სახელმძღვანელოების გამოცემისას გათვალისწინებული იყოს აღნიშნული შენიშვნები, რათა მხედველობის ჰიგიენის დაცვით ხელი შეეწყოთ მხედველობის ორგანოს ნორმალურ მუშაობას და ნორმალური მხედველობის შენარჩუნებას“ (ლ. ცომაია). არადა, იაკობი იმდროინდელი მწირი შესაძლებლობებით გაცილებით უკეთ ახერხებდა ამას...

* * *

ზემოთ ითქვა, იაკობის „დედაენაში“ მაღალ დონეზე იდგა დასურათებო. სურათს, ნახატს იაკობი სწორედაც რომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, მით უმეტეს, საანბანე სახელმძღვანელოში. იაკობმა იცოდა, რომ სახელმძღვანელოს სასწავლო-მეთოდურ თუ შინაარსობრივ მხარესთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვიზუალურ ეფექტსაც; რომ „სურათი თვალსაჩინოდ ჰხდის შინაარსს, წიგნს აძლევს სიცოცხლესა და ხალისს“; — ეს ზოგადად. კერძოდ კი — „სურათის შემწეობით ბავშვი ნახევარს ცოდნას სრულს ცოდნად გადააქცევს, გაურკვეველს წარმოდგენას — გარკვეულად, არა-სრულს სახეს საგნისას — სრულს სახედ...“ და ამიტომაც დიდი პასუხისმგებლობა ავტორი-

სა მხატვრის შერჩევით: „დასურათებას განსაკუთრებული ნიჭი და მომზადება უნდა და ყველა მხატვარს როდი შეუძლიან იგიო; ბევრია მშვენიერი პორტრეტების დამხატავი, რომელსაც რაიმე რთული სურათის დახატვა სრულად არ შეუძლიან“...

იაკობი იმასაც ამბობს, საანბანე წიგნში ბავშვი ნახატს რომ დახედავს, უნდა მიხედვს, რა საგანია, რა სიტყვა წერია სურათის ქვევითო... თვითონ ყოველთვის ცდილობდა, „დედაენაში“ ამ მხრივ პრობლემები არ შექმნოდა მოზარდს.

ფსიქოლოგი რ. მირცხულავა ერთ-ერთი „დედაენის“ (ე. სვანაძე, ლ. ბაკურაძე) თაობაზე შენიშნავს: დასურათებისას „გამოყენებულია ე. წ. „კომიქსის ესთეტიკა“ (საგულისხმოა, რომ სახელმძღვანელოში ცხოველების სახელები კომიქსების პერსონაჟების ანალოგიურია: მარსი, ბიმი და სხვა). ეს ყოველივე თანამედროვე ზღაპრის ილუსტრაციების შთაბეჭდილებას უფრო იწვევს, ვიდრე „დედაენისა“... ზემოთაც დავიმოწმეთ, აქ ფსიქოლოგი საუბრობს „შინაარსობრივად გაუმართავ“ და „საეჭვო წარმომავლობის“ ტექსტებზეც და უკვირს, „რატომ მიმართავენ აღნიშნული სახელმძღვანელოს ავტორები ასეთ წარუმატებელ ექსპერიმენტებს“...

ერთია „კომიქსების ესთეტიკა“, რომელსაც სხვა ავტორებიც მიმართავენ... მეორეა შესაბამისობა საანბანე სიტყვასა და ნახატს შორის. „იაკობ გოგებაშვილის მიხედვით“ რომ აწერია გარეკანზე წიგნს, საანბანე სიტყვაზე **ძუა** ცხენია დახატული... ზემოთ ვთქვით, სხვაგან ლურჯი ბურთია დახატული და თეთრი მთვარე აწერია, თევზი მოლზე გდია და თევზაობენ ბავშვებიო...

„სურათების მთავარი დანიშნულება ის არის, — წერს იაკობი, — რომ სახე და ყოველი ნაწილი ნივთისა ან სულდგმულისა ცხადად გამოხატოს, გარკვევით დაანახოს მცქერელსა“. ბავშვს სახელმძღვანელოში „მართალი სურათი“ უნდა დაუხატო... ზომა სურათისა ისეთი უნდა იყოს, ბავშვისათვის საკითხავი მანძილიდან სწორი აღქმა მოხდეს; ამ მხრივაც პრობლემებია: დიდი ფორმატის წიგნის მთელი გვერდი რომ უჭირავს ნახატს, საკითხავი მანძილიდან მისი აღქმა ძნელად ხდება...

ი. გოგებაშვილის მიხედვით შედგენილ „დედაენებში“ (ვ. რამიშვილისა, მალაქელიძეებისა) საანბანე სიტყვებად შემოიტანეს **ბელურა**, **შოშია**, **ხოხობი...** ბავშვისათვის ყველა ეს **ჩიტია...** განმარტავდა იაკობი: „ბავშვს რა ხის სურათიც უნდა უჩვენო, კერძო სახელს კი არ გეტყვით, არამედ საზოგადო სახელს ხეს დაარქმევსო“, ამიტომ თავის „დედაენაში“ მეექვსე გაკვეთილად **ხე** შეიტანა და ბავშვიც ნახატს რომ ნახავს, იტყვის **ხეა** დახატულიო. მეცხრე გაკვეთილად **მუხა** აქვს იაკობს. ბავშვმა უკვე იცის, რომ ხე ზოგადი სახელია, ხე სხვადასხვაგვარია და თავისი სპეციფიკური გარეგნობის გამო **მუხას** მუხად აღიქვამს...

სხვათაშორის იგივე პრინციპი აქვს ჩიტებთან დაკავშირებითაც: ოფოფი და მერცხალი გარეგნობით (ერთი ქოჩრით, მეორე კუდით) არ შეეშლება ბავშვს; არ იტყვის ჩიტიაო (ცხადია, მასწავლებლის აქტიურობაც იგულისხმება). **ტ**-ს იაკობი **მტევნით** ასწავლიდა. თავიდან მუხა კომპლექსის ასაცილებლად **ტოროლა** შემოიტანა **ტ**-სათვის. სამი ჩიტი იყრის თავს — ოფოფი, მერცხალი, ტოროლა. პირველი ორი სპეციფიკურია, მესამე არასპეციფიკურობით განსხვავდება მათგან და ამიტომაც არაა საშიშროება ბავშვის დაბნევისა.

და როცა „დედაენებში“ **შოშია**, **ბელურა**, **ხოხობი** შემოაქვთ საანბანე სიტყვებად, სერიოზულ პრობლემებს უქმნიან ბავშვს: მისთვის ყველა ეს **ჩიტია...**

ზ. ვახანიამ ეს პრობლემები იმით მოხსნა, რომ უარი თქვა ნახატებზე... საერთოდ, ამ თემაზე სჯობს პროფესიონალმა ისაუბროს: არადა ჩვენი, არაპროფესიონალის თვალთ, ბევრი უზუსტობაა „დედაენებში“, ბევრი პრობლემაა ამ მხრივ...

ერთია: იაკობის დროს ფერადი ილუსტრაციების საკითხი არ იდგა. დღევანდელი პოლიგრაფიულ-საგამომცემლო შესაძლებლობები მართლაცდა უსაზღვროა... და პრობლემებიც გამრავლდა.

ჩემგან არაერთგზის ხსენებულ „ი. გოგებაშვილის საზოგადოების სამეცნიერო კონფერენციაზე“ მოვისმინეთ ჩვენთვის (და საერთოდ) დიდად საინტერესო მოხსენება: „ბავშვი და ფერი“. საბავშვო სახელმძღვანელოთა (და ზოგადად, გამოცემათა) ავტორებს ვურჩევდი ახალგაზრდა ფსიქოლოგის თ ი ნ ა თ ი ნ თ ი ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს კონსულტაციებით

ესარგებლათ. ამ მოხსენებაში ბევრ რამეს ნახავს დაინტერესებული პირი: როგორ იცვლება ბავშვის ფსიქოლოგია ასაკთან ერთად ნახატებთან და ფერებთან დაკავშირებით; რა მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესში „ვიზუალურ ეფექტს“; როგორ მოქმედებს იგი ბავშვის ფსიქიკაზე; თურმე „თითოეული ფერი სხვადასხვანაირად მოქმედებს ადამიანის ემოციურ, ფიზიკურ, მენტალურ და სულიერ დონეზე“; რომ თურმე „განსაზღვრული ფსიქიკური აქტივობისათვის არასწორად შეჩვეული ფერი შეიძლება გახდეს სწავლაში დაბრკოლების მიზეზი“...

რამდენიმე კონკრეტულ შენიშვნას მოვიხმობთ ამ სტატიიდან და მივხვდებით, თუ რა სერიოზული პრობლემები დგას თანამედროვე „დედაენების“ წინაშე.

პირველი: „მაგალითად, სვანიძე-ბაკურაძის „დედაენა“ გაფორმებულია პასტელის ფერებით. მათ შორის სჭარბობს ცისფერი და ღია მონაცრისფერო მწვანე, რომელიც ფონად ედება ახალ ინფორმაციას... თუმცა ახალი მასალის აქტიურად ათვისებისათვის და დამახსოვრებისათვის ხელშემწყობ ფერებს სულაც არ მიეკუთვნება ცისფერი და მწვანე. ეს ორივე ფერი რელაქსაციისათვის განაწყობენ ფსიქიკას; მწვანე — ემოციურ დონეზე, ცისფერი — მენტალურ დონეზე... აღნიშნული ფერები სწავლის ეფექტურობისათვის, კერძოდ, ახალი მასალის ათვისებისათვის შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს.“

მეორე მაგალითი: „ასევე, ცისფერი აქვს დადებული ფონად როდონაის „დედაენაში“ ისეთი შინაარსის შემცველ ტექსტებს, რომელიც ზნეობრივ საკითხებს ეხება. აქაც ცისფერის გამოყენება დაუშვებლად მიგვაჩნია, რადგან გარკვეულწილად ინდიფერენტული დამოკიდებულება შეიძლება გამოიწვიოს ბავშვში“.

თურმე საჭიროა, „პირველი კლასის სახელმძღვანელოში სჭარბობდეს ხალისიანი, კაშკაშა, მაძლარი ფერები, რათა ბავშვები ინტერესითა და ყურადღებით განეწყონ დასასწავლი მასალის მიმართ“.

ამონაშვილებმა და ზ. ვახანიამ რომ უარი თქვეს ფერებზე, ეს უარესი ყოფილა: „ფერი, როგორც ენერგია, აუცილებელია ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირებისათვის. „ფერის შიმშილის“ დროს ვლინდება ასთენიის სიმპტომები — დაღლა, გაღიზიანება, ემოციური არამდგრადობა. ბავშვებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში

იმყოფებიან ფერის მხრივ ღარიბ გარემოში, აღენიშნებათ შეფერხებები ინტელექტუალურ განვითარებაში. ამიტომ, როცა ბავშვის სასწავლო სახელმძღვანელოს ეხება საქმე, ეს მიდგომა სწორად ვერ ჩაითვლება“...

და თუ ავტორი ახალგაზრდა ფსიქოლოგის თ. თიაბიშვილის კონსულტაციებით ისარგებლებს, მას ისიც ეცოდინება, რომელი ფერი რა აქტივობებს ავლენს ბავშვში და კიდევ მრავალი სხვა...

* * *

„თურაშაულის პატრონი“ ის თემაა, როცა იაკობის „დედაენაზე“ ვსაუბრობთ, ძნელად ამოიწურება სათქმელი... სათქმელი, ერთი მხრივ, „თურაშაულზე“ და, მეორე მხრივ, იმ „პანტაზე“, რომელიც ერთობ მომრავლდა ჩვენში.

და მაინც, მინდა ერთ თემაზეც გავამახვილო ყურადღება. იაკობი წერდა, „დედა-ენის“ შექმნის დროს „ერთად მოქმედებდნენ ჩემი ქართული გონება და ჩემი ქართული გული... რუსულის სახელმძღვანელოს შედგენაში კი მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ჩემი გონება. რომელი უნდა სჯობდეს? რასაკვირველია, პირველი, იტყვის მკითხველი“... და სწორედ იმიტომ, რომ იაკობის ნათელ გენიოსურ გონებასთან ერთად „დედაენას“ მხურვალე ქართული გული ქმნიდა... და ესეც გავიხსენოთ, იაკობი რომ ამბობს: „დედაენა“ ყველა მოწაფეში ავითარებს და ზრდის ქართველს ადამიანს საზოგადოდ“.

ხომ არ დააკლდა „დედაენებს“ სიმხურვალე ქართული გულისა? ხომ არ დაკარგა ამ წიგნმა მთავარი ფუნქცია: საზოგადოდ ქართველი ადამიანის აღზრდისა? ძნელია (და არც ვთვლი საჭიროდ) დეტალური ანალიზი ამ თემისა, მხოლოდ აკაკი ბრეგაძის აზრს მოვიშველიებ: „დედაენების“ ავტორები „პატარებს ესაუბრებიან ათასგვარ რამეზე — დაწყებული ცხოველებიდან, დამთავრებული კოსმოსით. შემოაქვთ უცხო ტერმინები, თავს ახვევენ უცხო სიტყვებს; სამაგიეროდ არ ეუბნებიან, ვინ არიან ისინი, ვისი ჯიშისა და გორისანი, რა არის სამშობლო, რატომ უნდა გვიყვარდეს იგი“... და მწერალი გულისტყვივით ამთავრებს თავის საუბარს: „საჭიროა მიზანმიმართული, გეგმაზომიერი ძალისხმევა სულის აღსაზრდელად, რომ საბოლოოდ ხელთ არ შეგვრჩეს ყოველგვარი ადამიანურობისაგან, ქართული სულისაგან, ეროვნული ცნობიერებისაგან დაცლილი ე. წ. თინეიჯერი, უფრო სწორად, მანქურთი“.

იმედია, გადავრჩებით!...

იმედია, ეროვნული სკოლა დაიბრუნებს იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“!... გამოჩნდა ამ იმედის მაუწყებელი ცისარტყელა — როგორც ვიცით, 2010 წელს განათლების სამინისტრომ გრიფი მიანიჭა იაკობ გოგებაშვილის „დედაენასაც“, რომელიც გამოსცა გამომცემლობა „დედაენამ“, მთავარი რედაქტორი — მღვდელი კონსტანტინე (გიორგაძე).

ეროვნულ სკოლაში ბრუნდება იაკობ გოგებაშვილი!...

აკოლოგია „დედაენისა“

ბევრი ვთქვით იმაზე, თუ როგორ ებრძოდნენ და ებრძვიან იაკობის „დედაენას“. მაგრამ, ღვთის მადლით, „დედაენას“ ჰყავდნენ დამფასებლებიც და ღირსეულად შემფასებლებიც. მართო ის რად ღირს, გამოვიდა თუ არა „დედაენა“, დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ მ ა თ ქვა: „დედა-ენა“ იაკობ გოგებაშვილისა ძალიან გამოსადეგი, ძალიან სასარგებლო წიგნი არის და საუცხოოდ არისო შედგენილი“. ამას ამბობს ღვაწლმოსილი „ქვეყნის მოყვარე“ ახალგაზრდა პედაგოგის წიგნზე.

ცოტა მოგვიანებით აკაკი წერეთელი დაწერს: „მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენაზე“ არ აეხილოს თვალები. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე... იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას“.

ილია ჭავჭავაძე საახალწლო სახუმარო პაროდით შეეხმიანა იაკობს:

„ჩემი აწ სცანით ყოველმან,
მას ვაქებ, რაცა მიქია:
„დედა-ენა“ მიჩნს სახელად,
არ თავი გამიქიქია.
იგია ფუძე ქართველისა,
მაგარი ვითა ჯიქია...
„დედა-ენითა“ წკრთნა ყრმისა,

მე ბევრჯერ მითქვამს, მიქია.
 „დედა-ენა“ პირველადვე
 სიბრძნისა ერთი დარგი,
 ტკბილი ტკბილად გასაგონი,
 ყრმათა წვრთნისთვის დიდი მარგი...
 მით ზრდას არვინ დამიწუნებს,
 თუ კაცია მართლა ვარგი...
 „დედა-ენა“ მით არს კარგი“.

„დედაენის“ სილიადის შესაფასებლად მარტო ამ სამი დიდი ქართველის — დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის — შეფასებაც იკმარებდა... თუმცა რატომ — ეს საერთო აზრია პროგრესულად მოაზროვნე ქართველთა. ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „გოგებაშვილმა თავის „დედა-ენაში“ აღადგინა დაცემული ენა ქართველთა... და ამ წიგნის მეოხებით მთელი ქართველობა, ყველა თემისა და ხეობის მონათესავენი ერთის ქართულის ენით იწყებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაპარაკს, ყველგან ამ წიგნის მეოხებით ქართული ენა ეფინება“...

არ იყო ეს გადაჭარბება. თითქოსდა ამ აზრს განმარტავს თედოს სახოკია: „ეს ის დრო იყო, როდესაც მშობლიური ენა დევნილი იყო სკოლებში, პატივაცურილი — ოჯახებში. არისტოკრატისა ერცხვინებოდა ქართულად ხმის ამოღება, თავმოსაწონად მიაჩნდა რუსულად ლაპარაკი, თითზე ჩამოსათვლელი ინტელიგენცია რუსულად ფიქრობდა, რუსულადვე მეტყველებდა... ქართული ენის შესასწავლად ორგვერდიანი ქართული ანბანი არსებობდა... და აი, ასეთს განწირულს დროს გამოდის ი. გოგებაშვილი თავისი „დედა-ენით“ და ცდილობს იმის საშუალებით შესულიყო სკოლებში ქართული ენა, მოწაფეს მშობლიური ენის შეფასების საფუძვლად „დედა-ენა“ ჰქონოდა; საძირკველი — მის თვალის ახელას, გაადამიანებას „დედა-ენის“ საშუალებით ჩაჰყოდა“...

ასე იაკობის თანამედროვენი ფიქრობდნენ; დიახ, XIX საუკუნეში ფიქრობდნენ ასე. და ასე ფიქრობდნენ XX საუკუნეშიც.

გალაკტიონს მოვუსმინოთ: „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ სახელმძღვანელოები კი არა, უდიდესი პოემებია. მე თანახმა ვიქნები, გამოვიდეს ეხლა ეს წიგნები, არა როგორც სახელმძღვანელო, არამედ

საკითხავ წიგნად!“ პოეზიისა და პოეტურობის უკეთესი ექსპერტი ჩვენ არ გვყოლია, ვენდოთ გალაკტიონს!...

და ვენდოთ გიორგი ლეონიძესაც; ლექსს „დედაენა“ ჰქვია:

„ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,

ჩვენი ენა ქართული,

ვარდნაბამი ფურცელი,

ჩვენს ყრმობაში ჩართული!

დედის ძუძუ მეორე,

სიყვარული პირველი,

ჩვენს აკვანს შემომჭდარი

მგალობელი ფრინველი.

იავნანას ნიავეში

ჩვენ ყურთან რომ გაისმა,

ყრმობა რომ გვიჩურჩულა,

როგორც ბალი მაისმა.

ტკბილად რომ გაგვიხარა

ჩვენ ბავშვობა ბეჩავი —

შავი კაბით გაზრდილებს,

გახუნებულ ლეჩაქით.

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,

ჩვენი ენა ქართული,

ოქროსხმიან სიმებად

გულში ამოხლართული!“

თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, ვინ უკეთ, უფრო მოხდენილად წარმოაჩენს „დედაენის“ სილიადეს.

შალვა დადიანი იაკობის ნათქვამს დაემყარება: „როგორც თვითონა სთქვა ერთხელ ერთ წერილში „დედა-ენაზე“ (...) ამაფეთქებელ ნაღმოსანით მისრიალებდა იგი ჩვენს მიუვალს მთა-კლდეებში — თუშეთსა და სვანეთში, — მოდიოდა ბარად, შეუყვებოდა აჭარასა და მესხეთს და ყველგან სძრავდა ენას საქართველოდ, ყველგან აფეთქებდა გრძნობას ეროვნულსა. ამ კაცს სხვაც რომ არ გაეკეთებინა რა, მარტო

ამ ღვაწლისათვის იქნებოდა საპატიო და თაყვანსაცემი“...

საოცარი პოეტური წერილი მიუძღვნა „დედაენას“ დემნა შენგელაიამ. ერთი მცირე ამონარიდი: „ერთხელ დაბადებულ ქართველი კაცი მეორედ მაშინ იბადება, როცა იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ ხელში პირველად აიღებს, გაშლის და, თითქოს ისევ დაიბადაო, — ამ სამზეოს უცებ სხვაგვარად ხომ დაინახავს და დაინახავს, სხვანაირად გაიაზრებს, პოდა, იმ დღეს რა დაგვაფიწყებს, ამ უპირველესი წიგნის ყდაზე ამოქარგული ბულბულის სტვენა როცა ერთბაშად გავიგონეთ და შიშით, აქ არ გავვიფრინდესო, ხელი მაშინვე დავაფარეთ. მისი ტკბილი სტვენა-ჭიკჭიკი, ღამით ღამეში გაკიდებული ნაზი ქვითინი განა მას აქეთ არ გვესმის ხოლმე?“

ის, რაც გრიგოლ აბაშიძემ თქვა, დღეს ალბათ ყველა ჩვენგანის აზრია: „შეიძლება თამამად ითქვას, რომ „დედაენის“ შექმნა თავისი მნიშვნელობით უტოლდება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც რომელიმე ჩვენს წინაპარს შეუტანია ჩვენი ერის სულიერ საგანძურში“. მხოლოდ მწერლები არ „ლამაზსიტყვაობენ“ ასე; — ამგვარადვე ფიქრობენ მეცნიერებიც: „დედაენის როლი და მნიშვნელობა ქართველ კაცს ყოველთვის ესმოდა... როგორც აღნიშნავდნენ, „დედაენა“ არა მხოლოდ პატარების, არამედ მთელი ხალხის სახელმძღვანელო გახდა. წერდნენ: „დედაენამ“ მკაცრად შეუტია უწიგნურობას, კუთხურობასა და ტომთა შორის კარჩაკეტილობას, განავრცო სიტყვა ქართული და ამერ-იმერი ერთიანი სახალხო ენით აამეტყველა, დააკავშირა; მწიგნობრობის გავრცელებასა და ქართველი ხალხის კონსოლიდაციაში „დედაენის“ როლი ფასდაუღებელია“ (ვალერიან რამიშვილი).

ქართველი კაცის წარმოდგენით, „დედაენა“ მხოლოდ სასწავლო სახელმძღვანელო არ არის; იგი იარაღია ჩვენი ქართველობის დასაცავად: „და თუ ქართველი კაცი აქამდე მტერსა და ღუშმანს „ვეფხისტყაოსნით“ იგერიებდა, ამიერიდან მას ხელში „დედაენა“ ეჭირა და თავის ნამუსს, კაცურკაცობასა და ქართველობას იმით იცავდა“ (დემნა შენგელაიამ).

ასე ფიქრობდა „დედაენის“ შესახებ მუხრან მაჭავარიანიც: „მესმის და ვხედავ, — როგორ იგერიებს პატარა ქართველი ორთა-

ვიანი არწივის კლანჭებს იაკობ გოგებაშვილის „დედაენითა“!

იაკობის სიცოცხლეშივე სწორედ ამ პატარა ქართველთა ნატვრა ყოფილა, თვალთ ენახათ „დედაენის“ შემქმნელი.

ნინო ნაკაშიძე იგონებს: „მაშინ ექვსი წლის ვიყავი... როდესაც სკოლაში შევედი, „დედა-ენას“ ვსწავლობდი, მასწავლებელმა ნინო ქიქოძემ გვიამბო, რომ მას უნახავს „დედა-ენის“ დამწერი იაკობ გოგებაშვილი, რომ იაკობი ბავშვების დიდი მოამაგე, მეგობარი და მასწავლებელია, რომ იაკობს უნდა ბავშვებმა ისწავლონ მშობლიური ენა, რათა ქართველი ხალხი არ გადაგვარდეს, სიმართლეს ემსახურებოდეს და ამიტომ შეკრიბა და თვითონაც დაუწერა ბავშვებს ის მშვენიერი მოთხრობები და ზღაპრები, ჩვენ საყვარელ „დედა-ენაში“ რომ ვსწავლობთო. ჩვენი ბავშვებისათვის იაკობის ნახვის სურვილი ოცნებად გადაიქცა“.

ასეთივე მოგონებას გვთავაზობს ალექსანდრე მიქაბერიძეც: „ვინ მოსთვლის, ჩემი ბავშვობის დროს, რამდენჯერ მინატრია: ჩვენი დიდი მასწავლებელი და მეგობარი, ეს ჩვენი დიდი მოამაგე, ჩემი საყვარელი „დედა-ენის“ შემდგენელი ერთხელ მაინც მაჩვენა-მეთქი“.

შემოგვჩაბაკაკი წერეთლის ერთი ასეთი პირადი წერილიც: იაკობს იმერეთში ეპატიუება, შენთვის ოთახიც გავამზადებინეო და: „ერთი აქეთენაც დაენახვე თვალთ ჩვენებურ ბავშვებს! გუშინ ერთი პაწაწა მეზობლის გოგონა მეკითხებოდა შენს შესახებ: ბელატია (მელოტია) თუ არა იაკობ გოგებაშვილიო? შვილები თუ ყავსო? გაწკრომა იცისო? და სხვანი... ნეტავ მაჩვენაო და მეც პორტრეტს დავებირდი. დიდად გაიხარა, ცალკე მინდა, თვარა „ფერხულიანი“ არის ჩვენს სახლშიო; „ფერხულიანს“ თურმე სხვებთან რომ ხარ ერთად, იმას ეძახის; თუ გაქვს, გეთაყვა, შენი პატარა სურათი გამომიგზავნე... შენი მარად ერთგული და მოსიყვარულე აკაკი“...

და ეს ყოველივე შეფასება და დაფასებაა „დედაენისა“!..

ადამიანის სიდიადე, მისი ღვაწლისადმი დამოკიდებულება პიროვნების სიკვდილშიც წარმოჩნდება. იგონებენ, ილიას გარდაცვალების შემდეგ ასეთი სახალხო გლოვა საქართველოს არ ახსოვსო... გლოვობდნენ „დედაენის“ ავტორის გარდაცვალებას. „ქართული ენა დაობლდა. დაუნდობელმა სიკვდილმა ქართველ ბავშვებს მოსტაცა ყვარაჩენი და

ერს წინამძღოლიო“... — იწერებოდა გორიდან ანასტასია ერისთავ-ხოშტარია... პატიებას სთხოვენ მის „წმინდა სულს ნებსითი თუ ენებლიე შეცოდებისათვის“... „შეგვიწმინდეთ, მამათ მამაო, იაკობ, თუ რამე იმავე წმინდა საქმის გულისათვის უნებლიეთ გაწყენინეთ, რომელსაც შენ მტლად ედებოდი, ზვარაკად ეწირებოდი და რომელსაც მთელი შენი არსებობა ანაცვალო“, — იყო ასეთი წერილებიც.

საოცარ გულში ჩამწვდომ ფაქტს იგონებს ალ. მიქაბერიძე: როდესაც იაკობი ბინიდან ქაშვეთის ეკლესიაში გადაჰყავდათ, „ვეძინის ყოფილ ქუჩაზე უამრავი ხალხი მოსდევდა; შემოხვდა თეთრ ქუდსა და თეთრ ხალათში გამოწყობილი მეფურნე, რომელმაც თვალი მოჰკრა თუ არა თავლია კუბოში ჩასვენებულ იაკობის ცხედარს, ერთი საზარლად შეჰყვირა: „ვია ჩვენ უბედურებას, ჩვენი „დედაენის“ დამწერი მომკვდარაო“. მეფურნემ თავისი ფურნე პატარა მსახური ბიჭების ამარა დასტოვა და მწუხარე სახის გამომეტყველებით კუბოს უკანა თავს ხელი მაგრად ჩასჭიდა სახელურში და სხვებთან ერთად შეუცვლელად მიაცილა მიცვალებული ქაშვეთის ეკლესიაში“...

და ესეც შეფასება და დაფასება „დედაენისა“!...

დემნა შენგელიამ „დედაენა“ „ვეფხისტყაოსანთან“ დააწყვილა; ჭეშმარიტად: მეორე ათასწლეულში საქართველოში ორი დიდი წიგნი დაიწერა — „ვეფხისტყაოსანი“ და „დედაენა“...

იცის ქართველმა კაცმა ფასი თავისი უპირველესი წიგნებისა და ამიტომაც ორად ორ წიგნს გადაუხადა იუბილემ — „ვეფხისტყაოსანსა“ და „დედაენას“...

იცის ქართველმა კაცმა ფასი თავისი წიგნთა წიგნისა და ამიტომაც ერთადერთ წიგნს აუგო ძეგლი — „დედაენას“!...

„დედაენი და ნა“ „ვეფხისტყაოსნამდე“ — ეს არის ის გზა, რომელიც საუკუნეებზე მეტია ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის ერთადერთი გზაა წიგნიერებისაკენ, განათლებისაკენ, კულტურული ცხოვრებისაკენ და, საერთოდ, ღირსეული ქართველობისაკენ!

მგზავრთა სიმრავლე არ მოჰკლებოდეს ამ გზას!

1903 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ საზოგადოება იაკობ გოგებაშვილის პატივსაცემად საიუბილეო სადილის გამართვას აპირებდა. იაკობმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია: საზოგადოებამ ჯერ ღირსი პატივი მიაგოს მთავარმოღვაწეებს ილიასა და აკაკისო... მერე იფიქრონ სხვაზეო...

„მთავარმოღვაწენი“ — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და, რა თქმა უნდა, იაკობ გოგებაშვილიც...

ამჯერად ამ მთავარმოღვაწეთა ურთიერთდამოკიდებულება გვაინტერესებს. ორ ნარკვევს გთავაზობთ: „იაკობი და ილია“, „იაკობი და აკაკი“...

იაკობი და ილია⁷

* * *

ვთქვით: XIX საუკუნის I ნახევარში ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი „მეოხად ჩვენდა ქრისტიმან მოგვანიჭა“.

ეს სამება — ილია, აკაკი, იაკობი — ნებისმიერი კულტურული ერის ისტორიას დაამშვენებდა. ის კი არადა, ერთ ეპოქას ერთი მათგანიც ეყოფოდა! დიახ, XIX საუკუნეში ღმერთმა უზარმაზარი წყალობა გაიღო ქართველებისათვის...

ეროვნულ მოღვაწეთა ურთიერთდამოკიდებულების მაგალითად, გაკვეთილად მომავალი თაობებისათვის უნდა მივიჩნიოთ იაკობისა და ილიას ურთიერთდამოკიდებულება...

ერთგან რევაზ ინანიშვილმა დაიჩივლა: „ნუთუ მართლა არაფერს კითხულობენ ერთმანეთისას ჩვენს საძმოში? და, თუ კითხულობენ, ნუთუ არაფერი აღაფრთოვანებთო“... გასაგებია მწერლის გულისტკივილი... თუ ამ აზრს მუხრან მაჭავარიანი ფიქრსაც მივაშველებთ („აღამიანს შეუძლია მხოლოდ საკუთარი თავი დაახასიათოს, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა იგი სხვას ახასიათებს“), კიდევ უფრო დიდი ფასი მიეცემა კლასიკოსთა ურთიერთდამოკიდებულების გაკვეთილებს, ერთი მეორის მიმართ უშურველად გაღებულ შეფასებებს...

იაკობი და ილია...

* * *

იაკობი წერს ილია ჭავჭავაძის შესახებ: „იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვისო...“

ილიას როლის ასე ზუსტად შეფასება მხოლოდ იაკობს შეეძლო. ერთგან მოვიხმეთ იაკობისეული შეფასება აკაკისა: „აკაკი პატარა საქართველოა“. ეს აზრი ასე გრძელდება: „მაგრამ ამ დიდებულს სახელს

მარტო მას ვერ დავუსაკუთრებთ, რადგანაც თვით აკაკის სასიხარულოდ და ჩვენდა სანუგეშოდ, პატარა საქართველონი სხვანიც გვეყავს: რუსთველი, ილია, ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა“. ცხადია, ასეთ შეფასებებს კომენტარს ვერ შევებდავთ — ასეთი შეფასებებით უნდა დავტკბეთ, ვიამაყოთ...

ძირითადად ამგვარ შეფასებებს იაკობი ილიას გარდაცვალების შემდეგ აკეთებს. მანამდე? მანამდე ერთმანეთის საქებრად დროს არ კარგავდნენ, საქმეს აკეთებდნენ. უფრო თანამედროვეთა მოგონებებში იჩენს თავს ერთმანეთის მიმართ გამოთქმული შეფასებები.

აღ. ფრონელს (აღ. ყიფშიძეს) უამბია ილია ზურაბიშვილისათვის: „მე და გიგა (გრიგოლ ყიფშიძე, — „ივერიის“ რედაქციის გამგე) ერთ საღამოს ილიასთან ვიყავით. შემოუტანეს იაკობ გოგებაშვილის სასწრაფო წერილი. სასწრაფო იმიტომ, რომ პასუხს ახლავე მოითხოვდა. წერილი მრისხანე იყო და უკმეხად დაწერილი. იგი ეხებოდა „ივერიაში“ რომელიღაც დაბეჭდილ თუ დასაბეჭდ წერილს, არ მახსოვს, რაზეო. ილია თავის კაბინეტში შევიდა პასუხის დასაწერად. გაიარა ერთმა საათმა, გაიარა მეორემ, მაგრამ ილია არ გამოდიოდა. ჩვენ გაკვრებებში ვიყავით, — განა რასა სწერდა იმოდენას... დაბოლოს, როგორც იყო, გამოვიდა და წაგვიკითხა, რაც დაწერა. სულ რამდენიმე სტრიქონი იყო, ზუთი-ექვსი. პასუხის შინაარსი არ მახსოვს, მაგრამ იგი მეტისმეტად თავაზიანი და თანაც, მტკიცე იყოო. როდესაც მე და გიგამ განცვიფრება გამოვთქვით პასუხის მეტისმეტი თავაზიანი კილოს და პაწია ბარათზე დახარჯული დიდი დროის გამო, — ილიამ გვიპასუხა: **იაკობ გოგებაშვილი პატარა კაცი არ არის. ბევრი რამ, რასაც ის მოიწერება ან რასაც იმას მისწერენ, შეიძლება ისტორიის ხვედარი გახდესო...** — შემდეგ კაბინეტში რომ შევიხედე, მთელი იატაკი გადახეული ფოსტის ქაღალდებით მოშანშლული ვნახეო“...

აქ ერთი დეტალია საინტერესო: იაკობის წერილი „მრისხანე იყო და უკმეხად დაწერილიო“... ალბათ სიტყვა „უკმეხად“ არასწორადაა გამოყენებული... მკაცრი, პირდაპირი, მოურიდებელი... ილია და იაკობი ხშირად კამათობდნენ ერთმანეთშიო (ს. მგალობლიშვილის მოგონებებიდან)... ისიც გავიხსენოთ, როგორი „დაუნდობელი“ კამათი ჰქონდა იაკობს აკაკისთან... ეს წესი იყო, ეროვნული ინტერესებით ნაკარნახევი... ალბათ ისიც ნიშანდობლივი ფაქტია, რომ იაკობი და ილია ერთმანეთს

„შენობით“ ელაპარაკებიან... ერთი წერილია შემორჩენილი იაკობისა ილიასადმი მიწერილი. ასე იწერება: „ძნაო ილია“ და ასე მთავრდება „შენი ი. გოგებაშვილი. P. S. იმედი მაქვს, რომ ამ ცნობებს შენებურად, კარგად გამოიყენებ...“ ასევე „შენობით“ ესაუბრება იაკობი პირად წერილებში აკაკის... სხვას, მაგალითად ს. ხუნდაძეს, ა. ჭულელს და მრავალს — „თქვენობით“ მიმართავს...

ასე რომ, სიმკაცრე და პირდაპირობა ურთიერთდამოკიდებულებაში ჭეშმარიტებისადმი მსახურებით არის ნაკარნახევი... იცის ერთმაც და მეორემაც... ეს ვერ აქარწყლებს პატივისცემას ურთიერთისას... პირიქით...

ცნობილი მოღვაწე ილია ბახტაძე იგონებს: 1903 (თუ 1904) წელს გაიმართა სახალხო და სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრება, რომელსაც ესწრებოდა იაკობ გოგებაშვილი. მას „მეტად შინა-არსიანი და მიმზიდველი“ სიტყვა უთქვამს. კრების დამთავრების შემდეგ იაკობისათვის საღილი გაუმართავთ. თამადას — მასწავლებელ პოლიკარპე ლორთქიფანიძეს — პირველად იაკობის სადღეგრძელო შეუსვამს... იაკობს ვრცელი სამადლობელი სიტყვით მიუმართავს პედაგოგებისათვის. რამდენიმე მონაკვეთს დავიმოწმებთ:

„...მე ღირსი არა ვარ იმ ქება-ღიღების, რომელიც თქვენ მიძღვენით; მე ქართველი ხალხისთვის ბევრი არაფერი გამიკეთებია, მაგრამ თუ მართლა რაიმე გავუკეთე ქართველ ხალხს, მე ეს გავაკეთე ილია ჭავჭავაძის დახმარებით და ხელშეწყობით. მე როდესაც შევეცადე საქართველოს შელახული უფლებების, კულტურის და ენის დაცვა, ყვავ-ყორნებივით შემომესიენ პედაგოგების ქურქში განხვეული რუსი მოხელეები, ჩემდა სამწუხაროდ ამათ გვერდში ამოუდგნენ ზოგიერთი გამყიდველი, ფულისა და ჩინ-მედლების მოყვარული ქართველები და, აი, სწორედ იმ დროს, როდესაც ესენი თავს მესხმოდნენ, ჩემი ერთადერთი იმედი, მფარველი და ნუგეშის მომცემი ილია ჭავჭავაძე იყო. ილია ჭავჭავაძე მუდამ ლომივით ესხმოდა თავს და ანიაგებდა კატკოვს, იანოვსკის და ყველა იმათ, რომლებიც სხვადასხვა სახის მოჭორილი ამბებით ცდილობდნენ შეებღალათ საქართველოს საუკეთესო წარსული, ქართველი ხალხისათვის პირიდან ამოვგლიჯათ თავისი საყვარელი მშობლიური ქართული ენა და მოესპო

ქართველი ხალხის ყოველგვარი კულტურული მონაპოვარი, რომლითაც ის ერთ დროს ამაყობდა და ეხლაც ამაყობს...“

იაკობს სამადლობელი სიტყვა ასე დაუმთავრებია: „თუ ღღეს ჩემ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებს — „დედა-ენას“, „ბუნების კარს“ და „რუსსკოე სლოვოს“ საქართველოს სკოლებში ფართო გასავალი მიეცა, ეს უმთავრესად ასე მოხდა ილია ჭავჭავაძის აქტიური დახმარებითა და ხელისშეწყობით... ფიზიკურად მე ძალიან სუსტი ვარ და ეს ფიზიკური სისუსტე, გამოტეხით უნდა გითხრათ, მუდამ მიშლიდა და ეხლაც მიშლის ხელს ღირსეულად გავმკლავებოდი ჩემ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ქართული ერის, ენის და კულტურის მოსპობაზე ოცნებობდნენ. მაგრამ ჩემ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში ილია ჭავჭავაძე მუდამ იმედად და ნუგეშად მედგა და ეხლაც მიდგას გვერდში...“

იაკობს თავის სამადლობელ სიტყვაში აკაკი წერეთლის როლზეც უსაუბრია: „ამ საქმეში აგრეთვე დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს ბუღბუღს აკაკი წერეთელს, რომელიც ჩემი სახელმძღვანელოების „დედა-ენის“ და „ბუნების კარის“ შედგენაში მუდამ აქტიურად მესმარებოდა, ხელს მიწყობდა და მიგერიებდა ყველა იმით, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ ჩემი სახელმძღვანელოების საქართველოს სკოლებში გავრცელების...“

ასეთ სიტყვაზე რაიმე კომენტარი ჩემგან უხერხულია...

აქვე აკაკი წერეთლის აზრიც მინდა მოვიხმო: „მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს დამსახურს უწევს ქართველობას. იაკობის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენაზე“ არ აეხილოს თვალები. ჩემი და ილიას დვაწლი რამოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე... იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას...“

ილიას მსგავსი ჩანაწერები არ დაუტოვებია — არა სჩვეოდა, მაგრამ 1895 წელს საახალწლოდ გაზეთ „ივერიაში“ გამოუქვეყნებია ლექსი „ორხმიანი საახალწლო ოპერეტი“. ერთია საახალწლოდ სახუმარო შეხმინანება ილიასი თანამედროვე მოღვაწეებისადმი. ბოლო, XII მონაკვეთი, იაკობ გოგებაშვილს ეძღვნება:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან,
მას ვაქებ, ვინცა მიქია:
დედა-ენა მიჩნს სახელად,
არ თავი გამიქიქია.

იგია ფუტე ქართველისა:
მაგარი ვითა ჯიქია...
დედა-ენითა წვრთნა ყრმისა
მე ბევრჯერ მითქვამს, მიქია.

დედა-ენა პირველადვე
სიბრძნისაა ერთი დარგი,
ტკბილი ტკბილად გასაგონი,
ყრმათა წვრთნისთვის დიდი მარგი...

მით ზრდას არვინ დამიწუნებს,
თუ კაცია მართლა ვარგი...
სიტყვა სრულად გულსა სწვდება,
დედა-ენა მით არს კარგი.“

პოეტის დამოკიდებულება — პატივისცემა, დაფასება — ადრესატისადმი კიდევ უფრო საცნაური გახდება, თუ ამ „ოპერეტის“ სხვა ადრესატებისადმი ილიას იუმორნარევ კრიტიკულ დამოკიდებულებას გავითვალისწინებთ. აქ კიდევ ერთი ფაქტია საგულისხმო:

1894 წელს იაკობ გოგებაშვილს პოლემიკა აქვს აკაკი წერეთელთან (საგრამატიკო საკითხებზე). პოლემიკამ ფართო ხასიათი მიიღო; „კვალში“, „ივერისა“ და „მომამბეში“ გამოქვეყნდა საკმაოდ საინტერესო წერილები. იაკობს დაუპირისპირდა გიორგი წერეთელიც. ეს დაპირისპირება საკმაოდ უსიამოვნო იყო. იაკობმა ღირსი პასუხი გასცა მოწინააღმდეგეებს (გ. წერეთელსაც). ეს ხანგრძლივი პოლემიკა იყო. ყველაზე აქტიური ამ პოლემიკაში გიორგი წერეთელია — საკმაოდ მკაცრიც და ზოგჯერ ზედმეტად თამამიც (ნუ ვიხმართ სხვა ეპითეტს...). 2-

3 ნომბერს გაზეთი „ივერია“ ბეჭდავს იაკობის წერილს „სიმართლეს ვერსად წაუხვალთ (პასუხად გ. წერეთელს)“. სამწუხაროდ, ეს წერილი 10-ტომეულში არ შესულა. დეკემბრის ბოლოს ყურნალი „კვალი“ (№ 50) ბეჭდავს გ. წერეთლის წერილს — „რიდე აიხადეთ! პსევდონიმს სიმონისძეს“. წერილში გ. წერეთელი ი. გოგებაშვილს სამედიატორო სასამართლოში იწვევს... ფაქტობრივ ამით დასრულდა ხანგრძლივი პოლემიკა იაკობისა და მის ოპონენტებს შორის 1994 წელს. ილია ჭავჭავაძე ამ პოლემიკაში არ ჩარეულა, მაგრამ ამ დავა-კამათში იგი იაკობის მხარდამჭერი რომ არის, „ორხმიანი საახალწლო ოპერეტიდანაც“ ჩანს. პოეტი იაკობისადმი მიმართვის შემდეგ „ხოროს“ ათქმევინებს:

„მოგახსენებთ, ეგე სწავლა
ჩვენთვის ყოვლად სოფლად ჰღირდეს,
მაგრამ რა ვქნათ, როგორ გავძლოთ,
როს ჩვენ ჰირი შინვე გვჭირდეს?

როს გიორგი წერეთელი
ღედა-ენას სთხრიდეს, ჰრყვნიდეს,
და მაინც კი კადნიერად,
მის განწმენდას იქაღიდეს?

არ მიიღოს მან შენგან წვრთნა,
არ გისმინოს, ნუ გიკვირდეს,
გონიერსა მწვრთელი უყვარს,
უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“.

ცხადია, ეს იყო ის მხარდაჭერა და თანაგრძნობა იაკობისადმი, რის შესახებაც იაკობი საუბრობდა სამადლობელ სიტყვაში.

სხვათა შორის, იაკობს როცა სურს, თავის აზრს მეტი დამაჯერებლობა შესძინოს, იტყვის, ილიაც ამ აზრისააო. ეს იმაზეც მიანიშნებს, რომ მათ ჰქონდათ წინასწარ ამ თემაზე საუბარი...

ასე რომ, იციან ფასი ერთმანეთისა და, რაც მთავარია, იმ საქმისა, რასაც ემსახურებიან!... ისიც იციან, ამ საქმის წარმატებისთვის რა მნიშვნელობა აქვს ერთმანეთის მხარდაჭერას, თანადგომას...

* * *

ნუ ვიფიქრებთ ისე, რომ იაკობი ილიას სიტყვითა და საქმით ისე იყო მოხიბლული, ყველაფერში ეთახმებოდა, მხოლოდ აქებდა და აღი-

დებდა... სოფრომ მგალობლიშვილი იგონებს, „ილია მძლავრი იყო ლაპარაკში; მას ხშირად ეკამათებოდა იაკობ გოგებაშვილი, რომელიც დიდად ნაკითხი იყო და ილიასავით მისდევდა თანამედროვე ლიტერატურასაო“...

თუმცა ეს არ იყო საჯარო პაექრობა, ისეთი, ილიასა და აკაკის რომ ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე, ანდა იაკობსა და აკაკის რომ ჰქონდათ ენის სიწმინდის თაობაზე. ესეც საგულისხმო ფაქტია — იაკობი და ილია ურთიერთობას პირადად აგვარებდნენ, ისე, ზემოთ რომ ვისაუბრეთ, ილია ზურაბიშვილის მოგონება რომ მოვიხმეთ.

ერთმანეთის კრიტიკას რომ არ უფრთხიან და არ ერიდებიან, ამის კარგი მაგალითიც გვაქვს. 1889 წელს იაკობი გაზეთ „ივერიაში“ (№ 73) აქვეყნებს ფელეტონს „სალამო წერა-კითხვის საზოგადოებისა“. როგორც ჩანს, ხარება დღეს, 25 მარტს, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ გამართა სალიტერატურო და სამუსიკო სალამო. როგორც იაკობი იტყვის, „ამ სალამოს ჰქონდა ორი თავისებურება: წმინდა ქართული ხასიათი და სიფართოვე პროგრამის“. და იაკობი მიმოიხილავს სალამოზე წარმოდგენილ ლიტერატურულ თუ მუსიკალურ ნომრებს — იაკობისეული პროფესიონალიზმითა და ობიექტურობით. საორკესტრო ნომრები, საგუნდო სიმღერები, სოლო შესრულება... ლექსები, ვოდევილი... იყო ასეთი შეფასებებიც: „მონოლოგი ცქრიალა, ოცნებიანის მოზარდის ქალისა ისეთი არტისტულის ღირსებით შესრულა ქალბატონმა საფაროვისამ, რომ ნამდვილს ალტაცებაში მოიყვანა მთელი საზოგადოება“... მაგრამ იყო ასეთი შეფასებაც — „გამოვიდა ბ-ნი კოტე მესხი. ცუდს მდგომარეობაშია თეატრი, როცა ხამი ვინმე გამოდის სცენაზედ. მას ფერი მისდის, ეშინიან, არ შევრცხვეო. საზოგადოებასაც ეშინიან, არ შერცხვესო. აქეთაც შიში სუფევს, იქითაც“... და სხვა.

სალამოზე ილია ჭავჭავაძეს წაუკითხავს ნაწყვეტი „ოთარაანთ ქვრივიდან“ (გიორგის სიკვდილის ეპიზოდი). იაკობი დეტალურ ანალიზს ახდენს ილიას დეკლამაციისას; და ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ილიასადმი მიმართებით, არამედ დეკლარაციის წესების, მისი მნიშვნელობის თვალსაზრისით. მოვიყვან ვრცელ ამონარიდს იაკობის ფელეტონიდან:

„საქმე თ. ი. ჭავჭავაძეზედ მიდგა. იგი გამოვიდა დინჯად, გაშალა კათედრაზედ რვეული და დაიწყო კითხვა „ოთარაანთ ქვრივიდან“ გიორგის სიკვდილისა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ზალაში ბუზის ფრენას გაიგონებდა კაცი. ეს ყურადღება კითხვის გათავებამდის არ შესუსტებულა. მაგრამ მოეწია იგი მიზანს? სამტირალო სცენის წამკითხველმა ცრემლი უნდა მოჰგვაროს მსმენელს, — მხოლოდ ამ შედეგით ცხადყოფს იგი თავის ხელოვნების ღირსებას. გიორგის სიკვდილი სწორედ სატირლად არის აღწერილი, ხოლო ავტორის კითხვამ ვერც ტირილი გამოიწვია საზოგადოებაში და ვერც ცრემლები დააბნევიდა ვისმე. მართალია, სრული მართალი, რომ თეატრში დატრიალდა ნამდვილი სიმწუხარის ატმოსფერა, მაგრამ ეს ნახევარ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. რად მოხდა ესა? რატომ ცოტაოდენი ცრემლი მაინც არ დაიფრქვა? იქნება კითხვის ნაკლის ბრალი იყო? არა გვგონია. მართალია, ილია დეკლამატორი არ არის, ნაფიცს მკითხველების დასს არ ეკუთვნის, მაგრამ სამაგიეროდ შემკულია ბუნებრივის მკითხველის ღირსებით: ხმა აქვს მუსიკალური, კილო შესაფერი, ლოგიკური ხმის აწევ-დაწევა რიგზე მიჰყავს, გამომეტყველება და მოძრაობა პირისახისა შეესაბამება წასაკითხის შინაარსსა და საზოგადოდ მისი ხმა კაფიოდ ჰხატავს ყოველს აზრსა და გრძნობასა, რომელსაც-კი იპყრობს სიტყვები და ფრაზები წასაკითხისა. მაშ რატომ არ გამოიწვია მსმენელებში მისმა კითხვამ შესაბამისი ძალის გრძნობა? იმიტომ, რომ ილია წიგნში კითხულობდა და არა ზეპირად ამბობდა...

„მკითხველმა ზეპირად რა იცის წასაკითხი, წიგნში იხედება, ხმა მოკლებულია თავისუფლებას, მიდის ქვევით, იატაკისაკენ, და იქითგან უკუქცეული იფანტება თეატრში. ხმას ეკარგება სიმკვირცხლე, გამომეტყველება, სიმკაფე და შთაბეჭდილება ერთი ორად და სამად სუსტდება. სამაგიეროდ, როცა მკითხველი წიგნში არ იხედება, პირი საზოგადოებისაკენ აქვს მიქცეული და ზეპირად ამბობს, მაშინ მისი ხმა სრულიად თავისუფლად მოძრაობს, კაფიოდ გაისმის, პირდაპირ მიდის მსმენელთა ყურებამდის და შესაფერ ჩასახულებას ჰბადავს მათ გულსა და გონებაში... ამ გვარადვე უცვლის სიმღერას ზეპირად მისი თქმა და ნოტებში ცქერა. შეადარეთ ის შთაბეჭდილება, რომელიც გიორგის სიკვდილმა მოახდინა, იმ ძლიერ ჩასახულებასთან, რომელიც დაჰბადა მსმენელებში ლექსების ზეპირად წარმოთქმამ ილიასავე მიერ და თქვენ

დამეთანხმებით, რომ ჩვენ სწორედ მართალს ვამბობთ. ან წარმოიდგინეთ, რომ კ. მესხის რკინის გზის სცენა რვეულში წაეკითხნა და არა ზეპირად ეთქვა და ოდნავადაც არ ამიხირდებით, თუ გეტყვით, რომ ერთი ზუთად წააგებდნენ სცენაც და არტისტიც ამ ცვლილებით. ისიც უნდა ვთქვათ, რომ გიორგის სიკვდილი მარჯვე არჩევანს არ შეადგენს სცენისათვის. ავტორის ნაწერებში მოიპოვება ბევრი ათჯერ უფრო სცენაზედ ზედ გამოჭრილი ადგილი და რატომ დასდგა ამ არჩევანზედ, არ გვესმის. თუნდ ავიღოთ „კაცია ადამიანიდგან“ ლუარსაბის სიზმარი. ილიას რომ ზეპირად დაესწავლა ეს ადგილი, მაღალ ნიჭიერებით და მახვილობით სავსე, და თავისუფლად წარმოეთქვა საზოგადოების წინაშე, ისეთს ინტენსიურს სიამოვნებას დაჰბადებდა მასში, ისეთს ძლიერს ტაშის კვრას გამოიწვევდა, რომ ვგონებ, თეატრი მაღლა აიწვედა“.

* * *

იაკობი და ილია — ეს იმ დროის საქართველოს ორი ბურჯი, ორი დიდი იმედი იყო. თედო სახოკიას მოვუსმინოთ: „ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი — აი, ეს ორი სახელოვანი ადამიანი იყო იმ დროს ქართველი საზოგადოების ნამდვილი პატრონი, მოამაგე და ჭირისუფალი. თუ რაიმე პოლიტიკის შესახებ წამოიჭრებოდა საკითხი და გაზეთში მტრისათვის პასუხის გაცემა იქნებოდა საჭირო, მაშინვე ყველა ილია ჭავჭავაძეს მიაპყრობდა თვალბს: ვნახოთ, რას იტყვის ილია: მარტო იმას შეუძლია მტერს პირი დააყოფინოსო, ჩვენს თავს აბუჩად არავის აადგებინებსო (კატკოვი, სუვორინი, „ქვათა ღალადი“, 1897 წელს თბილისის ქალაქის თვითმმართველობის სულისჩამდგმელთა თავგასულობის წინააღმდეგ გამოლაშქრება და სხვა). მეორე მხრით, როცა სწავლა-აღზრდის შესახებ საკითხი წამოიჭრებოდა, როცა სკოლაში ქართული ენის სწავლების აუცილებლობის შესახებ საქმე იყო გასარჩევი თუ გადასაწყვეტი — იაკობ გოგებაშვილს დავეუწყებდით ცქერას: ის იყო ქართველთა საესავი, მისგან მოელოდნენ გაჭირვებისაგან ხსნას“.

* * *

იოსებ იმედაშვილი წერდა: „სამშობლოს სადარაჯოზე ისე იდგა ბასრი კალმით, როგორც ერეკლე მეფე მტრის წინააღმდეგ ხმალამოდებულად“. როგორ ფიქრობთ, ვის გულისხმობდა ავტორი? ცხადია,

უპირველესად ილიას ვიგულისხმებთ და მართალიც ვიქნებით... თუმცა ამ შემთხვევაში ი. იმედაშვილი იაკობს ასხამდა ზოტბას... და, რა თქმა უნდა, მართალი იყო!...

ისევ გავიხსენოთ თედო სახოკიას მოგონება: „ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი — აი, ეს ორი სახელოვანი ადამიანი იყო იმ დროის ქართველთა საზოგადოების ნამდვილი პატრონი, მოამაგე და ჭირისუფალი“.

და „სამშობლოს სადარაჯოზე ბასრი კალმით“ მდგარნი — „ილია ჭავჭავაძეცა და იაკობ გოგებაშვილიც ოღონდაც რომ ჰკრძნობდნენ თავიანთს ამ მძიმე როლს, რომელიც სრულებით ბუნებრივად დაეკისრათ გაჭირებაში მყოფ თანამემამულეთაგან; ორსავე შეგნებული ჰქონდა მთელი სერიოზულობა ამ როლისა და პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე. და ისინიც, თავიანთ სფეროში თავდაუზოგავად იღვწოდნენ“ (თ. სახოკია).

ღიახ, თავიანთ სფეროშიო. თუმცა იყო შემთხვევები, როცა საჭირო ხდებოდა ორთავეს შეერთებული ძალით შეეტიათ ქართული საქმის მტრისათვის. ასეთ ფაქტს იხსენებენ.

1881 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილე იანოვსკი გაზეთ „კავკაზ“-ში აქვეყნებს წერილს საქართველოში სახალხო სკოლების მოწყობის შესახებ.

ვინ იყო იანოვსკი? — ივანე ჯავახიშვილის თქმით, „იანოვსკიზე დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენას“. ეს გვემაც მისი საერთო მიზნის ნაწილი იყო: სახალხო სკოლაში ქართული ენა უნდა მოესპო... შეშფოთდა ქართული საზოგადოება. იაკობი წერს: „ეს წერილი იანოვსკისა დაბეჭდილი იყო გაზეთს „კავკაზში“ და იპყრობდა მის შეხედულებას სახალხო სკოლების მოწყობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში. პასუხის დაწერა რედაქციამ მე დამევალა; მაგრამ მე მივუგე: საჭიროა უფრო გამოჩინილმა და გავლენიანმა ქართველმა გასცეს პასუხი, მაგალითად ილია ჭავჭავაძემ. ყველა საჭირო მასალას მე თვითონ მივუტან, სამაგიეროდ, როცა ამ დღეებში იანოვსკის პლანი გამოვა, მის გარჩევას მე ვკისრულობ-მეთქი. და ასეც მოხდა“...

ამ ფაქტს ასე იგონებს იაკობ მანსვეტაშვილი: „გარეშე მტრებთან, მეტადრე თუ ესენი შეეხებოდნენ მის წმინდათა-წმინდას — „ქარ-

თველის ბედს“, ილიამ შებრალება არ იცოდა, სასტიკი იყო, მკაცრი... ასევე იყო საქმე, როდესაც ქართველების დაუძინებელმა მტერმა, სახელგანთქმულმა განათლების მზრუნველმა იანოვსკიმ განიზრახა ერთი კალმის მოსმით მოესპო ქართულის სწავლება სკოლებში. ასეთ უკიდურეს მდგომარეობაში ყველა ქართველ მამულიშვილს უსათუოდ მოაგონდებოდა ილია. ის იყო გაჭირვების ტალკვესი. თვით იაკობ გოგებაშვილი, ეს ერთგული მოამაგე ქართული სკოლისა, ეს დაუღალავი გუშაგი ქართული ენის ხელშეუხებლობისა, ის გოგებაშვილი, რომელსაც ჭკუაც მოსდევდა, ცოდნაც და კალამიც კარგად ემორჩილებოდა, ესეც კი ილიას მიაშურებდა და ეტყოდა: „გავიძებ, ბერო მინდიაჲ! კარს საფრთხე მოგვდგომიაო“, გასრესას, გათელვას გვიპირებენ, ენას პირიდან გვლეჯენო“...

და შეიკრა ერთობა: ილია — იაკობი!... და — გაზეთ „დროებაში“ (№ 33, 1881 წ.) გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის წერილი „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“. ეს არის ილიასეული „რკინის ლოგიკით“ დაწერილი წერილი იმის თაობაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს დედა-ენაზე სწავლას სახალხო სკოლებში. ილია იანოვსკის აცნობს ცნობილი რუსი და ევროპელი პედაგოგების აზრს ამის თაობაზე: „ჩვენ მოგვყავს ეს აზრები მეცნიერებისა იმიტომ-კი არა, რომ გვეგონოს, ვითომც ბ-მა იანოვსკიმ ყოველივე ეს ჩვენზედ უკეთ არ იცოდეს, არამედ იმიტომ, რომ ყველამ, დიდმა და პატარამ შეიტყოს და გაიგოს, რა ღონეა დედა-ენა სკოლისათვის საერთოდ და საეროსათვის საკუთრივ. ჩვენ რომ ეგრე დაქინებით და უკან-დაუხეველად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, — ეგ მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვკითხულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი-კი არ არის, გონების დაჩაგვრისა, გონების დაწმენისა, დათრგუნვისა, გათახსირებისა, — და განა ეს სასურველია ვისთვისმე?“...

წერილი საკმაოდ ვრცელია. დასკვნა ლოგიკური და პირდაპირი: „იმ პროგრამით კი, როგორც ბ-ნ იანოვსკის მოუფიქრებია, ჩვენებური საერო სკოლა ვერც თავისს საკუთარს საქმეს გაარიგებს და ვერც რუსულს ენას გვაცოდინებს. იმ ვიწრო გზაზედ, რაც საერო სკოლას ჩვენ-

ში დანიშნული აქვს. ამ ორივე — სულ სხვადასხვა საგნის — შეხვედრა არც ერთს დააყრის ხეირს და არც მეორესა“.

და გაზეთ „დროების“ 50-ე ნომერში ქვეყნდება იაკობ გოგებაშვილის წერილი „მზრუნველის იანოვსკის სამოსწავლო გეგმა სახალხო სკოლებისა“. ილიასეულ დიდებულ წერილს იაკობისეული პროფესიონალური სტატია მოჰყვა — დეტალური ანალიზი „იანოვსკის პლანისა“... საინტერესო ჩანს ისიც, რომ იანოვსკის საგაზეთო წერილთან შედარებით „პლანი“ კიდევ უფრო მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდა თურმე (ცხადია ქართული ენის საზიანოდ!...). იაკობი: „რამ განგვაცვიფრა? ბევრმა რამ. პირველად იმან, რომ ბატ. იანოვსკის წერილის და გეგმის, ანუ პლანის, შუა აშკარა უთანხმოება და წინააღმდეგობა ვპოვეთ“, — წერს შემფოთებული ავტორი... შთაბეჭდილება ასეთია: იანოვსკიმ ქართული საზოგადოება შეამზადა (საკმაოდ რბილად) სახალხო სკოლების რეორგანიზაციისათვის და „პლანით“ ეს რეორგანიზაცია დაასრულა გაცილებით მძიმე შედეგებით!...

ილიას მკაცრ და არგუმენტირებულ წერილს დაემატა იაკობის საქმის ცოდნით, მაღალი პროფესიონალიზმით გაჯერებული წერილი და გადარჩა ქართული სახალხო სკოლა გარუსებას...:

აი, ამას გულისხმობდა თ. სახოკია (გვახსოვს, ცხადია), როცა წერდა — „ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი — აი, ეს ორი სახელოვანი ადამიანი იყო იმ დროის ქართველი საზოგადოების ნამდვილი პატრონი, მოამაგე და ჭირისუფალიო“.

როცა იაკობი იანოვსკის წერილისა და „პლანის“ თაობაზე ილიასა და მას შორის შრომის განაწილებაზე საუბრობდა, განმარტავდა: „ასეთი განაწილება შრომისა ილიასა და ჩემს შორის პირველი არ იყო. როცა გორის საოსტატო სემინარიიდგან დასაბეჭდად მოუვიდა 1876 წელში მზრუნველსა ქართულ-რუსული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, რუსული ასოებით დაწერილი, ნაცვლად ქართულისა, ილიამ და მე გადავწყვიტეთ მასხრად აგვეგდო — იმას „ივერიაში“ და მე „დროებაში“, და კიდევ შევასრულეთ ორივემ და მახინჯი ჩანასახი დედის მუცელში გაწყალდა“. ესეც საინტერესო ამბავია, და ცოტა უფრო ვრცლად.

1876 გორის ქართული პროსემინარიის მასწავლებელს — ნათიევს — მზრუნველისათვის დასაბუქდად წარუდგენია წერა-კითხვის სასწავლო სახელმძღვანელო — რუსულ-ქართული ანბანით შედგენილი. ილია ასე განმარტავს: „აი რა ანბანია. ნათიევს სიზმარი უნახავს, რომ ქართული სიტყვები რუსულის ასოებით უნდა დაიწეროსო. აუღია და თავის ანბანში შიგა და შიგ ქართული სიტყვები ჩაურთავს რუსულის ასოებით. რადგანაც რუსულს ანბანს აკლია ხუთმეტამდე ნიშნები ჩვენის ხმების გამოსახატავად, ამიტომაც უფ. ნათიევს თავისით მოუგონია ახალი ასოები, არც რუსული, არც ქართული, არც ამ მთისა, არც იმ მთისა და ამ ახალის ასოებით შეუვისია რუსულის ანბანის ნაკლი და ჩვენი ანბანიც გაუმდიდრებია. აქ სწორედ უფ. ნათიევს ორი კურდღელი ერთად დაუჭერია. ბარაქალა მის ფეხმარლობას და სისწრაფეს!“ — ესაა ამონარიდი ილია ჭავჭავაძის წერილიდან „ვიცინოთ თუ ვიტყვით“, რომელიც „ივერიაში“ გამოქვეყნდა (№ 10, 1877). გაზეთ „დროებაში“ (№ 74, 75, 77) ქვეყნდებოდა იაკობის წერილი „სამწუხარო მოვლენა პედაგოგიაში“, რომელიც ფაქტობრივ გაგრძელება ილიას წერილისა. ნათიევს ი. ჭავჭავაძის წერილი „ვიცინოთ თუ ვიტყვით“ გინებად მოსჩვენებიაო. — წერს იაკობი, — „როდესაც რომ მთელ წერილში არ არის ნახმარი მის შესახებ არცერთი შეურაცხყოფი სიტყვა, ჰაზრები მართალია მწარეა, მაგრამ დამწერმა რა ჰქნას, თუ ფაქტები, რომელსაც ეს აზრები შეესაბამებინ, ცუდი თვისებისანი არიან“. იაკობი თითქოსდა აგრძელებს ილიასეულ მსჯელობას; თითქოსდა აზრის „სიმწარეში“ ეჯობრება ილიას: „თუ კაცს მახინჯი სახე აქვს, სარკეს ბევრიც რომ დაემღუროს, მით ის პირის სახეს ვერ გაილამაზებს. აგრეთვე ფონს ვერ გავა მრუდეთ და უკულმართად მომქმედი პირი, რაც უნდა ბევრი იტლიკინოს და იყვიროს მლანძღავენო, როდესაც მის უკულმართს მოქმედებას ამხილებენ“...

და ეს ორი წერილი („ვიცინოთ თუ ვიტყვით?“ და „სამწუხარო მოვლენა პედაგოგიაში“) საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ „მახინჯი ჩანასახი დედის მუცელში გაწყალბულიყო“...

ეს იყო შეერთებული ძალა ილიასი და იაკობისა ქართული საქმის სასიკეთოდ!...

* * *

არჩილ ჭორჭაძემ „ცნობის ფურცელში“ წერილი გამოაქვეყნა „პუბლიცისტი — ილია ჭავჭავაძე“. ავტორს ილია ჭავჭავაძისეულად მიუჩნევია „ივერიის“ შინაური მიმოხილვიდან შემდეგი ამონარიდი: „ჩვენში პატრიოტობა სხვა თვისებისა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას მამულის სიყვარულისას. ამ გრძნობაში თავის თავის მეტი არა ურევია-რა. ვისიმე სიძულვილი, დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი, სრულიად არ იპოვება. ჩვენს პატრიოტებს სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენის უფლებებისა, ეროვნებისა, თვითმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა“...

თავისთავად საინტერესო ფაქტია: შინაარსობრივად, იდეურად იაკობის ნააზრევი ილიასეულად მიუჩნევია დიდად ნიჭიერს ავტორს — არჩილ ჭორჭაძეს. ამის თაობაზე კომენტარს თავად იაკობი გააკეთებს და განმარტავს, რა გახდა ავტორის შეცდომის მიზეზი: „ბატონმა არჩილ ჭორჭაძემ „ცნობის ფურცელში“ მიმოხილვის ავტორად კი დასახა თვითონ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე. ნამდვილად კი საქმე სრულიად სხვანაირად იყო: ყოველ-თვიურს მასპინძლობას ჟურნალებში მკითხველებს უწევდა პირადად თვითონ რედაქტორი. მხოლოდ ამ მიმართვისათვის მან ვერ მოიცალა, რადგანაც ბანკის საქმეებისათვის ბაქოში წავიდა და დამავალა დამეწერა მიმართვა ჟურნალისათვის, რაც დიდი სიამოვნებით შეევასრულე. ამ მიმოხილვის გარდა მე დავწერე კიდევ მხოლოდ ერთი მიმოხილვა. ყველა დანარჩენი მიმოხილვები, ამ ორის გარდა, ეკუთვნის ილიას მადლიანს კალამსა“...

საინტერესო ფაქტია: იაკობის განმარტების მიზანი ის კი არ არის, ჩემი „მიმართვა“ სხვისი არ გეგონოთო; არა, ილიას მადლიანი კალმის ნაყოფი არ გეგონოთ ჩემი უბრალო მიმართვაო... ილია უკეთესად დაწერდა, დრო რომ ჰქონოდაო...

* * *

ერთი ფრიად საინტერესო ფაქტიც — იაკობისა და ილიას როლი ნიკოლოზ ბარათაშვილის თბილისში გადმოსვენების საქმეში.

დავით კასრაძისათვის პეტრე მირიანაშვილს უამბობა: „მე განჯაში კარგა ხანს მომიხდა სამსახური მასწავლებლის თანამდებობაზე. გულს მიკლავდა ნიკო ბარათაშვილის ობლად მიგდებული საფლავი. თბილისში სამსახურებრივი დავალებანი მოვიმიზეზე და წერა-კითხვის საზოგადოებაში ვინახულე იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც გავუზიარე ჩემი გულის დარდი. ის მაშინვე დაფაცურდა: ეს რა კარგი აზრი მოგვსვლია, ნიკო ბარათაშვილი უნდა გადმოვასვენოთო. მაგრამ იქვე ხაზი გაუსვა, თუ გვსურს, რომ გადმოსვენება უფრო სახელოვანი იყოს და დიდმნიშვნელოვანი, ეს უნდა იკისროს არა ნიკოს ნათესაობამ, ან კერძო პირებმა, არამედ საზოგადოებამო.

— რომელმა საზოგადოებამ? — შევეკითხე და იქვე პასუხი მივიღე.

— რა თქმა უნდა, წერა-კითხვის საზოგადოებამ!

იაკობი მაშინვე გაექანა ილიასთან, როგორც საზოგადოების მთავარ ხელმძღვანელთან. ილია აღფრთოვანდა, დაუყოვნებლივ მოიწვია გამგეობა და 1892 წლის 9 ოქტომბერს ოქმში შეატანინა საზოგადოების დადგენილება, რომ „ეთხოვოს თ. გ. ორბელიანს, როგორც მახლობელ ნათესავს, ნებართვა მიიღოს გადმოსვენებისა“ (ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის). ეს ოფიციალურად, რა თქმა უნდა, გადმოსვენების ინიციატივა კი ისევ წერა-კითხვის საზოგადოებისა იქნებოდა... ნებართვის აღება გაძნელდა, მაგრამ გრიგოლმა მაინც მოახერხა“...

ესეც კიდევ ერთი საჭირო ქართული საქმე, რომლის ინიციატივა და ორგანიზაცია იაკობსა და ილიას ეკუთვნოდა...

* * *

გაზეთ „ივერიაში“ (№ 83, 1900წ.) მოუთავსებიათ ასეთი ცნობა: „როგორც შევიტყუეთ, ბ-ნ იაკობ სიმონის ძის გოგებაშვილის პატივისმცემელთ, მისდა პატივსაცემად, მისის სალიტერატურო და საპედაგოგო ასპარეზზედ მოღვაწეობის 35 წლის შესრულებისა გამო, განუზრახავთ სადილი გამართონ. სადილის გამართვის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული“.

როგორც ჩანს, ამ განზრახვის თაობაზე თავად იაკობსაც გაზეთიდან შეუტყვია და მოკლე ბარათით მიმართა. ეს წერილი გამოქვეყნდა „ივერიის“ 85-ე ნომერში (1900 წ.): „როგორც თქვენი ახალი ამბები-

დან ჩანს, ზოგიერთ ქართველს მოუწადინია, გამიმართონ საიუბილეო სადილი. დიდ მადლობას მოვახსენებ, და ვთხოვ დიდი თხოვნით ხელი აიღონ ამ თავის წადილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადილი უჩემოდ ჩაივლის. ჯერ ქართველმა საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც მას აწევს კისერზე შესახებ ჩვენის მთავარ-მოღვაწეებისა, რომელთაც ჩემზე უფრო დიდხანს უმოქმედნიათ და ჩემზედ უზომოდ მეტი გაუკეთებიათ. ჯერ იალბუზსა და მყინვარს ღირსეული იუბილეები გაუმართონ, და მერე გაუწიონ თავაზიანობა სერებსაც, თუ არ დაუშლიათ“.

მყინვარი და იალბუზი ილია და აკაკი არიან, სერი — თავად იაკობი...

საიუბილეო სადილი ჩაიშალა... უარის მოტივი გასაგებია: ჯერ ილიასა და აკაკისათვის არ გადავიხდით იუბილეო...

10 წლის შემდეგ, 1910 წელს ისევ მოუსურვებიათ იაკობისათვის იუბილეს გამართვა. იაკობი წერილს სწერს „სახალხო გაზეთის“ რედაქციას (1910 წ. № 36). წერილის სათაურია „უარის მოხსენება“. ისევ მიემართოთ წერილს: „ბატონი გიორგი იოსელიანი დასავლეთ საქართველოდან წინადადებას აძლევს ქართველს საზოგადოებას იუბილეი გამიმართონ. თანაც დასძენს: როგორც ჩვენ ვიცით, გოგებაშვილის ხასიათი, იგი უარს იტყვისო; მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს საზოგადოებასა.“

ამის შესახებ უნდა მოვახსენოთ შემდეგი:

როცა ათის წლის წინად იწყეს წერა ჩემის 35 წლის იუბილეს გადახდის თაობაზე, კატეგორიული უარი განვაცხადე და ასეთი დავასახლე: ჯერ ქართული ლიტერატურის იალბუზებს გაუმართეთ ღირსეული იუბილეი და მერე სერების იუბილეიზე იფიქრეთ მეთქი.

მასუკან ერთს იალბუზს ქართველმა საზოგადოებამ დიდებული იუბილეი გაუმართა; მაგრამ მეორე იალბუზს ქართველთა ხელმა ღვთაებრივი შუბლი გაუგმირა ტყვიით.

ჩაკვირდით ამ უკანასკნელს საზარელს ფაქტსა, გაიხსენეთ ჩემი მაშინდელი უარის მოტივი, საბუთი, და თქვენთვის ცხადი შეიქნება, რომ ჩემთვის ყოვლად შეუძლებელია ფსიქიურად და ზნეობრივად დავთანხმდე იუბილეს გამართვაზე“...

წერილი გრძელდება იმაზე მსჯელობით, რომ საერთოდ იუბილეს გამართვა, ლეწლის დაფასება საჭიროა, თუმცა ითხოვს იაკობი, „ჩემს შესახებ გთხოვთ დიდი თხოვნით, ტყვილად ნუ შეწუხდებითო...“

იაკობის იუბილე არც ამჯერად შედგა...

იაკობს აქვს ერთი მხატვრულ-პუბლიცისტური წერილი „საარაკო სინამდვილე და საიუბილეო ოცნება“. წერილი გამოქვეყნდა ლიტერატურულ-მხატვრულ აღმანახში „აკაკის დღეები საქართველოში (1908 წ. №2)“.

„საარაკო სინამდვილე“ — აკაკის იუბილეა. ბედნიერად რაცხს თავს იაკობი, რომ მოესწრო ამგვარ იუბილეს, „მე სიამოვნებას ვგრძნობდი იმის გამო, რომ ჩვენმა ერმა, უკიდურესად შევიწროებულმა ყოველი მხრით, შესძლო ღირსეულად დაეჯილდოვებინა ზნეობრივად მაინც თავისი ღირსეული შვილი... წერილის პირველი ნაწილი სწორედ ამ ბედნიერების განცდის აღწერაა...

ამ „საარაკო სინამდვილეს“ იაკობს რაღაც უფერმკრთალებდა — „მაგრამ ჩემს უღრმეს კმაყოფილებას ერთი რაღაც გამოურკვეველი ნაკლი ამცირებდა, ასუსტებდა. ეს ნაკლი შავი ყორანივით ჩამჩხაოდა გულში და ნეტარებაში ნაღველს ურევდა“... რა იყო ეს ნაკლი? — სწორედ „საიუბილეო ოცნებაშია“ საუბარი ამ ნაკლზე... „სავარძელში მოთავსებულმა თავი მივეცი ტკბილ-მწარე ბურანსაო“ და...

როგორც ვთქვი, წერილის მეორე ნაწილი — „საიუბილეო ოცნება“; ცოტა ვრცელია, მაგრამ უნდა გადმოვწერო; ვინც იცის, კიდევ ერთხელ დატკბეს; ვისაც არ წაუკითხავს, მიიღოს პირველი წაკითხვის ბედნიერება:

„უცებ ხელ-ახლად გავჩნდი თეატრში, და ვიხილე უნეტარესი სურათი. აკაკის დიდებული რაინდული სახე მიეღო და აშლილს საზოგადოებას ეუბნებოდა: ერთ წამს, მხოლოდ ერთ წამს კიდევ მოითმინეთ. ცოდოა, დიდი ცოდო, რომ ამისთანა სასახელო, საარაკო იუბილე და უგვირგვინებელი დაგვრჩეს... საზოგადოება დაწყნარდა, დასხდნენ ყველანი და სმენად გადაიქცნენ.“

— ბედნიერი ვარ, უზომოდ ბედნიერი ამ ჟამად, მაგრამ ერთი რამ სწამლავს ამ ბედნიერებას, — სთქვა აკაკიმ.

— რა? რა? — სიმწუხარით შეეკითხა მას სამი ათასი პირი ერთად, ერთხმად.

— ის, რომ ჩვენ ვერ ველირსენით იმის იუბილეის, რომელიც იყო დიდი პოეტიც, დიდი მამულიშვილიც და დიდი ადამიანიც და რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი დაჩაგრული სამშობლო.

ურიცხვს მსმენელთა შორის არც ერთს არ მოსვლია აზრად ეკითხნა აკაკისათვის, ვისზე ლაპარაკობდა იგი, რადგანაც ელვის სისწრაფით, ყველას გონებაში გამოისახა ერთი და იგივე დიდებული სახელი.

აკაკიმ გააგრძელა: დიად, ჩვენ ვერ ველირსენით ილია ჭავჭავაძის იუბილეის. მეტი უბედურებაც დაგვატყდა თავზე. ჩვენ არამც თუ ვერ შევამკეთ იმისი გენიოსური თავი დაფნის გვირგვინებითა, არამედ ხელი ვერ შევეშალეთ ჩვენის ერის მტრებსა, რომელთაც ილიას ეკლის გვირგვინი დაადგეს, მსგავსად მაცხოვრისა... მთელი ნახევარი საუკუნე ილია და მე ტოლათ ვეწეოდით მეტად მძიმე უღელს სამშობლოს სამსახურისას, — მომიკლეს, ჭვარს მიცვეს ტოლი და დამარჩინეს ცალად, უტოლოდ, ობლად... დიდება და თაყვანისცემა მოწამე ილიას უკუნითი უკუნისამდე, გაათავა აკაკიმ და მწუხარე თვალებიდან მდუღარე ცრემლის ნაკადული წასკდა.

„ამინ!“ შესძახა სამგლოვიარო ხმით სამი ათასმა მსმენელმა და ფეხზე უმაღლესად აღმართა, თავი მოიხარა, საერთოდ.

ამ რაინდულს სიტყვებს და საქციელს მოჰყვა აუწერელი მოვლენა, იმისთანა მოვლენა, რომელსაც ელირსენენ მოციქულნი სული წმიდის მოფენის ეამსა. აკაკის თავზე გაჩნდა ვეებერთელა აპრილებული კელაპტარი, ყველა მსმენელის თავი შეიმკო პატარ-პატარა კელაპტრებით და თეატრმა საარაკო კაშკაში დაიწყო. მერე დაიძრა აკაკის კელაპტარი და შუა თეატრში მიღლა პაერში გაჩერდა. მისკენ გამოქანდნენ ყველა სახის კელაპტრები. გარს შემოეხვივნენ და შექმნეს მომხიბლავი სურათი. ბოლოს ამ ურიცხვის ჩირაღდნის კრებულს აკაკის კელაპტარი გაუძღვა ზეით, თეატრის ბანი გაირღვა და კელაპტართა გუნდი წავიდა მალა, მალა ზეცაში.

„კელაპტართა გუნდს მიაქვს ილიასთან საიქიოს მთელის ქართველის ერის უმხურვალესი საუკუნო თაყვანისცემა“, შეეძახე ისეთი მა-

ღალი ხმით, თითქო ილიასათვის მინდოდა გამეგონებინა ზეცაში, და... გამომეღვიძა.

„დარჩა, დარჩა რაინდულს გვირგვინს მოკლებული ჩვენი დიდებული ეროვნული დღესასწაული“, ამოვიკენეს და ცრემლი ველარ შევიკავე, ვერ შევიკავე იმის გამოც, რომ მთავარი ბრალი ამ დიდი ნაკლისა მედებოდა თვითონ მე. აკაკისთან რომ კრინტი დამეძრა ილიას მოგონების შესახებ, იგი სახელოვანს იუბილეს დაადგამდა ისეთს რაინდულს გვირგვინს, რომ სამაგალითო შეიქმნებოდა თვით კაცობრიობისათვის. მაგრამ თვალი დაუდგეს სამოცდა მეცხრე წელს, იმ ჭირს, რომელსაც რუსთველი ყველა ჭირზე ძნელს ეძახის...“

ნუ დაგვავიწყდება — ეს „ოცნება“ იაკობისა აკაკის საიუბილეო კრებულში დაიბეჭდა 1908 წელს!..

იუბილეს მიმართ ილიას დამოკიდებულებაც ისეთივე ყოფილა, როგორც იაკობისა. შიო მღვიმელი იგონებს: როცა ილიას იუბილეს გამართვა გადაწყვიტეს და ეს ამბავი ილიას აცნობეს, „ილია ჭავჭავაძემ პირველსავე გაგონებაზე ხელები გაასავსავა და სრული უარი გამოაცხადა მისი იუბილის გადახდაზე.

მაშინდელმა მწერალ-მოღვაწეებმა ბევრი სწერეს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის აღსანიშნავ იუბილეს შესახებ, მაგრამ ტყუილად.

სხვათა შორის სანოს (სტეპკო ჭრელაშვილი) ჰქონდა მოთავსებული გაზეთში ერთი თუ ორი ფელეტონი ზემოხსენებულ იუბილეს შესახებ, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ვერც სანომ და ვერც მთელმა ქართველმა მოღვაწეებმა ვერ დაიყაბულეს ილია. სთქვა და გაათავა. იტყოდა და ზედ ისეთ ბეჭედს დაასვამდა, რომ მას ველარავინ წააშლევინებდა. თავის სიტყვის ბატონიც იყო და პატრონიც“...

(სხვათა შორის, ასევე ახასიათებდნენ იაკობსაც... „იაკობი სულ მუდამ თავისს ნათქვამი კაცი იყო, მით უმეტეს, როდესაც სრული სიმართლე იმისკენ იყო“ — შიო მღვიმელი).

თუ იაკობი საერთოდ იუბილეების გამართვის წინააღმდეგი არ იყო, ილიას არცთუ დადებითი აზრი ჰქონია იუბილეს შესახებ, იტყოდა, „ეს იუბილე ერთგვარი ყენობა არისო“ (ე. თაყაიშვილის მოგონებიდან)...

თუმცა საინტერესოა ისიც, რომ ილიას იუბილეს გადახდის წინააღმდეგი მთავრობაც ყოფილა. ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს: „რიგი მიღვა თვით ილიაზედაც, მაგრამ იგი, თავისი ჩვეულებისამებრ, თავმდაბლობდა, უარზე იყო და თან ამბობდა, „ეს იუბილე ერთგვარი ყვენობა არისო“. მაგრამ კი ეტყობოდა, რომ ბოლოსა და ბოლოს დათანხმდებოდა. ასე იცოდა ხოლმე ბანკის არჩევნების დროსაც: ჯერ იტყოდა, აღარ შემძლია, ვეღარ გავუძღვებიო, მაგრამ როცა აირჩევდნენ, უკვე აღარაფერს ამბობდა... საჩუქრების შეგროვებაც კი დაიწყეს და ზოგ საჩუქარს წინასწარ გზავნიდნენ ილიას გაზეთის რედაქციაში. კომისიაც იყო შემდგარი, მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო მას ამ იუბილეს მოწყობისა. არ ვიცი, ოფიციალურად მოსწერეს უარი თუ წინასწარ, მოლაპარაკებისას გააფრთხილეს საიუბილეო კომისია. მაგრამ უთხრეს კი, სჯობს, ნუ ითხოვთ, რადგან უსათუოდ უარს მიიღებთ“...

მოკლედ: სიცოცხლეში იუბილე არ ღირსებია არც ილიას და არც იაკობს... ორივე პრინციპული წინააღმდეგი იყო ამისა...

* * *

ილიას გარდაცვალება იაკობისათვის, ისევე როგორც სრულიად საქართველოსთვის, თავზარდამცემი ფაქტი იყო. ნინო ნაკაშიძე იგონებს:

„როდესაც ხმა გავარდა წიწამურში ილია ჭავჭავაძე მოკლესო, თბილისში ყველა აწრიალდა და ყველა სადღაც მირბოდა ამბის გასაგებად. ჩვენც „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში გავიქეციით. გზაში იაკობს წამოვეწიეთ. შემოგვხვდა აგრეთვე ირ. ევლოშვილი, რომელიც ტიროდა და იაკობი რომ დაინახა, შორიდანვე შესძახა:

— ბატონო იაკობ, რომელი ქართველის ხელმა გაუხვრიტა ილიას შუბლი, განა ეს შეიძლება, განა ეს დასაჯერებელია, ბატონო იაკობ?

იაკობი ერთ წუთს შეჩერდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ისევ უსიტყვოდ წავიდა“... იაკობს ზუსტი ინფორმაცია აინტერესებს. „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში უამბეს, როგორ მოხდა მკვლელობა წიწამურში. „იაკობი პირმოკუმული, ხმაამოუღებლივ უსმენდა და თვალებს იწმენდა ცხვირსახოცით“; — წერს ნინო ნაკაშიძე, — „იჭდა გაქვავებული ქანდაკებისავით, გაფითრებული. ცივ წყალს არასოდეს არ სვამდა, უცებ დალია“...

წინამურის ტრაგედია 1907 წლის 30 აგვისტოს მოხდა. 8 სექტემბერს, ილიას დაკრძალვის დღეს, გაზეთ „ისარში“ (№ 197) იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის წერილი „შურისძიება ისტორიისა“. ამ წერილში იაკობი ილიას მკვლელობას ქრისტეს ჯვარცმას ადარებს: „შეუდარებელია, უებრო შურისძიება იცის ისტორიამ. საუკეთესო ისტორიკოსები ამ აზრზე დგანან, რომ ქრისტიანობა პატარა, ადგილობრივ სარწმუნოებად დარჩებოდა, თუ რომ იესო ნაძირალა ებრაელებს ჯვარს არ ეცვათო. ამ უბედურებს ეგონათ, რაკი იესოს საზარელ სიკვდილს მივცემთ, მასაც საშინლად დავამცირებთ და მის სწავლასაც ამოფხვრითო და გავაქრობთო. ნამდვილად კი სწორედ ამ საზარელმა სიკვდილმა, ამ ჯვარცმამ გააღმერთა იესო, გახადა იგი საგნად უსაზღვრო თავყანისცემისა, უმხურვალეს სიყვარულისა, მიანიჭა იმის სწავლას უძლეველი ძალა, მოჰფინა იგი კიდითი კიდედ და ქრისტიანობა გარდააქცია მსოფლიო სარწმუნოებად; ჯვარცმულის ჯალათი კი გააკრა კაცობრიობის თვალში სამარცხვინო ბოძზე უკუნითი უკუნისამდე“.

იაკობის აზრით, „სწორედ ესევე აცხადებდა (და უკვე ცხადდება) ჩვენს უნიჭიერეს პოეტსა და დიდ მამულიშვილზე, რომელსაც ეხლა გლოვობს უმაგალითო მგლოვიარობით მთელი ქართველობა, გარდა ბნელეთის ნაბიჭვრებისა, უსულგულო და უტვინო ორფეხა მხეცები ვერაგულად ჰკლავენ საშინელის სიკვდილით საუკეთესო შვილს საქართველოსას, რასაკვირველია, იმ განზრახვით და იმედით, რომ დაემცირებინათ მისი დიდებული სახელი, მისი დიდი გავლენა ქართველობაზე“...

წინასწარმეტყველურია იაკობის ფიქრი ილიაზე და ამ საშინელი მკვლელობის შედეგზე: „ამ ვერაგულის მოკვლის შემდეგ ილიას სახელი მოიცვის დიდებული მოწამის შარავანდედით, ერთი ასად იმატებს ის ღრმა პატივისცემა, ის თავყანება, რომელიც ყოველი ჭკუითა მყოფელი ქართველი გამსჭვალული იყო მისადმი; ერთი ასად გაიზრდება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც იმის ქმნილებებს ჰქონდა და ქართველობა ამ მისს ქმნილებებს დაეწაფება სრულის გაუმაძღრობით. რაც ილიას დიდებას აკლდა სიცოცხლის ჟამსა, მის მკვლელობის შემდეგ უკლებლივ შეივსება და იგი იწყებს ბრწყინვას, როგორც უდიდესი მნათობი საქართველოსი. მოკლე ხნის განმავლობაში მთელს საქართველოში

აღარ დარჩება არც ერთი ოჯახი, რომელსაც არ ამშვენებდეს ილიას სურათი, როგორც უძვირფასესის და სათაყვანო ხატის“.

ამავე წერილში იაკობი იმ საჭიროებაზეც საუბრობს, რაც ილიას ნაწერების დაბეჭდა და ხალხში მოფენაა. „ეს მოფენა ისეთს ნაყოფს გამოიღებს, რომელსაც ეხლა ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ“, — წერდა იგი. და იქვე: „ეს იქნება საუკეთესო შურისძიება, ღირსი ჩვენის დიდებული მიცვალებულისა“...

შურისძიების თემაზე როცა ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ იაკობის ერთი წერილიც.

1908 წლის № 20 „დროებაში“ გამოქვეყნდა იაკობის წერილი „ფრიად საყურადღებო შუამდგომლობა (წერილი რედაქციისადმი)“ (გამოცემებში ასეთი სათაური შევიდა — „სამაგალითო შუამდგომლობა უკვდავის ილიას მეუღლისა“). იაკობი საუბრობს იმის თაობაზე, თუ ქართულ და რუსულ პრესაში რა გამოხმაურება მოჰყვა სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებას, სიკვდილით დაესაჯათ ილიას სამი მკვლელი. საზოგადოება ითხოვდა, მკვლელები „სიკვდილით არ იქნენ დასჯილნი, რადგანაც ასეთი მათი დასჯა პირდაპირ ეწინააღმდეგება ღრმა კაცთმოყვარულს მიმართულებას უღმრთოდ მოკლულის პოეტიკას“, — წერს იაკობი. იქვე განაგრძობს: „მაგრამ ყველას წინ გაუსწრო მოსიყვარულე გულმა უკვდავი ილიას მეუღლისამ. კნეინა ოლგა თადეოზის ასულმა წარსულს ორშაბათს დაამზადა შესაბამისი თხოვნა გენ.-გუბერნატორის სახელობაზე; ხოლო, რადგანაც ავადმყოფობა ნებას არ აძლევდა პირადად მიერთვა არზა, კნეინამ სთხოვა „წერა-კითხვის საზოგადოების“ თავმჯდომარეს გიორგი ნიკოლოზის-ძე ყაზბეგს შუაკაცობა ეკისრნა და თხოვნა წარედგინა გენ.-გუბერნატორისათვის... თავის არზაში ყოვლად ღირსეული ქვრივი ილიასი სთხოვს გენერალ-გუბერნატორს, სიკვდილით ნუ დასჯიან მისი მეუღლის მკვლელებს, რადგანაც ეს ძლიერ დაამძიმებს ილიას სულსა, რომელსაც თავის ძირითად მცნებად ჰქონდა მაცხოვრისავით პატივება მტრებისა“...

როგორც ჩანს, იდეა ამგვარი შუამდგომლობისა იაკობს ეკუთვნოდა. ისევ ნინო ნაკაშიძის მოგონებას მოვიხმობთ.

როდესაც ხმა გავრცელდა, რომ ილიას რამდენიმე მკვლელი დაიჭირეს და სასამართლომ მათ ჩამოხრჩობა მიუსაჯაო, იაკობი მისუ-

ლა რედაქციაში, „სადაც იმ დროს იყვნენ ექიმი ივ. ელიაშვილი და ილიკო ნაკაშიძე. შემოვიდა თუ არა იაკობი, მაშინვე მიმართა იმათ:

— ყმაწვილებო, წაიკითხეთ?

— წავიკითხეთ, ბატონო იაკობ, და ჩვენც ახლა ამაზე ვლაპარაკობდით.

— მერე, რა აზრის ხართ: დიდ ილიას ხსოვნას, იმ ილიას, რომელმაც ისეთი დიდებული სიტყვა წარმოსთქვა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ სათათბიროში, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო, იმის ხსოვნას ოთხი ჩამოხრჩობილ კაცის ხსოვნაც აჩრდილივით უნდა სდევდეს უკან?

— სწორედ ჩვენც ახლა ამაზე ვმსჯელობდით.

— არა, მე მინდა, ჩვენ რამე გზას დაეადგეთ, ვითათბიროთ.

მე არასოდეს არ მინახავს იაკობი ასე ნერვიულად აჩქარებული. ვერც კი დამინახა, რომ იმავე ოთახში სამუშაო მაგიდასთან ვიჯექი და სთქვა:

— ნინო სად არის? ჩვენთვის საჭიროა ქალის აზრიც. მეც მაშინვე მივედი მათთან და ყველანი დავსხედით.

კარგა ხანს მსჯელობდნენ. იაკობი ამტკიცებდა, რომ ჩვენი, ე. ი. ქართველების მხრით ილიას უპატივცემლობა იქნებოდა, რომ მისი ანდერძი არ შესრულდეს. ელიაშვილი და ილიკოც, თვითონაც ამ აზრისა იყვნენ და მაშინვე დაეთანხმნენ, რომ რამე ღონე იქნას მიღებული, რათა არ ჩამოახრჩონ მკვლელები, მე კი ვსდუმდი, ვყოყმანობდი, არ მემეტებოდა სიცოცხლე ილიას მკვლელებისათვის.

— აი, ასეა მთელი ქართველი საზოგადოება, — სთქვა წყენით იაკობმა, — მაშ, თქვენ არ აფასებთ ილიას მცნებას? პატივს არ სცემთ იმის ანდერძს?

— მე მძულს ილიას მკვლელები.

— ოჰ, არც მე მიყვარს „უმეცრები“, ილიას სიტყვისა არ იყოს, მაგრამ ჩვენ უნდა გვიყვარდეს ილია და მისი სიტყვა გვაქროდეს.

გადავწყვიტეთ ილიას მეუღლეს ოლღას ეშუამდგომლა, არ დაესაჯათ სიკვდილით მკვლელები, თუ, რასაკვირველია, ის ამას მოინდომებდა. შუამდგომლობის დაწერა ოლღასათვის მიანდევს ილიკო ნაკაშიძეს.

მეორე დღეს გამოგვიარეს იაკობმა და ელიაშვილმა და, იაკობის სურვილის თანახმად, წავედით ოლღასთან ოთხივენი. ოლღა მაშინ ანდრეევის (აწ ორჯონიკიძის) ქუჩაზე ცხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფობის შემდეგ სუსტად იყო, სიამოვნებით მიგვიღო, ყველას გვაკოცა და ატირდა.

იაკობი ახლოს დაუჭდა, აიღო მისი ხელი და ეფერებოდა ხელზე. ნელი, გარკვეული ხმით აუხსნა როგორც ბავშვს, რითვისაც ვიყავით მისული. ოლღა ბეჯითად უსმენდა ყურში სასმენ მილგაკეთებული, სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა და თანხმობის ნიშნად თავს აქნევდა. და როდესაც იაკობმა შუამდგომლობა წაუკითხა, ტირილით თქვა:

— ჰო, რასაკვირველია, მე თვითონაც ვფიქრობდი, მაგრამ ბებერი და ყრუ ვარ და არ ვიცოდი როგორ რა მექნა, და უყოყმანოდ მოაწერა ხელი შუამდგომლობას“.

როცა იაკობი საგაზეთო წერილში ამ ფაქტის შესახებ საუბრობდა, აღნიშნავდა, თუ როგორი აღფრთოვანებული სტატიები უძღვნა რუსულმა პრესამ ამ ინიციატივას. ამონარიდი მოჰყავს გაზეთიდან „Русския ведомости“: „როდესაც მთელს რუსეთში გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე და უკუნეთი და ყოველ ნაბიჯზე გაისმის: მოკალ, ჩამოახრჩე, დახვრიტე, და ლამის სასოწარკვეთილების მორევში ჩავიხრჩით, ამ დროს საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, რომელსაც უსაყვარლესი მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც იგი მხეცურად დასჭრეს, ევედრება მთავრობას: სიკვდილით ნუ დასჯით მკვლელებსო. „აქამდინ ვიცოდით, ამბობს ბოლოს ავტორი, რომ ფიზიკური მზე აღმოსავლეთიდან ამოდისო, ახლა უნდა ვსთქვათ: **ზნეობრივმა მზემ აღმოსავლეთიდან — საქართველოდან აღმოაშუქაო**“...

* * *

ისევ დავუბრუნდეთ წიწამურის მოვლენებს. იაკობი ამ მკვლელობაში უფრო მძიმე შედეგებს ხედავს. წერილში „შურისძიება ისტორიისა“ წერდა: „ამასთან ჩვენ უნდა მხნედ შევეუდგეთ დიაგნოზს იმ საზოგადოებრივის სენისას, რომელმაც ისე მხეცურად იმსხვერპლა მგოსანი, ჩვენ უნდა უსათუოდ აღმოვაჩინოთ მხეცი მკვლელები და მათი ხელმძღვანელები, თუ ჰყავთ. **არაფერს არ უნდა შევუშინდეთ, არაფერი არ უნდა დავმალეთ, რადგან დამალვით სენი კი არ რჩება,**

ძლიერდება, ზრწნის საზოგადოებრივს ორგანიზმს და სიკვდილს უმზადებს ერს“...

ეს მოწოდება იყო... ეს სამოქმედო პროგრამა იყო...

ილიას გარდაცვალების შემდეგ იაკობს ახალი საქმე გაუჩნდა — ილია ჭავჭავაძის უკვდავყოფა. ქართულ და რუსულ პრესაში ქვეყნდება რამდენიმე წერილი ილიას თემაზე. ერთზე („შურისძიება ისტორიისა“) ვისაუბრეთ. ამ ნარკვევში ჩვენ მიზნად ვერ დავისახავთ იმ წერილების ანალიზს. ეს ცალკე, საგანგებო თემაა. აქ მხოლოდ ჩამოვთვლით ამ პუბლიკაციებს:

1907 წელი.

სექტემბრის 8 — „შურისძიება ისტორიისა“ („ისარი“, № 197);

სექტემბრის 9 — „ილია ჭავჭავაძის შეხედულება წოდებათა და მოკიდებულებაზე“ (გაზეთი „ზაკაკაზი“, № 184);

სექტემბრის 16 — „დიდი მწუხარების დიდი ნაყოფი“ (გაზეთი „ისარი“, № 202);

სექტემბრის 22 — „მცირე განმარტება“ (გაზეთი „ჩვენი გზა“, № 15);

სექტემბრის 25 — „ილიას ფონდის შესახებ“ (გაზეთი „ისარი“, № 209).

1908 წელი.

იანვრის 1 — „ილიას ფონდის შესახებ“ (ყურნალი „ნიშადური“, №20. საუბარია საზოგადოების უსულ-გულო დამოკიდებულებაზე ამ ფონდის მიმართ);

დეკემბერი — „საარაკო სინამდვილე და საიუბილეო ოცნება“ (ალმანახი „აკაკის დღე საქართველოში“, №2);

დეკემბრის 4 — „ფრიად საყურადღებო შუამდგომლობა“ („დროება“, № 20);

დეკემბრის 16 — „ილიას მეორედ მოკვლის წადილი“ (ყურნალი „საქართველო“, № 9);

დეკემბრის 30 — „მეუნარგიას ჭორები ილიას შესახებ“ (ყურნალი „საქართველო“, № 11).

ამ წერილების ანალიზს, როგორც ვთქვით, ამჯერად არ ვაპირებთ. რამდენიმე მომენტს მივაპყრობთ მკითხველის ყურადღებას.

იაკობი იყო ილიას ფონდის შექმნის ინიციატორი. ერთი ამონა-რიდი: „დღესვე „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ვუდგენ ილიას ფონდისათვის ათ თუმანსა და ვალად ვიდებ ყოველ წლივ, — ილიას დაბადების დღეს 27 ღვინობისთვეს, — ამდენივე წარვუდგინო ხოლმე, ვიდრე ჩემი შემოსავალი ძლიერ არ შემცირდება. ეს ათი თუმანი შეადგენს დაახლოებით ხუთს პროცენტს ჩემის წლიურის შემოსავლისას“...

ფონდის უპირველეს მიზნად ილიას თხზულებათა გამოცემას ისახავდა მიზნად; ასევე: დაარსებულყო უფასო სამკითხველო, სტიპენდიები სტუდენტებისათვის და წერდა „ილიას ქმნილებათა გამოცემის შესახებ იმ. გვარადვე უნდა გამოვსცეთ თხზულებანი აკაკისა, ვაჟა-ფშაველასი და სხვა ჩვენი საუკეთესო მწერლებისა და მოგვინოთ კიდითი-კიდითი“... გეგმავდა სხვა ღონისძიებებსაც...

სამწუხაროდ იაკობის ამ ინიციატივას დიდი გამომხატურება არ მოჰყოლია. ამას ჩიოდა იაკობი „ნიშადურში“ გამოქვეყნებულ წერილში...

ერთ ფაქტსაც მინდა მივაპყრო მკითხველის ყურადღება. ჩვენს დროში სხვადასხვა ავტორთა მსჯელობა იყო იმის თაობაზე, ყველა დროის ყველაზე დიდი ქართველი ვინ იყო. ზოგი დავით აღმაშენებელს ასახელებდა, ზოგი — ილიას. იაკობმა გააელო პარალელი პირველად ილიასა და დავით აღმაშენებელს შორის: „საქართველომ შავს მიწას მიიბარა თავისი სახელოვანი და უკვდავი შვილი ისეთი ღრმა და გულწრფელი საყოველთაო მგლოვიარობით, ისეთის ცრემლის ნაკადულებით და ისე დიდებულად, როგორც უგლოვნია და დაუმარხია თავისი დამოუკიდებლობის და ძლიერების დროს სახელოვანნი და დიდნი მეფენი: დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე“.

* * *

გინახავთ აღმთოთებული იაკობ გოგებაშვილი? წაიკითხეთ წერილი „ილიას მეორედ მოკვლის განზრახვა?“

„ილიას მეორედ მოკვლა მოიწადინეს. მოკვლა არა ფიზიკური, რომლის გამეორება შეუძლებლად გახადეს უსულგულო ნაძირალებმა,

არამედ მოკვლა სულიერი. ეს უკანასკნელი მკვლელობა, რასაკვირველია, უფრო მძიმეა, ვიდრე პირველი. ფიზიკურმა მკვლელობამ შეიძლება ხელი შეუწყოს სულიერს უკვდავებას, სულიერი მკვლელობა კი მეტნაკლებობით ამართლებს ფიზიკურს მკვლელობასა...“

რა მოხდა? ქუთაისში ჩატარებულა სალიტერატურო საღამო, რომელიც ილიას პატივსაცემად გამართულა. საღამოზე ლექცია წაუკითხავს იონა მეუნარგიას. მან „თურმე დაუგროვა დამსწრე საზოგადოებას ვეებერთელა ზვინი ჭორებისა, საიდანაც გამოდიოდა, რომ ილია ყოფილა: ძუნწი, გულჭკა, ზარმაცი, ბანქოში მფლანგავი თავისი ქონებისა, სოფისტი, ეგოისტი, გამძყლეთელი მართალი ადამიანებისა და თითქმის უნიჭო პუბლიცისტი“.

იაკობი ემყარება გაზეთ „ალის“ კორესპონდენციას, გულისწყრობით რომ წერდა თურმე, „ილია მიწასთან გაასწორაო...“

იაკობს განსაკუთრებით ის აღაშფოთებს, იონა მეუნარგია ილიას დაკრძალვაზე ცხარე ცრემლებს ღვრიდა; „ჯერ მას (იონას) არ გაუცვეთია ის წაღები, რომლითაც იგი ილიას დასაფლავებას დაესწრო, როდესაც იგი თავის სიტყვაში წყევლა-კრულვას უგზავნიდა ჩვენი დიდების მხეცს მკვლელებს, და დღეს კი მას თითქმის ტალახში სვრის“...

იაკობი აქ მეუნარგიას ერთ ზნეობრივ ნაკლზეც საუბრობს. „მეუნარგიას ცოტა არ უწერია, მაგრამ ილიას სიცოცხლის დროს თითქმის კრინტიც არ დაუძრავს რაიმე მისი ნაკლის შესახებ, საზარელი მკვლელობის შემდეგ კი მოიწადინა მისი თითქმის მიწასთან გასწორება“...

იაკობი მიაწინებს იმ საზარელ როლზე, რომელიც ამგვარმა გამობტომამ შეიძლება შეასრულოს ილიას ჯერ კიდევ გამოუძიებელ მკვლელობაში...

იაკობი განსაკუთრებით გულდაწყვეტილია იმ საზოგადოებაზე, რომელიც მშვიდად ისმენდა ილიას განქიქებას...

იაკობის ეს წერილი მაღალზნეობრივი მნიშვნელობის წერილია... ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა იაკობის მეორე წერილი იონა მეუნარგიაზე („მეუნარგიას ჭორები ილიას შესახებ“)... იაკობი იძულებულია, იძულებულია იმიტომ, რომ რასაც წერს, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა და არ უნდა დასკირვებოდა ქართველ საზოგადოებას ამის განმარტება... რომ „იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არ-ჰქონდეს

იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“...

ლამის წონასწორობადაკარგული იაკობი ასე ამთავრებს ამ წერილს: „დაიცადეთ, ჭორიკანა ლილიბუტებო, და რომელიმე ქართველი ლიუისი აღმოაჩენს გულივერ ილიას ცხოვრებაში იმისთანა ფარულ კაცთ-მოყვარეობას, რომ თქვენს სირცხვილის ალში დაიწვებით, თუ ნიჭი სირცხვილისა სრულიად არ გაქვს დანშული“...

ილია აღარ არის; იაკობი დგას მედგრად მისი ღირსების სადარაჯოზე...

არ უნდა დასჭირებოდა იაკობს ამგვარი წერილების წერა... ამიტომაც დაინანებს: „ილია ჭავჭავაძისათვის ღვთაებრივს შუბლში რომ ტყვია არ გვეთხლიმა იდიოტურის ხელით, და ახლაც ჩვენს შორის ყოფილიყო“, რა გვიჭირდაო!...

* * *

როცა იაკობზე საუბრობენ, როცა იაკობის დახასიათებას ცდილობენ, თითქოსდა თავს ვალდებულად თვლიან, ილიასთან შეადარონ, აკაკისთან შეადარონ. თქვან, რომ თითოეულ მათგანს ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისი შეუცვლელი ადგილი ეჭირა — საკუთარი, ორიგინალური, განუმეორებელი... და კიდევ, თითოეული მათგანის როლსა და მნიშვნელობას ისიც განსაზღვრავდა, ძალას აძლევდა, რომ ერთი-მეორის გვერდით იდგნენ. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა იოსებ იმედაშვილის მოგონება:

„და დღეს, როცა მთლიან საქართველოს გულისცემას ვუსმენ, მარად და ყველგან იაკობის გულისცემას ვგრძნობ!... როგორც მოქათქათე მზის სხივები, მისი სახე ისე მესახება და ილია თუ ღრმა აზრის მჭედელი იყო, — ძილში ჩაფლული ერის გაღვიძებისაკენ მომწოდებელი, აკაკი — ერის გულში რწმენის ჩამთესი, უკეთესი მერმისის ნაპერწკალთა მკვესავი, მამულიშვილურ გრძობათა კოცონის აღმგზნები, — იაკობი ორივე ამასთან ერთად, — ბნელში სინათლის შუქი — სიბნელის მფანტველი, ერის საკუთარ შეგნების ფეხზე დადგომისათვის ყავარჯნის მიმწოდებელი!...“

დიდებული დახასიათებაა

* * *

გახსოვთ, რუსულ გაზეთში რომ დაიბეჭდა? — „აქამდინ ვიცოდით, რომ ფიზიკური მზე აღმოსავლეთიდან ამოდისო, ახლა უნდა ვსთქვათ: ზნეობრივმა მზემ აღმოსავლეთიდან — საქართველოდან აღმოაშუქაო!...“

საქართველოდან აღმოშუქებული ზნეობრივი მზე დიდწილად ილიასა და იაკობის წყალობა იყო...

ნაკობი და აბაკი⁸

გავიხსენოთ 1897 წელს აკაკის მიერ თელავში წარმოთქმული სიტყვა. ერთი ფრაგმენტი: „პატარა ცისარტყელა ვერც ათბობს, ვერც ანათებს, მხოლოდ თვალს იტაცებს და სჭრის, მაგრამ მაინც გამოდარების ნიშნად არის მიჩნეული. გვალვის დროს ერთი პატარა ღრუბლის ნაგლეჯიც, სადმე ცის კიდეში გამოჩენილი, ქვეყანას ახარებს. შეჩერდებიან მუშები და ამბობენ: ღმერთო შენს მადლს! კარგი ნიშანია: ამ პატარა ნაგლეჯს სხვებიც შეუერთდებიან, ცას დაფარავენ და მოგვევლინება წვიმა, ქვეყნის განმანდლებელიო. ...ის პატარა ცისარტყელა კახეთში გამოჩნდა და ის ღრუბლის ნაგლეჯებიც აქეთ დავიანხეთ. რასაკვირველია მიხვდებით, რომ აქ იგულისხმება თქვენივე შვილი ბნელია ჭავჭავაძე“.

„ის პატარა ცისარტყელა და ის ღრუბლის ნაგლეჯები“ იმერეთშიც გამოჩნდა 1840 წელს. 9 (21) ივნისს ზემო იმერეთში, სხვიტორში: როსტომ წერეთლის ოჯახში ვაჟი დაიბადა... 1840 წელი საქართველოს ისტორიაში ამ ფაქტითაც შევიდა: აკაკი წერეთელი დაიბადა.

ღირსსაცნობი ფაქტი: 1999 წელს პროფესორმა ზურაბ ჭუმბურიძემ გამოსცა წიგნი „იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები“, რომელშიც 161-ე ნომრით როსტომ როსტომის ძე წერეთლის ოჯახია შეტანილი; „მისი ცოლი ეკატერინე; მათი ვაჟიშვილები: დავითი, იასონი, აკაკო. ქალიშვილები: ანა, მავრა“ (გვ. 308). წიგნს თანდართული გამოკვლევიდან: „ჩახედეთ ჩვენი წიგნის სახელთა საძიებელს და დარწმუნდებით, რომ აკაკი (ან აკაკო თუ კაკო) იმ დროს იმერეთის თავადაზნაურთა შორის სხვა არავის რქმევია. აქედან კარგად ჩანს, რომ ამ სახელის შემდგომდროინდელი პოპულარობა და გავრცელება მთელ საქართველოში სწორედ აკაკი წერეთლის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აიხსნება“.

„მთელ საქართველოში“, ამბობს ავტორი იმიტომ, რომ იმეამად სახელი — აკაკი არც გურიის თავად-აზნაურთა ოჯახებში გვხვდება (ეს წიგნი ბ-ნმა ზურაბ ჭუმბურიძემ 1993 წელს გამოსცა) და არც აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა ოჯახებში (ეს წიგნი მზადაა გამოსაცემად)... დღეს? 1997 წელს გამოცემული წიგნის „გვარ-სახელები საქართველოში“ (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე) მიხედვით 13415 კაცს ჰქვია აკაკი, 1432-ს — კაკო... მართლაცდა ღირსსაცნობი ფაქტია...

„ის პატარა ცისარტყელა და ის ღრუბლის ნაგლეჯები“ ქართლშიც გამოჩნდა 1840 წელს. 15 (27) ოქტომბერს შიდა ქართლში, ვარიანში, სიმონ გოგებაშვილის ოჯახში ვაჟი დაიბადა... 1940 წელი საქართველოს ისტორიაში ამ ფაქტითაც შევიდა: იაკობ გოგებაშვილი დაიბადა.

როცა იმერეთი და ქართლი აკაკისა და იაკობის დაბადებით იწონებდა თავს, კახეთში გამოდარების ნიშანი — ცისარტყელა — უკვე სამი წლის მოვლენილი იყო; 1937 წლის 27 ოქტომბერი (8 ნოემბერი) უკვე შესული იყო ისტორიაში: კახეთში, ყვარელში, გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახში, ილია ჭავჭავაძე იზრდებოდა.

„ქართლ-კახეთი-იმერეთი...“

იაკობი-ილია-აკაკი...

უზარმაზარი წყალობა გაიღო ღმერთმა ქართველებისათვის.

ეს სამება — ილია, აკაკი, იაკობი — ნებისმიერი ერის ისტორიას დაამშვენებდა...

* * *

ილია და აკაკი ხმაურითა და ბრძოლით შემოვიდნენ საზოგადო ასპარეზზე. უამრავი საფიქრალი გაუჩინეს მშვიდი ცხოვრებით გართულ „მამათა“ თაობას...

და როცა XIX საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეთა შესახებ იწყებენ საუბარს, უპირველესად ჩვეულებრივ ილიასა და აკაკის ახსენებენ...

მაგრამ ახლა აკაკის მოვუსმინოთ: „მთელს საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი ქართველი მოღვაწეა, რომელიც თავისი

შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის ღედაენაზე არ აეხილოს თვალები. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე, ქართველი მწერლების ნაწერებს დღეს დღეობით თუ გასავალი აქვს, იაკობ გოგებაშვილს უნდა ვუმადლოდეთ. იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ მას ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას. ეს ღირსეული მამულიშვილი შეუპოვარ დარაჯად უდგას ქართველ ერს და სიტყვით, საქმით, მწერლობის საშუალებით მედგრად იგერიებს ჩვენზედ მოსეულ მტერს...”

ღიახ, ამას აკაკი წერეთელი ამბობს თავისივე თანატოლი მოღვაწის — იაკობის — შესახებ... არ იყო ეს მხოლოდ აკაკის აზრი.

ცნობილია ისიც, რომ ილია იაკობს „ეროვნული სკოლის მოამაგეს, მებრძოლს, გაბედულ კალმოსანს“ უწოდებდა. მოდიოთ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, კიდევ ერთხელ ჩავიკითხოთ ალ. ფრონელის მოგონება: „ილიასთან ვიყავით. შემოუტანეს იაკობ გოგებაშვილის სასწრაფო წერილი. სასწრაფო იმიტომ, რომ პასუხს ახლავე მოითხოვდა... ილია თავის კაბინეტში შევიდა პასუხის დასაწერად, გაიარა ერთმა საათმა, გაიარა მეორემ, მაგრამ ილია არ გამოდიოდა... ბოლოს, როგორც იქნა, გამოვიდა და წავიკითხა, რაც დაეწერა. სულ რამდენიმე სტრიქონი იყო, ხუთი-ექვსი...“ როცა ვაკვირვება გამოუთქვამთ იქ მყოფთ ამდენი დახარჯული დროის გამო, ილიას უბრძანებია: „იაკობ გოგებაშვილი პატარა კაცი არ არის. ბევრი რამე, რასაც ის მოიწერება, ან რასაც იმას მისწერენ, შეიძლება ისტორიის ხვედრი გახდესო“. — ფრონელი არ აზუსტებს, ეს როდის იყო, მაგრამ არა აქვს ამას არსებითი მნიშვნელობა: შეუმცდარია აზრი ილიასი და უტყუარია შეფასება თანამოკალმისა.

თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო ერთმანეთის ქებაში. ერთ-ერთ სალამოზე იაკობს უთქვამს: „მე ღირსი არა ვარ იმ ქება-დიდებასა, რო-

მელიც მე თქვენ მომიპოვეთ. მე ქართველი ხალხისთვის ბევრი არაფერი გამიკეთებია, მაგრამ თუ მართლა რამე გაუკეთე ქართველ ხალხს, მე ეს გავაკეთე ილია ჭავჭავაძის დახმარებით და ხელშეწყობით.

ჩინ-ორდენების მოყვარული ქართველები როდესაც თავს მესხმოდნენ, ჩემი ერთადერთი იმედი, მფარველი და ნუგეშისმომცემი ილია ჭავჭავაძე იყო.

თუ დღეს ჩემ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებს: „დედა ენას“, „ბუნების კარს“ და „რუსსკოე სლოვოს“ საქართველოს სკოლებში ფართო გასავალი მიეცა, ეს უმთავრესად ასე მოხდა ილია ჭავჭავაძის აქტიური დახმარებით და ხელშეწყობით...

ამ საქმეში აგრეთვე დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს ბულბულს აკაკი წერეთელს, რომელიც ჩემი სახელმძღვანელოების შედგენაში მუდამ აქტიურად მენხმარებოდა. ხელს მიწყობდა და მიგერიებდა ყველა იმათ, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ ჩემი სახელმძღვანელოების საქართველოს სკოლებში გავრცელებისა...“

* * *

ვთქვით, ილია და აკაკი ბრძოლითა და ხმაურით შემოვიდნენ საზოგადო ასპარეზზე...

იაკობმა მოკრძალებით შემოაღო ფართო კარები და თავის საქმეს მიაშურა — სკოლას. ილიასა და აკაკის მხარში ამოუდგა და იმ სფეროს სიმძიმე — ეროვნული სკოლა რომ ჰქვია — ძირითადად საკუთარ მხრებზე იტვირთა.

იაკობი 1863 წელს დაბრუნდა საქართველოში კიევიდან. 1865 წელს 25 წლის ჰაბუკი უკვე გამოსცემს წიგნს — „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“. როგორც ამბობენ, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, როცა ასე ახალგაზრდა კაცი ადგენს სახელმძღვანელო წიგნს, ანბანის სახელმძღვანელოს. მაგრამ ასეთი გამონაკლისები ალბათ კაცობრიობის ისტორიამ იცის: საქმე გენიოსთან გვაქვს.

ღირსსაყვანილი ფაქტი: ლევ ტოლსტოის 43-44 წლის ასაკში შეუქმნია საანბანო წიგნი და სიამაყით უთქვამს: „დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი „ანბანი“ სამარადისო ძეგლი დავიდგო“. ამას ამბობს კაცი, რომელიც იმ დროს ავტორი იყო რომანისა „ომი და მშვიდობა“ და იმ პერიოდში წერდა „ანა კარენინას“. მაგრამ, რაც იყო საანბანო წიგნის

ფასი ერისათვის, იცოდა დიდმა მწერალმა და ამიტომაც იწონებდა თავს. ამ გადასახედიდან თუ დავინახავთ იაკობ გოგებაშვილის პიროვნებასა და ღვაწლს, კიდევ უფრო კოლორიტულად წარმოჩნდება მისი გრანდიოზული ფიგურა...

* * *

მაგრამ იაკობი ამ პირველი წიგნით — „ქართული ანბანი“ — მხოლოდ ნიადაგს იმზადებს იმ ძეგლისათვის, რომელიც „ბუნების კართა“ და „დედა ენით“ დაიდგა.

აი, აქ სჭირდებოდა იაკობს აკაკის თანადგომა და დახმარება. ვთქვით უკვე, ამ თანადგომისა და დახმარების გარეშე იაკობი ვერ იქნებოდა იაკობი. ამას თვითონვე ამბობს.

იაკობი კირილე ლორთქიფანიძისათვის გაგზავნილ წერილს მინაწერს გაუკეთებს: „ამ ცოტა ხანში უნდა გაუგზავნო ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს გადაწერილი საყმაწვილო რუსული ლექსები ქართულს ენაზედ გადასათარგმნელათა. ლექსებს ბლომათ ვაწერიებ და კაი ხანს წაართმევს ამ ჩვენ პოეტებს მათი თარგმნა. ამიტომ, ცოტა არ იყოს, ვეჭვენულობ, ვაი თუ უარი მითხრან... არ შეიძლება, რომ თქვენ, პეტრემ და კიდევ სხვებმა ვინმემ გავლენა თქვენი მხრით იქონიოთ ამ ჩვენ პოეტებზედ და გადათარგმნა მოანდომებინოთ და დააჩქარებინოთ“?

ისევ კირილე ლორთქიფანიძისადმი მინაწერი სხვა წერილიდან: „მე შევიტყვე, რომ ა. წერეთელი საზღვარს გარედ არისო. ვის მივმართო ლექსების გადასათარგმნელათ მის მაგიერათ, არ ვიცი“. ცხადია, იაკობისთვის აკაკი შეუცვლელია...

* * *

იაკობის სახელმძღვანელოს („ქართული ანბანი“) შესახებ მოგვიანებით ითქვა, რომ ეს „ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარების ისტორიაში რევოლუციას უდრიდაო“ (ვ. რამიშვილი). თუმცა, ნამდვილი რევოლუცია ჯერ კიდევ მოსახდენია — „დედაენა“ შესაქმნელია.

იაკობი თავაუღებლივ განაგრძობს შრომას და 28 წლის ჭაბუკი გამოსცემს ენციკლოპედიური ხასიათის სახელმძღვანელოს — „ბუნების

კარს“. ეს მეორე რევოლუცია იყო ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში.

მთავარი მაინც წინაა („დედაენა“ შესაქმნელია)... აქ სჭირდება იაკობს აკაკისა და ილიას თანადგომა...

და, აი, ის მთავარიც: 1876 წელს გამოვიდა „დედა ენა“.

გაეიხსენოთ: 1894 წელს „ორნმიან საახალწლო ოპერეტაში“ ილია როგორ შეეხუმრა იაკობს:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან
მას ვაქებ, რაცა მიქია:
დედა-ენა მიჩნს სახელად,
არ თავი გამიქიქია.
იგია ფუძე ქართველისა,
მაგარი, ვითა ჭიქია...
დედა-ენითა წვრთნა ყრმისა
მე ბევრჯერ მითქვამს, მიქია.
დედა-ენა პირველადვე
სიბრძნისაა ერთი დარგი.
ტკბილი ტკბილად გასაგონი,
ყრმათა წვრთნისთვის დიდი მარგი...
მით ზრდას არვინ დამიწუნებს,
თუ კაცია მართლა ვარგი...
სიტყვა სრულად გულსა სწვდება,
დედა-ენა მით არს კარგი“.

ეს პაროდია იაკობსა და ილიას შორის ურთიერთობის ნათელი მაგალითია; დიდი აღიარებაა იაკობისა ილიას მიერ.

ილიას აზრს თუ რა მნიშვნელობა აქვს, იცის იაკობმა. ილიას აზრი აკაკის აზრიცაა და ამიტომ მოიხსენიებს ჩვეულებრივ წყვილად. მათი (ილიასა და აკაკის) წყალობით ვარ, თუ ვარო...

საჩხერიდან აკაკი წერეთელი წერილს მისწერს იაკობს. ფრაგმენტი წერილიდან: „...რა არის, ნუ ხარ ეგოისტი, ერთი აქეთენაც დაენახვე თვალთ ჩვენებურ ბავშვებს!... გუშინ ერთი პაწაწინა მეზობლის გოგონა მეკითხებოდა შენს შესახებ: ბელატია (მელოტი) თუ არა ია-

კობ გოგებაშვილიო? შვილები თუ ყავსო? გაწყრომა თუ იცისო? და სხვანი... ნეტავი მაჩვენაო და მეც შენს პორტრეტს დაეპირდი. დიდათ გაიხარა, ცალკე მინდაო, თვარა „ფერხულიანი“ არის ჩვენს სახლშიო; „ფერხულიანს“ თურმე სხვებთან რომ ხარ, იმას ეძახის. თუ გაქვს, გეთაყვა, შენი პატარა სურათი, გამომიგზავნე...“

არა მგონია, ამ წერილს კომენტარი სჭირდებოდეს. და მაინც, ეს ურთიერთპატივისცემის, სიყვარულის, მოკრძალებისა და აღიარების მაგალითია, ღირსსაცნობი გაკვეთილი...

* * *

იაკობსა და აკაკის ხშირი მიმოწერა ჰქონიათ. ერთხელ იაკობს წერილი შეუგვიანებია აკაკისათვის. მოუბოდიშებს: „შენმა ყმაწვილმა მეგობარმა გიგო დიასამიძემ მითხრა იანვარში, რომ საყვერთველად დაბრუნდებო (აკაკი ევროპაში იყო — გ. გ.), მე ეს მჯეროდა, რადგანაც მასთან ერთად დავიფიწეე, რომ სანატრელი საზოგადოდ ყოველთვის იგვიანებს, ან სულაც არ მოდის, და არასანატრელი კი მუდამ ჰქნებით მორბის. ამ ჰუმარიტების დავიწყება იყო მიზეზი, რომ წერილი ვერ მოგწერე...“

შეუგვიანდებათ ერთმანეთის ნახვა და „სანატრელს“ წერილებით ენაშურებიან; ნახვის ნატვრას ამით იკლავენ...

აკაკი: „თუ ვინიცობაა მოიცალო და მოგინდეს ჩემთან წერილის მოწერა, რომელიც ჩემთვის სასიამოვნო იქნება, აი ჩემი ადრესი...“

იაკობი: „გიგზავნი აპელსინებს, რადგანაც გავიგე, რომ კიდევ გიყვარს და კიდევაც გარგებს. „სულით და გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირებაო“, სთქვა ქართველმა პოეტმა, რომლის სიცოცხლის, სიმრთელის და გამარჯვების მონატრულია იაკობ გოგებაშვილი...“

აღბათ ამ შემთხვევის გამო იგონებს იოსებ სრესელი: „ერთ დღეს იაკობმა მეგობრის ავადმყოფობის ამბავი შეიტყო, ძალზე შეწუხდა და სასწრაფოდ გაუგზავნა სხვიტორში პატარა ბარათი და მცირედი მოსაკითხი. დიდი დრო არ გასულა, როდესაც იაკობმა გრძნობით აღსავეს წერილი მიიღო სხვიტორიდან, რამაც გაახარა მეგობრის ავადმყოფობის გამო დადარდიანებული იაკობი. აკაკი იწერებოდა: „ძმაო იაკობ, არის ხოლმე ისეთი გარემოება, როცა ადამიანი მალლობასაც ვეღარ ახერ-

ხებს. შენი მოსაკითხი სიცოცხლის წილად მივითვალე, იმდენად დაკმაყოფილდა ჩემი ზნეობრივი მხარე“.

კვლავ წერილების დიალოგი:

აკაკი: „ხანდახან კი მომენატრება ხოლმე, როგორც მარტოსულს, ზოგიერთ ჩემი ნაცნობის ნახვა და მათ რიცხვში შენი ყველაზე უმაღლესი გეგონოს, რომ იმერულათა გწერდე!... აკაკურადა გწერ, მხოლოდ გულის აყოლით... თუ მოვაწიე გაისამდე, ეგებო გაგაბედვიო, როგორმე რამდენიმე დღით ჩამოტყუება!... იმედი კი არა მაქვს, მაგრამ მაინც თავს ვიტყუებ და გიმზადებ ოთახებს, სწორეთ, შენი გემოს საკადრისს“. მოგეხსენებათ, თავისი ჯანმრთელობის გამო, იაკობი ძირითადად თბილისშია, ერიდება წასვლას... ამიტომ არა აქვს იმედი აკაკის...

* * *

პირადულ, ერთი შეხედვით, მხოლოდ სათავისო პრობლემებსაც უმხელენ ერთმანეთს, თითქოს თავიანთი მოქმედების დასტურსაც სთხოვენ: აკაკი იაკობს მისწერს — „...მარსელში შეილი დამიხვდა. არ ვიცი, მე მომეგება თუ ჩემ ჯიბეს? თუ ჩემ ჯიბეს, შემეცდარა, რადგანაც მე ყოველთვის და ყველგან კნიაზური ჯიბით დავდივარ!...“ ასეთი გულისტკივილი კაცმა შეიძლება მხოლოდ უახლოეს პიროვნებას გაუმხილოს. იაკობია ასეთი პიროვნება აკაკისათვის.

იაკობიც ფიქრობს და ზრუნავს აკაკის შესახებ. ზრუნავს აკაკის ფონდის დაარსებაზე. ვალერიან გუნიასადმი მიწერილი წერილიდან: „სტატია გავუგზავნე საიუბილეო კომიტეტის მდივანს ფირცხალავას, რადგანაც იგი შეეხებოდა აკაკის ფონდსა. გაიცანით ეს სტატია და თუ მოგეწონოთ, დაბეჭდეთ თქვენს ალმანახში“... (1908 წელი).

იაკობს აფიქრებს და ადარდებს აკაკის მდგომარეობა. ამიტომაც აიძვრება და გულს უკეთებს მას; ერთი წერილიც: „დღეს შენ ცოტა პესიმიურს მდგომარეობაში გნახე და ძლიერ გამიკვირდა. გამიკვირდა იმის გამო, რომ შენს პესიმიზმს არავითარი საფუძველი არა აქვს. ექიმების საერთო აზრით, რომელიც მათ გამოსთქვეს კრებაზედ, შენი ჩინებული აგებულება გიქადის ხანგრძლივს და საღს სიცოცხლესა. სწორედ ამის გამო დაგენიშნა შენ პენსიად თვეში თხუთმეტი თუმანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრად მეტს დაგენიშნავდით. დაგენიშნავდით იმის გამო, რომ სრული იმედი გვაქვს მხურვალე თანაგრძნობისა და

სიუხვისა ქართულის საზოგადოების მხრივ. გარდა ამ ყოველთვის პენსიისა, კომიტეტი იყისრებს დაკმაყოფილებას ბანკისას, რომელშიც დაგირავებულია შენი მამული. ერთი სიტყვით, შენ სრულიად დამშვიდებული უნდა იყო, და შეგიძლიან იფიქრო მხოლოდ შენს მომავალს პოეტურს ქმნილებებზე, რადგანაც შენისთანა ოლიმპიელისათვის ამისთანა ფიქრი საუკეთესო ღონისძიებაა მაღალის შშვიდობიანობისათვის, რაც შეადგენს შენთვის აუცილებელს პირობას დროიანად გამართლებისათვის“ (ხაზი ჩემია — გ. გ.).

ეს წერილიც უკომენტაროდ უნდა ჩავიკითხოთ, ალბათ...

* * *

ერთი უჩვეულო კომპლიმენტიც პირადი წერილებიდან: აკაკი სწერს იაკობს: „...სხვათა შორის მოამბის №11 გადავიკითხე და ძალიან მომეწონა. სწორედ კარგი ნომერია. მაგრამ გვირგვინი კი ყველა სტატიების „ნაცნობის“ სტატიაა. მე შენი სტატია მგონია და მართალია თუ არა? მაგრამ რომ შენი არ გამოდგეს, უფრო მოხარული ვიქნები! მაშინ ერთის მაგიერ ორი იაკობი გვეყოლება!!!“

მარიამ დემურისას საყმაწვილო წიგნების გამოცემა განუზრახავს და აკაკისათვის მიუმართავს. აკაკი საჩხერეშია. აკაკის ამ საქმისათვის შესაფერისად იაკობი მიუჩნევია. წერილს მისწერს იაკობს: „...საყმაწვილო წიგნები უნდა გამოვსცეთ ქალებმან და დაგვემარეო!... მე რა ავტორიტეტი ვარ, რომ აქ მომწვდენ? შენ მანდ არა ხარ? შენ უკეთ მოახერხებ საყმაწვილოსაც და სავაჟკაცოსაც?... გეთაყვა, თუ მოგმართონ, ზურგს ნუ უჩვენებ...“

პატივმოყვარეობა და ამბიციი შორისაა მათგან. საქვეყნო საქმეს ასე სჭირდება: ვინც უკეთ შეძლებს ამა თუ იმ საქმის გაძლოლას, საქმე მან უნდა აკეთოს. ამის მაგალითი თავად იაკობსაც მოუცია:

გაზეთ „კავკაზში“ იანოვსკის წერილი გამოქვეყნდა ჩვენს ქვეყანაში სახალხო სკოლების მოწყობის თაობაზე. იაკობი წერს: „პასუხის დაწერა რედაქციამ მე დამავალა; მაგრამ მე მივუგე: საჭიროა უფრო გამოჩინილმა და გავლენიანმა ქართველმა გასცეს პასუხი, მაგალითად ილია ჭავჭავაძემ. ყველა საჭირო მასალას ილიას მე თვითონ მივუტან; სამაგიეროდ როცა ამ დღეებში იანოვსკის პლანი გამოვა, მის გარჩევას მე ვკისრულობ-მეთქი. და ასეც მოხდა. ასეთი განაწილება შრომისა

ილიას და ჩემს შორის პირველი არ იყო. როცა გორის საოსტატო სემინარიიდან დასაბეჭდად მოუვიდა 1876 წელში მზრუნველსა ქართულ-რუსული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, რუსული ასოებით დაწერილი, ნაცვლად ქართულისა, ილიამ და მე გადავწყვიტეთ მასხრად აგვეგდო — იმას „ივერიაში“ და მე „დროებაში“ და კიდევ შევასრულეთ ორივე და მახინჯი ჩანასახი დედის მუცელშივე გაწყალდა“.

ბელნიერი შემთხვევაა: გვერდიგვერდ მოღვაწეობენ ილია, აკაკი და იაკობი. იციან ფასი და ძალა თავიანთი თავისაც და ერთმანეთისაც. საქვეყნო საქმეს ინაწილებენ და იმარჯვებს ეს საქვეყნო საქმე...

ერთმანეთის ძალასა და ენერგიასაც უფრთხილდებიან. ანტონ ფურცელაძემ 1909 წ. გაზეთ „Тифлисский листок“-ში წერილი გამოაქვეყნა ბანკის მუშაობის თაობაზე. თავის თავზე ბევრი რამ მიიწერა და სხვისი ღვაწლი მიჩქმალა. აღაშფოთა ამან იაკობი და გაზეთ „Закавказье“-ში საპასუხო წერილი დაბეჭდა. აკაკიმ მისწერა იაკობს: „შენი წერილი ანტონზე წავიკითხე, რას იხარჯებოდი? ვინ შენ და ვინ ანტონი?...“

როგორ მიმართავენ ერთმანეთს... იაკობი თითქმის ერთნაირად იწყებს პირად წერილებს — „ძვირფასო აკაკი!“ ერთადერთ წერილს იწყებს ასე: „ბატონო აკაკი!“ ამ წერილში საყვედურია გამოთქმული აკაკის მიმართ: „...რომელმა ჭორიკანა ჭინჭრაქამ დაგარწმუნა, რომ მე „ივერიაში“ ვითომ მხურვალე მონაწილეობას ვიღებ...“ და მისთანანი. ითქვა საყვედური, იმართლა თავი იაკობმა და წერილი ტრადიციულად, აკაკისადმი სიკეთის სურვილით დაასრულა: „ივერიის“ სხვადასხვა მძიმე შეცდომაში თუ დანაშაულობაში, მე იმდენადვე ბრალი მიდევს, რამდენიც შენი სახლ-კარის გადაბუგვაში. ქართველი გლეხის აზრით, ქონების ცეცხლით გადაბუგვა — პატრონის დღეგრძელობას მოასწავებსო. ვინუგეშოთ ამ ტყბილი იმედით მაინცა. თქვენი ყოველი სიკეთის მონატური იაკობ გოგებაშვილი...“

ღირსსაცნობი ფაქტი: ერთი პირადი წერილი შემორჩა იაკობისა ილიასადმი. ასე იწყება: „ძმავ ილია“ და საერთოდ, ჩვენი კლასიკოსების ეპისტოლარული მემკვიდრეობა შესასწავლია, თუნდაც მიმართვის ფორმები. ბევრი რამ ჩანს საგულისხმო ამ ფორმებში...

აკაკის წერილებში მეტი მრავალფეროვნებაა: „ძმავ იაკობ!“ „ძვირფასო მეგობარო იაკობ“, „წარსულის შვილო, მომავლის მამავ და მუობადის გადიავ, ძმავ იაკობ!“, „ბატონო იაკობ!“ ამ შემთხვევაშიც ბატონობით მიმართვა განაწყენებული ადრესანტის პოზიციის გამომჟღავნებაა: „მივივრს და გამკვირვებია, რომ ის გაზეთი, სადაც შენ მხურვალე მონაწილეობას იღებ, კიდევ მაინც ასე წინდაუხედავად წაიკუნტრუმებს ხოლმე!...“

აკაც ჩანს თითოეული მათგანის პიროვნება... განუმეორებელი და სანიმუშო ურთიერთდამოკიდებულება.

პირად წერილში მისწერს იაკობი აკაკის: „საზოგადოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ჩემს წიგნშიც არ მოიპოვება არც ერთი სიტყვა, არც ფრაზა, რომელიც ნათქვამი იყოს სახელის გულისათვის. ყოველ შემთხვევაში მე სახეში მქონდა და მაქვს სიკეთე ჩემი ტანჯული ერისა და სხვა არაფერი. ეს შენ კარგად იცი და მინდა, რომ სხვებმაც შეიგნონ...“

სიცოცხლე მხოლოდ მაშინ ფასობს, თუ ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეს აკეთებ: „პირადათ ჩემთვის სულ ერთია, დღეს აღარ ვიქნები თუ ხვალ, მაგრამ ის კი მწყინს, რომ, როდესაც დაემწიფდი, ჩავჯექი გრძნობა-გონებაში, მაშინ უნდა შევიქმნე უძლური და ურგები ქვეყნისათვის...“ ამ დარღსაც აკაკი იაკობს გაუმხელს პირად წერილში...

არ არის შემთხვევითი ეს განდობა ერთისა მეორესთან.

* * *

იაკობი ხანგრძლივად ავადმყოფობდა. 1912 წლის 14 მარტს ანდერძი შეუდგენია (1 ივნისს გარდაიცვალა). თავისი ქონება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უანდერძა და მასვე დააკისრა ანდერძის პირობების დაცვა. ერთ-ერთი პირობა ასეთი იყო: „წერა-კითხვის საზოგადოება“ „ყოველწლიურად აძლევს აკაკი როსტომის ძე წერეთელს ას მანეთს, როგორც ჰონორარს იმ საბავშვო ლექსებისათვის, რომლებიც იბეჭდება „დედა-ენაში“ და რომლებიც ჩემის თხოვნით სპეციალურად დაწერილა ამ ჩემი გამოცემისათვის...“ იაკობმა ანდერძში პერსონალურად მოიხსენია თავისი და — ეფემია, დისშვილები გიორგი და კონსტანტინე, ძმისშვილი შალვა და აკაკი წერეთელი! საგულისხმო ფაქტია...

აკაკის ბედმა არგუნა, გამოსათხოვარი სიტყვა ეთქვა იაკობისთვის. ასე დაასრულა სიტყვა: „აქ კი ილაღადებენ შენი ნაშრომნი და დარჩება სამარადისოდ შენგან გატკეპნილი გზა და ვინც ამ გზას არ გაივლის, ის არც ქართველად იხსენიება. კურთხეულ იყოს სამარადისოდ ის წმინდა გზა და მასთან ერთად სახსენებელი შენი...“

იყვნენ მოღვაწენი, იცოდნენ ფასი ერთმანეთისა და გვიტარებდნენ სამომავლო გაკვეთილებს ერთმანეთის შეფასება-დაფასებაში.

ერთმანეთში არ დაობდნენ? არ კამათობდნენ? ყველაფერში ერთანხმობდნენ ერთმანეთს? არ იყო, რა თქმა უნდა, ასე...

* * *

გავიხსენოთ ცნობილი პაექრობა აკაკისა და იაკობს შორის ენობრივ საკითხებზე. ესეც გავიხსენოთ: ზოგადი პოზიცია თაობისა, ილიას თაობისა, საერთოა: ენა უნიკალური ფენომენია და ეროვნულობის უპირველესი ნიშანი; მამულიშვილობა, მამულისმოყვარეობა დედაენის სადარაჯოზე მტკიცედ დგომაა.

ვფიქრობთ, დღევანდელ მკითხველს ბევრ რამეზე დააფიქრებს მათი სიტყვა, საქმე და ქმედება; საუკუნისწინანდელი კულტურა პოლემიკისა. ფაქტია: მათთვის არსებობს საზოგადო საქმე და უკოპრომისობა საზოგადო ინტერესებიდან გამომდინარე. პიროვნულ სიმპათია-ანტიპათიებს ამ შემთხვევაში ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ. უფრო სწორად: პიროვნული ურთიერთობანი, პიროვნული სიმპათია-ანტიპათია ობიექტურ სათქმელს გვერდს არ აავლებინებს. ზოგჯერ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ძალზედ მკაცრია ტონი მოპაექრეთა; ერთი შეხედვით პიროვნული ღირსების შემლახველიც, თითქოს, მაგრამ ეს მხოლოდ „თითქოს“... მათი პირადი ურთიერთობები, მათი პირადი დამოკიდებულებები ამით არ იცვლება, ეს მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე უარყოფითად არ მოქმედებდა...

დღეს გაჭირდება მსგავსი მაგალითების მოძიება. ალბათ დრომ უნდა განვლოს, რომ ჩვენი საპოლემიკო კულტურა იმ დონეზე ავიდეს, XIX საუკუნის მეორე ნახევარში რომ იყო...

ახლა კონრეტულად: ენობრივ საკითხებზე პაექრობენ აკაკი და იაკობი.

* * *

1894 წლის 3 ივლისს გაზეთ „კვალის“ 28-ე ნომერში დაიბეჭდა აკაკი წერეთლის მომცრო წერილი „ჭრელი ფიქრები“. აკაკი ჩვეული იუმორისტული და ირონიული სტილით მიმოიხილავს გაზეთ „ივერიის“ 137-ე ნომერში დაბეჭდილ არაკს. არაკის პერსონაჟები არიან გუგული, ბულბული და ვირი. წერილს ასე დაასრულებს აკაკი: „ერთი წუთი იმ ვირისა ის არის, რომ ქართული არ ჰცოდნია; მის ნაცვლად, რომ გუგულს უთხრას, პირველ მგალობლად „აღგიარებო“, ის ჩიქორთულად ეუბნება „გაღიარებო“. საგულისხმოა, რომ „ჭრელი ფიქრების“ ავტორი საანალიზოდ აღებული არაკის ავტორს არ ასახელებს. არადა, ავტორი „ივერიაში“ გამოქვეყნებული არაკისა იაკობ გოგებაშვილი იყო. ამიტომაც იაკობი პასუხს გასცემს, „პაწია სამაგიერო“ ჰქვია საპასუხო წერილს, რომელსაც ასეთ ეპიგრაფს წარუმძღვარებს: „რომელითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოსთ თქვენ“. ეს ეპიგრაფიც და სათაურიც იმას გულისხმობს, რომ იაკობი თავს იმართლებს და ენობრივ შეცდომებს დაძებნის აკაკის წერილში.

აკაკიმ სადავოდ გახადა „გაღიარებ“ ფორმის მართებულობა. მოდიტ ჩვეუფიქრდეთ: ორი გენიოსი, საქვეყნო საქმეში ყელამდე ჩაფლული მოღვაწეები „იკლიან“ და ერთი ზმნური ფორმის მართებულობა უმართებულობაზე დაობენ, პაექრობენ... თითქოსდა მარტივი საკითხია „აღგიარებ“ არის სწორი თუ „გაღიარებ“. შეიძლება ზოგ დღევანდელ „მოღვაწეს“ ღიმილიც კი მოჰგვაროს ამ ფაქტმა (— მეტი საქმე არა ჰქონდათ?), მაგრამ როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის საკითხი უფრო პრინციპულად დგას: საქმე სწორმეტყველებას ეხება და ამ შემთხვევაში აკაკი თვალს ვერ მოუხუჭავს ვერავის შეცდომას... ასევე პრინციპულია ეს საკითხი იაკობისათვის — მას ქართული დაუწუნეს! დიახ, ქართული დაუწუნეს კაცს, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება ქართული ენის სამსახურს შეაღია... სხვა რომ არა იყოს რა, ამგვარი საქმიანობის კაცისთვის ეს თავმოყვარეობა-პატივმოყვარეობის შელახვაა...

თუმცა ნუ გავიგებთ ასე; იაკობი არასდროს ყოფილა ახირებულნი პიროვნება; მე ასე ვთქვი და ესაა სწორიო — არ იყო მისი პრინციპი. მართალია, იგონებენ, რომ „თავისნათქვამა“ იყო, მაგრამ „თავისნათ-

ქვამობა" საკუთარი აზრის კემპარიტებაში დარწმუნებულობის გამო-
ხატვა იყო. მისი თანამედროვენი არაერთ მაგალითს მოიყვანენ ამ აზ-
რის დასტურად...

იაკობი პირადი ღირსების შელახვად არ მიიჩნევს საკუთარი შე-
ცდომის აღიარებას. ამბობდა, შეუცდომელი მხოლოდ ღმერთია და
უსაქმო ძულისგუდაო!... ეს გენიოსთა დიდკაცური თვისება იყო... არა
თუ აკაკი წერეთელისაგან, რომელსაც იაკობი უალრესად დიდ პატივს
სცემს, არამედ ნაკლებად გამოჩენილი და ახალგაზრდა კაცისაგან მიუ-
ღია მას შენიშვნა.

იოსებ მჭედლიშვილი იგონებს: 15-16 წლისა ვიქნებოდი, იაკობს
რომ გავეცანიო. „როდესაც ლაპარაკში შევეჩვიე, ისე წავთამამდი, რომ
აქა-იქ ფრთხილად ენაც დავუწუნე მის სახელმძღვანელოებს... თქვენს
წიგნებში ზოგან არ არის ხალხურად დაწერილი წერილებიო... — აბა,
სადა, მაჩვენეო“, — უთქვამს იაკობს და „ბუნების კარი“ მიუწვდია; ცო-
ტა არ იყოს, შევფიქრდიო, განაგრძობს ი. მჭედლიშვილი. დინჯად
გადაუშლია წიგნი და უპოვია სასურველი — ამბავი გველზე, რომელიც
ასე იწყება: „ყველამ იცის, რომ გველი შხამიანი ცხოველია“. ყმაწვილ-
კაცს შეუნიშნავს, ხალხი იტყვის: „ყველამ იცის, გველი შხამიანი ცხო-
ველია“. ი. მჭედლიშვილს მსგავსი მაგალითები სხვაც დაუძებნია. ია-
კობს უთქვამს: „იცი, ყმაწვილო, შენ მართალი ხარ, ზოგიერთ ადგილს
არ უნდა „რომ“. მერე წიგნიც უჩუქებია და უთხოვია, რაც კი გასწო-
რების ღირსად ცნო, გაასწორე და მომიტანეო...

ისიც ცნობილი ფაქტია, რომ იაკობს ჯილდო ჰქონდა დაწესებუ-
ლი, ვინც მის სახელმძღვანელოში შეცდომას აღმოაჩენდა, თითო შე-
ცდომის აღმოჩენაში შაურს ჩუქნიდა; ეს მაშინ, როცა „დედაენის“ სა-
ანბანე ნაწილი ორი შაური ღირდა... წიგნის საფასურის ნახევარს აძ-
ლევდა საჩუქრად ერთი შეცდომის აღმომჩენს!

და ამიტომაც ერთი სადავო ზმნური ფორმის გამო — გაღიარებ
თუ აღგიარებ — პოლემიკას უმართავს აკაკის... თუმცა, არა მხოლოდ
აკაკის: იაკობის საპასუხო წერილს „კვალის“ სარედაქციო წერილი მო-
ჰყვა. რა თქმა უნდა, აკაკის ემზრობოდნენ. შემდგომ იაკობს დაუპირის-
პირდნენ გ. წერეთელი, კ. დოდაშვილი და ს. ხუნდაძე. ამ პოლემიკის

დროს 7 წერილი გამოქვეყნდა იაკობისა... დავის საგანი, გარდა აღნიშნული ფორმებისა, სხვა საკითხებიც გახდა.

იაკობი პრინციპულად იცავს თავს და ყველა საპასუხო წერილში აკაკის სახელი გაიეღვებს, როგორც პოლემიკის წამომწყებისა და ამ პოლემიკის ფარული წამქეზებლისა. აკაკის ირონიულ, ზოგჯერ ცინიკურ, ტონს არც იაკობი ჩამორჩება. ზოგ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დარჩეს მკითხველს, თითქოს დაუძინებელი მტრები ებაექრებიანო ერთმანეთს. მაგალითად, აკაკის „ჭრელი ფიქრების“ საპასუხო წერილში „პაწია სამაგიერო“ იაკობი წერს: აკაკის წერილი „შეთხზულია მხოლოდ წერილის კულისთვის, რომელიც სწორედ მორიელის კუდს მოგაგონებთ. აი, ეს გესლიანი კუდი მთლად“ და იაკობს შემდეგ მოჰყავს ციტატა, ზევით რომ მოვიყვანეთ, ის ციტატა. იაკობის წერილის ამ ადგილს და საერთოდ იაკობის განწყობას აკაკი საპასუხო წერილში ასეთი ვარიაციით წარმოგვიდგენს: იაკობი ამბობსო, „აკაკიმ მორიელივით კუდი მოიქნია, ჩემი გათახსირება მოინდომა; მოუმიზეზებია, უნდა დაბალ ლობედ მნახოს, დამჩაგროს, უსაფუძვლოდ მიკბინოს და სხვანი“... აკაკი, რა თქმა უნდა, ამუქებს იაკობის აზრს. აქვე შევნიშნავთ, ასე გამუქება, ასე დაძაბვა სიტუაციისა სამსჯელო საგნის (დედაენის სიწმინდის) დიდმნიშვნელოვნობიდან გამომდინარეობს...

და აკაკი განაგრძობს: „უნდა რომ დამჩაგროს, უსაფუძვლოდ მიკბინოს და სხვანი: თვარა მე ქართულში უცოდველი ვარ და სხვები კი ყველა დამნაშავეო და მათ რიცხვში, რასაკვირველია, აკაკიცო, რადგან მის პატარ წერილში ათი მსხვილი და უტყუარი შეცდომა ვიპოვეო“. ერთგანაც და მეორეგანაც საკმაოდაა ისეთი სიტყვები, რომლებიც შეიძლებოდა განაწყენების საფუძველი შექმნილიყო. მაგრამ სიტყვაზე გამოდევნება არაა მათი ჩვევა. ეს სიტყვა რად მითხარი და რად მაკადრეო, არაა ამაზე საუბარი... ყველაზე დიდი შეურაცხყოფა, რაც შეიძლება იაკობს ანდა აკაკის მიყენონ, ესაა ენის უცოდინარობის დაბრალება. ამას უნდა მივაპყრათ ყურადღება. იაკობი წერს: „გესლიანობას ჭერჭერობით თვალი ავარიდოთ და მივაქციოთ ჩვენი ყურადღება მხოლოდ ენის უცოდინარობის დაბრალებას“. აკაკი ასე იტყვის: „ვნახოთ ახლა, ან თავს როგორ მართლულობს, ან მე როგორ მიმტკიცებს ენის უფიცობას...“

საგულისხმო ფაქტია და სადღეისოდაც სანატრელი თვისება კაცისა: ქართველს ქართულის არცოდნა ყველაზე დიდ ცოდვად მიაჩნია და დედაენის უცოდინარობაში მხილება, ყველაზე დიდ დანაშაულად... და ეს იყო საუკუნის წინათ. ეს იყო ილიას, აკაკის, იაკობის, ვჟაჟასა და ზოგი სხვისაც აქტიური ეროვნული პოზიციის გამჟღავნება. მათთვის ჭეშმარიტი ქართველობის, მამულიშვილობის ერთ-ერთი გამოვლინება დედაენის ღირსეული ცოდნა იყო.

დიდად საინტერესოა ისიც, ვის ეკამათებიან ისინი, ვის თვლიან პაექრობის ღირსად. იაკობ ბურჭულაძე იგონებს: „იაკობი ეკამათებოდა გიორგი წერეთელსა და დოდაშვილს, რომლებმაც უსაყვედურებს იაკობს: „ნმა ვერ ამოგვიღია გოგებაშვილის მიერ შედგენილი წიგნების შესახებ, მაშინვე იაკობი ქვა-გუნდასა და ცეცხლს დაგვაყრისო“. იაკობმა სხვათა შორის უპასუხა: „ოთხ კრიტიკოსში მხოლოდ ერთს ვაძლევდი პასუხს. ეს ჩვენი პასუხი ყოველთვის იყო თავაზიანი, თუ კრიტიკოსი მართებულად გვეპყრობოდა ჩვენ და ჩვენს წიგნებსა. მაგალითად, წარსული წლის მაისში ერთმა ახალციხელმა მასწავლებელმა დაბეჭდა „ივერიაში“ ვრცელი შენიშვნები „დედაენის“ შესახებ. შენიშვნები იყო დაწერილი გულწრფელად (გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება — გ. გ.)... საგნის სიყვარულით, მიუდგომლად და მიუფერებლად. ჩვენც ასეთივე შენიშვნები დავუწერეთ „მოამბეში“ და სრულის თავაზიანობით მოვეპყარით. გ. წერეთელმა და დოდაშვილმა ჩვენი დამცირება მოინდომეს და თვითონ იქმნენ დამცირებული ჩვენ მიერ“.

აქ აშკარად გამოიკვეთა საპოლემიკო პრინციპები იაკობისა: თავაზიანობა, გულწრფელობა, საგნის სიყვარული, ობიექტურობა („მიუდგომლობა“)...

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ პაექრობას აკაკისა და იაკობს შორის. ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დარჩეს, თითქოს აკაკისთან კამათში თავაზიანობის პრინციპი ირღვევა: იქ გესლზე, შხამზე და მორიელობაზეა საუბარი. თუმცა ეს ერთი შეხედვით...

მაგრამ ჯერ აკაკისეული საპოლემიკო პრინციპიც გავიხსენოთ. იაკობის წერილს „პაწია სამაგიერო“ აკაკი უპასუხებს წერილით „არცოდნა, არცოდვაო“. წერილს ასე იწყებს: „ბატონმა დოდაშვილმა, გიორგი წერეთელმა და მე დავსკვენით პირობა, რომ „ყვალისათვის“ კი-

დევ ერთი განყოფილება მიგვემატებია — „სასწორმეტყველო“ და ჩვენს მწერლობაში როცა შევნიშნავდით ურიგო ქართულს, გვემხილება ხოლმე. პირველი სანიმუშო ისარი მე გაეტყორცნე და იმ ისარმაც ყურთან გაუზუზუნა ბატონ იაკობ სიმონიძეს (სიმონიძე, მოგეხსენებათ, იაკობის ფსევდონიმა — გ. გ.); — აკაკი განაგრძობს: ბატონი იაკობი ყურთან ისრის გაუზუზუნებას როგორ აიცილენდა? ეს ჩვენ წინდაწინვე ვიცოდით, მაგრამ მაინც პირველად სიმონიძეს მიტომ გამოვეთამაშეთ, რომ ის სხვებზე უფრო შესამჩნევია: ის ზრდის და ისა წვრთნის ქართველ ახალგაზრდობას, ენასაც ყველა მისგან სწავლობს და, მაშასადამე, იმის მცირე შეცდომასაც უფრო მეტი ვნების მოტანა შეუძლია, ვიდრე სხვისას. ეს ჩვენი უმანკო აზრი და კეთილი განზრახვა იყოო...”

აქედან გამომდინარე, აკაკისეული პრინციპი პოლემიკისა შეიძლება ასეც ჩამოყალიბდეს: ნებისმიერი კრიტიკა და ნებისმიერი პოლემიკა მაშინ შეიძლება ჩაითვალოს გამართლებად, თუ ის საზოგადო ინტერესს ემსახურება. პიროვნულ, სუბიექტურ ინტერესებზე აგებული პოლემიკა მანკიერი აზრია და ბოროტი განზრახვაო.

აქ ილიას აზრიც მინდა გავიხსენო: „ჩვენი ქართული ენა ისე გვიყვარს, რომ ჯერ ვეცდებით, რომ მის წინააღმდეგ არ მოვიქცეთ და თუ ღმერთი გაგვიწყრა და უხერხოდ მოგვივა რამე, მის შენიშვნას სიხარულით და მადლობით მივიღებთ“. ფაქტია: ძირითადი პრინციპი ერთია... ამის დასტურად ერთ ადგილსაც მოვიყვან აკაკისადმი იაკობის საპასუხო წერილიდან:

აკაკი ერთ-ერთ თავის წერილში წერდა, რომ ვაპირებდი „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ ენობრივ გარჩევასაც, მაგრამ არ მინდა იაკობს ვაწყენინო და ამ განზრახვაზე ხელს ვიღებო. იაკობი უპასუხებს: „თუ მართლა ამ განზრახვაზედ ხელი აიღო აკაკიმ, დიდად გვაწყენინებს. ჩვენი გულითადი ნატვრა იყო და არის, მოვესწროთ როდისმე ჩვენის წიგნების გარჩევას შეგნებულისა და განვითარებულის პირის მიერ. რადგანაც ამისთანა პირთა შორის აკაკის ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს, ამიტომ უკეთესს კრიტიკოსს ვეღარც კი ვინატრებთ. სამაგიერო სიკეთეს ვეცდებით გადავუხადოთ დაუყოვნებლივ. ჩვენ ჯერ პასუხს ვუგებთ, შემდეგ გავარჩევთ მის თხზულებებსა და დავაფასებთ შეძლებისდაგვარად მისს ენას. სიკეთის მეტს ეს, ერთმანეთის ნაწერის

დაფასება, არაფერს არ მოიტანას". ამ მწვავე პოლემიკაში ნათლად გამოკვეთილი პიროვნული პატივისცემა იაკობისა აკაკის მიმართ. ეს მთავარია, რომ კრიტიკა უკადრის პოლემიკად არ გადაიქცეს. ასეთივეა აკაკის პოზიცია: „ჩვენ დიდი პატივისმცემელი ვართ იაკობ სიმონიძისა და მისი წყენა სრულიად არ გვესიამოვნებაო“, — აცხადებს და განაგრძობს პოლემიკას... თუმცა ცხელ გულზე აკაკისა და იაკობის კამათში მაინც გაიელვებს უსიამოვნო ტონი, მაინც დაირღვა თავაზიანობის პრინციპი... ამას თვითონვე გრძნობენ და ცდილობენ, მკითხველის თვალში ახსნა მოუქებონ. იაკობი ასეთ რაიმეს წერს: აკაკი ამბობს, რომ მართალია, შხამიანი ისარი ვესროლეთ ერთმანეთს, მაგრამ ეს ისე მოგვივიდა, უცაბედად, ლამაზის, მახვილის სიტყვის სიყვარულით და მე მჯერაო ეს; მეც ვეთანხმებიო. როგორც ვხედავთ, წამოცდენილი უსიამოვნო სიტყვისათვის ბოდიშს უხდიან ერთმანეთს და გრძელდება პოლემიკა. საინტერესო ტერმინებს გამოიყენებენ: რიგიანი კრიტიკა, ნაყოფიერი კრიტიკა და ანტიკრიტიკა. ერთგან უკადრისი პოლემიკაც ითქვა. თუკი ვინმე ქართული პოლემიკური კულტურის ისტორიას შეისწავლის, უმდიდრეს მასალას მოგვცემენ ჩვენი კლასიკოსები ამისთვის.

ღიახ, მათთვის პოლემიკა არის საკადრისი და უკადრისი. უკადრისი პოლემიკა იგივე ანტიკრიტიკაა...

ზემოთ საპოლემიკო კულტურაზე გვქონდა საუბარი; აკაკისა და იაკობის პოლემიკას რომ ვიხსენებთ (ასევე აკაკისა და ილიას პოლემიკას), და ამ ფონზე საუკუნისშემდგომდროინდელ საპოლემიკო კულტურას გადავავლებთ თვალს, სამწუხარო რეალობის წინაშე დავდგებით: წარსულის გაკვეთილებს უკვალოდ ჩაუვლია... მთავარი მიზანი დაიკარგა: ის, რასაც ეროვნული ინტერესი ჰქვია. პიროვნულმა ინტერესებმა იმძლავრეს...

თუმცა, ეს შორს წაგვიყვანს... ისევ საკითხს დავუბრუნდეთ, დავა ენობრივ პრობლემებზე აკაკისა და იაკობს შორის ერთი ზმნური ფორმის მართლწერის თაობაზე წარმოიშვა. გავიხსენოთ: სადავო ის ფორმა გახდა, იაკობის არაკში ვირი რომ ეუბნება გუგულს — „პირველ მგალობლად გაღიარებო“. გაღიარებ ფორმა მიუღებელია აკაკისათვის. უნდა იყოსო: პირველ მგალობლად აღგიარებო. კაცმა რომ თქვას, ღირდა კი ამ ერთი ფორმის თაობაზე ამდენი დავა? მაგრამ, როგორც ჩანს,

ღირდა. აქ პრინციპია მთავარი. აკაკის მოწონებული ალგიარებ ფორმა ისტორიულად მართებული ფორმაა. საღმრთო წერილს მოიშველიებს კიდეც აკაკი არგუმენტად, თუმცა ეს არგუმენტი იაკობისთვისაც ნაცნობია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის უდავოდ გასაზიარებელია იაკობის მსჯელობა: „საღმრთო წერილის ენაზედ მეთაე საუკუნიდან აღარ სდგას საქართველო და ახლა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს როგორ დაეუბრუნდეთ, ხომ მთლად დამარხა მოგვიდნება ახლანდელის ცოცხალის ენისა ლიტერატურასა და საუბარში?“

რთული დრო უდგას ქართულ სალიტერატურო ენას: არა გვაქვს ერთიანი ნორმები. ძირითადი პრინციპი ნათელია, თუმცა ცალკეული კონკრეტული საკითხების გარკვევა დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. ხშირ შემთხვევაში იმ ენობრივი საფუძვლის კვალიც იჩენს თავს, რომელზედაც აღიზარდნენ. ამიტომაც, აკაკი ზოგჯერ ისეთი ფორმის მართებულობასაც ამტკიცებს, სხვისთვის რომ უდავოა (გავიხსენოთ აკაკის მსჯელობა „ყოლიფერი“ სიტყვის თაობაზე: ყოველი ფერი და არა ყველა ფერიო...), თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ალგიარებ და გალიარებ რომ არის, საქმე სხვაგვარადაა...

თუმცა დიალექტური ვარიანტების საკითხი მათთან მაინც დგას. ერთ-ერთ საპოლემიკო წერილში იაკობი ამ საკითხზეც მსჯელობს. ეტყობა, მას შეუმოწმებია საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელთან და იმ ფორმის მართებულობა, რომელსაც თვითონ უჭერს მხარს, ყველგან დაუდასტურებია. მაგრამ არ გავიგოთ ისე, რომ აკაკი ცდებოდა ამ საკითხში. ასე ნუ ვიტყვით. აქ საკითხისადმი პრინციპული მიდგომაა განსხვავებული. მოცილე ფორმათა შორის აკაკი ისტორიულად უფრო მართებულს ანიჭებს უპირატესობას. ამ შემთხვევაში ანგარიშს არ უწევს სასაუბრო ენას. დღეს ნორმათა დადგენის მხოლოდ ეს პრინციპი არაა გაზიარებული. თუ კლასიკოსთა ნაწერებში, საერთო-სახალხო ენაში ძირითადად გავრცელებულია ისტორიულად თუნდაც არამართებული ფორმა, ნორმად მაინც ამას ვირჩევთ. მაგალითად: ნენ დაბოლოება რომ გვაქვს სუბიექტურ მესამე პირის მრავლობით რიცხვში — მოვიდნენ, აკეთებდნენ — გრამატიკული თვალსაზრისით გაუმართლებელი ფორმაა; მოვიდენ, აკეთებდენ უფრო მართებულია. მაგრამ ფორმის გავრცელების სიხშირე იქნა მიღებული მხედვე-

ლობაში და ნორმად მოვიდნენ, აკეთებდნენ ტიპის ფორმები დაკანონდა. სხვათა შორის ამ ფორმებსაც შეეხნენ პოლემიკის დროს. ასე რომ, დღევანდელი თვალსაზრისით (და ალბათ იმდროინდელითაც) იაკობის პოზიცია ჩანს მართებული. აკაკის თავგამოდება ენის არცოდნის შედეგი კი არ არის, არამედ ენის ისტორიის კარგი ცოდნის შედეგია! უბრალოდ: სხვადასხვა თეორიულ პოზიციაზე იდგნენ...

და მაინც, ღირდა კი დავად?

უდავოდ ღირდა. როგორც ვთქვი, პოლემიკა აქედან დაიწყო. შემდეგ მრავალ იმ დროისათვის აქტუალურ საკითხზე იყო მსჯელობა. ეს ეხება ცალკეულ მორფოლოგიურ ფორმებს, სიტყვათა რიგს, სინტაქსისა თუ სტილისტიკის მრავალ საკითხს. ეს საკითხები დღეს შეიძლება ასე აქტუალური არ იყოს, მაგრამ იმ დროისათვის უდავოდ ფასეულია და ღირებული.

ამგვარი კამათის გახსენების დროს, თავისთავად, მაინც გაკრთება სურვილი — ამ ვრცელ და მრავალი საკითხის მომცველ კამათში სიმართლის სასწორი უმეტესად ვის მხარეს იყო გადახრილი. ძნელია ახლა ამის რკვევა. ერთი რამის თქმა კი აუცილებელია:

იაკობს ყოველთვის სჯეროდა, რომ ის იყო მართალი. მისი მსჯელობაც ყოველთვის არგუმენტირებული იყო. საწინააღმდეგო აზრის დასარღვევად ყოველთვის ცდილობდა დამაჯერებელი კონტრარგუმენტების მოყვანას. იოსებ იმედაშვილი იგონებს: იაკობი თავის სახელმძღვანელოში შეტანილ ყოველ სიტყვას, განსაკუთრებით ამა თუ იმ თავისებურ გამოთქმას, ამვლელსა და ჩამვლელს, დიდსა და პატარას, სწავლულსა და უსწავლელს ჰკითხავდა, პრესაში არკვევდა...

ასე იყო აკაკის შემთხვევაშიც: აკაკის ყოველთვის სწამდა, რომ სიმართლე მის მხარეს იყო და საამისოდ არც არგუმენტებს იშურებდა და არც ლოგიკურ მსჯელობას. ღვთის მადლით, ქართულ სიტყვასაც დიდოსტატურად ფლობდა და მკითხველის სიმპათიაც მისი წერილის კითხვისას მისკენ იყო, თუმცა... თუმცა არ იყო იოლი პოზიციათა შეჯერება... ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ერთიცა და მეორეც დაუნდობელი პოლემისტია, სიმართლისათვის თავდაუზოგავი მებრძოლი.

მათი თანამედროვენი საგანგებოდ გახაზავენ იაკობის ამგვარ თვისებას: „იაკობი ისეთი იყო, — წერს ი. იმედაშვილი, — მოკამათეს, რო-

გორც იტყვიან, რჯულამდე ჩაჰყვებოდა, თუ მისი აზრი საექვოდ მოეჩვენებოდაო"... შიო მღვიმელიც გაიხსენებს მოგვიანებით: „იაკობი მუდამ პირში მთქმელი კაცი იყო და დიდი ბოდინები არ იცოდა... იაკობი სულ მუდამ თავისნათქვამი კაცი იყო, მით უმეტეს, როდესაც სრული სიმართლე იმისკენ იყო". მოკლედ რომ ვთქვათ, ყოველთვის სიმართლეს იცავდა, რაიმე სუბიექტური მოსაზრებით მართალ გზას გვერდს არ აუქცევდა...

ერთი საინტერესო ფაქტიც გავიხსენოთ: „დედაენაში" მოთავსებულ ერთ-ერთ საკითხავ მასალაში ეწერა თურმე, რომ ოფოფი კუკუს იძახისო. გაზეთებმა განგაში ატეხეს, ეს რას ასწავლის იაკობი ბავშვებსო. ოფოფი იმიტომ ჰქვია, რომ ოფ-ოფ-ს იძახისო. ნოტებიც კი დაუხატეს თურმე ერთ-ერთ გაზეთში. ვერ დაითანხმეს იაკობი, ფაქტი ისაა, რომ ოპონენტებმა ვერ დაარწმუნეს იაკობი. იაკობს დაუბარებია იოსებ მჭედლიშვილი. „მივედი თუ არა, იაკობმა მაშინვე ოფოფზე ჩამომიგდო ლაპარაკი. წყენით შემომჩივლა, — იგონებს იოსები, — ყმაწვილო, გესმის, ეს ხალხი რას მიმტკიცებს", ოფოფი კუკუს კი არა ოფოფს იძახისო. შენ, როგორც სოფლის შვილმა, მწერალმა, ხმა უნდა ამოიღოო", დღეს შეიძლება ცოტა მხიარულად ჟღერდეს, მაგრამ იაკობისთვის მთავარი ისაა, რომ ვინც „დედაენას“ აიღებს ხელში, მას მხოლოდ სიმართლე უნდა უთხრას, რაც არ უნდა უმნიშვნელო ფაქტად ეჩვენებოდეს ვინმეს ეს... იოსებ მჭედლიშვილს იქვე უპასუხია, რომ იაკობი არ იყო სწორი. „მართლა? — გაკვირვებით უთქვამს იაკობს და დაუმატებია: შენ ტყუილს არ იტყვი, ამიტომ დაგიჭერებო" და შემდეგ რომელიღაც გაზეთში დაუწერია კიდევ ამის თაობაზე... იაკობის პრინციპი ნათელია. მარკუს ავრელიუსს უთქვამს ასეთი რამ: „უნდა შეგეძლოს შეიცვალო შეხედულება, თუკი ვინმე დაგანახვებს შენი შეხედულების მცდარობას. მაგრამ შეხედულების შეცვლის საბაბი უნდა იყოს რაიმე დიდი და ნათელი, როგორც, მაგალითად, სამართლიანობა, საზოგადო სიყვთისა თუ სხვა მათი მსგავსისათვის ზრუნვა და არა ის, რაც სასიამოვნოდ გიჩანს, ან დიდებას გიქადის შენ". ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს მარკუს ავრელიუსი ჩვენი კლასიკოსების ცხოვრებას იცნობდა და ამის მიხედვით გააკეთა ეს დასკვნა...

თავისნათქვამა კაცი იყო, როცა წერენ, ახირებულობას კი არ გულისხმობენ, საბუთიანობა უყვარდა და უსაბუთო მსჯელობას ვერ დაეთანხმებოდაო, ამას აღნიშნავენ. მას არც პრეტენზია ჰქონდა ყოვლისმცოდნისა. ამას მოყვანილი მაგალითებიც ადასტურებენ. აკაკისადმი საპასუხო წერილიდან ერთი ადგილის მოშველიებაც შეიძლებოდა: „ენაში ხომ ვკოჭლობთ და ვკოჭლობთ ყველანი, მაგრამ ეს არ შეადგენს ჩვენს მთავარ ნაკლს. მომაკვდინებელი ჩვენი სენი უფრო სხვაა. ჩვენ ძლიერ ლატაკნი ვართ ნათელის აზრითა, მიმართულებითა, გარკვეულის მიზნით. ჩვენი ენა კიდევ ჭარტალობს, ხოლო თავი კი ცალიერობს. ამის გამო ჩვენი ლიტერატურა წყალწყალა შექამანდს მოგაგონებთ, რომელშიც ლობიოს მარცვალი თითო საათობით უნდა ექებოთ. კალმის ასს ნაწარმოებში 99 უთავბოლო უბედობაა და სხვა არაფერი... ამის გამო საჭიროა ენის გარდა შინაარსიც გავხადოთ საგნად ერთმანეთის ნაწერის კრიტიკისა, თუ აკაკიც ინებებს“.

ასე რომ, პაექრობა ჩამთავრდა, სათქმელი ითქვა. აკაკიმ თავისი ამტიცა, იაკობმა — თავისი. ამ კონკრეტული საკითხების განხილვა არ არის ჩვენი მიზანი, ჩვენ ზოგადი პოზიციები და ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებები გვაინტერესებს.

ჩამთავრდა პაექრობა, თუმცა იაკობი ახალ პაექრობაში იწვევს აკაკის („ენის გარდა შინაარსიც გავხადოთ საგნად ერთმანეთის ნაწერის კრიტიკისა, თუ აკაკიც ინებებსო“). გამოდის, რომ ამ პაექრობით ნაწყენი არ რჩება. და ალბათ იმიტომ, რომ რაღაც გაირკვა, რაღაცას ნათელი მოეფინა; ჭეშმარიტებისაკენ სავალი გზები დაილანდა. ამისთვის იდავეს, იკამათეს, გაცხარდნენ კიდევ... ცოტა მოგვიანებით იაკობი დაწერს: „აკაკი წერეთელსა და ჩემ შორის დაწყებული ხარგძლივი პოლემიკა ქართული ენის გრამატიკული ფორმების თაობაზე იმით დასრულდა, რომ ჩვენი მანამდე უბრალო ნაცნობობა თითქმის მეგობრობად იქცა“.

აქ ერთი საკითხიც არის ძალიან საინტერესო: მათი პიროვნული ურთიერთობები და მათი საზოგადო ასპარეზზე შეხვედრები. პირად ურთიერთობებში ჩვეულებრივი ადამიანები არიან: დავა-კამათით, ჩხუბით თუ კინკლაობით. საქმე საქმეზე რომ მიდგება, იციან ერთმანეთის ფასი, პატივისცემა... ბევრი მოგონება შემოგვრჩა. რა თქმა უნდა, ვენ-

დოთ ავტორებს. მით უმეტეს, როცა ავტორი ისაა, ვისთვისაც აკაკიც და იაკობიც უდიდესი ავტორიტეტები არიან...

შიო მღვიმელი იგონებს: „ერთხელ წერა-კითხვის საზოგადოებაში აკაკი, ანტონ ფურცელაძე და კიდევ ერთი სხვა მუსაიფობდნენ. მე წიგნის საწყობში მომიხდა გასვლა. ჩემი იქ არყოფნისას რა ილაპარაკეს, არ გამიგია. გაიარა სულ მცირე დრომ და იაკობიც შემოვიდა თავის ჩვეულ ვადაზე.“

— აი, აკაკი, იაკობიცაო, — სთქვა გულმოსვლით ანტონმა და მივარდა იაკობს მწარე სიცილით და ყვედრებით: კაცო, ის რაები გილაპარაკნია ჩემზედაო.

— რა? რა მილაპარაკნიაო!

— აი, ეს შენ და ეს აკაკიო და მოუყვა.

აენთო გოგებაშვილი, დაიწყო ცხვირში ფრუტუნის, ერთი რაც ძალა და ღონე ჰქონდა დასცხო იატაკს ჯოხი და უთხრა:

— აკაკი, შენ ნამდვილი ჭორიკანა დედაკაცი ხარო... უთხრა სხვა მრავალი სიტყვებიც პირიდან ცეცხლის ყრით და მიაჩერდა მრისხანე თვალებით. და რომ აკაკისგან ვერაფერი პასუხი ვერ მიიღო, ფუ, შენს კაცობასო და გავარდა გარეთ.

— აბა, ამის შემდეგ რაღა გითხრაო, უთხრა აკაკის ანტონმა და ისიც გაჰყვა იაკობს უკან.

აკაკიმ ჩაიღიმა თავისებურად და სთქვა: ერთი კოჭლი, მეორე გიჟიო, აბა რა უნდა ველაპარაკო მაგათო და დაიწყო სხვა რამეებზე ოხუნჯობა..."

ესეც მორიგი ოხუნჯობა იყო აკაკისი, როგორც ჩანს. ცხადია, ამგვარი რამ მათ შემდგომ ურთიერთობაზე არ იმოქმედებდა.

ყოველგვარ ასეთ განხუმრებასა თუ, ერთი შეხედვით, უსიამოვნო გაბაეჭრებას გადასწონის თუნდაც ერთი ხოტბა ერთ-ერთი მათგანის მიერ მეორის მისამართით თქმული. ზემოთ გვქონდა საუბარი, როგორი პატივისცემით ეპყრობიან ერთმანეთს ოფიციალურ გამოსვლებში, პირად წერილებში. იოსებ სრესელი იგონებს: „იაკობს აკაკის მოსწრებულ სიტყვების გაგონებაზე გულს დარდი გადაეყრებოდა. აკაკის ენამახვილობას ბევრჯერ გაუკენწლია იაკობიც. დიდი თავყვანისმცემელი იყო იაკობი აკაკის პოეტური ნიჭისა. როდესაც დაინახავდა ქუჩაში მხრებ-

გაშლილ ამაყად მიმავალ ჭალარაშვევრცხლილ მგოსანს, თვალები გაუბრწყინდებოდა სიხარულისაგან და ალტაცებით წამოიძახებდა: „აგერ, გამოჩნდა ქართული პოეზიის ფენადგმული იალბუზიო!“ წერილიც აქვს იაკობს ასეთი სათაურით — „იალბუზი ქართული პოეზიისა“; როგორც ჩანს, მოსწონდა თავისი მიგნება და ხშირად იმეორებდა მას.

ზემოთ ვთქვით, ერთ-ერთ პირად წერილს აკაკი ასე იწყებს: „წარსულის შვილო, მომავლის მამავ და მყობადის გადიავ, ძმაო იაკობ“. სწორედ აკაკის შესაფერისი დახასიათებაა და, რა თქმა უნდა, იაკობს რომ ეკადრება, ისეთიც...

წერილში „იალბუზი ქართული პოეზიისა“ იაკობი წერს: „აკაკის მალალი ბუნება იტევს თავის წიაღში არა ერთს კუთხეს ჩვენის სამშობლოსას, არამედ მთელს საქართველოს. აკაკი პატარა საქართველოა.“ იაკობი ფრთხილობს, არ გადააჭარბოს და ჭეშმარიტებას არ ასცდეს. ამიტომაც იქვე დააზუსტებს: „მაგრამ ამ დიდებულს სახელს მარტო მას ვერ დაუუსაკუთრებთ, რადგანაც თვით აკაკის სასიხარულოთ და ჩვენდა სანუგეშოდ, პატარა საქართველონი სხვანიც გვყავს, რუსთველი, ილია, ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა“. იაკობი ამ ჩამონათვალში, ცხადია, თავის თავს არ შეიტანდა... ჩვენ ვთქვით ის, რაც ჭეშმარიტებაა: იაკობიც რუსთაველის, ილიას, აკაკის, ბარათაშვილისა და ვაჟას დარად — პატარა საქართველოა. მისი მალალი ბუნებაც „იტევს თავის წიაღში არა ერთს კუთხეს ჩვენის სამშობლოსას, არამედ მთელს საქართველოს“.

* * *

და კიდევ: ასიკო ცაგარელს სცოდნია თქმა იაკობზე: ჯერ ბოდიშს მოიხდიდა და მერე იტყოდაო: „ქართველებს და ქართულ ენას ისეთი ასარ-ბასარა დარაჯი ჰყავს, რომ მას ვერავინ ვერაფერს დააკლებსო, არავის გაახარებს, თუ ჯიბრზე მიდგა საქმეო“. ამას იაკობზე ამბობდა. იაკობს გვერდით ილია და აკაკი ედგნენ...

არადა, როგორ სჭირდება დღეს ქართულ ენას ასეთი „ასარ-ბასარა დარაჯები!...“

XII საუკუნეში გელათის აკადემიაში ისწავლებოდა სამი სახის რიტორიკა: თანამზრახველობისა, მეპაექრობისა და დღესასწაულობისა...

რიტორიკა მეპაექრობისა ისაა, რასაც ჩვენ პოლემიკას ვუწოდებთ...

ჩვენც მივმართავთ „მეპაექრობის რიტორიკას“: — ერთი მხრივ, შევეცადეთ დაგვეცვა ღირსება იაკობ გოგებაშვილისა და, მეორე მხრივ, — ინტერესები „დედაენისა“...

„დედაენის“ თაობაზე პოლემიკა ხანგრძლივი იყო... მხოლოდ რამდენიმე წერილს გთავაზობთ...

ა) კოლექცია იაკობ ზოგებაშვილის თემაზე:

**„არა ცილი სწამო“
(პასუხად ელიზარ ბაღიძეს)**

*ცილისწამება ჰქვიან იმისთანა
სიცრუეს, რომელშიც შედის ბო-
როტი განზრახვა.*

*იაკობ გოგებაშვილი
დიდი რამ არის, ვინც იცის
ჯარგად წაკითხვა წასაკითხისა.*

ილია ჭავჭავაძე

ითქვა, იაკობ გოგებაშვილი ჩვენი სინამდვილისთვის გაცილებით უფრო დიდი პიროვნებაა, ვიდრე ამის წარმოდგენა შეგვიძლიაო დღეს. აკაკი წერეთელმა ილია ჭავჭავაძის სიცოცხლეში თქვა, ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქვეყნისა და ერის წინაშე; იაკობ გოგებაშვილი ღირსია იმისა, ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგასო. სხვაც ბევრი ითქვა და ითქმება იაკობის სადიდებელი; მისი ღვაწლის არასწორი შეფასების შემთხვევებიც ყოფილა. მაგრამ **ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ედიშერ ქელიძის მცდელობამ, გააუფასუროს იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი; მეტიც, ყოვლად უარყოფითად შეაფასოს და წარმოაჩინოს დიდი იაკობ გოგებაშვილი...**

ღიახ, ჩვენ ხელთა გვაქვს **ედიშერ ქელიძის წიგნაკი „იაკობ გოგებაშვილის წმინდანად კანონიზების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით“** (თბილისი, 2011). ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში დაისვა საკითხი იაკობ გოგებაშვილის წმინდანად კანონიზებისა. მართლმადიდებელ ეკლესიაში პიროვნების წმინდანად კანონიზების საკითხის დასმა და, მით უფრო, გადაწყვეტა უალრესად კომპეტენტური

ადამიანების საქმეა. ამიტომ ჩვენ ამ თემაზე საუბარს ვერ გავაგრძელებთ. ჩვენ სხვა პრობლემის წინაშე დავდევით: იაკობ გოგებაშვილი აღმოჩნდა სრულიად უსაფუძვლო და არაობიექტური კრიტიკის საგანი: ე. ჭელიძეს გადაუწყვეტია, წმინდა სინოდს „საქმე გაუადვილოს“ და იაკობ გოგებაშვილის ღვაწლზე, უფრო სწორად, მის უღირსობაზე „სიტყვის შეშველება“ უცდია. ამთავითვე ვიტყვი: **ეს არის დიდი ქართველი მოღვაწის — იაკობ გოგებაშვილის — შეურაცხყოფელი ნაშრომი, ცილისმწამებლური ბრალდებანი; არასწორი, განგებ დაძახინებული წაკითხვა ი. გოგებაშვილის ტექსტისა; ამპიციური და ამპარტავნული დამოკიდებულება კოლეგების მიმართ; „ყველაფრის-ცოდნის“ შეგონებანი და ქედმაღლური თითისქნევა „მავანთა“ (აღბათ გულისხმობს იაკობ გოგებაშვილის დამფასებლებს) მიმართ.**

ე. ჭელიძე შეგვახსენებს: დიონისე ალექსანდრიელს უთქვამს — „წერილობით გავრცელებული ცთომილება უთუოდ და გარდაუვალად წერილობითვე უნდა ამოიძიროს“. ამიტომაც გადაწყვეტეთ, წერილობით ვუპასუხოთ ე. ჭელიძის აზრს. ობიექტურ მკითხველს წინასწარ ბოდის ვუხდით იმის გამო, რომ კიდევ ერთხელ მოგვიხდება იმ მკრეხელობათა განმეორება, რაც ავტორის (ე. ჭელიძის) წიგნაკშია. ერთიც უნდა ითქვას, ე. ჭელიძის მსჯელობას ვერ ჩავთვლით „ცთომილებად“ — ეს არის **მიზანმიმართული გაყალბება ფაქტებისა, არასწორი ინტერპრეტაცია ი. გოგებაშვილის აზრისა. დიახ, სწორედ ის, რასაც ი. გოგებაშვილი განმარტავს „ცილისწამებად“.**

* * *

წიგნაკის დასაწყისშივე ე. ჭელიძე წერს: „**იაკობ გოგებაშვილი, ყველა ქართველისათვის ახლობელი სახელი, იშვიათი პატივითაა შემკობილი. მისმა მთავარმა ნაშრომმა, „დედაენამ“, დროის გამოცდას შეტანაკლებად გაუძლო.**“ იაკობ გოგებაშვილის ღვაწლის გაუფასურება, დაკნინება პირველივე წინადადებიდან იწყება. ჯერ ერთი, „ახლობელი“ არ არის ის ეპითეტი, რომელიც უდიდესი მოღვაწის შესახებ მსჯელობისას პირველ ეპითეტად შეიძლება დასახელდეს. მეორეც, გაურკვევალაია, რას გულისხმობს „იშვიათ პატივში“; აზრის განვითარებას თუ გავეთვალისწინებთ, თითქოს უკვირს, რატომ არის ასეთ „იშვიათ პატივში“ იაკობი. ამას მომდევნო მსჯელობაც გვაფიქრებინებს: „**მისმა მთავარმა ნაშრომმა, „დედაენამ“, დროის გამოცდას შეტანაკლებად გაუძ-**

ლო“. „მეტნაკლებად გაუძლო“ მეტნაკლებად ვერ გაუძლოსაც ნიშნავს. და ამას ამბობს „დედაენაზე“, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით აყენებენ: ამტკიცებენ, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში „დედაენამ“ ისეთივე როლი შეასრულა, როგორიც „წმინდა ოთხთავმა“ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში და „ვეფხისტყაოსანმა“ მომდევნო პერიოდში. სპეციალისტები ამის თაობაზე არ დაობენ; ქართულ სინამდვილეში ასახელებენ **სამ დიდ წიგნს**: „წმინდა ოთხთავს“, „ვეფხისტყაოსანს“ და „დედაენას“. ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, ე. ჭელიძეს ვურჩევთ გაეცნოს ი. გოგებაშვილის საზოგადოების სამეცნიერო კონფერენციის მასალებს (2007 წ.) და გამომცემლობა „დედაენის“ მიერ გამოცემულ მონოგრაფიას — „დედაენა“ — ძეგლი სამარადისო“ (2011). იმასაც შევახსენებთ ბატონ ჭელიძეს, რომ ამ თემაზე არაერთი მონოგრაფია, ნაშრომი გამოქვეყნებულა; არაერთი დისერტაცია დაუცავთ. დიახ, „დროის გამოცდის მეტნაკლებად გაძლება“ დამცრობაა წიგნისაც და მისი ავტორისაც. ამგვარი თქმა ამასაც გულისხმობს: თუ მთავარმა ნაშრომმა „მეტნაკლებად გაუძლო“ დროს, „არამთავარ“ ნაშრომებზე რაღა გვეთქმისო... ბატონ ჭელიძეს ჩვენი თუ არ სჯერა, დიდ მოღვაწეებს მოუსმინოს:

დიმიტრი ყიფიანი: „დედაენა“ იაკობ გოგებაშვილისა ძალიან გამოსადეგი, ძალიან სასარგებლო წიგნი არის და საუცხოოდ არის შედგენილი“

ილია ჭავჭავაძე სახალწლოდ შოთა რუსთაველის პერიფრაზით შეეხმინა იაკობს: „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, რაცა მიქია: / „დედა-ენა“ მიჩს სახელად, არ თავი გამიქიქია, / იგია ფუძე ქართველისა, მაგარი ვითა ჭიქია... / „დედაენა“ პირველიდვე სიბრძნისაა ერთი დარგი“ და სხვა...

აკაკი წერეთელი: „მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერჯით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენაზე“ არ აეხილოს თვალები“...

ზაქარია ჭიჭინაძე: „გოგებაშვილმა თავის დედა-ენაში“ აღადგინა დაცემული ენა ქართველთა... და ამ წიგნის მეოხებით მთელი ქართველობა, ყველა თემისა და ხეობის მონათესავენი ერთის ქართულის ენით იწყებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაპარაკს, ყველგან ამ წიგნის მეოხებით ქართული ენა ეფინება“...

თედო სახოკია: „ეს ის დრო იყო, როდესაც შშობლიური ენა დევნილი იყო, პატივყარილი ოჯახებში... ქართული ენის შესასწავლად ორგვერდიანი ქართული ანბანი არსებობდა... და აი, ასეთ განწირულს დროს გამოდის ი. გოგებაშვილი თავისი „დედა-ენით“ და ცდილობს იმის საშუალებით შესულიყო სკოლებში ქართული ენა, მოწაფეს შშობლიური ენის შეფასების საფუძვლად „დედა-ენა“ ჰქონდა; საძირკველი — მის თვალის ახელას, გააღამიანებას „დედა-ენის“ საშუალებით ჩაჰყოლა“.

გალაკტიონ ტაბიძე: „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ სახელმძღვანელოები კი არა, უდიდესი პოემებია. მე თანახმა ვიქნები, გამოვიდეს ეხლა ეს წიგნები, არა როგორც სახელმძღვანელო, არამედ საკითხავ წიგნად!“

გიორგი ლეონიძე: „ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული, ვარდნაბამი ფურცელი, ჩვენს ყრმობაში ჩართული!“ — ვრცელი ხოტბაა ლექსად...

შალვა დადიანი: „ამ კაცს სხვაც რომ არა გაეკეთებინა რა, მართო ამ ღვაწლისთვის (იგულისხმება „დედაენის“ შექმნა — ავტ.) იქნებოდა საპატიო და თაყვანსაცემი“.

გრიგოლ აბაშიძე: შეიძლება თამამად ითქვას, რომ „დედაენის“ შექმნა თავისი მნიშვნელობით უტოლდება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც რომელიმე ჩვენს წინაპარს შეუტანია ჩვენი ერის სულიერ საგანძურში“...

დემნა შენგელაია: „და თუ ქართველი კაცი აქამდე მტერსა და დუშმანს „ვეფხისტყაოსნით“ იგერიებდა, ამიერიდან მას ხელში „დედა-ენა“ ეჭირა და თავის ნამუსს, კაცურკაცობასა და ქართველობას იმით იცავდა“...

მუხრან მაჭავარიანი: „მესმის და ვხედავ, — როგორ იგერიებს პატარა ქართველი ორთავიანი არწივის კლანჭებს იაკობ გოგებაშვილის „დედაენით“... და მრავალი სხვა!...

შევახსენებთ ე. ჭელიძეს, რომ წიგნს, რომელმაც „მეტნაკლებად გაუძლო დროს“, ძეგლს არ უდგამენ!... წიგნს, რომელმაც „მეტნაკლებად გაუძლო დროს“, იუბილეს არ უხდია!...

და, რაც მთავარია, არ ჰქვია „მეტნაკლებად გაძლება“ იმას, ი. გოგებაშვილის „დედაენის“ საფუძველზე შედგენილმა სახელმძღვანელომ 1960 წელს ვენესუელაში, ქალაქ კარაკასში, საანბანე წიგნების მსოფლიო გამოფენაზე რომ გაიმარჯვა!...

მაგრამ ავტორის (ე. ჭელიძის) მიზანი ნათელია: **საუბრის დასაწყისიდანვე უნდა შეუქმნას შთაბეჭდილება მკითხველს, რომ იაკობ გოგებაშვილი ჩვეულებრივი ავტორი იყო რიგითი სახელმძღვანელოსი!...** არადა, ნამდვილად არაა ასე, ბატონო ედიშერ!...

* * *

ედიშერ ჭელიძის წიგნაკი **გათვლილია საქმეში ჩაუხედავ კაცზე;** ამიტომაც მკაცრი, ზოგჯერ მიუღებელი, ეპითეტებით „ამკობს“ იაკობს; დასაწყისში ჩამოთვლის ბრალდებებს, შექმნის შთაბეჭდილებას (განწყობას მკითხველისას) და მერე იწყებს ციტირებასა და მსჯელობას. ჭირს ზოგჯერ უკვე მოწოდებული ბრალდებისა და „უკანმიდევნებელი“ მსჯელობის დაკავშირება, დაჭერება, მაგრამ ეს არაა მთავარი ავტორისთვის; არსებითია, გააუფასუროს იაკობის ღვაწლი და წარმოაჩინოს იგი, როგორც მტერი მართლმადიდებლობისა!...

ე. ჭელიძე ჩამოთვლის ხუთ „ბრალდებას“ („ცოდვას“ იაკობისას) და დაასკვნის: „აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ზემორე პუნქტები გვირგვინდება მეშვიდე პუნქტით, რაც გულისხმობს **იაკობ გოგებაშვილის სრულიად მკაფიო დებულებას კონკრეტულად მართლმადიდებლობის შესახებ** და რაც შესაბამის ადგილას იქნება სრულად ციტირებული“ (ხაზი ე. ჭელიძისა).

ჭერ ერთი, ვფიქრობთ, რომ ავტორმა შეიდამდე თვლა იცის — ხუთის შემდეგ შვიდი არ არის, მაგრამ ესეც არ უნდა იყოს შემთხვევითი: „ცოდვათა“ გაბევრების სურვილი ჩანს აქ, თუმცა არაა ეს არსებითი; არსებითი ის არის, რომ გაუგებარია, ხაზგასმული წინადადება რისი ბრალდებაა. რას გულისხმობს „სრულიად მკაფიო დებულება მარ-

თლმადიდებლობის შესახებ“, მით უმეტეს, როცა ეს უარყოფით ჩამონათვალთა რიგში სახელდება!...

შევახსენებთ იმასაც, რომ წესი პოლემიკური კულტურისა მოითხოვს, დებულება და არგუმენტი ერთად იქნეს წარმოდგენილი... მაგრამ წესებსა და კანონებზე საუბარს, როგორც ჩანს, აზრი არა აქვს: კაცს, რომელსაც იაკობ გოგებაშვილისა არ ესმის, ჩვენსას გაიგებს? მაინც შევეცდებით, ვთქვათ ჩვენი აზრი — ღვთის მადლით, არსებობს ობიექტური მსმენელი.

* * *

ცილისწამების, იაკობ გოგებაშვილის ტექსტის არასწორი გაგების (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, გამიზნულად არასწორი გაგების), საკითხისადმი არაპროფესიონალური და არაკეთილსინდისიერი მიდგომის კლასიკური მაგალითია ე. ჭელიძის მსჯელობა უცხო ენების თაობაზე (გვ. 16-17). ამთავითვე შევნიშნავთ, **ე. ჭელიძე უთითებს ი. გოგებაშვილის წერილს** „მთავარი საჭიროებანი სასულიერო წოდებისა“, **ციტატები მოჰყავს და მსჯელობს სხვა წერილზე** — „მირაპოლსკის რევიზიის გამო“; ვერ ვიტყვით, ეშლება თუ განგებ აბნევს მკითხველს.

ე. ჭელიძე აქებს იაკობის „ახოვანებას, შემართებულობას და შეურიგებლობას“ „სასწავლო დაწესებულებებში გამოვლენილი უმწვავესი პრობლემებისადმი“ და იქვე განაგრძობს: „თუმცა, სამწუხაროდ, ამ კუთხითაც სრულიად თვალსაჩინოა **საპირისპირო უკიდურესობამდე მიხული განწყობილება ავტორისა** (ხაზი ე. ჭელიძისაა). მაგალითად, არის რა ხსენებული მოღვაწე საეკლესიო სამართლიანად აღმშფოთებული ქართული ენის სწავლების სრულიად არადამაკმაყოფილებელი (მეტრიც, დანაშაულებრივად დამამცრობელი) მდგომარეობით, ისევე როგორც, ზოგადად, იმდროინდელი სწავლების გამოკვეთილად ბიუროკრატიული მეთოდოლოგიით, ვითარების გამოსწორების გზას სხვა დისციპლინათა შეზღუდვა-გაუქმებაში ხედავს“ (ისიც ვთქვათ, ამ წინადადების ავტორი ერთი-ორგან იაკობს ქართულსაც უწუნებს!). ამის შემდეგ ოთხგვერდიანი წერილიდან მოიყვანს სამ მოკლე ნაწყვეტს:

„დაგვინერგეს **ბერძნულ-ლათინურ-სლავიანური სემინარია** და სასულიერო სასწავლებელნი, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ჩვენ ცხოვრებასთან, ჩვენი ხალხის მოთხოვნილებასთან“ (გვ. 350).

„ყოველს გამოუსადეგარს საგანს ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს. ბერძნულ და ლათინურ ენას, მაგალითად, დათმობილი აქვს 39 გაკვეთილი“ (გვ. 351).

„...თუ ორივე ძველი ენა არა, ერთი ბერძნული მაინც უნდა იქმნეს გაუქმებული“ (გვ. 352). (ხაზი ყველგან ე. ჭელიძისაა. მითითებულია ი. გოგებაშვილის რჩეული თხზულებანის III ტ., 1990 წ.)

და ამის შემდგომ ე. ჭელიძე აკეთებს გამაოგნებელ დასკვნას: „საკითხავია, თუ ბერძნულ-ლათინურის სწავლება უნდა გაუქმდეს, წმინდა მამათა შრომები ან, გნებავთ, წმინდა წერილი, კერძოდ ახალი აღთქმა, რომლისგანაც მოკლებულადაც (როგორც ჭვემთ ვნახავთ) წარმოსახავს იაკობ გოგებაშვილი ქართველ ერს, რა ენიდან უნდა ითარგმნოს თანამედროვე ქართულზე, ნუთუ იმავე რუსულიდან, რომელსაც ასე „ბასრობს“ ავტორი? განა სწორედ ის ენა (ბერძნული) უნდა გავაუქმოთ, რომელსაც ოდითგანვე დაუცხრომელი სულიერი მგზნებარებით ეწაფებოდნენ საქართველოს ეკლესიის ღირსეული შვილები? განა აღმოსაფხვრელია წმინდა წერილისა და ეკლესიის მამათა შრომების ქართულად თარგმნის ეს უძველესი და უწმინდესი სულიერი ტრადიცია?“

პოლიტიკაში კითხვის ამგვარად დასმას დემაგოგიას უწოდებენ. რა შუაშია სემინარიის სასწავლო გეგმა და „ქართულად თარგმნის უძველესი და უწმინდესი ტრადიცია?“ წმინდა წერილი ქართულად V-VI საუკუნეებში ითარგმნა (ამბობენ, უფრო ადრეც იყო თარგმნილი). რა, მაშინ სასულიერო სემინარიებში ისწავლებოდა ძველი ბერძნული ენა? თარგმნის მნიშვნელობა და საჭიროება დავით აღმაშენებელს, არსენ იყალთოელსა და იოანე პეტრიწს რომ ესმოდა, დაგვეთანხმება ე. ჭელიძე, მაგრამ გელათის აკადემიის საგანთა ჩამონათვალში არ არის ძველი ბერძნული ენა! ამ საკითხზე კამათი უაზროდ გვეჩვენება...

უფრო ამაზრზენად მიგვაჩნია ეს კითხვა: „რა ენიდან უნდა ითარგმნოს თანამედროვე ქართულზე, ნუთუ იმავე რუსულიდან, რომელსაც ასე „ბასრობს“ ავტორი?“ — ამას პოლიტიკური ბეზღობა ჰქვია: დღეს, რუსეთთან ასეთი დაძაბული და რთული ურთიერთობის პერიოდში, იაკობს ასეთი ბრალდება წაუყენო, რბილად რომ ვთქვათ,

არაკეთილსინდისიერებაა (ისიც ვთქვამთ, ტერმინოლოგიის სპეციალისტს აქ ტერმინებიც ერევა: იაკობი საუბრობს XIX საუკუნის სასულიერო სემინარიასზე. XIX საუკუნის ქართული კი არ იწოდება თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ქ ა რ თ უ ლ ა დ!).

მძიმე სიტყვა ვახსენეთ — არაკეთილსინდისიერება. მაგრამ სხვაგვარად ვერ შევაფასებთ ასეთ ფაქტს: იაკობ გოგებაშვილი საუბრობს სემინარიის სასწავლო გეგმიდან სასწავლო საგნის — ძველი ბერძნული ენის — ამოღებაზე (გაუქმებაზე); ე. ჰელიძე ბრალად სდებს, იაკობს ბერძნული ენის გაუქმება უნდოდაო („განა სწორედ ის ენა (ბერძნული) უნდა გავაუქმოთ“... „განა აღმოსაფხვრელია...“). ასეთ უაზრობას — ენა გავაუქმოთო, აღმოვფხვრათო (მით უმეტეს, მკვდარ ენაზე!) — ცხადია, იაკობი არ იტყოდა!...

საერთოდ, რის შესახებ არის საუბარი იაკობ გოგებაშვილის ამ ოთხგვერიდან წერილში? (რადგან სრულად აქ ვერ მოვიყვანთ, დაინტერესებულ მკითხველს ვთხოვთ, თავად გაეცნოს: რჩეული თხზულებანი, ტ. III, 1990, გვ. 349-353).

1981 წელს თბილისის სასულიერო სასწავლებლის რევიზიას ატარებს ვინმე მირაპოლსკი. თავისი წერილით იაკობ გოგებაშვილი ცდილობს, რევიზორს და იმჟამინდელ ხელისუფლებას დაანახოს, რა მდგომარეობაა სასულიერო სასწავლებელში: „ღმერთმა ჰქნას, რომ ბატ. მირაპოლსკი აღმოჩნდეს ჰერმეტიკ მკურნალად იმ სენისა, რომელიც აუძლურებს, შხამავს სიცოცხლეს ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში, აქრობს ყოველს ნაპერწკალსა და ხდის მათ უნაყოფოდ. ღმერთმა ჰქნას, მან განწმინდოს ის ჰაობი, რომელშიაც ფუსფუსებენ დაბალი, ბინძური ინსტიტუტები და გრძნობები, დამამხობელნი ყოველი კეთილ განწყობილებისა და ნაყოფიერი მოქმედებისა“.

ამ ზოგადი შეფასების შემდეგ საუბრობს, რა მნიშვნელობა აქვს ამ რევიზიას; რა უნდა შეიცვალოს, რით და როგორ. კონკრეტულ მაგალითად მოჰყავს მეზობელი ქვეყნის სასულიერო სემინარიების მდგომარეობა: „ქართული საზოგადოება მოელის აწინდელს რევიზიისაგან სასულიერო სასწავლებლების და სემინარიის სრულს რეორგანიზაციასა, გადაკეთებას საზოგადოდ და ქართველთა ენის სრული უფლების

აღდგენას, კერძოდ, სასულიერო ახალგაზრდობის აღზრდის სისტემის რადიკალურ შეცვლას მიუცილებელ საჭიროებად ჩასთვლის ყველა, ვინც კი ჩვენი ეკლესიის, ჩვენი სამღვდელოების უნუგეშო, სამწუხარო მდგომარეობას გაიცნობს და ამასთან შეადარებს სომხის ეკლესიის და სამღვდელოების მდგომარეობას“...

ამის შემდეგ ი. გოგებაშვილი გაიხსენებს ჩვენს საეკლესიო ისტორიას, შეადარებს მას უკანასკნელი (XIX) საუკუნის მდგომარეობას და ხატავს „სურათს სომხების ეკლესიისას“; სვამს კითხვას: „რათ მიდის პირუტყულმა ჩვენი სამღვდელოების მისსია, რათ უძღურდება იგი მაშინ, როდესაც სომხების სასულიერო პირნი იჩენენ უფრო და უფრო მეტს სიცოცხლეს და გავლენასა და პირნათლად გამოდიან თავისი მაღალი და წმინდა დანიშნულების წინაშე“.

(მკითხველს ბოდიშს მოვუხდით ამ ვრცელი მსჯელობისათვის, მაგრამ გვინდა დავანახოთ, ასეთ სავალალო დასკვნები საიდან გამოჰყავს ე. ჰელიძეს!).

და აქ აკეთებს იაკობი სწორედ მნიშვნელოვან ზოგად დასკვნას: „სომხებმა შეირჩინეს ამ საუკუნეში თავისი ნაციონალური სასულიერო სასწავლებელი, ჩვენ კი დავკარგეთ და მათ მაგიერ **დაგვინერგეს ბერძნულ-ლათინურ-სლავიანური სემინარია და სასულიერო სასწავლებელი, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ჩვენ ცხოვრებასთან, ჩვენი ხალხის მოთხოვნილებასთან.** სომხური სემინარიები მეტნაკლებით ზედ გამოჰკრილნი არიან ხალხის მოთხოვნილებაზე“.

ამის შემდგომ იაკობი საუბრობს კონკრეტულ განსხვავებაზე სომხურ და ქართულ სემინარიებს შორის:

სომხურ სასწავლებლებში „ყოველი საგანი სომხურ ენაზედ ისწავლება, დედა-ენას, ლიტერატურას საეროს და სასულიეროს და ნაციონალურ ისტორიას უპირველესი ადგილი უჭირავს და მათი შესწავლით სომხების სასულიერო ახალგაზრდობა სულით და გულით ეთვისება თავის ხალხის წარსულსა და აწმყოს, გონებითს და ზნეობითს ძალას ერისას ეწაფება და ჰკრებს ღონეს მომავალის დანიშნულების აღსასრულებლად. რუსული ენა აქ ისწავლება, როგორც ცალკე საგანი, მაგრამ მოწაფეები, გახსნილნი და განვითარებულნი თავის დედა ენაზედ სწავლით, იმდენად კარგად სწავლობენ სახელმწიფო ენასა, რომ გაუჭირვებლად იჭერენ ეგზამენსა და შედიან რუსულ უნივერსიტეტში“...

რა ხდება ქართულ სასწავლებლებში: „აქ თუთიყუშსავით ზეპირობა ყოველი საგნისა რუსულად არამც თუ უფროს კლასებში, არამედ უმცროსებშიც, ძირითად კანონად არის დადებული, რის გამოითაც გონება, გახსნის მაგივრად, მოსწავლეთ ებშებათ. **დედა-ენა, ლიტერატურა საერო და სასულიერო, ისტორია საერო და საეკლესიო ჩვენი სემინარიის პროგრამიდან სრულიად გამოტოვებულნი არიან.** სამაგიეროდ, ყოველ გამოუსადეგერს საგანს ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს. **ბერძნულ და ლათინურ ენას, მაგალითად, აქვს 39 გაკვეთილი, მაშინ როდესაც ქართული ენისათვის ექვსს კლასში მიუგდიათ ოთხი საცოდავი გაკვეთილი კვირაში...**

და ამის საბედისწერო შედეგი არის ის, რომ ქართული სასწავლებლებიდან გამოდიან „სასულიერო პირნი, მოკლებულნი ყოველს გამაცხოვლებელს კავშირს ქართველ ერთან, სრულიად უსარგებლონი და გამოუსადეგარნი მისთვის“. იაკობი არაორაზროვნად წერს: „ჩვენი განზრახვა სხვა არის, ჩვენ გვსურს, დავანახოთ მკითხველს, თუ რა დიდი ნაყოფიერი ძალაა ნაციონალურს ნიადაგზე დამყარება სასწავლებლებში, რომელთაც ერს უნდა მოუშადაონ სულიერი მოძღვარნი“ და პეტერბურგელ რევიზორს, ვინმე მირაპოლსკის, თავის წინადადებას სთავაზობს, „რა გვარი ცვლილებაა საჭირო, რა გვარი რეორგანიზაცია უნდა მოხდეს ჩვენს სასულიერო სემინარიაში და სასწავლებლებში, რომ მათ მიიღონ ჩვენებური ხასიათი და შეესაბამებოდნენ თავის წმინდა დანიშნულებას“.

ამის შემდგომ იაკობ გოგებაშვილი რეორგანიზაციის (ცვლილების) თავის ვარიანტს სთავაზობს: „სასულიერო სასწავლებლებში **საგნების სწავლება ქართულს ენაზედ** იყოს, რუსული ენა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე სავალდებულო საგანი, **სემინარიაში საგნები ისწავლებოდეს ნახევრობით ქართულზე და ნახევრობით რუსულზე, დაარსდეს ქართული ენის კათედრა,** რომელიც უნდა იპყრობდეს **ქართულ გრამმატიკას, ლიტერატურას** საეროს და სასულიეროს, **საქართველოს გეოგრაფიას და ისტორიას** საეროს და საეკლესიოს და **თუ ორივე ძველი ენა არა, ერთი ბერძნული მაინც უნდა იქნას გაუქმებული**“. იმასაც მივაპყრობთ ყურადღებას, რომ ამ მოსაზრებას იაკობი სთავაზობს არა როგორც თავის პირად შენედულებას, არამედ საერთო აზრს: „ქართველმა საზოგადოებამ ყურნალ-გაზეთების შუამავლობით

და თავადაზნაურობის კრების პირით უკვე გამოაცხადა გადაჭრილი პასუხი ამ კითხვისა. ყველას მიუცილებელს საჭიროებათ მიაჩნიათ“ ის, რაც ზემოთ ვთქვით.

ძალიან გარკვევით და ძალიან საღად არის გამოკვეთილი სათქმელი: სასულიერო სასწავლებლებში არ ისწავლება:

**ქართული გრამატიკა,
ქართული საერო ლიტერატურა,
ქართული სასულიერო ლიტერატურა,
საქართველოს გეოგრაფია,
საქართველოს ისტორია,
ქართული ეკლესიის ისტორია**

და ამ დროს სასწავლო გეგმაში არის ლათინური და ძველი ბერძნული ენები. ერთ-ერთი მათგანის ხარჯზე ქართული საგნები შევიტანოთ!... თუ რატომ აძლევს უპირატესობას ლათინურს, ვურჩევდით ე. ჭელიძეს, გასცნობოდა იმდროინდელი ევროპული სასწავლებლის სასწავლო გეგმებს და მიხვდებოდა...

ერთ უმნიშვნელოვანეს დეტალსაც მივაპყრობთ ყურადღებას: ი. გოგებაშვილი ზედმიწევნით იცნობს იმდროინდელი პედაგოგიკის მიღწევებს. ერთდროულად სამი უცხო ენის (ქართული შემთხვევისათვის — რუსულის, ლათინურისა და ძველი ბურძნულის) სწავლება არაა გამართლებული. სხვათა შორის, ასეა ეს დღესაც: საერთაშორისო სტანდარტებით ერთდროულად შეიძლება მოზარდმა ისწავლოს ორი უცხო ენა; თუ არის აუცილებლობა მესამე უცხო ენისა, იგი უნდა ჩაენაცვლოს ერთ-ერთს (პირველს ან მეორეს). ეს იცოდა იაკობ გოგებაშვილმა და, სამწუხაროდ, ამას ე. ჭელიძე მკრეხელობად და მართლმადიდებლობის მტრობად უთვლის მას!...

გაგვიგრძელდა მსჯელობა ამ თემაზე, მაგრამ გვსურდა გვეჩვენებინა: რა არის აზრი იაკობისა და როგორ შეფასებას აძლევს მას ე. ჭელიძე. ფაქტია: ე. ჭელიძე კითხულობს ისე, როგორც მას (ე. ჭელიძეს) სურს და არა ისე, როგორც უწერია იაკობ გოგებაშვილს; და ასე იმიტომ კითხულობს, რომ წინასწარაკვიატებული აზრი მოგვანვიოს თავს.

* * *

ერთ-ერთი ბრალდება ე. ჭელიძისა იაკობ გოგებაშვილის მიმართ ასე უდრს: „ხსენებული მოღვაწე (იგულისხმება იაკობ გოგებაშვილი —

ავტ.) ფაქტობრივად უარყოფს საქართველოს ეკლესიის სამოციქულო დაფუძნებულობას, მიიჩნევს მას მხოლოდ IV ს-ში წარმოშობილად“ (გვ. 6).

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ე. ჰელიძის ერთ ტაქტიკურ „მიგნებაზე“: წიგნაკის დასაწყისში განაცხადა: „ეკლესიასთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილის მიერ გამოთქმული მყარი თვალსაზრისებიდან გამოიყოფა ხუთი უმთავრესი მომენტი“ (გვ. 6). უაღრესად მკვეთრი, მწვავე ბრალდებების სახე მისცა მათ და მერე „გაშალა“ მსჯელობა. ვინც ამ დასკვნებს ჩაიკითხავს, თუკი ირწმუნებს ე. ჰელიძისას, მერე შეიძლება აღარც წაიკითხოს წიგნაკი — არ ჩათვალოს დროის ხარჯვის ღირსად იაკობ გოგებაშვილი! ცალკეულ შემთხვევაში ე. ჰელიძე აღწევს კიდევაც მიზანს, ალბათ... ვინც გადაწყვეტს წაიკითხოს წიგნაკი, წინასწარ მიღებული შთაბეჭდილებით მოუწევს წაკითხვა წიგნაკისა და ესეც ე. ჰელიძის წისქვილზე ასხამს წყალს... მოკლედ, „მძიმე დღეში“ აღმოჩნდება იაკობ გოგებაშვილი ე. ჰელიძის ხელში!... ახლა კონკრეტულად ბრალდების თაობაზე. ე. ჰელიძეს მოჰყავს ი. გოგებაშვილის ციტატები: „ქართულმა ეკლესიამ, რომელიც წარმოიშვა მეოთხე საუკუნის დასაწყისში“... ანდა „აგერ თხუთმეტი საუკუნეა, რაც საქართველომ ქრისტეს სარწმუნოება მიიღო“... და აყალიბებს ბრალდებას: იაკობ გოგებაშვილი „უარყოფს საქართველოს ეკლესიის სამოციქულო დაფუძნებულობას, მიიჩნევს მას მხოლოდ IV საუკუნეში წარმოშობილად“.

ჯერ ერთი, ქართული ისტორიოგრაფია (და არა მხოლოდ ქართული) ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად ჩვეულებრივ IV საუკუნეს მიიჩნევს და ი. გოგებაშვილიც თუ ასე თვლის, ეს არ უნდა იყოს ბრალდების საგანი... მეორეც, ჩვენ ვურჩევდით ე. ჰელიძეს, გაეცნოს ი. გოგებაშვილის წერილს „მკითხველისადმი (ივ. ჭავჭავიძის წერილის გამო)“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (1904 წ. №2481, 29/IV). ამ წერილში იაკობ გოგებაშვილი უსაყვედურებს ივანე ჭავჭავიძის იმის გამო, რომ მან (ი. ჭავჭავიძე ვილმა) ეჭვი შეიტანა ანდრია მოციქულის საქართველოში ყოფნის შესახებ, თითქოს „ქართული ეკლესია მოკლებულია ღირსებას სამოციქო-

ქულო ეკლესიისას“ და ყოველივე ეს „ნეტარებით ავსებენ ერთს გვარს პოლიტიკანებს და შხამავენ ყველა ნამდვილს ქართველსა“... (ისე, როგორ სადღეისოდ ჟღერს — „ნეტარებით ავსებენ ერთს გვარ პოლიტიკანებს“!..)

იქნებ ე. ჰელიძე გაეცნოს ამ წერილს და მერე ბოდიში მოუხადოს ქართულ საზოგადოებას იაკობ გოგებაშვილის შეურაცხყოფისათვის...

* * *

ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ბრალდება (ისევე ცილისწამება), რომელიც ე. ჰელიძემ წაუყენა იაკობ გოგებაშვილს, ისაა, რომ „იაკობ გოგებაშვილისათვის უცხოა ერთი წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ცნება“ (გვ. 6). ძნელია იმის მიხვედრა, თუ საიდან აკეთებს ამ დასკვნას ე. ჰელიძე; თუ იაკობი აუგად არ იხსენიებს სხვა რელიგიებს, ეს არ უნდა აძლევდეს ოპონენტს ამგვარი დასკვნის უფლებას. **იაკობი ზნეობრივი პიროვნებაა სხვათაგან განსხვავებით;** მას სწამს, რომ „უეჭველი ეროვნული და რელიგიური მოთმინება, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისადმი ჰუმანური დამოკიდებულება დაედო საფუძვლად ქართულ ხასიათს უძველესი დროიდან და მოდგმიდან მოდგმას გადაეცა“... იაკობი მთელი ცხოვრების მანძილზე იყო ჰემფარიტი აღმსარებელი მართლმადიდებელი ეკლესიისა; სულიერი შვილი გაბრიელ ეპისკოპოსისა; ცნობილი ფაქტია, ეპისკოპოსი გაბრიელი როგორ ზრუნავდა და როგორ იცავდა იაკობს მისთვის უმძიმეს პერიოდში, როგორ უპირისპირდებოდა ეპისკოპოსი გაბრიელი ეგზარქოსს იაკობის გამო და ა. შ. დავიჩეროთ, იაკობის „მოჩვენებითი მართლმადიდებლობა“ ე. ჰელიძემ შენიშნა და გაბრიელ ეპისკოპოსმა ვერა?!

ე. ჰელიძე ამ (II მთავარ) ბრალდებას ასე აგრძელებს: „საქართველოს ეკლესიას ავტორის (ე. ი. იაკობის) რწმენით, IV ს-იდანვე ირგვლივ შემოსჯარვია მისდამი უაღრესად მტრულად განწყობილი სხვა მართლმადიდებელი ეკლესიები, როგორც მისი ეროვნულობის აღმოფხვრის მოწადინე „უცხო, გარეგანი ძალები“ (გვ. 6). **ისევე გაყალბება ფაქტისა:** თითქოს იაკობ გოგებაშვილი მტრად მოიხსენიებს „ირგვლივ შემოჭარულ“ უკლებლივ ყველა მართლმადიდებელ ეკლესიას. იაკობი საუბრობს მხოლოდ ანტიოქიის ეკლესიის (V ს-ის მდგომარეობით) და

რუსული ეკლესიის (XIX ს-ის მდგომარეობით) შესახებ; და საუბრობს ამ ეკლესიათა შესახებ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ხელყვეს ქართული ეკლესიის ავტონომიურობა. ამ საკითხზე უფრო ვრცელი მსჯელობა იქნება საჭირო.

როცა ამ თემას შეეხება ე. ჭელიძე, იმოწმებს იაკობის წერილს „ქართული ეკლესიის ბედის საკითხისათვის (ისტორიული ცნობა)“, რომელიც გამოქვეყნებულია რუსულად 1905 წელს გაზეთ „ვოზროკდენიში“ (ვიმოწმებთ რჩეულ თხზულებათა III ტომიდან, გვ. 89-95).

იაკობ გოგებაშვილი ქართული ეკლესიის ისტორიაში გამოყოფს სამ პერიოდს:

1. ანტიოქიურს — V საუკუნეში,
2. ნაციონალურს — VI-XVIII საუკუნეებში,
3. რუსულს — XIX საუკუნეში.

ანტიოქიურ პერიოდს იაკობი ასე ახასიათებს: „პირველი — ანტიოქიური პერიოდი გრძელდებოდა წელიწადზე (უნდა იყოს საუკუნეზე — ავტ.) მეტს და ატარებდა წმინდა ბიუროკრატიულ, ჩინოვნიკურ ხასიათს. ქართული ეკლესიის მეთაური ინიშნებოდა გარეგანი ძალის, უცხო ხელისუფლის, ანტიოქიის პატრიარქის მიერ. ინიშნებოდა არა ქართველთაგან, არამედ ბერძენთაგან, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ქართულ მრევლთან. ეს გრძელდებოდა V საუკუნემდე“... მერე ვახტანგ გორგასლის ეპოქაში „ქართული ეკლესია დებულობს ავტონომიას, ხოლო მისი ეპისკოპოსი — კათალიკოსის ტიტულს, მაგრამ ეს იყო ბიუროკრატიული, ჩინოვნიკური ავტონომია, რადგან ანტიოქიის პატრიარქმა დაიტოვა უფლება — თვითონვე შეერჩია და დაენიშნა კათალიკოსი, ხოლო კათალიკოსად მუდამ ბერძენი ინიშნებოდა“... „მკვდარ ორგანიზმს წარმოადგენდა ქართული ეკლესია ჩინოვნიკური, ბიუროკრატიული პერიოდის მთელ მანძილზე“.

ე. ჭელიძე ამ წერილის წაკითხვის შემდეგ აკეთებს დასკვნას: „იაკობ გოგებაშვილი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკლესია ამ დროს ანტიოქიის ეკლესიის მეტოქიონს წარმოადგენდა და არის რა ამ მოვლენით გულის სიღრმემდე აღშფოთებული, IV-V სს-ის ეპოქის საქართველოს ეკლესიას უარყოფითი ტერმინებით ახასიათებს, უწოდებს რა მას „ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკურს“ (გვ. 7, ხაზი ე. ჭელიძისა).

ე. ი. ე. ჰელიძის აზრით, „უკიდურესად უარყოფითი ტერმინები“ ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური; და, რაც მთავარია, იაკობი ამ ტერმინებით ახასიათებს საქართველოს ეკლესიას!

ისევ ცილისწამება!

ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური იაკობის ამ წერილში და სხვაგანაც არის ტერმინი, რომელიც ახასიათებს პერიოდს და არა ქართულ ეკლესიას (ზოგჯერ ამ ტერმინს ენაცვლება ჩინოვნიკურ-უწყებრივი). იაკობის განმარტებით, ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური არის პერიოდი, როდესაც ქართული ეკლესიის მეთაური ინიშნებოდა გარეგანი ძალის, უცხო ხელისუფლის, ანტიოქიის პატრიარქის მიერ; ინიშნებოდა არა ქართველთაგან, არამედ ბერძენთაგან, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ქართულ მრევლთან.

ტერმინით ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური იაკობი ახასიათებს ასევე ავტონომიას; „ვახტანგ გორგასლანის დროს ქართული ეკლესია ღებულობს ავტონომიას, ხოლო მისი ეპისკოპოსი — კათალიკოსის ტიტულს, მაგრამ ეს იყო ბიუროკრატიული, ჩინოვნიკური ავტონომია, რადგან ანტიოქიის პატრიარქმა დაიტოვა უფლება — თვითონვე შეერჩია და დაენიშნა კათალიკოსი, ხოლო კათალიკოსად მუდამ ბერძენი ინიშნებოდა“. XIX საუკუნის მდგომარეობაზე საუბრისას იაკობი წერს: „იწყება ქართული ეკლესიის ახალი ფაზა. მაგრამ როგორ? კიდევ უფრო ბიუროკრატიული, ვიდრე ანტიოქიური. სრულიად საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსს უმორჩილებენ ძალადმმართველ სინოდს, წმინდა ბიუროკრატიულ კოლეგიას, მის წევრებს კი არ ირჩევენ, არამედ ნიშნავს, აჯილდოებს და სამუშაოდან ითხოვს საერო ბიუროკრატი, რომელსაც სინოდის ობერპროკურორი ეწოდება“. ამ შემთხვევაში ტერმინით ბიუროკრატიული ხასიათდება „ქართული ეკლესიის ახალი ფაზა“.

მივაპყროთ ყურადღება: ტერმინებით ბიუროკრატიული, ჩინოვნიკური ხასიათდება პერიოდი, ფაზა, ავტონომია, მერე კოლეგია და არა საქართველოს ეკლესია, როგორც ამას ე. ჰელიძე ფიქრობს... სხვაგან ე. ჰელიძე წერს, რომ ამ ტერმინებით იაკობი ანტიოქიის ეკლესიას ახასიათებს: „აი, ეს პიროვნება (წმ. ევსტათი ანტიოქიელი — ავტ.) იწოდება იაკობ გოგებაშვილის მიერ „წმინდა ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური“ ეკლესიის წარმომადგენლად“.

ისევ **სათავისოდ, არასწორად და არაობიექტურად წაკითხული ტექსტი** იაკობ გოგებაშვილისა და, რაც მთავარია, შეურაცხმყოფელი კომენტარებით.

ჯერ ერთი, შეიძლება ვიდავოთ იმაზე, რამდენად მართებულად და მარჯვედ არის შერჩეული ეს ტერმინები, მაგრამ იგი რომ არ არის „**უკიდურესად უარყოფითი მახასიათებელი**“ საქართველოს ეკლესიისა, არ შეიძლება სადავო იყოს; თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ წერილი, რომელშიც იაკობი რუსულ პერიოდს ახასიათებს ამ ტერმინით, რუსულ პრესაში იბეჭდება 1905 წელს. როგორ ფიქრობთ, „უკიდურესად უარყოფითად“ დახასიათება სინოდისა ცენზურისათვის მისაღები იქნებოდა?...

სამწუხარო რეალობის წინაშე დაგვაყენა ე. ჰელიძემ: გვიწევს იმის მტკიცება, რომ ანის ადგილზე ანი წერია და არა ჰოე...

ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიულის გვერდით იაკობ გოგებაშვილს შემოაქვს ტერმინი **არჩევნობითი / არჩევითი**. ე. ჰელიძისათვის ეს ტერმინიც მიუღებელია და იაკობის პოზიციის სიმცდარის ერთ-ერთი „არგუმენტი“. იგი წერს: „**იაკობ გოგებაშვილის კატეგორიული მოთხოვნით, თუ ქართველი ერი ვერ მიაღწევს არჩევნობითობის სისტემის დაწერგვას ეკლესიაში (რაც თავისთავად სრული კატაგნოზისია, თუმცა ამ საკითხზე ამჯერად არ ვმსჯელობთ)**“... (გვ. 23).

რას გულისხმობს ტერმინი **არჩევნობითობა / არჩევითობა**, როგორ ესმის ამ ტერმინის მნიშვნელობა იაკობ გოგებაშვილს? — მოვესმინოთ: „**მხოლოდ მეექვსე საუკუნეში, მეფე ადარნასეს დროს, ქართულმა ეკლესიამ პირველად შეძლო მოეპოვებინა უფლება იმისა, რომ სათავეში ჰყოლოდა არჩეული კათალიკოსი, საქართველოს ნამდვილი შვილი, მხოლოდ ამ მომენტიდან იცვლება ანტიოქიური პერიოდი ნაციონალურით, ჩინოვნიკურ-უწყებრივი — არჩევნობითით, და ქართული ეკლესიის სათავეში, ნაცვლად ანტიოქიელი არქიეპისკოპოსებისა, დგებიან ქართველ ეპისკოპოსთა კრების მიერ მრევლის მონაწილეობით არჩეული ბუნებით ქართველები და ავტონომიური კათალიკოსის ტიტული უკვე წარმოადგენს არა ცარიელ სიტყვას, არამედ რეალურ სინამდვილეს**“ (რჩეული თხზულებანი, III, გვ. 89-90).

იაკობის აზრით, „**ნაციონალურ-არჩევითი** პერიოდი თავის მხრივ იყოფა ორ ქვეპერიოდად: **ავტონომიური ანუ კათოლიკოსური პერიო-**

დი და ავტოკეფალიური ანუ **პატრიარქის პერიოდი**. პირველ პერიოდში არჩეული კათალიკოსისათვის საჭირო იყო ანტიოქიის პატრიარქის სანქცია და, გარდა იმისა, ქართულ ეკლესიას უფლება არ ჰქონდა, თვითონ მოემზადებინა მირონი, ვალდებული იყო, იგი მიეღო ანტიოქიიდან, რისთვისაც ყოველწლიურად გარკვეულ თანხებს ხარჯავდა. ყოველივე სხვა მხრივ კი საქართველოს კათალიკოსი სრულიად დამოუკიდებელი იყო და ანტიოქიის პატრიარქს არაავითარი უფლება არ ჰქონდა, ჩარეულიყო ქართული ეკლესიის მართვაში“ (იქვე, გვ. 91).

იაკობის აზრით, ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი უ ლ - ჩ ი ნ ო ვ ნ ი კ უ რ (თუ უწყებრივ) პერიოდში ეკლესია მკვდარი ორგანიზმია; არჩევნობითობის პერიოდში — ძალითა და ენერგიით სავსე ცოცხალი ორგანიზმი (იქვე).

ისევ ტერმინოლოგიის საკითხი: **შეიძლება ვიდავოთ, რამდენად მარჯვედაა შერჩეული ეს ტერმინები, მაგრამ მოხერხებული თუ მოუხერხებელი ტერმინების შერჩევისათვის ჭერ არავინ დაუსჯიათ...** ამ თვალთ უნდა შევხედოთ აღნიშნულ ტერმინებს და, რაც მთავარია, სწორად დავინახოთ, რა ცნებას აღნიშნავს იაკობ გოგებაშვილი ამ ტერმინებით.

ანტიოქიის პერიოდზე მსჯელობისას იაკობი უკმაყოფილებას გამოხატავს იმის გამო, რომ „ქართული ეკლესიის მეთაური ინიშნებოდა **გარეგანი ძალის, უცხო ხელისუფლის, ანტიოქიის პატრიარქის მიერ**. ინიშნებოდა არა ქართველთაგან, არამედ ბერძენთაგან, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ქართულ მრევლთან. ეს გრძელდებოდა V საუკუნემდე“. ედიშერ ჭელიძე იმოწმებს ამ ამონარიდს; დაუმატებს იმასაც, რომ იაკობის აზრით, „**პირველი — ანტიოქიური პერიოდი** გრძელდებოდა [ას] წელიწადზე მეტს და **ატარებდა წმინდა ბიუროკრატიულ, ჩინოვნიკურ ხასიათს** (ხაზი ე. ჭელიძისა). და აკეთებს უაღრესად „შთამბეჭდავ“ დასკვნას:

„ხსენებულ **„ანტიოქიის პატრიარქში“**, უპირველესად, ცხადია იგულისხმება უდიდესი წმინდანი, **საქართველოს ეკლესიის პირველმკურთხებელი, წმ. ევსტათი ანტიოქიელი**, რომლის შესახებაც წმ. არსენ იყალთოელი აღნიშნავს“: „... აქ ვრცელი ციტატა მოჰყავს ე. ჭელიძეს და მერე განაგრძობს: „აი, ეს პიროვნება იწოდება იაკობ გოგებაშვილის მიერ **„წმინდა ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური“** ეკლესიის წარმომად-

გენლად, „გარეგან ძალად“, „უცხო ხელისუფლად“ (გვ. 9) (ხაზი ე. ჰელიძისა).

ცოტა ქვევით ე. ჰელიძეს სწორედ ამის გამო ი. გოგებაშვილის წმინდანად კანონიზება მიუღებლად მიაჩნია: „**მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი არ შეიძლება აღნიშნული ეკლესიის უდიდეს და უმთავრეს მეტროპოლიათა (ანტიოქიის, კონსტანტინეპოლის) შესახებ საუბრობდეს უკიდურესად შეურაცხყოფელი ტერმინებით**“ (გვ. 10), რადგან „**მკითხველს ხსენებულ ეკლესიათა მიმართ ექმნება უაღრესად უარყოფითი დამოკიდებულება**“ (იქვე).

ჭერ ერთი: რას ნიშნავს „უკიდურესად შეურაცხყოფელი ტერმინები?“ ე. ჰელიძის მიერ ხაზგასმული „**ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური**“, „**გარეგანი ძალა**“ და „**უცხო ხელისუფალი**“ „უკიდურესად შეურაცხყოფელი“ ტერმინებია?

მეორეც: ტერმინი „**ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური**“ მიემართება (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) მხოლოდ ქართული ეკლესიის ისტორიის ერთსაუკუნოვან პერიოდს და არა ანტიოქიის ეკლესიას, როგორც ამის მოჩვენებას ცდილობს ე. ჰელიძე.

მესამეც: „**გარეგანი ძალა**“ და „**უცხო ხელისუფალი**“ არის რეალური ვითარების ამსახველი შესიტყვებები და არა „**უკიდურესად შეურაცხყოფელი ტერმინები!**“ **გარეგანი ძალა** არაქართველს გულისხმობს; **უცხო ხელისუფალი** — ხელისუფლად, მმართველად, წინამძღოლად მოვლენილ სხვა ქვეყნისა და ერის შვილს! არ იყო ასე? ანტიოქიის ეკლესიის პატრიარქის მიერ დანიშნული ქართული ეკლესიის ბერძენი მეთაური ვინ იყო? — რა თქმა უნდა, „**გარეგანი ძალა**“ და „**უცხო ხელისუფალი**“.

მეოთხეც: „**გარეგანი ძალა**“ და „**უცხო ხელისუფალი**“ მიემართება არა ანტიოქიის პატრიარქს, როგორც ამის მოჩვენებას ცდილობს ე. ჰელიძე, არამედ მის მიერ ქართული ეკლესიის მეთაურად დანიშნულ ბერძენ მღვდელმთავარს!

მეხუთეც: რა შუაშია წმ. ევსტათი ანტიოქიელი და (მაპატიოს უფალმა მისი ამგვარ კონტექსტში მოხსენიება) მისი „**უკიდურესად შეურაცხყოფელი ტერმინებით**“ დახასიათება?!

ზემოთ ჩვენ პოლიტიკოსთა მიერ ხშირადხმარებული ტერმინი გავიხსენეთ — დ ე მ ა გ ო გ ი ა! ობიექტურ მკითხველს ვთხოვთ, გულდასმით გადახედოს იაკობ გოგებაშვილის მსჯელობას ანტიოქიის პერიოდზე; ყოველივე ამის ე. ჭელიძისეულ „შეფასებას“ და მერე გააკეთოს დასკვნა, რ ა ს ა ხ ე ლ ი უ ნ დ ა დ ა ე რ ქ ე ვ ა ს ა მ ა ს...

ისე, ე. ჭელიძეს, ცხადია, არ ესწავლება, რომ „V საუკუნეში ქართული ეკლესია იერარქიულად ანტიოქიის საპატრიარქოზე იყო დამოკიდებული“ (საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი, 2007); რომ „ქართულ ეკლესიას უფლება არ ჰქონდა თვითონ მოემზადებინა მირონი“: აღარას ვამბობთ მრავალგზის მონობილ ფაქტზე, რომ არ გვყავდა ქართველი მეთაური ქართული ეკლესიისა და ა. შ. ყოველივე ამის გამო იაკობ გოგებაშვილს რომ გულისწყრომა გამოეხატა, ეს დანაშაულია იაკობ გოგებაშვილისა?

ისიც გავიხსენოთ, **როდის წერს** ამ წერილს (და საერთოდ ამ საკითხებზე) იაკობი და **რა მიზნით**:

იაკობი პროტესტს გამოთქვამს რუსული მმართველობის გამო:

„იწყება ქართული ეკლესიის ახალი ფაზა. მაგრამ როგორი?

კ ი დ ე ვ უ ფ რ ო ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი, ვ ი დ რ ე ა ნ ტ ი ო ქ ი უ რ ი. სრულიად საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსს უმორჩილებენ ძალადმმართველ სინოდს, წმინდა ბიუროკრატიულ კოლეგიას. მის წევრებს კი არ ირჩევენ, არამედ ნიშნავს, აჯილდოებს და სამუშაოდან ითხოვს საერო ბიუროკრატი, რომელსაც სინოდის ობერპროკურორი ეწოდება. მაგრამ დამოკიდებული კათალიკოსიც არახელსაყრელი აღმოჩნდება: იგი ძველი ჩვეულებებისამებრ და სინდისისა და მოვალეობის კარნახით, თავისი მრევლის ინტერესებს უფრო ეხმარება, ვიდრე პეტერბურგის სასულიერო ბიუროკრაციას, და მას აყენებენ თანამდებობიდან, აუქმებენ საკათალიკოსოს და აწესებენ რუსულ საეგზარქოსოს, რომელიც მთლიანად ემორჩილება წმ. სინოდს... საქართველოს ეგზარქოსად ინიშნება ფეოფილაქტ რუსანოვი, რომელიც აწესებს ქართული ეკლესიის დენაციონალიზაციას: მისი ნაჩქარევი გარუსების, გაუპიროვნების უწყსრიგო სისტემას... სიძულვილი ყოველივე ქართულისადმი იქამდე მიდის, რომ ამ სემინარიაში ყველა საგანი ისწავლება მხოლოდ-

დამხოლოდ რუსულ ენაზე“... და ა. შ. (რჩეული თხზულებანი, III, გვ. 94).

სხვაგან წერს: „საქართველოს ეკლესია სულ დაიმონეს და რუსული სინოდის კანცალარიად აქციეს“ (რჩეული თხზულებანი, III, გვ. 96); ქართულ ეკლესიას ქართველი უნდა ხელმძღვანელობდეს, რადგან „მწყემსმა თავისი სამწყსოს ენა არამცთუ კარგად უნდა იცოდეს, უნდა დახელოვნებული იყოს მის მარჯვე ხმარებაში, გავარჯიშებული კაფიო მეტყველებაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლიან მას იყოს ჭეშმარიტი მქადაგებელი, მთესველი მაცხოვრის მაღალის სწავლისა“ (იქვე, გვ. 346)...

ისიც გავიხსენოთ, ზემოდასახელებული წერილი რუსულ პრესაში გამოქვეყნდა 1905 წელს. ნურც ის დაგვაიწყდება, რომ **1886 წელს ეგზარქოსისადმი მიწერილი წერილის გამო დიმიტრი უიფიანი გადაასახლეს და მერე მოკლეს!** და ყოველივე ამას წერს და გაცილებით უფრო მწვავე მოთხოვნებს აყენებს იაკობ გოგებაშვილი ქართული ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე!

ეს გმირობა იყო, თავდადებისა და თავგანწირვის ტოლფასი და იაკობ გოგებაშვილს ამის გამო მადლობა უნდა ვუთხრათ და არა ცილისწამებათა ნიაღვარი მივუშვიროთ, უკუღმა წავიკითხოთ წაღმა ნათქვამი და შევაჩვენოთ...

იაკობ გოგებაშვილი ანტიოქიის პერიოდზე საუბრისას წერს: „ანტიოქიის პატრიარქს საქართველოში ჰქონდა ვრცელი მამულები, რომლებიც სხვადასხვა დროს მას შესწირეს ქართველმა მეფეებმა და დიდებულებმა. ამ მამულებს მართადა ანტიოქიელი იღუმენი, რომელიც პატრიარქს ყოველწლიურად დიდძალ ფულს უგზავნიდა. ქართველებთან ყოველგვარი მძაფრი შეტაკებისას პატრიარქს ეშინოდა ამ მამულების კონფისკაციისა და ეს შიში აიძულებდა მას დაედასტურებინა ქართველი სამღვდლოებისა და ქართველი მრევლის მიერ ჩადენილი წმინდა რევოლუციური აქტები“ (III, გვ. 92-93). სხვათაშორის ე. ჭელიძე ამ ამონარიდის დამოწმებისასაც უზუსტობას იჩენს — სხვა გვერდებს უთითებს...).

სამწუხაროდ, კვლავ მოგვიწევს ხმარება სიტყვებისა — ცი-
ლისწამება, შეურაცხყოფა, უკუღმა წაკითხვა... მო-
ვუსმინოთ ე. ჭელიძის კომენტარს ზემოხსენებულ ამონარიდზე:

„მოტანილი (!) ციტატიდან **გამაოგნებელია** შემდეგი: იაკობ გო-
გებაშვილმა, როგორც ვხედავთ, კარგად იცის, რომ მის მიერ ნაგულის-
ხმევ ანტიოქიელ-კონსტანტინეპოლელი პატრიარქები აღნიშნული ეპო-
ქისა (VII-IX სს-ისა) არიან მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანები
(პირდაპირ ამბობს მათზე: „წმინდა მამები“), მაგრამ მიუხედავად ამისა,
იგი უწყყმანოდ განუკუთნებს მათ სრულ ზნეობრივ დაცემულობას,
რადგან უკლებლივ ყველა მათგანი სინამდვილეში თურმე, ზემორე ცი-
ტატის კვალობაზე, **მხოლოდ ანგარებითი, ვერცხლისმოყვარეობითი**
ვნებით ყოფილა დაბრმავებული ანუ, რაც იგივეა, ყოფილა ყოველ-
გვარ სიწმინდესა და ზნეობას მოკლებული. შესაბამისად, **ავტორისა-**
თვის ამ იერარქთა წმინდანობა მართლმადიდებელი ეკლესიის გამო-
ნაგონად ჩანს და არა უტყუარ ფაქტად“ (გვ. 11).

ძნელია კაცმა მშვიდად შეხედო ამ ბრალდებას, მაგ-
რამ მაინც ვცადოთ:

ჯერ ერთი — „ანგარებითი“, „ვერცხლისმოყვარეობით“, „დაბრმა-
ვებული“, „ყოველგვარ სიწმინდესა და ზნეობას
მოკლებული“, „გამონაგონი წმინდანობა“ — **ე. ჭე-
ლიძის სიტყვათშემოქმედებაა** და, ცხადია, ამ გა-
მოთქმებს იაკობი არ იხმარდა და არც უხმარია.
თუ ცოდვაა ამ გამოთქმებით ანტიოქიისა და კონ-
სტანტინოპოლის საეკლესიო მოღვაწეთა მოხსენიება
(და ეს ნამდვილად ასეა!), ეს ცოდვა ე. ჭელიძისაა...

მეორეც — **ნომ ფაქტია ის, რომ**

ა) ქართული ეკლესია იერარქიულად ანტიოქიის
ეკლესიას ექვემდებარებოდა;

ბ) ანტიოქიის ეკლესიას საქართველოში ჰქონდა მა-
მულები;

გ) ამ მამულებს განაგებდა ანტიოქიელი ილუმენი;

დ) ამ მამულებიდან მიღებული შემოსავალი ეგზავ-
ნებოდა ანტიოქიაში პატრიარქს;

ე) ანტიოქიის პატრიარქი უფრთხილდებოდა და იცავდა კონფესიაციისაგან საქართველოში მათ კუთვნილებაში არსებულ მამულებს?...

თუ იაკობ გოგებაშვილი ამას წერს, რა არის აქ „გამაოგნებელი“ და (ღმერთო გვაპატიე გამეორების მცდელობაც კი...) ე. ჭელიძისეული ტერმინებით შესაფასებელი?

განა ეკლესია და საეკლესიო მოღვაწენი დღეს არ იცავენ და არ უფრთხილდებიან საეკლესიო ქონებას? განა არ იღებენ შემოსავალს ამ მამულებიდან და არ განკარგავენ მას? ესაა ის, რასაც ი. გოგებაშვილი „ეკონომიკურ მატერიალიზმს“ უწოდებს და რა არის აქ დასაძრახი და „გამაოგნებელი“?

ე. ჭელიძე წერს: „ასეთი უ მ ძ ი მ ე ს ი ბ რ ა ლ დ ე ბ ა ნ ი ხ ს ე ნ ე ბულ მოღაწეთა მიმართ, გასაგებია, ვ რ ც ე ლ დ ე ბ ა ზ ო გ ა დ ა დ მ ა რ თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ე ლ ე კ ლ ე ს ი ა ზ ე“ (გვ. 12). კი, ვრცელდება ზოგადად მართლმადიდებელ ეკლესიაზე, მაგრამ არის კი ეს ბრალდება? თუ ეს რეალობის ასახვაა? ჩვენ დარწმუნებული ვართ, ე. ჭელიძემ ძალიან კარგად იცის, რასაც ამბობს იაკობი, მაგრამ მას (ე. ჭელიძეს) ასე სჭირდება(!) და აკეთებს მისეულ დასკვნებს...

* * *

კიდევ ერთი მძიმე ბრალდება იაკობ გოგებაშვილის მისამართით: ე. ჭელიძე წერს — „ავტორს (ე. ი. იაკობ გოგებაშვილს — ავტ.) სწამს, აგრეთვე, **სხვადასხვა აღმსარებლობათა სრული განურჩევლობა**. მისთვის, კერძოდ, სომხური მონოფიზიტური სარწმუნოებაც „მაღალი“ და „წმინდა“.

ე. ჭელიძე ფიქრობს, მე ვიტყვი და მსმენელი, ცხადია, დამიჯერებს, ირწმუნებს, რასაც ვამბობო... რატომ ფიქრობს ასე, ძნელი სათქმელია (არ გვინდა ვიხმართ ტერმინები — თვითდაჯერება, თვითდარწმუნებულობა, ამბიციაც, ამპარტავნება... მკითხველმა თავად გამოძებნოს შესაფერისი ეპითეთი)... მაგრამ ვერ დაუფიქრებ და, აი, რატომ:

ჩერ ერთი: იაკობ გოგებაშვილი დაიბადა და გაიზარდა მართლმადიდებელთა ოჯახში; მან პირველი მოწაფის წოდებით დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია; იგი იყო წარმატებული სტუდენტი კიევის სასულიერო აკადემიისა; იგი იყო სულიერი შვილი გაბრიელ

ეპისკოპოსისა; იგი სასულიერო წოდების საოლქო ყრილობამ აირჩია სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად; იგი იყო ავტორი „ბიბლიური ისტორიისა“ და სხვა და სხვა... და ეს კაცი თურმე, ე. ჭელიძის აზრით, იჩენს „სხვადასხვა აღმსარებლობათა სრულ განურჩევლობას“... მძიმე ცოდვას სჩადის ცილისმწამებელი...

მეორეც: არაერთი ამონარიდი მოვიყვანეთ მართლმადიდებელი სარწმუნოებისადმი იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულებისა. და ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები წვეთია ზღვაში ამ თემაზე. ე. ჭელიძის ამ ბრალდებაზე იაკობის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მცოდნე გაიცინებს, მაგრამ გვაქვს სასაცილოდ საქმე ასეთი ბრალმდებლის შეჩუურეს? მით უმეტეს, თუ ამ ბრალმდებელს აქვს ამბიცია ყველაფრის-მცოდნისა... და იმისი, რომ უსიტყვოდ უნდა ირწმუნონ მისი...

მესამეც: მეზობელი სომხების მაგალითი იაკობ გოგებაშვილს არაერთგზის მოჰყავს: სომხური ენისადმი სომეხთა დამოკიდებულება; სომხური სარწმუნოებისადმი სომხური მრევლის დამოკიდებულება; სომხური ეკლესიის იმდროინდელი მდგომარეობა; სომეხი ერის დამოკიდებულება განათლებისადმი (სასულიერო თუ საერო); სომეხი ერის დამოკიდებულება სომხეთის ისტორიისადმი (საერო თუ საეკლესიო) და სხვა, **იაკობს მიაჩნია სამაგალითოდ** და სწორედ ამისადმი მიაპყრობს ქართველი მკითხველის ყურადღებას. სომხური მონოფიზიტური სარწმუნოებისადმი ეპითეტები „წმინდა“, „მაღალი“ არის არა იაკობ გოგებაშვილის რწმენის გამოვლენა (როგორც ეს მიაჩნია ე. ჭელიძეს), არამედ იაკობის აზრით, ეს სომეხი სასულიერო პირებისა და სომეხი მრევლის დამოკიდებულების გამოვლენა საკუთარი რელიგიისადმი.

აი, რამდენიმე ამონარიდი, რომელიც ე. ჭელიძის ამ თავისი „უტყუარი მიგნების“ საბუთად მოჰყავს და თავად მკითხველმა განსაჯოს:

„აქვე, ჩვენს გვერდით, ჩვენს მეზობლად არსებობს მეორე ადგილობრივი ეკლესია, **ეკლესია სომეხთა**. მას პატრონობს ღვიძლი მამა, **არჩეული სომხის ხალხის მიერ** და ნახეთ, რა სწრაფად, რა ადვილად მიანიჭა მან თავისს სამწყსოს **ის საუნჯე**, რისთვისაც ამაოდ იბძვიან დღემდის საქართველოს შეილნი (იგულისხმება ეპისკოპოსთა არჩევა

ხალხის მიერ, ე. ჭ.)... აი, ღირსეული და მისაბაძი საქციელი“ (ხაზი ყველგან ე. ჭელიძისა)...

„ამ გზასვე (განათლების, ე. ჭ.) ადგანან ჩვენი იღბლიანი და მარჯვე მეზობლები — სომხები. კაი ხანია მათ გახსნეს საკუთარი აკადემია ერმიოძინში, საიდანაც განათლებულნი დვთისმეტყველნი ყოველ წელს ოცობით გამოდიან და ხდებიან ნამდვილნი მწეემსნი თავის ერისა“.

„სრულიად სხვა სურათს წარმოგვიდგენს სომხების ეკლესია, მათი სამღვდლოება. საეკლესიო კათედრიდან ხშირად მოისმის მალალი სწავლა სახარებისა... განვითარებულნი პირნი ჰყვენენ ცოდნასა და სწავლასა სამღვდლოებაში და ერში“. „სომხების სასულიერო პირნი იჩენენ უფრო და უფრო მეტს სიცოცხლეს და გავლენასა, და პირნათლად გამოდიან თავისი მალალი და წმინდა დანიშნულების წინაშე“.

ობიექტური მკითხველისათვის კომენტარი აღარაა საჭირო. მივაქცევთ ყურადღებას მხოლოდ ბოლო ამონარიდში სიტყვებს მალალი და წმინდა, რომელიც ე. ჭელიძეს მიაჩნია იაკობის მიერ სომხური სარწმუნოების მიმართ გამოყენებულ ეპითეტებად (იაკობის რწმენად!) და კიდევ, მივაპყრობთ ყურადღებას, რა გამოთქმები ჩათვალა ხაზგასმის ღირსად ე. ჭელიძემ — ე. ი. რა არის „საბრალდებო გამოთქმები“, „საბრალდებო სიტყვები!“

ასე რომ, ეს მორიგი ბრალდებაც ე. ჭელიძისა იაკობ გოგებაშვილის მიმართ ბ ი ნ ძ უ რ ი ც ი ლ ი ს წ ა მ ე ბ ა ა .

* * *

ზემოთ ვთქვით, ე. ჭელიძე ი. გოგებაშვილის ტექსტს კ ი თ ხ უ - ლ ო ბ ს ი ს ე, რ ო გ ო რ ც მ ა ს (ე. ჭელიძეს) ს უ რ ს, რ ო გ ო რ ც მ ა ს (ე. ჭელიძეს) ს ჭ ი რ დ ე ბ ა .

კიდევ ერთი მაგალითი ამისა:

ე. ჭელიძე იაკობ გოგებაშვილის შესახებ წერს: „უპირობოდ იმ დასკნამდე მივდივართ, რომ წმინდა წერილის არქონასთან ერთად არც ნამდვილი ქრისტიანობა ჰქონია ოდესმე ქართველ ერს,“ იაკობის აზრით!... ამის დასტურად ე. ჭელიძეს მოჰყავს იაკობის „სრულიად მკაფიო და მიუკიბავ-მოუკიბავი (!) დებულებები: „ხშირად ჩვენში აღორძინებული გარეგანი ქრისტიანობა, აშენებული აურაცხელი ეკლესიები და მონასტრები, უდაბნოები საგსე ყოფილან მრავალი ბერებითა, რო-

მელთაც მთელი თავისი სიცოცხლე უტარებიათ ლოცვასა და ვედრებაში, მაგრამ მაშინაც კი მეტ-ნაკლებობით სუსტი ყოფილა ჩვენში ის მალალი, ზნეობრივი სწავლა, რომელიც შეადგენს ქრისტიანობის შუა გულსა“.

თავი რომ დავანებოთ აგდებულ დამოკიდებულებას, — „მიუკიბავ მოუკიბავიო“ იაკობის შესახებ რომ ამბობს, ე. ჭელიძის „მთავარი პრობლემა“ სხვა არის... მართალია, კი გვაფრთხილებს ე. ჭელიძე, „ზემორე სიტყვებს, როგორც იტყვიან, კომენტარი არ სჭირდებაო“, მაგრამ მაინც შევებდავთ (ე. ჭელიძეს) კომენტარს. აქ კი კიდევ ერთი ამონარიდი მოჰყავს იაკობის დასახელებული წერილიდან: „ის სპეტაკი იდეალი, რომელიც მაცხოვარმა გამოხატა შემდეგს სიტყვებში: „იყავით სრულნი, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი“, „წინედ ნაკლებად ყოფილა ჩვენთვის ცხოვრების გზის მაჩვენებელი. მნათობად და ეხლა ხომ, დროსა გახრწნილობასა ჩვენისასა, სრულიად მივიწყებული გვაქვს“...

ამ ამონარიდთა საფუძველზე ე. ჭელიძე დაასკვნის, რომ იაკობის აზრით, „არც ნამდვილი ქრისტიანობა ჰქონია ოდესმე ქართველ ერს“.

ე. ჭელიძეს ყურადღებას მივაქცევინებთ პირველ ამონარიდში გამოთქმებზე „ხშირად ჩვენში“, „მეტ-ნაკლებობით სუსტი ყოფილა“ და მეორე ამონარიდში გამოთქმაზე „წინედ ნაკლებად ყოფილა ჩვენთვის“. ერთ ამონარიდში ასეთი ფრაზაცაა „შინაგანს ქრისტიანობას იგი აქამომდე თითქმის მოკლებულია“. არ შევკადრებთ მას (ე. ჭელიძეს), განვუმარტოთ მნიშვნელობა სიტყვებისა „ხშირად“, „მეტ-ნაკლებობით“, „ნაკლებად“ და „თითქმის“... არცერთი მათგანი არ ნიშნავს — **ყოველთვის, ყველა, ოდესმე...**

ამტიციებს ვინმე, რომ მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა მივიღეთ, ვისაც ეკლესია აუშენებია და ვინც ეკლესიაში შესულა სალოცავად, ვისაც გარეგნულად ქრისტიანობა გამოუხატავს, შინაგანად ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო და არის? ამტიციებს ვინმე, რომ ჩვენში ყოველთვის ძლიერი იყო „ის მალალი ზნეობრივი სწავლა, რომელიც შეადგენს ქრისტიანობის შუა გულსა?“ სწორედ ამას ამბობს იაკობ გოგებაშვილი. მას განსაკუთრებით XIX საუკუნის მდგომარეობა აფიქრებს — „დრო გახრწნილებისა ჩვენისა“... ხოლო თუ რა იგულისხმება ამაში, ამის თაობაზე ზოგი ვთქვით და ზოგსაც ვიტყვით ქვემოთ. ის, რაც ახლა ითქვა, ნიშნავს კი იმას, რომ „ქართველი ერი შინაგანი ქრისტიანო-

ბის ანუ ცხონების მიღმა დარჩენილა მთელი თხუთმეტი საუკუნის მანძილზე“, როგორც ესმის იაკობის მსჯელობა ე. ჭელიძეს? რა თქმა უნდა, არა! უბრალოდ, ეს ე. ჭელიძეს სურს, უკუღმა იქნეს გაგებულ ი წალმა ნათქვამი იაკობისა.

უკუღმა გაგებული კი ასეთ სახეს იღებს: „ქართველი ერისთვის, მთელი მისი ისტორიის მანძილზე, იაკობ გოგებაშვილის ურყევი აზრით, ქრისტიანობა მხოლოდ გარეგან აღმსარებლობად დარჩენილა, ოდნავადაც ვერ შეუღწევია მის სულში, ქართველებს არასოდეს ჰქონიათ წმინდა წერილი“ (გვ. 6)...

სწორედ რომ უკუღმა აზროვნების ქრესტომათიულ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ეს დასკვნა (სხვებიც, რა თქმა უნდა!)...

მკრეხელობაა ისიც, ილია ჭავჭავაძის დაპირისპირება რომ მოისურვა ე. ჭელიძემ იაკობ გოგებაშვილთან: „ახლა, საპირისპიროდ, მოვესმინოთ დიდ ილიასო“. ჯერ ერთი, ღვთისმეტყველი კაცი ქრისტიანულ პრობლემატიკაზე საუბრისას ილია ჭავჭავაძეს წმინდა ილია მართლად რომ არ მოიხსენიებს, ესეც დამაფიქრებელი და ნიშანდობლივია მისთვის (ე. ჭელიძისათვის)... ი. ჭავჭავაძის ცნობილ მსჯელობას შეგვახსენებს „საპირისპიროდ“: „ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ჩვენთვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღდეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავეუდგით ქრისტიანობას საყდარი“... ცნობილი მსჯელობაა.

ე. ჭელიძეს იქნებ იაკობ გოგებაშვილის სხვა ნაშრომებშიც ჩაეხედა არა „საპირისპიროდ“, არამედ იმის შესაცნობად, რომ იაკობი ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო და, რა თქმა უნდა, ძალიან ზუსტად ესმის როლი და მნიშვნელობა ჩვენი ეკლესიისა, ამიტომ იაკობი კი არ „დაეპირისპირებინა“, არამედ ილია მართლის გვერდით დაეყენებინა: „ბურჯი ერის წარმატებისა არის ეკლესია. წინად ჩვენი ეკლესია სასიქადულოდ აღსრულებდა თავის მალაღს დანიშნულებასა. მან ჩვენს ერში დანერგა ძლიერი სარწმუნოებრივი გრძნობა, მოჰფინა ველნი და მთანი მდიდარი ტაძრებით და მონასტრებითა, შეჰქმნა სასულიერო ლიტერატურა; შეაერთა ქართველებში ერთად მაცხოვრის და მამულის მხურვალე სიყვარული და თვით კავკასიონის მთებიც-კი გახადა ასპარეზად საჩარების ძლიერამოსილი ქადაგებისა. თუ საქართველომ მთელის თხუთმეტის საუკუნის განმავლობაში გაუძლო აუარებელს და მძლავრს მტრებს და კავკასიაში დიდი ადგილი დააჭე-

რინა მართლ-მადიდებელს ქრისტიანობას, ამისათვის უაღრესად უნდა ვმადლობდეთ ქართულს ეკლესიასა“ (რჩეული თხზულებანი, ტ. II. 1990, გვ. 216). ანდა იქვე: „**ეკლესია** და სკოლა არის სათავე **ხალხის ზნეობისა, ეთიკისა, ხოლო** თვითონ ეთიკა, სპეტაკი **ზნე** საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა“ და სხვა ამდაგვარი.

ე. ჭელიძე კი „იმ დასკვნამდე მიდის“, რომ იაკობის აზრით „არც ნამდვილი ქრისტიანობა ჰქონია ოდესმე ქართველ ერს!“ რას ვიზამთ... ისე კი ვურჩევდით ამ დასკვნის ავტორს, გულდასმით ჩაეკითხა ჩვენ მიერ აქვე მოყვანილი ამონარიდი, **ზნეობასა და ეთიკაზე** რომ არის საუბარი...

* * *

ძალიან ვწუხვართ, რომ მკვეთრი ეპითეტების გამოყენება გვიწევს, მაგრამ თავისი არაობიექტური და მიკერძოებული მსჯელობით ე. ჭელიძე გვაიძულებს, ამგვარად დავიცვათ უსამართლოდ შეურაცხყოფილი იაკობ გოგებაშვილი (ისე კი, ბოდიშს ვუხდით დიდ იაკობს, რომ ჩვენი დაცვა დასჭირდა და მოგვიტევეს...).

ბინძური ცილისწამების მაგალითია ბრალდება იმის შესახებ, რომ იაკობ გოგებაშვილი ქართველ ერს ველურ ტომად აცხადებს, რომელსაც რეალურად არასოდეს ჰქონია წმინდა წერილი: „**არავის აქვს უფლება** (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამ მხრივ ურყევი დარწმუნებულობა გვაქვს) უკიდურესობამდე გაამკვეთროს არსებული ხარვეზები და **ქართველი ერი იმგვარ ველურ ტომად გამოაცხადოს, რომელსაც რეალურად თურმე არასოდეს ჰქონია წმინდა წერილი**“... „უპირობოდ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ **წმინდა წერილის არქონასთან ერთად არც ნამდვილი ქრისტიანობა ჰქონია ოდესმე ქართველ ერს**“ (გვ. 20; ხაზი ე. ჭელიძისა).

არ ვიცით, სამართლებრივად რამდენად არის შესაძლებელი, მაგრამ პიროვნების (იაკობ გოგებაშვილის) ღირსებისა და პატივის ასეთი უსაფუძვლო და დაუნდობელი შეურაცხყოფისათვის ადამიანმა პასუხი უნდა აგოს ღვთისა და ერის წინაშე!

რა ხდება! რის საფუძველზე აკეთებს ე. ჭელიძე, რბილად რომ ვთქვათ, ასეთ მკაცრ, მომაკვდინებელ დასკვნებს?

წერილში „მთავარი საჭიროებანი სასულიერო წოდებისა“ (რჩეული თხზულებანი, ტ. III, 1990, გვ. 342-348) იაკობ გოგებაშვილი საუბრობს „ბიბლიის“ გამოცემის თაობაზე (მკითხველს ვთხოვთ, ამ წერილსაც გაეცნოს სრულად):

„თბილისში გოლოვინის პროსპექტზედ, ფოჩტის სადგურის მახლობლად არის ერთი მაღაზია წიგნებისა, დაარსებული ბრიტანიის „დაბადების“ საზოგადოებისაგან. ამ საზოგადოებას ერთადერთ მიზნად აქვს ყოველს ენაზედ ბეჭდოს გასაგები ენით დაბადება და ჰფინოს მთელის დედა-მიწის ზურგზედ“. მიზანი კეთილშობილურად მიაჩნია იაკობს, მაგრამ: „მთელი საწყობი სავსეა მწკრივ-რიგად დაწყობილი წიგნებით, ლამაზათ დაკაზმულით. აი პირველი მწკრივი, იგი იპყრობს დაბადებას **რუსულს** ენაზედ. აი მეორე მწკრივი. იგი შემდგარია დაბადებიდან **სომხურს** ენაზედ. აი ავერ მესამე მწკრივი, აქ ალაგია დაბადება **არაბულს** ენაზედ. თქვენ აქ ნახავთ დაბადებას **ფრანციულს, ნემეცურს, სპარსულს, ოსმალურს** და სხვა ენებზედ. **სომხურს** ენაზედ თუ მოიკითხავთ სახარებას, გკითხავენ: რომელს სომხურზედ გნებავთ, ძველზედ **არარატულზედ** თუ **კონსტანტინოპოლურზედ?** და რომელზედაც გინდათ იმ ენაზედ მოგართმევენ... მხოლოდ ერთი ენის ჭაჭანება არ არის აქა. რომლისა? სწორედ იმ ენისა, რომლის დედა-ქალაქი იყო, არის და, იმედია, იქნება თბილისი. დიახ, დაბადება მხოლოდ ქართულ ენაზედ არ მოიპოვება საწყობში არც ძველზე და არც ახალზედ“. თურმე ბრიტანეთის საზოგადოებას მთარგმნელი ვერ უპოვია და „ეს არის მიზეზი, რომ აქამდე **ჩვენი ენა მოკლებულია დაბადებას, წყაროს ქრისტიანობისას**“. საუბარია „ქართულს გასაგებ ენაზედ“ თარგმნილ დაბადებაზე (ანუ ახალ ქართულ თარგმანზე).

იაკობ გოგებაშვილის გულისტკივილი ჭეშმარიტი ქართველისა და ჭეშმარიტი ქრისტიანის გულისტკივილია.

ამის შემდგომ წერილში იაკობი განიხილავს თ ბ ი ლ ი ს შ ი 1884 წელს გამოცემული „დაბადების“ ძველ ქართულ თარგმანს: „ამ ათის წლის წინად დაბეჭდილი დაბადება სთვალავში არ ჩაითვლება. პირველად იგი არის იმისთანა ენით ნათარგმნი, რომ არც თუ ეხლა აღარავის ესმის, ვგონებ იმ ძველ დროშიაც არავის ესმოდა, როდესაც ეს დაბადება გადმოითარგმნა; მეორედ,

უცხო ენაზედ კი დაბადება ისეა ნათარგმნი, რომ ყოველს წიგნის მცოდნეს შეუძლიან მისი გაგება, მთარგმნელს სრული გაგება დედნისა არა ჰქონია და ბევრს ადგილას ჩვენი დაბადების აზრი ეწინააღმდეგება ნამდვილს აზრსა; მესამედ, დაბეჭდვის დროს ზოგი ადგილი გამოშვებულია, მრავალი სიტყვა გადასხვაფერებული, დამახინჯებული და საზოგადოდ ისე დაუდევრად არის დაბეჭდილი, რომ სიმრავლეს კორექტურულის შეცდომებისა საშინელს ბრაზზედ მოჰყავს ყოველი ქართველი, რომელსაც კი უკითხნია ეს დაბადება; მეოთხედ, ფასი დიდი ადევს, სახელდობრ ექვსი მანეთი, მაშინ, როდესაც უცხო ენაზედ დაბადება იყიდება ერთ-ორ მანეთად; მეხუთედ, უცხო ენაზედ დაბადება იბეჭდება წვრილი, გარკვეული კორპუსით, წიგნი გამოდის მორჩილი ტანისა და ადამიანს შეუძლიან ჩიბეშიც კი ატაროს მთელი დაბადება; ჩვენი დაბადების დაბეჭდვის დროს კი ყოველი ღონისძიება უხმარიათ, რომ წიგნი გამოსულიყო დიდი, ფარღალადად დაუბეჭდიათ უშველებელი ასოებითა, წიგნს ერთი სამად და ოთხად უმატნია, სასიხარულოდ სტამბისა და კორექტორისა და ისეთი ტლანქი სახე მიუღია, რომ ურმით თუ ატარებთ, თორემ სხვაფრივ არ შეიძლება. **ამისთანა დაბადების ქონა უდრის არქონასა“.**

მოკლედ: იაკობი აკრიტიკებს დაბადების 1884 წლის გამოცემას, ზედმიწევნით ასაბუთებს თავის აზრს და აკეთებს დასკვნას, „ამისთანა დაბადების ქონა უდრის არქონასო“.

ე. ჭელიძე ახდენს სრულიად გაუმართლებელ დანაწევრებას ი. გოგებაშვილის ტექსტისას (იხ. გვ. 17) და ამის საფუძველზე დაასკვნის, რომ იაკობი „მყისვე ახდენს ამ ფაქტის განზოგადებას საკუთრივ წმინდა წერილის ქართული თარგმანისადმიო“. ასევე: იაკობ გოგებაშვილის დასკვნას კონკრეტული გამოცემის მიმართ („ამისთანა დაბადების ქონა უდრის არქონასო“) ე. ჭელიძე განაზოგადებს ბიბლიის ქართულ თარგმანებზე და „ასწავლის“ ი. გოგებაშვილსა და გვმოძღვრავს ჩვენ, რომ „ბიბლიის წიგნთა ქართულენოვანი რედაქციები ესაა ჩვენი ერის აუწონავი და დაუღვენელი საუნჯე“ (გვ. 18) და გმობს იაკობ გოგებაშვილს „მცდარი“, „მიუღებელი“ აზრებისათვის: „ასე რომ, ფაქტობრივადაც და მეცნიერულ-თეოლოგიური ასპექტითაც **სრულიად მცდარია აზრი ქართულენოვანი ბიბლიის იმ ზომამდე უვარჯისობის შესახებ, რომ თითქოს მისი ქონა და არქონა ერთიდაიგივე იყოს**“ (გვ. 19)... და

ქართველ ერს იცავს (!) იაკობ გოგებაშვილისაგან: „არავის აქვს უფლება... ქართველი ერი იმგვარ ველურ ტომად გამოაცხადოს, რომელსაც რეალურად თურმე არასოდეს ჰქონია წმინდა წერილი“ (გვ. 20).

და ამას ამბობს იმ კაცის მიმართ, ვინც ჭეშმარიტი მართლმადიდებლისა და ქართველის — სიმონ გოგებაშვილის — ოჯახში გაიზარდა; ვინც სულიერი შვილი იყო გაბრიელ ეპისკოპოსისა; ვინც შეადგინა „ბიბლიური ისტორია“ ყმაწვილთათვის; ვინც შექმნა „დედაენა“ და „ბუნების კარი“ და სხვა და სხვა...

ე. ჭელიძეს ერთი მიზანი ამოძრავებს: რაც შეიძლება მეტი ცილი დასწამოს იაკობ გოგებაშვილს, მეტად შეუურაცხეოს მისი ღირსება და ამისათვის არ ერიდება ასეთ უკადრის ქმედებებსაც კი...

* * *

ყველაზე დიდი ბრალდება, რომელიც ე. ჭელიძემ იაკობ გოგებაშვილს წაუყენა, ისაა, რომ იაკობ გოგებაშვილი მართლმადიდებლობას მიიჩნევს ქართველთა დამამბრკოლებლად; მართლმადიდებლობა „შავი ჭირიაო“!... (გვ. 22 და შემდეგ).

უძძიძის ბრალდებაა და თუ ეს ასეა, მაშინ ტყუილად დაგვიხარჯავს ამდენი დრო... მაგრამ ასეა კი? აქაც ხომ არ აჭარბებს (რბილად რომ ვთქვათ) ე. ჭელიძე? მრუდ სარკეში ხომ არ გვახედებს?

მოდით ჯერ მოვისმინოთ ე. ჭელიძის „ბრალდებანი“:

„ავტორის (იგულისხმება იაკობ გოგებაშვილი — ავტ.) დაბეჭითებითი თქმით, სწორედ მართლმადიდებლობაა მთავარი დამამბრკოლებელი და ხელისშემშლელი ძალა ზემორე „დიადი“ მიზნის მიღწევის საქმეში, დიან, მართლმადიდებლობა, რომელიც, ხაზგასმით ამბობს ავტორი (იგულისხმება იაკობ გოგებაშვილი — ავტ.), „შავ ჭირად ევლინება ქართველებს“ (გვ. 13).

იაკობის აზრით, „მართლმადიდებლობა ყოფილა ის კოშმარი, რომელიც სწორედ შავ-ჭირად ევლინება მას (ქართველ ერს, ე. ჭ.) და უშლის მოიპოვოს სრული თავისუფლება სინდისისა“ (გვ. 23).

ე. ჭელიძის აზრით, იაკობ გოგებაშვილის წმინდანად კანონიზება კი არ უნდა მოხდეს, იგი ანათემას უნდა გადაეცეს: „რა უფლება გვაქვს (მართლმადიდებელი ეკლესიის მსჯავრს რომ თავი დავანებოთ,

რომლის მიხედვითაც **ზემორე აზრი უპირობოდ ანათემას ექვემდებარება**), **შეურაცხვეოთ ხსენებული საერო მოღვაწის სული და ძალად შეევრაცხოთ იმ ეკლესიის წმინდანად**, რომელსაც, როგორც ვნახეთ, ქართველი ერის „შავ-ჭირად“ აღიარებს იგი“ (გვ. 24) (ხაზი ამჭერად ჩვენია — ავტ.).

„მართლმადიდებლური დოგმატის სრული უარყოფის ტოლფასია ამქვეყნიური, კაცობრივი ბრძოლა-მოქმედებანი იმ პიროვნების მართლმადიდებელ წმინდანად კანონიზებისათვის, რომელიც თვით ამ მართლმადიდებლობას „შავ-ჭირად“ აღიარებს“ (გვ. 24).

„და ბოლოს, რალა ვთქვათ ზემოგანხილულ შემთხვევაზე, როდესაც მოღვაწე, სრულიად არაორაზროვნად, „შავ-ჭირად“ აცხადებს მართლმადიდებლობას, მავანნი კი დაგვიკვირებენ, „ნუ შეჰბედავ“, მართლმადიდებელ წმინდანად არის შესარაცხიო“ (გვ. 30)...

კიდევ ერთხელ ვთხოვთ მკითხველს, მოთმინება იქონიოს და ობიექტური განსჯისთვის გაეცნოს იაკობ გოგებაშვილის წერილს „დღევანდელი მომენტი ქართველთა და სომეხთა ეკლესიისა (წერილი რედაქციისადმი)“, რომელიც გამოქვეყნდა 1906 წელს გაზეთ „შრომაში“, გადმოიბეჭდა იაკობ გოგებაშვილის ათტომეულის IV ტომში (1955 წ. გვ. 159-161) და ხუთტომეულის III ტომში (1990 წ. გვ. 111-114); ჩვენ ამ უკანასკნელი გამოცემიდან ვიმოწმებთ. დიახ, მკითხველს ვთხოვთ, გაეცნოს და მერე თავად იმსჯელოს, ვინ იმსახურებს ანათემას — ამ წერილის ავტორი (ი. გოგებაშვილი), როგორც ეს სურს და ფიქრობს ე. ჰელიძე, თუ მისი ცილისმწამებელი. აქ ორი კითხვაა მთავარი:

1. გამოთქმა „შავი ჭირი“ რას გულისხმობს; რა მნიშვნელობით გამოიყენებს მას იაკობი და
2. რას მიემართება ეს გამოთქმა; რის შეფასებას ახდენს ამ გამოთქმით იაკობი.

დავიწყოთ იმით, რომ იაკობ გოგებაშვილი თავდადებით იბრძვის ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის. აქ კიდევ ერთხელ მოიყვანს მეზობელი სომხური ეკლესიის მაგალითს:

„რა განუზომელი განსხვავებაა ორს საეკლესიო წესწყობილებაში, ბიუროკრატიულსა და ავტონომიურში, ამის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს დღევანდელი მომენტი ქართულის და სომხურის ეკლესიისაო“, — წერს იგი და განმარტავს ქართული ეკლესიის მღგომარეო-

ბას: „წელიწადზე მეტია, რაც საქართველოს სამღვდლოება და სამწყსო იბრძვის მოიპოვოს თვითმმართველობის უფლება სარწმუნოების სფეროში, აღადგინოს საარჩევნო წესი, განახორციელოს ის თავისუფლება სინდისისა, რომელიც არსებობს ყველა დაწინაურებულს ქვეყანაში და რომელიც ბოლოს ხანს გამოცხადებულ იქმნა თვით უკანდარჩენილ რუსეთშიაც კი, მაგრამ სრულიად ამაოდ, უნაყოფოდ“.

რა მდგომარეობაა, რას ბედავენ „ძველებურის წესით“ — „მოუვლინონ საქართველოს ეკლესიას ბიუროკრატიული მეთაური, სინოდის მიერ გამწესებული“... ეს კი იმიტომ ხდებაო, რომ „საქართველოს ეკლესიას ჰყავს ბატონად და მბრძანებლად უცხო მამინაცვალი, სატახტო ბიუროკრატიის მიერ დანიშნული და მისი ერთგული მოსამსახურე“... ერთ-ერთ ხელნაწერშიც ჩავიხედოთ (ხელნაწერთა ეროვნული ფონდი; № 129 A—1724): „...ყოველივე აქედან გამომდინარე, იხატება შემზარავი სურათი ძირისძირობამდე პარალიზებული ქართული ეკლესიისა“... „რუსეთმა იმას მიადწია, რომ ხალხს აღარ უნდა, რაიმე კავშირი ჰქონდეს ასეთ ეკლესიასთან და, აქედან — ასეთ სარწმუნოებასთან“...

სხვა, სრულიად საპირისპირო, ვითარებაა სომხურ ეკლესიაშიო, — წერს იაკობი ზემოხსენებულ წერილში.

„ქართველობამ მოანდომა ბევრი დრო, ბევრი შრომა ამ უფლების მოპოვებას; მაგრამ წადილს ვერ ეწია, რადგან სასულიერო ბიუროკრატიის მუხრუჭით არის გაკავებული, სომხობამ კი, რომელიც მოშორებულია ამ მუხრუჭს, ერთი ხაზის მოსმით მოიპოვა ეს ძვირფასი უფლება. დიად, ძვირფასი უფლება... — ერი ირჩევს საუკეთესო შვილს საქმის კეთილად წარმართვისათვის“...

ასეთია **უმძიმესი ყოფა** ქართული ეკლესიისა, **ბედკარული ბედი** ჩვენი ეკლესიისა.

რა გზას ხელავს იაკობი ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევისა?

„ბედი ჩვენის ეკლესიისა, მისი ასავალ-დასავალი უსათუოდ ჩვენი ხალხის ხელში უნდა იყოს და აქ ბიუროკრატიას არაფერი არ უნდა ეკითხებოდეს. თვით ხალხი უნდა ირჩევდეს მეთაურს თავისი ეკლესიისას, კათალიკოსს, ეპისკოპოსებს, მღვდლებს, მთელს საეკლესიო კრებულს, როგორც ამას თხოულობდა ჩვენი სამღვდლოება, სამწყსო და პირადად ჩვენ... საჭიროა მთელმა ქართველობამ მედგრად მოითხოვოს

ეს ძვირფასი უფლება და მტკიცედ გამოაცხადოს“... (აქ შევწყვეტთ ამონარიდს, მერე გადაგრძელებთ).

ცხადია, აქამდე არაფერი თქმულა, რის გამოც უნდა შევაჩვენოთ და ანათემას გადავცეთ იაკობ გოგებაშვილი, როგორც ამას ე. ჭელიძე ფიქრობს. აქამდე, ვფიქრობთ, მისთვისაც და სხვისთვისაც ყველაფერი მისაღებია; ერთადერთი, ვისთვისაც ეს მსჯელობა არ შეიძლება მისაღები იყოს, იმდროინდელი რუსული მმართველობაა, მაგრამ იაკობ გოგებაშვილი არ ერიდება მას და, ვთქვით კიდევ, ეს გმირობის ტოლფასია იმ დროისათვის — მოწოდება არდამორჩილებისაკენ („მთელმა ქართველობამ მედგრად მოითხოვოს“...).

რას ამბობს შემდგომ იაკობი, რამაც ე. ჭელიძის აღშფოთება გამოიწვია?: „საჭიროა მთელმა ქართველობამ მედგრად მოითხოვოს ეს ძვირფასი უფლება და მტკიცედ გამოაცხადოს, რომ **თუ იგი უფლება არ დაგვიბრუნდება, არ დაგვეთმობა**, მთელი ქართველობა ზურგს შეაქცევს და უარპყოფს მართლმადიდებლობას, რომელიც სწორედ შავჭირად ევლინება მას და **უშლის მოიპოვოს სრული თავისუფლება სინიდისისა, დამოუკიდებლობა ეკლესიის, დაამყაროს მისი მართვა-გამგეობა დემოკრატიულს საფუძველზე**, რომლითაც მეტ-ნაკლებობით სარგებლობენ ამჟამად რუსეთშიაც კი ჩვენი მეზობლები და სხვა სარწმუნოების ხალხი“...

სანამ განვავარძობთ მსჯელობას, ვთქვათ, რას გულისხმობს იაკობი ტერმინში „შავი ჭირი“. ი. გოგებაშვილს აქვს ერთი ასეთი წერილი „ეროვნული შავი ჭირი იმიერ და ამიერ საქართველოში“ (III, გვ. 316-340). დასაწყისშივე განმარტავს: „შავი ჭირი ორგვარი გახლავთ: ფიზიკური და ფსიქიური. პირველი ასნეულებს და სპობს მხოლოდ მცირედენს ნაწილს ერისას, მეორე კი მომაკვდინებელ სენად ედება მთელს ხალხსა და ამოფხვის გზაზე უყენებს“. ჩვენს შემთხვევაში, ცხადია, საუბარია მეორე მომაკვდინებელ სენზე. რას მიემართება იგი? დაუფკვირდეთ: „...შავ ჭირად ევლინება მას (ე. ი. ქართველობას — ავტ.) და უშლის მოიპოვოს სრული თავისუფლება სინიდისისა, დამოუკიდებლობა ეკლესიისა, დაამყაროს მისი მართვა-გამგეობა დემოკრატიულს საფუძველზე“.

განსახილველი წერილის მიხედვით, ე. ი. **შავი ჭირი** (ანუ სენი) არის ის, რაც ქართველობას ხელს უშლის:

მოიპოვოს სინდისის თავისუფლება,
 მოიპოვოს თავისი ეკლესიის დამოუკიდებლობა,
 დაამყაროს დამოუკიდებელი მართვა-გამგეობა ეკლესიისა,
 აირჩიოს მეთაური თავისი ეკლესიისა,
 რომელი მეთაურიც დაელაპარაკება მრევლს მრევლის
 ენაზე,

აირჩიოს მრევლმა თავისი საეკლესიო კრებული...

ის, რაც ხელს უშლის ყოველივე ამის განხორციელებას, **არის ჩვენი ეკლესიის იმჟამინდელი ბედი, იმჟამინდელი მდგომარეობა.**

(გავიხსენოთ: ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი უ ლ - ჩ ი ნ ო ვ ნ ი კ უ რ ი არის ერთი პერიოდი ქართული ეკლესიის ისტორიისა);

შავი ჭირი — ეს არის **ბედი, მდგომარეობა** ქართული ეკლესიისა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.

შეიძლება ვიდავოთ იმაზე, სწორია თუ არა იაკობ გოგებაშვილი, როცა ამბობს, რომ

მართლმადიდებლობა —

რომელსაც წართმეული აქვს სინდისის თავისუფლება;

რომელსაც წართმეული აქვს ეკლესიის თავისუფლება;

რომელიც ვერ ამყარებს დამოუკიდებელ მართვა-გამგეობას;

რომელიც ვერ ირჩევს თავის მეთაურს;

რომლის მეთაურიც ვერ ესაუბრება მრევლს მრევლის ენაზე;

რომელიც ვერ ირჩევს თავის საეკლესიო კრებულს, **არ არის მართლმადიდებლობა.** ამიტომ უარს ვამბობთ ასეთ მართლმადიდებლობაზეო და მოუწოდებს ერს („საჭიროა მთელმა ქართველობამ“...), ებრძოლოს შავ-ჭირს, რათა მოვიპოვოთ ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა.

აქ იგივე ლოგიკაა, განსოვთ? —

ასეთი ბიბლიის ქონას — არქონა ჰქვია;

ასეთი მართლმადიდებლობის ქონას — არქონა ჰქვია!

შეიძლება ვიდავოთ, მაგრამ ფაქტია: იაკობ გოგებაშვილი იბრძვის, ჩვენი ეკლესია გაათავისუფლოს „შავი ჭირისაგან“, მოიპოვოს ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა და არა ფორმალური სარწმუნოება. ე. ჰელიძე ისევ უკუღმართად იგებს იაკობის აზრებს და აკეთებს ცილისმწამებლურ დასკვნებს...

* * *

დაბოლოს:

იაკობ გოგებაშვილს ბედი ჰქონდა ასეთი... წერს კიდევ ერთგან: „რაც მე დრო და შრომა მოვანდომე ჩემის სახელმძღვანელოების შედგენას და ხან-გამოშვებით გაუკეთესებას, ათი იმდენი დრო და შრომა მომინდა მათი დაცვისათვის სხვა და სხვა ცილისწამებისაგან“; სხვაგან წერს, ბევრი მტერი მყავდაო, „შინაური და გარეული, აშკარა და იდუმალი, მკიცხავი და მაბეზლარი“... და, ღვთის შეწევნით, ახერხებდა იაკობი გამკლავებოდა მოჯარებულ მტერს... საბედნიეროდ, თავისი შრომებით, თავისი შემკვიდრეობით იაკობ გოგებაშვილი დღესაც ახერხებს ამას!...

მინაწერი:

ილია ჭავჭავაძე დავით აღმაშენებელზე საუბრისას სენეკას სიტყვებს მოიშველიებდა: „ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროა იმისთანა კაცები, რომ მის მიხედვით და მისი მაგალითით შევიძლოთ საკუთარი ხასიათის გაწვერთნა და განმტკიცება. ო, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვერთნის ჩვენ, არამედ თავისი სახელის ხსენებითაცო“.

ასეთ ბედნიერ კაცად გვეგულება ჩვენ **იაკობ გოგებაშვილიც!**...

ილია ჭავჭავაძის კიდევ ერთი შეგონება გავიხსენოთ — „სხვისი არა ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას“ — და ამის შემდეგ ნურავინ გაიკვირვებს ამ წერილის პათოსსა და განწყობას...

კიდევ ერთხელ ე. ჭელიძეზე, ანტიკრიტიკისა და უკრიტიკო ანტიკრიტიკის¹⁰

ჰეროსტრატეს კომპლექსით შეპყრობილი კაცის ამბავი

ძალიან დიდი ხნის წინათ ბერძენ ჰეროსტრატეს სასიკეთო საქმეებით ისტორიაში დარჩენის იმედი რომ გადაეწურა, დიდი ბოროტება ჩაიდინა — დაწვა არტემიდას ტაძარი... და შემორჩა ისტორიის მისი სახელი. ამის შემდგომ დამკვიდრდა გამოთქმა „ჰეროსტრატეს კომპლექსი“, რომელიც ნიშნავს „განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანის მიერ ანტისაზოგადოებრივ ქმედებას“. **ედიშერ ჭელიძე სწორედ ჰეროსტრატეს კომპლექსით შეპყრობილი ადამიანია:** იაკობ გოგებაშვილის წინააღმდეგ მისი „გალაშქრება“ სხვა არაფერია, თუ არა დიდი პიროვნების დაკნინების, დამცირების, შეურაცხყოფის სურვილი, საკუთარი პერსონის განდიდების ინტერესებით ნაკარნახევი. სხვათა შორის, მანამდე ე. ჭელიძემ ასეთივე მონღოლებით აკაკი წერეთელზე გაილაშქრა; წინა წერილშიც ვწერდით, რელიგიურ საკითხებზე მსჯელობისას ე. ჭელიძე ილია ჭავჭავაძესაც არ მოიხსენიებს წმინდანად... იცის კაცმა, ვის უნდა ებრძოლოს, რომ ისტორიას შემორჩეს მისი სახელი!

ამ ფონზე ალბათ უნდა მიხაროდეს, რომ ე. ჭელიძემ გიორგი გოგოლაშვილსაც „მიაქცია ყურადღება“:

მკითხველს ალბათ ახსოვს: ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ 10 ივნისის ნომერთან ერთად გამოქვეყნდა ჩვენი წერილი „არა ცილი სწამო!“, რომელიც ე. ჭელიძეს მიემართებოდა. ეს იყო პასუხი ე. ჭელიძის წიგნაკზე „იაკობ გოგებაშვილის წმინდანად კანონიზების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით“ (2011 წ., 30 გვ.). ჩვენს საპასუხო წერილში ვწერდით: **„ეს არის დიდი ქართველი მოღვაწის — იაკობ გოგებაშვილის — შეურაცხყოფილი ნაშრომი, ცილისმწამებლური ბრალდებანი; არასწორი, განგებ დაშინიჭებული წაკითხვა ი. გოგებაშვილის ტექსტისა; ამბიციური და ამპარტავნული დამოკიდებულება კოლეგების მიმართ; „უგელაფრისმცოდნის“ შეგონებანი და ქედმაღლური**

თითისქნევა „მავანთა“ (ალბათ გულისხმობს იაკობ გოგებაშვილის დამფასებლებს) **მიმართ!**

ჩვენ დღესაც ამ აზრზე ვდგავართ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წერილით გაგულისებულმა ე. ჰელიძემ სასწრაფოდ გამოაცხო და დაბეჭდა საპასუხო 90 გვერდიანი წიგნაკი (ე. ჰელიძე, „ოდეს სამართალმან დაგასამართლოს“, 2011). მეტიც, ამ წიგნაკის გაცნობამ ზემომოყვანილი ჩვენი აზრი კიდევ უფრო განამტკიცა! და შეგვიქმნა შთაბეჭდილება, რომ (ცნობილი გამოთქმისა არ იყოს) **ე. ჰელიძე თავისუფალია**; ამ თავისუფლების ხარისხი კი ძალიან მაღალია...

რას წაუყრუა ე. ჰელიძემ

მეორე წიგნაკის დასაწყისში ე. ჰელიძე გვემუქრება, რომ განიხილავს ჩვენს საპასუხო წერილს („არა ცილი სწამო!“) და გააქარწყლებს ყველა შენიშვნას, რომ „მისხალი (უმისხლესი) ეჭვიც არ დარჩეს მკითხველს ჩვენ მიმართ და, ამასთან, სრულად გამოაშქარავდეს მავანთა უკეთური განზრახვის სრული სულიერი უბადრუკობა“, — წერს იგი (გვ. 3). წიგნაკის დასასრულს ე. ჰელიძემ დაიტრაბახა: „ფეიქრობთ, მკითხველს არ დარჩა უმისხლესი ეჭვიც იმაში, რომ გიორგი გოგოლაშვილის უკლებლივ ყველა სიყალბე ძირითურთ და ფესვითურთ იქნა აღმოფხვრილი და ეს „ურწმუნოების ახალ-ხმა“ თავით თხემამდე (ალბათ გულისხმობს გამოთქმას — თხემით ტერფამდე — გ. გ.) განიგმირა“ (გვ. 89); სხვაგან დაიქადნა, „უმისხლესი ეჭვიც არ უნდა დარჩესო“...

ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის ე. ჰელიძე ამ განცხადებებით, რომ ოპონენტის 20-გვერდიანი წერილიდან „ქვა ქვაზე არ დატოვა“ თავის 90-გვერდიან წიგნაკში. ასეა ვითომ? მოდით ვნახოთ, ჩვენს წერილში დასმულ რა შენიშვნებს არ (უფრო სწორად ვერ) უპასუხა ე. ჰელიძემ; რა მიჩქმალა „მაღალ მატერიებზე“ თავისი „ყოველისმცოდნეობითი“ მსჯელობით...

1. ჩვენს პირველ წერილში (ასე მოვიხსენიებთ პუბლიკაციას „არა ცილი სწამო!“) ვწერდით: „იაკობ გოგებაშვილის ღვაწლის გაუფასურე-

ბა, დაკნინება პირველივე წინადადებიდან იწყება... „მისმა მთავარმა ნა-
შრომმა, „დედაენამ“, დროის გამოცდას მეტნაკლებად გაუძლო“. „მე-
ტნაკლებად გაუძლო“ მეტნაკლებად ვერ გაუძლოსაც ნიშნავს და
ამას ამბობს „დედაენაზე“, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით
აყენებენ; ამტყობებენ, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენის
ჩამოყალიბებასა და განვითარებაში „დედაენამ“ ისეთივე როლი შე-
ასრულა, როგორც წმინდა ოთხთავმა ძველი ქართული სალიტერა-
ტურო ენის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში და „ვეფხისტყაო-
სანმა“ მომდევნო პერიოდში“ (გვ.4). რამდენიმე გვერდზე წარმოდგე-
ნილ მსჯელობაში ჩვენ ამ აზრის დასაბუთებას შევეცადეთ და დავასკვე-
ნით, რომ ე. ჰელიძეს „სურს შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს, იაკობ
გოგებაშვილი ჩვეულებრივი ავტორი იყო რიგითი სახელმძღვანე-
ლოსი“ (გვ. 6).

ე. ჰელიძეს ამ შენიშვნაზე სიტყვაც არ დაუძრავს 90 გვერდიან
წიგნაკში. გასაგებია: არაფერი ჰქონდა სათქმელი; ამპარტავნება კი-
დეგ არ აძლევს იმის უფლებას, აღიაროს, რომ ეს შეურაცხყოფაა ია-
კობისა და დაკნინება მისი დიდი ღვაწლისა!

2. ჩვენს წერილში ვწერდით: „ცილისწამების, იაკობ გოგებაშვი-
ლის ტექსტის არასწორი გაგების (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა,
გამიზნულად არასწორი გაგების), საკითხისადმი არაპროფესიონალუ-
რი მიდგომის კლასიკური მაგალითია ე. ჰელიძის მსჯელობა უცხო
ენების თაობაზე“. ამ საკითხს ჩვენი წერილის 5 გვერდზე განვიხი-
ლავთ (გვ. 7-11). ე. ჰელიძე აღშფოთებულია იმით, რომ იაკობს სურს
ძველი ბერძნული ენის გაუქმება(!) და გამოაქვს გამოგონებული დასკვნა:
„საკითხავია, თუ ბერძნულ-ლათინურის სწავლება უნდა გაუქმდეს,
წმინდა მამათა შრომები ან, გნებავთ, წმინდა წერილი, კერძოდ ახალი
აღთქმა(...) რა ენიდან უნდა ითარგმნოს თანამედროვე ქართულზე, ნუ-
თუ იმავე რუსულიდან, რომელსაც ასე „ბასრობს“ ავტორი“.

ჩვენ ვწერდით, რომ პოლიტიკაში კითხვის ამგვარად დასმას
დემაგოგიას უწოდებენ; და რუსულიდან ხომ არ უნდა ითარგმნოსო,
ცინიკურად რომ კითხულობს ე. ჰელიძე, ამას პოლიტიკური ბეზღობა
ჰქვია-მეთქი. ჩვენ ვცადეთ, გვეჩვენებინა, რომ ე. ჰელიძე ვერ ერკვევა
ვერც პედაგოგიკისა და მეთოდის ელემენტარულ საკითხებში და

ვერც სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში; რომ იაკობი ბერძნულს კი არ ებრძვის, ქართულს იცავს!

„უმისხლესად“ (ასე სიტყვასაც ხმარობს — „უზედმიწევნითესად“!) განხილულ 90 გვერდიან წიგნაკში არცერთი სიტყვა არ თქმულა ამ საკითხზე. გასაგებია: ე. ჰელიძეს არაფერი აქვს საპასუხო; ხოლო ამპარტავნება და ამბიციები არ აძლევს შეცდომის აღიარებისა და ცილისწამებისა და შეურაცხყოფისათვის ბოდიშის მოხდის უფლებას!...

3. ერთ-ერთი მთავარი ბრალდება ე. ჰელიძისა იაკობ გოგებაშვილის მიმართ ასეთია: „**იაკობ გოგებაშვილისათვის უცხოა ერთი წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ცნება**“; რომ იაკობს „სწამს, აგრეთვე, სხვადასხვა აღმსარებლობათა სრული განურჩევლობა“.

ამ საკითხზეც ვრცლად ვმსჯელობდით ჩვენს წინა წერილში (გვ. 13-22); სხვათა შორის, საკითხი ასეც დავსვით: „**იაკობი მთელი ცხოვრების მანძილზე იყო ჰეშმარიტი აღმსარებელი მართლმადიდებელი ეკლესიისა; სულიერი შვილი გაბრიელ ეპისკოპოსისა; ცნობილი ფაქტია, ეპისკოპოსი გაბრიელი როგორ ზრუნავდა და როგორ იცავდა იაკობს მისთვის უძძიძეს პერიოდში, როგორ უპირისპირდებოდა ეპისკოპოსი გაბრიელი ეგზარქოსს იაკობის გამო და ა. შ. დავიჭერთ, იაკობის „მოჩვენებითი მართლმადიდებლობა“ ე. ჰელიძემ შენიშნა და გაბრიელ ეპისკოპოსმა ვერა?“**

ცხადია, ე. ჰელიძემ ამ კითხვასაც წაუყრუა...

ისე, ამ თემაზე მინდა ორიოდ სიტყვა კიდევ ვთქვა: გერასიმე ქიქოძე (შემდგომში გაბრიელ ეპისკოპოსი) იყო იაკობის მასწავლებელი თბილისის სასულიერო სასწავლებელში. „ბუნებით ნიჭიერმა, ბეჯითმა და სიცოცხლით აღსავსე იაკობმა თავიდანვე მიიპყრო მასწავლებლის ყურადღება. აქ გაინასკვა უღრმესი სიყვარული აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე უბერებელი გრძნობით აღაგზნებდა ორივეს გულს“ (ს. სხირტლაძე). როდესაც გაბრიელი მღვდელ-მონაზვნად ეკურთხა (1856 წ.), იაკობი გახდა მისი სულიერი შვილი. კიევის სასულიერო აკადემიაში წასვლა რომ გადაწყვიტა, იაკობი ქუთაისში ჩავიდა და კურთხევა მიიღო ეპისკოპოს გაბრიელისაგან. ეპისკოპოსი გაბრიელი მთელი ცხოვრების მანძილზე ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებდა თავის სულიერ შვილს. სა-

ყოველთაოდ ცნობილია, 1874 წელს ეპისკოპოსი გაბრიელი როგორ დაუპირისპირდა ეგზარქოს ევსევს იაკობის გამო. ორიოდ ფრაგმენტი ეგზარქოსის მიმართ ეპისკოპოს გაბრიელის წერილიდან: „თქვენ განსაკუთრებით გაინტერესებთ ჩემგან, რა მტკიცებულება მაქვს მე იმის თაობაზე, რომ თქვენ თითქოსდა დევნიდით გოგებაშვილს და, ამავე დროს თავის მართლების მიზნით თან ურთავთ მართლაცდა შემზარავ აღწერას მისი ავადმყოფობისა, მისივე ხელით შედგენილს“... ანდა: „რაც შეეხება კერძოდ თქვენს დამოკიდებულებას გოგებაშვილის მიმართ, ამ თემაზე მსჯელობისას მე ვემყარებოდი, პირველ ყოვლისა, ჩვენთან გავრცელებულ საყოველთაო ხმებს, რომ გოგებაშვილმა სასწავლებლიდან წასვლის წინ (...) თავის ბინაში დატოვა ბარათი, დაახლოებით ასეთი შინაარსისა: „ახარეთ ეგზარქოსს, მე საბოლოოდ ვილუბები“ და სხვა. მეორეც, მე ხელში ჩამივარდა უშუალოდ მის მიერ დაწერილი ბარათი, არ მახსოვს, როდის და ვისთან მიწერილი, რომელშიც ის იხსენიებდა, რომ თქვენ გადაწყვიტეთ, რადაც უნდა დაგჯდომოდათ, დაგელუბათ იგი“... ეპისკოპოსი გაბრიელი კარგად იცნობს იაკობის ყველა სახელმძღვანელოს და ნაშრომს. ამის თაობაზეც თქმულა...

ამ და სხვა ფაქტებს ვითვალისწინებდით, როცა წინა წერილში დავსვით კითხვა: „დავიჯეროთ, იაკობის „მოჩვენებითი მართლმადიდებლობა“ ე. ჰელიძემ შენიშნა და ეპისკოპოსმა გაბრიელმა ვერა?“

გასაგებია, თუ რატომ წაუყრუა ამ კითხვას ე. ჰელიძემ... რადგან ამ თემით ძალიან არის დაინტერესებული ე. ჰელიძე, ერთ მასალასაც მივაწვდი. **ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე კალისტრატე ცინცაძე ახლოს იცნობდა იაკობ გოგებაშვილს** (მოგეხსენებათ, კალისტრატე ცინცაძე 20 წელი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ბრძანდებოდა). 1912 წელს, 10 ივნისს, ქაშვეთის ეკლესიაში კალისტრატემ საოცარი სიტყვა თქვა. ერთ ფრაგმენტს მოვიყვან ამ სიტყვიდან: „ასე ესმოდა განსვენებულს იაკობს თავისი მოვალეობა მასწავლებლისა და ამ სახედ აღასრულებდა მაცხოვრის ბრძანებას ღვთის სასუფეველის ქადაგებისათვის, და ფრიად სწუხდა, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენში შესამჩნევად იკლო ღვთის სასუფეველის ქადაგებისათვის ზრუნვამ. ამ მოვლენას იგი სთვლიდა ფრიად სამწუხაროდ და შიშობდა, ვაი თუ სარწმუნოებრივ გულგრილობას ზედ მოჰყვეს ზნეობის დაცემა და ერის გადაგვარების გზაზე დადგომაო. სამაგიეროდ სიხარულით აღფრთოვან-

დებოდა ხოლმე, თუ სადმე შეამჩნევდა სარწმუნოების დაცვისა და ზნეობის განფაქიზებისათვის ზრუნვის ნიშნებსა. ამ ორიოდე წლის წინად ხშირად ნახავდით განსვენებულს იაკობს ამ ტაძრის გალავანში, ან კიდევ გვერდით ბაღში, სიამოვნებით თვალუურის მგდებელს ტაძრის კედლების ზრდისა და ჩუქურთმებით შემკობისათვის. „მიხარის, როცა ვხედავ ამ ტაძრის მამა-პაპათა მიერ შემუშავებული გეგმით შენებას, იქნებ, ღვთის შეწევნით, მათი სარწმუნოებრივი გრძნობაც განცხოველდეს ჩვენშიო“, იტყოდა ხოლმე მოხუცი. უკანასკნელ დღეებში კი, როცა მახლობლებმა უამბეს, შენს სადღეგრძელოდ და სენისაგან განსაკურნებლად საქართველოს კუთხეებში პარაკლისები გადაუხდიათო, მოხუცი, მიუხედავად ძლიერი ტკივილებისა, დაშვიდდა, გამხიარულდა და სიამოვნებით წარმოსთქვა: მადლობა ღმერთს, ჩემთვის ლოცულობენ, ეს კარგი ნიშანია, ვინაითგან სხვისთვის ლოცვა მარტო ზნეობრივად განვითარებულ არსებათა კუთვნილებააო... „განსვენებული იაკობ გოგებაშვილი, ვითარცა ერთი მოწაფეთაგანი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“... და სხვა. ვრცელი წერილია.

კიდევ ერთხელ **დაგვავამთ კითხვას**, რომ მომდევნო საპასუხო წიგნაკში მინც გაგცეს პასუხი ე. ჰელიძემ: **ეპისკოპოსმა გაბრიელმა და კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ ვერ შენიშნეს იაკობში „მოჩვენებითი მართლმადიდებლობა“ და ე. ჰელიძემ შენიშნა? გჯერა, მკითხველო, ე. ჰელიძის მსჯელობის ჰეშმარტებისა?...**

4. ე. ჰელიძემ მეორე წიგნაკში ქვეყნის დაქცევად მიიჩნია ის, რომ მე ჩემს წერილში იაკობის ციტატის მოყვანისას ერთი სიტყვა უნებლიედ გამომრჩა (ცხადია, თავს არ ვიმართლებ და ბოდის მოვუხდი მკითხველს ამ უყურადღებობისათვის), მაგრამ არცერთი სიტყვა არ თქვა ჩვენს შემდეგ შენიშვნაზე:

„ე. ჰელიძე უთითებს ი. გოგებაშვილის წერილს „მთავარი საპირობანი სასულიერო წოდებისა“, ციტატები მოჰყავს და მსჯელობს სხვა წერილზე — „მირაპოლსკის რევიზიის გამო“; ვერ ვიტყვით, იშლება თუ განგებ აბნევს მკითხველს“... სხვაგან ვუთითებ არასწორ დამოწმებებს... არც ეს შენიშვნა „შეუმჩნევია“ **ე. ჰელიძეს**, და, ცხადია, **არც ამ კითხვაზე გაუცია პასუხი...** ანდა **ხუთ** ცოდვას რომ ასახელებს იაკობისას და მერე მეშვიდეზე ლაპარაკობს... მეტყვიან ეს მე-

ქანიკური შეცდომააო, მაგრამ როცა შენიშნავენ, მკითხველს ბოდიში ხომ უნდა მოუხადოს... ხომ უნდა უპასუხოს 90 გვერდიან წიგნაკში? მაგრამ გასაგებია, რა უნდა ეპასუხა? **ამპარტავნება და უკიდევანო ამბიციები** კი მკითხველის წინაშე ბოდიშის მოხდის უფლებასაც არ აღეშინებ...

5. როცა ე. ჰელიძე ამტკიცებს, რომ **იაკობს სწამს „სხვადასხვა აღმსარებლობათა სრული განურჩევლობა“**, აქცენტი სომხურ ეკლესიაზე გადააქვს და თვლის, რომ იაკობისათვის სომხური მონოფიზიტური სარწმუნოება ჰეშმარიტი სარწმუნოებაა, და სომხები — ჰეშმარიტი ქრისტიანები. როცა ამ საკითხს განვიხილავდით ჩვენს წინა წერილში, იქ ერთი ამონარიდი მოვიყვანეთ იაკობის წერილიდან: **„უეჭველიო ეროვნული და რელიგიური მოთმინება, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისადმი ჰუმანური დამოკიდებულება დაედო საფუძვლად ქართულ ხასიათს უძველესი დროიდან და მოდგმიდან მოდგმას გადაეცა“**... რომ, როცა იაკობი სომხების დამოკიდებულებაზე საუბრობს თავიანთი ენისადმი, სარწმუნოებისადმი, ეკლესიისადმი თუ ისტორიისადმი, იაკობი იმას კი არ ამბობს, ის სარწმუნოებაა ჰეშმარიტი, სომხებს უკეთესი ენა აქვთ, ანდა უფრო მდიდარი ისტორია და ა. შ. არამედ ხაზგასმით აღნიშნავს ყოველთვის: **„აი, ღირსეული და მისაბაძი საქციელიო“** და მისთანანი.

ე. ჰელიძე ამ წიგნაკში იმეორებს თავის ბრალდებებს, მაგრამ ჩქმალავს ამ ფრაზას და ამგვარ განმარტებებს... არადა, დაგვირდა „უმისხლეს“ ექვსაც არ დავტოვებო, „უზედმიწევნითვისად“ განვიხილავ ყოველივესო. თუმცა ამის თქმა და აღიარება იაკობის მიმართ მთავარი იაკობის უარყოფის ტოლფასი იქნებოდა... **ამპარტავანი და ამბი-**
... არ იზამს...

... რომ გამოვე-

ბე ძირითურთ და ფესვითურთ იქნა აღმოფხვრილი და ეს „ურწმუნოების ახალ-ხმა“ თავით თხემამდე (!! განიგმირაო“.

ამ ზნეობის კაცმა შეიძლება ახლა ისიც თქვას, მე სიყალბე აღმოვფხვერი და რაც აქ ჩამოითვალა, ის არაა სიყალბე, სიმართლუაო... თუ ასე ფიქრობს, მაშინ უღიარებია საკუთარი ცილისმწამებლობა, სიყალბე და ესაა...

განსჯა შენთვის მომინდვია, ძვირფასო მკითხველო!...

რას და როგორ უპასუხა ე. ჰელიძემ

ე. ჰელიძის 90 გვერდიან წიგნაკში ძირითადად გიორგი გოგოლაშვილის „ხობაა“ და კიდევ ორიოდ საკითხს ეთმობა მთავარი ყურადღება. ვისაც ეს პოლემიკა ახსოვს, იქ იყო საუბარი ქართული ეკლესიის ისტორიის „ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკურ“ (ანუ ანტიოქიისა და რუსეთის) პერიოდებზე.

აქ, ამ წიგნაკშიც, ე. ჰელიძე ათეულობით გვერდზე ატრიალებს ციტატებს, მოჰყავს უამრავი იგავი, რაღაც ამბები, ცნობილ მოღვაწეთა შეგონებანი და ამგვარ კორიანტელში დაყინებით იმეორებს ერთსა და იმავეს — **იაკობ გოგებაშვილმა არ იცის ისტორია ქართული ეკლესიისა; შეურცხუფს მართლმადიდებელ ქვეყნებსა და ეკლესიებს; ცილს სწამებს დიდ საეკლესიო მოღვაწეებს და ა. შ.**

ასეთივე ვითარებაა იმ **უბადაღებული „შავი ქირის“ შესახებაც** (იხ. ჩვ. წინა წერილი გვ. 27-31); და იმის გამოც, თითქოს იაკობი ცდილობს „ქართველი ერი იმგვარ ველურ ტომად გამოაცხადოს, რომელსაც რეალურად თურმე არასოდეს ჰქონდა წმინდა წერილი“ და „წმინდა წერილის არქონასთან ერთად არც ნამდვილი ქრისტიანობა ჰქონდა ოდესმე ქართველ ერს“. მე ახლაც ბოდიშს მოვიხიდი ქართველი ერისა და იაკობ გოგებაშვილის წმინდა სულის წინაშე ამ მკრეხელობათა გამეორებისათვის.

ასევე ვრცელი მსჯელობაა ე. ჰელიძის ამ წიგნაკში იმის თაობაზე, რომ იაკობს „სწამს სხვადასხვა აღმსარებლობათა სრული განურჩევლობა“ და მისთვის „სომხური მონოფიზიტური სარწმუნოებაც „მაღალი“ და „წმინდაა“... ე. ჰელიძის „ძველი აზრები“ ძველებური ინტერპრეტაციებითა და ძველებური კეთილსინდისიერებით (ოღონდ უფრო ვრცე-

ლი მსჯელობითა და სალანძღავი ლექსიკით გააჩერებული) მეორდება ამ წიგნაკშიც. და ბოლომდე „გაიმეტა“ იაკობ გოგებაშვილი ე.ჭელიძემ!.. კონკრეტულ საკითხებზე მასთან დავას აზრი არა აქვს, ვთქვი ერთხელ, იაკობ გოგებაშვილისა არ ესმის, არ იგებს მისას და ჩვენსას შეისმენს?

მაშინ კი, როცა საპასუხო არა აქვს, წაყრუებას ამჯობინებს; ე.ჭელიძე, ცხადია, ბოდიშს არ მოიხდის (ამპარტავნება და უკიდევანო ამბიციები ამის უფლებას არ მისცემს); იგი პირიქით კიდევ უფრო ამძიმებს ამ წიგნაკში თავის ცოდვებს... თუმცა ცოდვათა განკითხვა ჩემი საქმე არაა...

თუ ვინმეს ეყოფა ნებისყოფა, წაიკითხავს ამ წიგნაკს და, რაც მთავარია, თუ გაიგებს (ე.ჭელიძის გაუგებარი ქართულის გამო), რისი თქმა სურს ე.ჭელიძეს, ეს მისი საქმეა. მე დანამდვილებით შემიძლია ვთქვა: ამ ხნის კაცი ვარ და ასეთი მდარე გემოვნების, ალოგიური, ქედმაღლური, ამპარტავნული და, რაც მთავარია, უბოროტესი განზრახვით დაწერილი რამ ჯერ არ წამიკითხავს...

წინა წერილშიც მივმართავდი მკითხველს: მეც ნუ მენდობოდა, მიეუთითებდი იაკობის ნაშრომს და ვთხოვდი, თავად გასცნობოდა იაკობის ნააზრევს, მერე შეეძარებინა მისთვის ე.ჭელიძისეული ინტერპრეტაცია და გ.გოგოლაშვილისეული თვალსაზრისი და გაერჩია მტყუან-მართალი. ახლაც ეს მინდა ვთხოვო ობიექტურ მკითხველს...

ერთსაც შევნიშნავდი ღიმილით: ე.ჭელიძე წერს — „გადავიკითხე ჯერ მარცხნიდან მარჯვნივ, მერე მარჯვნიდან მარცხნივ“... აღრევე მივხვდი, რომ უკუღმა კითხულობდა და ამიტომ გამოჰქონდა ასეთ დასკვნები! — თუმცა რა მელიმება, მძიმე შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

უბედურება ის არის, რომ ამ ბოროტების სამიზნე იაკობ გოგებაშვილია; თუმცა ამ წიგნაკში ე.ჭელიძის რისხვა გაიყო და იგი იაკობ გოგებაშვილთან ერთად გიორგი გოგოლაშვილმაც „გაიზიარა“. ეს ბედნიერებაა გიორგი გოგოლაშვილისათვის, რომ ე.ჭელიძის „რისხვის ნაკადი“ ააშორა დიდ იაკობს...

მოკლედ, ე.ჭელიძეს ერთი მიზანი ამოძრავებს: რადაც უნდა დაუჯდეს, „დაამტკიცოს“ იაკობ გოგებაშვილის „ბრალეულობანი“, „შეცოდებანი“... და ეს თუნდაც ზნეობასთან, მორალთან, ჭეშმარიტებასთან,

კეთილსინდისიერებასთან კომპრომისის ხარჯზე მოხდეს!.. ჰეროსტრატეც ასე მოიქცა... და ისტორიამ იცის ასეთი ადამიანებისათვის კუთვნილი ადგილის მიჩენა...

ზნობრივ-მორალური სახე ე. ჭელიძისა

* * *

ე. ჭელიძე წერს: „ყველაზე დიდი ზიანი, რაც მის (იაკობის — გ. გ.) საერო ღვაწლს შეიძლება მიადგეს, ეს იქნებოდა მისი (იაკობის — გ. გ.) წმინდანად კანონიზება“ (გვ. 42); „ამიტომ მივიჩნევთ იაკობის ყველაზე დიდ მტრებად (შეგნებულად თუ შეუგნებლად) მისი კანონიზების მოსურნეებს“ (გვ. 43).

ე. ჭელიძე მე მეპაექრება და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ამ ამონარიდების მთავარი სამიზნე გიორგი გოგოლაშვილია. მან (და სხვა-მაც) ძალიან კარგად იცის, რომ გიორგი გოგოლაშვილს არც იაკობის წმინდანად კანონიზების საკითხი დაუსვამს და არც წმინდა სინოდის კომისია შეუქმნია (მას ამის არც იურიდიული და არც მორალური უფლება არ ჰქონდა, — არაა ეს მისი საქმე!).

ე. ჭელიძემ ძალიან კარგად იცის, რომ იაკობის წმინდანად კანონიზების საკითხი უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დასვა და კომისიის შექმნაც მისი ხელდასხმით მოხდა. სწორედ ამის შემდეგ დაიწერა ე. ჭელიძის წიგნაკი „იაკობ გოგებაშვილის წმინდანად კანონიზების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით“!..

და თურმე, ვინც ეს საკითხი დასვა, იგი არის იაკობის ყველაზე დიდი მტერი; აზუსტებს — შეგნებულად თუ შეუგნებლადო და ამით იგი იაკობის საერო ღვაწლს აყენებს დიდ ზიანსო.

რა ჰქვია ამას, ძვირფასო მკითხველო? ვის ასწავლის ჭკუას, ვის მოძღვრავს და ვის ტუქსავს ირიბად ე. ჭელიძე?.. და ამას ამბობს ვითომცდა გიორგი გოგოლაშვილის (და მისნაირების) მისამართით. არაერთგზის იხმარა თავის წიგნაკში ე. ჭელიძემ სიტყვა „ვირეშმაკობა“...

* * *

ე. ჭელიძე წერს: „არსად, არცერთხელ ტერმინი „საანათემო“ და „ცოდვა“ იაკობის პიროვნების მისამართით არ წარმოგვითქვამსო“... ახლა ამონარიდს შევხედოთ მისი პირველი წიგნაკიდან: „ზემორე

აზრი (იაკობის აზრზეა საუბარი — გ.გ.) უპირობოდ ანათემას ექვემდებარებაო“... თუმცა მეორე წიგნაკში აზუსტებს: „მარტოოდენ მის კონცეფციას განვიხილავდით, ეს კონცეფცია კი, — აი, ამას ხაზს ვუსვამდით, — თუ წმინდანად კანონიზებადისგან იქნებოდა გამოთქმული, უპირობოდ ანათემას ექვემდებარება“...

ისევ ეშმაკობს ე. ჭელიძე: **არ მითქვამს, იაკობის პიროვნება იმსახურებს ანათემას, საანათემო მისი კონცეფციააო...**

როცა პიროვნების ანათემაზეა საუბარი, მის გარეგნულ შესახედობას; კანის, თვალისა თუ თმის ფერს აქცევენ ყურადღებას თუ ამ პიროვნების აზრებს, კონცეფციებს, ქმედებებს?..

საანათემოაო, ე. ჭელიძემ, იაკობის კონცეფცია და არა იაკობ გოგებაშვილიო... ნახა გამოსავალი და იმართლა თავი კაცმა(!)...

* * *

როცა ე. ჭელიძის ამ წიგნაკს ვკითხულობდი, ერთი ავანტიურისტი გამახსენდა. ამ ავანტიურისტს პოლემიკა ჰქონდა ერთ ოპონენტთან და უთხრა: **თუ ჩემთან პოლემიკას გააგრძელებ, ჩათვალე რომ დამარცხდებიო.** რატომო, გაიკვირვა ოპონენტმა. **მე ისეთ რამეს ვიკადრებ, რასაც შენ არ იკადრებ, ამიტომ წინასწარ შეეგუე წაგებასო...**

ე. ჭელიძეს თავისი ოპონენტი არ გაუფრთხილებია, მან პირდაპირ უკადრებელი იკადრა: **ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენა თავის წიგნაკში.**

შევახსენებ ე. ჭელიძეს, რომ **ლანძღვა-გინებას ჭეშმარიტება ჩერ არ გაურკვევია.** თუმცა ე. ჭელიძეს ჭეშმარიტება არ აინტერესებს — მთავარია, მისნაირთა თვალში გამარჯვებული ჩანდეს...

და აკაკი ბაქრაძის ერთ სიბრძნესაც შევასხენებ: **„მოაზროვნეა ის, ვინც არცერთ უშვერ სიტყვას არ იხმარს და მეტოქეს თავის სიმართლეს დაუმტკიცებს მხოლოდ არგუმენტებითა და საბუთებით. ის, ვინც ლანძღვა-გინებას მიმართავს, არ ეძებს ჭეშმარიტებას, მას მხოლოდ მეტოქის დამცირება-შეურაცხყოფა სურს. ხოლო ის, ვინც ჭეშმარიტებას არ ეძებს, არ შეიძლება იყოს მოაზროვნე“.**

თითქოსდა ე. ჭელიძის ამ წიგნაკის გამო დაიწერა ეს შეგონება. **ე. ჭელიძე არ ეძებს ჭეშმარიტებას. ლანძღვა-გინება მისი მთავარი „არგუმენტი“... მე აქ უბრალოდ იმ სიტყვა-გამოთქმათა ჩამონათვალს შემოგთავაზებთ, ე. ჭელიძე ოპონენტის მიმართ რომ გამოიყენებს ამ წიგნაკში:**

სრული გონებაცდომილება,
 პუბლიკაცია ანთხევს,
 სრული სულიერი უბადრუკობა,
 სულიერად უბადრუკი ადამიანი,
 აღვიძრშიშვებული ბილწნიტყვაობა,
 გენსლი,
 მოლანდებია,
 ქვეწარმავლისებრ,

სრული ღვთისმგმობელობა
 წულის ნაყვია,
 უკეთური განზრახვა,
 ჩლუნგი,
 ნაგროვები თხრამლი,
 დაავადებული გონებისათვის,
 პაექრობითი ღვარჰნილება,
 ვინმე ქვათაშყოფელი (გიორ-
 გის გარდა)

აზრობრივი უბადრუკობა,
 ურცხვად ტყუის,
 ყალბისქმნიელობა,
 ტვინის ჭყლეტვა და მიმოკლაკენა,
 გიორგისეული ბრუალით,
 სულშებინდული,
 ვირეშმაკულად უარსებო,
 ცრუეროვნული ბორგნეულობით
 და სხვა მისთანანი.

გონებათცდომილება,
 უკეთურქმედება,
 სულიერი ავაზაკობა,
 საანათემო ცოდვა,
 ზნეობრივი გარყვნილება,
 ვინ გაგაბრძევა, გიორგი,
 ჰალუციაციური,

აი, ამ ეპითეტებით ცდილობს ე. ჭელიძე ოპონენტის აზრების შე-
 ფასებას. მსგავს გამოთქმებს ამ წიგნაკში ისე გულუხვად გამოიყენებს,
 ეამაყება კიდევ და თავი გამარჯვებული ჰგონია:

უცხადესად ვაჩვენეთ ჩვენი სიპართლე,
 უკვე გამოვგააშკარავეთ,
 მკითხველს არ დარჩა უმისხლესი ექვიც კი,
 ყველა სიყალბე ძირითურთ და ფესვითურთ იქნა აღმოფხვრილი,
 ესეც კატასტროფულად შთავრდება გიორგისათვის,
 დიან, ეს უეჭველად ასე მოხდა!....

არსად, არცერთხელ არ უხმარია პატიოსან პოლემიკაში მიღებულ
 გამოთქმები: „ჩემი აზრით“, „ვეფიქრობ“, „მგონია“ და მისთანანი. რასაც
 წერს, უტყუარი ჭეშმარიტებაა! — ესაა ბუნება ამპარტავანი კაცისა!

რას ვიზამთ, ასეთია პოლემიკური კულტურა „არაერთ პოლემი-
 კურ ბატალიაში მონაწილისა“ (მისივე სიტყვებით).

მე კი ე. ჭელიძე იმ პატარა ბავშვს მაგონებს, „ცუდ საქმეს“
 რომ ჩაიდენს და სიხარულით აჰყლოპინდება — „მე ვქენი, მე ვქე-
 ნი“...

მკითხველს იმასაც შევახსენებ, რომ ამ ცილისწამებათა, სიყალბე-
 თა და ბოროტ გამონაგონთა ავტორი, ამგვარი პოლემიკური კულტუ-
 რის მქონე პიროვნება არის:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უწმინ-
 დესი დაწესებულების — თბილისის სასულიერო აკადემიის ღვთის-

მეტყველების კათედრის გამგე, ღვთისმეტყველების ლექტორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი...

დიდად სამწუხარო ფაქტია!...

და იცით კიდეც რას მივიჩნევთ დიდად სამწუხაროდ? —

კაცო, რომელიც არის ამგვარი კულტურის მქონე; რომელიც გამიზნულად არღვევს უფლის მცნებებს „არა ცილი სწამო“, „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“; რომელიც არის შეპყრობილი ამპარტავანებითა და უკიდევანო ამბიციებით, ღვთისმეტყველებას ახწავლის სასულიერო წოდების მომავალ თაობებს!..

* * *

თავისი არგუმენტები რომ „გაამყაროს“, ე. ჭელიძე ხშირ-ხშირად შეახსენებს მკითხველს, რომ მე ვარ ენათმეცნიერი; ისიც „გამოუკვლევია“, რომ მაქვს ნაშრომები ხუნძური ენის ხმოვანთა სისტემაზე, ვმუშაობ ქართულ ზმნაზე, ვიკვლევ დიალექტოლოგიის საკითხებს და... „ხალისობს“ და ამგვარი „ანგლობით“ „გაამყარებს“ აზრს იმის შესახებ, რომ იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის თაობაზე მისი ინტერპრეტაციები სწორია! ორიოდე მაგალითი:

„ამიტომეა კარგი ენათმეცნიერთან პაექრობა“... „თუმცა ეს ლინგვისტობაზე მეტია“... „უკვე ლიტონად ლინგვისტს ვეღარ ვუწოდებთ, ლინგვოლოგად (!) მოვიხსენიებთ“... „არა, ჩემო ლინგვისტო“... „ვინ დააბრალა ამ დალოცვილს ლინგვისტობა“... „ვინ გაგაბრძოვა, გიორგი, ვინ მოგწყვიტა ხუნძურის კვლევას“... „ნაკვთთა წარმოებაში სუბლექტივიზმის საკითხის მეტნაკლებად მცოდნეს“... „ხედავ, დიალექტოლოგო...“ და მისთანანი...

უცნაურია თუნდაც ის, რომ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ტერმინები — ენათმეცნიერი, ლინგვისტი, დიალექტოლოგი ზემოჩამოთვლილი გამოთქმების ტოლფასი ჰგონია!.. საინტერესოა, რას იწუნებს ე. ჭელიძე: თემატიკას, პრობლემატიკას, მეცნიერულ დონეს ჩემი ნაშრომებისას თუ კვლევის შედეგებს... კი, მის „მაღალ გემოვნებას“ შეიძლება არ შეესაბამებოდეს, მაგრამ იაკობ გოგებაშვილთან ყოველივე ეს რა შუაშია?..

თქვენ წარმოიდგინეთ, წიგნაკის ბოლოს „მაშანტაჟებს“ კიდეც: „დავინტერესდით კიდეც, მარტო ამ პუბლიკაციაში ჩანს ჩვენი ოპონენტი „ესეგვარი“, თუ ბუნებრივ მოვლენასთან გვაქვს საქმე-მეთქი. გადავხედე მის ასე ვთქვათ ზოგადი თემატიკის სტატია-პუბლიკაციებს და

თქვენს მტერს, იქ ამბავი ვნახე, თუმცა, როგორც იტყოდა დავით კლდიაშვილი, „სხვა სხომის იყოს“...

მოკლედ, თუ ჭკვიანად არ იქნება გიორგი გოგოლაშვილი და არ ირწმუნებს ჩვენს ცილისწამებას იაკობ გოგებაშვილის მიმართ, მის ენათმეცნიერულ სტატია-პუბლიკაციებს ბდღვირს ვადენო!..

არადა, როგორ ერკვევა ლინგვისტიკაში, ერთი მაგალითი ამ წიგნაკშიც გვაქვს: „მართალია, ლინგვისტთან „ვმორკინალობ“, მაგრამ მაინც მკვირცხლად ჩავუტარებ მცირე გაკვეთილს მორფოლოგიაშიო“ და ე. ჭელიძე ამ **მკვირცხლად** ჩატარებულ „**მორფოლოგიურ ანალიზში**“ **ქვემდებარეზე**(?!**)** საუბრობს!..

ვერც ის გავიგე, რა შუაშია იაკობ გოგებაშვილის ნააზრევის შეცნობასთან თავის გურულობას ხშირ-ხშირად რომ შემახსენებს: ალბათ ესეც ე. ჭელიძის პოლემიკური კულტურის ორიგინალური ხერხია...

ეს კი ნამდვილად სხვა თემაა, ცალკე თემაა რა ენით, რა ქართულით (უფრო სწორად, ჩიქორთულით, რომელსაც „ედიშერული“ შეიძლება ვუწოდოთ) აფრქვევს „სიბრძნეს“ ე. ჭელიძე.

* * *

არ ვიცი, ღირს თუ არა საერთოდ ასეთ ფაქტზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ ე. ჭელიძის ამპარტავნებისა და უკიდვანო ამბიციების მაგალითად ესეც შეიძლება გავიხსენოთ: ე. ჭელიძე წერს: — „ერთი წუთითაც არავინ დაიჭეროს, თითქოს იაკობ გოგებაშვილის საკითხი აღელვებდეს ჩვენს გიორგის, ოდნავადაც რამედ უღირდეს ხსენებული მოღვაწის სახელი ანთუ რაიმე ეროვნულისთვის მოსაგარეობდეს (...). არა, მიზეზი სულ სხვაა, „მამხილებელი კალამი“ ხელში სულ სხვა აღძრულობამ აადებინა“...

ე. ი. გიორგი გოგოლაშვილს 20-მდე პუბლიკაცია რომ აქვს იაკობ გოგებაშვილის თემაზე (მათ შორის სამი წიგნი), ეს არაფერი, ეს უმნიშვნელო ფაქტიაო!.. მთავარი კი, აი, რა ყოფილა: **გიორგი გოგოლაშვილს თურმე დიდი ხანია შურდა ე. ჭელიძის წარმატებებისა და საბაბს ეჭებდა...** კი, ასე წერს: „ეჭვი არაა, საქმე გვაქვს მის სულში (და, სამწუხაროდ, არა მხოლოდ მის სულში) წლობით ნაგროვებ თხრამლთან, რასაც უამი დაუდგა (ყოველ შემთხვევაში, თვითონ ჩათვალა, რომ „დადგა უამი“) „გადმოდინებისა“... (ისე, მიაქციეთ ყურადღება — მხოლოდ გიორგი გოგოლაშვილს არ შეშურებია მისი...)...

და შემდეგ განმარტება იმისა, თუ რა შეშურებია მისი გიორგი გოგოლაშვილს: „ჩვენს ძვირფას ოპონენტს ერთ მშვენიერ დღეს მოლანდებია (დაავადებული გონებისთვის ეს სრულიად ბუნებრივია), თითქოს ჩვენ ვიჩემებდეთ „ყოვლისმცოდნეობას“, სხვათათვის „თითის ქნევის“ უფლებას ვისაკუთრებდეთ, ზევით და ზევით განვიკუთვნებდეთ აღმატებულ ადგილს, ხოლო რადგან **ამგვარი ხვედრის ღირსად მას, ცხადია, მარტოოდენ თავისი თავი ეგულვოდა, თვითწარმოჩენის მეტისმეტი ნდობისგან „განჭურვებია მას გული და ნაწლევნი მისნი“ და „აღბორგებულა“... (გვ. 4).** ამის შემდეგ დასკვნა: **„ღიახ, ეს უეჭველად ასე მოხდა!“**

ასეთ „ანალიზზე“ კომენტარის გაკეთებას ე. ჰელიძის ზნეობის კაცი სჭირდება...

მაგრამ რა დააშავა იაკობ გოგებაშვილმა?.. თუმცა დიდი ხნის წინათ იქ, საბერძნეთში, არტემიდას ტაძარსაც არა დაუშავებია რა ჰეროსტრატესათვის... თუმცა მაპატიეთ, ამ ანალოგიაში არის ერთი დიდი განსხვავება: ჰეროსტრატემ მიაღწია მიზანს... ე. ჰელიძე ამაოდ დაშვრა!..

ბ) „დედაენის“ თემაზე

დიღეტიანტიზმი და არაკომპატიბენტურობა დაღუპავს ქართულ სკოლას¹¹

(ლია წერილი სიმონ ჯანაშიას)

ბატონო სიმონ, ახლახან წავიკითხე თქვენი — დღევანდელი განათლების სისტემის ერთერთი მესვეურის — ინტერვიუ გაზეთში „საქართველო XXI“ (30 მარტი — 5 აპრილი). სამწუხაროდ, თქვენი თანამდებობა კი გაძლევეთ ამგვარი აზრების გამოთქმის საშუალებას, მაგრამ, როგორც ჩანს, თქვენი კომპეტენცია ამ სფეროში საკმაოდ შეზღუდულია.

დავიწყოთ იმით, რომ განათლების სამინისტროს თავკაცებისაგან იაკობ გოგებაშვილისა და მისი „დედაენის“ დაცვა მე და ჩემნაირებს არ უნდა გვიხდებოდეს. უპირველეს ყოვლისა, სამინისტრო უნდა იყოს პატრონი „დედაენისა“ და მისი ავტორისა. იცით რატომ? „დედაენა“ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა იაკობმა. იურიდიულად შეიძლება არა, მაგრამ მორალურად ხომ უნდა იყოს განათლების სამინისტრო სამართალმემკვიდრე იმ საზოგადოებისა? ამაზეც ნუ ვიკამათებთ, იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობას ვინ უპატრონოს?

თქვენ უარყოფთ იმას, რომ სიტყვა **დედაენა** იაკობ გოგებაშვილის შექმნილია; გაიკვირვებთ კიდევ: „არა, რატომ. ის სხვა ენებსაც აქვთ“. სხვა ენებსაც რომ აქვს მსგავსი სტრუქტურის სიტყვა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იაკობმა უცხოურიდან აიღო. თქვენ არ ხართ კომპეტენტური ამ საკითხში და განგიმარტავთ: იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ გამოსვლამდე (1876 წლამდე) არც ილიას, არც აკაკის და არც თავად იაკობის ნაწერებში სიტყვა **დედაენა** არ გვხვდება, მისი მნიშვნელობით გამოიყენებენ გამოთქმებს **ქართული ენა**, **მშობლიური ენა**,

დედ-მამის ენა... 1876 წლიდან ფაქტობრივ მხოლოდ **დედაენა** იხმარება... თუ მოიცლით ილიას, აკაკისა და იაკობის ნაწერების წასაკითხად, თქვენც დარწმუნდებით... მართალია, ამ სტრუქტურის სიტყვები სხვა ენასაც აქვს, მაგრამ მთავარი მაინც მისი მნიშვნელობაა: **დედაენა** შეიქმნა ისეთი ქართული სიტყვების ანალოგიით, როგორიცაა **დედაბოძი, დედააზრი, დედაქალაქი**; დიახ, **დედაენა** ნიშნავს მთავარ ენას (შდრ.; მთავარი აზრი, მთავარი ბოძი, მთავარი ქალაქი...); ამით იაკობმა ქართველური ენობრივი სივრცის სწორი გააზრება მოახდინა...

სიტყვა **დედაენა** შეიქმნა მიზნობრივად საანბანე წიგნისათვის და ისევეა იაკობის კუთვნილება, როგორც „ვეფხისტყაოსანი“ თუ „სიბრძნე სიცრუისა“ თავიანთი ავტორებისა. იმასაც შეგახსენებთ, რომ იაკობამდეც და შემდეგაც არაერთი საანბანე წიგნი შეიქმნა (ი.კერესელიძისა, ა.ნათაძისა, რ. ისარლიშვილისა, ლ. ჩომაჩიძისა, ა. ჯუღელისა...); ყველა წიგნს თავისი სახელი ერქვა, „დედაენა“ — მხოლოდ იაკობისას... ისევე, როგორც არ შეიძლება ვინმემ თავის წიგნს „ვეფხისტყაოსანი“ ან „სიბრძნე სიცრუისა“ დაარქვას, არც „დედაენის“ დარქმევის უფლება აქვს სხვას... ჩვენ საკითხს ასე ვსვამდით: თუ საანბანე წიგნი **აი ია**-ს პრინციპზეა შედგენილი, უნდა მიეთითოს, რომ შედგენილია ი. გოგებაშვილის მიხედვით; თუ **აი ია**-ს პრინციპი უარყოფილია, არ შეიძლება ეწოდოს „დედაენა“ (სამწუხაროდ, გვაქვს როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევაც)...

უცნაურ რამეს ბრძანებთ, ბატონო სიმონ: „საავტორო უფლებებს კი განსაზღვრული ვადა აქვს, რომელიც ყველა საერთაშორისო ნორმითაც კი გასულია“. „დედაენის“ შესახებ არის საუბარი! იურიდიულის გარდა მორალური და ზნეობრივი ნორმებიც რომ არსებობს, ეს არ გაგიგიათ? ცხადია, ი. გოგებაშვილი ვერ უჩივლებს ბ. სულაკაურს; მაგრამ თქვენ, განათლების სისტემის ერთ-ერთმა მესვეურმა, მხარი უნდა დაუჭიროთ იაკობის საკუთრების მითვისებას და „იურიდიულადაც გაამაგროთ“ ეს ტაციობა? ზნეობა, მორალი ვახსენე ზევით; თქვენს სისტემაში ასეთი ცნებები „არ მუშაობს“?

ბატონო სიმონ, თქვენ დილექტანტი ხართ ისეთ სფეროში, როგორიცაა ქართული ენა და დაწყებითი განათლება, ამიტომ თავს უფლებას არ უნდა აძლევდეთ, ასეთი რამ განაცხადოთ: „დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ბავშვი „აი ია“-ს ისწავლის თუ „აი მე“-ს. მთავარია, წერა-

კითხვა ისწავლოს“. ასე შეიძლება ვილაცამ იმსჯელოს, მაგრამ მისგან, ვისაც სახელმძღვანელოების ბედი აბარია, ამგვარი აზრის გამოთქმა დანაშაული მგონია მე...

არაკომპეტენტურობისა და დილეტანტიზმის კიდევ ერთი „ნათელი“ მაგალითია თქვენი მსჯელობა აბანის სწავლების მეთოდებზე: „სწავლების ორი მეთოდი არსებობს — ანბანური, ანუ მოსწავლე, როცა ასო-ბგერის მიხედვით სწავლობს კითხვას და მეორე, როცა სურათის მიხედვით იცის სიტყვა და ამით იმახსოვრებს საწყის ასოებს. ევროპაში ეს მეთოდია გავრცელებული... ვფიქრობ, რომ ანბანურ სწავლებას მეორე მეთოდი სჯობს“...

თქვენ რომ ასე ფიქრობთ, ბატონო სიმონ, ეს ცოტას ნიშნავს; მთავარია, რას ფიქრობენ პროფესიონალები. იცით თუ არა, რომ ქართული ენის ბუნების გამო აი და-ს პრინციპი ზედგამოჭრილია ჩვენი ენისათვის: ეს არის ენა, რომელშიც ერთ ბგერას ერთი ასო შეესაბამება. მაშინ როცა, ევროპულ ენებში ერთი და იგივე ასო სხვადასხვა პოზიციაში სხვადასხვაგვარად იკითხება; კიდევ: ერთი ბგერა ორი, სამი და ოთხი ასოთიც კი გადმოიცემა... ამიტომ აი და-ს პრინციპის გამოყენება მათთვის (ევროპული ენებისათვის) შეუძლებელია... ქართულისათვის კი თქვენგან მოწონებული ევროპული მეთოდის გამოყენება უალრესად გაუართულებს ქართველ მოზარდს წერა-კითხვის შესწავლის პროცესს...

ბატონო სიმონ, სანამ დამნაშავედ გამოაცხადებ იმ პედაგოგს, რომელმაც თქვენგან მოწონებული წიგნები შეცვალა გოგებაშვილის „დედაენით“, ის რატომ არ იკითხეთ, რატომ შეცვალეს... უბედურება ის კი არ არის, რომ თქვენ ასეთი აზრები გაქვთ, არამედ ის, რომ თქვენს აზრს მითითების ძალა აქვს...

„დედაენა“ ტრადიციული გზით ვერ ივლისო“, აცხადებთ თქვენ უბოდიშოდ... იქნებ, სანამ ასეთ განცხადებას გააკეთებთ, სჯობს ან კონსულტაცია გაიაროთ პროფესიონალთან, ანდა თავად წაიკითხოთ შესაბამისი ლიტერატურა... საქმისთვის ასე აჯობებს:...

2009 წელი სახელმძღვანელოების საკონკურსო წელია და არ იქნება ურიგო, თუ ჩვენს მოკრძალებულ შენიშვნებს გაითვალისწინებთ... თუმცა არ მაქვს ამის იმედი თქვენგან...

იაკობ გობეჯაშვილის „დედაენა“ ქართულ სკოლაში ბრუნდება; შეუშვებან?¹²

ახლახან განათლების სამინისტროში კონკურსი გაიმართა ქართული სკოლის პირველკლასელთა სახელმძღვანელოებზე. საკონკურსოდ წარდგენილი იყო ქართული ენის ათი სახელმძღვანელო (ათი „დედაენა“!). განათლების სამინისტრომ გრიფი მიანიჭა ათივეს! პირველი კლასის სახელმძღვანელოთა ავტორები (ასე მოიხსენიებიან სახელმძღვანელოთა შემდგენლები სამინისტროს მიერ გავრცელებულ დოკუმენტებში) არიან:

1. ვ. რამიშვილი;
2. ნ. გორდელაძე, ნ. ჩხენკელი;
3. ბ. სულაკაური, მ. ბედოშვილი;
4. **იაკობ გოგეჯაშვილი** (ხაზგასმა ჩემია — გ.გ.)
5. ნ. კუპრავა, დ. ნაზირიშვილი;
6. ნ. მაღლაკელიძე, ც. ყურაშვილი;
7. ვ. როდონაია, ლ. ვაშაკიძე;
8. ე. სვანიძე, ლ. ბაკურაძე;
9. ზ. ვახანია;
10. ბ. სარია, ლ. ჩიტაიშვილი

ათი ალტერნატიული სახელმძღვანელო არის პირველ კლასში ქართული ენისა, ათი „დედაენა“! ბევრი კითხვა იჩენს თავს: ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ ეს ფაქტი? კონკურსი ჰქვია იმ შეჯიბრებას, როცა ყველა წარდგენილი სახელმძღვანელო იმარჯვებს? შეიძლება ასეთ ფართო არჩევანს სთავაზობდნენ სკოლებს? ასეთ შემთხვევაში არ უნდა უთხრან, რომელი წიგნი როგორ შეაფასა კომპეტენტურმა კომისიამ (პროგრამებისა და სახელმძღვანელოების ცენტრის ოქმებში რა წერია, ეს არაა მისაწვდომი ყველასათვის)? რით უნდა იხელმძღვანელოს სკოლამ არჩევანის გაკეთებისას? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ განათლების სამინისტრო ამ საქმეს თავს ვერ ართმევს და ამით სკო-

ლებს უმძიმეს დღეში აგდებს... მხედველობაში არჩევანის წინაშე დამდგარი პედაგოგები მყავს...

რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, არჩევანის გაკეთება მარტივად ხდება: „ავტორები“ და გამომცემლები ზრუნავენ საამისოდ თავიანთი ნაცნობ-უცნობებისა თუ გავლენის სფეროების მეშვეობით (რეალურად არანაირი არჩევანი — საქმის „ჩაწყობა“ ჰქვია ამას); და აღწევენ კიდევ მიზანს. ამ შემთხვევაში **ძძიმე დღეში აღმოჩნდება იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო — ავტორი ვერ შეძლებს იზრუნოს საკუთარი წიგნის გავრცელებაზე...**

მოგეხსენებათ, ათეული წლების შემდეგ იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ“ ოფიციალურად ახლა მიიღო ნებართვა, უმეგზუროს ქართველ მოზარდს წიგნიერების სამყაროში; მაღლობა ყველას, ვინც ამისთვის იზრუნა... ჩემი ღრმა რწმენით, ეს წიგნი საუკეთესოა ჩემთვის ნაცნობ სახელმძღვანელოთა შორის; როგორც ამბობენ, ყველაზე მაღალი შეფასება კონკურსში ამ წიგნმა მიიღო; იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას — მას ახლავს მასწავლებლის წიგნიც და მოსწავლის რვეულიც (გამარჯვებულ „დედაენათა“ უმეტესობა სწორედ იაკობის „დედაენის“ მიხედვითაა შედგენილი; ამ „დედაენათა“ ავ-კარგზე სხვა დროს ვისაუბრებთ... ისიც ცალკე საუბრის თემაა, უნდა მიეთვისებინათ თუ არა მათ ავტორებს იაკობის წიგნის სახელი...). დღეს პრობლემა სხვა რამეა:

კი, იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ მიენიჭა სამინისტროს გრიფი, მიეცა ოფიციალური რეკომენდაცია, მაგრამ მიიღებს კი მას ქართული სკოლა? შეძლებს კი იაკობ გოგებაშვილი „გაუმკლავდეს“ თავის კონკურენტებს („დედაენათა“ ავტორებს!)? ვნახოთ; სიტყვა თქვენზეა, სკოლათა ხელმძღვანელებო, დაწყებითი კლასების პედაგოგებო, საკუთარი შვილების ბედით დაინტერესებულო მშობლებო!..

ათი „დედაენის“ არნახული კონკურენცია
კელაგოგოთა უმეტესობა გოგებაშვილის
წიგნის მომხრეა¹³

იაკობ გოგებაშვილი თავის დროზე ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ მისი „დედაენა“ როდისმე მაინც საზოგადოებისათვის პრობლემა და თავსატეხი გახდებოდა. მაგრამ XXI საუკუნის ქართველმა განათლების რეფორმატორებმა ამ დიდი საზოგადო მოღვაწის ნაამაგარ და ქართველი ერისთვის ანდერძად გადაცემულ წიგნს გვერდი აუარეს და სკოლაში „აი იას“ პრინციპით წერა-კითხვის სწავლება ამოიღეს.

ამის გამო კრიტიკა, გნიასი, ლანძღვა-გინებამდე მისული საყვედურები განათლების სამინისტროს არ ასცდა. არც იმ ახალ „ავტორებს“, რომლებმაც „დედაენა“ ისე გადააკეთეს, რომ შიგ გოგებაშვილისა არაფერი დატოვეს, სახელის გარდა. ეს იმას ჰგავს, ვინმემ ნაწარმოები შექმნას და „ვეფხისტყაოსანი“ დაარქვას.

მაისში განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების ეროვნულ ცენტრში ათმა „დედაენამ“ მიიღო კონკურსში მონაწილეობა. თუმცა რაღა კონკურსი. ცენტრმა ათივეს გრიფი მიანიჭა. სახელმძღვანელოები კომისიის წევრებმა მხოლოდ ქულებით შეათასეს, რომელთა შორისაც გოგებაშვილის „დედა ენამ“ ყველაზე მაღალი — 97 ქულა აიღო. ახლა თვითონ სკოლამ და პედაგოგებმა უნდა აირჩიონ მათ შორის მისაღები და საინტერესო წიგნი.

ავტორები და გამომცემლები არნახულ კონკურენციაში ჩაებნენ. ბუნებრივია, ყველამ საკუთარ გამოცემას გაუწია რეკომენდაციები, განსაკუთრებით იმ სკოლებში, სადაც მეტი ნაცნობ-მეგობარი ჰყავთ. მაგრამ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა ის „დედაენა“, რომლის ავტორიც საუკუნის წინათ მიიცვალა.

სარეკლამო მისია „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებამ“ ითავა და შეეცადა პედაგოგებისთვის ის პრინციპები შეეხსენებინა, რაზედ თა-

ვად აღიზარდნენ, მით უფრო, რომ წიგნის რედაქტორი არის საზოგადოების თავმჯდომარე — მღვდელი კონსტანტინე გიორგაძე.

საზოგადოების წევრებმა უკვე თითქმის მთელი საქართველო შემოიარეს და მასწავლებლებს ღიად და საჯაროდ შესთავაზეს საკუთარი პროდუქცია. მნიშვნელოვან დეტალებზე საზოგადოების წევრი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი გვესაუბრება:

— ათივე სახელმძღვანელომ მიიღო გრიფი. ეს არ ნიშნავს კონკურსს, ეს არის უბრალოდ რეგისტრაცია. ეს მოხდა იმიტომ, რომ განათლების სამინისტროში არ აქვთ კრიტერიუმი, რა უნდა დააკმაყოფილოს სახელმძღვანელომ. ამიტომ გრიფი აქვს 97 ქულიან წიგნსაც და 17 ქულიანსაც.

მაგალითად, წინა კონკურსში გაიმარჯვა ხუთმა სახელმძღვანელომ. მაშინ ვერ გავიდა ზურაბ ვახანიას „დედაენა“, მან იჩივლა, თუმცა ვერ მოიგო. როგორც ჩანს, ამგვარ გართულებებს მოერიდა და ამიტომაც ჩაიქნია ხელი სამინისტრომ ყოველგვარ წესზე, კანონზე და გრიფი ყველას მიანიჭა.

— თქვენ პრეტენზია გაქვთ სახელწოდება „დედაენასთან“ დაკავშირებითაც, ხომ?

— დიან. არ შეიძლება ავტორი ეწოდოს ამ ადამიანებს. თუკი „დედაენის“ მიხედვით კეთდება ახალი სახელმძღვანელო, ისინი არიან შემდგენელი და არა ავტორები. თან „დედაენა“ თუ ჰქვია, ის აუცილებლად უნდა იყოს აგებული „აი ია“-ს პრინციპზე. სხვა ტიპის წიგნების ავტორები არიან ქართული ენის სახელმძღვანელოების ავტორები და არა — „დედაენის“, მაგრამ ამას განათლების სამინისტრო არას დაგიღვეთ.

დღევანდელი პირველი კლასის სახელმძღვანელოები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. ერთი — რომელიც აგებულია „აი იას“ პრინციპზე და მეორე — როცა უარყოფილია „აი იას“ პრინციპი, როცა ასოს სწავლება იწყება პირდაპირ სიტყვებით, რომელშიც სხვა უცნობი ასობია.

— ბატონო გიორგი, ნუ ჩავუღრმავდებით, რადგან ჩვენს გაზეთში ამაზე საკმაოდ ვრცლად წერდით. მაგრამ საინტერესოა ერთიც, რატომ აქვს დიდი მნიშვნელობა ასო-ბგერით სწავლების პრინ-

ციბს, თუცა შედეგი ერთნაირია: ყველა პირველკლასელმა უკვე იცის წერა-კითხვა.

— შედეგი გვაქვს. მაგრამ რა ძალის, რა ენერჯის დახარჯვით მივიყვანეთ ბავშვი ამ გზამდე. ბავშვი „აი იას“ პრინციპის მიხედვით სწავლობს ლალად, მარტივად, ხოლო როცა მთელ სიტყვას აძლევენ, სადაც მხოლოდ ერთი ასოა ნაცნობი და დანარჩენი უცნობი, რთულია. თან რა ძალა გვადგას, არ არის ამის აუცილებლობა, უცხოელების წამბამველობა რომ არა.

ბავშვი ნაკლებად ძაბავს გონებას, არ წვალობს, იოლად სწავლობს სათითაოდ ასოებს... ამის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა; ვისაც სურს მან ეს იცის...

— **საინტერესოა მასწავლებლების არჩევანი. თქვენი პრეტენზია არის ისიც, რომ განათლების სამინისტრომ არ მიუთითა კონკრეტულად, რა კრიტერიუმით იხელმძღვანელონ წიგნის არჩევისას?**

— დიახ. მხოლოდ ქულებით შეაფასეს სახელმძღვანელო და ამის მიხედვით შეაფასებენ პედაგოგებიც? მე არ შემხვედრია მასწავლებელი, რომელსაც რაიმე პრეტენზია გამოეთქვა გოგებაშვილის წიგნის მიმართ. შეხვედრებზე ცხოველი კამათი მიმდინარეობდა და პირიქით, ყველა გამოთქვამდა საყვედურს იმის გამო, რომ არ იყო „აი იას“-ს პრინციპით სწავლება.

— **თუშეცა აქამდეც იყო ასეთი პრინციპით აგებული რამდენი სახელმძღვანელო. მასწავლებელს ხომ აქვს არდადეგებზე დრო, რომ სასურველი წიგნი აირჩიოს, გულისყურით გაეცნოს ყველას?**

— სამწუხაროდ, არა აქვს. სკოლების ბიბლიოთეკები ყველა სახელმძღვანელოს არ იძენენ. თანაც, კონკურსის შედეგი ივნისში გამოქვეყნდა. ხოლო ახლა რამდენიმე დღეში ყველა სკოლამ ოფიციალურად უნდა მოითხოვოს ის წიგნი, რომელსაც საბოლოოდ აირჩევს. სხვათა შორის თელავის საჯარო სკოლას არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდა, მაგრამ ჩვენთან კონსულტაციის შემდეგ არჩევანი შეცვალა.

— **თქვენ შემოიარეთ თითქმის მთელი საქართველო, რეკომენდაცია გაუწიეთ მხოლოდ გოგებაშვილის „დედაენას“. კონსტანტინე გიორგაძის რედაქტორობით შედგენილ სახელმძღვანელოში დიდი დოზით იყო რელიგიური თემატიკა. ახლაც ასეა?**

— არა, კორექტივები შეტანილია, ხოლო რელიგიური ნაწილი თითქმის მოიხსნა. მესამე კლასში იქნება გადატანილი. დარჩენილია საანბანე ნაწილი და დამატებულია სავარჯიშოები, ძალიან კარგად გაკე-

თებული წიგნია, რადგან მასზე იმუშავეს გამოცდილმა პედაგოგებმა, ფსიქოლოგებმა, ოფთალმოლოგებმა და სხვებმა. იქ ყველა პარამეტრია გათვალისწინებული. მხოლოდ ორიოდ ცვლილება შევიდა საანბანე ნაწილში. მაგალითად, ასო „გ“ გოგებაშვილის ბოლო გამოცემაში ისწავლებოდა სიტყვით „ნამგალი“, ხოლო „ჯ“ სიტყვით „ჯარა“. თანამედროვე ბავშვისთვის ორივე სიტყვა უცხოა, ამიტომ ესენი შეიცვალა „ანგელოზით“ და „ჯერით“. „ანგელოზი“ თვით გოგებაშვილმა გამოიყენა ადრინდელ რედაქციაში.

ი. გოგებაშვილის მთავარი პრინციპიც ეს იყო. ბავშვისთვის ნაცნობი და გასაგები უნდა იყოს საგანი. სურათს რომ დაინახავს, უნდა მიხვდეს და იცოდეს, რა ჰქვია საგანს და ზუსტად ის სახელი უნდა ეწეროს ქვევით.

ეს არის პირველი კლასის სახელმძღვანელო, ხოლო მეორე და მესამე კლასის სახელმძღვანელოც მზადდება, და მოსწავლეებს დახვდებათ, როცა იქ მივლენ.

— მოკლედ, ბატონო გიორგი, „დედაენა“ მკაცრ კონკურენციაში ჩაება?

— საკმაოდ მძიმე და არაპატიოსან კონკურენციაში. მსწავლებელს როცა მხოლოდ ქულას სთავაზობ და სხვა არაფერს, ეს არ არის ჯანსაღი კონკურენცია. უბედურება ის არის, რომ არ ვიცით, რა უნდა დააკმაყოფილოს სახელმძღვანელომ.

ყველა ავტორი, რომ გაამართლონ თავიანთი ავტორობა, ისეთ პრინციპებს ცვლიან, რომელიც საერთოდ უარყოფს გოგებაშვილს — მაგალითად, როცა ბავშვს ასოებს ასწავლიან სიტყვებით: ბელურა, შოშია, ხოხობი და ეკითხებიან ეს რა არის, პასუხი — მარტივია: ეს არის ჩიტი. იმიტომ, რომ პირველკლასელისთვის ყველა ეს ფრინველი ერთნაირია. მაგრამ გოგებაშვილს აქვს „ოფოფი“, რომელიც სხვაში არაფრით არ აერევა პატარას, რომელსაც ქვეშ იგივე სიტყვა აწერია და არა სხვა.

სხვა სახელმძღვანელოებში ტექსტები შეცვლილია. შემოდის ისეთი მასალა, რომელიც მაინცდამაინც ღირებულს არაფერს აძლევს ბავშვს, გოგებაშვილის წიგნში კი ზნეობრივ-მორალური ტექსტებია, რომელიც გაიმართა თანამედროვე ენის სტილით.

— თანამედროვე რეფორმა გულისხმობს ბავშვის უნარ-ჩვევის გამომუშავებას. ამას თუ ამართლებს გოგებაშვილის „დედაენა“?

— აკმაყოფილებს ყველა პრინციპს, რაც ბავშვისთვის აუცილებელია.

— მაგრამ ტექსტები არ უნდა გართულდეს? დღეს, როცა საკმაოდ რთულად აღსაქმელ მულტფილმებს კარგად იგებს ბავშვი, მას აინტერესებს კოსმოსი, კომპიუტერი... XIX საუკუნის და XXI საუკუნის ბავშვის ფსიქოლოგია ხომ სხვადასხვანაირია?

— ეს გულისხმობს „დედაენის“ გაუკეთესებას და არა გაუარესებას. მასში მთავარი და არსებითი არის საანბანე ნაწილი, ხოლო ტექსტები ეპოქისა და დროის შესაბამისად უნდა შეიცვალოს, ის თანამედროვეობას უნდა შეესაბამებოდეს. იაკობ გოგებაშვილი თვითონვე ამბობდა, როგორც კი „დედაენას“ გაუკეთესება მოაკლდება, მოკვდებაო. ეს არ ნიშნავს პრველივე გაკვეთილზე კოსმოსზე საუბარს. გოგებაშვილის პრინციპია მარტივიდან რთულისაკენ და არა პირიქით. როცა ასეთ პრინციპს არღვევ და მერე გოგებაშვილს უწევ კონკურენციას, ეს არის „სახსრის ტრფიალი და კუჭის პრინციპი“. სახელმძღვანელოს შედგენა მომგებიანია, რაც აბრძოლებს ვიდაც-ვიდაცებს გოგებაშვილის წინააღმდეგ.

ესაუბრა თეა შოსია

2009 წ.

ბანათლების სამინისტრომ ბოგებაშვილის „დედაენას“ ცხრა ლახვარი ჩასცა¹⁴

ახლახან განათლების სამინისტროში ჩატარდა კონკურსი პირველ-კლასელთა „დედაენის“ სახელმძღვანელოებზე. საკონკურსოდ წარმოდგენილი იყო ათი სახელმძღვანელო. კონკურსი უჩვეულო ფორმატივით წარიმართა, განათლების სამინისტრომ ათივე „დედაენას“ გრიფი მიანიჭა. მათ შორის იყო იაკობ გოგებაშვილის „დედაენაც“. ეროვნულ სკოლებში „დედაენის“ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით შექმნილ სიტუაციაზე გვესაუბრება ფილოლოგიის მეცნიერებათ დოქტორი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი.

— ბატონო გიორგი, რა კრიტერიუმით იხელმძღვანელოს სკოლამ „დედაენის“ სახელმძღვანელოს შერჩევისას და, საერთოდ, რამ გამოიწვია ასეთი ფართო არჩევანის შეთავაზება?

— ქართულ ენას ეროვნულ სკოლაში დღეს ისეთივე ბედი აქვს, როგორც მთელ საქართველოში. ამჯერად პირველ კლასში ათი ალტერნატიული სახელმძღვანელოა, რომელთა ავტორები არიან: 1. იაკობ გოგებაშვილი; 2. ნ. გორდელაძე, ნ. ჩხენკელი; 3. ბ. სულაკაური, მ. ბედოშვილი; 4. გ. რამიშვილი; 5. ნ. კუპრავა, დ. ნაზირიშვილი; 6. ნ. მალაქელიძე, ც. ყურაშვილი; 7. ვ. როდონია, ლ. ვაშაკიძე; 8. ე. სვანიძე, ლ. ბაკურაძე; 9. ზ. ვახანია; 10. ბ. სარია, ლ. ჩიტაიშვილი.

ახლა გეკითხებით, კონკურსი ჰქვია იმ შეჯიბრს, რომელშიც ყველა წარმოდგენილი სახელმძღვანელო იმარჯვებს? — ამან გამოიწვია ფართო არჩევანი. არ ვიცით, კომპეტენტურმა კომისიამ რომელი სახელმძღვანელო როგორ შეაფასა, რადგან პროგრამებისა და სახელმძღვანელოების ცენტრის ოქმები ყველასთვის ხელმისაწვდომი არაა. არავინ იცის, არჩევანის გაკეთებისას რით უნდა იხელმძღვანელოს სკოლამ. აქედან ნათელია, განათლების სამინისტრო თუ როგორი სირთულის წინაშე აყენებს პედაგოგებს. მათ წიგნებს არ აჩვენებენ, რესურს-ცენტრებში მხოლოდ ამ სახელმძღვანელოთა სიები დარიგდა. საქმე ის

გახლავთ, რომ ავტორები და გამომცემლები თვითონ ზრუნავენ თავიანთ სახელმძღვანელოთა დამკვიდრებისათვის; სახელმძღვანელოების გამსაღებლებს თანხის რაღაც ნაწილზე ურიგდებიან, რის შედეგადაც ეროვნულ სკოლებში მახინჯ სახელმძღვანელოებს ვიღებთ. ჩვენ უკვე ვიცნობთ ამგვარად „გამარჯვებულ“ სახელმძღვანელოთა უმეტესობას. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ზოგიერთი მათგანის სკოლაში შეტანა დანაშაულია! ასეთ სიტუაციაში ცუდ დღეშია იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“, რომელიც, რა თქმა უნდა, საუკეთესოა შეთავაზებულ სახელმძღვანელოთა შორის. რამდენადაც ვიცი, ყველაზე მალალი შეფასება კონკურსში ამ წიგნმა მიიღო.

— იქნებ, „დედაენა“, რომელზეც თაობები იზრდებოდნენ, დღევანდელი გადასახედიდან მოქველდა...

— ვერ დაგეთანხმებით, იგი აკმაყოფილებს სახელმწიფოს სტანდარტებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას — მას ახლავს მასწავლებლის წიგნიც და მოსწავლის რვეულიც. გამარჯვებულ „დედა ენათა“ უმეტესობა სწორედ იაკობის „დედა ენის“ მიხედვითაა შედგენილი.

გვქონდა შესაძლებლობა, თვალი მიგვედევნებინა, თუ როგორ ხდებდა სკოლებში სახელმძღვანელოთა არჩევა. პროტექციონიზმი და უსამართლობა ამაზე შორს ვერ წავა.

ასეთ სიტუაციაში ვექვობ, იაკობ გოგებაშვილი დანარჩენი ავტორების საქმის „ჩაწყობას“ გაუმკლავდეს! მთავარია, რა პოზიციას აირჩევენ სკოლების ხელმძღვანელები, დაწყებითი კლასების პედაგოგები, საკუთარი შვილების ბედით დაინტერესებული მშობლები. ბავშვს თუ პირველ ნაბიჯს სწორად ვერ გადავადგმევინებთ, ის სიარულს ვერ ისწავლის. მითუმეტეს დღეს დედაენას არნახულ კონკურენციას უცხო ენების მოქარბებული სწავლება უწევს. გოგებაშვილი ამბობდა: „ბავშვი თუ გენიოსად დაიბადა და ის არამშობლიურ ენაზე გავზარდეთ, მისგან ნიჭიერი კაცი გამოვა; ბავშვი თუ ღმერთმა ნიჭიერად გააჩინა და დაწყებითი განათლება არამშობლიურ ენაზე მივალდებინეთ, მისგან საშუალო ნიჭის კაცი დადგება; თუ საშუალო ნიჭის მქონე კაცად გააჩინა ადამიანი და არამშობლიურ ენაზე მივალდებინეთ განათლება, მტკნარ სიტუატუცეზე ჩამოხტებაო“. განათლების სამინისტრომ კი სტანდერტების გვერდით ჩაწერა შენიშვნა: მართალია, წესით, უცხო ენის სწავლება მასამე კლასიდანაა მიღებული, მაგრამ, თუ სურვილი ექნებათ, შე-

უძლიათ უცხო ენის სწავლება პირველი კლასიდან დაიწყონ. ასე რომ, სწავლება „თუ გინდაზეა“. ჩვენ კი ყოველივე ამას თვალს ვუხუჭავთ, როდესაც საგანმანათლებლო პოლიტიკა ბავშვის გონების საზიანოდაა მიმართული. ისევ გოგებაშვილს დავიმოწმებ: „განათლების ეროვნულ ეტლში ჯერ დედაენა უნდა შევაბათ და მერე მას მივუბათ კევრად უცხო ენანი“.

— ხშირად ისმის ჩივილი, რომ ეროვნულ საგამოცდო პროგრამებში ის საკითხები შედის, რომლებიც სკოლებში არ ისწავლება, ნუთუ ეს მართალია?

— აღნიშნული პრობლემა, სამწუხაროდ, არსებობს. ამას ქმნის პრინციპულად განსხვავებული ალტერნატიული სახელმძღვანელოები, ერთიანი სტანდარტებისა და ერთიანი პროგრამების უქონლობა. V და VIII კლასების ალტერნატიული სახელმძღვანელოები თემატიკითაც და მეთოდოლოგიითაც პრინციპულად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ერთ სკოლაში მოსწავლე ერთი სახელმძღვანელოთი სწავლობს, მეორეში — მეორით. IX-XI კლასებში ქართული ენის სახელმძღვანელოს ჰქვია „ქართული ენა და ლიტერატურა“, სადაც ენა როგორც სისტემა საერთოდ არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ გზადაგზა, ფრაგმენტულად, ლიტერატურული ნაწარმოების ქვემოთაა მიწერილი ენის საკითხები. X კლასის სახელმძღვანელოს „ქართული ლიტერატურა ჰქვია“, სადაც ენა საერთოდ არ ჩანს. XII კლასის სახელმძღვანელოს აწერია „ქართული“. რას ნიშნავს „ქართული?“ ეს ხომ რაღაცის მსაზღვრელია?... სინამდვილეში მასში 16 უცხოელი ავტორია შესული, მათ შორის: კაფკა, ჰესე, ჰემინგუეი, მორუა, ვიიონი და სხვა.

შეუსაბამობა განათლების ეროვნულ ცენტრსა და ეროვნული გამოცდების ცენტრს შორის მიუტყვებელ შეცდომებს წარმოშობს. საგამოცდო პროგრამებში ისეთი საკითხები შედის, რომლებიც ან რომელიმე ალტერნატიულ სახელმძღვანელოში არ არის, ან — არც ერთ მათგანში. ეს უბრალო დარღვევა არ არის, ეს დანაშაულია, რაც სერიოზული განსჯის საგნად უნდა იქცეს.

— ყველაფერი ეს განათლების მესვეურთა არაკომპეტენტურობის ბრალია?

— განათლების სამინისტროს თუ იმ კონტექსტში მოვიხარებთ, რაც ქართული ენის წინააღმდეგ ხდება, აღმოჩნდება, რომ ეს ყველაფე-

რი მიზანმიმართულია. მირჩევნია, ვიფიქრო, რომ რალაც არ იციან და ეშლებათ.

აღდგენილ „ივერიის“ შენობას ყველა მხრიდან ამშვენებს წარწერა Redisson, ეროვნული შინაარსის ქართული წარწერა კი გაქრა. ბარნოვის ქუჩაზე ჩინეთის საელჩოს ფირნიშზე მხოლოდ ინგლისური და ჩინური წარწერაა. ასეთ მაგალითებს ვერ დავთვლი...

არის შემთხვევები, როდესაც სამსახურის დაწყების მსურველებს უცხო ენის ცოდნას სთხოვენ იმ შემთხვევაშიც, როცა ამის აუცილებლობა არაა, მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქეს კონსტიტუციური უფლება აქვს, თავის სამშობლოში მშობლიური ენის ცოდნით იცხოვროს და იარსებოს. სხვანაირად ეს მისი უფლებებისა და ეროვნული ინტერესების შელახვაა.

სახელმწიფომ იმაზეც უნდა იზრუნოს, კომპიუტერთან რომ მივიდეთ ან მობილურით ვისარგებლო, არ უნდა მჭირდებოდეს ინგლისური ან რუსული ენის ცოდნა, მას ქართული მენიუც უნდა ჰქონდეს. ამ თვალსაზრისით, ბოლშევიკები უფრო ყურადღებიანი იყვნენ თავის დროზე. აუცილებლად უნდა დავსვათ საკითხი, მოგვეცეს ჩვენს ქვეყანაში ქართულად ცხოვრების უფლება. ეროვნულ სკოლებში აღდგეს ეროვნული სასწავლო პროცესი და განათლების საკითხს სერიოზულობა დაუბრუნდეს. ჩვენი პოლიტიკა უვილებს განათლების მისაღებად უცხოეთში აგზავნის. ეს ის „ბეწვის ხილია“, რომელზეც დიდი ილია ჭერ კიდევ 1861 წელს წერდა. უცხოეთს განათლების მისაღებად წასული ჩვენი შვილების ფეხქვეშ შეიძლება ის „ბეწვის ხილი“ ჩაწყდეს და მათ სამშობლოსთან კავშირი დაკარგონ.

ფრთხილად, ქართველებო! ენათა აღრევამ თვით ბაბილონის გოდოლი დაანგრია.

მიმართვა

საპარტიველოს ბანათლების მინისტრს, ბ-ნ ლ. შაშკინს¹⁵

ბატონო დიმიტრი, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ საგანმანათლებლო რეფორმის მიმდინარე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პირველი კლასის საანბანე სახელმძღვანელოზე. ეს თავისთავად დადებითი მოვლენაა, მაგრამ, სამწუხაროდ, არის საკითხები, რომელთაც ყურადღება ან არ ექცევა, ანდა ჯეროვნად არ ხდება ვითარების შეფასება. იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება დიდი ხანია ამ საკითხებზე ფიქრობს; აქვს თავისი დაკვირვებები, შენიშვნები და წინადადებები. ვფიქრობთ, მათი გათვალისწინება საქმეს სასიკეთოდ წაადგება.

უპირველესად ვთვლით, რომ ყოვლად გაუმართლებელია პირველ კლასში ათამდე ალტერნატიული საანბანე სახელმძღვანელო. კონკურსი, რომელიც განათლების სამინისტრომ 2009 წელს ჩაატარა, არ შეიძლება ჩაითვალოს კონკურსად: ყველა საკონკურსო სახელმძღვანელოს (98 ქულის მქონესაც და 8 ქულის მქონესაც!) ეძლევა უფლება სკოლაში გამოყენებისა... ფაქტობრივ, მოხდა რეგისტრაცია საკონკურსო წიგნებისა და არა შერჩევა! მიგვაჩნია, დანაშაულია ზოგი წიგნის სკოლაში დაშვება... ეს სერიოზული პრობლემაა...

ამ დღეებში არაერთხელ აღინიშნა, რომ პირველი კლასის ყველა სახელმძღვანელო ი. გოგებაშვილის „დედაენას“ ემყარებაო. ეს პრინციპული შეცდომაა. დღეს მოქმედი სახელმძღვანელოები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: „აი ია“-ს პრინციპზე (ი. გოგებაშვილის პრინციპზე) აგებული და „აი ია“-ს პრინციპის უარყოფელი. მეორე ჯგუფის სახელმძღვანელოები ევროპული ენების საანბანე სახელმძღვანელოთა მიზმივით არის შედგენილი; ამ დროს არ არის გათვალისწინებული ის უპირატესობა, რაც აქვს ქართულ ენას ევროპულ ენებთან შედარებით: ქართულში თითოეულ ბგერას თითო ასო შეესაბამება! ევროპულ ენებში — ორი, სამი და ზოგჯერ ოთხი ასოც კი. „ია“ პირველ გაკვეთი-

ლად იყო უდიდესი აღმოჩენა და მისი უგულვებელყოფა ძალიან გაურთულებს მოზარდს წიგნიერების სამყაროში შესვლას...

ი.გოგებაშვილის მიხედვით შედგენილ სახელმძღვანელოებში ძალიან ხშირად ირღვევა გოგებაშვილის პრინციპი: საანბანე სიტყვის შერჩევაში, საანბანე თუ საკითხავი ტექსტის შერჩევაში, სიტყვათა დალაგებაში... ეს კი ართულებს ანბანის სწავლებას... მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ი. გოგებაშვილის გამოცდილება და ცვლილება შევიდეს მხოლოდ მაშინ, თუ ეს ხელს შეუწყობს „დედაენის“ გაუკეთესებას. დღეს ხშირ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ცვლილებები შეაქვთ ი. გოგებაშვილის „დედაენაში“ ცვლილებისათვის — რომ გაამართლონ ავტორობა. ეს არ არის ზეპირი განცხადება; ი. გოგებაშვილის საზოგადოებამ ამ თემაზე 2008 წელს ჩაატარა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია (მასალებს გაახლებთ).

ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ განათლების სამინისტროში ამ თემაზე იმსჯელა კომპეტენტურმა კომისიამ. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება პროფესორების — მზექალა შანიძის, გუჩა კვარაცხელას, ვახტანგ იმნაიშვილის და სხვათა — პროფესიონალიზმში, მაგრამ დაწყებითი განათლება არ არის მათი კომპეტენციის სფერო; მათ არ შეუძლიათ, არ შეუძლებიათ ალტერნატიული სახელმძღვანელოები; ამიტომ ასეთი დასკვნები და გადაწყვეტილებები ფორმალურ ხასიათს ატარებს...

ვფიქრობთ, დროა, ამ საკითხს მეტი ყურადღება მიექცეს და პროფესიონალურ დონეზე იქნეს განხილული; ასევე, შესწავლილი იქნეს, როგორ ხდება სკოლებში არჩევანის გაკეთება (ნაცნობობა-პროტექციონალიზმს აქვს ფართო გასაქანი...); როცა იაკობ გოგებაშვილის კონკურენციაზე არის საუბარი, მეტი სიფაქიზე და პროფესიონალიზმია საჭირო. პირველკლასელი ბავშვი არ არის საექსპერიმენტო მასალა; არაერთი ამგვარი ექსპერიმენტი ჩაიშალა; დაზარალდნენ მოზარდები... რომელიმე ამბიციური ავტორის მერკანტილურ ინტერესებს სიმართლე არ უნდა შეეწიროთ.

იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობა განათლების სამინისტრომ უნდა დაიცვას და უპატრონოს! წელს იაკობის საიუბილეო წელია და ესეც უნდა გავითვალისწინოთ.

„აი ია“ ზეუცვლელია⁴⁶
 (მწარედ ცდება, ვინც ბოზებაზვილის
 „დედაენას“ უარყოფს“)

„მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა, ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მეხსიერებისა“, — ამბობდა იაკობ გოგებაშვილი...

მშობლიური ენის გოგებაშვილისეული „დედაენით“ სწავლების საკითხზე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი გოგოლაშვილი** გვესაუბრება

— იაკობ გოგებაშვილის „დედაენაზე“ ბევრი ითქვა და ბევრი ითქმება, ბოლოხანს ვითარება იმანაც გაართულა, რომ 2009 წელს გრიფირებული იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ 2011 წლიდან რეკომენდებულ სახელმძღვანელოთა სიიდან ამოვარდა. არადა, გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით შედგენილი სახელმძღვანელოები სკოლებში ისწავლება... აქ ჩნდება პრობლემა, — რას ნიშნავს „მიხედვით“? ამ საანბანე სახელმძღვანელოებს სხვა ავტორები ჰყავთ, თუმცა, ფაქტობრივად, სიტყვასიტყვით მისდევენ გოგებაშვილს, მხოლოდ სტილისტურ-ორთოგრაფიული შესწორებებია ენის თანამედროვე ნორმებით გათვალისწინებული; ამასთან, „ავტორები“ ი. გოგებაშვილის ტექსტიდან გამომდინარე, კითხვებს სვამენ და სავარჯიშოებს ადგენენ.. ამას პლაგიატი ჰქვია... მეორენი კი პირიქით ამბობენ, რაღა დროს გოგებაშვილის „დედაენით“ სწავლებაა, გოგებაშვილი 100 წლის წინ გარდაიცვალა, თანამედროვე ბავშვი სხვა სამყაროში ცხოვრობსო, რაც, ძალზე რბილად რომ ვთქვათ, საკითხის უცოდინრობით მოსდით.. თვითონ იაკობ გოგებაშვილის აზრით, სახელმძღვანელო აუცილებლად უნდა მიჰყვებოდეს, ფეხს უწყობდეს დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მოკვდება; რითაც გვითხრა, რომ ამ სახელმძღვანელოს განახლება უნდა ხდებო-

დეს დროისა და ვითარების შესაბამისად; გოგებაშვილის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და ეს ახალმა სახელმძღვანელომ უნდა ასახოს, მაგრამ მთავარია, გოგებაშვილისეული პრინციპები არ დაირღვეს.. „დედაენას“ — ანბანის სწავლების გოგებაშვილისეულ მეთოდს — ამ წლის დასაწყისში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, ახლა კი იუნესკოს მივმართავთ, რომ მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეიტანოს. „დედაენით“ სწავლების მეთოდი უნიკალურია, ივულისხმება პირველივე გაკვეთილზე შემოტანილი „აი ია“ და შემდეგ, მარტივიდან რთულისკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ სვლა. „აი ია“-ს ჩანაცვლება შეუძლებელია. გოგებაშვილმა დედაენის შედგენისას ყველა ნიუანსი გაითვალისწინა — რამდენჯერ უნდა განმეორდეს ტექსტში ახალი ასო-ბგერა, რა რიგითობით ისწავლებოდეს ანბანი და ა.შ, ანგარიშს უწყევდა ასო-ბგერის ფონეტიკურ ბუნებას, გრაფიკას, რამდენად არის ახლოს ადრე შესწავლილ ასო-ბგერებთან და ა. შ...

„დედაენის“ ერთ-ერთ ახლანდელ სახელმძღვანელოში ასოები განსაზღვრული რიგითობით ისწავლება ა და ი, შემდეგ-დ და ე, მ და ს და ა.შ...

პირველი კლასის ამ სახელმძღვანელოს საავტორო ჯგუფის ხელმძღვანელი აწ გარდაცვლილი ბატონი ვახტანგ როდონაიაა, ამ მეთოდის ავტორი — მარიამ მირიანაშვილი. ეს არის უცნაური სახელმძღვანელო, ასო-ბგერა ა-ს შესასწავლად შემოაქვთ ისეთი სიტყვები, როგორიც არის აკვარიუმი, აქლემი და არწივი. გოგებაშვილი ამბობს, რომ წერა-კითხვის სწავლებისას ბავშვი ნაცნობ სამყაროში უნდა შევიყვანოთ; არის კი ყველა ქართველი ბავშვისთვის ნაცნობი ისეთი ცხოველი, როგორიც არის აქლემი ან განა ყველა რ წლის ბავშვმა იცის, რა არის აკვარიუმი? მეორე მხარეა, თვითონ ამ სიტყვების შედგენილობა, 9 ასოიანი აკვარიუმიდან ერთ ასოს ვასწავლით, რაც ბავშვისთვის რთულია.. ამ მეთოდზე საუბრისას აცხადებენ, რომ ასე ასწავლიან ევროპაში ჯერ კითხვას და მერე წერას, რომ ბავშვმა სიტყვა ისე უნდა დაიმახსოვროს, როგორც ნახატი, მაგრამ არ ითვალისწინებენ იმას, რაც ჯერ კიდევ იაკობ გოგებაშვილმა თქვა, ჩვენი ენა უნიკალურია და ევროპული ენებისგან განსხვავებით, ერთ ბგერას მხოლოდ ერთი ასო შე-

ესაბამება, ევროპულ ენებში კი ერთი ბგერა შესაძლოა, 3-4 ასოთიც გადმოიციეს; ერთი ასო სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს წაკითხული სხვადასხვა შემთხვევაში... რატომ ვართულებთ საქმეს, აქ მიმბაძველობა გაუმართლებელია. რაც შეეხება ასოების თანმიმდევრობას, გოგებაშვილი ა-ს და ი-ს შემდეგ ასო-ბგერა თ-ს ასწავლის, რომელიც გრაფიკული თვალსაზრისით ყველაზე ახლოს არის ა და ი-სთან. ამ წიგნში ერთ გაკვეთილზე ბავშვმა ასოც უნდა ისწავლოს, სიტყვაც და მისი შესატყვისი ცნებაც უნდა აღიქვას, ანუ როგორც იაკობი ამბობს, სამი სიძნელე ზედება, თუმცა, უმჯობესია 1 გაკვეთილზე ერთი სიძნელე შეზედეს. ან ნაცნობია კი 6 წლის ბავშვისთვის ისეთი სიტყვები, როგორიცაა პონი, დასი, მოლარე, ჰაერობურთი, რომელიც ამ სახელმძღვანელოში გვხვდება? განა სხვა, უფრო ნაცნობი სიტყვების მოძებნა არ შეიძლება ამა თუ იმ ასობგერის შესასწავლად?

ბევრმა არ იცის, რომ ჯერ კიდევ 1960 წელს ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში ჩატარებულ მსოფლიო ენების საანბანე სახელმძღვანელოების გამოფენა-კონკურსზე, რომელზეც ყველა ქვეყნის სახელმძღვანელო იყო წარმოდგენილი, „დედაენა“ — გოგებაშვილისეული წერა-კითხვის სწავლების მეთოდი — საუკეთესოდ მიიჩნიეს და პირველი ადგილი მიანიჭეს. ეს მსოფლიო აღიარებაა და მეტი პატივი უნდა ვცეთ ი. გოგებაშვილსა და მის „დედაენას“... თურაშაულის იმ პატრონს ვემსგავსებით, ტყეში პანტას რომ ეძებს!..

ესაუბრა ნინო კვიციანი

2012

მეფის რუსეთში უფრო აღვილად დაიცავდი ქართულ ენას, ვიდრე დღეს დაიცავი!

14 ივნისს იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებიდან 100 წელი გავიდა. ხელისუფლებას ამ დღეს იაკობ გოგებაშვილი არ გახსენებია. დღეს ჩვენს ქვეყანაში მართლაც არის „უმეცრების ფართიფურთი“ სწორედ იმიტომ, რომ ხელისუფლება იაკობ გოგებაშვილის სახელით იაკობის იდეებს ებრძვის. დიდი ქართველი მამულიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაზე, რომელიც მისი გარდაცვალებიდან 100 წლის შემდეგაც გრძელდება, პროფესორი **გოგი გოგოლაშვილი** გვესაუბრება:

1912 წლის 1 ივნისს, ახალი სტილით 14 ივნისს, გარდაიცვალა იაკობ გოგებაშვილი. საქართველოში მაშინ გლოვა გამოცხადდა. პრესაში იწერებოდა, დაობლდა ქართული ენა, ჩვენს ახალგაზრდობას ყავარჯენი გამოეცალა და ერს — წინამძღვარიო. მართლაც ასე იყო. ერთი საუკუნე გავიდა მას შემდეგ და დღეს ისევ ობლად არის ქართული ენა, დღეს უფრო მეტ განსაცდელშია, ვიდრე ერთი საუკუნის წინ იყო. თავისთავად ცხადია, იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების 100 წელი საზეიმო თარიღი არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანი თარიღია იმ თვალსაზრისით, რომ იაკობ გოგებაშვილის იდეებმა გაუძლო საუკუნეს და ამ იდეებს დღესაც ისევე ებრძვიან, როგორც მაშინ ებრძოდნენ. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ 100 წელი შესრულდა იაკობის გარდაცვალებიდან და ის არავის გახსენებია, გარდა იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებისა. ჩვენ ჩავატარეთ საინტერესო საღამო, ავედით მთაწმინდაზე, დიდ ქართველ მამულიშვილს პანაშვიდი გადავუხადეთ, ჩავედით მის მშობლიურ სოფელ ვარიანში, შევხვდით მოსახლეობას და ეკლესიაში პარაკლისი გადავიხადეთ. ამ ღონისძიების შესახებ ინფორმირებული იყო ყველა ქართული ცენტრალური ტელეარხი, რომელთაც ბოდიშის მოხდით გვითხრეს, რომ დრო ვერ გამონახეს დიდი მამულიშვილისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გასაშუქებლად. მოგეხსენებათ,

ეს ტელეარხები ასრულებენ სახელისუფლებო დაკვეთას, იაკობის სახელი კი ასოცირდება ქართულ ენასთან. როგორც ჩანს, სახელისუფლებო დაკვეთაა, რომ არ წარმოჩინდეს იაკობ გოგებაშვილის სახელი, რათა არ გაცოცხლდეს ქართული ენისადმი მამულიშვილური დამოკიდებულება და არ აინთოს ის ნაპერწკალი, რომელიც — ღვთის მადლით, ისევ არის შემორჩენილი.

— ამბობთ, რომ დღეს ქართული ენა უფრო მეტ განსაცდელშია...

— დიახ, ასეა. როცა ილია ჭავჭავაძემ თქვა, სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან — მამული, ენა, სარწმუნოებაო, იაკობ გოგებაშვილმა, შემდეგ თავის მოღვაწეობაში, ეს სამება ოთხეულად აქცია და ეროვნული სკოლა დაამატა. მას ეროვნების ბურჯი უწოდა და თქვა, ჩვენს ეროვნებას, ჩვენს ქართველობას ოთხი ბურჯი აქვს — მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოება, თუ ერთი ბურჯი მაინც გამოეცალა ამას, ჩვენი ქართველობა დაირღვევა, საფუძველი გამოეცლებოა.

იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ“ 1960 წელს ვენესუელაში ჩატარებულ მსოფლიო საანბანე წიგნების გამოფენაზე გაიმარჯვა, როგორც წერა-კითხვის შესწავლის საუკეთესო მეთოდმა. „აი ია“-ს მიგნება ქართულ სინამდვილეში ყველა დროის ყველაზე დიდი აღმოჩენა გახლავთ. სამწუხაროდ, დღეს ქართულ სკოლაში არის სახელმძღვანელო, რომელმაც უარყო „აი ია“ და ქართველ ბავშვებს ანბანის სწავლას „აკვარიუმით“ აწყებინებს. რატომ? — რომ ვიკითხეთ, გვიპასუხეს, ევროპაში ასეაო. იაკობ გოგებაშვილი თავის დროზე წერდა, რომ „ევროპული ენების მაგალითი ჩვენ არ გამოგვადგება, ჩვენ უფრო უკეთესი, უნიკალური ენა გვაქვს, ევროპულ ენებში ერთი ბგერა რამდენიმე ასოთი იწერება და ერთი ასო სხვადასხვა შემთხვევაში, შეიძლება სხვადასხვაგვარად წაიკითხონ, ჩვენთან ყოველ ბგერას თავისი ასო შეესაბამება, ეს ჩვენი ენის სიკეთეა, ამიტომ „აი ია“-ს მეთოდი არის ზედგამოჭრილი და უნიკალური ჩვენთვის“.

განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული ბოლო კონკურსის შედეგად, ქართულ სკოლებში სამი საანბანე სახელმძღვანელო მოქმედებს. ერთი, როგორც გითხარით, საერთოდ უარყოფს „აი ია“-ს. ორ სახელმძღვანელოს კი აწერია, რომ გოგებაშვილის მიხედვით არის შე-

დგენილი. რას ნიშნავს „მიხედვით“? კაციშვილი ვერ გაარკვევს, რა არის გოგებაშვილისა და რა — არა. მთელი საანბანე ნაწილი გოგებაშვილია, თუმცა, წიგნების ავტორთა ჩამონათვალში ვერსად ნახავთ იაკობ გოგებაშვილს. ეს არის ჩვენი ერის უბედურება. ეს არის ძარცვა, რომელსაც საუკუნის შემდეგ ვუბედავთ იაკობ გოგებაშვილს!!!

2009 წელს ჩატარდა საანბანე წიგნების კონკურსი და იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“-ს, რომელიც იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებამ მოამზადა, გრიფი მიენიჭა. 2010 წელს ხელახლა ჩატარეს კონკურსი და ეს წიგნი ჩააგდეს. როგორც იაკობი ამბობდა, „კუჭის პრინციპმა და სახსრის ტრფილმა“ ახლაც იმძლავრა. როცა ჩვენ ავტეხეთ ერთი ამბავი, გვითხრეს, ბაკურ სულაკაურის „დედა ენამ“ აჯობა იაკობ გოგებაშვილისას, იქ მოძველებული სიტყვებიაო და, იცით რა სიტყვები დაგვისახელეს? — **თონი, ნამგალი, გუთანო**. თურმე, ეს სიტყვები არ სჭირდება ქართულ ენას. ამის შემდეგ, როცა ისევ ავტეხეთ ხმაური, გამოვიდა განათლების მინისტრის მოადგილე **კოკა სეფერთელაძე** და ურცხვად მოიტყუა, ჩვენ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ დავაბრუნეთ სკოლებშიო. აი, ნათელი მაგალითი იმისა, რომ იაკობის სახელით ებრძვიან იაკობ გოგებაშვილს.

ბატონმა სააკაშვილმა, რომელიც „ასავალ-დასავალს“ ეროვნული პოზიციების პრინციპულად დაცვის გამო, ფაშისტურ გაზეთად აცხადებს, იცის, რა დაგვიბარა იაკობმა სიკვდილის წინ? იცის სააკაშვილმა, რა როლს ასრულებს ენა ერის განვითარებაში? სმენია რამე იაკობის ეროვნული მოღვაწეობის შესახებ? როცა იაკობი კვდებოდა, ერთი სახთოვარი ჰქონდა, „დედაენას“ უპატრონეთო. აი, ასე ვასრულებთ მის თხოვნას.

ლიტერატურის უგულუბელყოფა დამლუპველია ერისთვის. უწიგნურ თაობებს გავზრდით! ნახეთ, რა ხდება? ეროვნული გამოცდების ტესტებიდან ქართული ლიტერატურის საკითხები ამოიღეს, სკოლაში კი ქართული ენის გაკვეთილი ცალკე საგნად აღარ არის ცხრილში, ქართული ენის ცალკე სახელმძღვანელოც კი აღარ არსებობს, ანუ აღარც ქართულ ენას ასწავლიან სათანადოდ და აღარც ლიტერატურის ცოდნას ავალდებულებენ. ამის გამკეთებლები გვესაუბრებიან იაკობის იდეებზე? ესენი გვასწავლიან იაკობის სიყვარულს?

— **სამაგიეროდ, სკოლებში პირველი კლასიდან ისწავლება ინგლისური ენა და მისაღებ გამოცდებზე ის აუცილებელ საგნად ითვლება...**

— ბრიტანეთში სენატმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ნაცვლად 8 წლისა, უცხო ენის შესწავლა დაიწყონ 9 წლის ასაკში. ასეა მთელს ევროპაში. საერთაშორისო სტანდარტია, რომ სწავლების მესამე წელს დაიწყოს უცხო ენის შესწავლა. ჩვენ ვიწყებთ პირველი კლასიდან. ინგლისურის წიგნი გადმოვაქართულეთ და ამით ვასწავლით. იაკობმა რუსულის შესასწავლად „რუსკოე სლოვო“ შეადგინა, რომელიც „დედაენას“ დაეთუძნა და უნიკალური იყო იმით, რომ ითვალისწინებდა იმ გარემოს, რა გარემოშიც ბავშვს მოუწევდა უცხო ენის შესწავლა.

— **ბატონო გოგი, მკითხველისთვის, ალბათ, ისიც ნაკლებად ცნობილია, რომ იაკობ გოგებაშვილმა თავად დაწვა სახელმწიფო სამსახურში მუშაობის დასაწყებად საჭირო საბუთები. როგორ და რატომ მოხდა ეს?**

— საავადმყოფოდან გამოსული იაკობ გოგებაშვილი სოფელში წაიყვანა ნიკო ცხვედაძემ. ერთ საღამოს ნიკო ზედავს, იაკობი რალაც ქალაქებს ალაგებს და ბუხარში შეუკეთებს. რას აკეთებ, იაკობო, ჰკითხა. დავწვი ჩემი გეგმები, რომ არ დამაბრუნოს უკანო, — უპასუხა. ეს ის პერიოდია, როცა „ბუნების კარი“ უკვე გამოცემული აქვს და მუშაობს „დედაენაზე“, უნდა, რომ მთელი ცხოვრება მიუძღვნას სახელმძღვანელოებს, მაგრამ ფიქრობს, ვაითუ, ზვალ ძალიან გამიჭირდეს და სახელმწიფო სამსახურში მივბრუნდეო. ამიტომ მოიშორა ის საბუთები, რომელიც სახელმწიფო სამსახურში შესვლისთვის იყო საჭირო.

იაკობმა 25 წლის ასაკში შექმნა პირველი სახელმძღვანელო, 28 წლისამ დაწერა „ბუნების კარი“. 36 წლისა „დედა ენას“ გამოსცემს და ამის მერე სულ უწევს მის დასაცავად ბრძოლა. მაშინ 10 საანბანე წიგნი იყო, „დედაენას“ ებრძოდა ყველა. ათას ცილს სწამებდნენ. **გოგებაშვილის** მაგივრად, **მოგებაშვილს** ეძახდნენ. ამბობდა კიდევ, ათჯერ მეტი დრო და ენერჯია დამჭირდა „დედაენის“ დასაცავად, ვიდრე მის შესაქმნელადო. მიაღწიეს იმას, რომ „ბუნების კარი“ ორჯერ ააკრძალინეს სასწავლებელში, მაგრამ, ღვთის მადლით, „დედაენას“ ვერა-

ფერი დააკლეს. იაკობს გვერდით ედგა ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

კავკასიაში განათლების საკითხებს კურირებდა იანოვსკი, რომელმაც იაკობს პირდაპირ მოსთხოვა, „დედაენა“ სანახევროდ გადაარუსულე, თორემ საერთოდ ამოვიღებთ სასწავლო პროგრამიდანო. ეს ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. კეთილისმყოფელები გოგებაშვილს ურჩევდნენ, იანოვსკი უბოროტესი კაცია, საერთოდ დალუპავს ქართულ სკოლას და ჯობს დაუჭერო, „დედაენა“ ნახევრად გაარუსულოო. იაკობმა ბოლომდე იბრძოლა და იანოვსკის ბრძოლა მოუგო. ეს იყო საოცარი რამ. როცა იანოვსკი დაემუქრა, „დედაენას“ საერთოდ ამოვიღებო, მან უპასუხა, — ჯობს „დედაენა“ ამ სახით მოკვდეს, რაც სახითაც ახლა არის, ვიდრე ისე წახდეს, როგორც შენ გინდა. ამ სახით მკვდარი უფრო იოლად აღდგება მკვდრეთით, ვიდრე ისე წამხდარი გამოსწორდებაო. **რით განსწავდებიან იანოვსკისგან დღევანდელი განათლების მესვეურები, რომელთაც „დედაენა“ „გააევროპულეს“ და „აი ია“-ს ნაცვლად, „აკვარიუმით“ იწყებენ, რომელთაც „თოხი“ და „გუთანი“ მოძველებულ სიტყვებად მიაჩნიათ, რომელთაც ქართული ენა სასწავლო პროგრამიდან და ქართული ლიტერატურა ეროვნული გამოცდების ტესტებიდან ამოიღეს? იანოვსკიმაც გამოსცა სასწავლო გეგმა, სადაც ქართული ენა საერთოდ აღარ იყო.**

ბოლოს იაკობი იქითაც კი დაემუქრა იანოვსკის — გიჩვილებო! ვისთან მიჩვილებო? — გაეცინა მას. მეფესთანო! — სად გყავთ მეფეო, — გაოცდა იანოვსკი. იაკობმა მიუგო: აბა, ნახე, რა წერია რუსეთის მეფის ტიტულში, ის ჩემი მეფეც არისო! იანოვსკი შეცბა — კი, მაგრამ როგორ მიაღწევ იქამდეო? — იაკობს ამაზეც ნაფიქრი ჰქონდა და როცა მან აღწერა, როგორც აპირებდა რუსეთის მეფესთან ჩასვლას, იანოვსკი მიხვდა, რომ ის მართლაც იყო ამის გამკეთებელი, ამიტომ იძულებული გახდა, უკნა დაეხია. მეფის რუსეთში უფრო ადვილად დაიცავდი ქართულ ენას, ვიდრე დღეს დაიცავ!

კიდევ ერთ რამეს მინდა მიაქციოთ ყურადღება. იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებით მე-4 კლასამდე ასწავლიდნენ. ის თავის სახელმძღვანელოებით ასწავლიდა **ქართულ ენას, ლიტერატურას, ისტორიას, საქართველოს ეთნოგრაფიას, გეოგრაფიას. მაშინდელ 4-კლასდამთავრებულს ამ საგნებში ბევრად უფრო მეტი ცოდა ჰქონდა, ვიდრე დღევანდელი 12-წლიანი საჯარო სკოლის დამამთავრებე-**

ლი კლასის მოსწავლეს აქვს. რა იყო ამის მიზეზი? — ჩემი ქართული გული და ქართული გონება ერთნაირად მუშაობს, მოქმედებს, როცა მე ამ სახელმძღვანელოებს ვქმნიო, — ამბობდა იაკობი. აი, ეს უნდა ვისწავლოთ იაკობისგან. ჩვენ კი რას ვაკეთებთ?

— **ბატონო გოგი, თუ ასე გაგრძელდა, სანამდე მივალთ?**

— უნდა შევაჩეროთ ეს სვლა, თორემ დავიღუპებით! ქართული ენა დაიღუპება!

იაკობმა და იაკობის სახელმძღვანელოებმა შექმნეს ერთიანი სალიტერატურო ქართული ენა. ამიტომ ამბობდა აკაკი, ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობს მიუძღვის ქართული ენისა და ქართველი ერის წინაშეო. ჩვენ კი რას ვაკეთებთ? ჩვენ ხელმეორედ ვკლავთ იაკობს და ვკლავთ ქართულ ენას!

ესაუბრა **თეა ახათიანი**

2012 წ.

ბანმარტეზა ბანათლების სამინისტროს პასუხზე¹⁸

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს, ბატონ **ზაქარია ქუცნაშვილს**

ასლი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს, ბატონ **ალუდა გოგლიჩიძეს**

ბატონო ზაქარია,

საპარლამენტო ფრაქციამ „ქართული ოცნება“ მხარი დაუჭირა იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების მოთხოვნას, სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ დაბრუნების თაობაზე. განათლების სამინისტრომ უპასუხა ფრაქციის შუამდგომლობას. მინისტრის მოადგილის, ალუდა გოგლიჩიძის, პასუხი ემყარება „განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ქართული ენის საგნობრივი ექსპერტების მოსაზრებებს“. დანაებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს „ქართული ენის საგნობრივი ექსპერტები“ ავლენენ მიუტყეველ არაპროფესიონალიზმს, უცოდინარობასა და მიკერძოებულობას განსახილველი საკითხის მიმართ.

ეს ექსპერტები რომ პროფესიონალები არ არიან, აქედანაც ჩანს: ისინი წერენ — „აგლუტინაციური ენებისათვის, სადაც თითო ბგერას თითო ასო შეესაბამება (ქართული ამგვარი ენაა), მიზანშეწონილია ბგერით-ანალიზური და ბგერით-სინთეზური მეთოდით სწავლება“ (ხაზი აქაც და შემდგომაც ჩვენია). ბგერისა და ასოს ურთიერთმიმართებაში „აგლუტინაციურობა“ არაფერ შუაშია. აგლუტინაციური (და ფლექსიური) მორფოლოგიური ცნებებია. აგლუტინაციურია ენა, რომელშიც ერთ მორფემას ერთი მნიშვნელობა შეესაბამება; თუ ერთ მორფემას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, ენა ფლექსიურად იწოდება. ეს არის ანბანური ჭეშმარიტება ენათმეცნიერებაში... ამგვარი შესაბამისო-

ბა (ერთი ბგერა — ერთი ასო) შეიძლება იყოს აგლუტინაციურ ენაშიც და ფლექსიურშიც...

პრინციპულად მიუღებელია ექსპერტების მსჯელობა იმის თაობაზე, რომ „მსოფლიო პრაქტიკაში ინტენსიურად ინერგება მეთოდები, რომლებიც არ არის მჭიდროდ მიბმული რომელიმე კონკრეტული ენის სპეციფიკაზე“. აქსიომაა: ანბანის სწავლების დროს კონკრეტული ენის სპეციფიკა უნდა იყოს აუცილებლად გათვალისწინებული.

2. არაკომპეტენტურობის (საკითხის უცოდინარობის) მიუტევებელ მაგალითად მიგვაჩნია მსჯელობა: „დედაენის“ პირველი გამოცემისთვის მან (ე. ი. იაკობ გოგებაშვილმა) ანალიზური მეთოდი აირჩია; შემდგომ გამოცემებში შეცვალა ეს მეთოდი უფრო ეფექტური ანალიზურ-სინთეზური მეთოდით. 1912 წლის ბოლო გამოცემა სწორედ ამ მეთოდით იყო შექმნილი“.

ჯერ ერთი, „დედაენის“ პირველივე გამოცემა (1876 წ.) შედგენილი იყო ანალიზურ-სინთეზური მეთოდით. პირველივე გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა ავტორი: „ჩვენი ანბანი არის შედგენილი ანალიტიკურ-სინტეტიურ მეთოდზე“.

მეორე, სიცრუეა ისიც, რომ „შემდგომ გამოცემებში შეცვალა მეთოდი“. იაკობ გოგებაშვილმა თავის სიცოცხლეში 33 გამოცემა განახორციელა „დედაენისა“. ყველა გამოცემა ანალიზურ-სინთეზურ მეთოდზეა აგებული. მეთოდი უცვლელია; იცვლება, უფრო სწორად, იხვეწება, უმჯობესდება ასოთა თანამიმდევრობა, საანბანე სიტყვის შერჩევა, ზუსტდება ტექსტები და ა. შ.

ექსპერტებმა არ იციან ისიც, რომ ანალიზური მეთოდით იყო შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ 1865 წელს გამოცემული „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, რომლის რამდენიმე გამოცემა განახორციელა ავტორმა „დედაენის“ შექმნამდე... ამიტომაც სრული აბსურდია, როცა ექსპერტები წერენ: „დედაენის“ პირველი გამოცემა მან ანალიზურ მეთოდზე დაამყარა: ბავშვი მთლიან სიტყვას იმახსოვრებს ისე, რომ მისი ცალკეული ასოები არც იცის. როცა გარკვეული (საკმაო) რაოდენობის სიტყვებს დაიმახსოვრებს, მერე იწყებს მათ ანალიზს, ანუ მათ დაშლას ასოებად...“ ამისი დამწერი არ იცნობს იაკობის „დედაენას“ და, საუბედუროდ, წყვეტს მის ბედს! „ექსპერტებს“

ვაცნობებთ: „დედაენის“ პირველივე გამოცემის პირველივე გაკვეთილი არის „ია. აი ია“!

არადა „ექსპერტები“ ამ „სიბრძნით“ ხშირად გვმოძღვრებენ: ი. გოგებაშვილმა „დედაენაში“ მიზანს „მიღწეა ანალიზური მეთოდის ანალიზურ-სინთეზურით შეცვლით და, მართლაც მისი ყველაზე გავრცელებული გამოცემები, მათ შორის ბოლო გამოცემაც სწორედ ამ პრინციპს ეყრდნობა“... კომენტარი ზედმეტად გვეჩვენება...

„ქართული ენის საგნობრივ ექსპერტთა“ არაპროფესიონალიზმსა და არაკომპეტენტურობაზე იმიტომ ვამახვილებთ ასეთ ყურადღებას, რომ სწორედ ისინი წყვეტენ, რომელი წიგნით უნდა ისწავლონ ჩვენმა ბავშვებმა წერა-კითხვა! მეტიც, აქეთ გვანამუსებენ და მორალს გვიკითხავენ: „მიგვაჩნია, რომ ცოტათი უხერხულიც კი არის „დედაენის“ ერთ-ერთი ადაპტირებული ვარიანტის იაკობ გოგებაშვილის სახელთან გაიგივება, მითუმეტეს იმ ხარვეზებისა და გაუმართაობების ფონზე, რომლებიც ამ წიგნში გვხვდება“. აქ „ექსპერტები“ გულისხმობენ გამომცემლობა „დედაენის“ მიერ გრიფირების კონკურსში წარდგენილ სახელმძღვანელოს, რომელმაც გრიფი ვერ მიიღო!...

ცხადია, დეტალურ ანალიზს არ ვაპირებთ „იმ ხარვეზებსა და გაუმართაობის“ შესახებ, რომლებზეც „ექსპერტები“ საუბრობენ ი. გოგებაშვილის „დედაენის“ შესახებ. გავაკეთებთ მხოლოდ რამდენიმე კომენტარს იმ შენიშვნებზე, რის გამოც არ მიენიჭა გრიფი იაკობის „დედაენას“. ჩვენ თავის დროზე გამოვიტხოვეთ კონკურსის დოკუმენტაცია. ვისაუბრებთ იმ დოკუმენტაციის საფუძველზე.

ჯერ ერთი, სახელმძღვანელოები ფასდება ქულებით, მაგრამ დაბალი ქულების შემთხვევაში ძირითადად არ კეთდება კომენტარები, რატომ ფასდება ასე. მაგ., „შეფასების ფორმა № 3“ 100 გვერდზე მეტია, მხოლოდ ქულები და არცერთი კომენტარი, განმარტება, რატომ იწერება დაბალი ქულა (ფორმაში შესაბამისი გრაფები ცარიელია)...

სადაც არის კომენტარი, რბილად რომ ვთქვათ, უხერხული შენიშვნებია წარმოდგენილი. მაგალითად: სახელმძღვანელოში არის „უკლებლივ აგრარული საუკუნის იარაღები (თოხი, ნამგალი, სახნისი)“... „არ ჩანს თანამედროვე ინსტრუმენტები (ვიოლინო, საყვირი, არფა)“...

„სახელმძღვანელოში გამოყენებულია ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელთაც თანამედროვე სალიტერატურო ენა არ იყენებს (თავი ცუცუნებს, ბატი ბაჭბაჭებს)...“ „ლექსიკური ერთეულების უმრავლესობა ასაკისათვის შეუფერებელია; ხშირ შემთხვევაში გაუგებარიც (ნამგალი, სამელნე, მახათი)...“ „წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები თითქმის უცნობია თანამედროვე ბავშვისათვის (ცელი, ნამგალი, მახათი)“. ძნელია, ამგვარ კომენტარებს სერიოზული დავარქვათ, მაგრამ ეს არასერიოზული შენიშვნები წყვეტენ იაკობის „დედაენის“ ბედს უარყოფითად...

ჩვენი პრეტენზია რომ მართალია, კონკურსი რომ უსამართლოდ და კანონდარღვევით ჩატარდა, ისიც ადასტურებს, რომ სხვადასხვა ექსპერტების შეფასებები სრულად ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად: შეფასება ხდება 37 კომპონენტის მიხედვით. თითოეული კომპონენტი ფასდება 0-3 ქულით; ქულათა მაქსიმუმია 111 (ერთი ექსპერტის მიერ შეფასებული). ალბათობა იმისა, რომ ორი ექსპერტის შეფასება ყველა კომპონენტის შემთხვევაში ზუსტად დაემთხვეს ერთმანეთს, ნულის ტოლია. არადა ჩვენს შემთხვევაში გვაქვს ოთხი ექსპერტის დასკვნა, რომლებიც ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს 37-ვე კომპონენტში...

შეიძლებოდა უფრო დაწვრილებითი ანალიზიც იმ შენიშვნებისა, რის საფუძველზეც გზა გადაეღობა იაკობის „დედაენას“ არაკომპეტენტური, არაპროფესიონალური (და ზოგჯერ არაკეთილსინდისიერი) ექსპერტის „წყალობით“, მაგრამ ნიმუშისათვის ესეც კმარა...

ცალკე საუბრის თემაა, რას გაუხსნეს გზა ექსპერტებმა სკოლისაკენ. ჩვენ ამჯერად ერთ პრინციპულ ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას — სამივე გრიფირებული სახელმძღვანელოს შემთხვევაში ადგილი აქვს სხვადასხვა ფორმით ი. გოგებაშვილის ინტელექტუალური საკუთრების მითვისებას (პლაგიატს):

1. გრიფი მიენიჭა ვ. როდონიას ჭგუფის მიერ წარმოდგენილ სახელმძღვანელოს, რომელსაც ჰქვია „დედაენა“. ამ წიგნს იაკობის სახელმძღვანელოსთან საერთო არაფერი აქვს, გარდა სახელწოდებისა. არადა, წიგნი, რომელიც არ არის აგებული „აი ია“-ს პრინციპზე (პირველ გაკვეთილზე ა ისწავლება სიტყვებით „აქლემი“, „აქვარიუმი“, „არ-

წივი“...), არ შეიძლება იწოდებოდეს „დედაენად“. დედაენა არის საავტორო სახელწოდება წიგნისა (ამის თაობაზე ბევრი დაწერილა და „ექსპერტებმა“ ეს უნდა იცოდნენ). მისი გამოყენება სხვა ავტორთა მიერ ისევე არ შეიძლება, როგორც სათაურების — „ვეფხისტყაოსნისა“ თუ „კაცია-ადამიანის“...

ეს არის პლაგიატის შემთხვევა. ამის თაობაზე რამდენიმე წელია ვწერთ, მაგრამ სამინისტრო ყურად არ იღებს...

2. მეორე სახელმძღვანელოს შესახებ „ქართული ენის საგნობრივი ექსპერტები“ წერენ: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, „დედაენა“, ავტ.: ნ. გორდელაძე, გ. ჩხენკელი — მთლიანად ეყრდნობა იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ და თითქმის უცვლელადაა შენარჩუნებული მისი შინაარსობრივი ნაწილიც (ასოთა სწავლების თანამიმდევრობა, ტექსტები). გამოყენებულია იაკობ გოგებაშვილის ა) ანალიზურ-სინთეზური მეთოდი, ბ) ანბანის სწავლების კითხვა-წერის მეთოდი, გ) კითხვისა და წერის ერთდროული სწავლება (სინკრეტულობა), დ) ოთხხაზიან ბადეში წერა (ანუ ქართული ანბანის გრაფიკული თავისებურებების გათვალისწინება), ე) „საანალიზო“ სიტყვებისა და საკითხავი მასალის შერჩევის, დალაგების პრინციპები. კითხვის სწავლება იწყება „აი ია“-თი“... თუ ყველაფერი იაკობისაა, მაშინ „ავტორების“ (ნ. გორდელაძისა და გ. ჩხენკლის) რაღაა? თურმე ის, რომ „სახელმძღვანელო მოყვანილია შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, დამატებულია კითხვის, წერისა და ზეპირმეტყველების, ასევე სხვადასხვა საზოგადოებრივი უნარების განმავითარებელი სავარჯიშოები“...

ჩვენ ვფიქრობთ, ეს არის არა მხოლოდ პლაგიატის ზღვარგადასული შემთხვევა, ეს ცინიზმიცაა...

3. რა ვითარებაა მესამე სახელმძღვანელოში? სამინისტროს მიერ გრიფირებულ სახელმძღვანელოთა ნუსხაში ამ სახელმძღვანელოს ავტორებად მოიხსენებიან ნ. მალლაკელიძე, ე. მალლაკელიძე. „ქართული ენის საგნობრივი ექსპერტები“ წერენ: წიგნი შედგენილია ი. გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით; „გამოყენებულია იაკობ გოგებაშვილის ა) ანალიზურ-სინთეზური მეთოდი, ბ) ანბანის სწავლების კითხვა-წერის მე-

თოდი, გ) კითხვისა და წერის ერთდროული სწავლება (სინკრეტულობა), დ) ოთხხაზიან ბადეში წერა (ანუ ქართული ანბანის გრაფიკული თავისებურებების გათვალისწინება), ე) „საანალიზო“ სიტყვებისა და საკითხავი მასალის შერჩევის, დალაგების პრინციპები. კითხვის სწავლება იწყება „აი ია“-თი“... აქაც თუ ყველაფერი იაკობისაა, რაღაა „ავტორების“? თურმე აქაც „სახელმძღვანელო მოყვანილია შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, დამატებულია კითხვის, წერისა და ზეპირმეტყველების, ასევე სხვადასხვა სააზროვნო უნარების განმავითარებელი სავარჯიშოები“. ჩვენი დასკვნა აქაც იგივეა: ეს არის არა მხოლოდ პლაგიატის ზღვარგადასული შემთხვევა, ეს ცინიზმიცაა...

ამჯერად ჩვენ ყურადღებას არ ვამახვილებთ იმ ცვლილებებზე, რომლებიც „ავტორებმა“ შეიტანეს იაკობის „დედაენაში“; ფაქტია, განუკითხავად შეილახა იაკობის პრინციპები. საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია ამ თემაზეც დაწვრილებით ვისაუბროთ.

რაც ახლა ვთქვით, არაერთგზის გვითქვამს, დაგვიწერია. 2008 წელს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ჩაატარა ი. გოგებაშვილის საზოგადოებამ — „იაკობის „დედაენა“ და თანამედროვე ქართული სკოლა“. ამის თაობაზე სამინისტროც ინფორმირებული არის, ის „ავტორებიც“ და შესაბამისი გამომცემლობებიც... მაგრამ ვითარება არ იცვლება.

საბედნიეროდ, დღეს სხვა მდგომარეობაა: „დედაენას“ — საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს — მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ეს კი უნდა იყოს გარანტია იმისა, სახელმწიფომ (ამ შემთხვევაში სამინისტრომ) იზრუნოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვაზე და არავის მისცეს უფლება, ხელყონ იაკობ გოგებაშვილის ინტელექტუალური საკუთრება.

იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების გამგეობის სახელით...

დედაენა და უცხო ენანი¹⁹
(**აშრადღებას ვთხოვთ განათლების მინისტრს**
და არა მხოლოდ მას)

*„დაუდევნელები ვართ ქართველები და
კიდევაც ეს მოგვიღებს ბოლოს, თუ ჩვენ
საუბედუროდ არ გავსწორდებით როდის-
მე“...*

ილია ჭავჭავაძე

2010 წლიდან ქართულ სკოლაში პირველკლასელები მშობლიურ ენასთან ერთად იწყებენ ინგლისური ენის სწავლას. სამი თაობა ვაქციეთ ამ „ექსპერიმენტის“ მსხვერპლად; წელს მეოთხე თაობას ვწირავთ... სამი წელია ვსაუბრობთ ამის შესახებ... არანაირ კრიტიკას, რჩევას, არგუმენტირებულ მსჯელობას აზრი არა აქვს; თითქოს არ თქმულა, არც დაბეჭდილა... წინა ხელისუფლებაში კანცელარიის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა „გაგვაფრთხილა“, ამ შენობაში გაზეთებს არ კითხულობენო... ეს იმის თქმა იყო, რაც გინდათ წერეთო... იმ ხელისუფლებისათვის წაყრუება ყველაზე მომგებიანი პოზა იყო...

როდემდე გაგრძელდება ასე?

* * *

ორიოდე წლის წინათ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი თავის მშობლიურ სკოლას სტუმრობდა საირმის ქუჩაზე. შეხვედრას ამერიკიდან მოწვეული ინგლისური ენის პედაგოგიც ესწრებოდა. პირველკლასელებს ხვდებოდნენ. პრეზიდენტი მიუბრუნდა ამერიკელ პედაგოგს და ჰკითხა, ამერიკაში პირველკლასელებს თუ ასწავლიან კომპიუტერსა და უცხო ენასო. არაო, უპასუხა უცხოელმა პედაგოგმა. პირგაბადრული პრეზიდენტი ახლა ქართველებს მოუბრუნდა და ამაყად თქვა: აი, ხომ ხედავთ, ამ საქმეში ჩვენ ამერიკას გავუსწარიითო...

მოდით, კომპიუტერს თავი დავანებოთ ამჯერად და კითხვა ასე დავსვათ: **ხუთი წლის ბავშვს უცხო ენას რომ ვასწავლით პირველ კლასში, ამით მართლა გავუსწარით განათლებულ მსოფლიოს?**
ეს კითხვა არაა იოლი საპასუხო...

* * *

როგორც ვთქვით, პირველ კლასში ინგლისური ენა 2010-2011 სასწავლო წლიდან ისწავლება. განათლების სამინისტრომ რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება, რა კვლევები თუ მოსაზრებები დაედო მას საფუძვლად, რა კონსულტაციების შედეგი იყო ეს, არავინ იცის. ვიცით მხოლოდ ის, რომ ეს იყო ერთი კაცის — პირველი პირის — პირადი მოსაზრება... იმჟამინდელმა მინისტრმა, დ. შაშკინმა, სცადა ამ ინიციატივის გამართლება: საბჭოთა პერიოდში პირველი კლასიდან ისწავლებოდა რუსული ენა... აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა იმ მინისტრის არაპროფესიონალიზმი და დილეტანტობა იმ სფეროში, რასაც განათლება ჰქვია: საბჭოთა საქართველოში რუსული ენა პირველი კლასიდან რუსულ სკოლებში ისწავლებოდა, ქართულ სკოლებში რუსულ ენას მეორე კლასიდან ვიწყებდით... მაგრამ აქ ერთი ფაქტიც არის გასათვალისწინებელი: იმ პერიოდში მეორე კლასში რვა წლის ბავშვი სწავლობდა!.. ასე რომ, **რუსიც კი რუსეთის იმპერიაში თავის ენას (ჩვენთვის უცხო ენას) რვა წლის ბავშვებს მეორე კლასიდან გავწყებინებდა...** რუსმაც კი ვერ შეძლო, ვერ გაბედა თავის იმპერიაში უგულვებლყოფა იმისა, რომ პირველი კლასიდან არ შეიძლება მშობლიურ ენასთან ერთად უცხო ენის სწავლება... დღეს 5 წლის ბავშვს მშობლიურ ენასთან ერთად ვაწყებინებთ ინგლისურს...

* * *

რა ხდებოდა უახლოეს წარსულში, 2010 წლამდე ჩვენში?

ვარდების რევოლუციის შემდეგ ნაციონალურმა ხელისუფლებამ შეცვალა საგანმანათლებლო სტანდარტები; ახალი წესები 2006 წელს აამოქმედა. ამ სტანდარტების მიხედვით, მოსწავლეს სკოლაში ერთდროულად შეიძლება ესწავლა მხოლოდ ორი უცხო ენა; ნორმა ასეთი იყო: „პირველი უცხოური ენის სწავლას მოსწავლე იწყებს მე-3 კლასში, მეორისას კი — მე-7 კლასში. მეათე კლასიდან ნებადართუ-

ლია პირველი უცხო ენის სწავლისათვის თავის დანებება და მესამე უცხო ენის სწავლის დაწყება (მე-10—12 კლასებში). ეს არ გამოორცხავს იმას, რომ მესამე კლასამდე დაიწყო სკოლებმა უცხო ენის სწავლება, ან მეშვიდე კლასამდე ასწავლონ ორი უცხოური ენა. თუ სკოლა გადაწყვეტს, რომ მას აქვს ამის საშუალება და ზედავს ამ საგნების შეთავაზების მნიშვნელობას. თუმცა პირველ ორ კლასში უცხოური ენის სწავლება არ არის რეკომენდებული“. ეს არის სწორედ ევროპულ გამოცდილებაზე დაფუძნებული სტანდარტი, თუმცა „ქართული დაზუსტება“ აქაც გვაქვს: ხაზგასმული წინადადება ფაქტობრივ ეწინააღმდეგება ძირითადს და ჩანს, ისეთი კერძო სკოლების ქმედების „გასაპარავებლად“ ჩაიწერა, როგორც იყო იტალიური სკოლა, ეგზიუპერის სკოლა, დემირელის კოლეჯი და ა. შ. მაგრამ ძირითადად მაინც მისაღები სტანდარტი იყო: „პირველ ორ კლასში უცხოური ენის სწავლება არ არის რეკომენდებული“.

ეს სტანდარტები სწორედ ევროპულ გამოცდილებაზე არის დაფუძნებული. რამდენიმე წლის წინათ ინგლისის პარლამენტში აქტიურად განიხილებოდა საკითხი, ბავშვებს 8 წლის ნაცვლად 9 წლის ასაკიდან დაეწყო უცხო ენის შესწავლა. და საბოლოოდ საკითხი 9 წლის სასარგებლოდ გადაწყდა!.. თურმე ჰოლანდიაში უფრო რთული საგანმანათლებლო სისტემაა; 4 წლისანები სკოლაში შედიან, ორისამი წლის შემდეგ იწყებენ წერა-კითხვას; ხოლო უცხო ენის (ინგლისურის) შესწავლას 10 წლისანები იწყებენ; და, თქვენ წარმოიდგინეთ, ინგლისური ყველამ იცისო... ე. ი. ინგლისში 9 წლის ბავშვს აწყებინებენ უცხო ენას, ჰოლანდიაში — 10 წლისას... ყოველ შემთხვევაში მე ვერ მოვიძიე შემთხვევა, მშობლიურ ენასთან ერთად უცხო ენას რომ ასწავლიდეს ვინმე თავის პატარას პირველივე კლასში...

იქნებ, იმ „დიდი კაცის“ თქმისა არ იყოს, ვერ ხვდებიან უცხოეთში ამგვარი მეთოდის სიკეთეს და წინა ვართ მართლა?

სამწუხაროდ, არაა ასე. ეს თემა — როგორი უნდა იყოს მშობლიური და უცხოური ენების სწავლების ურთიერთმიმართების საკითხი, აქტიურად განიხილებოდა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში მასობრივად დაიწყეს ქართველი ბავშვების არაქართული სკოლებიდან გამოყვანა და ამას პოლიტიკური ხასიათი მიეცა... და ყურადღება არ მივაქციეთ არსებითი

მნიშვნელობის ფაქტს — საკითხის მეცნიერულ მხარეს. ასე რომ, ეს დადებითი მოვლენა პოლიტიკურ ფაქტად იქნა გააზრებული და როცა მოგვარდა ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი, მივივიწყეთ ეს თემა; მეტიც, უკულმა წავიყვანეთ საქმე... არადა, ეს ეროვნული მნიშვნელობის პრობლემაა... კითხვა ასე დავსვით: **რა მნიშვნელობა აქვს, სწავლების ენა მშობლიური იქნება თუ უცხო ენა.** კერძოდ პირველდაწყებით განათლებას **დედაენაზე მიიღებს** ბავშვი თუ არა. გავხაზეთ — მშობლიურ ენაზე, როგორც ქართველთათვის, ისე — არაქართველთათვის.

აქაც იაკობ გოგებაშვილი უნდა მოვიშველიოთ; მის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი მთავარი თემა არის დედაენისა და უცხო ენის სწავლების ურთიერთმიმართების საკითხი. ძირითადი თეზისი ასე უღერს: **„ბავშვმა მას უკან უნდა იწყოს უცხო ენის შესწავლა, როცა უკვე კარგად აქვს შეთვისებული თავისი დედა-ენა“.** იაკობი მოგვიწოდებს: **„საჭიროა საქართველოს ეროვნულ ეტლში შევაბათ ძირში ქართული ენა და კევრად მივუბათ რუსული ენა და სხვა ენები“.** და ეს არა თუნდაც იმიტომ, რომ **„მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა. ყველა უცხო ენანი კი არინ ენანი მებსიერებისა“;** არა... იაკობი განმარტავს: **„დედა-ენის გაცვლა უცხო ენაზედ ადაბლებს კაცის გონებასა და უსუსტებს ზნეობრივ ძალასა... ამ შემთხვევაში იბადება წინააღმდეგობა კაცის ეროვნული აგებულებისა და მის მეტყველების შუა და ამ წინააღმდეგობის წყალობით ეს პირი რამდენიმე ხარისხით ძირს ჩამოდის სულიერად. თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი; თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისაგან დაყოლილი ჰქონდა უბრალო ნიჭი, მტკნარ სიტუტუტეზე ჩამოხტება“...** ანუ: **ბავშვის ბუნებითი შესაძლებლობა ერთი საფეხურით ჩამოქვეითდება, თუკი იგი პირველდაწყებით განათლებას არ მიიღებს მშობლიურ ენაზე... როგორც ვთქვით, ეს ერთ-ერთი ძირითადი თემაა იაკობისათვის; ი. გოგებაშვილი ემყარება პედაგოგიკური მეცნიერებების მამამთავრების — უშინსკის, კომენსკის და სხვათა — მოძღვრებას...**

ერთ საუბარში, როცა ამ თემაზე ვლაპარაკობდით და ი. გოგებაშვილი მოვიშველიე, ერთმა ჩინოვნიკმა მითხრა, ეს XIX საუკუნის აზ-

როვნებააო... მისი აზრით, დღევანდელი ევროპა ჩარჩენილა XIX საუკუნეში... მოდით სხვა კითხვა დავსვათ:

როგორ უყურებენ ამ საკითხს დღეს პედაგოგები, ფსიქოლოგები, ენათმეცნიერები, გენეტიკოსები? საგაზეთო წერილში ყველა თვალსაზრისს ვერ წარმოვადგენთ; მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი ფსიქოლოგის, აკადემიკოს **შოთა ნადირაშვილის** წერილიდან: „*პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშობლიური ენის სიღრმისეულ შესწავლას. უცხო ენის სწავლების დაწყება კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვმა კარგად იცის წერა-კითხვა, თვლა-ანგარიში და აზროვნება მშობლიურ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, უცხო ენის შესწავლა მავნე ზემოქმედებას მოახდენს მოზარდის ფსიქიკაზე და შეაფერხებს მის გონებრივ განვითარებას*“. და როცა დადგა საკითხი ქართულ სკოლაში უცხო ენის პირველი კლასიდანვე სწავლებისა (დღედაენის პარალელურად!), ფსიქოლოგმა გავგაფრთხილა: „*თუ ინგლისური ენა მშობლიური ენის კონკურენტად აქციეს, ეს ძალიან ცუდად იმოქმედებს ბავშვების ფსიქიკაზე და მათი აზროვნების მთლიანობაზე*“... აქედან გამომდინარე დასკვნა ის არის, რომ „დიდი კაცის“ ახირების გამო ცუდ ზემოქმედებას ვახდენთ მოზარდის ფსიქიკაზე და ვარღვევთ მისი აზროვნების მთლიანობას. ასე რომ, ის, რასაც იაკობი ქადაგებდა XIX საუკუნეში, უტყუარი ჭეშმარიტებაა დღესაც, მეტიც — სასიცოცხლო აუცილებლობა ერისათვის...

გავგივრძელდა საუბარი. ეს არ არის უბრალო საკითხი, კერძობით გადასაწყვეტი; ეს ერის მომავლის საკითხია: ამგვარი გადაწყვეტილებით რისკის ქვეშ ვაყენებთ, ვაჩლუნგებთ მომავალი თაობის გონებით შესაძლებლობებს, ვურთულებთ მათ წიგნიერების სამყაროში შესვლას... ეს მძიმე შედეგს ათწლეულების შემდეგ გამოიღებს...

დასკვნა: ყოვლად დაუშვებელია პირველ კლასში დღედაენის ხარჯზე (მახთან ერთად) უცხო ენის სწავლება.

მოუწოდებთ განათლების მესვეურებს, ყურად იღონ განათლებული სამყაროს გამოცდილება, ჭეშმარიტი მეცნიერების რჩევა და ნუ გაწირავენ ქართველ ბავშვებს... ეროვნულ სკოლაში თავთავიანთი ადგილი მიეჩინოს დღედაენასა და უცხო ენას!

მჯერა, იაძობ გობებაშვილი ახლაც ბაიშარჯმებს!.²⁰
(კასუხად ბ-ნ ზურაბ ცუცქირიძეს)

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№ 163) გამოვაქვეყნე წერილი „დედაენა და უცხო ენანი“. მთავარი სათქმელი მოკლედ შეიძლება აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის სიტყვებით გადმოვცეთ: „**უცხო ენის სწავლების დაწყება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვმა კარგად იცის წერა-კითხვა, თვლა-ანგარიში და აზროვნება მშობლიურ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, უცხო ენის შესწავლა მავნე ზემოქმედებას მოახდენს მოზარდის ფსიქიკაზე და შეაფერხებს მის გონებრივ განვითარებას**“. ჩემს წერილს გამოეხმაურა ბ-ნი ზურაბ ცუცქირიძე („საქ. რესპ.“ №165); მან თავისი საპასუხო წერილის სათაურად ივანე ჭავჭავაძის სათაური გამოიყენა „მეცნიერება და მამულიშვილობა“. სხვაც რომ არაფერი ეთქვა და მხოლოდ ამ სათაურით მოემართა ჩემთვის, ბატონი ზურაბის აზრი ნათელი იქნებოდა: მოგეხსენებათ, ამ წერილით ახალგაზრდა ივანე ჭავჭავაძე 1904 წელს გააკრიტიკა იაკობ გოგებაშვილის კლასიკური ნაშრომი „ბურჯი ეროვნებისა“; ი. ჭავჭავაძე დაიცვა თავისი მასწავლებელი და უფროსი მეგობარი ნიკო მარი იაკობ გოგებაშვილის კრიტიკისაგან („ვეფხისტყაოსნის“ თემაზე) და დავაწამოსილ მოღვაწეს დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მიაყენა: **მამულიშვილურმა აღტკინებამ მეცნიერული ჭეშმარიტებისათვის არ უნდა გვაღალატებინოსო...** შემდგომში ი. ჭავჭავაძე იმანა თავისი ახალგაზრდული შეცდომა და ბრწყინვალე წერილიც მიუძღვნა იაკობ გოგებაშვილს...

ბ-მა ზ. ცუცქირიძემ ამ სათაურის მეშვეობით მითხრა, რომ დედაენაზე საუბრისას მე **მამულიშვილურმა აღტკინებამ მეცნიერული ჭეშმარიტებისათვის მაღალატებინა...** არა, ბატონო ზურაბ, აკად. შ. ნადირაშვილი იმიტომ მოვიშველიეთ, რომ მეთქვა — ეს თანამედროვე მეცნიერული პოზიციაა. ამაში უნდა დამეთანხმოთ: აკად. შ. ნადირაშვილი დიდი ავტორიტეტია თანამედროვე ფსიქოლოგიაში... საგაზეთო

წერილი ამას ვერ აიტანდა, თორემ უფრო ვრცლად შეიძლებოდა ამ თემაზე საუბარი; თუნდაც საქვეყნოდ ცნობილი ჰუმბოლდტოლოგის, პროფ. **გურამ რამიშვილის** მონოგრაფია გავიხსენოთ „**დედაენის თეორია. დედაენა, მისი ფუნქციები და სწავლება**“ (2000 წ.); იცნობთ, რა თქმა უნდა, ამ წიგნს. ავტორის ერთ-ერთი მთავარი დებულება ის არის, რომ უცხო ენა უნდა ისწავლებოდეს III-IV კლასებიდან; არავითარ შემთხვევაში — პირველი კლასიდანო. გ. რამიშვილი რომ ევროპული დონის მეცნიერი იყო, ამაშიც უნდა დამეთანხმოთ...

ბატონო ზურაბ, კიდევ ერთხელ თუ გადახედავთ ამ (და სხვა) ნაშრომებს, დარწმუნებული ვარ, აღარ იტყვიოთ, რომ „უცხოური ენის სწავლების დაწყება პირველ კლასში ფსიქოლოგიის მეცნიერების დასკვნებსა და საერთაშორისო გამოცდილებას ეფუძნებაო“...

რაც შეეხება „საერთაშორისო გამოცდილებას“, იმ წერილშიც ვწერდი: ინგლისში 9 წლისანები იწყებენ უცხო ენის სწავლას, ჰოლანდიაში — 10 წლისანები-მეთქი. სხვა მაგალითები: ესპანეთში VI კლასში აწყებიანებენ უცხო ენას, დანიაში V კლასში, გერმანიაში III-IV კლასში, საფრანგეთში — II კლასში, იტალიაშიც — II კლასში... ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, დანია, ჰოლანდია... არაა საკმარისი „საერთაშორისო გამოცდილებისათვის“? მაშინ ბრძანეთ, ვის მაგალითს მივბაძოთ... მე ისიც მჯერა, რომ თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს ჩამოთვლილ ქვეყნებში იცნობენ...

ბ-ნი ზ. ცუცქერიძე შეგვახსენებს, რომ „დადგენილია, რაც უფრო ადრეულ ასაკში დაიწყება უცხოური ენის შესწავლა, მით უფრო ეფექტიანია იგი“. კი, ბატონო, მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ „**უცხო ენის სწავლების დაწყება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვმა კარგად იცის წერა-კითხვა, თვლა-ანგარიში და აზროვნება მშობლიურ ენაზე**“. იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობის მცოდნისათვის ეს სადავო არ უნდა იყოს; იაკობიც ხომ ამას ამბობს: „**საჭიროა საქართველოს ეროვნულ ეტლში შევავათ ძირში ქართული ენა და კევრად მივუბათ რუსული ენა და სხვა ენები**“. აკი ბრძანებთ, ბატონო ზურაბ, „დედაენის შესახებ ი. გოგებაშვილის ყველა მოსაზრება ჭეშმარიტიაო“? თუკი მართლა ყველაფერში ეთანხმებით ი. გოგებაშვილს, ამ აზრმა რა დააშავა: „**ბავშვმა მას უკან უნდა იწყოს უცხო**

ენის შესწავლა, რაც უკვე კარგად აქვს შეთვისებული თავისი დედენა“.

ისიც გამიკვირდა, ბატონო ზურაბ, დ. შაშინის დაცვა რომ მოისურვეთ ჩემგან: მართალია დ. შაშინი, როცა ამბობს, საბჭოთა კავშირში რუსულ ენას პირველი კლასიდან ასწავლიდნენო; წერთ: „80-იან წლებში რუსული ენის სწავლება პირველი კლასიდან დაიწყეს... და ეს არ იყო „იმპერიული ახირება“, როგორც ზოგიერთებს (ე.ი. მე — გ.გ.) ჰგონიათ“.

80-იან წლებში რაც მოხდა, სწორედაც რომ რუსული „იმპერიული ახირება“ იყო, ბ-ნო ზურაბ: 70-იანი წლების ბოლოს სკკპ პროგრამაში ჩაწერეს, უნდა მოხდეს ერებისა და ენების შერწყმაო; დისერტაციების თარგმნა გვაიძულებს რუსულად; იყო მცდელობა სახელმწიფო ენად რუსულის გამოცხადებისა (1978 წ.); გამოიცა საკავშირო ბრძანება, ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში რუსულად წაკითხულიყო საგნები; და პირველ კლასში სცადეს რუსული ენის გადატანა... ასე რომ, ეს იყო იმპერიის აგონიის პერიოდი და დასრულდა კიდევ მათდა საუბედუროდ... ჩვენ ნუ ავიღებთ მაგალითად ამ პერიოდს, სხვა უკეთესი მაგალითებიც გვაქვს...

ნურც იმ მაგალითს მომიყვანთ, თბილისის ძველ უბნებში 3-4 ენა რომ იციან დაბადებიდან... მეც მყავს ასეთი ასირიელი მეგობარი, რ ენა რომ იცის და ამბობს, „ყველაზე კარგად მე ქართული იცისო“... ჩვენ სხვა ცოდნაზე ვსაუბრობთ...

ისე, ბატონო ზურაბ, ცოტა უხერხულად ხომ არ გეჩვენებათ, რომ მასწავლით: „არ უნდა აგვერიოს ერთმანეთში „უცხოური ენის სწავლება“ და „სწავლების ენა“... და რომ „ხარჯზე“ და „მასთან ერთად“ ერთი და იგივე არ არისო“... მაგრამ მე მაინც ყველაზე მეტად ის გამიკვირდა, რომ იაკობ გოგებაშვილს აღიარებთ და პირველ კლასში უცხო ენის სწავლებას უჭერთ მხარს...

მაგრამ, მტკიცედ მჭერა, იაკობ გოგებაშვილი ახლაც გაიმარჯვებს!...

იაკობის „დედაენის“ კატრონენი რას ვეძებთ?²¹

(უზრადღებას ვთხოვთ ბანათლებს მინისტრს
და არა მხოლოდ მას)

*„ვალბა გასვლისა მსურველთა უკულმა
მიგვეყავს ბორანი“*

ვაჟა-ფშაველა

1976 წელს იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ 100 წლის იუბილე გადაუხადეთ;

1981 წელს „დედაენას“ ძეგლი ავუგეთ;

2013 წელს „დედაენას“ — ანბანის სწავლების ი. გოგებაშვილისეულ მეთოდს — არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მივანიჭეთ...

1960 წელს ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში გამართულ მსოფლიო ენების საანბანე სახელმძღვანელოების საერთაშორისო გამოფენაკონკურსზე იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდით შედგენილ ქართულ საანბანე სახელმძღვანელოს — „დედაენას“ — პირველი პრემია და საპატიო მედალი მიენიჭა...

და ქართულ სკოლაში მისი ადგილი არ მოიძებნა; იაკობსა და მის „დედაენას“ ებრძვიან... დიახ, ებრძვიან და ისაკუთრებენ! — ვინ? — ჩვენვე, ქართველები... — სამინისტრო რას აკეთებს? — ჰო, ამაზე ვისაუბროთ...

* * *

იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ როლისა და მნიშვნელობის გასააზრებლად მარტო ის იკმარებდა, **აკაკი წერეთლის** ნათქვამი რომ გაგვეხსენებინა: „მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგე-

ბაშვილის „დედა-ენაზე“ არ აეხილოს თვალები. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. იაკობ გოგებაშვილი ღირსია იმისა, ქართველმა ხალხმა სიცოცხლეში ძეგლი დაუდგას!“...“ ჩვენს დროში დაიწერა: „შეიძლება თამამად ითქვას, რომ „დედაენის“ შექმნა თავისი მნიშვნელობით უტოლდება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც რომელიმე ჩვენს წინაპარს შეუტანია ჩვენი ერის სულიერ საგანძურში“ (გ. აბაშიძე) და სხვა...

„დედაენაზე“ ბევრი თქმულა. ჩვენც არაერთგზის შევეცადეთ წარმოგვეჩინა იაკობის ღვაწლი და „დედაენის“ სიკეთე (იხ. თუნდაც: „დედაენა“ — ძეგლი სამარადისო“ 2010; „ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა“ — 2012), ამიტომ ამაზე არ ვისაუბრებთ... ვთქვათ ის, რა დღეშია დღეს „დედაენა“.

* * *

იაკობის სიცოცხლეშივე ათზე მეტი წიგნი ცდილობდა კონკურენცია გაეწია „დედაენისათვის“... ხმალამოღებული იცავდა იაკობი „დედაენას“, არა როგორც თავის წიგნს, არამედ როგორც საუკეთესო სახელმძღვანელოს... იაკობის გარდაცვალების შემდეგ „დედაენას“ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ უპატრონა; 1927 წელს დაასრულა საქმიანობა ამ საზოგადოებამ და დარჩა „დედაენაც“ ბედის ანაბარა. დაიწყო „საბჭოთა დედაენების“ (ასეც უწოდებდნენ) პერიოდი. ძირითადად იაკობის სახელმძღვანელოს ემყარებოდნენ, მაგრამ დაირღვა არაერთი მთავარი პრინციპი იაკობისა; თუნდაც ის, რომ საანბანე წიგნი პოლიტიკისგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო; „საბჭოთა დედაენაში“ შემოდის თემები სტალინი, ლენინი, ბერია, წითელი არმია... (სხვათა შორის ბოლო ათწლეულში იჩინა თავი ამგვარმა თემატიკამ „დიდი კაცის“ საამებლად: შადრევნები, ვარდები, თვითმფრინავები...).

მაგრამ უფრო მძიმე პრობლემა ისაა, რომ ითვისებენ იაკობის ინტელექტუალურ საკუთრებას: **განათლების სამინისტროს მიერ გარიფირებულ სახელმძღვანელოთა ნუსხაში იაკობ გოგებაშვილი „დედაენის“ ავტორად აღარ მოიხსენიება;** ავტორებად სხვები სახელდება (გ. ჩხენკელი, ნ. გორდელაძე, ნ. მაღლაკელიძე, ვ. როდონაია და სხვა). გარიფირებული სამი სახელმძღვანელოდან ორს ტიტულზე აწერია, რომ

შედგენილია იაკობ გოგებაშვილის მიხედვით (მესამესთან სხვა პრობლემაა, ამის შესახებ ქვემოთ).

რას ნიშნავს „მიხედვით“? ორივე იწყება „აი ია“-თი; ერთ-ერთი შემდეგაც ზუსტად მისდევს იაკობის „დედაენას“; მეორეში მცირეოდენი ცვლილებებია შეტანილი; ხშირ შემთხვევაში ეს შესწორებები თვითმიზნურია — რომ გამართლდეს მათი ავტორობა და ეწინააღმდეგება იაკობის პრინციპებს... და „სავარჯიშოები შეადგინეს ავტორებმაო“... არაერთგზის დაიწერა ამის თაობაზე, მერე რაო? — არაფერი... **იაკობისეული ტექსტის რედაქტირება, სავარჯიშოთა შედგენა და რამდენიმე თვითმიზნური შესწორება საკმარისი აღმოჩნდა ავტორებად სხვანი დასწეროდნენ „დედაენას“...**

სხვა ვითარებაა გრიფირებულ მესამე „დედაენაში“ (ავტ. ვ. როდონაია და ჯგუფი). იაკობის „დედაენასთან“ მას მხოლოდ სათაური აკავშირებს; პირველ გაცვეთილზე ა-ს „**აქლემით**“ „**აკვარიუმითა**“ და „**არწივით**“ ასწავლიან და ა. შ. კი ბატონო, ამჯობინეს „აი ია“-ს „**აქლემი**“ და „**აკვარიუმი**“ — ეს ავტორთა გემოვნებისა და გრიფის მიმცემის პრობლემაა; მაგრამ **„დედაენა“ რატომ ჰქვია?** ამის თაობაზეც არაერთგზის დაიწერა: **დედაენა** იაკობ გოგებაშვილის სიტყვაშემოქმედების ნიმუშია. ეს სიტყვა იაკობმა შექმნა საგანგებოდ სახელმძღვანელოსათვის ისეთი სიტყვების ანალოგიით, როგორცაა **დედაქალაქი, დედაბოძი, დედააზრი, დედაბურჯი**; როგორც ილია ჭავჭავაძე განმარტავდა. ეს არის **მთავარი ქალაქი, მთავარი აზრი, მთავარი ბურჯი** და შესაბამისად **მთავარი ენა, ანუ სალიტერატურო ენა**. ამიტომაც **„დედაენა“** **სავტორო სათაურია წიგნისა, იგი ავტორის საკუთრებაა და ისევე არ შეიძლება მისი გამოყენება სხვათა მიერ, როგორც „გეფხისტყაოსნისა“ თუ „კაცია-ადამიანის“...**

კი, ბატონო, აქვთ უფლებაა შექმნან საანბანე სახელმძღვანელო, სამინისტროს ნებაა გრიფის მინიჭება, მაგრამ **იაკობის სათაურის — „დედაენის“ — მითვისების არც იურიდიული და არც მორალური უფლება არავის აქვს!**

ასე რომ, ქართული ენის სამივე გრიფირებული სახელმძღვანელო პირველი კლასისა სხვადასხვა ფორმით ითვისებს იაკობ გოგებაშვილის ინტელექტუალურ საკუთრებას!

ეს ფაქტი, ერთი მხრივ, და გრიფორების ჩატარების წესი (შესაბამისად, შედეგებიც), მეორე მხრივ, მეტყველებს განათლების სამინისტროს ავ-კარგზე. ვისაუბროთ ამ თემაზეც.

* * *

უნდა შეიცვალოს სახელმძღვანელოთა გრიფორების წესი; მისი მიზანდასახულება უნდა გახდეს ეროვნული სკოლის სიკეთეზე ზრუნვა, საფუძველი — ობიექტურობა. ბოლო ორი გრიფორება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. კონკრეტულად:

2009 წელს გაიმართა კონკურსი პირველი კლასის სახელმძღვანელოზე გრიფის მისანიჭებლად. საკონკურსოდ წარდგენილი იყო 10 „დედაენა“! მათ შორის ი. გოგებაშვილის „დედაენაც“, რომელიც თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოამზადა ი. გოგებაშვილის საზოგადოებამ. ექსპერტებმა ეს წიგნი შეაფასეს 97 ქულით (მაქსიმუმი იყო 100); ერთ-ერთი საკონკურსო სახელმძღვანელო შეფასდა 17 (!) ქულით და, თქვენ წარმოიდგინეთ, **განათლების სამინისტრომ გრიფი მიანიჭა ათივეს!**

ცხადია, ამას კონკურსი არ ჰქვია, ეს რეგისტრაცია... სამინისტრომ სკოლებს დაუტოვა არჩევანის უფლება; იზრუნეს ავტორებმა და 17 ქულიანი სახელმძღვანელო კონკურსის უწევდა 97 ქულიანს (ზოგ შემთხვევაში სჯობნიდა კიდევც)... გაუჭირდა იაკობის „დედაენას“, რადგან ბევრი უფრო აქტიური („შანსიანი“) ავტორი გამოდგა...

2010 წელს ხუთი წლით მინიჭებული გრიფი გაუუქმდა „დედაენებს“ და გამოცხადდა ახალი გრიფირება. კლასები შეიკრა კომპლექტებად; I-VI კლასები ერთ კომპლექსში გაერთიანდა. ამჯერად იაკობის „დედაენა“ სკოლის მიღმა აღმოჩნდა და გრიფი მიიღო იმ სახელად „დედაენამ“, ზემოთ რომ მოგახსენეთ... ჩვენ ვცადეთ იაკობის გამოქომაგება; უცნაური პასუხი მივიღეთ სამინისტროდან: მოძველებული სიტყვებია წიგნშიო (თოხი, ნამგალი, ცელი...), სოფლის თემატიკაა ჭარბადო (ეს მაშინ, როცა ერთ-ერთ გამარჯვებულ „დედაენაში“ ყოველივე ეს უცვლელადაა გადატანილი იაკობის წიგნიდან!)... 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ ვიფიქრეთ, აღდგებოდა დაპირებული სამართლიანობა და ისევ მივმართეთ სამინისტროს ი. გოგებაშვილის ქომაგებმა; იგივე პასუხი მივიღეთ: თურმე იმ დონეზე, ვისთანაც ჩვენ ხელი მიგვიწვდებოდა, არაფერი შეცვლილა; პასუხი იმავე პიროვნებამ გაგვცა, ვინც ადრე...

თურმე **ოქტომბრის არჩევნები არ მომხდარა იაკობ გოგებაშვილის „დედაენისთვის“...**

დამეთანხმებით, სახელმძღვანელო ყველა მნიშვნელოვანია, მაგრამ საანბანე სახელმძღვანელო მაინც სხვაა...

როდემდე გაგრძელდება ასე? როდემდე იქნება დაჩაგრული იაკობ გოგებაშვილი და მისი „დედაენა“? ვინ უნდა იზრუნოს იაკობის ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად? ვინ უნდა უზრუნველყოს ის, რომ ჩვენი ბავშვები წერა-კითხვას სწავლობდნენ უკეთესი სახელმძღვანელოთი? (არ გაიცინოთ: ერთ-ერთი „დედაენის“ ავტორებს საანბანე ნაწილში გამორჩათ ერთი ასო (ტ) და 32 ასო-ბგერას ასწავლიდნენ! და ეს წიგნი თავის დროზე სკოლაში დაუშვა სამინისტრომ...).

განათლების სამინისტრომ უნდა მოაგვაროს ეს...

* * *

როგორც ითქვა, იაკობ გოგებაშვილმა თავისი ანდერძით „დედაენა“ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ დაუტოვა საპატრონოდ (იხ. ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. IV, 1955, გვ. 540-542). ქმწკგ საზოგადოება 1927 წლამდე არსებობდა და პატიოსნად ასრულებდა ანდერძით დაკისრებულ მოვალეობას... იმ დროს ეროვნული სკოლის ბედ-იღბალი განათლების სამინისტროს ჩაბარდა... წესით, ის უნდა იყოს სამართალმემკვიდრე იმ საზოგადოებისა და იაკობის სახელმძღვანელოთა პატრონიც! **განათლების სამინისტრომ უნდა მიხედოს „დედაენას“, უნდა უპატრონოს!**.. ეს იქნება დიდი იაკობის ანდერძის შესრულება და ჩვენი სკოლის ინტერესის დაცვა...

* * *

გვითხრეს, მოძველდაო „დედაენა“, უნდა განახლდესო. იაკობმა თავის სიცოცხლეში 33-ჯერ გამოსცა „დედაენის“ საანბანე ნაწილი; თითქმის ყოველ გამოცემაში შეჰქონდა შესწორება, დაზუსტება... თავად მიანდა, რომ სახელმძღვანელო დროის შესაბამისად უნდა უკეთესდებოდეს; იგონებენ, თქვაო: „ჩემი „დედაენა“ **მაშინ მოკვდება, როცა გაუკეთესებას მოაკლდება!**“... რას ნიშნავს გაუკეთესება? — შეიძლება შემოვიდეს ახალი მასალა, დაზუსტდეს, დაიხვეწოს ფორმები და ა. შ. მაგრამ არსებითი არის ის, რომ **არ უნდა შეიცვალოს მთავარი**

პრინციპები; რასაც ვცვლით, უნდა შეიცვალოს უკეთესით; ცვლილება არ უნდა იქნეს შეტანილი ინდივიდუალურად (რაც ჩვეულებრივია დღეს); ანდერძში იაკობი სთხოვდა ქმშეკგს-ს, „**სახელმძღვანელოში ყველა ცვლილება შეტანილი უნდა იქნეს მხოლოდ საზოგადოების გამგეობის ¾-ის თანხმობით**“.

დღეს განათლების სამინისტრომ ეს ანდერძიც უნდა შეასრულოს. ჩვენ ასე გვესახება: **უნდა შეიქმნას კომპეტენტური კომისია** — მეცნიერებისაგან (ენათმეცნიერები, ლიტერატორები, ფსიქოლოგები), პრაქტიკოსი მასწავლებლებისაგან, მეთოდისტებისაგან... და **იაკობის „დედაენა“ ამ კომისიამ უნდა მოამზადოს სასკოლოდ...** უნდა მოხდეს იაკობის პრინციპების ღრმად შესწავლა და ყველა ცვლილება ამის მიხედვით უნდა იქნეს შეტანილი...

არის კიდევ ერთი პრინციპული საკითხი: როგორც ვთქვით, კომპლექტებად შეიკრა კლასები (I—VI, VII—IX, X—XII) და კომპლექტი ერთად იღებს გრიფს. ოთხმა-ხუთმა კარგმა სახელმძღვანელომ შეიძლება „გაიყვანოს“ უვარგისი წიგნი... მოხდა კიდევ ასე. **ამიტომ I კლასის ქართული ენის სახელმძღვანელო უნდა ჩაიხსნას კომპლექტიდან და ცალკე უნდა მიიღოს კონკურსში მონაწილეობა..**

იაკობის „დედაენის“ გადარჩენისათვის ზრუნვა ეროვნული სკოლის გადარჩენისათვის ზრუნვის ტოლფასია...

ჩვენი თაობა ვალშია იაკობ გოგებაშვილის წინაშე!

სიტყვა და საქმე განათლების სამინისტროზეა...

(ღანართი)

იაკობ გოგებაშვილი ბრძენი იყო. სიბრძნე იაკობისა გამოსქვივის მის ყოველ ნაფიქრსა და ნააზრევში... ზოგჯერ ეს სიბრძნე ფორმულის სახითაა ჩამოქნილი...

როცა იაკობის ნაწერებს ვკითხულობდი, მიმხიბლავ ადგილებს ვინიშნავდი. მერე გული მწყდებოდა, რომ ამა თუ იმ ბრძნულ აზრს ჩემს წერილში ადგილს ვერ ვუძებნიდი და...

ასეთი სურვილი გამიჩნდა: კიდევ ერთხელ გადაამეკითხა იაკობ გოგებაშვილის თხზულებანი (ათტომეული; ტ. I. 1955 წ.; — ტ. X. 1965; ვუთითებთ ტომს და გვერდს) და ჩემთვის საინტერესო ზოგი აზრი ამონარიდების სახით შემეთავაზებინა მკითხველისათვის; ყოველივე ეს თემატურად დავაჯგუფე (მამული; ენა; სარწმუნოება; ეროვნული სკოლა; და სხვა)...

ცხადია, ეს არის ჩემი გემოვნებით შედგენილი სიბრძნის კონა, აკიდო, კუნწულა (გახსოვთ იაკობის სათაურები?)... სხვა სხვას გამოარჩევდა; იაკობის შემოქმედება საამისოდ მდიდარ საფუძველს იძლევა...

მაშ ასე — სიბრძნე იაკობისა:

I. მამული

* * *

საძირკველს ნაციონალურის ძალისას შეადგენს ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო.

ბატონებო! მშობლიური მიწა-წყალი, მამული მარტო ნივთიერი ფაქტორი არ გახლავთ. იგი ამასთან სულიერია, ცოცხალი არსებაა. თუ ერთი მხრივ იგი იპყრობს მამა-პაპათა გვამთა, მეორე მხრივ მასში ტრიალებს წინაპართა დიდებული სული და ეს სული აცოცხლებს,

ასულდგმულებს, აცხოველებს თანამედროვე თაობათა. წაართვით ერს მისი მიწა-წყალი, მისი ტერიტორია, და იგი დაჰკარგავს არა მარტო ნიადაგს არსებობისას, არამედ მოსწყდება იმ დიდებულს ისტორიულს სულსაც, რომელიც სამშობლოში ტრიალებს, და დაემსგავსება მუხის მოჭრილს რტოსა, რომელსაც გახშობა ვერ ასცდება. ამისთვის მამულის დაკარგვა საშინელს უბედურებას შეადგენს.

სამშობლოს დამკარგველი ერი ვერ დაიცავს თავისს არსებობას, ვერ გააგრძელებს სიცოცხლესა....

III. 245

* * *

თუ ჩვენი ხალხი გამოესალმა მიწა-წყალსა, მისი გაქრობა დედა-მიწის ზურგიდან აუცილებელი გახდება, თუნდაც პირველს ხანებში მრავალი სამოხელო ადგილი ეჭიროს ადმინისტრაციაში, სასამართლოსა და ჯარში. მიწა-წყალი ნამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისათვის, და როგორც ხე, მოშორებული ფესვებს, ხმება, ისე ერი იღუპება, როცა ხელიდგან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია.

II. 294

* * *

ვისა ჰქვიან პატრიოტი? მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიურის ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავ-გამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადალობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ღხენითა, ვინც ბედნიერია მის ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით, და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე.

I. 362

* * *

მაგრამ ნუ თუ ახლა საქართველო სრულიად მოკლებულია უმაღლეს და უწმინდეს გრძნობას — მამულის სიყვარულსა? არა, იგი

ახლაც ასულდგმულებს ჩვენს საზოგადოებასა. მაგრამ მისსა და ძლიერს პატრიოტობას შუა ისეთი დიდი მანძილია, როგორც ოთახში დაჩაგრულს ყვავილსა და ბაღში გაფურჩქენილს, სიცოცხლით სავსე და ფეროვან ყვავილს შუა. პატრიოტული გრძნობა ჩვენში ემსგავსება არა ზაფხულის მზეს, რომელიც ღონივრად აცხელებს დედა-მიწას და მძლავრად ანაყოფიერებს მას, არამედ შემოდგომისასა. მამულის სიყვარული ჩვენს გულში გაძლიერებულს ცეცხლივით არა პრიალებს, იგი სუსტად იწვის, როგორც ქართულს ბუხარში ნედლი შეშა, შესაკიდებელს მოკლებული. იგი არა ჰგავს ღონიერს ქარიშხალს, რომელიც ყოველს გზაზედ გადალობილს საგანს ლეწავს, მძლავრად ფანტავს დაგუბებულს ჰაერს და აძლევს მას გამაცოცხლებელს სისუფთავეს, არამედ სუსტს ქარსა, რომელიც მოკლებულია ნამდვილს განსხვავებულს ძალასა...

I. 362

* * *

ჩვენში პატრიოტობა სხვა თვისებებისა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას მამულის სიყვარულისასა. ამ გრძნობაში თავის-თავის მეტი არა ურევია-რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება. ჩვენს პატრიოტებს სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენის უფლებისა, ეროვნებისა, თვითმმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა. ჩვენი მამულიშვილები ნატრულობენ ჩვენის ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული. როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონაგებისათვის, არამედ თავის საკუთარს დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულიშვილები მოღვაწიობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათის დამცირებით ჩვენი თავი ავამაღლოთ, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გაუუკვლიოთ ფართო გზა გონების განვი-

თარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილ დღეობისაო. ერთის სიტყვით, ჩვენში მამულის სიყვარულმა მიიღო ისეთივე წმინდა მიმართულება, რომელსაც ამ ბოლოს ქამს დაადგა დაწინაურებული, საუკეთესო წილი ევროპის დემოკრატიისა.

I. 363

* * *

ერთი უპირველესი ღონისძიება პატრიოტობისა, მამულის სიყვარულის გაძლიერებისა არის მხურვალე თანაგრძნობა საზოგადოების მხრივ მამულის შვილების მოქმედებისადმი, მათი წაქეზება, გამხნეება პატივისცემის გამოცხადებით. საზოგადოების თანაგრძნობა და ღირსეული დაფასება ქვეყნის სამსახურისა მოქმედს პირს ერთი-ორად უმატებს ძალასა, ფრთებს უსახავს და ადვილად ატანიანებს ყოველგვარ განსაცდელს იმ ეკლიანს გზაზედ, რომელსაც აქამდის ბევრს ქვეყნებში და მეტადრე ჩვენში წარმოადგენს მამულის სამსახური.

I. 366

* * *

პატრიოტობა საზოგადოებამ და ცალკე პირმა უნდა დანერგონ, აღზარდონ და დააყენონ ჭეროვან სიმაღლეზედ. ამ გზაზედ ერთსაც და მეორესაც დიდი მუყაითი და ზრუნვა ესაჭიროებათ. მამულის სიყვარული მეტად ნაზი მცენარეა; იგი არა ჰგავს უსარგებლო აკაციას, ლობიოს ხეს, რომელიც ყოველგან უზრუნველად და მოუვლელად ორ-სამს წელიწადს სრულდება და შემდეგ უნაყოფოდ არის გაფშეკილი მთელს თავის სიცოცხლეში. მამულის სიყვარული ემსგავსება ნაზს კაკლის ხეს, რომლისათვისაც საჭიროა შესაფერი ნიადაგი, შეზავებული ჰაერი, რომელიც ვერ იმშვენებს დამჩაგვრელს ხეებს, რომელიც დიდხანს იზრდება და როდესაც დასრულდება, თვალსა აამებს, გულსაც ახარებს და ქვეყანასაც ასაზრდოებს. პატრიოტად გარდაქცევისათვის სრულიად საკმარისი არ არის, რომ კაცმა იცოდეს, პატრიოტობა მშვენიერი რამ არისო. ლამაზი ალვის ხე კარმიდამოზედ დიად საამურიც ყველასათვის, მაგრამ მისი ცალიერი ნატვრით კაცისათვის არე-მარეს ვერ დაამშვენებს; უნდა დარგოს, მოუაროს, ყოველი მკაცრი გარემოება ააშოროს, გაზარდოს და ბოლოს ისიამოვნოს მისი სილამაზით, ნაყოფიერე-

ბით და მაგრილებელის ჩრდილით. ეროვნულს პატრიოტულს გრძნობასაც დიდი ხნის ზრუნვა, მოვლა, ყურის გდება და ერთგულება ესაჭიროება. იგი არის ნაზი, როგორც კაკლის ხე, ღრმა, როგორც მისი ფესვები, მაღალი, როგორც მისი წვერი, მის ტოტებსავით განიერი და მის კოკრებსავით ნაყოფიერი.

I. 360

* * *

ელემენტარული აქსიომაა, რომ ბავშვი მხოლოდ მაშინ შეიყვარებს თავის სამშობლოს, როდესაც კარგად ექნება იგი გაცნობილი.

II. 19

* * *

საჭიროა მოქმედება იმისთანა მოღვაწეებისა, რომელნიც მონანი არიან თავისი წმინდა მოვალეობისა, პრინციპების დროშა მაღლა უჭირავთ და ხალხში სინათლის მოფენა არის მთავარი მიზანი მათის მისწრაფებისა.

III. 73

* * *

ნამდვილი დამყავებული პატრიოტობა იქნება — სთქვას კაცმა, რომ არა სხვა ქვეყნას არა ჰყოლია იმისთანა ღვაწლიანი თავად-აზნაურობა, როგორიც ჰყავდა ჩვენს საქართველოსაო. მეორეს მხრით არა უკეთესი უკიდურესობა მოსდით მათ, რომელნიც ჰქადაგობენ, რომ ჩვენისთანა მხეცური, დაუნდობელი და ქვეყნის მოღალატე თავად-აზნაურობა არავის და არას დროს არ ჰყოლიაო.

I. 326

* * *

ერის გადაგვარება და გაქრობა მარტო მის კერძო უბედურებას როდი შეადგენს, იგი ნამდვილი დანაკლისია თვით კაცობრიობისათვის, რომელსაც ამითი აკლდება ერთი თავისი ნაწილი ანუ წვერი, უშრება ერთი იმ წყაროთაგანი, რომელნიც ავსებენ შეერთებულად კულტურის მსოფლიო ზღვასა.

II. 239

* * *

თუ ერს სურს იარსებოს ქვეყანაზე, იცოცხლოს და ბედს ეწიოს, იგი ჭირივით უნდა ერიდოს გადაგვარებას, თვალის ჩინივით უნდა იცავდეს იმ ეროვნულ გონებას, გულსა და სულს და თვით სხეულსაც, რომელიც მისთვის მიუნიჭებია ღმერთსა და ბუნებასა.

IV. 516

* * *

ერთმა წარჩინებულმა მწერალმა კაცობრიობა დაადარა მგალობელთა დიდს გუნდს, ხოროსა, რომლის ჰარმონია მხოლოდ მაშინ არის საესე და სრული, როდესაც ყველა ხალხი, თავისი შესაბამის ხმით, იღებს მონაწილეობას მსოფლიო ღაღადისში. შესწყდა რომელიმე ერის ხმა? გაღარიბდა კაცობრიობის ხოროს ჰარმონია, შესუსტდა მსოფლიო ღაღადისი, დანაკლულდა ზღვა თავისებურობისა, მოაკლდა ერთი თავისებური ლალი კაცობრიობის კულტურის დიდებულს საღაროსა.

II. 239

* * *

ჩვენს საქართველოს მხოლოდ მაშინ ეღირსება ბედნიერი ცხოვრება, როდესაც ქართველებში განათლება გავრცელდება. უსწავლელი ხალხი ვერას დროს ვერ მოიპოვებს მტკიცე ბედნიერებასა. ამასთან ან ხალხმა სწორედ არ იცის, რა არის იმისის სიკეთისათვის სასარგებლო და რა არის მავნებელი.

VI. 583

* * *

ერი, რომელსაც წინ არ მიუძღვის და არ უკაფავს პროგრესის გზას რაზმი მძლავრისა და მრავალის ინტელიგენციისა, ადრე თუ გვიან წააგებს საარსო ბრძოლასა და დაჰკარგავს თავის ადგილს ერთა შორის. ეს ჭეშმარიტება უნდა ყოველ წამს თვალ-წინ გვედგას და აღვიძებდეს ჩვენში მხნეობას და ენერგიას საფუძვლიანი განათლების გაძლიერებისათვის საქართველოს შვილთა შორის.

I. 198

* * *

მომაკვდავს ერს არ ძალუძს მოყვარეს ღირსეული მოყვრობა გაუწიოს, მტერს მტრულად დახვდეს. ამისთანა ერი ვერც საესებით დააფასებს თავის შვილის ღვაწლს.

IV. 476

* * *

სხვა ხეზე შტომ შეიძლება იხაროს, მხოლოდ ახლოს ნათესავს ხეზედ; მაგრამ თუ იგი ამყნეს სრულად სხვა გვარის ხეზე, ვერც გაიზრდება და ვერც იხარებს. ნაწილი ერისა, რომელიც მოშორდა საერთო ეროვნულს ნიადაგსა, სწრაფად მიდის უკან-უკან, სუსტდება, ველურდება და ხდება მსხვერპლად გამხრწნელი პროცესისა.

III. 322

* * *

ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა. ზნედაცემული ხალხი მაშინაც კი წააგებს ბრძოლას არსებისათვის, როდესაც იგი ცოდნას არ არის მოკლებული.

III. 250

* * *

ვინც საქმესა სჯის გონებით და სინიღისით და ვისაც სამშობლოს სიკეთე და ბედნიერება სათამაშო ბურთად არ მიაჩნია და ჰეროსტრატულის სახელის მოპოვება უმთავრეს თავის მიზნად არა აქვს დასახული, იგი ყოველთვის იტყვის: რათა ტაატით არ იაროს საქართველოს ეროვნობის ეტლმა, ან არ გაჩერდეს ერთს ადგილას, საჭიროა მასში შევებათ ძირში ქართული ენა და ყვერად მოვუბათ რუსული ენა და სხვა ენები. მაშინ, და მხოლოდ მაშინ, ეტლი ჩვენის ეროვნებისა ჯეროვანის სისწრაფით ივლის ცხოვრების გზაზედ და მიაღწევს სამშვიდობო სადგურსა.

II. 224

* * *

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ქართველი ერი სწორედ იმისთანა გაჭირვებულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რათა ამ გაჭირვებამ არ იმატოს, არამედ შემცირდეს თანდათან და ბოლოს გაუჭირებელ არსებობად გადაიქცეს, საჭიროა გადაჭრილი გზა. მიმართულება, პროგრამა...

II. 245

* * *

მონობა ორ-გვარია: წოდებათა შორის და ხალხთა შორის. პირველი მონობა უფრო ასატან უღელს წარმოადგენს შედარებით. ერთი ენა, ერთი ხასიათი, ერთი ჩვეულებანი, ერთგვარი სიმღერა-ლხინი, ერთგვარი მწუხარება, ერთი სიტყვით, მსგავსება სულისა და ხორცისა გლეხთა და ბატონთა შორის კბადავს ცოტაოდენს ლმობიერებასა, რომელსაც ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ერის დაცემა და გადატაკება თვითონ ბატონისთვისაც მაზარალებელია.

სრულიად სხვა ხასიათი, სხვა ზნე სჭირს ბატონ-ყმობას ხალხთა შორის, ერთი ერის დამონაგებას მეორე ერის მიერ.

ამის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს ირლანდია...

II. 282

* * *

მაგ კაცს (ვასილ ველიჩკოს — გ. გ.) არ აწუხებს თავისი საკუთარის სამშობლოს გადაგვარება და ჩვენს ეროვნულს განვითარებას თანაგრძობას და დახმარებას როგორ გაუწევს-მეთქი.

IV. 25

* * *

არაფერს არ უნდა შევეუშინდეთ, არაფერი არ უნდა დავმალოთ, რადგან დამალვით სენი კი არა რჩება, ძლიერდება, ხრწნის საზოგადოებრივს ორგანიზმს და სიკვდილს უმზადებს ერს.

IV. 177

* * *

ქართველებს ეშინიათ სეპარატიზმისა, მიაჩნიათ დამლუპველ მიმართულებად, და ამავე დროს ჰგონიათ, რომ ნაციონალიზმი, მამულიშვილობა იგივე სეპარატიზმია. ამის გამო ზურგებს აქცევენ ეროვნულს პრინციპს, ეროვნულს მიმართულებას და მარხავენ ეროვნულს ძალებსა, გადაგვარების გზაზე დგებიან.

IX. 345

* * *

ჩემი აზრით, ჩვენ უნდა მეტად ფრთხილად ვიყვნეთ და უზომოდ არ გავაბოროტოთ ჩვენზე რუსეთი, რომელსაც მთელი ოფიციალური ევროპა ახლაც კი ელაქუცება და რომელმაც იაპონიასთან კავშირის შეკვრით ხელები მთლად გაიხსნა.

IX. 347

* * *

დარწმუნებული ვარ, რომ ეს მცირეოდენი სამაგიერო აკაკის ამებს. იქნება გეგონოთ, ვხუმრობდეთ. შემცდარი ბრძანდებით. პოეტი, რომელიც მთელს თავის სიცოცხლეში სულ იმასა ჰნატრობს, რომ სამშობლო ქვეყანას ააცილოს დაბალის ღობის ბედი და გარდააქციოს იგი მაღალ ღობედ, უსიამოვნებას უნდა ჰგრძნობდეს, როდესაც რომელიმე ქართველი მას დაებრიყვება, არ გასცემს ჭეროვანს პასუხს მის უსამართლობას, არ გაუცრუებს წადილს გათახსირებისას და არ დაიცავს თავისს ღირსებასა.

II. 343

* * *

მიიღო კიდევ ჩვენმა სისხლში ამოვლებულმა ბედმა ჩვენი სისხლის შესაწირავი... ნუთუ უსისხლოდ ჩვენი ბედი არას გვითმობს!...

I. 169

* * *

განა ჩვენს შავს ბედს ჩვენი ხელით ეჭირება კიდევ მომეტებული გაშავება?

II. 343

* * *

(მდივანოვი) როგორც კეთილი სომეხი, ანბანშიც კი ახერხებს სომხური პატრიოტობის გამოჩენას... არა, მდივანოვს რომ ეს არ ჩაედინა, განა უიმისოდ არ ვიცოდით, რომ სულელი კაცი პატრიოტობაშიც სულელია?

I. 58

* * *

სალი მამულიშვილობა ძვირფასი საუნჯეა; მაგრამ გადაჭარბება ასუსტებს და ამდაბლებს.

IV. 243

II. ენა

* * *

ბურჯი ერის აღორძინებისა გახლავთ სამშობლო ენა. ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე. თუ ენა ერთ წერტილზეა შეჩერებული, ერის წინ მსვლელობაც მოსპობილია. თუ ენა უკან-უკან მიდის და ლატაკდება, აზროვნებაც ერისა ქვეითდება, უძლურდება, ღარიბდება. სამაგიეროდ, თუ ენა წინ მიდის, დღითიდღე იფურჩქნება, ვითარდება, მდიდრდება ფორმებითა, ერის აზროვნებაც წელში იმართება, ძალღონეს იძენს, აჰყვავების ხანა უდგება. არა უცხო ენას არ შეუძლიან გაუწიოს ერს სამშობლო ენის სამსახური, როგორც დედინაცვალს არ შეუძლიან დასდოს ბავშვს ღვიძლი დედის ამაგი. საშინელს მდგომარეობაში ვარდება ერი, როდესაც მის ენას პატივი და უფლება აქვს აყრილი და იგი მას რიგიანად ვეღარ სწავლობს სკოლებში. ამ შემთხვევაში სკოლა ცუდად მოქმედებს თვით სახლობაზედ, აქაც სუსტდება ღვიძლი ენა. ამის გამო სრული მეტყველება ერში იკარგება, და იგი წარმოადგენს ნახევრად დამუნჯებულ ბრბოსა. სუსტი ენა ჰბადავს სუსტს გრძნობას, სუსტს აზრსა, სუსტს ხასიათსა და ერის ცხოვრებაში დგება უბედური ხანა.

III. 246

* * *

მშობლიური ენა არის მთავარი ბურჯი ერის არსებობისა და წარმატებისა, ესმით, რომ დედა-ენის შეუსწავლელობა მათს შვილებს და აქვეითებს ზნეობითაც, გონებითაც, ხასიათითაც და მისწრაფებითაც...

III. 333

* * *

დედა-ენა — ეს ძირითადი ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა.

II. 207

* * *

დედა-ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული, იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში; იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედ. ყოველს ადამიანს დაბადებიდანვე მიდრეკილება და ნიჭი დედა-ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა სწორედ იმ გვარად, როგორც ბულბულს ჰყვება დაბადებითგანვე ბულბულის გალობის ნიჭი, იადონს — იადონურის გალობის ნიჭი და სხვა. ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედა-ენა ჰხატავს სინამდვილით და სისრულით.

II. 208

* * *

დედა-ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან,

მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით. ამიტომ, როდესაც რომელიმე მშობელი თავის შვილს დედა-ენას აშორებს და უცხო ენას ასწავლის, რასა შვრება ის ამითი? იგი ხელიდან ართმევს თავის შვილს ერთადერთს ძლიერს ღონისძიებას გონების სწორე გახსნისათვის სიპატარავის დროსა, მის ბუნების შესაბამის იარაღსა, რომლის ხმარება და გამოყენება ბავშვს ძლიერ ეადვილებდა, და ძალად აჩეჩებს ხელში იმისთანა შეუსაბამო იარაღს, რომლის მოხმარების შეთვისება ძლიერ ძნელია და რომელიც არას დროს არ გაუწევს ბუნებითის იარაღის სამსახურსა.

II. 208

* * *

დიად, ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალ-მხროვანი, როგორიც არის ბუნება კავკასიონისა, სადაც ერთს პატარა მანძილზე პოლუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევიდგან ძირს დასცქერიან: ბროწეულს, ლელვს, ვაზს, ლიმონს, ფორთოხალს და სხვა ტროპიკულს მცენარეულობას, და სადაც რამდენსაც ნაბიჯს გადასდგამ, იმდენს ახალ-ახალს სურათს შეხვდები. ქართული ენა ისეთივე მრავალ-ფეროვანია, როგორიც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალ-გვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძობითა, დიდი სიზარულითა, ძლიერი მწუხარებითა, და რომელიც წარმოადგენს იმ გვარს ღრმას და დაუსრულებელს ღრამას, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის, ერთი რუსული მწერლისა არ იყოს. ჰკითხეთ ჩვენს იღბლიანს მეზობლებსა: რა გშურთ ქართველებსაო, და ისინი თქვენ დაგისახელებენ ჯერ გაფურჩქვნილს, განვითარებულს ქართულ ენასა და მერე გაერთებულს, შეკუმშულს ტერიტორიასა, მიწა-წყალსა.

II. 205

* * *

დიად, მარტოდენ დედა-ენას შეუძლიან გაუწიოს ბავშვის ბუნებას დალოცვილი გუთნის სამსახური, მხოლოდ მას ძალ-უძს ღრმად შე-

სძრას იგი, მოჰხნას, შეამუშაოს და ავარჯიშოს ძირიან-ფესვიანად. ხოლო ვინც დედა-ენის მაგივრად ჰხმარობს უცხო ენასა, ამ სუსტ ამჟინ-ქნავს კავს, იგი აუცილებლად აღზრდის თავისს შვილებში ზედაპირობას აზრისას, ფუქსავატობას მსჯელობისას, ქარაფშუტობას გრძნობისას და სისუსტეს ხასიათისას. ამ გვარად აღზრდილი ბავშვი თავისს დღეში ვერ გამოსცდის იმ სანეტარო აღტაცებას, რომელშიაც მოჰყავს ბუნების კანონზედ განვითარებული ყმაწვილი ხელოვნურს ხალხოსნურს ლექსს, ან სხვა მშობლიურს ლიტერატურულს მადლიანს ქმნილებას, ვერას დროს მისი ნერვები ვერ ეღირსება იმ საამურს ციებ-ცხელებას, გამაცხოველებელს ჟრუანტელს, რომელსაც ჰბადავს ყველა დაუმანხინებელს ყმაწვილში მშობლიური ჰანგი, სიმღერა, საუკეთესო გამომხატველი ერის სიხარულის და ნაღვლისა, — ვერას დროს ვერ იგრძნობს იმ კეთილშობილს აღტაცებასა და აღმაფრენას, რომელსაც გამოიწვევს ხოლმე მოქმედება რომელისამე გმირი მამულიშვილისა.

II. 218

* * *

მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა, — ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მეხსიერებისა.

II. 210

* * *

როდესაც რუსსო ჰქადაგებდა, რომ ყოველი დედა, თუ მას ჰსურს ჯანმრთელი შვილნი აღზარდოს, თავისს წმინდა მოვალეობად უნდა სთვლიდეს, საკუთარი ძუძუ აწოვოს მათ და მშობლიური რძით გაზარდოს, ეს, რასაკვირველია, იმას კი არ ნიშნავდა, რომ ბავშვებს დედის რძის მეტს ნურას მიაკარებთო, არამედ იმასა, რომ ბავშვის ბუნება ჯერ დედის რძით უნდა საზრდოობდეს, იზრდებოდეს და როდესაც საკმარისად შემავარდება, მაშინ სხვა საჭმლის ძლევაც უნდა დაუწყონ. ყოველი საღის ჭკუის ადამიანი ასე ჰფიქრობს დედა-ენის შესახებაც. პირველს სულიერს საზრდოს დედა-ენა უნდა აძლევდეს ბავშვსა და როდესაც ეს საზრდო გაამავრებს მის გონებასა, მაშინ დედა-ენა უნდა გახდეს სა-

ძირკვლად, რომელზედაც აშენდება უცხო ენათა გონივრული შეთვისება.

II. 222

* * *

ადამიანი, მოკლებული დედა-ენის ცოდნას და მკვიდრს სულიერს კავშირს თავისს სამშობლოსთან და ერთან, მიემსგავსება საბრალო ობოლს, საწყალს სტუმარს, რომელსაც არ გააჩნია თავისი საკუთარი სახლი ამ ქვეყანაზედ. იგი მოგაგონებთ ხიდგან მოჭრილს ტოტსა, რომელიც, დღეს თუ ხვალ, უთუოდ გახმება. იგი შეიძლება ამყნონ სხვა ხეზედ, მაგრამ ჭეროვან სისრულეს იგი არას დროს არ ეღირსება და ვერას დროს ვერ შეედრება ხეს, რომელსაც ფესვები ღრმად აქვს გადგმული თავისს შესაფერს ნიადაგში და რომელიც ამის გამო საესეა ღონით და სიცოცხლით.

II. 237

* * *

დედა-ენა უნდა მეფობდეს ქართულს ოჯახობაში სრულიად და სავსებით და ყოველი პატარა ქართველი მხოლოდ მის ზეგავლენის ქვეშ უნდა იზრდებოდეს და ვითარდებოდეს მთელის შვილის წლის განმავლობაში. ყოველ-დღიური ვარჯიშობა დედა-ენაში მშობლებმა უნდა დააწყებინონ თავის შვილებს მესამე-მეოთხე წლიდანვე. ქართული ენა მდიდარია მეტად მარტივი სახალხო ლექსებით და ზღაპრებით, რომელთა შეთვისება არ გაუჭირდებათ ჩვილ ქართველებსა, თუ დიდები გონივრულს ხელმძღვანელობას გაუწევენ მათ. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა სხვა გვარი საზრდოც, რეალური შინაარსისა. მარტივი საგნების და სურათების შინჯვა და აღწერა კითხვა-პასუხის შემაჯავლობით, ელემენტარული თვალსაჩინო სწავლა უნდა შეადგენდეს ყოველ დღიურს სავარჯიშოსა. ეს ვარჯიშობა ბავშვს შესძენს რეალურს ცოდნასა, დაკვირვების ნიჭსაც გაუფურჩქვნის და ენასაც თანდათან გაუმდიდრებს რეალური ლექსიკონითა.

II. 239

* * *

დროა, დიდი ხანია დროა, ბოლო მოეღოს ამ ფრიად სათაკილო და დამამხობელს ჩვენს მდგომარეობასა. დროა, მონურს ლაჩრობას ზურგი შევაქციოთ და ადამიანური უნარი გამოვიჩინოთ. დროა, ყველამ თავის წრეში უკანონო დაბრიყვება ითაკილოს, შეებრძოლოს მას და აღადგინოს თავისი ადამიანური ღირსება. დროა გავაჩალოთ დაუღალავი, ფხიზელი დაცვა ყოველის ჩვენის დათრგუნულის უფლებებისა, საარსო მოთხოვნილებებისა, გავაჩალოთ არა მარტო ჩვენს ენაზედ, არამედ სახელმწიფო ენის ლიტერატურაშიაც, გავაცნოთ ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა დაწინაურებულს დასს რუსეთისას, დავიხმაროთ იგი და დავიბრუნოთ ღირსეული სახელი და ადგილი კავკასიონის ერთა შორის. დროა დაბალი ღობის მდგომარეობა სამარცხვინოდ მივიჩნოთ ყველამ და მაღალ ღობედ ჩვენს გარდაქცევას მხნედ და გაბედვით ვემსახუროთ.

დროა, თორემ ზეგ და მაზეგ გვიან-ლა იქმნება.

II. 334

* * *

როგორც პოეტობა არ შეიძლება უცხო ენაზე, ისე სარწმუნოებრივი გრძნობა... სარწმუნოება გულის სფერაა, ხოლო გულზე მოქმედებს მარტო დედა-ენა.

III. 251

* * *

პირველდაწყებით გონებრივ სინათლეს უნდა ემსახურებოდეს მშობლიური ენა.

I. 63

* * *

მეტყველებას თავისი მუსიკა აქვს, თავისი ჰარმონია, და ამ მუსიკის საიდუმლოს ენა უზიარებს მხოლოდ ღვიძლს თავისიანებს, მხოლოდ სამშობლოს ძეთა და ასულთა!

II. 221

* * *

ენა საგანძეა ხალხის ჭკუისა, ზნეობისა, გრძნობისა. ენა სულია ხალხისა, ენის წართმევა სულთა-ხდაა და მოდი და მერე იკითხე, ხალხს რატომ არ ვუყვარვარო. ვინ? სულთა-მხდელი? ეგ ბუნების წინააღმდეგია და ამ შემთხვევაში ბუნების ძალა უძლეველია...

I. 181

* * *

ენა, როგორც მოგვხსენებათ, ცოცხალი ორგანიზმია. იგი თხოულობს მუდმივ ზრდას, განვითარებასა. შეაჩერეთ მისი ზრდა და იგი დაჟანგებას იწყებს, უკან-უკან წავა, გალტაკდება, დაჰკნება, დაიმარხება და სამარეში თან ჩაიტანს თავის შემქმნელ ერსაც. ჩააყენეთ იგი ნორმალურს მდგომარეობაში, შეჰქმენით მისი ზრდისათვის საჭირო პირობანი, და იგი განვითარდება, აყვავდება, გამდიდრდება ლექსიკონით და ფორმებით, თავისს ლიტერატურას ააღორძინებს, მეცნიერებას დაბადებს და ააყვავებს ნაციონალურს ნიადაგზედ, და მოუმზადებს თავის შემქმნელ ერს ნათელსა და სანატრელს მომავალსა.

IV. 88

* * *

ენა, რომელზედაც მეცნიერება არ არსებობს, დიდხანს ვერ იცოცხლებს, თუნდაც ბლომად ჰქონდეს ლექსები და მოთხრობები. ხოლო მეცნიერება მაშინ იბადება და იზრდება რომელიასამე ენაზე, როცა ამ ენაზე მიმდინარეობს საგნების სწავლება ყოველს გვარს სასწავლებელში.

IV. 167

* * *

სიკვდილის გზას ადგია ყოველი ენა, რომელიც გამეფებული არ არის ოჯახსა და სკოლაში... იზრდება, ძალით და ღონით ივსება ყოველი ენა, რომელიც მეფობს ოჯახსა და სკოლაში.

IV. 89

* * *

ყოველს ერს აქვს მთავარი ენა, რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს ამ ერის ყველა ნაწილისათვის და იწოდება მის დედა-ენად, და თემიური კილო-კავები (наречия), რომელნიც იხმარებიან ადგილობრივ.

III. 320

* * *

ყოველი ენის შეთვისება დამოკიდებულია გონების განვითარებასა და სიფხიზლეზედ.

IV. 15

* * *

ორაზროვნება სიტყვისა ენის სიღარიბის მომასწავებელია, შეადგენს ნამდვილს მისს ნაკლულევანებას, როგორც ლექსიკონის სიმდიდრე მომასწავებელია აზრების სიმდიდრისა, ისე ფორმების სხვადასხვა ზედგამოჭრილი შემეცნებათა სხვა და სხვაობაზედ, უნდა ჩაითვალოს ენის სისრულის ნიშნად, მისს უეჭველ ღირსებად.

IX. 359

* * *

ევროპაში წინათ შეუნიშნავთ ერთი ფრიად სავალალო შედეგი დედა-ენის უარ-ყოფისა. იგი იმაში მდგომარეობს, რომ ახალი თაობა, აღზრდილი თავისი ენის, ქვეყნის და ისტორიის უფიცობაში და აბუჩად აგდებაში, გულს იცრუებს დედ-მამასა და ნათესავებზედ და ხშირად შვილებრივის სიყვარულის მაგიერ საბუღვილს უჩვენებს მათ და ამ სახით ირღვევა ოჯახობა, სახლობა, ეს ქვა-კუთხედი ყოველის ერის სიმტკიცისა და წარმატებისა. ამ შემთხვევაში დედ-მამა თავისი უკულმართობის გამო ისევე საშინლად ისჯება, როგორც დაისაჯა შჩედრინის ერთი გმირი, რომელმაც შვილის ბედნიერებისათვის ყოველი საძაგლობა ჩაიდინა და ბოლოს შვილის სიყვარულის მაგიერ მისი ზიზღი და სიბუღვილი მოიმკო.

II. 228

* * *

დედა-ენის გაცვლა უცხო ენაზედ მაშინაც კი ადაბლებს კაცის გონებასა და უსუსტებს ზნეობრივს ძალასა, როდესაც იგი სტოვებს თავისს სამშობლო ქვეყანას, შორდება მის ბუნებას და ვარდება უცხო ბუნებისა და ცხოვრების გავლენის ქვეშა. ამ შემთხვევაშიაც იბადება წინააღმდეგობა კაცის ეროვნულ აგებულების და მის მეტყველების შუა და ამ წინააღმდეგობის წყალობით ეს გადაკარგული პირი რამდენისამე ხარისხით ძირს ჩამოდის სულიერად. თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი, თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისაგან დაყოლილი ჰქონდა უბრალო ნიჭი, მტკნარს სიტუტუცზედ ჩამოხტება. ეს ხდება იმიტომ, რომ ეროვნული აგებულება ყოველს კაცს ძლიერ მტკიცედ აქვს შესისხლხორცებული და ამ აგებულების შეცვლა ითხოვს უცხო ბუნებისა და ცხოვრების მეტად დიდის ხნის გავლენასა.

II. 214

* * *

ყოველი ევროპული ენა, რომელიც კი ქართველის ბავშვის გონებაში დაიჭერს დედა-ენის ადგილს, დაბადებს დიდს წინააღმდეგობას მის მეტყველებაში და აგებულობის შორის და მის გონების ვარჯიშობას, მოძრაობას და განვითარებას სწორედ ისევე დაუშლის, როგორც ჩვენს სხეულს აბრკოლებს შეუსაბამო ტანისამოსი, რომელიც ზედ არ არის გამოჭრილი, ზოგან ვიწროა, ზოგან განიერი, ზოგან მოკლე და ზოგან გრძელი. ამ შემთხვევაში, ვიმეორებთ, უღრმესი მხარენი ბავშვის ბუნებისა რჩებიან უსაზრდოდ, უმოქმედოდ, უვარჯიშოდ, ჰკნებიან და მიეცემიან ატროფიას, გაუქმებას. აქ ბავშვის ბუნებას მოსდის იგივე, რაც მოუვა ხოლმე ღრმა სიმსუქნის მქონე მიწასა, რომელსაც იმის მაგიერ, რომ გუთნით მოხნან ღრმად, ზევიდან სჩიჩქნიან უღონო კავით; უანის აღზრდაში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ზედა პირი მიწისა, და ქვემოთა მისნი მსუქანნი ნაწილნი კი უქმად რჩებიან, და ამიტომ მოსავალი ამ გვარად მოხნულს მიწას მოჰყავს მცირე და მდარე.

II. 218

* * *

როდესაც დედ-მამა თავის შვილებს აშორებს დედა-ენასა და მის ნაცვლად აზებირებინებს რომელსამე უცხო ენასა, რასა შვრება იგი ამით? უდიდესს და უბადლო მოძღვარს ხელიდგან ართმევს თავისს შვილებსა და აბარებს მათ უხეირო და უსულდგმულო მასწავლებელს. სრულიად საჭირო არ არის შორს გამჭვრეტი ჭკუა, რომ ამისთანა ბავშვს კაცმა უწინასწარმეტყველოს უნუგეშო მომავალი.

II. 212

* * *

მეტადრე ერთს ფრიად, სიმპატიურს სფერაში აშკარადება უძლურება ყველა უცხო ენისა. ეს განლავთ ნაზის გრძნობის, ალერსის სფერა. ბავშვი, მოშორებული და მოკლებული დედა-ენას, ვერას დროს ვერ მიესაყვარლება თავის მშობელთა და ნათესავთა სრულის გრძნობის გამომხატველი სიტყვებით, ვერასდროს ვერ იპოვნის იმისთანა ღრმად გულში მოსახვედრს გამოხატულებათა, როგორნიც არიან „შენი ჭირიმე“, „შენ გენაცვალე“, „შენ გეთაყვანე“, „შემოგველე“, „წამლად დაგედე“ და მრავალი სხვანი. ამისთანავე უძლურებას ენისას იგივე ბავშვი გამოსცდის დიდობაშიაც თავისს გულის სატრფოს წინაშე, რომელსაც გულის ენის მაგივრად თავისი მხურვალე გრძნობა და სიყვარული უნდა განუცხადოს მექანიკურად დასწავლილი, ცივი სიტყვებითა, მეხსიერების ენითა და ამით შეასუსტოს, შელახოს, და შეურაცხჰყოს თავისი ძლიერი გრძნობა და თავისი წმინდა გულის ტრფიალი.

II. 209

* * *

ამ გვარი უკულმართობა ჰბადავს უთანხმოებას, წინააღმდეგობასა ბავშვის მეტყველებისა და მის სულის და ხორცის შუა და, რომ ამ წინააღმდეგობას დამლუპველი გავლენა უნდა ჰქონდეს ბავშვზედ, ადვილი მისახვედრია. ბავშვი, დაბადებიდგანვე მოკლებული დედა-ენის გამაცხოველებელს გავლენას, ისე ძნელად ისწავლის ჭეროვან აზროვნებას და ისეთივე უხეირო ჭკუის პატრონი გამოვა, როგორც უხეირო მემუსიკედ

შეიქმნება ადამიანი, მესკრიპკედ დაბადებული და მეფორტოპიანედ ძალად გაზრდილი, ანუ უფრო უკეთ: ამ გვარი ბავშვი ეგვანება საცოდავს მერცხალს, რომელსაც ძალ-დატანებით მერცხლის ჭიკჭიკს უკრძალავენ და შოშის სტვენას ასწავლიან. ამ უკულმართი გზით აღზრდილი ბავშვი ვერას დროს ვერ ავა იმ გონების სიმალემდის, რომელიც შეეფერება მის ბუნებითს ნიჰსა, ვერ მიეწევა, ვერ ეღირსება ჩეროვანს სიღრმეს აზრისას და გრძობისას, მეტ-ნაკლებობით გამოვა ნეკერ-ნეკერა, ქარაფშუტა პირი, უხასიათო ადამიანი და იმის ნახევარსაც ვერ გააკეთებს თავისს სიცოცხლეში, რის გაკეთების ნიჰიც მისთვის ბუნებას მიუცია. ასე აშკარად სჯის ბუნება ყველას, ვინც კი მას ჰლალატობს, არღვევს მის კანონებსა და უკულმართად იქცევა.

II. 208

* * *

ჩვენ არ გამოვეკიდებოდით იმ აზრის განმარტებას, რომ ის მშობელნი, რომელიც თავისს შვილებსა ზრდიან გარეშე დედა-ენის გავლენისა, სწყვეტენ კავშირსა მათსა და საშობლოს შორის, უკარგავენ თავისს ქვეყანასა მამულიშვილებს, ამცირებენ იმ რაზმს ქართველებისას, რომელნიც ემსახურებიან საშობლოს წარმატებას, მის ბედნიერებასა, რომ ეს მშობელნი, ერთი სიტყვით, დამნაშავენი არიან საშობლო ქვეყნის წინაშე.

II. 207

* * *

სადაც-კი ჭეშმარიტის განათლების ლამპარი დანთებულია, დედაბოძად მას ჰქონია და აქვს დედა-ენა, სწავლება დედა-ენაზედ, როგორც საუკეთესო ღონე გონების განვითარებისა და ცოდნის შეძენისა, ღონე ბუნებისაგან და ღვთისაგან მინიჭებული და დალოცვილი. რომელს ქვეყანაშიაც კი გადუხვევიათ ამ გზისათვის, იქ გონების გახსნის მაგიერ მისი დახშობა მიუღიათ, განათლების მაგიერ — დაბნელება და ზნეობის გაწმენდის და ამაღლების მაგიერ — მისი დაცემა.

II. 202

* * *

დედა-ენის ზედ-მიწევნით შესწავლა ისეთივე საჭიროა, როგორც ჰაერის სუნთქვა და საჭმლის ხმარება. აქამდინ ბევრს ჩვენგანს სრულიად არ ესმოდა, რომ დედა-ენა, როგორც ბუნებითი იარაღი გონებისა, მტკიცედ შეკავშირებული ადამიანის სულთან და ხორცთან, უკეთესი ღონისძიებაა ნორმალური გონებითი და ზნეობითი გახსნისათვის, რომ ვინც ზედ-მიწევნით არ სწავლობს თავის ენას, ის ვერასოდეს ვერ მიეწევა ჩუროვანს სიღრმეს აზრისას და გრძნობისას და იქნება მეტ-ნაკლებობით ფუქსავატი არსება, თუნდაც რომ მთელი დუჟინი უცხო ენები იცოდეს...

III. 482

* * *

ბავშვი, რომელიც გავარჯიშებულია — ყოველი აზრი გამოთქვას თავისს დედა-ენაზედ შესაფერის სიტყვებითა და ფრაზებით, რომელსაც მეტყველების ნიჭი გახსნილი, გაღესილი აქვს, ყოველს უცხო ენაზედ უფრო ადვილად ეჩვევა თავისი აზრი სწორედ, მკაფიოდ გამოსთქვას, გარნა თუ იგივე ბავშვი ააცდინეს თავისს ღვიძლს მეტყველებას, ვერასოდეს ვერ შეითვისებს უცხო ენის მარჯვედ ხმარებასა: მეტყველი დედა-ენაზედ ადვილად შეიქმნება მეტყველი უცხო ენაზედ...

IV. 15

* * *

რომელ მიზეზს უნდა მივაწეროთ ამ გვარი ღალატი დედა-ენისა ქართველისავე შვილისაგან, ღალატი, რომელსაც ვერ გაბედავდა უცხო თემის კაციც კი? გონების სისუსტეს და სიბნელეს თუ ზნეობითს სიმახინჯეს, რომელიც ჩინოვნიკური ერთგულების გამოჩენისათვის არ დაზოგავს არც ერთს დაბალ ღონისძიებასა? — თუ ორივე მიზეზს ერთათა?

I. 51

* * *

უცხო ქვეყნელები ჩვენს ქვეყანაში გრძნობენ საჭიროებას ჩვენი ენის ცოდნისა, არა ერთი მათგანი სწევს დიდს ჯაფასა მისი შესწავლი-

სათვის, და ჩვენ კი არ გვესმის ამ ცოდნის მნიშვნელობა და არა გვსურს ვიკისროთ შრომა მისი სრული შესწავლისათვის.

III. 482

* * *

ქართული ენის დაჩაგვრა არის მავნებელი თვით რუსული ენისათვის, მისი გაძლიერებისათვის ჩვენ ქვეყანაში და ერთობის დამყარებისათვის, განმტკიცებისათვის.

I. 194

* * *

დროა გამოვფხიზლდეთ, უზრუნველობას თავი დავახწოთ და ჯეროვანი სიბრძნე გამოვიჩინოთ დედაენის უფლების აღსადგენად და მის ასაყვავებლად.

IV. 335

* * *

ჩვენ ყველამ წმინდა მოვალეობად უნდა დავსახოთ მტკიცედ დაცვა და აღორძინება ქართულის დედაენისა სამეგრელოსა და სვანეთის ეკლესიებში და სკოლაში, ისეთივე მტკიცე დაცვა, როგორც მტკიცედ იცავდნენ ამერნი, იმერნი — მეგრელები და სვანნი — ამ ეროვნულს საუნჯეს მრავალ საუკუნის განმავლობაში, ნებითა და შეწევნითა ღვთისათა.

III. 480

III. სარწმუნოება

* * *

ბურჯი ერის წარმატებისა არის ეკლესია. წინად ჩვენი ეკლესია სასიქადულოდ აღასრულებდა თავის მაღალს დანიშნულებასა. მან ჩვენს ერში დანერგა ძლიერი სარწმუნოებრივი გრძნობა, მოჰფინა ველნი და მთანი მდიდარი ტაძრებით და მონასტრებითა, შეჰქმნა სასულიერო ლიტერატურა, შეაერთა ქართველებში ერთად მაცხოვრის და მა-

მულის მხურვალე სიყვარული და თვით კავკასიონის მთებიც-კი გახდა ასპარეზად სახარების ძლევამოსილი ქადაგებისა. თუ საქართველომ მთელის თხუთმეტის საუკუნის განმავლობაში გაუძლო აუარებელს და მძლავრს მტრებს და კავკასიაში დიდი ადგილი დააჭერინა მართლ-მადიდებელს ქრისტიანობას, ამისათვის უაღრესად უნდა ვმადლობდეთ ქართულს ეკლესიასა. ახლა რაღასა ვხედავთ? მონასტრები და ეკლესიები დაცალიერდნენ და დღითი-დღე უფრო ცალიერდებიან, სახარების ქადაგება იშვიათად ისმის და ისიც ისეთის ენით, ისე უგულოდ, რომ ხალხზე არავითარი გავლენა არა აქვს, სარწმუნოებრივი გრძნობა ჩამქრალია, ზნეობა დაეცა, წარმართულნი, პირუტყველი მიდრეკილებანი უფრო იღვიძებენ და ძლიერდებიან.

III. 249

* * *

კარგად მოგეხსენებათ, რომ ეკლესია და სკოლა არის სათავე ხალხის ზნეობისა, ეთიკისა, ზოლო თვითონ ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა. ზნედაცემული ხალხი მაშინაც-კი წააგებს ბრძოლას არსებისათვის, როდესაც იგი ცოდნას არ არის მოკლებული. იმპერატორების დროის რომი ბევრით სჯობდა ცოდნით ძველს რომსა; მაგრამ პირველი მუდამ იმარჯვებდა უძლიერესს მტრებზე იმის გამო, რომ სპეტაკი ზნით ბრწყინავდა; მეორე-კი უფიცმა, ველურმა ხალხებმა ფეხქვეშ ჩაიგდეს, გათელეს და შემუსრეს, იმიტომ რომ ზნეობრივი გახრწნილობით იყო შეპყრობილი. ჩვენს ერსაც ამისთანავე ბოლო მოელის, თუ სკოლა და ეკლესია არ ჩავარდნენ თავისს კალაპოტში, არ გახდნენ სასუსებით ღირსნი თავისი მალალის დანიშნულებისა.

III. 250

* * *

ეკლესიის სულსა და გულს შეადგენს, როგორც მოგეხსენებათ, სამღვდელეობა. ჩვენში იგი უკიდურესად დაქვეითებულია და ბევრად დაბლა სდგას თვით რუსეთის სამღვდელეობაზედაც. როგორ და რა გზით უნდა ამალდეს იგი? ამისათვის უპირველესად ყოვლისა

საჭიროა, რომ მან სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში მიიღოს უფრო შესაბამი მომზადება და იმდენადვე შეითვისოს ქართული ენა, ქართული ლიტერატურა, სასულიერო და საერო, ქართული ისტორია, რამდენადაც რუსეთის სასულიერო ახალგაზრდობა ითვისებს რუსულს ენას, ლიტერატურას და ისტორიასა. ამის გარდა, მიუცილებლად საჭიროა, რომ საღვთის-მეტყველო საგნები მაინც ისწავლებოდეს როგორც დაბალს, ისე მაღალს კლასებში ქართულს ენაზე, რათა მომავალმა მწყემსებმა ღრმად შეითვისონ როგორც შინაარსი, ისე ენა ღვთის-მეტყველებისა, ის ენა, რომელზედაც იგინი მოვალენი არიან სამწყსოს უქადაგონ მაღალი სწავლა სახარებისა.

III. 250

* * *

ჩვენში, ქართველებში, სარწმუნოებას მეტად ასუსტებს ის გარემოება, რომ საღმრთო სჯული ყველა სასწავლებლებში ისწავლება არა დედა-ენაზე, არამედ რუსულზედა. უმაგალითოა ასეთი დაბრკელება ქართველობისა; რუსეთის იმპერიაში ასობით სცხოვრობენ სხვა-და-სხვა ერები, სხვა-და-სხვა სარწმუნოების მადიარებლნი: და რომელს ენაზე სწავლობენ ესენი საღმრთო სჯულსა? მხოლოდ დედა-ენაზე, ყველანი დედა-ენაზე; რუსული ენა ამათ შორის არავითარ მონაწილეობას არ იღებს საღმრთო სჯულის გაკვეთილებში. მხოლოდ ქართველობა შეადგენს სავალალო გამოკლებასა. ამ დაბრკელებას სამგვარი ვნება მოაქვს: სარწმუნოებრივი გრძნობა ქართველს მოსწავლეს არამც თუ არ უვითარდება, არამედ უსუსტდება და უჭკნება. ეს იმიტომ, რომ სარწმუნოება გულის სფერაა, ხოლო გულზე მოქმედებს მარტო დედა-ენა, ყოველი უცხო ენა აქ, როგორც ენა მენსიერებისა, უძლურია. როგორც პოეტობა არ შეიძლება უცხო ენაზე, ისე სარწმუნოებრივი გრძნობა. მეორედ, როცა სხვა ერების შვილები თავისს დედა-ენას სწავლობენ საღმრთო სჯულის გაკვეთილებზედაც, ქართველი ბავშვები სრულიად მოკლებულნი არიან ამ სიკეთესა. მესამედ, სხვა ერების შვილებს მოძღვრებად ჰყავთ ღვიძლი შვილები თავისი ერისა, ნამდვილნი მამანი, ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა-კი უცხო მამინაცვლების ხელშია და მოკლებულია მშობლიურს გავლენასა. მიუცილებლად საჭიროა, რომ

ქართველობამ ეს დაბრძენება და უკიდურესი უსამართლობა თავიდან აიცილოს და მთავრობასთან დაუინებულად იშუამდგომლოს, რომ საღმრთო სჯულის სწავლება როგორც დაბალს სასწავლებლებში, ისე საშუალოში ქართველის ყმაწვილებისათვის აწარმოვონ მათს დედა-ენაზე.

მაგრამ ყველა ეს ცვლილება და სხვებიც მხოლოდ მაშინ მოიტანს სანატრელს ნაყოფსა, როდესაც საქმე სათავეშივე გასწორდება და ქართველი ეკლესიის მეთაურად გახდება ღვიძლი შვილი თავისი სამწყსოსი, რომელიც მოუღებს ბოლოს გადაგვარების პოლიტიკას და ჩვენს ეკლესიას ჩააყენებს სახარების კალაპოტში.

III. 251

* * *

ხალხის არსებობას და წარმატებას ორი ბურჯი ჰქონია და აქვს: სარწმუნოება და ცოდნა, ეკლესია და სკოლა.

II. 443

* * *

რა გინდ მშვენიერი იყოს ეკლესია, იგი არავის არ აცხონებს, თუ მუდამ ცარიელი სდგას და მასში არ გაისმის ლოცვა და ვედრება ქრისტიანთა.

II. 277

* * *

რაც უფრო წმინდაა ხალხის რელიგიური მსოფლქვერეტა და რაც უფრო მტკიცედ იცავს ხალხი წმინდა ქრისტიანული ზნეობის წესებს, მით უფრო მეტი იქნება წესიერება და რეგულარობა მის ცხოვრებაში და მით უფრო მალლა უნდა იდგეს მისი მატერიალური კეთილდღეობა.

I. 99

* * *

სარწმუნოება, სასოება მთლად და სავსებით სუფევს ადამიანის გულში, და მხოლოდ გულში. ღმერთი არის მეუფე გულის, და მხოლოდ გულისა. ის მხურვალე გრძნობა, რომლითაც ადამიანი მიმარ-

თავს უფალსა, საესებით გამოიხატება მხოლოდ დედა-ენით, იმიტომ რომ მხოლოდ დედა-ენა არის ენა გულისა, გრძნობისა. სხვა ენა აქ ყოვლად უძლურია. მხოლოდ დედა-ენაზედ შეიძლება ილოცოს ადამიან-მა გულმხურვალედ...

II. 210

* * *

სად თქმულა და გაგონილა, რომ ხალხს, რომელიც თავისივე ფულით თხოულობს სასულიერო პურსა და გონებრივს ნათელსა, აჩეჩბდნენ ხელში ქვასა და სიბნელესა, აშორებდნენ ღმერთსაცა და განათლებასაცა, არჩენდნენ მას ორ-წყალ შუა და აველურებდნენ, წინააღმდეგ პირდაპირი კანონისა.

II. 330

* * *

სად თქმულა და სად გაგონილა, რომ სახელმწიფოში ყველა ჯურის სარწმუნოება, ყველა გვარი ეკლესია, ქრისტიანული, თუ არა ქრისტიანული, სარგებლობდეს სრული თვითმართველობით და მწყემსებად ჰყავდეს თავისივე ღვიძლი შვილნი, ხოლო ამ უფლებას მოკლებული იყოს მთელს სახელმწიფოში მართო ერთად ერთი ერი, ნებაყოფლობით შეერთებული სახელმწიფოსთან, ერთმორწმუნე მთავარხალხის, და ერთგული მიმდევარი პოლიტიკურის ერთობისა.

II. 330

* * *

სამღვდელოების კეთილ-განწყობა მეტად დიდი რამ არის იმ ღვაწლისათვის, რომელიც ვალად ჰსდევს სამღვდელოებას ღვთისა და კაცის წინაშე. სამღვდელოება გვერდით უდგა თვითონ ხალხსა, სამღვდელოებას ამით ღონისძიება აქვს დღე მუდამ ჩასცქეროდეს ხალხის ცხოვრების დუღვას და ჭეშმარიტის გულის-ტკივილით მოსილი, ჭეშმარიტის მცნებით გაბრწყინებული ჰსწვრთნიდეს ხალხსა ქადაგებით და თავისი ცხოვრების მაგალითით.

I. 183

* * *

ღვიძლი სიტყვა ფრთაა ლოცვისა, ღვიძლის სიტყვით უფრო ადვილად, უფრო სუბუქად, უფრო მეტის ალტაცებით და მხურვალეობით აღიმართება ზოლმე კაცის გული ღმერთამდე და თვითონ ღვთის მადლიც უფრო მეტის ძლიერის, მეტის სასოებით მიახწევს ზოლმე კაცის გულის სიღრმემდე. აქ უარ-ყოფა ღვიძლის-სიტყვისა უარ-ყოფაა თვითონ ლოცვისა, უარ-ყოფაა ლოცვის მადლისა, ლოცვის მაცხოვრობისა, ლოცვის ნუგეშის-ცემისა.

I. 185

* * *

არა წოდებას არა აქვს ისეთი დაახლოებითი კავშირი ხალხთან, როგორც სასულიეროსა...

I. 373

* * *

სწავლა, განათლება, — ერის გაბედნიერების, კეთილდღეობის ბურჯია. ამიტომ ყოველი სამღვდელეობა განათლებაზედ უნდა ზრუნავდეს.

I. 267

IV. ეროვნული სკოლა

* * *

ბურჯი ერის წარმატებისა გახლავთ სკოლა. რომელ ქვეყანაშიც კი უმრავლესობათ სკოლები, ყველგან მათ მოუხდენიათ საოცარი ძირითადი ცვლილება: ერი გამდიდრებულია ცოდნით, ამალღებულია ზნეობით, ავსილა დოვლათით.

III. 247

* * *

კარგად მოგეხსენებათ, რომ ხალხის განათლება დედა ბოძია, მთავარი ბურჯია ქვეყნის კეთილდღეობისა, ბედნიერებისა... სკოლა არის უპირველესი და უძლიერესი წყარო ხალხის განათლებისა.

II. 464

* * *

ჩვენი ერთმანეთის დაურღვეველის კავშირის გაბმაც უეჭველია(...). რა გვიხსნის გზას მაგ კავშირის გაბმისათვის? აკაკი წერეთელმა კსთქვა, და ჩვენც ვიტყვით, რომ ამისთვის ერთი უებარი სახსარია: სწავლა, ცოდნა და მეცნიერება.

I. 169

* * *

სწავლა, ცოდნა, მეცნიერება ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ველარაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჭართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიებისათვის, თუ მაგაში ფეხი გავიდგით, თუ მაგაში წინ წავდექით, ჩვენი ეხლა დაუძლურებული ღონე ამოხეთქს მაგარ ფესვებს...

I. 169

* * *

საქართველო ეკუთვნის იმ ქვეყნების რიცხვსა, სადაც ხალხის განათლება პირველს საჭიროებას შეადგენს და სადაც მას შეუძლიან უდიდესი სიკეთის მოტანა.

I. 249

* * *

ქართველები ვიჩინთ საშინელს გულ-გრილობას ამ უდიდეს საქმეში უფრო იმიტომ, რომ მისი მნიშვნელობა სრულიად არ გვესმის. ევროპა, რომელსაც ახლა სავსებით შეგნებული აქვს ხალხის განათლების ძლიერი გავლენა ქვეყნის ბედის ტრიალში, მოქმედობს ისეთი ენერგიით და ისეთი მხნეობით ებრძვის ხალხის უმეცრებას და ძირიანად ამოფხვრას, რომ ჩვენ დროს დაერქვა პედაგოგიური დრო, პედაგოგიური საუკუნე.

I. 250

* * *

სადაც სასწავლებლები არიან ერთი სისხლი და ერთი ხორცი ერისა, სადაც ივინი დამყარებულნი არიან ნაციონალურს ნიადაგზედ, სადაც ქვეყანას ნამდვილ მამულიშვილთ უმზადებენ, სადაც მართავენ მათ თავის სამშობლოს ერთგულნი და მისი ბედნიერის მომავლის აღმშენებელნი, იმისთანა სასწავლებელს ყოველ გვარი შესაწირავი კეთილად შეერგება და არას დროს შხამად არ ექცევა.

I. 262

* * *

სისტემა დამყარებულია სამს დედა-აზრზედ, პრინციპზედ, რომელნიც მდგომარეობენ შემდეგში:

პირველად, დედა-ენა უნდა იყოს ცენტრი სახალხო სკოლის კურსისა და მის რიგიან შესწავლაზედ უნდა იყოს მიქცეული უმთავრესი ყურადღება;

მეორედ, სწავლება ყველა საგნებისა უნდა მიდიოდეს დედა-ენაზედ მთელის კურსის განმავლობაში;

მესამედ, რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანი, და მის დაწყებას უნდა ჰქონდეს ადგილი მხოლოდ მესამე წლიდან.

X. 201

* * *

ღიახ, კარგად გახლავთ ხე მოვლილი, ლაზათიანად არის ყოველი მხრით შემკული, მაგრამ ნაყოფს-კი სრულიად დამპალს და შხამს ისხამს. რათა ხდება ესა? რა შხამავს და აჭიანებს მის ნაყოფსა? ხე გახლავთ სრულიად უფესვო და დაშორებულია დედამიწასა, ნიადაგსა. აი ჭეშმარიტი მიზეზი მისი უვარგისობისა, მისი უმზავსობისა. ბევრს წყალს ასხამენ დამრგველები მის ღეროს, მის ტოტებს, მის ფოთლებს, კაი ძიძასავით ეფერებიან, მაგრამ ყველა ეს ამაოდ მიდის. ხე აძლევს მათ მარტო მახინჯს, უვარგისს და საწყენ ხილსა.

ყველა სკოლა, განსაკუთრებით სახალხო, დედა-ენაზედ უნდა იყოს დაფუძნებული; დედა-ენით უნდა საზრდოობდეს, მით უნდა ვითარდებოდეს, მით უნდა ხარობდეს. დედა-ენა სულია სკოლისა. თვით ლატაკი სკოლა მძლავრია, როცა მას ხალხში ფესვები აქვს გადგმული დედა-ენის შუამავლობით. თვით უმდიდრესი, ყოველი მხრით შემკული სკოლა უძლურია, როცა ამ ნიადაგს მოკლებულია. ეს ყველგან აქსიომად მიაჩნიათ; მაგრამ უკუღმართი გონება და მიმართულება უარს ჰყოფს ბევრს აქსიომას. ხშირად ჩვენში ჩიუტურად გვესმის; ორჯელ ორი კართოფილის სანთელია და არა ოთხიო.

l. 191

* * *

დედა-ენის გამოძევება შეადგენს სასიკვდილო სენს „ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ სკოლებისას. ეს ხუთავს მათს სულსა და აუძლურებს. ამისთანა სკოლა საპყრობილეთა ყმაწვილის ნორჩის ბუნებისათვის. სამშობლო სიმღერას ის აღტაცებაში არ მოჰყავს, სამშობლო ლექსი მას გულს არ უხალისებს და არ უვსებს კეთილშობილი გრძნობებითა; დვიძლი ანდაზები, გამოცანები, ზღაპრები, მოთხრობები და კიდევ სხვა ხალხის ჭკუის ნაწარმოები მის გონებას არა ხედება, არ ავარჯიშებს და არ უსხამს ფრთებსა. სამაგიეროდ აქ სუფევს გულ-მოსაკლავი, უაზრო ზეპირება გაუგებარი სიტყვებისა და მშრალი მექანიზმი. სკოლა მოკლებულია გამაცხოვებელ სიხარულს, რომელიც ბავშვის ბუნებისათვის იმისთანავე საჭირო სტიქიაა, როგორც წყალი თევზისათვის. ყველა ეს საზოგადოების სკოლებს ამზგავსებს კუბოსა, მდიდრულად მორთულსა, სიყვარულით მოკაზმულსა, გარედგან აყვავებულსა, მაგრამ შიგნით-კი გაჭედილს უსულო მძოვრით.

l. 192

* * *

ბირველი ექვსი თვის განმავლობაში ქართულის მეტს არა საგანს არ უნდა ჰქონდეს ადგილი სკოლაში.

l. 47

* * *

(ნათიევი) ფიქრობს: რამდენიც უფრო ბევრ საქმეს მიაყრი ბავშვის ნორჩ გონებასა, იმდენი უფრო კარგი იქნებაო (...). ვისაც კი ცოტა-ოდენი მოაზრება აქვს, ვისაც კი ცოტაოდენი ესმის ბავშვის გონების გახსნის კანონი, იგი ადვილად მიხვდება, რომ ამ გვართ პირველდაწყებითი სწავლის წაყვანა ბუნების წინააღმდეგია და ბავშვებს, გინდ ისინი გენიოსებიც იყვნენ ბუნებით, ტვინი უნდა გაუწყალოს და გონება დაუსახიჩროს.

I. 45

* * *

თუ დიდს ადვილად სწყდება წელი, როდესაც მას მომეტებულ ტვირთსა ჰკიდებენ, უფრო ადვილათ არ უნდა მოსწყდეს ბავშვს გონება, როდესაც მის ტვინს აუტანელ შრომას აყენებენ! საუბედუროთ, ეს გონების ჩაწყვეტა ბავშვს მაშინვე როდი ეტყობა, არამედ შესამჩნევი ხდება მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ და, როდესაც ბავშვი სრულიად კარგავს სწავლის ნიჭსა და შეძლებასა.

I. 45

* * *

ღელა მიწის ზურგზედ საქართველოს გარეთ თქვენ ვერ იპოვით იმისთანა შკოლას პატარა ბავშვებისათვის, სადაც რომ მათ მაშინვე, სკოლაში შესვლის უმალ, აწყებინებდნენ სამშობლოს წერა-კითხვასთან უცხო წერა-კითხვის სწავლებასაცა. ვერ იპოვით იმიტომ, რომ მართო სამშობლოს წერა-კითხვის სწავლება მეტათ რთული საქმეა და ბავშვს ამ საქმის დაძლევა მაშინაც კი უძნელდება, როდესაც მისი ყურადღება დამყარებულია მართო ამ საგანზედ.

I. 44

* * *

საზოგადოთ ბავშვის ჩვილ და სუსტ გონებას ერთსა და იმავე დროს მხოლოდ ერთი სიძნელის ატანა შეუძლიან. თუ მას ერთათ დააწყებინებენ ორს ან სამ საქმესა, ადვილათ შეიძლება მას გონება ჩაუწყდეს და დაუმახინჯდეს. ამიტომ პედაგოგიაში არსებობს ერთი კანონ-

ნი, რომელიც ამ გვართ გამოიხატება: ერთ ბაშათ ბავშვს მიეცეს მართო ერთი სიძნელე.

I. 44

* * *

დაწყებით სკოლებში რაც უფრო განსაზღვრულია სასწავლო პერსონალი, მით უფრო მალე იღებს წესიერ სახეს მეცადინეობა, მით უფრო მალე მყარდება მთლიანობა სწავლაში, მით უფრო უზრუნველყოფილია წარმატება.

I. 19

* * *

როცა ქართველები ხმას ამოიღებენ: — სემინარიაში ქართული ენა მაინც რიგიანად ასწავლეთო, მომავალს მწყემსებს ერისაო, მაშინვე გაისმის დაბეზლება სეპარატიზმისა და სხვა იზმებისა.

II. 303

* * *

მართო ოჯახის ერთგულება არა კმარა დედა-ენის გასაძლიერებლად. სკოლა, ეს უძლიერესი კულტურული ღონისძიება, უნდა ეპყრობოდეს ქართულს ენას სრული პატივით, როგორც უსაჭიროეს საგანს.

II. 240

* * *

უგუნური მშობლები კი, როდესაც თავის ჩვილს ბავშვებს რამდენსამე ენაზედ მოტიტინეს ჰხედავენ, ალტაცებაში მოდიან და დიდებულის მომავლის საწინდრად სთვლიან ამას. ის კი არ იციან, რომ ამ გვარის აღზრდით თავისი შვილების მომავალს საფლაგში ჰმარხავენ თავისივე ხელით.

II. 216

* * *

ისიც ყველამ უწყის, რომ თუ ბავშვს სკოლამ გაუხსნა გემო სწავლისა, საქმე მოგებულად უნდა ჩაითვალოს. ყმაწვილი, რომელმაც ცოდნა იგება, სკოლის შემდეგაც ეძებს ამ ცოდნასა, გახსნილს მადან თავისი გონებისას აკმაყოფილებს ყოველი ღონისძიებით, სულ ახალ-ახალი აზრები სწყურიან, ცდილობს აავსოს აუზი თავისი გონებისა ახალის შინაარსითა. რადგანაც ქართული ლიტერატურა უფრო ღარიბია რუსულზედ, ამიტომ მარტო პირველს ვერ დასჯერდება და მეორეზედ გადავა უთუოდ. მაგრამ განა ნორმალურს სკოლას შეუძლიან გაუღვიძოს ბავშვს მადა სწავლისა, როდესც აქ ყველაფერი უგემურად არის მოწყობილი; თითქო განზრახ სურს ცოდნის მადა სრულიად დაუკარგოს ბავშვსაო?!

II. 461

* * *

პირველდაწყებითი სწავლების პირდაპირი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ განუვითაროს ბავშვს გონება.

I. 112

* * *

ისე არაფერი უთხელებს ბავშვს ტვინსა, უსუტებს გონებას და უუძღურებს პაზროვნებასა, როგორც საგნების კენწეროების ტოტინი და მეტადრე მრავალი საგნებისა. ნეკერაობა სამართლიანად ითვლება გონების გამაფუჭსავატებელ და დამამხობელ მიზეზად როგორც დიდებისათვის, ისე ბავშვებისათვის — და ჩვენი პედაგოგები კი ამ ნეკერაობას აუცილებელ სენათა ხდიან სახალხო შკოლებისათვის.

I. 147

* * *

სწავლა და განათლება უფესვოა იქ, საცა უდიდესი ნაწილი ხალხისა კარ-დახშულია, მოკლებულია სწავლის სახსარსა.

I. 170

* * *

ბავშვმა ჯერ თავის ენა და წიგნი უნდა შეისწავლოს და მერე უცხო ენის და წიგნის სწავლას შეუდგეს. თორემ თუ ერთსა და იმავე დროს დააწყებინებენ მას ორი ენის სწავლასა, ერთად აჰკიდებენ ბავშვის გონებას ორს ტვირთსა, იგი ვერც ერთს ვერ მოერევა, ტვინი დაეჩაგრება, დაუსუსტდება და ვერც ერთ საგანს ვერ შეისწავლის.

I. 207

* * *

შესწავლა უცხო ენისა შესაძლებელია მხოლოდ მისთვის, ვისაც გონება ღრმად აქვს განვითარებული, ვინც მშვენიერად იცის თავის დედა-ენის ბუნება, ვისაც კარგად ესმის ენის გენია, აგებულება, შენობა, ვინც ახალი ენის სწავლების დროს ყოველს ნაბიჯზედ ადარებს მას ლექსიურის და გრამატიკულის მხრით თავის დედა-ენას და სხვა შესწავლულს ენებსა.

I. 443

* * *

ყოველმა მოკეთემ ქართველებისამ დაჟინებით უნდა ურჩიოს მათ: ისწავლეთ, რაც შეიძლება ღრმად და ზედ-მიწევნით ევროპული ენები და სვით ევროპული მეცნიერება ხარბად და გაუმადლად... მაგრამ ამასთან არას დროს არ უნდა დაივიწყოთ, რომ ყოველი ევროპელი ჯერ საფუძვლიანად ითვისებს თავისს მშობლიურს ენასა და მხოლოდ მასუკან შეუდგება ხოლმე უცხო ენების ცოდნის შეძენას.

II. 223

* * *

მხოლოდ მტერს შეუძლიან ურჩიოს ქართველებს: შეაქციეთ ზურგი უცხო ენებსა და დარჩით მარტო დედა-ენის ამარაო.

II. 223

* * *

ევროპულ ენათა შესწავლას და ცოდნას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ყველასათვის და განსაკუთრებით ჩვენთვის, რომ ამ მნიშვნელობის გაზვიადება შეუძლებელია.

II. 222

* * *

რომელსამე უცხო ენაზედ საგნების სწავლება მხოლოდ მაშინ არის შესაძლო და შემრგო, როდესაც ეს ენა მოსწავლეებს შეთვისებული აქვთ მეტნაკლებობით. ამ ჭეშმარიტების, ამ მოთხოვნის სიმართლე ესმის ყველა უბირი ჭკუის პატრონსაც-კი და პედაგოგის ცოდნა აქ სრულიად საჭირო არ გახლავთ. შეარყიეთ, დაარღვიეთ ეს დედა-აზრი და ქართულს ენას სახალხო სკოლებში ანდერძი აეგება. ამ დედა-აზრს არ ღალატობს ოფიციალური გეგმა, რომელიც ამწესებს სწავლას პირველის ორის წლის განმავლობაში დედა-ენაზედ. ბ-ნს როსტომაშვილს-კი საგნების სწავლება პირველივე წლიდან რუსულს ენაზედ მიჰყავს პარალელურად. ამითი იგი აუქმებს პედაგოგიურს გზას რუსულის ენის სწავლებაში, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ქართველმა ბავშვმა ჯერ უნდა შეისწავლოს რუსული ენა იმ მხრივ, რომლითაც იგი ემსგავსება ქართულს ენასა და მერმე გადავიდეს სხვა, განსაკუთრებულსა და რთულს მხარეებზედ. ამით იგი, როგორც უკვე მოვიხსენეთ წინა წერილში, აუცილებლად ჰხდის უწყალო კბილაობის (зубрение) გამეფებას სახალხო სკოლაში და ამასთან ძირს უთხრის საგნების სწავლებას დედა-ენაზედ იმავე თავით.

II. 430

* * *

ჩვეულებრივის ნიჭის პატრონი ქართველი ჭკუით მოიქცევა, თუ ქართულსა და რუსულს გარდა შეეჭიდება მხოლოდ ერთს რომელსამე

ევროპიულს ენასა და ისწავლის მას კარგად, ზედმიწევნით, ღრმად. სამისა და ოთხის ევროპიულის ენის გამოდგომა ამისთანა პირს არ მოუხდება: ვერც ენებს შეისწავლის ხეირიანად და აზროვნობაც დაუქვეითდება, რადგანაც შინაარსით გამდიდრების მაგიერ სულ ფორმებით გამდიდრებაში იქნება გაბმული. ეს ჩვენი რჩევა, რასაკვირველია, არ შეეხება განსაკუთრებულის ნიჭის პატრონებსა, რომელთაც შეუძლიანთ სრულად შეითვისონ რამდენიმე ენა და თავისი გონების სიმდიდრესაც ზარალი არ მისცენ.

II. 225

* * *

მშობლიურს ენაზე წერა-კითხვა არათუ შეადგენს მოსახლეობის არსებით აუცილებლობას, არამედ უაღრესად აადვილებს რუსული წერა-კითხვის შესწავლასაც.

III. 402

* * *

რაც შეეხება გონების განვითარებასა და ცოდნის შეძენას, განა ეს შესაძლებელია იქ, სადაც მთელი სწავლა მოწყობილია ჭერ შეუსწავლელს ენაზედ და სადაც აუცილებლად სუფევს ტვინის გამაწყალებელი კაქკაჭური გაზეპირება.

IV. 11

* * *

ერთის მხრივ გულწრფელს და საქმის ერთგულს სახალხო მასწავლებელზედ უპატიოსნისი პირი არ მოიძებნება, სამაგიეროდ მეორეს მხრივ იმაზედ უსაძაგლესი აღარა იქნება-რა, როდესაც მასწავლებელი ივიწყებს თავის მოვალეობას, დალატობს ხალხის განათლებას და უკუღმართს გზაზედ აყენებს მას იმ განზრახვით, რომ ვისმეს ჩინოვნიკურად აამოს და ამით ეგებ ცოტაოდენი კერძო ჯილდო დაიმსახუროს საზიზღარი მეტაბლესავით.

I. 203

* * *

ჩვენ გვესაჭიროება სახალხო მასწავლებლები, რომლებიც რუსულ ენასთან ერთად სრულყოფილად უნდა ფლობდნენ იმ ენებსაც, რომელზედაც ლაპარაკობს მოსახლეობა, რომლის ხარჯზედ სკოლა იმყოფება და რომელიც, როგორც მშობლიური, ბავშვებისათვის ერთადერთი გასაგები ენაა.

I. 62

* * *

მოგეხსენებათ, რომ ფუტკარი იკვებება თაფლით, რომელსაც აკეთებს; მხენელ-მთესველი სცხოვრობს ჭირნახულითა, რომელიც მას მოჰყავს თავის მარჯვენით და ოფლით. სამართალი მოითხოვს მასწავლებლებსაც წილი დაედოთ იმ თაფლში, რომელიც ჰმატულობს მათის შრომის მეოხებით.

III. 199

* * *

ისე დამლუპველი და დამამხობელი არსად არის, როგორც ხალხის განათლებაში, ძებნა პირადი ინტერესებისა, ნივთიერის სახსრის გაძლიერებისა, ფულის მოპოვებისა, — მეტადრე იქ, სადაც დედა-ენას ზოგიერთნი ეპყრობიან ისე, როგორც ავი დედინაცვალი ეპყრობა თავის მოძულეზულ გერსა.

III. 73

* * *

ვისთვის უნდა არსებობდეს ჩვენი სკოლა: ღარიბთათვის, თუ მდიდართათვის? ორთავესათვისა, მდიდარმაც და ღარიბმაც უნდა საზოგადო განათლებასთან ერთად აქ შეიხორციონ ქართული მამულიშვილობა, აივსნენ ქართულ თავისებურობით და გახდნენ ნამდვილნი, სრულნი ადამიანები, გამოსადეგნი თავის სამშობლოსათვის და სასარგებლონი სახელმწიფოსათვის, რომელთანაც განგებამ შეაერთა ჩვენი ბედი და უბედობა.

II. 288

* * *

ერთი ძირითადი კანონი პედაგოგიისა ამბობს: ერთდღე შეცდომასაო, ისე საჭირო არას დროს არ არის ამ კანონის დაცვა, როგორც სწავლის დასაწყისში.

V. 681

* * *

სახელმძღვანელო ორპირი ბასრი ხანჯალია, რომელსაც შეუძლიან დიდი სიკეთეც დათესოს და დიდი სიბოროტეც ჩანერგოს სკოლის და ხალხის ცხოვრებაში. თუ მასში იხატება სალი, გონიერი მიმართულება, დამკვიდრებული პედაგოგიურს და ეროვნულს პრინციპებზედ, სახელმძღვანელო აყენებს სწავლას სწორედ და მტკიცე გზაზედ, აწარმოებს მას ნაყოფიერად და უწევს დიდს სამსახურს სკოლასაც და საზოგადოებასაც. მაგრამ თუ იგი ასცდენია პედაგოგიურს დედა-აზრსა, მოსწყვეტია ეროვნულს ნიადაგს და ემსახურება რომელსამე უკუღმართს მიმართულებასა, ხალხის განათლების მაგიერ, მაშინ სახელმძღვანელო შეადგენს სკოლისათვის და ხალხისათვის ნამდვილს საწამლავსა.

III. 456

* * *

სამკითხველო მხოლოდ მაშინ არის მაცხოვნებელი კაცის გონებისა, როდესაც მას ისევე ეტანება მკითხველი, როგორც თავლს ბუზი...

II. 277

* * *

ჩემს წიგნში არ მოიპოვება არც ერთი სიტყვა, არც ერთი ფრაზა. რომელიც ნათქვამი იყოს სახელის გულისთვის. ყოველ შემთხვევაში მე სახეში მქონდა და მაქვს სიკეთე ჩვენი ტანჯული ერისა და სხვა არაფერი.

IX. 346

* * *

„დედა-ენის“ შექმნის დროს ერთად მოქმედებდნენ ჩემი ქართული გონება და ჩემი ქართული გული. რუსულის სახელმძღვანელოს შედგენაში კი მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ჩემი გონება. რომელი უნდა სჯობდეს?

V. 771

* * *

მხოლოდ უმეცრება ჰბადავს შფოთსა სხვა-და-სხვა ხალხში, და სახელმწიფოს ერთობისათვის საუკეთესო ღონე არის უმეცარს ხალხში განათლების გავრცელება დედა-ენის საშუალებით.

I. 242

* * *

თუ ჩვენს შვილს პატარაობისასვე მარჯვედ დაწერილნი საბავშო ნაწარმოებნი მიიზიდვენ თავისკენ, აგრძობინებენ სიამოვნებას, გულს საამურად უღელავენ, გონებას უვარჯიშებენ და კითხვის მოთხოვნილებას უღვიძებენ და უმტკიცებენ, იცოდეთ, რომ თქვენ გეზრდებათ ყრმა, რომელიც დიდობაში გამოიჩენს დაულალავს გონებითს მოქმედებას, რომლისთვისაც ჭკუის მოძრაობა, ვარჯიშობა, წიგნებს კითხვა, აზროვნება, მსჯელობა იქნება ისეთივე მიუცილებელი ყოველ დღიური საჭიროება, როგორც არის წყალი თევზისათვის, ჰაერი ფილტვებისათვის. მაგრამ თუ თქვენი შვილი მოკლებულია ხეირიანს საკითხავს ნაწარმოებსა, თუ თქვენს სამშობლო ლიტერატურაში საყმაწვილო განყოფილება ცარიელია, ან სავსეა უნიჭო და უმარყოფი ნაწარმოებითა, მაშინ თქვენ უნდა მოელოდეთ, რომ თქვენს ყრმას გონების მადა არ გაეხსნება, აზროვნება, მსჯელობა და საუკეთესო ნაწარმოების კითხვა და შეგნება მისთვის საჭიროებად არ შეიქნება, და იგი გამოვა იმისთანა გულგრილი არსება, რომელიც ბევრით არაფრით განსხვავდება პირუტყვისაგან.

II. 11

* * *

საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა. გონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყრდნო ნაწარმოებით, საყმაწვილო ლიტერატურით. იგი მაგრა ადგამს ნაბიჯებს წინ, მკვიდრს წარმატებაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მის მოზარდ თაობას უხვად ეძლევა გონებითი საზრდო, როდესაც მისი ყრმანი გარემოცულნი არიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებითა.

II. 10

* * *

როგორც სიმღერა-გალობაში, ისე ლექსებში კილოს პირველი ადგილი უჭირავს. ისე არაფრით არ იცნობა ნამდვილი პოეტი, როგორც შესაბამისი კილოთი. მეორე მხრით ისე აშკარად არაფერი გასცემს უნიჭო ლექსების მჯღაბნელსა, როგორც ულაზათო, უშნო კილო.

I. 273

* * *

ყველამ კარგად იცის, რომ სურათი თვალსაჩინოდ ჰხდის შინაარსს, წიგნს აძლევს სიცოცხლეს და ხალისსა.

II. 445

* * *

მშობლიური ენის, მშობლიური ლიტერატურის, სამშობლოს გეოგრაფიისა და ისტორიის ცოდნა ყრმაში ნერგავს მხსნელ რეალიზმს, რომელიც მას იცავს უნიადაგო, ფანტასტიკური გატაცებისაგან.

IV. 313

V. და სხვა...

* * *

იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოს არა ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის.

IV. 215

* * *

აკაკი პატარა საქართველო... აკაკი განხორციელებული მამულიშვილობაა.

IV. 226

* * *

საზოგადოების მარილს, ქვეყნის თვალს შეადგენენ ის პირნი, რომელნიც პიროვანი სიამოვნების მონანი კი არ არიან, არამედ მედგრად ემორჩილებიან თავის წმინდა მოვალეობას.

I. 445

* * *

ბედნიერია ის ადამიანი, საზოგადო ასპარეზზედ მომქმედი, რომელიც, ნაყოფიერს შრომასთან ერთად, მტკიცედ ადგია ეთიკურს პრინციპებს, თავის ცხოვრებაში და თავის გარეშე ჰფენს ზნეობრივ მადლსა და სიბოძას. ამისთანა ადამიანები მოგაგონებენ მოციქულებს და შეადგენენ მარილს ქვეყნისასა.

III. 202

* * *

თუ კაცი მოკლებულია გამოკვეთილ აზრებს, დაბეჯითებულს შეხედულებას, ნაგრძნობ წარმოდგენას საგნებზედ და ამასთან მას ატოვებს სურვილი მარაქაში გაერიოს, სხვა რა ჰქნას, თუ სიტყვების რაზარუხს არ მიჰყოს ხელი, ბაქიაობა არ გამართოს, ამყურდი, ბრიყველი კილო არ მიიღოს.

I. 281

* * *

დიალ, სრული კეშმარიტება დალაღებს ბერნეს სიტყვებში: პატიოსნება აზროვნებისა უფრო კიდევ იშვიათი ხილია, ვიდრე პატიოსნება ყოფაქცევისა.

III. 473

* * *

რა საჭიროა ზნეობითი სისაძაგლის ძებნა, როდესაც გონების ცალიერობა და ფუქსავატობა სრულიად საკმარისად ხსნის მოვლენასა.

I. 281

* * *

თვითონ მოციქულები მხოლოდ მასუკან ბედავდნენ სახარების ქადაგებას რომელისაჲმე ერის შორის, როდესაც ამ ერის ავ-კარგიანობას დაწვრილებით გაიგებდნენ და დახელოვნდებოდნენ მის სამშობლო ენაში.

I. 273

* * *

ზნეობითი პრინციპებით ძველი აღთქმა, რასაკვირველია, დაბლა სდგას ახალს აღთქმაზედა; მაგრამ სამაგიეროთ იგი წარმოგვიდგენს ვრცელსა ეპოპეიას მთელი ხალხისასა, რელიგიურს სამოქალაქო დრამასა, სადაც მოქმედობს მთელი ხალხი, სადაც წმინდა სიყვარული ღვთისა და ერისა შეკავშირებულია მჭიდროდ და სადაც, ყველა ნაბიჯის წარდგმაზედ მოქმედობს კერძო პირების თავდადებულობა ღვთისა და ერის სადიდებლად. ამასთან ამ ეპოპეიას აქვს იმისთანა მარტივი, პატრიარხალური ხასიათი და ისეთი მიმზიდველ ფორმაში არის განხორციელებული, ჩამოსხმული, რომ საგანგებოთაც ვერ მოიგონებს კაცი ასეთ სრულიად საყმაწვილო ამბებსა. ვის არ ახსოვს თავის ბავშვობის დროიდან, თუ რა ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდნენ და როგორ ხედებოდნენ გულსა მოთხრობანი, მაგალითად, იოსებისა და მოსესი, რომელთა ცხოვრებაში რელიგიური, ხალხური და პიროვანი სათნოებანი ისე კაშკაშობენ, როგორც მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავნი.

I. 148

* * *

ღიად, ჩვენში საქმის გაკეთება ბევრად ძნელია, ვიდრე სხვაგან, უფრო კიდევ ძნელია დაცვა გაკეთებულის საქმისა გაფუჭებისაგან, რადგან გამფუჭებლები ჩვენში წინ გელობებიან ყოველს ნაბიჯზედა...

III. 63

* * *

როდესაც (საქმის) გამფუჭებლების უკუღმართობას და უმეცრეობას გამოააშკარაებ, წმინდა მოვალეობის აღსასრულებლად საზოგადოების წინაშე, ცბიერი და ვერაგნი მორთავენ ხოლმე ყვირილსა: დახე! დახე! ახალგაზრდა ტალანტებს გზას უკრავნო. და ამის შემდეგ რად გიკვირს, როდესაც ცხადად ვხედავთ ჩვენს საზოგადოებაში გახრწნილების ნიშნებსა!?

III. 63

* * *

ცნობილი უკუღმართობა იმარჯვებს მხოლოდ გახრწნილს და მომაკვდავს საზოგადოებაში, და ამისთანა სენით, იმედია, შეპყრობილი არ არის ჩვენი საზოგადოება.

III. 80

* * *

უბედურება ის არის, რომ ყველგან მთავარს ჩვენს ძალ-ღონეს ბედოვლათურად ვხარჯავთ პირად კინკლაობაში, ერთმანეთის ჯიბრში, ბოროტ ჩხირკედელაობაში და რალა საკვირველია, თუ საზოგადო საქმის წინაშე კოტრები გამოვდივართ.

III. 192

* * *

უკუღმართის საქმის ძლევა შეიძლება მხოლოდ წაღმართი საქმით და არა ცარიელი სიტყვით, — ფაქტის გაქარწყლება ძალუძს მარტო ფაქტსავე და არა ლიტონს სიტყვასა.

IV. 173

* * *

სიმართლეს მისდიე და ძალმოსილი, უძლეველი იქნები-მეთქი — ვეტყოდი თავს და მართლაც, ისეთი მოკავშირის წყალობით, როგორცაა სიმართლე, ერთხელაც არ დავმარცხებულვარ.

IV. 303

* * *

გვაშოროს ღმერთმა თქვენისთანა ცრუ მეგობრები... სწორედ თქვენისთანებზედ არის ნათქვამი: „ღმერთო გვაშორე მეგობრები და მტერს თვითონ როგორმე მოვიგერიებთ“.

III. 325

* * *

როცა ჭკვიანს ინგლისელს უნდა ვისმეს გამოებაასოს და გაამტყუნოს, იგი ჭერედ თავის მოწინააღმდეგეს უქებს ჭკუას, ცოდნას, ლოგიკას, კეთილ-შობილებას და მერმე შეებრძოლება. იგი ჭერედ გაასუქებს თავის მოკამათეს და შემდეგ მის ჩატკბარუნებას იწყებს. ჭკვიანი ინგლისელი ამ შემთხვევაში ასე ფიქრობს: გავამტყუნებ ჩემს მოწინააღმდეგეს? ბევრს მოვიგებ, რადგანაც იტყვიან: ჭკვიანს, მცოდნე, ძალუანს კაცს მოერიაო. გამტყუნებული ვიქნები? ბევრს არას დავკარგავ, რადგანაც იფიქრებენ: ჩათლახს ხომ არავინ დაუმარცხებია, ძლიერი და ღონიერი კაცისაგან იქმნა ძლეულიო.

II. 103

* * *

რაც მე დრო და შრომა მოვანდომე ჩემს სახელმძღვანელოების შედგენას და ხან-გამოშვებით გაუკეთესოებას, ათი იმდენა დრო და შრომა მომინდა მათი დაცვისათვის სხვა და სხვა ცილისწამებისაგან.

II. 179

* * *

ღიახ, ჩვენ დაბრყევბას და გათახსირებას საზღვარი არ უჩანს, მაგრამ ახია ჩვენზედა: როდესაც ჩვენ თვითონ მთავარ საქმედ გავიხა-

დეთ ერთმანეთის ტალახში სვრა და ჭამა, რად უნდა გვიკვირდეს, როცა სხვებსაც გაუძლიერდათ მადა ჩვენის გათახსირებისა?

II. 323

* * *

როგორც ატყობთ, ფაქტებს გაცხარებული ჩხუბი აქვთ და ხომ იცით, რა კი ფაქტები ერთსა და იმავე საგნის შესახებ ჰოსაც ამბობენ და არასაც, მაშინ შეუძლებელია, რომ ადამიანის ტვინებს შუა ომი არ გაჩაღდეს.

I. 27

* * *

ჩვენმა ბელიტრისტებმა არ უნდა მიბაძონ იმათ, ვინც დაიკვებებენ, კალმის წვერს დავაფურთხე და სტატია გამოვაცხვეო.

II. 18

* * *

ფონს ვერ გავა მრუდეთ და უკულმართად მომქმედი პირი, რაც უნდა ბევრი იტლიკინოს და იყვიროს მლანძღავენო, როდესაც მის უკულმართს მოქმედებას ამხელენ.

I. 42

* * *

დიდი ხანია შენიშნულია, რომ ყოველ კაცსა, მეტადრე რეგვენსა და უმეცარს, მიდრეკილება აქვს თავისი მგზავნებული სიძებნოს სხვაში, თავისი სენი დასწამოს სხვასა, თავის ალიბით ზომოს ყველა და ყველაფერი...

I. 303

* * *

რა ძალიან ცუდი ყოფილა გადამეტებული სურვილი გაკილევისა, წყურვილი ცუდის თქმისა! კაცს ისეთს აშკარა სასაცილო სისულელეს წამოაროშვინებს, რომელიც ბავშვსაც კი ხარხარს დააწყებინებს.

I. 290

* * *

თუ კაცს სიყვითლე სჭირს თვალებისა, ყველაფერი ყვითლად ეჩვენება, თუ თავის სიცალიერე, სიფუქსავატე სენად შეჰყრია, ან დაბადებით დაჰყოლია, ყოველ წამს ენაზედ სისულელე აღგია, თუ მისი ტვინი აქოთებულს უჯრას წარმოადგენს, არეულობას ხედავს იქაც, სადაც სრული წესიერება არსებობს.

I. 304

* * *

შეუცდომელი მხოლოდ ღმერთია და, ღმერთს გარდა, უსაქმო ძილისგულდა. ვინც ჰმოქმედობს, იღვწის, შეცდომას ვერას დროს ვერ ასცდება. გარნა გონიერი მომქმედნი, შეიგნებს რა თავისს შეცდომას, ჭიუტად როდი შეჩერდება მასზედ, იგი სცდილობს, რაც შეიძლება მალე გაასწოროს თავისი შეცდომა და საქმე კეთილად წარმართოს.

II. 262

* * *

ჰიანჭველა რომ ფრთებს გამოისხამს, ღმერთი მაშინ გაუწყურებაო.

III. 110

* * *

ცილისწამება ჰქვიან იმისთანა სიცრუეს, რომელშიაც შედის ბოროტი განზრახვა.

IV. 407

* * *

ტყუილად კი არ ანაცვალეს ცნობადის ზეს თვითონ სამოთხეც კი პირველ კაცთა ადამმა და ევამ. ეგ ის ხეა, რომელსაც გამოაქვს შშვენიერი ნაყოფი თვითეულისათვის ცალკე და ხალხისათვის საერთოდ; ეგ ის ხეა, საიდანაც ეჩოს ტარიც გაითლება და ხერხისაცა; ეგ ის ხეა, რომელიც ყველას იწვევს ერთ-ნაირის გულისტკივილითა და ეუბნება: „მოდი, მაშვრალნო და ტვირთ-მძიმენო და მე გაგისვენებთ თქვენ“; ეგ

ის ხეა, რომელ ქვეშაც ჩვენ უნდა დავდგათ ოქროს აკვანი ჩვენის ერთობისა. საქმე იმაშია, ეხლა რა გზით და როგორ?

I. 169

* * *

მოგეხსენებათ, რომ ძალა აღმართსაცა ხნავსო და ლომსაც ჰბოჭავსო. გარნა ამის გამო არც ღმერთი იქცევა დაღმართად, არც ლომი — კურდღლად. მაგრამ თუ ადამიანი, ან ხალხი სიტყვა-ამოუღებელივ, ქედ-მოდრეკით ემორჩილება დაბალი ღობის ბედსა, რადაც, წინააღმდეგ კანონისა, გაუხდიათ იგი წვრილ-ფეხობა მოხელეებსა, ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ მონობას, ყურ-მოჭრილს ყმობას შეუპყრია საზოგადოების სული და გული.

ამაზედ მომაკვდინებელი სენი აღარ იქმნება ერისათვის, ეს სწორედ განგრენაა, მჭამელაა, საშინელი შინაგანი ავადმყოფობა, რომელიც ხალხს ათანასწორებს ჭირით შეპყრობილ პირუტყვ-ნახირთანა, და ემუქრება გაუქარწყლოს მას ყოველი მომავალი.

* * *

ყოველი ჭგუფი ადამიანებისა მხოლოდ მაშინ დაიმსახურებს პატივისცემას და გავლენას, როდესაც ღირსეულად, დარბაისლურად იცავს თავის საზოგადო ინტერესებს და ამავე დროს არ არღვევს სხვების კანონიერს ინტერესებსა.

IX. 368

* * *

თუ ხალხს სადმე მკურნალი მოეპოვება, ამ სენის განკურნას უნდა მოანდომონ მათ თავისი მთავარი ცოდნა და ძალა. თუ გულშემატკივარნი, გულ-მხურვალე მოღვაწენი ჰყავს, ამ დამლუპველის ნაკლის მოსპობაზედ უნდა ზრუნავდნენ უპირველესად ყოვლისა. თუ ერს ჰყავს მწერალნი, გულისა და ჭკუის პატრონნი, მათ დაუძინებელივ უნდა გამართონ დადადება ამ საშინელის სატკივარის წინააღმდეგ.

II. 328

* * *

ჭირს მოვლა უნდა, დაბრიყვებას ღირსეული კანონიერი წინააღმდეგობა, შავს ბედს ბძოლა. მაგრამ სად არის ფხიზელი და მოუღალავი დაცვა დათრგუნული უფლებებისა ქართველთა მოღვაწეთა მიერ? სად არის მხურვალე და დასაბუთებული ღაღადება ჩვენს მწერლობაში? სად არის ხმა-ამაღლებული ქადაგება, მიმართული დასაკმაყოფილებლად ჩვენთა უმთავრესთა მოთხოვნილებათა?

არსად.

მხდალი, დაძაბუნებული მონებივით შევსცქერით ჩვენს დამცირებასა, ჩვენს აბუჩალაკად აგდებასა, ჩვენს დაბალ-ლობედ გადაქცევასა. მართალია, ვსჩივით, ხშირად ვსჩივით, მაგრამ სად? ჩვენს გულში და ოთხკედელ შუა. როგორ? ჩურჩულით, ტუტუნით და დიდი სიფრთხილითა, რომ ჩვენ კანონიერს ჩურჩულს არავინ მოჰკრას ყური და მოჩილი მონის მაგივრად ადამიანად არ ჩაგვთვალოს.

მეკალმენი რაღას ჩავდივართ? იმასვე. ან არაფერსა ვსწერთ, და თუ ვსწერთ, წვრილმან რამეებზედ, უმნიშვნელო საგნებზედ. უმთავრესნი ჩვენი მოთხოვნილებანი, დიდნი ვარამნი, ან სრულიად მივიწყებული გვაქვს, ან შევებებით ხოლმე მხოლოდ ხანდახან, როცა ბრმა შემთხვევა მოიტანს, ისიც შევებებით ხოლმე გაკვრით და კილოკავად.

II. 333

* * *

ყვავს თურმე თვალებსა სთხრიდნენ და ის წამწამებსა ნანობდა. თვალის ჩინს კი არ სჩიოდა, წამწამების გადარჩენას ევედრებოდა. სკვითს თავს აგდებინებდნენ და მღუღარე ცრემლსა ღვრიდა, რაზედ? თავზედ? სრულადაც არა. ამას გულს უკლავდა მხოლოდ თმების დაკარგვა, თავი კი სრულიად დავიწყებული ჰქონდა.

ჩვენი მომქმედნი დასნი მოგაგონებთ სწორედ ამ ყვავსა და სკვითსა, მათ საარაკო საქციელსა. უმთავრესნი ნაკლნი ჩვენის არსებობისა, დამჩაგვრელნი პირობანი ჩვენის ცხოვრებისა, დიდნი ნაღველნი მივიწყებულნი არიან, უყურადღებოდ დატოვებულნი, ზურგ-შექცეულნი. ჩვენი უნარი, ნიჭი და ძალა უნდება წვრილმანს რამეებსა, უმნიშვნელო საგნებსა, ჩინჩხვარ-მინჩხვარსა. ნამდვილი მიზეზები ჩვენის და-

მზობისა ხელშეუხებელი რჩებიან, — წვრილმანს შედეგებს, და მხოლოდ მათ, მიუპყრიათ ჩვენი ყურადღება. შიგნეული ავადმყოფობა და მისი წამლობა არავის არ აფიქრებს, არავის არ აწუხებს; გარეგანი ძიძიბოები და მათზედ მალამოს წაცხება — აი ჩვენი უმთავრესი საქმე, ჩვენი დიდი ღვაწლი.

II. 329

* * *

წამწამზედ და თმებზედ დაუსრულებელი ბაასის გაბმა ვიცით, ხოლო თვალები და თავი კი მუდამ გვავიწყდება. და არც კი გვრცხვენინიან, რომ ამ გვარი ჩვენი ყვაეური, თუ სკვითური, ქცევით ჩვენ საზოგადოებას-კი არ ვაფხიზლებთ, უფრო მეტად ვაძინებთ, ვაუძღურებთ.

და ამ გვარს ჩვენს სამარცხვინო და დამლუბველს ქცევას როდი ვაბრალებთ ჩვენს სილაჩრეს, ჩვენის გრძნობისა და აზრის სიუძღურეს, უნარის უქონლობას. ეს მართალი იქნებოდა და სიმართლე კი ჩვენ თვალებსა გვწვავს. თავზედ ვახვეთ ჩვენს საკუთარს ბრალს სხვა რასამე, სახელდობრ-ესრედ წოდებულს ჩვენზედ დამოუკიდებელს გარემოებასა. კაი სამსახურს გვიწევს ეს „გარემოება“. სწორედ გასაძვეებელ თხად გვყავს იგი გადაქცეული. როგორც ძველი ურიები ამორჩეულს მამალს თხას მიაყრიდნენ ხოლმე ყველა თავისს შეცდომასა და გაადებდნენ ხოლმე ტყეში, რომ იგი მგელს, მათ მაგივრად, დაესაჯა, ისე ამ „დამოუკიდებელს გარემოებას“ ვახვეთ თავზე ჩვენს სიგლახეს და სილაჩრეს. ცბიერებაა, მოტყუებაა. ღირსეულს და დასაბუთებულს დაცვას რომელიმე კანონიერის უფლებისას არას დროს წინ ვერ გადაედობება ეს „დამოუკიდებელი მიზეზი“, და თუ გადაედობება, მისი თავიდან აცილება და გზის გაკლევა არც ისე ძნელია თავისი ერის უფლებების მარჯვე დამცველისათვის.

II. 333

* * *

გარნა ყველას მოგეხსენებათ, რომ ბრძოლაში თვით კარგი სალდათები უძღურნი არიან, თუ მათ არა ჰყავთ განვითარებული და გაწვრთნილი ოფიცრები, გენერლები, წინამძღოლნი. როგორ უნდა მოვეუშალოთ ჩვენს ქვეყანას, თავად-აზნაურობას და გლეხობას, სამეურ-

ნეო ხელმძღვანელნი, მესვეურნი, სანატრელის გზის მაჩვენებელნი? საზოგადო საფუძვლიანი განათლებით, რომელზედაც უნდა იქმნას აშენებული საფუძვლიანივე სპეციალური, სამეურნეო განათლება. აი გზა, რომელსაც ჩვენ უნდა დავადგეთ, თუ გვსურს, რომ დიდმა ხარჯმა უდიდესი სიკეთეც შეგვმატოს. ახლა ყველასთვის ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ სპეციალური სწავლა უძლეურია მეტ-ნაკლებობით, თუ მას წინ არ უძღვის საზოგადო განვითარება, რომელიც უფურჩქნის მოსწავლეს ყოველს გვარს ნიჭსა და ჰყოფს მას სრულ ადამიანად. სპეციალისტი, მოკლებული საზოგადო განვითარებას, მოგაგონებს მაშინასა, რომელიც ერთს რამეს აკეთებს მექანიკურად და სხვა რისამე რიგიანად გაკეთება მისთვის შეუძლებელია. ამისთანა ვიწრო სპეციალისტი ყოველს განსხვავებულს გარემოებაში იფანტება, ვერაფერს ახერხებს თავის თავად და გაკეთების მაგივრად საქმეს ადვილად აფუჭებს.

IV. 289

* * *

ახლა ვიკითხოთ: ნუ თუ ქართული ეროვნული ღირსებანი, წრფელი მამულიშვილობა მართო ღარიბთათვის არის საჭირო და არა ყველა ქართველისათვის? განა ერთს მდიდარს გულწრფელ მამულიშვილს ქვეყნისათვის მეტის სიკეთის მოტანა არ შეუძლია, ვიდრე რამდენსამე ღარიბსა? ჩვენს სკოლაში რომ მართო ღარიბები მოვაქციოთ და მდიდრები გარეშე სკოლებს ვარგუნოთ, რა სურათს მივიღებთ? მდიდარი ქართველები თქვენაო და ღატაკები ჩვენაო.

II. 287

* * *

მკიდრო სულიერი კავშირი ინტელიგენციასა და ხალხის შორის ითვლება ერთ-ერთ დედა-ბოძად ქვეყნის წარმატებისათვის. ამ კავშირის ისე არაფერი განამტკიცებს და განაძლიერებს, როგორც ხალხოსნურის ენის, ეროვნულის ლიტერატურის, სამშობლო ქვეყნის ტერიტორიის და ისტორიის შესწავლა. ენა, ლიტერატურა არის უმდიდრესი სალარო, რომელშიაც მრავალთა თაობათა ძვირფასის განძივით შეუნახავთ საუკეთესო ნაწარმოები ხალხის გონებისა, უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობანი გულისა. ენის, ტერიტორიის და ლიტერატურის შესწავ-

ლით ყოველი მოწაფე გულით და სულით შეუთვისდება წარსულს და აწმდგომს თავის ერისას და შეიქმნება მისი ჭეშმარიტი სულიერი შვილი. ამიტომ ყოველს ქვეყანაში დედა-ენას, სამშობლო ქვეყნის და ლიტერატურის შესწავლა შეადგენს მთავარს საგანს ზრუნვისას და ყოველს სასწავლებელში დათმობილი აქვს უპირველესი ადგილი.

III. 368

* * *

ქართველი ბუნებით ძალზე გულთან მიმტანი და ფიცხია, ამიტომ მას, რაიმე ვნებათაღელვის ზეგავლენით, ადვილად შეუძლია ჩაიდინოს უგნურობა. მაგრამ მანკის გაუსწორებლობა არ ეგუება მის ხასიათს; ძირითადად იგი კეთილია, მის გულში ადვილად იკიდებს ფეხს სულგრძელობა და ჰუმანურობა.

II. 158

* * *

ნათესაური სიყვარული დიდად საპატიო გრძნობაა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში იგი მტერია მიუდგომელობისა!

III. 287

* * *

ტომებსა და ხალხებს არაფერი არ თიშავს ისე, როგორც უვიცობა.

IV. 102

* * *

ნამდვილი ნიჭი ძალაა, რომელიც ემორჩილება თავისს შინაგან მოწოდებასა და რომელსაც ვერ შეაფერხებს ვერც ქება და ვერც ძაგება.

IV. 231

* * *

ვინც ყველაზე ზრუნავს, ის არავისზე არ ზრუნავს.

IV. 38

* * *

სანატრელი საზოგადოდ ყოველთვის იგვიანებს, ან სულაც არ მოდის და არა სანატრელი კი მუდამ ქენებით მორბის.

IX. 343

* * *

ჯერ კაცმა ტყუილი არ უნდა იკადროს და თუ ღმერთი გაუწყრა და იკადრა, იმისთანა სიცრუე მაინც უნდა სთქვას, რომ პატარა გრძელი ფეხები ებას.

I. 407

* * *

გაზეთი არ არის კერძო წერილი, რომლითაც შეგიძლიანთ თქვენი მოპირდაპირე გალანძლოთ, თუნდაც მართალი იყვეთ, მაინც ლანძღვაგინება განდევნილი უნდა იყვეს გაზეთიდან.

I. 391

* * *

განთქმულმა პატრიოტმა გერმანიისამ ბერნემ სთქვა: უმეცრებაზედ ამაყი არაფერი მოიძებნება მთელ დედამიწის ზურგზედაო.

I. 281

* * *

ყოველი კაცის მოქმედება იმ დრომდის უნდა მიაწერო კეთილს განზრახვას, ვიდრე ბეჯითად არ დარწმუნდები, რომ იგი არის შედეგი ცუდის მიზეზისაო.

I. 280

* * *

... ბოლოს მარცხი მოუვიდა, სიმამაცეს კული ვეღარ მიადევნა, დაიხურა რაღაც უჩინ-მაჩინის ქული და გადაირქვა უცნაური სახელი, გადადმიელი, რად უღალატა თავის გულადობას და რად ამოეფარა ფსევდონიმის ქვეშ?

I. 180

* * *

ეკალზედ ვაშლი თავის ღღეში არავის არ უნახავს. ამისთანა უგვაროს და მახინჯს სისტემას შესაფერისი ნაყოფიც უნდა მოეტანა და კიდევაც მოიტანა.

ღროა ამ უგვარო. სისტემას ბოლო მოეღოს!...

I. 201

* * *

სეტყვა იმიტომ არის სეტყვა, რომ მოიტანოს ზარალი და ბოროტება უაზროდ და უმიზნოდ...

I. 67

* * *

კაცმა ისეთი ტყუილი უნდა სთქვას, რომ ცოტა მართალს მაინც გავდეს.

I. 46

* * *

ბუნება ემორჩილება მხოლოდ მას, ვინც მის კანონების ცოდნით არის აღჭურვილი, მისთვის არის სიმდიდრის წყარო, ვისაც მისი ძალთა გამოყენება, სარგებლობა შეუძლიან. უმეცარს კაცს შეუძლიან შიმშილით მოკვდეს თვით უმდიდრეს ბუნებაში, თუ მას ამ ბუნებისა არაფერი გაეგება. თვით ლატაკი ბუნება შეიძლება ადამიანმა შექმნას სიმდიდრის წყაროდ, თუ მან ზედმიწევნით იცის, საიდგან უნდა მოუაროს ამ ბუნებასა და როგორ გახადოს იგი მოსამსახურედ თავის მოთხოვნილებისა.

III. 403

* * *

თუ კაცს მახინჯი სახე აქვს, სარკეს ბევრიც რომ დაემღუროს, მით ის პირის სახეს ვერ გაილამაზებს.

I. 42

* * *

კარგად მოგეხსენებათ, რომ სიმართლე, სისაღე სხეულისა ბურჯია ადამიანის სიამოვნებით ცხოვრებისა, ბედნიერებისა.

II. 418

Iakob Gogebashvili and his Dedaena (an Alphabet Teaching Textbook of Georgian)

I. Life and Work of Iakob Gogebashvili

1. Iakob Gogebashvili (1840-1912) is a distinguished figure in the group of great 19th century Georgian public figures. He was a worthy contemporary of Dimitri Kipiani and Ilia Chachavadze; one of the main contributors to the issues of creating and developing the Georgian educational system; an exemplary person because of his humane qualities, public and personal life.

Iakob Gogebashvili was born and raised in a family of an Orthodox Christian priest; his life was the path of devoted work and uncompromising struggle, it was the path of martyrdom of a selfless man for his nation and country. This is the path full of hardships, confrontation and resistance. Others in Iakob's place, would have given up, or would have changed their position. But Iakob was not broken by the difficulties, remaining devoted to his cause and chosen path till the end of his life, serving his country and nation with dignity.

2. Iakob Gogebashvili had a distinguished personality. He lived an ascetic life. Iakob is remembered as a remarkably orderly person. His sincerity and love of the truth were legendary. In his struggle for the truth he never compromised, was merciless, straightforward, unbending and steadfast. God was with Iakob and with his help he was able to overcome his numerous enemies. Iakob fought when it was requested by the national interests, and he always won; he would say, "with the grace from such an ally as the truth, I have never been defeated..."

Personal ambitions were not familiar to Iakob, neither taking pride in his work. Modesty was his main personal dignity. Iakob Gogebashvili was a great philanthropist, he was unfamiliar with any kind of self-interest, claim to fame, desire to become rich, 'the love of money' and the "principle of stomach" (Iakob's own words).

3. Iakob Gogebashvili believed: "a public figure achieves his goal and wins only in case he has a well-defined path in life, a clearly developed plan and program for actions to be carried out; in short, he takes a particular path and realizes his program successfully" And during all his conscious life Iakob created, developed, and put into practice such programs not only for himself, but

for the whole nation...He considered that a well-defined, clearly outlined direction was of particular significance for the nation, whose struggle for existence was full of hardships due to unfavourable circumstances.

4. In Iakob Gogebashvili's opinion, for the survival of a country, the principle "prosper, strengthen and flourish all your national forces" was essential. In his viewpoint, our national identity was dependent upon four principles (bastions) – "national forces" – motherland, language, national school and faith (religion)..

Iakob Gogebashvili's greatest merit is that he made Georgians realize the essence and importance of these four national principles, showed them by his personal example how to serve the principles in question unselfishly and devotedly.

5. What is motherland, and how do we have to serve it? – This was the main question Iakob posed and answered in theory and practice.

6. We'd like to place special emphasis on Iakob's views about the Georgian church. In his work "Georgian Direction" Iakob Gogebashvili discusses in-depth the functions of Georgian church, its role and the problems it faced at that time. The issue was of vital importance then.

In his opinion, the essence of a nation's success lies in church. "It developed a strong sense of faith within our nation, covered fields and mountains with numerous churches and monasteries, created sacred literature, and in the hearts of Georgians combined the love towards Our Savior with that of our motherland, even made the Caucasus Mountains serve as an arena for preaching the gospels. The fact that Georgia managed to resist numerous and powerful enemies for 15 centuries is due to the Georgian Church.

Iakob believed that the church and school are the sources of nation's morality and ethics, and ethics itself, immaculate nature, form the essence for the existence, firmness, prosperity and success of a people.

He considered the faith to be the realm of heart, "and the heart is affected only by the mother tongue, any other foreign language as a language of memory is powerless here. Similar to poetry that cannot be written in a foreign language, religious feelings are closely linked with one's mother tongue".

Saying this in the 19th century was equal to heroism: "any change will bring the desired fruits if an undertaking is on the right path from the very beginning and the head of the Georgian church being a true son of his flock, will end the degeneration policy and will return our church into the realm of the gospels".

It was an act of heroism to put forward the issue of teaching Divine Law in Georgian in all Georgian schools. Moreover, insist on it in the Georgian and Russian press!

Of particular relevance is Iakob Gogebashvili's contribution to the introduction of Orthodox Christian teaching in parochial schools; he included the theological part within "Dedaena"; Iakob composed "Divine History". He is the author of "Spiritual Teachings" (teachings about the holy trinity, angels and the 10 commandments). I. Gogebashvili's works "The Conversion of Georgians to Christianity" and "Saint Nino – Our Enlightener" are of great importance.

Iakob Gogebashvili's attitude towards the greatest personality – Bishop Gabriel Kikodze – is worth a special consideration. Iakob was Gabriel the Bishop's spiritual son. Their relationship began at the Seminary (Gabriel was Iakob's teacher) and continued after Gabriel's death. While making important decisions, Iakob would receive a suggestion and sanctification; Gabriel the Bishop would defend him from the attacks of foreign or domestic enemies; for instance, he is known to have had confrontation with the exarch because of Iakob...

7. One of Iakob Gogebashvili's contributions lies in considering the Georgian National School the basis for the Georgian national identity.

When discussing Iakob Gogebashvili's merits in pedagogy, first and foremost his alphabet teaching textbook "Dedaena" should be mentioned. Without any exaggeration it can be said that no alphabet textbook similar to "Dedaena" has ever been composed.

Since 1876, Iakob Gogebashvili's "Dedaena" has become the irreplaceable alphabet textbook for Georgians.. What makes "Dedaena" unique? First and foremost, it is the first lesson – "ai ia", (meaning this is a violet). It can be said with certainty that this is the greatest finding in the history of Georgian, an epochal finding; the author's inspiration given from God.

The fact that in 1960 at the world exhibition-contest of alphabet teaching textbooks held in Caracas, Venezuela, the textbook composed by Iakob Gogebashvili was awarded the first prize speaks of the merits of "Dedaena"; in 1976, Georgian people celebrated 100th anniversary of the book; in 1981 – a monument to "Dedaena" was erected in Tbilisi; and in 2014 – the textbook was given the status of a monument of non-material cultural heritage.

8. In the history of Georgian pedagogy, the role of Iakob Gogebashvili's textbook "The Door to Nature" is invaluable. His textbook "The Russian Word" and the assisting manuals – "Kokori", "Kuntsula", "Khomli", "Akido", "Kona" as well as his literary works made the greatest contribution to the development of the Georgian National School.

9. In Iakob's opinion, the basis for the revival of a nation lies in the native tongue; and the development of a nation depends on the development of the language.

With the help of his books Iakob Gogebashvili practically managed to establish the use of Standard Georgian throughout Georgia. The role Iakob Gogebashvili's "Dedaena" played in the formation, development and spread of

Modern Standard Georgian, is similar to that played by the Bible translations in the formation and development of Old Standard Georgian.

The 19th century Russian imperial national policy was a threat for Standard Georgian. The Russian empire started to insinuate the idea of establishing schools in Megrelian and Svan languages. This attempt was primarily directed towards the disintegration and break-up of Georgia. As usual Gogebashvili rose to the occasion in the given issue.

10. Iakob Gogebashvili is the author and one of the initiators of founding The Society for the Spreading of Literacy among Georgians. He also initiated accumulation of narratives of spoken Georgian discourse; he was one of the initiators and organizers of collecting and creating scripts of Georgian folk songs.

11. As it has been mentioned above, in the struggle for national issues, Iakob Gogebashvili and Ilia Chavchavadze (St. Ilia the Righteous) were like-minded; in fact, it was Iakob who implemented Ilia's ideas.

Without any exaggeration it can be said that in the most difficult socio-political period for the country, God sent Ilia Chavchavadze and Iakob Gogebashvili to help and protect Georgia.

II. *Dedaena* – an Irreplaceable Alphabet Teaching Textbook of Georgian

The alphabet teaching textbook of Georgian *დედაენა* (*dedaena* *mother tongue*), was first published in 1876 by Iakob Gogebashvili. In 1925, the 45th edition of the book was released. From 1925 onwards the alphabet teaching textbooks based on the method suggested by Gogebashvili have been published in Georgia. Practice has revealed that *დედაენა* (*dedaena*) has actually crossed the boundaries of being only an ordinary textbook and has long become of public value. The term *dedaena*, purposefully coined by Iakob Gogebashvili to entitle his textbook, has become a widely accepted term for both: an alphabet textbook and the mother tongue, in general.

I. Gogebashvili's "dedaena" is of immense national and cultural significance. The book has served as a textbook to many generations of Georgians assisting them to get acquainted with reading and writing skills and become literate. The role of 'dedaena' in the process of spreading light of literacy and integrating the Georgian nation is inestimable. "Dedaena" is perceived by Georgians as a tool for maintaining their national identity, and is often con-

sidered to be equal to Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin". In fact, "dedaena" has become a point for reference to the norms of Standard Georgian, a sample for perfect Georgian throughout Georgia. The opinion expressed by prominent Georgian poet, Grigol Abashidze, is widely accepted: "It can be said that the significance of „dedaena“ is on a par to any great contribution made by our ancestors to the spiritual treasury of our nation".

Iakob Gogebashvili's method of composing the Georgian alphabet textbook -"dedaena" is unique, it precisely reflects the nature of the Georgian language.

„dedaena" is based on the combination of analytic and synthetic methods of phonics.

The method used by Iakob Gogebashvili relies on the natural and stress free method of teaching reading and writing skills, gradual and easy transition from the known to the unknown.

The first alphabetical word "ი" (violet) forms the basis of I.Gogebashvili's method. The selection of this word from the rich word stock of the Georgian language to be presented in the first lesson is the author's epochal discovery.

Before and after I. Gogebashvili, there were almost twenty attempts to create a new Georgian alphabet textbook. The advantage of the one composed by I. Gogebashvili, in the first place, is determined by the topic of the first introductory lesson.

The principal merits of the method employed by I. Gogebashvili's are as follows:

1. The first lesson of teaching reading and writing in Georgian: "ი (ia- violet). ა (ai-this is). ა ი ი (ai ia -this is a violet)".

a) Both words (ი (ia) . ა (ai)) have simple structures, consist of only two vowel letters and are easy to read and pronounce;

b) Vowels ა (a) and ი (i) predominate over the other vowels regarding the frequency of usage. The vast majority of Georgian words contain either one of the sounds, or both.

c) The word (ი ა) comprises two syllables (ი-ა, i-a). Each syllable includes one vowel and is easy to pronounce;

d) Two vowels ა (a) , ი (i) create two words (ა ი (ai), ი ა (ia) which make up a phrase: " ა ი ი " (this is a violet) . Perceiving and remembering

this phrase is much easier for children than that of separate words; „Enjoyability of the lesson is greatly increased by this phrase. A human being is encouraged not only by perceiving objects separate from each other, but by their connection as well. The life of a language begins with phrases and the sooner one starts using them the better. This secret, the significance of reading skills, is only understood in this way“ (I. Gogebashvili).

e) The object, described by this word (ოვ (ia, violet) is a widely spread and favourite flower, especially for children (I.Gogebashvili) .

f) From an aesthetic point of view, both the word and the object described by the word in question are attractive;

g) Many children's favourite poems have been composed on "ოვ (ia, violet).

h) Many songs have been composed about "ოვ". "Generally, the song is righteously considered as the heart and soul of school in our time. It develops children's ear introducing them to harmony, it softens their rudeness and increases tenderness and gentleness in their hearts making their nature nobler". (I. Gogebashvili);

i) ოვ (ia) is easy to draw and is easily recognized by a child, as the connection between the word and the picture is absolutely clear. „A picture makes the content eminent, it gives a book a new life and increases the degree of its enjoyability. With the help of a picture, a child converts half knowledge to full knowledge, a vague idea into a clear one, an incomplete image of an object into a complete one“. (I. Gogebashvili);

k) Being a palindrome, "ვო ოვ" (ai ia) will still read in the same way, even if a child is not used to reading, and in the process of acquiring this skill, s/he makes a mistake reading left to right, instead of reading right to left.

Iakob Gogebashvili also maintains that „this kind of beginning is of crucial importance for a success. As far as we know, no any other alphabet textbook possesses such a clear beginning, and this is because no other language, besides Georgian, allows educators to start a textbook with such a simple and complete first lesson.“

Inability of finding such a perfect and simple first lesson comes from the properties and imperfectness of other languages. For instance, Armenian teachers sought for such a convenient word as „ოვ,“ (ia, violet) in their lan-

guage, in order to start their alphabet textbook with it, but they could not find one“

According to the author's opinion “the first lesson of the alphabet textbook “dedaena” completely satisfies all kinds of teaching requirements and it has to be regarded as an ideal lesson. This has to be ascribed to the refinement of the Georgian language, and not to our mastery...” (I. Gogebashvili);

2. According to I. Gogebashvili method of composing an alphabet textbook, each of the alphabetical words is selected very carefully and describes an object a child is familiar with. Each object is aesthetically attractive and easy to be drawn („with the help of pictures, children first recognize the object, and then its name, which is written under its icon“(I. Gogebashvili). The letters introduced at every next lesson reveal graphical closeness with the previous letters (ა (a) , ი (i) and თ (t)...). Each word made up by the letters is easy to divide into syllables, and a newly introduced letter is easily separated from the syllable (in the alphabetical word, the complex cluster of consonants is avoided). This has been the principle of composing the second and other consecutive lessons of “dedaena” : თითი (titi, finger), საათი (saati, clock), თხა (txa, goat), თოხი (toxi, hoe) ხე (xe, tree), უთო (uto. iron), ძუა (dzua, horsetail).

3. Special significance is given to the principle of selection and arrangement of words within the text. Each word is known or is easy to understand for children living in different regions of Georgia. As is known, while creating the textbook, “dedaena” ‘s author consulted famous public figures and experts among whom was the prominent Georgian poet Akaki Tsereteli.

4. Beginning from the second lesson, one new letter is introduced at each lesson. The main principle of selection and introduction of letters is as follows: „one difficulty is to be tackled at one lesson“. Because of this, “თითი” (titi, finger) is introduced at the second lesson and this is classed to be a very interesting finding: with its outline, letter “თ” (t) is close to “ი” (i) and “ა” (a) In addition, the object denoted by it (a finger) is also very familiar to pupils. The addition of “თ” (t) to the familiar letters (ა a), ი (i) makes four new words: ა-თი (ten), თი-თა (a grapes species), თა-თი (paw), თი-თი (finger). This arrangement of words corresponds to the main princi-

ple („from the known to the unknown“). All the following words begin with the syllable in which the previous word ends which makes the process of reading much easier. “ (I. Gogebashvili);

5. According to Iakob Gogebashvili's method the sequence of introducing and teaching the letters is also of great importance. According to this method, the main principle employed while teaching the sequence of letters, is based on the simplicity or difficulty of pronunciation (from the simple to the difficult); the typology and syntagmatic qualities of sounds, the frequency of sound usage, the knowledge of the object containing the sound and the degree of easiness of drawing the object itself, the graphical outline of the letter and frequency of its usage in words and phrases, (I. Gogebashvili);

6. According to Iakob Gogebashvili's method, an alphabet textbook has to be „a lingual manual“; it has to be constructed in a way which not only teaches the mother tongue, but makes pupils fall in love with it. „Each newly introduced word should be repeated several times at the following lesson which will imprint it in the child's memory“. „The textbook has to be faultless; even an insignificant mistake for an alphabetic textbook is unacceptable. „This rule has to be especially observed at the beginning of the learning process“ (I. Gogebashvili);

7. According to the general principles of composing alphabet textbooks, the model textbook has to comply with the following rules: “ It should be rich in the appropriate writing material; it should include a number of basic ideals and values... It has to be a textbook for both reading and writing skills; it has to satisfy the demands of people from Eastern and Western regions of Georgia as well as the demands of both, secular and parochial schools, and it has to facilitate the integration of different regions of our country“ (I. Gogebashvili); The textbook should not be composed mechanically, and has to support a child's intellectual development... According to Iakob Gogebashvili, a textbook based on this method will help „to enhance the people's education“.

8. In Iakob Gogebashvili's opinion, an alphabet textbook should pay a special attention to the technical side of the book: to the size and alternation principles of fonts, to the intervals between letters, words, lines, as well as to the intervals between titles, subtitles and texts. This is crucial for protecting the child's eyesight.

9. While teaching, a special attention is to be paid to the writing technique, calligraphy, to the principle of drawing letters. Preference should be given to the traditional „straight and correct“ writing style over the „slanting“ writing style. „Reading slanting handwriting is difficult and harmful for the eyesight. Straight handwriting is as easy to read as a printed text“. „Here we have to consider graphical characteristics of Georgian letters (in difference from Latin) as well as the fact that a body is in a normal, upright position while writing straightly, whereas while writing slanting letters, it acquires an unnatural position, which is „harmful for the body, especially during the childhood, when the body is growing and needs to develop good posture . And in general, an aesthetic side, beauty, is the matter of the utmost importance in writing“ (I.Gogebashvili);

10. The method introduced by Iakob Gogebashvili aims to bring up a person of high moral standards; Gogebashvili maintains that moral and ethical principles should be observed in the process of composing an alphabet textbook, because both the „ethics and blameless moral serve as the foundation for the nation's existence, strength and prosperity“ (I. Gogebashvili);

11. In Iakob Gogebashvili's opinion, the alphabet textbook of the Georgian language „enhances Georgian national spirit in all the pupils“ (I. Gogebashvili). Thus, awakening and strengthening the national spirit is one of the most important missions of the alphabet textbook.

The unique method of composing an alphabet textbook is not fully employed in modern practice, and this causes major damage to the Georgian national school, Georgian education system, in general, and to the issue of bringing up young generations, in particular. During the last few decades, there have been numerous attempts to ban the textbook based on the method introduced by Gogebashvili from schools or to mar and plagiarize it.

The status of a monument of non-material cultural heritage given to the method suggested and employed by I.Gogebashvili while compiling the alphabet teaching textbook „dedaena“, will protect the latter from further harmful attempts and will preserve its viability.

Since 1876, „dedaena“ as an alphabet textbook, composed on the basis of the unique method employed by Iakob Gogebashvili has been used without any other alternative as other alternative alphabet textbooks (there were more than 20 attempts of composing an alternative alphabet textbook

in Iakob's lifetime as well as after his death) were not able to compete with it.

In 1912, Iakob Gogebashvili published the 33rd edition of "dedaena", which was to be the last edition of this book in his lifetime and the overall number of books sold reached one million. For Georgia, this is unprecedented statistics.

In 1960, in the city of Caracas, Venezuela, an international exhibition-contest of alphabet textbooks of world languages was held. The alphabet textbook "dedaena" composed according to the method suggested by Iakob Gogebashvili, was awarded the first prize and an honorary medal. This, in fact, was a significant victory and the worldwide recognition of the method of composing an alphabet teaching textbook introduced by Iakob Gogebashvili.

In 1976, Georgia celebrated a hundred year anniversary of I. Gogebashvili's "dedaena". This was an exceptional event for Georgia as no other book anniversary, except that of Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin" had ever been celebrated before.

In 1981 a monument to "dedaena" was erected in Tbilisi (sculptor E. Amashukeli).

"Dedaena", Iakob Gogebashvili's method of compiling an alphabet teaching textbook was conferred the status of a monument of non-material cultural heritage in 2013. This is the first time a textbook has been honoured in such a way.

შენიშვნები

1. (გვ. 9) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდში დაისვა საკითხი იაკობ გოგებაშვილის წმინდანად კანონიზების შესახებ. შეიქმნა საგანგებო კომისია, რომლის წევრებმა — მიტროპოლიტმა ანანიამ (ჯაფარიძემ) და მთავარეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელმა) — მიმართეს იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებას, მიეწოდებინათ მასალები იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების დავალებით წინამდებარე ნაშრომის I ვარიანტი ამ მიზნით შეიქმნა... 2011 წელს ცალკე წიგნაკად (იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი და ცხოვრების გზა) გამოსცა გამომცემლობა „დედაენამ“, საყურნალე ვარიანტი გამოქვეყნდა ჟურნალში „სამი საუნჯე“ (№ 2, 2012 წ.).

2. (გვ. 33) როგორც ამბობენ, იაკობ გოგებაშვილის წმინდანად კანონიზებაზე გასული საუკუნის 80-იან წლებშიც იყო საუბარი, მაგრამ, ითქვამს, რომ იაკობს ჰქონდა მცდელობა თვითმკვლელობისა... იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებისაგან დამეველა ამ საკითხზე მასალების მოძიება. ამ მიზნით დაიწერა ნარკვევი: „ერთი ეპიზოდი იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან (მკვლელობის თუ თვითმკვლელობის მცდელობა?)“ — (ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, № 14, 2009 წ.). ეს ნარკვევი შევიდა წინა შენიშვნაში დასახელებულ წიგნაკშიც (აქ მოიცავს 33-49 გვერდებს); დაერთო წიგნს „დედაენა — ძეგლი სამარადისო“ — 2011.

„წუთისოფლის“ მეორე მონაკვეთი (გვ. 49-60) დაიწერა წიგნაკისათვის — „ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა“ (2012 წ.).

„წუთისოფლის“ საყურნალე ვარიანტი გამოქვეყნდა ჟურნალში „სამი საუნჯე“, № 4, 2012 წ.).

3. (გვ. 60) ნარკვევის — „იაკობ გოგებაშვილი და სალიტერატურო ენა“ — საყურნალე ვარიანტი გამოქვეყნდა „გელათის მეცნიერება-

თა აკადემიის ჟურნალში“ (№ 7, 2008 წ.). ვრცელი ვარიანტი შევიდა წიგნში „ქართული სალიტერატურო ენა — ნარკვევები“, 2013 წ.).

4. (გვ. 75) ნაშრომი წაკითხულ იქნა მოხსენებად აკად. გ. ახვლედიანისადმი მიძღვნილ I რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე (წყალტუბოში) 2008 წელს (იხ. კონფერენციის მასალები). შევსებული ვარიანტი შევიდა წიგნში „ქართული სალიტერატურო ენა — ნარკვევები“ (2013 წ.).

5. (გვ. 82) „წინასიტყვის მაგიერ“ (გვ. 83-84) წარმოდგენილი „სამი დიდი წიგნი“... არის ნაწილი იმ მოხსენებისა, რომელიც წაკითხული იქნა სამეცნიერო კონფერენციაზე „წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზით“, სხალთის ეპარქია, დიდაჭარა, 2008 წ. 12 მაისი). სა-ჟურნალე ვარიანტი დაიბეჭდა ალმანახში „სამი საუნჯე“ (№ 1, 2011).

6. ვრცელი გამოკლევა (გვ. 84-187) ცალკე წიგნად გამოიცა 2011 წელს: „დედაენა — ძეგლი სამარადისო“ (გამომცემლობა „დედაენა“). 2 პარაგრაფი — „დედაენა — იაკობის სიტყვაშემოქმედების ნაყოფი“ და „ვისია დედაენა“ წაკითხული იქნა ი. გოგებაშვილის საზოგადოების I სამეცნიერო კონფერენციაზე (2008 წ. 27 ოქტომბერი; გაერთიანებული საჟურნალე ვარიანტი გამოქვეყნდა ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ (№ 19, 2009) სათაურით — „სიტყვა დედაენა და წიგნი „დედაენა“.

7. (გვ. 189) ნარკვევი „იაკობი და ილია“ დაიწერა საგანგებოდა ამ წიგნისათვის.

8. (გვ. 218) ნარკვევი „იაკობი და აკაკი“ გადამუშავებული და შევსებული ვარიანტია იმ ნაშრომისა, რომელიც შევიდა წიგნში — „მარადიულნი თანამედროვენი“ (2000 წ.); ეს ვარიანტი დაიბეჭდა გორის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალში (№ 23-25, 2014).

9. (გვ. 243) როგორც აღვნიშნეთ (შენიშვნა 1.) საქართველოს პარტლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდში დაისვა საკითხი იაკობ

გოგებაშვილის წმინდანად კანონიზების შესახებ. ამ ფაქტთან დაკავშირებით ე. ჰელიძემ გამოსცა ბროშურა „იაკობ გოგებაშვილის წმინდანად კანონიზების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით“ (2011 წ.). წინამდებარე წერილი სწორედ ამ ბროშურის საბასუხოდ დაიწერა. პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ ცალკე წიგნაკის სახით (2011 წ.); შემდეგ შევიდა ჩვენს წიგნში „ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა“ (2012 წ.).

10. (გვ. 278) წერილის „არა ცილი სწამო!“ საბასუხოდ ე. ჰელიძემ გამოსცა ვრცელი ბროშურა („ოდეს სამართალმან დაგასამართლოს“, 2012). ამის საბასუხოდ დაიწერა წინამდებარე წერილი. გამოქვეყნდა ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ (№ 18, 2011 წ.).

11. (გვ. 293) გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ (7 აპრილი, № 65, 2009).

12. (გვ. 296) გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ (21 ივნისი, № 130, 2009).

13. (გვ. 298) ინტერვიუ გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ (14 ივლისი, № 141, 2009).

14. (გვ. 303) ინტერვიუ გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“ (15-21 ივლისი, № 21, 2009).

15. (გვ. 307) გაეგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ი. გოგებაშვილის საზოგადოების სახელით 2010 წლის სექტემბერში. პასუხი არ მიგვიღია...

16. (გვ. 309) ინტერვიუ გამოქვეყნდა გაზეთში „ყველა სიახლე“ (6-12 ივნისი, 2012).

17. (გვ. 312) ინტერვიუ გამოქვეყნდა გაზეთში „ასავალ-დასავალი“ (25 ივნისი — 1 ივლისი, № 26, 2012).

18. (გვ. 318) 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „დედაენის“ დახმარებისათვის მივმართეთ პარლამენტში ფრაქცია „ქართულ ოცნებას“. ჩვენი თხოვნა გადაეგზავნა განათლების სამინისტროს. პარლამენტმა მიიღო პასუხი მინისტრის მოადგილის ა. გოგლიჩიძის ხელმოწერით; პასუხი გადმოგვეგზავნა ჩვენც. წინამდებარე წერილი განმარტებაა სამინისტროს პასუხზე...

19. (გვ. 324) წერილი გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ (27 აგვისტო, № 163, 2013).

20. (გვ. 329) ჩვენს წინა პუბლიკაციაზე იმავე გაზეთში „საბასუხო“ წერილი გამოაქვეყნა ზ. ცუცქირიძემ. ეს არის პასუხი ზ. ცუცქირიძის წერილზე. გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, 7 სექტემბერი, 2013 წ.).

21. (გვ. 332) გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, (3 სექტემბერი, 2013 წ.).

22. (გვ. 338) „სიბრძნე იაკობისა“ საგანგებოდ ამ წიგნისათვის მომზადდა...

შინაარსი

დიდებული სამეული და ოთხი ბურჯი ეროვნებისა (წინასიტყვის მაგიერ).....	3
ნაწილი I. ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა.....	6
ღვაწლი იაკობ გოგებაშვილისა.....	9
წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა.....	33
ნაწილი II. ქართული და ქართველური ენობრივი სივრცე იაკობ გოგებაშვილი და ქართული სალიტერატურო ენა (მოკლე მიმოხილვა).....	60
ქართველური ენობრივი სივრცე იაკობ გოგებაშვილის თვალთახედვით.....	75
ნაწილი III. „დედაენა“ — ძეგლი სამარადისო სამი დიდი წიგნი — ქართული სალიტერატურო ენის სიმტკიცის საფუძველი (წინასიტყვის მაგიერ).....	82
წინათქმა.....	84
„ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი“.....	85
დედაენა — იაკობის სიტყვათშემოქმედების ნაყოფი.....	87
სათაურები. ვისია „დედაენა“?.....	98
ცის გახსნა.....	103
იაკობი ღროს უსწრებდა.....	111
ენობრივი სახელმძღვანელო.....	115
ბრძოლა „დედაენის“ გადარჩენისათვის.....	132
„თურაშაულის პატრონი“.....	143
აპოლოგია „დედაენისა“.....	182
ნაწილი IV. მთავარმოდგაწენი.....	182
იაკობი და ილია.....	189
იაკობი და აკაკი.....	218

ნაწილი V. რიტორიკა მეტაექრობითი.....	242
ა) პოლემიკა იაკობ გოგებაშვილის თემაზე:	
„არა ცილი სწამო!“ (პასუხად ედიშერ ჭელიძეს).....	243
კიდევ ერთხელ ე. ჭელიძეზე, ამპარტავენებასა და უკიდვგანო ამბიციებზე.....	278
ბ) „დედაენის“ თემაზე	
დილეთანტიზმი და არაკომპეტენტურობა დაღუპავს ქართულ სკოლას (ღია წერილი სიმონ ჯანაშიას).....	293
იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ ქართულ სკოლაში ბრუნდება; შეუშვებენ?.....	296
ათი „დედაენის“ არნახული კონკურენცია. პედაგოგთა უმეტესობა გოგებაშვილის წიგნის მომხრეა.....	298
განათლების სამინისტრომ გოგებაშვილის „დედაენას“ ცხრა ლახვარი ჩასცა.....	303
მიმართვა საქართველოს განათლების მინისტრს, ბ-ნ დ. შაშკინს.....	307
„აი ია“ შეუცვლელია“ (მწარედ ცდება, ვინც გოგე- ბაშვილის „დედაენას“ უარყოფს).....	309
მეფის რუსეთში უფრო ადვილად დაიცავდი ქართულ ენას, ვიდრე დღეს დაიცავ!.....	312
განმარტება განათლების სამინისტროს პასუხზე.....	318
დედაენა და უცხო ენანი (ყურადღებას ვთხოვთ განათლების მინისტრს და არა მხოლოდ მას).....	324
მჭერა, იაკობ გოგებაშვილი ახლაც გაიმარჯვებს!.. (პასუხად ბ-ნ ზურაბ ცუცქერიძეს).....	329
იაკობის „დედაენის“ პატრონნი რას ვეძებთ? (ყურადღებას ვთხოვთ განათლების მინისტრს და არა მხოლოდ მას).....	332
ნაწილი VI. სიბრძნე იაკობისა (დანართი).....	338
Iakob Gogebashvili and his „Dedaena“ (an Alphabet Teaching Teaching Textbook of Georgian) (The abstract of the paper).....	391
შენიშვნები.....	401